14
969

# მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

114

7

1969

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 45-ე № 7 ივლისი, 1969 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

11286

## შინაარსი

სულხან ქეთელაური — ხარის ცრემლი. მოთხრობა . . . . . . . . 3
ნიკოლოზ ჩაჩავა — ლექსები . . . . . . . . . . . . 26
ლადო მრელაშვილი — ყაბახი. რომანი. გაგრძელება . . . . . . . 27
გენო კალანდია — ლექსები . . . . . . . . . . . . 66
იონა ვაკელი — ლექსები . . . . . . . . . . . . 67
აკაკი ბელიაძე — მუზარადში ამოსული ყვავილი რომანი . . . . . . 69
ოვანეს თუმანიანი — ლექსები თარგმნა რევაზ მარგიანმა . . . . . 118
პოლ ვერლენი — სენტიმენტალური საუბარი. ლექსი. ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ქავთარაძემ . . . . . . . . . . 120
როდიონ ქორქია — ნიკოლაძე. ისტორიული პიესა . . . . . . . 122
ხუტა ბაგუა — ლექსები . . . . . . . . . . . . 144

### 100 ვ. ი. ლენინი 100

ვახტანგ ქუთათელაძე — ხელოვნების პარტიულობის ლენინური პრინციპი. . 146
ვალერიან ბრეგაძე — ვ. ი. ლენინი და მხატვრული შემოქმედების პრობლემები . . . . . . . . . . . . . . 150

### კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

ივანე ლოლაშვილი — დამატებანი და გასწორებანი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა „დაკარგული“ დედნების აღმოჩენის გამო . . . . . 156
ზურაბ შარაძე — გრიგოლ ორბელიანის ერთი გამოუქვეყნებელი წერილი 163
მალხაზ აბდუშელიშვილი — ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური გენეზისი . . . . . . . . . . . . . . . 166
შალვა ფორჩხიძე — ეპოქის კვალდაკვალ . . . . . . . . 176

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

## წიგნების მიმოხილვა

ბელა ზონენაშვილი, ოთარ ჩიჩუა — ესთეტიკური აღზრდის თეორიული საფუძვლები . . . . . . . . . . . . . . 185
სიმ. ყაუხჩიშვილი — ქართული ისტორიოგრაფიის მორიგი წარმატება . . 186
ჯ. შარაშიძე — პირველი ნაბიჯები სიახლის ძებნაში . . . . . . 190

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:
ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ჟღენტი, ა. ხულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 20/V-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VII-69 წ. ქაღალდის ფორმატი 70×108$^{1}/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. უე 02243. ტირაჟი 10.500. შეკვ. № 1550.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულხან ქეთელაური

# ხარის ცრემლი

## 1

იმ წელს პირველად გავჰყევი ნახირში სოფლის მოზრდილ ბიჭებს და კვირისაც სწორედ ამ დღიდან დამამახსოვრდა. იგი მაშინ უკვე შუახნის მანძილა ხარი იყო. ფეხმაღალი იყო, ძვალმსხვილი. თეთრ-ყვითელი ხალებით მოხატული ტანი ჰქონდა, განიერი, მკვრივი ქედი, შავი, ფართო თვალები და წინწაყრილი, სანთლისფერი წვეტიანი რქები. ტანით სოფლის ყველა ხარს სჯობნიდა და მე ამით უზომოდ ვამაყობდი. იგი ჩვენი გაზრდილი იყო, თუმცა საქონელი უკვე გაერთიანებული გვყავდა კოლმეურნეობაში, მაგრამ საერთო ბოსლების უქმარობის გამო, ხარები ყველას ჯერ ისევ საკუთარ ბოსლებში გვება, და ამიტომ კვირისა ჩემს სამწყემსოში მერია.

დედებმა დილიდანვე გაგვაფრთხილეს, — საქონელი ქვევით ჩარეკეთ და ჭალის პირებზე აძოვეთო. ბიჭებიც შეპირდნენ, მაგრამ იცდინეს თუ არა მათი თვალი, ნახირი სოფლის თავს, ხშირი ტყით გარშემორტყმული სერისაკენ — აბიდასტურისაკენ შეაბრუნეს. ეს იყო ჩვენი სოფლის საზაფხულო საძოვარი. რა თქმა უნდა, საქონლის ძოვება ჭალაში ჯობდა, — იქ თოვლი ადრევე ამშრალი იყო და ბალახიც უფრო წამოზრდილი იქნებოდა, მაგრამ ბიჭებმა მაინც აბიდასტური არჩიეს: ჭალაში სანახავი და გულის გადასაყოლებელი არაფერი იყო, იქ კი ნაცნობი ადგილების ხილვა ელოდათ.

თითქოს თვითონ საქონელსაც იქით მიუხაროდა. პირუტყვი გუმანით გრძნობდა ნაცნობ გარემოს, ძოვითა და ზმორებით მიჰყვებოდა აღმართს, მიწას სუნავდა, ფეხს შარშანდელ ნაკვალევში ადგამდა და მოზღვავებულ სიხარულს ხტუნვით, კუნტრუშით, ზმუილითა და ბუღრაობით გამოხატავდა.

ხარებმაც წვრილფეხობას — ჭოჭყდეკეულებსა და მოზვრებს აუბეს მხარი. მარტო ერთი კვირისა არ იმჩნევდა საერთო სიხარულს, მან წელანვე მოიხადა ვალი: გზის დასაწყისში შედგა, რქითა და ჩლიქით მიწა მობუღრა და ტყიან გორებს ხმამაღლა გაჰყვირა, თითქოს მთა-ბარს თავისი ველად გამოსვლა ამცნო. ქედშემართული ახლა უკვე დინჯად მიაბიჯებდა აღმართზე, ნახირს ხან უკან მოექცეოდა, ხან — წინ, და გულისყურს წამითაც არ აცილებდა, დაწინაურებულ სულსწრაფ მოზვერს ან დეკეულს თვალებით დატუქსავდა, — ერთს შეუბღვერდა და უკანვე დააბრუნებდა.

შუადღისას უკვე აბიდასტურში ვიყავით. ციხე-გალავნის ნანგრევს ქვემოთ, მეხნაკრავ, წვერთავქვე წაქცეულ მუხის ჯირკზე ვისხედით და ყველ-პურს შევექცეოდით. ნახირი კიდურის ძირობაზე გადმოეფინა და ბუჩქნარიან ტაფობში ჩაქუჩდა. მზე მდორე, მომთენთავ სითბოს აფრქვევდა. ჰაერში ახალ-

გამოღვიძებული ბუზანკალი ირეოდა და გამოჩირთული ტყიდან ჩიტების გაბმული ქღურტული ისმოდა. დიყის, კენკეშისა და ძირხვენის რძიანი ფოთლით დამძღარი საქონელი მზეს გაუყუჩდა. აღარ ურქენდნენ ერთმანეთს ჰოჭყმოზვრები და ფურ-დეკეულები, უკვე ნებივრად იდგნენ ყელიყელგადაჭდობილები, იცოხნებოდნენ და ერთიმეორეს ნაზამთრ, დაღვერილ კისრებს ულოკავდნენ.

კვირისა არც ახლა გარეულა ნახირში. მხოლოდ ცოტახანს შეუერთდა თავის მეუღლე ხარებს და ერთ მათგანს — წიქარას, კისერიც აალოკინა. მერე კი, როცა საქონელი დაეყარა და ხარებმაც ხვნეშით ჩაიჩოქეს გამთბარ მიწაზე, კვირისა ისევ განზე გავიდა, — დაყრილ ნახირს სათავე დაუარა, ტყის პირას სერზე წადგა და დაბურცული კისერი შიმელას აქექა.

შიმელა ცალ მხარეს გადაიზნიქა, ფესვებიანად შეირყა და ჭრაჭუნი დაიწყო. მოზრდილი ბიჭები აღტაცებით გაჰყურებდნენ და, ისეთი ღონიერიაო, ამბობდნენ, რომ მოიწადინოს, მაგ ხეს ძირიანად ამოაბრუნებსო. მერე იმაზე დაიწყეს ლაპარაკი, მგელი თუ მოერევაო. ერთნი ამბობდნენ, მგელი სისწრაფით აჯობებსო, მეორენი საწინააღმდეგოს უმტკიცებდნენ, — კვირისასთან მგელი კი არა, ლომიც ვერაფერს გახდებაო.

— განა ტყუილად გავიდა ტყის მხარეს, — თქვა ყველაზე უფროსმა ბუწამ, — სულ ასე იცის, ნახირი რომ დაეყრება, კვირისა მაშინვე იმ მხრიდან ჩამოდგება, საიდანაც უფრო საშიშია ნადირი. რომ ეშინოდეს, ამას ხომ არ იზამდა?

— რა იცის, ჯერ ხომ არ დასტანებია მგელი? — წაედავა წრიპა.

— იცის, მაშა, პირუტყვმა ყველაფერი იცის და კვირისას არ ეცოდინება?

— მგლეთან მაინც ვერაფერს გახდება, ის ისეთი სწრაფია, ისეთი რომ...

— სისწრაფე რა არი. კვირისამ რომ ერთი რქა ამოჰკრას, ნაფლეთებად აქცევს და თუ უნდა, აგე აი იმ მაღალი ხის წვერში შეისვრის.

— მგელი, რა, უღონო გგონია? — არ ცხრებოდა წრიპა, — ტორის ერთი დარტყმით ცხენს აქცევს...

მე კარგად ვიცოდი, რატომაც კილავდა წრიპა ასე უდიერად კვირისას. შარშან წრიპაანთ საიდანღაც ერთი ნისლისფერი ბუღა მოიყვანეს და სოფლის ყველა მოზვერი და ხარი გაატეხინეს. გათამამებულმა ბუღამ ბოლოს თურმე კვირისასთან შებმაც მოიწადინა. კვირისას პირველად ყურადღება არ მიექცია. ბუღა ამას გაეთანამებინა და, რაკი კვირისამ მაშინვე რქა არ შეაგება, გვერდიდან ღალატით დასტაკებოდა. მაშინ კი განრისხებულიყო კვირისა, ერთი დაებუბუნა თურმე და პირველ შეტაკებისთანავე აეღრიალებინა, — იღლია მკერდიდან ბეჭამდე ამოეხია. ბუღა გატეხილიყო და გარიდებოდა, მაგრამ კვირისა ისე გააჯავრა თურმე ბუღის თავხედობამ, რომ ხარული ჩვეულებაც კი დაავიწყა: გატეხილ მეტოქეს მაშინვე აღარ ჩამოეხსნა, უკან მისდია, ღრანტეში მიიმწყვდია და მწყემსებს რომ არ ეშველათ, გულ-ღვიძლსა და შიგანურს კარში გამოაყრევინებდა. ამ დღიდან ბუღა ისე შეშინდა თურმე, რომ პატრონებმა ნახირს ველარ გააკარეს და რომელიღაც კოლმეურნეობას მიჰყიდეს. ეს ამბავი მე დიდი ბიჭებისაგან მქონდა გაგონილი და უმალ მივხვდი, რა მუცლისტკივილიც ალაპარაკებდა წრიპას. გულზე ცეცხლი მეკიდა, მაგრამ დიდი იყო და შეკამათებას ვერ ვუბედავდი. ჩუმად ვიჯექი, წრიპას თვალს ვარიდებდი და გუნებაში ვნატრობდი: ნეტაი კი მართლა დაეტანებოდეს ახლა მგელი კვირისას და ამ ავყიას ხმას ჩააწყვეტინებდეს — მეთქი. ხოლო კვირისა რომ უსათუოდ მოერეოდა მგელს, ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა.

ზოგჯერ უცნაური დამთხვევა ხდება. ბიჭებს კამათი არ დაესრულებინათ და მე ფიქრი, რომ კვირისა უცბად გველ-

ბიბლიოთეკა

ნაკბენივით მოწყდა ხეს, ოდნავ წინ წადგა და დამზერილი ტყეს მიაჩერდა. იმავ წამს დაყრილი ნახირიც აიშალა და ნელა, გაბმით აზმუვლდა.

ბიჭებმა კინკლაობას თავი ანებეს, ყველანი ფეხზე წამოვცვივდით. ტყეში ჯერ არაფერი ჩანდა, მაგრამ პირუტყვი საეჭვოდ იყო ატკერცილი, — უტყუარმა ალღომ თვალით დანახვამდე აგრძნობინა ხიფათის სიახლოვე და ერთ მოძრავ გუნდად შეკრა.

ჩვენც მჭიდროდ მივეკარით ერთმანეთს. სახეები და თვალწარბი აგვებურძგლა და თმამაც ტკაცატკუცი დაგვიწყო. თუმცა თვალით ჯერ კიდევ ვერაფერს ვხედავდით. კვირისაც ისევ გაუნძრევლად იდგა და ქედმოღერილი ისევ ტყისაკენ იყურებოდა. უცბად უკან დაიწია, რქით მიწა მობუღრა და ძლიერად დაიქშუტუნა. მერე თითქოს ადგილი მოზომა, — მიდგა-მოდგა, ფეხები გაიბოძიძკა, კუდი აგრიხა და წვეტიანი რქები წინ წაყარა, — მოზიდული დადგა, სწორედ ისე, ხარებთან შებმისას რომ იცოდა ხოლმე, და უჩინარ მეტოქეს მუქარით დაელოდა.

ამის შემდეგ რა მოხდა, ან რამდენი დრო გავიდა ლოდინში, კარგად აღარც მე მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ტყიდან ლეგა, მუქ წითელი ფერის ყურებგადალურსული და კბილდაკრეჭილი ნადირის უცაბედი გამოჩენა, ჩვენი ელდანაცემი ამოძახილი, — ვაიმე! — და საქონლის ერთობლივი, ხმამაღალი აბღავლება.

მგელმა თითქოს გამოგლიჯა ტევრი, — ბურთივით შეკრული გამოვარდა და ასევე შეკრული პირდაპირ კვირისასაკენ წამოვიდა.

მანძილს წამით-წამს ამოკლებდა. „კიდევ ერთი ნახტომიც და მისწვდება!..“ — წელანდელი იმედისა ნატამალიც აღარ შემრჩა. ძლიერმა შიშმა თითქოს ძვალ-რბილიანად დამშალა, ყურებმა ზრიალი დამიწყო და რომ შემძლებოდა, თვალებსაც დავხუჭავდი, მაგრამ ვერ შევძელი, — ღონე არ მეყო, შიშს მართლაც რომ დიდი თვალები ჰქონია და ჩემდაუნებურად ყველაფერი კარგად დავინახე.

მგელმა მთელი თავისი მოდგმის უთვალავჯერ ნაცად ხერხს მიმართა, — სირბილი ერთი წამით შეანელა და გრძელი ნახტომისათვის შეემზადა, რომ კისერზე დახტომოდა და პირველი შეტევისთანავე წაექცია, ან დაეჩოქებინა, მაგრამ არ გამოუვიდა. როგორღაც მოხდა, რომ ნახტომით წამოსულ ნადირს კვირისამ ჰაერშივე ამოჰკრა რქა და ზურგსუკან გადაისროლა.

— შენი ჭირიმე, კვირისა! — წამოიძახა ბუწამ და სხვებმაც ხმა ავუბით, მაგრამ ჩვენი სიხარული ნაადრევი გამოდგა. კვირისა დღევანდლამდე მგელს არ შებმოდა, დღევანდლამდე მხოლოდ გუმანით იცნობდა მგელს — ოთხფეხთა ამ საერთო მტარვალს და, ამდენად, მასთან ბრძოლისა არაფერი იცოდა. მართალია, თვითონაც მებრძოლი იყო, მაგრამ სამკვდრო-სასიცოცხლოდ კი არა, — მისი ბრძოლა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კეთილშობილური იყო, უსისხლო. ვაჟკაცური დამარცხება-გამარჯვება ჰქონდა მიზნად და მსხვერპლით არასოდეს თავდებოდა. აქ კი სწორედ მსხვერპლი იყო საჭირო და, რა თქმა უნდა, ასეთი ბრძოლისა კვირისას არა გაეგებოდა რა, — არც გამოცდილება ჰქონდა და არც ჯიშად მოსდგამდა.

მგელი კი პირიქით, როგორც მთელი მისი მოდგმა, ისიც მსხვერპლით ირჩენდა თავს. უხსოვარი დროიდან მოკიდებული წინაპართა ჩვევა და ცოდნა ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი და თვითონაც საკმაოდ დაგეშილი ჩანდა. ჩვევათა ეს სხვადასხვაობა პირველი შეტაკებისთანავე გამომჟღავნდა: კვირისა, იმის მაგიერ, რომ მაშინვე უკან მიჰყოლოდა და მგლისთვის წამოდგომა არ ეცალა, — წინ გავარდა და შემობრუნება დააგვიანა. მგელმა კარგად ისარგებლა ამ შეცდომით, — ერთი ნახტომით წამოეწია და კბილებით უკანა ბარკალში ჩააფრინდა.

კვირისა დაფრთხა და ისევ წინ გავარდა. მგელს კბილი არ გაუშვია. კვირისა უფრო დაფრთხა და ადგილზე დატრიალდა, — რქით წაეტანა, მაგრამ ვერ მისწვდა. ამან უარესად შეაშინა და წონასწორობა მთლიანად დააკარგვინა. ბოლოს თითქოს დაიბნა კიდეც, რქით მიტევას აღარ ცდილობდა, თვალები უკვე შიშით გადმოეკარკლა და უაზროდღა ტრიალებდა ადგილზე. გაბმთი ზმუოდა, ბარძაყიდან სისხლი სდიოდა.

მგელს წუთი-წუთს ემატებოდა ძალა და სიმხნევე. გამოცდილებამ და ალღომ უმალ აგრძნობინა მსხვერპლის შიში და სისხლმაც გააშმაგა. თვალებს ცეცხლივით აკვესებდა, ბოროტად ღრინავდა, ლაშებზე დუჟნარევი ქაფიანი სისხლი გადმოსდიოდა და სულ უფრო გამეტებით და დაჯერებულად უტევდა: კბილს ქვევით უნაცვლებდა, ფეხებს ფეხებში ახლართავდა და წაქცევას ცდილობდა.

კვირისას თანდათან სულ უფრო ცხადად დაეტყო ძაბუნი. მუხლში ბარბაცი შეუდგა. ეტყობოდა, ერთ ადგილზე ტრიალმა დაღალა და თავბრუ დაახვია. როგორც იქნა, შეიმაგრა თავი. რამდენსამე წამს უძრავად იდგა, მერე მთელი მკერდით აიმართა, ყრუდ დაიზმუვლა და ხან საქონელს ჩახედა, ხან — ჩვენ. დიდრონ, შიშჩამდგარ თვალებში უძირო მუდარა ეხატა, — მწეს და მშველელს თხოულობდა, მაგრამ ასეთი არავინ იყო. საქონელი თავზარდაცემული ღრიალებდა და შეგუბებული მორევივით იმდგვალებოდა ტაფობში. ჩვენ კი ხელ-ფეხი გვქონდა გაყინული და განძრევა არ შეგვეძლო, და რომც შეგვძლებოდა, კვირისას მაინც ვერაფერს ვუშველიდით, ჩვენც იმასავით უმწეონი ვიყავით, კვლავ მჭიდროდ ვეჭყლიტებოდით ერთმანეთს მუხის ჯირკზე და აკანკალებულები შორიდან შევყურებდით უთანასწორო ბრძოლის ამ საშინელ სურათს.

საბედნიეროდ, კვირისამ თვითონვე იმარჯვა და დროულადაც იმარჯვა. მგელმა მთლიანად შეუკრა ფეხების საძრაობა. კვირისას დაჩოქებას აღარაფერი უკლდა. და სწორედ მაშინ, როცა ის იყო, უნდა დამორჩილებოდა და დაცემულიყო, არ ვიცი, განზრახ თუ შიშის გამო, უცბად ხმამაღლა დაიღრიალა, თავი ძირს დაღუნა და ტლინკები შეყარა. მგელიც მაღლა შეისროლა, მართალია, ვერ მოიცალა, მაგრამ გასაჭირი კი საკმაოდ შეიმსუბუქა და დაკარგული რწმენაც აღიდგინა.

მგელს ნახევარი გამარჯვება უკვე ხელთ ჰქონდა. დიდი ხნის ნაშიმშილარს პირში თბილი სისხლი სცემდა და, როგორც ასეთ დროს იცის ხოლმე, სიშმაგის ზენიტში იდგა. მაგრამ მტაცებლები უკიდურესი ალტყინებისასაც არ კარგავენ მთლიანად გონიერებას. კვირისას ამოქმედებამ მგელი უმალ გამოიყვანა თავდავიწყებიდან. მჭრელმა ალღომ წამსვე აგრძნობინა, რომ მსხვერპლს ჯერ მთლიანად არ გამოლეოდა ღონე და არც ბრძოლის უნარი დაჰკარგვოდა. და ის მოპოვებული უპირატესობა რომ შეენარჩუნებინა, ბრძოლას და შეტევას თავი ანება, დაღლილმა ისევ წინაპართა ნაანდერძევი ხერხი გაიხსენა და დროებით გაყუჩდა, — ღონის მოკრება და მსხვერპლის დაქანცვა განიზრახა.

კვირისას არ გამოჰპარვია მგლის საბედისწერო გაყუჩება, — პირუტყვმა პირუტყვს ალღოთი გაუგო და წელანდელი იმედის ნაპერწკალი ისევ ჩაუქრა. კვლავ შიშნეულად გაიზნიქა წელში, დაიბღავლა და, რაკი სხვა არაფერი შეეძლო, ისევ ტლინკების ქნევას მოჰყვა.

ეს ბრძოლის ვერაფერი დიდი ხერხი იყო და არც თავდასაცავად ვარგოდა, მაგრამ კვირისას კარგად გაუმართლა: მესამე თუ მეოთხე გაქნევაზე მგელი ხმამაღლა ალმუვლდა და ჰაერშივე მოსწყდა ბარკალს. ეტყობოდა, მთელი ძალით გაქნეული ჩლიქი შემთხვევით მუცელში მოხვდა, რადგან ძირს დაცემულმა ჩვეულებრივ მაშინვე წამოდგო-

მა ველარ შესძლო და მოკრუნჩხული და ალმუვლებული მიწაზე გაგორდა.

რაკი მტერი მოიცილა, კვირისამ ისევ მოიცა გული, ისევ იგდო თავი ხელთ. კვლავ მუქარით დაიქშუტუნა და რქით მიეტია. მგელმა ხიფათი იგრძნო, ტკივილი დასძლია, შემოქნეულ რქას დროზე უგანა და გვერდიდან კისერზე დაახტა.

კვირისა აღარ დაიბნა. მეტოქეს შიში შეატყო და გამამაცდა. ცალი რქა იღლიაში შეუყარა მგელს, კისრიდან მოიგლიჯა და შორს მოისროლა.

თვითონაც უკან მოჰყვა.

მგელი უკანა ფეხებზე აიტოტა, მაგრამ განი ველარ მოასწრო და კვირისას რქებშუა მოექცა. მეტოქეთა შორის ბრძოლას ზოგჯერ უნებური ურთიერთდახმარებაც ახლავს ხოლმე. მგელს ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნა. კვირისა რქით უკვე ველარაფერს დააკლებდა და ვერც მოიცილებდა: გრძელი მოხრილი რქები საიმედოდ იცავდა, — თვითონვე უფარავდა მგელს ტანს აქეთ-იქიდან.

მგელმა წინა ფეხებიც რქებშუა გადააწყო და ყელზე მარწუხივით შემოხვია, კისრის ამობურცული კუნთი მთლიანად პირში მოიგდო და ყრუდ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღრინდა.

კვირისა წუთით ისევ გასაჭირში ჩავარდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ისევ ჩქარა მოეგო გონს, — ეს მისი სტიქია იყო და კარგად იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა: თავი დაღუნა, მგელი ზურგით მიწაზე დააგდო, ბრტყელი შუბლი მკერდზე დააბჯინა და მთელი ძალითა და სიმძიმით დააწვა.

წვეტიანი რქები შუბებივით წავიდა მიწაში. მგელს ნეკნები და მკერდი დაეზნიქა და სუნთქვა გაუჭირდა. მგელმა აშკარა საფრთხე იგრძნო და აფართხალდა, — გამოძრომა სცადა. კვირისა უფრო დააწვა. მგელმა ხმამაღლა და გაბმით დაიღმუვლა და გამწარებული კბილებით ისევ კისერში მისწვდა.

უცბად ძვლების ძლიერი ლაწანი გაისმა. მგელმა კისერს პირი უშვა და ხრინწიანად დაიყმუვლა, ყუმილს კვნესაც ამოაყოლა, თავი უღონოდ დაუვარდა ძირს და სისხლიან ლაშებზე გრძელი, წითელი ენა გადმოეკიდა.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რაც მოხდა, — მგელს მკერდის ძვალი ჩაემტვრა და გულ-ღვიძლი გაეჭეჭყა. მაგრამ ჩვენ ისე ვიყავით ელდანაცემები, რომ ამას უცბად ვერ მივხვდით. ჩვენ მხოლოდ ის გავიგეთ, რომ მგელი დამარცხდა, რომ კვირისამ გაიმარჯვა, — სიკვდილს გადარჩა და გულზე გვეფონა.

ხმის ამოღება ისევ ბუწამ გაბედა:

— აჰა, ეგეც შენ! — დაიძახა ხმამაღლა, — ახლა ისე მოკურცხლავს, რომ უკანაც აღარ მოიხედავს!

მაგრამ კვირისა მოკურცხვლის ნებას არ აძლევდა და რომც მიეცა აღარც თვითონ მგელს ჰქონდა ამის თავი. ხარის შუბლქვეშ მოქცეული და ძვლებჩალეწილი იგი სულს ღაფავდა, ყელში ყრუდ ხროტინებდა და კუდსა და ფეხებს ოდნავღა ასავსავებდა. თითქმის უკვე მკვდარი იყო, თანაც საბრალო მკვდარი — გათელილი და დამარცხებული, და მე იგი გულით შემებრალა; მასაც ხომ უნდოდა სიცოცხლე, გასა სწორედ სიცოცხლემ არ აიძულა, რომ ასე დაესრულებინა თავისი არსებობა? მე, რა თქმა უნდა, მაშინ მგლის საქციელის ამგვარი განსჯა არ შემეძლო, მაგრამ დაახლოებით ასეთი რაღაც კი გავიფიქრე და გულში ვინატრე, ნეტაი კი კვირისაც შეიბრალებდეს და თავს დაანებებდეს — მეთქი. მაგრამ კვირისას სიბრალულისა აღარაფერი გაეგებოდა. გულის ბუხარი უცბად ვერ დაიცხრო. ეტყობოდა, სიცოცხლის ვერაგულმა ხელყოფამ შურისძიების უზომო გრძნობა აღუძრა. ეს გრძნობა სრულიად უცხო იყო კვირისასათვის, და შეიძლება სწორედ ამიტომაც იყო ასე ძლიერი. ან, ვინ იცის, იქნებ დიდი ჯაფით, შიშითა და თავგანწირვით მოპოვებულმა გამარჯვებამ გააბოროტა ასე... დამშვიდების მაგიერ სულ უფრო ხელდებოდა, სრესდა შუბლით, რქით ჩხვე-

რავდა, ქშინავდა და დროდადრო ჯავრიანად ზმუოდა.

ჩვენამდე აღწევდა დამტვრეული ძვლების ლაწა-ლუწი და ხრჭიალი. მთელი რომ აღარაფერი შერჩა მგელს, მხოლოდ მაშინღა იჯერა გული. ხალის გუდასავით მოთელილი ნადირი მარცხენა რქით აიტაცა, გვერდზე გადაისროლა და ქშენითა და ბუბუნით ნახირისაკენ წამოვიდა. ტაფობის ზედა კიდურზე წადგა, სისხლიანი ქედი თავისებურად, მედიდურად შემართა და რამდენჯერმე ხმამაღლა დაიყვირა, — თითქოს გამარჯვებას ზეიმობსო და თანამოძმეთ მტრის საბოლოო განადგურება ახარაო.

ნახირმა იხუვლა, ირგვლივ შემოეხვია და სისხლის დანახვაზე უარესად აბღავლდა. ჩვენც ჩამოვედით მუხის კუნძიდან. ხელ-ფეხი ისევ გვითრთოდა. იქით, საითაც მკვდარი მგელი ეგდო, არცერთს არ გაგვიხედია, მაგრამ რატომღაც ვერც კვირისასთან მიახლოება გავბედეთ. იგი ნაბრძოლი, ნაჭრევიანი და გამარჯვებული მეტისმეტად მომხიბლავი ჩანდა და უნებურ მოკრძალებას იწვევდა. დაღადრული თავ-პირი სისხლითა და მიწით ჰქონდა დასვრილი, სანთლისფერ რქებზეც სისხლი ეცხო და მგლის ბეწვები და გულ-ფილტვის პაწაწკინტელა ნაფლეთები ეკიდა. სველ, დატალღულ ბეწვზე ოფლის წვრილი, რთვილისფერი თქორი ეყარა და ორთქლის ხშირი ოხშივარი ასდიოდა. საქონელი თითქოს დაპატარავდა მის ირგვლივ, მარტო თვითონღა ჩანდა, — უძრავად იდგა, ქვის ქანდაკივით, მძიმედ ქშინავდა და საქონლის ერთობლივ ბღავილს, რომელიც უკვე აღფრთოვანებულ შეძახილს ჰგავდა, გულგრილად ისმენდა.

აშლილი თმა ყველას დაგვილაგდა, გაშეშებულ სახსრებშიც საძრაობა მოგვეცა, მაგრამ შიში ისევ გვქონდა გულში და იქ გაჩერება აღარცერთს აღარ შეგვეძლო. ყველგან, ყოველ ბუჩქსა და ხის ძირას შიშის ძლიერი ელდა ჩასაფრდა. თითქოს გარემომ ფერი იცვალა, ამაზრზენად გაქსიოტდა და ჰაერშიც თითქოს მქისე სუნი დატრიალდა. უთქმელად დავტაცეთ გუდეებს ხელი, წამოვიქიდეთ და დამფრთხალი საქონელი სოფლისაკენ დავირეკეთ.

კვირისამ შუა გზამდე ნახირთან ერთად იარა. მერე სისხლის დენა შეუწყდა, ჭრილობები შეუფიცხდა და კოჭლობა დაეტყო. თვითონვე გაიწია შინისაკენ, — ნახირს გადაუსწრო და დაწინაურდა. მე ჩემი სამწყსო ბიჭებს მივანაბრე და კვირისას გავჰყევი.

მამაჩემი ეზოში რაღაცას თლიდა. შორიდანვე დავინახე, მაგრამ დაძახება ვერ გავბედე. თვითონვე შეგვასწრო თვალი. ეუცხოვა, ხარს რომ ასე კენტად მოვერეკებოდი და ხელმოჩრდილულმა გამოგვხედა. მერე კვირისას კოჭლობაც შეატყო, საქმეს თავი მიანება და ორღობის ბოლოში შემოგვეგება.

პატრონის დანახვაზე კვირისამ ნელა წამოიზმუვლა. მე რატომღაც ტირილი მომერია და ზლუქუნით ვუამბე, რაც მოხდა.

— კარგი, ჰო, გაჩუმდი! — დამტუქსა მამამ და დედას გასძახა, — წყალი გაპითბე და ერბო ამიდუღეო! — კვირისას სიარულშივე მოუსინჯა ნაკბილარები, ხელი ბეჭებზე მოუთათუნა და მოფერებით უთხრა:

— მოდი, ჩემო ანგელოზო, მოდი... მე მოგარჩენ...

კვირისა ბაკში შევიდა და თვის საბმურთან დაწვა.

მალე მთელი სოფელი ჩვენს ეზოში შეიკრიბა. მწყემსმა ბიჭებმა ნახირი სოფლის პირას, სარჩევზე ჩამოაქუჩეს და ისინიც იქ მოვიდნენ. კაცები თავებს იქნევდნენ, ზოგი კვირისას აქებდა, — ხარისაგან ასეთი რამ არ გაგონილაო, სხვები იმას ნანობდნენ, რომ იმ დროს იქ არ შეესწრნენ და ხელთ თოფები არ ჰქონდათ. დედაკაცები ვიშვიშებდნენ და, როგორც წესი, ჩვენ გვტუქსავდნენ, — გაუგონრები ხართ, არ ჯობდა, საქონელი ჭალაზე ჩაგერეკათო, და იმას კი აღარ ფიქრობდნენ, რომ მგელი შეიძლება ჭალაშიც ყოფილიყო.

ორი ბიჭი ცხენებზე შესხდნენ და მგლის ჩამოსატანად წავიდნენ.

დედამ თბილი წყალი გამოიტანა. კვირისა წამოაყენეს, ჭრილობები მოჰბანეს და მდუღარე ერბოთი დაუდაღეს. ვეტპუნქტები და ვეტექიმები ჯერ კიდევ არ იყო, საქონელს სულ ასეთი სოფლური წესით მკურნალობდნენ და, უნდა ითქვას, რომ არც ცუდად არჩენდნენ. მაგრამ თავმჯდომარემ ეს არ იკმარა და ბრიგადირი ცხენით სოფლის ახლად დანიშნულ ექიმთან აფრინა, — საჩქაროდ წამოვიდეს და ბლომა სახვევი და წყლულის მალამო წამოიღოსო. ექიმს შორს დაეჭირა და თავმჯდომარის შენათვალი ძალიანაც ეთაკილა, — მე ძროხების ექიმი არა ვარ, არც საიმათო წამალი მაქვს და, თანაც პაციენტებს ადგილზე ვღებულობო. ბრიგადირს მხოლოდ შემთხვევით იქ მყოფი რაიონული გაზეთის კორესპონდენტი წამოჰყოლოდა.

თავმჯდომარემ ხალხს გადახედა და გაოცებით ჩაიცინა: სხვა თუ არაფერი. ექიმმა იმდენი კი უნდა იცოდეს, რომ წყლულზე პირუტყვსაც იგივე წამალი უნდაო, და ბრიგადირი უკანვე გააბრუნა, — ან ახლავე აქ გაჩნდეს, ან არადა, საიდანაც მოთრეულა, ისევ იქით წაეთრესო.

კორესპონდენტმა სამფეხა ფოტოაპარატი გამართა და კვირისას რამდენიმე სურათი გადაუღო. ამ დროს მგლის ჩამოსატანად წასულმა ბიჭებმაც მოაჭენეს ცხენები. გათელილი მგელი კვირისას ცალ რქაზე დაჰკიდეს, სწორედ ისე, თვითონ რომ აიტაცა უკანასკნელად, და კორესპონდენტმა კიდევ გადაუღო სურათი. დაწვრილებით გამოგვკითხა ყველაფერი, მოკლე ტექსტი ჩაწერა და სურათს სახელწოდებაც იქვე შეურჩია: „უსაჭურვლო რაინდი“. სადგამიდან აპარატი მოხსნა და წასასვლელად შეებზადა. ეტყობოდა, ეჩქარებოდა ამ იშვიათი სურათის მიტანა რედაქციაში და მოსალოდნელი სენსაცია წინასწარვე ახარებდა. სადგამს კეცავდა, მოხიბლული თვალმოუშორებლივ შეჰყურებდა კვირისას და, — რაინდია, ნამდვილი რაინდიო! — გაიძახოდა მოწონებით.

კვირისა თითქოს გრძნობდა ქებას. თავისებურად ქედშემართული იდგა. ტკივილს აღარ იმჩნევდა, — უკვე მშვიდათ სუნთქავდა და იმ წუთში მართლაც ჰგავდა მტრის ხელით ნაკოდ, უჯაჭვოზარადო რაინდეს.

2

მაგრამ კვირისა ყველაზე ლამაზი მაინც უღელში ჩანდა. არც გასაკვირია. მან ხომ დედის ძუძუსთან შეიწოვა უღლის ლაზათი. მისმა პირველმავე წინაპარმა ეს მძიმე ტვირთი თავისი ნებით იდო თავს, — რქაზე დაიჭდია და შთამომავლობას სამუდამო სამემკვიდრეოდ უანდერძა. მას აქეთ ხარის მოდგმის მთელი გადასული თაობა სინდისითა და პირშეურცხვენლად ატარებდა ამ ანდერძს, — იდგამდა უღელს და სწევდა ჭაპანს. უღელი იყო მათი სიკვდილ-სიცოცხლის მიზანი, მათი არსებობის აზრი და კვირისაც უღელსა და ჭაპანში ხედავდა თავისი ყოფის გამართლებას.

თუმცა იმ წელს ცოტა გვიან მოუხდა უღლის დადება. სანამ კისერი და ფეხი მოურჩებოდა, კვირისას ყევარს გუთნის თავში სათადარიგო კენტი ხარი შეუბეს. მერე კი, როცა ჭრილობები მთლიანად გაეკურნა და გამოჯანსაღდა, თავისი ადგილი თვითონვე დაიჭირა.

იმ წელს მამაჩემს მეხრე შეუცვალეს. ცალთვალა გაგა სიბერის გამო მსუბუქ სამუშაოზე გადაიყვანეს, — კოლმეურნეობის ახლადნაშენი სათავსებისა და ეზო-კარმიდამოს მეთვალყურეობა დაავალეს, და მეხრედ ერთი ჩვიდმეტთვრამეტი წლის ბიჭი გამოუყვეს.

მახსოვს, წყნარი, მზიანი დილა იყო. დედამიწა წყაროს წყალნაპკურებ თაიგულს ჰგავდა და უთვალავი ბრჭყვიალა თვალებით უღიმოდა მზესა და ლაჟვარდს. ჰაერში ნედლი ფოთლისა და გამთბარი მიწის ჯანსაღი სუნი ტრია-

ლებდა. ნორჩი ბალახი ძლივს შესამჩნევად თრთოდა ნიავის ფრთებქვეშ და პირმოცინარი ყვავილებიც თითქოს ჩიტებთან ერთად ჟღურტულებდნენ.

ახალბედა მეხრემ, — როგორც სჩვევიათ ახალბედებს, — დიდი რიხითა და ქოთქოთით შემორეკა ხარები ნაფუძნარში, კვალსგაკიდებულ გუთანთან. კვირისა ჩვეულებრივ წინ მიუძღოდა ხარებს და ბიჭის ჰაი-ჰაის დიდ ყურადღებას არ აქცევდა, თავისი მოვალეობა და საქმე თვითონაც კარგად იცოდა. იცოდა ადგილიც. დინჯად მოაბიჯებდა და ფართო მკერდით უკვე წამოზრდილ შამბნარს მოარღვევდა, თან თვალს ნამით აფერადებულ მთა-ბარს ავლებდა, თითქოს დილის სილამაზით ტკბებოდა.

უთქმელად შედგა კვალში, აწეულ უღელს კისერიც უთქმელად მიაგება და მხრებში ამაყად აიმართა. უღელი — უშნოდ გამოთლილი, გატუსული და ბოლოებდახრილი ხე—ნაკურთხი გვირგვინივით დაიდგა მკვრივ, ღონიერ ქედზე და თვითონაც გვირგვინოსანს დაემსგავსა.

პირველმა სალალმა მშვიდად ჩაიარა. კვირისა ფეხზე იდგა და მეხრის შეძახილისთვის არ დაუცდია. მამაჩემი გუთნის ერქვანს რომ მოეჭიდა, თვითონვე გაიწია და გუთნეულიც გაიყოლია. მეორე სალალზე კი სულ სხვანაირად შეტრიალდა საქმე. მეხრე ბიჭმა თავისი მარიფათის გამოჩენა მოინდომა და მონასტერიც აირია.

კვირისას ბევრი საკუთარი ჩვევა ჰქონდა. „ხარი მწოლელი, ცხენი მდგომელიო“, ხალხი რომ ამბობს, სწორედ ასეთი იყო კვირისა. თუ საქონელში საძოვარზე მუხლს არ ჩამოხრიდა, სამაგიეროდ, უღელში წოლა უყვარდა: დაასვენებდნენ თუ არა ხარებს, მაშინვე ჩაწვებოდა. მაგრამ ადგომაში სახრე არ სჭირდებოდა. სახრის დაკვრას საერთოდ ვერ იტანდა და არც გაგა და მამაჩემი აკადრებდნენ. ერთი სიტყვით, კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო, ეს ანდაზა რომ ხარზე შევაბრუნოთ, სწორედ კვირისასთვის იქნება ზედგამოჭრილი.

ახალბედა მეხრემ, რა თქმა უნდა, ეს არ იცოდა და, ალბათ, მამაჩემსაც დაავიწყდა გაფრთხილება. იგი დაუდევრად, ერთგვარად უხეშადაც კი მიადგა კვალში ჩაწოლილ კვირისას და ვიდრე „ადეს“ ეტყოდა, ჯერ სახრე გადაჰკრა.

მამაჩემს ეს არ დაუნახია, გუთანზე იყო დახრილი და ჩეკით საკვეთს ბალახის ფესვებს აცლიდა. მე დავინახე, მაგრამ თქმა რატომღაც ვერ მოვახერხე.

კვირისას უზომოდ ეუცხოვა მეხრის საქციელი და თვალებზე აშკარა წყენა დაეტყო. ჯიუტად გაქვავდა ადგილზე, მხოლოდ თავი მოაბრუნა და თვალებგადმოკარკლულმა მწყრალად შემოხედა.

ახალბედამ ხარის დაუყოლობა სიზანტედ მიიჩნია. — ადე, ჰო, რას შემომყურებ? — უთხრა ღრენით და სახრე უფრო ძლიერად გადაუჭირა.

აი მაშინ მოხდა, რაც მოხდა: ეს უზარმაზარი, მთასავით ხარი ქურციკზე უსწრაფესად წამოხტა, ყელიდან რაღაც ზმუილის მაგვარი ხმა ამოუშვა, კისრის ერთი გაკვრით მილეწა ტაბიკ-აპეური და რქებშემართული მეხრისკენ გამოენთო. მეხრემ არც კვირისას ხასიათი იცოდა და სახრით აპირებდა მოგერიებას. კიდევ კარგი, მამამ დროზე შეასწრო თვალი. — გაიქეცი! — გასძახა მეხრეს, კვირისას თვითონ გადაუდგა წინ და დაბალი ხმით უთხრა:

— კვირისა დადექ!

გაგა და მამაჩემი კვირისას სულ ასე კაცის ენით ელაპარაკებოდნენ და კარგადაც აგონებდნენ. მაშინაც გაიგონა თუ არა პატრონის ხმა, ცივად შედგა, თავი მორჩილად დაღუნა, მიწა მობუღრა და ყრუდ წაიბუბუნა.

— კარგი, დაწყნარდი, — უთხრა მამამ კვლავ ნელი ხმით, კისერი და ყურისძირები დაჰფხანა, თავის ადგილზე დააყენა კვალში და ქედზე უტაბიკო უღელი დაადო. მერე წნელით შეკონილი, გატუსული შვინდის ტაბიკებიდან

ორი ცალი ამოარჩია, იქვე გადაუჭდია საპეურეები ხანჯლით და ბიჭს გაუწყრა. ბიჭმა თავი იმართლა, — მაშ როგორ, ხარს სახრე აღარ უნდა დავჰკრა?

— თუ საჭირო არ არის, არ უნდა დაჰკრა. — უთხრა მამამ მკაცრი დარიგებით და ტაბიკები უღელს მოარგო. — განა რაკი პირუტყვია, იმიტომ... ცუდუბრალოდ სახრე კი არა, სიტყვაც არ უნდა აკადრო ურიგო. ხალისიანად უნდა გაეძრახო, ლაღად, რომ პირუტყვსაც ხალისი მიეცეს და საქმეს გულხალვათად შეეჭიდოს. საქონელი!.. კვირისა თუ საქონელია, მე შენ გეტყვი... ვერ ლაპარაკობს, თორემ გული ჩვენზე ნაკლები კი არა აქვს... ჰოდა, ეგრე ქენი! — მოსჭრა მამამ მოკლედ, კვირისას აპეური გამოუსკვნა და ერქვანს მოეჭიდა.

ბიჭს კაცის ფერი აღარ ედო. ისე იყო დამფრთხალი, რომ, ალბათ საჭიროებისასაც ვეღარ გაბედავდა სახრის მოქნევას, მაგრამ კვირისამ ახლოს აღარ გაიკარა. დაინახა თუ არა თავის გვერდით, ისევ გადმოკარკლა თვალები, ისევ დაიქშინა, წელანდელივით მილეწა ტაბიკები და კვლავ ბიჭისაკენ დაიველა.

ბიჭმა მოკურცხლა. კვირისას ისევ მამაჩემი გადაუდგა წინ. მამა გააჯავრა ამდენმა საქმის მოცდენამ, — რა მოგივიდა, კვირისა, არა გრცხვენია? — დატუქსა საყვედურით და ისევ თავის ადგილზე დააყენა. ხოლო ახალბედა მეჯრე სამუდამოდ დაითხოვა.

— წადი, შვილო, წადი — უთხრა ისე, რომ ზედ არ შეუხედია, — წადი. ეს შენ აქ აღარ მოგიხდენს. გააფუჭე საქმე და... თავმჯდომარე მონახე და ყველაფერი უთხარი.

ბიჭმა სახრე ღირღიტაზე მიაგდო, თავისი საგზლის გუდა წამოიკიდა და ფერახდილი და გაწბილებული გუთნეულს უწადინოდ გაშორდა.

— ჰო, — დაადევნა მამამ უკან, — თავმჯდომარეს უთხარი, მეხრედ ისევ გაგა გამოგზავნოს! — ტაბიკის კონიდან კიდევ ამოარჩია ორი ცალი და თავისთვის ჩაილაპარაკა: — გასცდა დღე, დაიკარგა...

კვირისა გასხვეტილი იდგა კვალში, გუთნის თავთან. ქედზე უტაბიკო უღელი ედო, მაგრამ მოგდებინებას არ ცდილობდა. კუდსა და ყურებსაც არ ატოკებდა. ნესტოებდაბერილი ნელა ქშინავდა და დიდრონი თვალებით პირდაპირ იყურებოდა. მთელი მისი ჯიუტი, გოლიათი გარეგნობა უდიდეს წყენასა და უკმაყოფილებას გამოხატავდა. ძნელია დაჯერებით თქმა, რა უფრო სწყინდა კვირისას, იქნებ თავისთავზეც მოსდიოდა გული, — ასე ურჩად რომ გაჭირვეულდა და პატრონსაც კი აწყენინა. ვინ იცის... მე იმ წუთში მხოლოდ იმას მივხვდი, რომ კვირისას მართლაც ჰქონდა გული და გრძნობა. რაღაცით ძალიან ჰგავდა გაბუტულ ბავშვს და ერთსა და იმავე დროს უსუსურიც იყო და უზომოდ ძლიერიც.

სანამ მამა ტაბიკებს გადაუჭდევდა და უღელს მოარგებდა, გაგაც გამოჩნდა. უნდა გენახათ ის ცხოვრებამოთავებული ბერიკაცი! თითქოს სანახევროდ გაახალგაზრდავებულიყო, დაღმართზე პატარა ბიჭივით მოხტოდა, ბორძიკობდა, იქცეოდა, დგებოდა და ისევ მოხტოდა. თეთრი, ოდნავ გახუნებული თმაწვერით შემოსილ სახეზე უზომო სიხარული ეფინა და იმ დაშრეტილ თვალშიც თითქოს ნათელი ჩასდგომოდა.

ნახნავი ბობღაცით გამოიარა. — გაგაჯავრეს?... ჭირიმე შენი. — კვირისას ხელები თავზე შემოხვია და ლოყა ლოყაზე მიადო. — შე დალოცვილო, შე მადლიანო!... სახრე დაგკრეს განა? ჰეჰე, რა ვუყოთ, არ იციან, ბაღლები არიან და არ იციან... ახლა აი ისევ ერთად ვართ... მე და შენ... სულ ერთად ვიქნებით და შენ ვეღარავინ გაგაჯავრებს... ჰო, ჰო, აბა ერთი გავჭიმოთ, ჩვენებურად გავჭიმოთ ჭაპანი!

კვირისა იმავ წამს მოლბა, თავი დაღუნა, თვალები დახუჭა და გაგას დამნაშავესავით მორჩილად მინებდა.

გაგამ ღირღიტაზე მიგდებული სახრე

აილო. ღირღიტაზევე გადმოაბოტა და გუთნეულს კვალის თავზე მოექცა. პირჯვარი გადაიწერა, — აბა სვენება ხარისა, — მატება ძალისა! — ეს სავალდებულო რეფრენიც ზედ მიაყოლა, მოსაჩვენებლად გაუქნია სახრე წინა ხარებს და ბებრული ხალისით გასძახა:

— ჰამო, ჰე, გაიში! ზედა, ზედა!

როგორც მოხუცთა უმრავლესობა, გაგაც ფართი-ფურთა და ბუზღუნა ბერიკაცი იყო. თავმჯდომარეს ემდუროდა, მეხრეობა უსამართლოდ ჩამომართვაო.

-- ჰმ, აღარ შეგიძლიანო... — ბუზღუნებდა გაბმით, — დაისვენეო... ვითომ რა აღარ შემიძლიან, აჰა, გახედე, მიდიან, თავისით მიდიან... — კვალში ჩადგებოდა და გაჭიმულ გუთნეულს ცალი თვალით გახედავდა. მერე წინ გაუსწრებდა, გუთნეულს წინიდან გამოხედავდა, გამოსძახებდა, — ეგრე, ჩემო კარგებო, ეგრე! — მობრუნდებოდა და კვლავ თავმჯდომარეზე აბუზღუნდებოდა, — აჰა, აბა რა არის აქ არშესაძლები... ესენი ხომ საქონელი არ არიან, — ანგელოზები არიან. ნეტა ჩვენ თავმჯდომარესაც მისცა ამათოდენი ჭკუა.. აგე, მიდიან, არც აქეთ, არც იქით. პირდაპირ, სწორად. ჰამო, მოდი! — გავძახებ, მობრუნდებიან, გაიში! — წავლენ. რა ღმერთმანი, კვალს გადასცდებიან. მიდიან და მიდიან... მე რას ვაკეთებ აქ ისეთს, — არაფერს! მარტო დავდივარ და სიარული კი რა დიდი ჯაფაა? პირიქით, მუხლებში ვიშლები, სახსრებს ვამოძრავებ, ხმას ვიღებ, თვალს ვახელ და... დასვენებაც ეს არი...

ბოლოს იჯერა გული ჯავრობით, წყენა გადაიყარა. გუთნის თავს — კვირიისას და ლაღას ამოუდგა გვერდით და ღირღიტის ღრიჭინს ხრინწიანი ღიღინი დაადევნა:

— ხარმა თქვა, — ხარი ვერ მამკლავს,
თუ მეხრე შამხვდა ღვთიანი...

ღიღინმა თანდათან წაიხალისა, ყელი დაეწმინდა და თანდათან ხმამაღლა ამღერა:

ხარო, ხარი ვინ დაგარქვა,
ხარო, სახენათლიანო,
კაცთა მოდგმის მარჩენალო,
ქედმაღალო, მადლიანო.
ჰე-ჰე-ჰეე, ქედმაღალო, მადლიანო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარები მწყობრად მიაბიჯებდნენ და ასევე მწყობრად და ზომიერად ქშინავდნენ. საკვეთი სწორხაზოვნად ჭრიდა ოდნავ შებორცვებულ ნაყამირალს, სახნისი ყრუდ ხრაშუნობდა სიღრმეში, გადმოდიოდა ბელტი, იკეცებოდა შრეებად და შავი, გაფუებული მიწა ორთქლნარევ, მსუყე სურნელს აფრქვევდა. ნახნავს ათასნაირი ახლადგამოღვიძებული ხოჭო და ჭია-ღუა ამოსდევდა, მოუხერხებლად გაბობღდებოდნენ ფხვიერ მიწაზე და კუპრისფერ თვალებს გაოცებით აცეცებდნენ. ნაფუძნარს დროდადრო ქულა ღრუბლის ჩრდილი გადასერავდა, ზოგჯერ კუდიანი ქარი მოიქნევდა ბოლოს და იქვე ჩაკვდებოდა... მღეროდა გაგა, ღრიჭინებდა ღირღიტა, გაბმით სტვენდა ტოროლა, ხმიანობდა ათასი სულიერი და უსულო არსება... მზე ზომიერად ათბობდა. მწვანე, ნამშემშრალ ბორცვებს სითბოს ნელი ოხშივარი ასდიოდა, — ნედლი ფოთლის, ბალახის და ყვავილთა სუნთქვა, თითქოს სითბოც მიწიდან ამოდიოდა, მიიწევდა ცისკენ და სიცოცხლისა და განახლების ეს ერთობლივი საგალობელიც თან მიჰქონდა.

სოფელს ასეთი წესი ჰქონდა: გუთანს რომ გაიტანდა, სათიბეებს დააყენებდნენ — დაყორუღავდნენ და საქონელს ბალღებს აღარ გვანდობდნენ, ან გააჯერებდნენ ან საერთო მენახირეს აიყვანდნენ; ჩვენ საქმე აღარაფერი გვრჩებოდა და ვისაც რით გვინდოდა, იმით ვირთობდით თავს. ჩემთვის ყველაზე კარგი გასართობი ხვნა და გუთანი იყო. გაგა უღელზე შემსვამდა და ხელში სახრეს დამაჭერინებდა. სახრეს თავსზემოთ დავატრიალებდი, მივჰკიოდი ხარებს და სიტყვებში გაგას ვბაძავდი:

— ჰამო, კვირისა! აბა გაიწიე, შენი მადლიანი ქედის ჭირიმე, გაიწი!

გაგა მაქებდა, ნადმვილი მეხრე გამოხვალო. ხანდახან მამაც მომაკიდებინებდა ხელს ერქვანზე. ხოლო თუ ეს მომბეზრდებოდა, რეზინის შურდულას ამოვიღებდი, ფეხშიშველა, ბოლომოკეცილი შარვალ-პერანგის ამარა დავაბოტებდი ნახნავში და ხოჭოებზე მონადირე შოშიებსა და ურნატებს ვაფრთხობდი.

ასე იყო მზის დაწვერვამდე. მერე მამაჩემი შაბაშს იტყოდა და გუთანს კვალის დასაწყისში გააჩერებდა. გაგა აპეურებს შეუხსნიდა ხარებს, უღლებს ახდიდა და საძოვარზე გაირეკავდა. მე უწადინოდ ვბრუნდებოდი შინ და გულში ღამის ხარში წასვლას ვნატრობდი.

ეს ნატვრა ბოლოს შინაც გავამჟღავნე. მამამ არაფერი თქვა. დედამ კი გაგონებაც არ ინდომა, — რა დროს შენი ღამის ხარში სიარულია, გაცივდები. თვითონ რომ ვერაფერს გავხდი, საქმეში გაგა ჩავრიე. დედამ გაგასაც იგივე უთხრა.

— ჰეჰეე! — გაიოცა გაგამ, — გაცივდებაო?! კაცი თბილ ლოგინში ცივდება, თორემ ნაბადში რა გააციებს. მე აი ამდენი ხნის კაცი ვარ და თუ მაცოცხლებს, ისევ ნაბადი მაცოცხლებს. ლოგინში მაშინვე სურდო შემეყრება და მუხლშიაც ვიხუთები. არა, ჩემო რძალო, ბიჭს სურვილს ნუ დაუშლი.

დედამ იმავ დღეს ძველ ნაბადს ბოლო შემომიჭრა და მე ღამის მეხრე დავიქვი.

გამოუშვებდით თუ არა ხარებს, კვირისა მაშინვე მქავე წყაროსკენ გასწევდა. ეს წყარო სოფლის თავს ბუჩქნარიანი სერის დასაწყისში ამოდიოდა. ხარები წყალს დალევდნენ და უკანვე გამობრუნდებოდნენ, — თავიანთი გეზი თვითონვე იცოდნენ. კვირისა აქაც წინ გამოუძღვებოდა და სერი-სერ წამოიყვანდა. მე და გაგა უკან მოვყვებოდით და მხოლოდ იმაზე გვეჭირა თვალი, რომ სათიბებში ან საშემოდგომო სვილებში არ გადასულიყვნენ.

ვახშმობისას დამძღრებულები და დასვენებულები სერის ბოლოს, პატარა ვოაზე ჩამოქუჩდებოდნენ, ებუღრავებოდნენ და ნაჯაფ კისრებს ულოკავდნენ.

ნაქალაქევის მთიდან ბადრი მთვარე ამოიწვერებოდა. ხარები მოიწყენდნენ ბუღრაობას და ქშენით დაეყრებოდნენ. მე ნაბადს მოვიხვევდი და კვირისას იღლიაში მივუწვებოდი. მთვარე თანდათან შეიმაღლებდა, მელნისფერ ცასა და ციცქრია ვარსკვლავებს გააფერმკრთალებდა და ჩავარდნილ ჭალასა და მწვანე გორებს თხელ, მოვერცხლისფრო ბურუსში გახვევდა.

დაძინების წინ გაგა ყალიონს გააწყობდა და ნაბადმოხვეული პირჩქმე დაყუნცდებოდა. ხარები იცოხნებოდნენ და ნელა ფშვინავდნენ. გაგა ყალიონს სუტავდა, იწიტებოდა და ხარების ამბებს მიყვებოდა, — თუ როგორ იგრძნო ერთმა ხარმა წინასწარ პატრონის სიკვდილი, როგორ გამოანგრია გომური და გაიჭრა ველად. მეორემ ზვავში დამარხული პატრონი ამოთხარა რქით, მესამემ დამხრჩვალი და მიშლამული იპოვა მორევში... მეოთხემ და მეხუთემ კიდევ უფრო დიდი სასწაული ჩაიდინა. ხოლო კვირისა გრძნეულებითა და გონებით ყველა იმ ამბად მოსულ ხარს სჯობნიდა. გაგას თქმით, კვირისასთანა ხარი ჯერ არ დაბადებულიყო ამქვეყნად. ერთი ენა აკლია, თორემ კაცია რაც კაციო! — იტყოდა დამტკიცებით და ზედვე მიაყოლებდა, — კვირისა ანგელოზთან წილნაყარია. რამდენჯერ მინახავს, შუაღამისას ციდან შუქს ჩამოუშვებს და თავზე დააყენებსო, ზოგჯერ თვითონაც ჩამოვა და რქებზე სანთლებს დაუნთებსო.

არ ვიცი, რას ხედავდა გაგა, და რამდენად სწორი იყო მისი ნათქვამი. მე ამ სასწაულს არასოდეს შევსწრებივარ, — კვირისას თავზე არც ნათლის სვეტი მინახავს და არც სანთლები, ხოლო თვი-

თონ დახვეწილი, ყვითელი ფერის რქები კი ძალიან უგავდა ანთებულ კელაპტრებს.

3

ახალმა წყობამ, გლეხურად რომ ვთქვათ — კოლექტიობამ მოსვლისთანავე ბევრი ცვლილება მოიტანა. ბევრი რამ ძველი უკუაგდო და ახალი მოითხოვა.

ეს სიახლე ჩემს სოფელში გამწევი ძალის გადახალისებით დაიწყო: ხნიერ, დაუძლურებულ ხარებს სახელმწიფო ცხოველმზადებას აბარებდნენ და ნაცვლად ახალგაზრდა, ჯანიანი საქონელი გამოჰყავდათ. კვირისას ყევარში ყველაზე ხანდაზმული გუთნისთავის კვალზედა ხარი — ლაღა იყო და პირველი ჯერიც იმაზე მიდგა.

ლაღა შემოდგომაზევე ჩააბარეს. მაგიერში გაზაფხულზე ახლადგამოჭნილი, ოთხი წლის წაბლისფერი და შუბლნიშა მოზვერი მოიყვანეს და კვირისას გუთნისთავში შეუბეს.

კვირისას პირველად ძალიან ეუცხოვა თავის გვერდით უცხო ხარის დანახვა, ეუცხოვა და, ეტყობოდა, არც მოეწონა. მას ხომ, რაც ქედზე უღელი დაიდო, განუშორებლად ლაღა ედგა გვერდით. ხშირ-ხშირად შეხედავდა მოზვერს, თითქოს თვალებით კითხულობდა, — სად გაქრა ლაღა? რატომ დგას ეს ნიშა მოზვერი ჩემს გვერდითო? მაგრამ ამ მოულოდნელი ცვლილებისა ვერაფერი გაიგო. ბოლოს მოზვრისათვის თვალთვალს თავი ანება, ქედი შემართა და წინ, დასაკვლავ მამულს გახედა. რაკი გაგამ შეუბა, უცხო მოზვრის გვერდით ყოლა ალბათ თვითონაც ბუნებრივად მიიჩნია და ახლა თითქოს იმასღა ვარაუდობდა, აბა, როგორ გამიწევს უღელს და გამატანინებს კვალს ბოლომდეო.

ნიშას, როგორც ამბობდნენ, ოთხი წელი უკვე შესრულებოდა და ტანითაც დასრულებული ჩანდა. ცოტა დამსხველება აკლდა, თორემ სიმაღლეში კვირისას აღარ ჩამორჩებოდა. მსხვილი, დაკუნთული კისერი ნაბალღაჯარს ჰგავდა და თავზე მოკლე, სწორად ამოზრდილი რქები ედგა.

სიჭაბუკე ერთნაირად ლაღია. გული და სისხლი პირუტყვებსაც ისევე ერჩის და თავი სწორუპოვარი ჰგონიათ. სწორედ ასეთი იყო ნიშაც: კუნთებში ჭარბ ღონეს გრძნობდა და უღელს არაფრად აგდებდა. კისერს მალმალე შეიქნევდა და უკიდურესობამდე თავდაჯერებული თითქოს კვირისასაც აგდებულად უყურებდა. მისმა ამ თავხედობამდე მისულმა თვითრწმენამ პირველ გაწევისთანავე იჩინა თავი: კვირისას ქედის გამართვა არ აცალა, ჯიქურ დაეტაკა უღელს, გადაძალა და კვირისა უკანა ფეხებით ღირღიტაზე შეაყენა.

კვირისა სინდისიან გაწევას იყო ჩვეული. ლაღას იმის ნახევარიც არ შეეძლო და ბოლო დროს ხომ სულაც დაუძლურდა, მაგრამ კვირისა ღონეს შესაფერისად უტოლებდა და უღელს ოდნავადაც არ გადაუძალავდა. თავის დროზე, როცა იგი მოზვერი იყო, ლაღაც ასევე ექცეოდა. ამიტომაც უფრო მოულოდნელი იყო მოზვრის საქციელი და იმდენად არ გააბრაზა, რამდენადაც გააკვირვა. ნელა მოაბრუნა ბრტყელი ქედი და შავი დიდრონი თვალები თითქოს საყვედურით შეაშტერა, — რატომ თავხედობო?

ნიშას გაგა გადაუდგა წინ, თვალებწინ სახრე აუქნია და უკან დაახევინა. უღელი გასწორდა, მაგრამ ნიშამ მეორე გაწევაზეც იგივე გაიმეორა, — უღელი ისევ გადაძალა და კვირისა კვლავ ღირღიტაზე შეაგდო.

— ერთი ამ ლაწირაკს დამიხედეთ, რეებს ბედავს! — გაწყრა გაგა, წინ გავარდა და კვლავ სახრით დაუპირა დახევინება, მაგრამ მამამ არ დაანება, — გაუშვი, არ უნდა, — უთხრა გაგას ღიმილით, ერქვანი მიძრ-მოძრა და კვირისას შეუძახა:

— ჰა, კვირისა! რას შვრები, შენ?!

პატრონის შეძახილზე, კვირისამ ერთი დაიქშუტუნა, კუდი მათრახივით მოიქნია და ქედდაღუნული ქშენით მიაწვა უღელს. ნიშამ მოპირდაპირის ძალა იგრძნო და თვითონაც გამომწვევად დაიძაგრა.

და ორი ძალა, — მაცდური, ბრმა სიჭაბუკე და ღინჯი, ხილული სიდარბაისლე — მთელი თავგანწირვით შეებრძოლა და დაუპირისპირდა ერთმანეთს...

ამ ჩუმ, უხმაურო ბრძოლაში წინა ორი ხარი თითქმის არ მონაწილეობდა, ჯალამბარი მოდუნდა და გუთანი მარტო ორსლა მიჰქონდა. მაგრამ გუთნის სიმძიმეს არცერთი აღარ გრძნობდა, ორივენი წინ იყურებოდნენ და უჩინარი მიზნისაკენ თავდავიწყებით მიისწრაფოდნენ. მიისწრაფოდნენ მთელი ძალით, მთელი თავიანთი პირუტყვული, ხარული შეგნებით. ტოლს არცერთი არ უდებდა. მიიწევდნენ თვალებით, სმენით, გრძნობით და თანაბარი სიჩქარით... ირგვლივ უცნაურად დაძაბული სიჩუმე ჩამოწვა. ტყე, გორები, ბალახი და ბუჩქნარი თითქოს გაყუჩდა და მოლოდინად გადაიქცა. თითქოს ჩიტების სტვენა-ჟღურტული შეწყდა, ნიავი გაილურსა და თითქოს მზეც ერთ ადგილზე გაიყინა. მხოლოდ ღირღიტის ღრიჭინი და ორი, ერმთანეთს დატოქებული ხარის მოგუდული ქშენაღა ისმოდა.

კვირისა გამოცდილებასა და ცოდნის ინსტინქტს ეყრდნობოდა, ნიშა კი უფრო ჭაბუკურ მაცდუნებელ ჟინს მიჰყავდა წინ, და ერთხანობას თითქმის კიდევაც სჯობნიდა, — ისევ ღირღიტაზე ჰყავდა მომწყვდეული და გამართვის სახსარს არ აძლევდა. მაგრამ ყოყოჩობა ხანმოკლეა და ეს ჟინსაყოლილი თვითდაჯერება დიდხანს არც ნიშას შერჩა. ტყუილად როდი ამბობს ხალხი: ბებერი ხარისა რქანიც ეწევიანო, — უღელმა ნელნელა წამოიწია წინ, წამოიწია და გასწორდა. კვირისამ ნაბიჯს უმატა. ნიშას ნაბიჯს კი თანდათან მოდუნება და გაუბედაობა დაეტყო. მოჩვენებითი უქლეველობის ცდუნება მთლიანად გაუქრა და ქაქანი აუტყდა. ერთხანს კიდევ მისდია ინერციით, მალე ინერციაც დაკარგა და მუხლმოკვეთილი დუნედ მიესვენა ჯალამბარზე.

გაყუჩებულმა გარემომ თითქოს შვებით ამოისუნთქა. ხეები შეირხა, ფოთოლი აშრიალდა, ჩიტებმა ენა ამოიდგეს, მზემ კვლავ გზა განაგრძო ცაზე და ნიავმაც ფრთა მოიქნია.

კვირისამ გაიმარჯვა და ეს გამარჯვება კარგადაც შეიფერა: წინა ფეხები კვალის თავზე შემოდგა, თავმომწონედ აიმართა მხრებში და თეთრი, ძლიერი მკერდი მთლიანად გამოაჩინა. თითქოს უნდოდა ყველასათვის დაენახვებინა, რომ ხანდაზმულობას ძალაც შესწევს და თავისებური შნო და ლაზათიცა აქვსო.

კვირისას გამარჯვებამ ყველაზე მეტად მაინც გაგა გაახარა. ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა, ცმუკავდა, ხითხითებდა და ნიშნის მოგებით გაიძახოდა:

— აბა, რა ეგონა, კვირისასთან ჭიდილი?!.. არა, არა, ტყუილია... კვირისა სულ სხვაა, ლომია, ვეფხვია, სალი კლდეა!... კვირისა, კვირისა!...

— არც მთლად ეგრეა საქმე, — მამაც ნასიამოვნები ჩანდა კვირისას გამარჯვებით, მაგრამ, არც ახალბედა ხარის დამკვლევება უნდოდა. — ესეც კარგი ჩანს, სამამულე რქა ეტყობა... მაგრამ ჯერ პატარაა, გამოუცდელია. რა ქნას. გული ხომ ერჩის... აბა ერთი დამსხვილდეს, ჯანში ჩადგეს, კვირისას თუ ვერ აჯობებს, არც ჩამოუვარდება.

ეს თქვა მამამ, კვირისას დაუხია და კვალში ჩააყენა. ნიშა წინ წამოაყენა, ორივეს კისრები დაჰფხანა და მოეფერა, — ორივენი კარგები ხართ... აბა რატომ ექიშპებით ერთმანეთს. — დააწყნარა, დაამშვიდა. ერქვანი გაგას დააჭერინა, ნიშას თვითონ ამოუდგა გვერდით და რქა დაუჭირა, მაგრამ ნიშას ამჯერად აღარც თვითონ უცდია გადასწრება. ამ ერთმა შემთხვევამ მას თითქოს მთელი სიცოცხლის ცოდნა და გამოცდილება

შესძინა. თავისი თავიც გააცნო და სხვისა შეფასება და ძალთა შეფარდება-შეწონასწორებაც ასწავლა. გამართული უღლისათვის ერთი გოჯითაც აღარ გადაუწევია, მთლიანად კვირისას მინებდა და კვალი ბოლომდე შეწყობილად გაიტანა.

კვირისამაც, როგორც წესი, მალე დაივიწყა წყენა. მან მხოლოდ გაჯავრება იცოდა, თორემ შური და მტრობა მის გულში ადგილს ვერასოდეს იპოვიდა,— შთამომავლობით არ მოსდგამდა. მეორე თუ მესამე შემოვლაზე უკვე დანდობილად შეხედეს ერთმანეთს და მწყობრად და ხალვათად გააბიჯეს. ხოლო სასვენის შემდეგ, როცა ხარებს აპეურები შეუხსნეს და საძოვარზე მიუშვეს, ნიშამ საბოლოოდ შეინანა დანაშაული: ბალახს პირი არ დააკარა, ჯერ კვირისას ჩამოუდგა წინ და თვალებში მიაშტერდა, თითქოს პატიება სთხოვა. თითქოს კვირისამაც აპატია, — თვალებით მისცა დასტური და კისრის ალოკვის ნება დართო.

— შერიგდნენ, — გაუხარდა გაგას,— საბოლოოდ შერიგდნენ. შეხედე, უკვე ლოკავენ ერთმანეთს.

— ასეც ვიცოდი, — თქვა მამამ, — არ არსებობს პირუტყვი, რომ თავისსავე მოდგმას არ ექიშპებოდეს. ყველა ცდილობს დაჯაბნოს თანატოლი და პირველობა თვითონ დაისაკუთროს. ხარი კი — პირიქით, თვითონვე დაეძებს თანასწორს და თუ იპოვა, საიმედოდაც ამოიყენებს მხარში, — ჯანს შეუწონის, ქედს გაუსწორებს, გაიტანს და თავისთავსაც გაატანინებს... კარგი უღელია და, მე მგონი, კარგადაც შეეწყობიან ერთმანეთს.

და მართლაც, იმ დღიდან კვირისა და ნიშა ცალცალკე აღარავის უნახავს, ცალცალკე აღარავის უხსენებია. კვირისა და ნიშა! ნიშა და კვირისა! ერთი წაბლისფერი, მეორე თეთრ-ყვითლით ჭრელი, თითქოს ერთმანეთს შეეზარდნენ და ერთარსებად იქცნენ. ხუთი წლის მანძილზე აღარ დაშორებიან ერთმანეთს, განუყრელად სწიეს ჭაპანი და ღვარეს ოფლი.

ხუთი წელიწადი ხარისათვის ცოტა დრო როდია. მთელი სიცოცხლე თუ არა, სიცოცხლის ძირითადი მონაკვეთი მაინც არის. ამ ხნის მანძილზე ბევრი ტაბიკ-აპეური შემოაწყდა ნიშასა და კვირისას ყელ-კისერს, ბევრი უღელი გაილია და გადააცვდა ღონიერ ქედებზე. ვინ იცის, ბევრჯერ სციოდათ კიდეც, ბევრჯერ შიოდათ და სწყუროდათ, მაგრამ საყვედური და წყენა ერთხელაც არ დაუმჩნევიათ. შრომობდნენ უტყვად, უთქმელად, უხმაუროდ და უსახელოდ. შრომობდნენ თავაუღებლად, ჯანდაუზოგავად, ათენებდნენ და აღამებდნენ და პირშეურცხვენლად იხდიდნენ თავიანთი წინაპრის სამახსოვრო, საშვილიშვილო ვალს: ადამიანის შენახვა მე დამაწერეთ რქაზედა!

მარტო ერთი იმათი ქედით გადაბრუნებული მიწა ღირს სათქმელად. მათ წილად ყოველ წელიწადს, სულ ცოტა, ასიათასი კვადრატული ადლი მაინც მოდიოდა. კვირისამ და ნიშამ ხუთჯერ გატკეპნეს ეს უშველებელი ფართობი, ხუთჯერ უქციეს გვერდი და გადააბრუნეს სიგრძე-სიგანეზე, აღრიჭინეს ღირღიტა და მძიმე ტვირთქვეშ უგრძესი მანძილი გაიარეს. თუ ყოველ გავლებულ კვალს საშუალოდ ოც სანტიმეტრს ვიანგარიშებთ, მაშინ მარტო ხვნის წილად მათი გავლილი მანძილი ხუთ წელიწადში ორას ორმოცდაათიათას კილომეტრს უდრის. ეს კი სახუმარო მანძილი როდია, მითუფრო, როცა კისერზე შვიდფუთიანი უღელი გადევს.

ამის საფასურად ბრიგადა ქებას იმსახურებდა. ხვნის დამთავრების შემდეგ სოფელი ერთად შეიკრიბებოდა; იყო ერთი ყაყანი, ჟრიამული, მოწინავე მეხრეებისა და გუთნისდედების დასახელება, მილოცვები, ჯილდოები, პრემიები... და კვირისას და ნიშას ერთხელაც არავინ ახსენებდა.

ნაგუთნარი ხარები კისრის გამართვასა და დაღლილი სახსრების გაშლას

ვერ მოასწრებდნენ, რომ სოფელში ახალი საქმე გაჩნდებოდა, — ჭირნახულის მოზიდვა — დაბინავება იწყებოდა. კვირისა და ნიშა ისევ მორჩილად წაუგდებდნენ კისრებს უღელს და მთელს სამ თვეს გაუჩერებლად დაათრევდნენ მარხილს აღმა-დაღმა. კოლექტიობამ — სოფლის ახლებურმა ყოფამ — ახალი, ჯერ არნახული ენთუზიაზმი გააჩინა. შრომა გაახალისა და დაუმუშავებელი, მოუხმარი და გამოუყენებელი ერთი გოჯი მიწა აღარსად დატოვა. ხალხმა მიწა დაისაკუთრა და დაქიმითებულივით ეცა: სადაც წინათ ცელის მიტანა არ ეგონა, გუთანი მიიტანა. სად კარტოფილი და ბოსტნეული ეთესა, სად — ყანა და სიმინდი. აქ თივა იყო დაბულულებული, იქ — ძნა იდგა სერკვებად, — ერთი — ალთას, მეორე — ბალთას! არც გზა, არც სავალი!... და მთელს ამ სიძნელეს ხარის ქედზე უნდა გადაევლო: მუხლის ჩოქითა და ძალთა უკიდურესი დაძაბვით უნდა აეტანათ დადებული მარხილი აღმართზე. უნდა შეეკავებინათ თავთავქვე დაქანებული. ზოგჯერ წინა დღის ოფლი რიგიანად არ ჰქონდა შემშრალი, — სველი ბეწვი ისევ ტალღა-ტალღა ეყარა ტანზე, რომ დილადამიანად კვლავ უღლისთვის უნდა მიეცათ ქედი.

უწალმართო, ღედე-ღუდე გზას მარხილი დიდხანს ვერ უძლებდა. წარა-მარა ტყდებოდა ხელნები და ჭალ-სწრაფილები, უფრო ადვილად იმტვრეოდა უღლები და ტაბიკ-აპეური, და ახლებით იცვლებოდა... ხარებს ბევრჯერ კისრები ჰქონდათ ნატკენი, ბევრჯერ სახსრები და იოგები. ერთავად გადაღლეტილი ჰქონდათ კოჭები და მუხლის თავები, მაგრამ კოლმეურნეობას მათი შეცვლა არაფრით შეეძლო. კოლმეურნეობას თვითონაც ბევრი რამ უჭირდა, ჯერ მხოლოდ ჩანასახში იყო, ახლად იდგამდა ფეხს და ამ ახალ გზაზე ათასნაირი მოულოდნელი დაბრკოლება ხვდებოდა. თვითონ გზაც არ ჩანდა რიგიანად თვალით და არც იმისი დასასრული ვინმემ იცოდა. ეს არცოდნა ხშირად გულგატეხილობას და ურწმუნოებას აჩენდა და წინწაგდებულ საქმეს შუა გზაშივე აჩერებდა. ასეთ ყოფაში კოლექტივს, რა თქმა უნდა, საფიქრად და სალოდინოდ არ ეცალა, და არც სხვა სახსარი ჰქონდა ხელთ. მანქანა-იარაღები მაშინ არ იყო და ისევ ხარის კისრით უნდა გაეტანა თავი, ხარის კისრით უნდა გაეტეხა ყველა ძალა, გადაელახა ყველა ზღუდე, ეღიარებინა საკუთარი არსებობა და სოფელიც დაემკვიდრებინა. და მე ვიტყოდი: ქართული სოფლის გარდაქმნა-განახლებაში უფროს ერთი წილი სწორედ ხარს უდევს. იმ ძნელბედობის ჟამს დედაბოძივით შეუდგა სოფელს და უქონლობა-გაჭირვების მთელი სიმძიმე საკუთარ ქედზე გადაიცურა.

ჭირნახულის მოტანა-მოგულებას ისევ ხალხის შეკრება მოჰყვებოდა. ისევ ატყდებოდა ყიჟინი, ისევ მილოცვები, ქება-დიდება და ჯილდოები. ნიშასი და კვირისას ბრიგადა თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ბრიგადა პრემიას იღებდა, მეხრეებს ასაჩუქრებდნენ... ნიშას და კვირისას კი ხსენებითაც არავინ ახსენებდა.

— აბა, ჰო, ცოტაც! ცოტაც და დაისვენებთ! — ამხნევებდნენ მეხრეები ხარებს, მაგრამ დასვენება არსად ჩანდა. ორმოცი არშინი შეშა მარტო ახლადგახსნილ სკოლას უნდოდა. თითქმის ამდენსავე წვავდა სოფსაბჭო, ქოხსამკითხველო და საექიმო პუნქტი. დეკემბრის ბოლოს მთელი წლის ნაშრომ-ნაღვაწი ჯამდებოდა და სოფსაბჭოს გაერთიანებულ სესიაზე განიხილებოდა. აქ, როგორც წესი, რაიონის ხელმძღვანელობიდანაც უნდა დასწრებოდა ვინმე. გაზეთის კორესპონდენტი ხომ იქნებოდა და იქნებოდა. იწერებოდა გრძელი ოქმი-სია: ამა და ამ ბრიგადამ... ხირჩილაძ. გაგამ, მინდიამ... ამდენი და ამდენით შეასრულა წლიური გეგმა და... ისევ პრემიები, საჩუქრები, ჯილდოები. გამარჯვებულთა გვარები და ფოტოსურა-

თები რაიონული გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა, მაგრამ კვირისას და ნიშას არც ამჯერად გაიხსენებდნენ.

მხოლოდ თოვლის ჩამოყრის შემდეგ უბრუნდებოდნენ ხარები თბილ ბაგას, იცოხნებოდნენ და ნაჯაფ კუნთ-სახსრებს ასვენებდნენ. ნიშას და კვირისას კი ხშირად ზამთარშიაც არ ჰქონდათ მოსვენება. ყველაზე ჯანიანი ხარები იყვნენ და ყველა თავ საქმეს მათს კისერზე უნდა გადაევლო. ჯერ იყო და რაიონმა სოფელს ხორბლის სანიავებელი მანქანები გამოუყო. მეორე წელიწადს სალეწი მანქანებიც გაჩნდა, სალეწ მანქანებს მოტორებიც დასჭირდა. ამას გარდა, რიგითი საქმეც ბევრი იყო. სოფლის კოოპერატივის საქონლითა და ნავთ-მარილით მომარაგება, სკოლისა თუ საექიმო პუნქტისათვის წამლებისა და საჭირო ინვენტარის ამოტანა რაიონიდან, და ვინ მოსთვლის, კიდევ რა აღარ... ყველაფერი ახალი იყო, ყველაფერი ახლად ახელდა თვალს. ბევრი რამ თითქმის არაფრისაგან ქმნიდა თავის თავს და ყოველ წუთს, ყოველ ნაბიჯს შველას და შემწეობას საჭიროებდა. ხალხსაც რა ექნა, მიიხედ-მოიხედავდა და სხვა რომ აღარაფერი შერჩებოდა ხელთ, ისევ ხარებს გაირეკავდა.

დრო კი მიდიოდა, მიდიოდა ჩვეული სისწრაფითა და შეუფერხებელი მდინარებით. თენდებოდა და ღამდებოდა, იკეცებოდა უგრძესი მანძილი, ტყდებოდა მუხლი, წვეთავდა ოფლი და წვეთწვეთობით ჯანიც ილეოდა.

ხუთმა წელმა ნიავივით გაიქროლა. კვირისა დაბერდა, დამძიმდა, მოიღალა. იოგის თავები და კობოხინის ძვლები გაუდიდდა, თვალებში სიამაყის კაშკაშა ნაპერწკალი ჩაუქრა და გაუუფერულდა. უღლის ხალისი დაკარგა, — ძველებური სიმკვირცხლე და თავმოწონება აღარ ემჩნეოდა. ნაბიჯს უკვე გამოზომილად და დუნედ ადგამდა, ტანი ზლაზვნით დაჰქონდა და მიხვრა-მოხვრასა და დაწოლ-ადგომას ყრუ ხვნეშას ატანდა. ხალხი ამას ხედავდა, მაგრამ თითქოს ვერ ამჩნევდა, — ხმას არავინ იღებდა. ვინ იცის, იქნებ არც არსებობს ხარის სიბერე? სანამ ფეხზე დგას და უღელს ზიდვა შეუძლია, — იგი ხარია, ხოლო როცა ამას ვეღარ შესძლებს, იმ წუთიდანვე საკლავი გახდება და საჭმელ ლეშად გადაიქცევა: — დანა ყელში და მაგის ჯანი! — ასე სჯის ხალხი.

მაგრამ, საბედნიეროდ, კვირისა ჯერ ისევ საკუთარ ფეხზე იდგა, ძველებურად სწევდა ჭაპანს და თავისი წილი სვეც ბოლომდე გაჰქონდა. იგი მიწის მუშაკთა ჯილაგისა იყო, ოდითგანვე მყარად ედგა ფეხი ზედ და მის არსებაშიც თითქოს იგივე ძალა, — მიწის სული და ამტანობა ბუდობდა. გარდა ამისა, საიმედო მეუღლე ედგა გვერდით. ჩვენი ენით რომ ვთქვათ, კვირისამ ნიშას ცხოვრებაში კარგი აღმზრდელისა და ოსტატის როლი ითამაშა. მთელი თავისი ცოდნა, ზნე და გამოცდილება თავის დროზე უკლებლივ გადასცა. ახლა ნიშას ჯერი დადგა და ამ ვალს ისიც ათმაგად უზღავდა: უღელს შეწყობით უწევდა და ტვირთის მთელი სიმძიმე საკუთარ ქედზე გადაჰქონდა. ასეთი ქცევით — წლების მანძილზე დამკვიდრებული შთამომავლობითი ინსტინქტით — იგი დროჟამისაგან წართმეულ ღონეს უვსებდა და სიბერეს აღარ აგრძნობინებდა. და, ალბათ კიდევ დიდხანსაც გაგრძელდებოდა ასე, რომ ერთ ბრმა, უბედურ შემთხვევას ისინი სამუდამოდ არ დაეშორებინა ერთმანეთისათვის.

4

სოფელი ჭირნახულის დაბინავებას რომ მორჩებოდა, მენახირეს დაითხოვდა ან ჯერს მოშლიდა და მწყემსობას ისევ ჩვენ, პატარა ბიჭებს გადმოგვაბარებდა.

თოვლის მოსვლამდე ხარებსაც ისევ ნახირში დავურევდით. ამ დროისათვის ველში მოსაძოვი უკვე აღარაფერი იყო და ნახირი უფრო ტყეში დაგვიდიოდა. ბალახს იქ კიდევ ჰქონდა სიმწვანე შერ-

ჩენილი და ველური ხილი — პანტა-მაჟალო და მაყვლის ნედლი ყლორტებიც ბლომად იშოვებოდა...

მუქი, უფერული დღე იყო. ძლიერი ქარი ქროდა, თრიალეთიდან ყომრალ ღრუბლებს მოერეკებოდა და ხეთა გაშიშვლებულ წვეროებზე ძენძავდა. დაგლეჯილ ღრუბლებს შორის დროდადრო ცრიატი ცაც გამონჩდებოდა და ტყეში მზის შუქი ჩამოიღვრებოდა.

შუადღისას ღრუბლის დენა გახშირდა და ქარმაც იმატა, — ღელგმად გადაიქცა და ხეთა ხმელ ტოტებს ლაწალუწი აუყენა. საქონელი დაბლობში ჩაიკრიფა და ჩვენ კოცონი გავაჩაღეთ.

კვირისა, მიუხედავად სიბერისა, ჯერ ისევ თავობდა ნახირში. თუ თვითონ არ ეწადა, არცერთ ხარს წინ არ გადაიტარებდა. ძველებურად დარაჯად ედგა ნახირს და მოსალოდნელ ხიფათსაც — ნადირის მოახლოებას პირველი თვითონვე აუღებდა ალღოს, აბუბუნდებოდა და სხვა ხარებსაც აიყოლიებდა.

იმ დღეს მაინც უცნაურად გუნებანაცვალი ჩანდა. დილიდანვე გაურკვეველი უხასიათობა დაჰყვა. აშკარად ჩანდა, რაღაც აწუხებდა. „იქნებ ავად არის?“ — მაგრამ ავადმყოფობისა არაფერი ეტყობოდა, — არ კვნესოდა და არ წვებოდა: უფრო გაჯავრებულს ჰგავდა. ხარებს სიახლოვეს არ იკარებდა და არც საძოვარს უდებდა გულს. უხალისოდ, გულდამწუხრებულივით მოჰყვებოდა ნახირს უკან. მალმალე შედგებოდა და ერთ მხარეს დამზერილი ხანგრძლივად გაყუჩდებოდა.

ტყეში შესვლისას თითქოს დამშვიდდა და საძოვარსაც გული დაუდო, მაგრამ ქარის გაძლიერებისთანავე ისევ აფორიაქდა. ახლა უკვე უცხო თვალიც შეატყობდა უხასიათობას: უცბად თითქოს ელდა ეცა, დაიქშინა და მოზვრებიდა ხარები რქით მიფანტ-მოფანტა, დამფრთხალივით მიიხედ-მოიხედა, აბუბუნდა და დაბრეშილი ზევით შემოემართა.

„—ნამდვილად რაღაც ამბავია!“ — კოცონი მივატოვეთ და სერებზე გავედ-გამოვედით. უკვე იმოდენები ვიყავით, რომ ნადირისა აღარ გვეშინოდა და ზოგს ხელში ცალლულიანი თოფიც გვეჭირა. თუმცა კარგად ვხედავდით, რომ კვირისას მოუსვენრობის მიზეზი ნადირი არ უნდა ყოფილიყო. ამას გვამცნობდა საქონლის სიმშვიდე, — გულმიდებით ძოვდა და კვირისას ბუბუნს ჩვეულებრივ არ ეხმიანებოდა. მაინც არ ვენდეთ, სიფრთხილისათვის კივილი ავტეხეთ და თოფები დავცალეთ, მაგრამ კვირისა ჩვეულებრივ ველარ დავამშვიდეთ. იგი კვლავ მუხლმაგრად მოაბიჯებდა, მაყვლის ბარდში არეულ შამბნარს ფეხით მოთელავდა და ისევ გაბმით ბუბუნებდა.

ასე გამოიარა ვაკე ტაფობი, პირდაპირ შამბში თავწარგულ ნიშას მიადგა ბებერი პანტის ქვეშ, და, ჩვენდა გასაოცრად, რქები ფერდში აჯახა.

ნიშა წელში გაიზნიქა, ტკივილისაგან კვნესა აღმოხდა და კვირისას თითქოს გულნაკლულად შემოხედა. კვირისამ კიდევ მოუნაცვლა რქა, და უფრო ღონივრადაც. ნიშამ ზურგი შეაქცია, გაერიდა და ზევით პაწია ქვიშიან ბორცვზე შედგა. კვირისა აქეთ წამოვიდა, ხევის პირას კიდურზე გადადგა და ბუბუნი და ბუღრაობა დაიწყო.

ვერაფრით ვერ მივმხვდარიყავით კვირისას საქციელს და თანდათან შიში გვიპყრობდა. ჩანდა, არც ნიშა მოელოდა კვირისასაგან ასეთ რამეს, გაბუტულივით იდგა ბორცვზე და კისერმოღრეცილი თითქოს კვლავ საყვედურით გამოჰყურებდა. ქარი კი ქროდა, ზუზუნებდა, ახლიდა ხეებს ერთმანეთს, იტაცებდა გამხმარ ფოთოლს და დაბლობებში გადაჰქონდა.

ნიშა ერთხანს უძრავად იდგა და კვირისას თვალს არ აცილებდა, მერე ნელა შემობრუნდა, რყევით ჩამოაბიჯა დაღმართზე და ისევ პანტის ქვეშ ჩამოვიდა, ეტყობოდა იქ ძირსდაცვენილი პანტა დაიგულა და არ ეთმობოდა. და ის

იყო, წარგო კი თავი შამბში და ხემაც იჭექა, — ქარმა პანტის დაფოშოტებული ტანი შუაზე გადაამტვრია და მონატეხი ნიშას ზედ მხარმალალზე ჩაალეწა. ნიშამ განწირულად დაიღრიალა და შამბში ჩაიკარგა.

თმა ყველას ყალყზე დაგვიდგა. წამით თითქოს სმენა დაგვეხშო და მხედველობაც დაგვებინდა. ისევ პირუტყვმა დაგვასწრო გონს მოსვლა, ერთხმად იხუვლა, გადატეხილ ხეს ირგვლივ შემოერტყა და აბღავლდა.

კვირისას გავხედე. იგი არ ბღაოდა, გახევებულივით იდგა ადგილზე, თითქოს აღარც სუნთქავდა და კისერწაწვდილი, თვალებდაჭყეტილი და ნესტოებდაბერილი შამბში ჩალეწილი ხის აქანავებულ ტოტებს აშტერდებოდა.

რის ვაივაგლახით შევაღწიეთ გროვად შეკრულ საქონელში. თვალწინ საზარელი სურათი წარმოგვიდგა: ნიშა ოთხივე ფეხით გართხმულიყო მიწაზე, ეს გოლიათი ხარი თითქოს გაბრტყელებულიყო ხის ქვეშ, თავი წინ წაეგდო და ნელა გმინავდა. მაგრამ უფრო შესაზარი იყო საქონლის ერთობლივი, გაბმული ბღავილი, — ეს უტყვი, უცრემლო გლოვა, რომელიც ყველა მეტყველ და ცრემლიან მოთქმა-ტირილს სჭარბობდა, — უფრო ძლიერიც იყო და გულსაკლავიც. მასში თითქოს მუდარაც ერია, მაგრამ ჩვენ შველა არც ამჯერად შეგვეძლო. ახლაც ისეთივე უმწეონი ვიყავით და ისევ სუნთქვაშეკრულები და თვალ-წარბატკრეცილები დავყურებდით ნიშას ტანჯვას.

როგორც იქნა მივხვდით, რაც უნდა გაგვეკეთებინა. გაჭირვებით გამოვძვერით გარსშემორტყმული ნახირის მჭიდრო რკალში ხევი გადავჭერით, აღმართი ავირბინეთ და „შავტყის გორიდან“ მომხდარი ამბავი სოფელს გავძახეთ.

სოფლიდან დიდხანს არ გვალოდინეს. მალე ბრიგადირი და ორი ახალგაზრდა ჩოვარდნენ ცხენებით. უკან კიდევ შვიდი-რვა კაცი მოჰყვა და ცულები და ბირდაბირი მოიტანეს. საქონელი ისევ გარს ეხვია ნიშას, მაგრამ აღარ ბღაოდა, — ნელა ზმუოდა. კაცებმა საჩქაროდ გადამორეს ხე, ტოტები გაჭრეს და კეტებით გადაარიდეს. ნიშამ ღრმად ამოიქშინა და წამოწევა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო. ტყავქვეშ დამტვრეულმა იოგებმა გაიშხრიალა. ნიშამ ნიკაპი ისევ მიწაზე წადო, უძრავი, თითქმის უკვე სხივჩამქრალი თვალები ხალხს გაუშტერა და ყრუდ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წაიგმინა.

— ნუღარ ვაწვალებთ... — თქვა გაჭირვებით ბრიგადირმა, პირუკუ შებრუნდა და, — საქონელი გაარიდეთო, — გვითხრა.

მე კვირისასკენ წავედი, რომ ისიც ნახირთან ერთად ჩამერეკა ტაფობში. იგი კვლავ უძრავად იდგა, თითქოს შეზრდოდა ხევის კიდურს და ისევ თვალებდაჭყეტილი აშტერდებოდა შამბნარში აბოყირებულ საქონელს.

ჩემმა დანახვამ გამოაფხიზლა, მაგრამ სიახლოვეს არ გამიკარა. შორიდანვე დაიქშინა და რქა მომიღერა, თითქოს გამაფრთხილა არ მომეკაროო, და სწრაფად შებრუნდა. ხევზე გრძლად გადააბოტა და ნელი, დამძიმებული ნაბიჯით შეუყვა აღმართს. რაკი თვითონ გამერიდა, აღარც მე გამოვეკიდე.

ცხრა-ათი კაცისათვის ერთი ხარის გატყავება დიდი საქმე არ იყო. ბრიგადირმა, თვითონ რომ მოჰყვნენ, ის ბიჭები გაგზავნა სოფელში ცხენებით და ხორცისათვის ტომრები და ხურჯინები მოატანინა.

პირუტყვს გლოვას არავინ დაუწყებს. ერთი საათის შემდეგ აღარცერთს აღარ ახსოვდა ნიშა. საქმემ უმალ დაავიწყა ხალხს ხარის სიკვდილი. სიმართლე რომ ვთქვათ, ნიშა აღარც იყო ხარი, — უკვე საჭმელ ლეშად იქცა, რითაც ზედმიწევნით ამართლებდა თავის სიკვდილს და ანაზღაურებდა დანაკლისს. და ისინიც მხოლოდ ამაზედა ზრუნავდნენ; საქმიანად უსინჯავდნენ სიმსუქნესა და ლეშიანობას, ცულით უპობდნენ ისედაც

ლალეწილ სახსრებს და ასო-ასო ახარისხებდნენ.

კუჭ-ნაწლავი და შიგანურიც იქვე დარეცხეს, ხევზე. ასო-ასოდ აქნილი ნიშა ხარი ტყავიან-თავ-ფეხიანად ჭურჯინებსა და ტომრებში გადაანაწილეს და ცხენებს აჰკიდეს, თვითონაც ზედ შესხდნენ და წავიდნენ. ტყეში მხოლოდ გათქერილი შამბი და შედედებული სისხლის პაწია, მოშავფერო გუბურაღა დარჩა, — ნიშას ღვაწლისა და არსებობის უკანასკნელი სახსოვარი...

ქარი აღარ ქროდა. თითქოს ვალი მოიხადა და დაისვენა, ან თვითონვე ნანობდა თავის ჩანადინარს და დამწუხრებული და დარცხვენილი ხის წვერებში ოდნავღა ირხეოდა. მოსარკულ ცაზე ლეგა ღრუბლის თავმინებებული ნაფლეთები მოცურავდა და ყორნები ბოინობდნენ ყრანტალით... მალე მზე გორისპირს მისჯარდა და საქონლის შინ წასხმის დროც მოვიდა.

5

კვირისა შინ დამხვდა. როგორც დედამ მითხრა, იგი თვითონ შესულიყო ბაკში, უთქმელად და თავის ადგილზე დაწოლილიყო. უზომოდ დაღლილს ჰგავდაო, მითხრა დედამ. მაგრამ მე უფრო დამწუხრებულს მივამგვანე. არც ჩემთვის და არც საქონლისათვის ზედ არ შემოუხედია. იწვა როგორღაც გამტკნარებულივით და უხალისოთ იცოხნებოდა.

— კვირისა! — დავუძახე შორიდან.

ნელა მოაბრუნა თავი და შემომხედა. შავი, წყლიანი თვალები, თითქოს სევდით დანისლოდა. მალევე ამარიდა თვალი, მზერა სივრცეს გაუშტერა და ისევ საცოხნარი ამოიღდო.

კვირისამ მოსალოდნელი ხიფათი რომ წინასწარვე ამოიცნო, ამაში საკვირველი არაფერია. პირუტყვთა ეს საყოველთაო გრძნეული ალღო ოდითგანვე ცნობილია. მაგრამ სრულიად გაუგებარია, რატომ წამოვიდა ტყიდან მარტოკა, რას გამოერიდა? აქაც იგივე გაუთვითცნობიერებელი ინსტინქტი საქმობდა, თუ სხვა რაღაც, უფრო ცნობიერი, მაგრამ ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი და უჩინარი ძალა მოქმედებდა? იქნებ მიხვდა თავის დაცალებას, იქნებ თანდაყოლილმა ალღომ ცნობიერადაც აგრძნობინა ერთადერთი ყველაზე ახლობელი, მისანდობელი და ყოფისა და სიცოცხლის თანაზიარი სულიერის დაკარგვა და, რაკი დიდი მწუხარება მოწმეს ვერ იხდენს, ადგა და გამოერიდა? ვინ იცის, იქნებ პირუტყვის უტყვ გულსაც ისეთივე ლხენა და წუხილი ათრთოლებს და ჩვენ კი არ ვიცით...

ჯერ ჯოხი არ დამედო, რომ ოროპეში გაგა გამოჩნდა. დავენახე და პერანგის ამარა გამოქცეულიყო. ამ მარტოხელა, უშვილძირო ბერიკაცს პირუტყვის თავისებური სიყვარული ჰქონდა, ხოლო კვირისა და ნიშა პირუტყვზეც უფრო დიდი რაღაც იყვნენ მისთვის. ისევ აჩქარებული მობარბაცებდა, მაგრამ ხალისით კი აღარ, — მუხლები უკანკალებდა, დამჭკნარ ღაწვებზე ცრემლის ნაკვალევი ემჩნეოდა და ხმა ახლაც ისევ სატირლად უთრთოდა. ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე.

— მაშ გმინავდა, განა?... ძალიან გმინავდა?

— ძალიან...

გაგამ გაბურძგნული თავი ჩაჰკიდა.

— ეხ, წავიდა ნიშა და კვირისაც... დარჩა ცალად, მარტოდმარტო.

— რათა ცალად, სათადარიგო ხარები ხომ არიან?

— არიან მაგრამ... სხვაგან არიან. — გაგას თავი არ აუწევია. — ნიშას ადგილზე კი... კვირისას გვერდით მხოლოდ ნიშას ადგილი იყო.

მინდოდა, როგორმე დამემშვიდებინა

და კოლმეურნეობის ახლად გამოქნილი მოზვრები მოვაგონე.

— მოზვრები?! — გაგამ ახლაღა ასწია თავი და ცალი თვალით მწყრალად შემომხედა.—რომელი მოზვერი დაუდგება კვირისას გვერდით?... არა! — ხელი ჩაიქნია, შებრუნდა და ჭიშკრისაკენ ბუტბუტით გაბიჯა, — დარჩა კვირისა ცალად... დარჩა...

კვირისას მართლაც მეორე დღიდანვე დაეტყო სიმარტოვე. ყველაფრისადმი როგორღაც გულგრილი გახდა. იდგა თუ დადიოდა, უხალისობა აშკარად ემჩნეოდა. თავს აღარაფრით იჩენდა და აღარც უპირატესობას რითიმე ამჟღავნებდა. თითქოს სიცოცხლეზე ხელი ჩაიქნია და განდეგილ მწირს დაემსგავსა—ეულსა და უთვისტომოს.

აღარც საძოვარს უდებდა ძველებურად გულს, — ჩვეული სიხარბით აღარ ეტანებოდა. დილიდან საღამომდე კალოსტოლა ადგილს იმყოფინებდა. თუ ჩვენ არ შევეხმიანებოდით, საათობით იდგა ერთ ადგილზე ყურებჩამოყრილი და მიწას აშტერდებოდა. ბევრად არც ჩვენს შეძახილს იმჩნევდა, ოდნავ თუ შეარხევდა კუდს, დუნედ გაბიჯებდა და ბალახსაც ასევე დუნედ და უსიცოცხლოდ მოწიწკნიდა. მერე ისევ ჩამოყრიდა ყურებს, თავს დაჰკიდებდა და გაყუჩდებოდა.

ასე გაატარა კვირისამ მთელი შემოდგომა და ზამთარი, — ეულად და განდეგილად, მაგრამ სიმარტოვე და დაცილება ყველაზე მეტად მაინც გაზაფხულზე, ხვნის დაწყებისას გახდა საცნაური. თვითონ დასაწყისიც არაფრით არ ჰგავდა ჩვეულებრივ „სახნავად გასვლას“. სოფელი არსად ჩანდა, ხალხის ყიჟინა არ ისმოდა და დღეც თითქოს განგებ უღიმღამო დაუყვა, — ბურუსიანი, ქსინი და მტირალი. ნოტიო, უფერული ნისლი — ზამთრის კუდი — ზღარბივით დაბობღავდა აღმა-დაღმა და ყველგან — გამოჩირთულ ხეებსა და ბალახზე ტლანქ, თვალისათვის უსიამო სისველეს ტოვებდა...

მამამ გუთანი გააწყო და გაგამაც მორეკა ხარები. გაგას ახლად დანიშნული ახალგაზრდა ბრიგადირიც მოჰყვა.

წინა ხარებმა თავიანთი ადგილები დაიჭირეს და საყევრის თავში უთქმელად ჩამოდგნენ. კვირისა განზე დარჩა. თავის სიცოცხლეში პირველად დაარღვია თავისივე დადგენილი წესი, — უღელთან პირველი თვითონ არ მივიდა. შორიახლო ჩამოდგა და ისე გულგრილად შეხედა გაწყობილ გუთანსა და ჯალამბარს, თითქოს პირველად ხედავს და ეუცხოვებაო. ნიშას შემცვლელი ხარმოზვერი — პირველაც განზე იდგა. იგი ახლადშექმნილი საკოლმეურნეო ფერმის პირმშო იყო და ეს უცნაური სახელიც ამიტომ ერქვა. ჩალისფერი ხარი იყო, უნიშნო, ძვალმსხვილი, ქედმოკლე, ფეხკოტიტა და მერეშა. მან ჯერ არ იცოდა თავისი ადგილი, ხარებთანაც უცხოობდა და წარბებქვეშიდან დამფრთხალივით გამოიყურებოდა.

გაგამ ყურში მოჰკიდა ხელი და გუთნის თავში, ნიშას ადგილზე დააყენა. აპეური გამოუსკვნა, ჯალამბარს გადმოაბიჯა და უღლის მეორე მხარი ასწია.

— მოდი, კვირისა!

კვირისას თითქოს ესეც პირველად ესმოდა, ადგილიდან არ დაიძრა, მხოლოდ თავი მოაბრუნა და თითქოს გაკვირვებით შეხედა გაგას.

— მოდი, კვირისა ჭირიმე! მოდი! — გაუმეორა გაგამ მოფერებით. კვირისა უწადინოდ მიდგა უღელთან. გაგამ წინა ხარებსაც შეუკრა აპეურები და სახრე უხმოდ გაუქნია.

ხარებმა წუთით თითქოს მწყობრად გაბიჯეს. დაპირული სახნისსაკვეთი თითქოს შეცურდა გაფუებულ ნაზამთრ მიწაში, რბილად ჩაეშვა და ღირღიტაც ხმაშეწყობილად აღრიჭინდა. მაგრამ პირველას მათს მწყობრში სიარული არ შეეძლო. იგი ახალგაზრდა იყო და ღონე ერჩოდა. გარდა ამისა, — და მთავარიც სწორედ ეს არის — ხამი ხარის გვერდით ება, თვითონაც ხამი იყო და კვირისა მეუღლედ კი არა, მეტოქედ მიაჩ-

ნდა. აქ კი, როგორც წესი, თავი უნდა ეცადა, — ან უნდა შესწონებოდა მეტოქეს და საბოლოო უღლის მოზიარედ შერჩენოდა, ან ეჯობინა, ან თვითონვე დამარცხებულიყო. ამის გაგებამდე უღელს თანაბრად ვერ გაუწევდა და ვერც გვერდით დაუდგებოდა.

გაგამ ჩვეულებრივ სახრით სცადა დახვევინება, მაგრამ ვერაფერს გახდა, პირველმა მხოლოდ თავი მოარიდა სახეს და ნაბიჯი კი ერთი წამითაც არ შეუნელებია. პირიქით, უფრო გაჯიუტდა, თანდათან ღონივრად გაიწია და კვირისა თითქმის ორად მოხარა.

კვირისა წინანდელივით გულგრილად აღარ შეხვედრია ჯობნას, როგორც მაშინ, ნიშასთან. თითქოს წინასწარვე იგრძნო მარცხი და თვითონაც იმავ წამს მიაწვა უღელს; გულდაგულაც მიაწვა, მაგრამ წინ ერთი გოჯითაც ვერ წააწევინა. მაშინ უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, კუდი ისე შეათამაშა, როგორც ჯანსრულობისას იცოდა და მრავალჯერ ნაცად, წინაპართა სამემკვიდრეო ხერხს მიმართა: წინა მუხლებზე დაიჩოქა, უღელს მოღვინით წაუგდო ქედი და დაჩოქილმა მუხლისკვრით გააბიჯა.

უღლის მხარმა თანდათან წაიწია და გასწორდა, მაგრამ პირველა არც ამჯერად შეფერხებულა, თავდახრილი და კუნძივით მკვრივი იგი იმავე ზომით მიაბიჯებდა და უღლის გადახრას ოდნავადაც არ იმჩნევდა.

რაკი უღელი გასწორდა, კვირისაც წამოდგა, და ერთხანობას პირველას თითქოს ღონეც შეუწონა, ისევ ძველებურად გააბიჯა, — ხალვათად და მკვიდრად, მაგრამ ბოლომდე ველარ გასძლო, ღონე არ ეყო, თუ რწმენამ უმტყუნა, არ ვიცი, როგორღაც უცბად შედგა, მოწყვეტით, შუბლი მიწას დააბჯინა და ყრუდ და გაგრძელებულად წაიზმუვლა.

კვირისას ცოტა ხანს რომ კიდევ გაეძლო, ეჭვი არ არის პირველი დასთმობდა და იქნება იმ წელს მაინც შერჩენოდა უღელს, მაგრამ კვირისა აღარ გაჯიუტებულა, თითქოს გონიერმა პირუტყვმა გუმანით იგრძნო, რომ მისი დრო წასული იყო, რომ ის აღარ იყო, რაც უნდა ყოფილიყო და თავის თავზე თვითონვე აიღო ხელი.

გაგამ ახლა კი გამეტა პირველა და სახრე მოქნევით შემოჰკრა ცხვირში. პირველმა დაიხია, უღელი მოფონდა, მაგრამ კვირისას თავი აღარ აუწევია, ეგრევე დარჩა, — შუბლით მიწას დაყრდნობილი და თითქოს სუნთქვაც შეწყვიტა.

— ადგილი შეუცვალეთ, — თქვა ბრიგადირმა, — ეს წინ გადააბით და ამის ადგილზე ერთერთი წინა ხარი გადმოაბით.

გაგამ უმწეოდ ჩამოყარა მხრები და მამაჩემს გამოხედა. მამას ისევ ერქვანზე ეკიდა ხელი და ხმას არ იღებდა. შუბლშეჭმუხნული ერთ წერტილს მისჩერებოდა. ბრიგადირმა კიდევ გაიმეორა ნათქვამი. მამა აიმართა, მაგრამ ბრიგადირისათვის არ შეუხედია.

— არა! — თქვა მოჭრით და მწყრალად, — კვირისა მეტს აღარ გასწევს... საკმაო ხანს სწია ჰაპანი და ეყოფა! — და გაგას მიმართა, — შეუხსენი აპეური და გამოუშვი!

გაგამ ნიშნისმოგებით შეხედა ბრიგადირს. გახარებულს წინა ხარების დახევინება აღარ მოაგონდა, თითქოს ეშინოდა კიდევ არ დამიშალონო, და პირდაპირ დაჭიმულ ჯალამბარს გადმოახტა. კვირისას კისერზე მოუთათუნა ხელი, თავი ააწევინა და აპეური შეუხსნა.

კვირისას ბრტყელი შუბლი და სანთლისფერი რქები მიწით ჰქონდა დასვრილი. თვალი ავვარიდა, თითქოს ერცხვინებოდა, რომ უღლის ზიდვა ველარ შესძლო და ზლაზვნით გააბიჯა. მაგრამ შორს არ წასულა, მხოლოდ ცოტაზე გასცილდა გუთანს, შორს, თოვლის ლაქებით მოხატულ ცივის მთებს გახედა და ბუსნოზე ზურგშექცევით ჩამოწვა. გულის სიღრმიდან ყრუდ და ძლიერად ამოიოხრა.

რაკი გუთნეულს ერთი ხარი გამოაკლდა, დანარჩენი ხარებიც უნდა გამოე-

შვათ. ბრიგადირს უკმაყოფილოდ დაეღმანჭა სახე, მაგრამ არარაფერი თქვა.

კოლმეურნეობას სახნავი ფართობი გუთნებისა და ხარების რაოდენობის კვალობაზე ჰქონდა დაგეგმილი, და ერთი გუთნის გაცდენა ძვირად უღირდა, — გეგმას ჩააგდებდა და ამას კი არავინ აპატიებდა. არც მოცდა და დაყოვნება შეეძლო, — უამინდობის გამო ხვნა ისედაც დაგვიანებული იყო. არც სხვა რამე სახსარი გააჩნდა და გაჭირვების ჯოხი გამგეობამ ისევ კვირისას კისერზე გადატეხა.

თავმჯდომარეს საჩქაროდ გამგეობის კრება მოეწვია და დაედგინა, რომ კვირისა დილითვე წაეყვანათ რაიონში. იქ ან ცხოველმზადების კანტორისათვის გადაეცვალათ, ანდა, თუ ეს არ მოხერხდებოდა, თვითონვე დაეკლათ, ბაზარზე ხორცად გაეყიდათ და ნაფასურით სამაგიერო ხარი ეყიდათ.

ამ დადგენილებაში უჩვეულო და მოულოდნელი არაფერი იყო. პირიქით, ეს იყო ერთადერთი, საყოველთაოდ მიღებული და ბუნებრივი წესი. ასე მეორდებოდა საუკუნეების მანძილზე, უხსოვარი დროიდან მოკიდებული და მეორდება დღესაც, თუ კიდევ სადმე შემორჩა ხარი. და, რასაკვირველია, ადრე თუ გვიან, კვირისასაც თავისი წინაპართა ხვედრი უნდა გაეზიარებინა, რომელიც იმავე დროს, მისი საკუთარი ხვედრიც იყო. ასე ჰქონდა დაბადებითვე დაწერილი. რომელ ხარს დაუსრულებია სხვაგვარად სიცოცხლე, ან რომელი ხარი არ ქცეულა საბოლოოდ სახმარ ხორცად და ტყავად. მაგრამ ამბის გაგება მაინც ცუდი იყო, თითქოს თავზარი დაგვცა. ის საღამო სამგლოვიარო საღამოს ჰგავდა ჩვენს ოჯახში. ხმას არავინ ვიღებდით. დედამ უბრად დაწველა ფურები და უბრად შეზიდა რძიანი ბაკნები სარძევეში. მამა გამტკნარებული იჯდა დერეფანში, შუაცეცხლის პირას და იდაყვით ცალმუხლზე დაყრდნობილი მბჟუტავ ნაკვერჩხალს ჩასცქეროდა.

— არ ვივახშმოთ? — იკითხა დედამ.

მამა არ განძრეულა. — არ მინდა, — თქვა ყრუ ხმით, —თქვენ ჭამეთ...

— არც მე მინდა. — ჩაილაპარაკა დედამ და მე მომიბრუნდა. — შენ მაინც ჭამე, რძეს აგიდუღებ. — მაგრამ ჭამა არც მე მინდოდა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ცოტა ხნის შემდეგ დედამ ბრიგადირის შემონათვალი მოაგონა მამას. ბრიგადირს დაებარებინა, მარილი აჭამეთ, რომ მოსწყურდეს, დილაზე ბევრი წყალი დალიოს და წონაში მძიმე მოვიდესო. და, — რა ვქნა, ვაჭამო? — ჰკითხა.

— მარილი არა! — თითქმის იყვირა მამამ და წამოდგა. — ბარემ ტყვია გადააყლაპონ... ფუჰ, რა უსინდისოდ გაწუწკდა ხალხი! — გამოაფურთხა და საბძლისაკენ დასაძინებლად წავიდა.

მე ჩემი ქვეშაგები, — ბალიში და ნაბადი გამოვიტანე და დერეფანში ტახტზე გავფინე. ცრიატი, ნისლიანი ღამე იყო. გული ქვასავით მქონდა შეკუმშული და ძილი არ მეკარებოდა.

ტყეში ოლოლები კიოდნენ. დერეფნის წინ ვაშლის ტოტებში ქსინი ნიავი დაფათურობდა და ნამს ატკაცუნებდა. სადღაც ძაღლი მოსთქვამდა მწარედ,— გაბმით და მომაბეზრებლად ყმუოდა. მერე ძაღლი დაჩუმდა. ნიავი ჩადგა. თეთრი ნისლი ღრმა ხეობებში ჩაიკრიფა. ცაზე ნავახშმევი ნახევარმთვარე და ვარსკვლავები გამოჩნდა და ნისლებიდან ჯერ ისევ შავი, გაუფოთლავი კორომებით შექოჩრილი გორ-გურები ამოტივტივდა. თავთით ნაკვერჩხალი ილველფებოდა და ეზოს ბოლოდან საქონლის ნელი ფშვინვა ისმოდა.

უცბად ბაკის მხრიდან ბუტბუტივით რაღაც გავიგონე. შემკრთალი ფრთხილად გამოვძვერი ნაბდიდან, დერეფნის ბოძს ამოვეფარე და გავიხედე. მთვარის მკრთალ შუქზე თეთრი, გაბურძგნული თავი დავინახე და კვირისას წინ დაჩოქილი გაგა ვიცანი. ხელებით ეფერებოდა, — შუბლსა და რქებზე უსვამდა და ცრემლნარევი ხმით რაღაცას ებუტბუტებოდა. მერე მოეხვია და თვალებზე აკოცა.

— მშვიდობით, ჩემო... ჭირიმე შე-

ნი. — თქვა სლოკინით და წამოდგა. რატომღაც ცას ახედა. — ჰეჰე, წასულა დრო, წასულა... მეც მალე მოვალ იქ მოვალ... შენთან... და თუ სადმე მართლა საიქიო და სულისყოფაა, იქნებ იქ მაინც შევხვდეთ ერთმანეთს... მშვიდობით.. მშვიდობით!... ხელი თვალებზე მოისვა, ბარბაცით გავიდა კუტკარში და მდორე ღამეში გაითქვიფა.

ფეხაკრეფით მივედი კვირისასთან. — კვირისა! — ვუთხარი ჩურჩულით და წინ დავუდექი. კვირისა არ განძრეულა: მე თვითონ დავიხარე, თვალებში შევხედე და გავშრი: კვირისა ტიროდა, ტიროდა ხარულად, უტყვად, უთქმელად, მშვიდად და გულმდუღარედ. მსხვილი, თხილისტოლა კურცხალები ნელა მოგორავდა წამწამებზე, მთვარის სუსტ ანარეკლს აჩენდა და თქრიალით ცვიოდა ძირს.

პირველად ვნახე პირუტყვი ატირებული. მეც ტირილი მომერია. კბილი კბილს დავაჭირე, რომ იქვე არ ავღრიალებულიყავი, საჩქაროდ გამოვბრუნდი უკან, ნაბადი წავიფარე და საწოლზე პირქვე დავვარდი.

იმ ღამეს დიდხანს, ძალიან დიდხანს ვქვითინებდი უხმოდ. ნაკბენივით ვიკლაკნებოდი ლოგინში, სველ ბალიშს ვჭმუჭნიდი და შიგ თავჩარგული ჩემივე ცრემლის ბლანტ, მომლაშო ანაორთქლს ვისუნთქავდი...

არ მახსოვს, როდის დამეძინა, ხოლო როცა გამეღვიძა კვირისა საქონელთან აღარ იყო: თავმჯდომარის გამოგზავნილ კაცებს იგი დილაუთენია გაეყვანათ ბაკიდან.

* * *

იმ დღიდან კვირისას ლანდი განუშორებლად თან მსდევდა. რატომღაც ყოველთვის ყელში დანაგაყრილი წარმომიდგებოდა, ნაღვლიან მზერას გამიშტერებდა და თითქოს რაღაცას შემდუროდა, მთხოვდა, მემუდარებოდა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ხარი თითქმის გადაშენდა, მაგრამ კვირისას სახე დღევანდლამდე ვერ ამოვიგდე ხსოვნიდან. ახლაც კი ყოველი ხარის დანახვისას, კვირისა გამახსენდება. ისევ ყელში დანაგაყრილი დამიდგება თვალწინ. შავი, გრძელი წამწამებით მოჩრდილულ თვალებს მომაშტერებს, — თითქოს ისევ რაღაცას მთხოვს, უტყვად, უსაყვედუროდ შემდურის და მემუდარება.

არ ვიცი, რას მთხოვს, რა აკლია გულს. რით ვიმართლო თავი, რით ვანუგეშო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ჩაჩავა

## შარაგზაზე და ბილიკებზე

(ისევ ავტობიოგრაფიის ნაწყვეტი)

უფრო გრძნობების კაცი ვიყავი.
ვიდრე პატრონი დამჯდარი ჭკუის.
იდუმალ გუმანს იქით მივყავდი,
სადაც ცხოვრება არ ამბობს ტყუილს.
მეც მივდიოდი, მეც მივყვებოდი,
იდუმალების შარას თუ ბილიკს
და გზად ჩემს ამბავს ისე ვყვებოდი
თითქოს მენახოს ცხოვრების ძირი.

თურმე არ არის ეს გზა ადვილი,
სხვაა ცხოვრება და სინამდვილე.
და აღარ დავთმობ არაფერს არსად.
ერთად ავიტან ავდარსაც, დარსაც,
რად უნდა მქონდეს ცხოვრების შიში,
მე ხომ ქარბუქში უშიშრად ვიშვი —
და გავიარე დელგმა და თოში
ამ უდიადეს დიდ საწუთროში

## მე არ შევცვლილვარ

ვერვის გავუხდი
მე ყმადნაფიცი,
ვერვის მივენდე
გასათელავად.
დავიარები
მთელი ნაბიჯით
და ისევ ისე
ჯანმრთელადა ვარ.
ძუკნა ძაღლივით

ლუკმა პურისთვის
არ გავუყევი
მედიდურთ უკან,
თუმც სიხარული
დავთმე ურიცხვი,
მაინც არ ვგავარ
ამომქრალ ვულკანს,
ისევ ვმოქმედებ,
ცეცხლს ვაფრქვევ ისევ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო მრელაშვილი

# ყ ა ბ ა ხ ი

## რ ო მ ა ნ ი

### წიგნი მეორე

### თავი მეორე

1

მდივანმა სკამი ხრაგუნით გამოსწია და მაგიდასთან დაჯდა.

— კიდევ რამდენ ხანს მამარხულებთ? — ღრმა სავარძელში მისვენებულ ცოლს გახედა და წარბი შეიკრა.

ცოლს წიგნისთვის თვალი არ მოუშორებია. მხოლოდ თითი დაინერწყვა და ახალ გვერდზე გადაშალა. ზღვას ოდნავ შეეცვალა ავადმყოფური იერი ეფროსინესათვის. სახე ისევ ისეთი გალეული ჰქონდა. ოღონდ ცხვირი თითქოს კიდევ უფრო დაგრძელებოდა.

„მაინც რამ შემაყვარა ეს ცოცხალი მიცვალებული?“

და იქვე გაახსენდა, რომ სიყვარულით არ შეურთავს იგი.

„მაშ რა მაიძულებს მასთან ყოფნას? სინდისი? მოვალეობა? სამსახურებრივი მდგომარეობა? სიბრალული? თუ ყველაფერი ეს ერთად?.. იქნებ მიჩვევაა?.. შვილი? — რამ დამავიწყა შვილი? როგორა ჰგავს თავის დედას, ოღონდ უფრო ახალგაზრდაა. მსგავსი წარმოშობს თავისსავე მსაგვსს. და როგორი უცნაურია, რომ არ გვიკვირს ეს. რატომ არა სხვანაირს? თუმცა ხდება გამონაკლისებიც. მაგრამ გენები მაინც მემკვიდრეობითია.

— ლაურა, მოდი, შევჭამოთ რამე, შვილო, თორემ შიმშილით დაგვხოცავენ ესენი.

ქალიშვილი ფანჯრის რაფას ჩამოყრდნობოდა და ლოყებზე მუშტებშემოწყობილი გასცქეროდა გაჩახჩახებულ აივანს. დაცქვეტილი ყურები ზომაზე დიდი მოუჩანდა. კუშტი სახე ოდნავ მოაბრუნა მამისკენ და მერე ისევ აივანს მიაცივდა.

— კლავა! კლავა! არ გესმის, კლავა?!

კუთხეში მიმჯდარმა დედაკაცმა თვლემას თავი წაართვა და უფერული თვალებით მაგიდას გახედა.

— მომიტანე რამე საჭმელი.

დედაკაცმა ზანტად დაამთქნარა და ისევ გაირინდა.

— მომიტან თუ არა საჭმელს?

დედაკაცი მძიმედ წამოდგა და სამზარეულოში გავიდა.

— შენ რა, სანამ ჩვენთან მოხვიდო-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 6

დი, მანამდე რესტორანში ხომ არ მუშაობდი მიმტანად? — იკითხა რაიკომის მდივანმა, როცა კლავა შემობრუნდა.

დედაკაცი ვერ მიხვდა.

— ახლავე უკან წაიღე ეგ კერძი და არ გავიგო, რომ ქვაბშივე ჩააბრუნო.

დედაკაცი გატრიალდა და მალე ისევ გამოჩნდა. წვნიანში დასველებულ ცერს გულგრილად იწმენდდა წინსაფარზე.

— მიდი ახლა და მეორე მომიტანე.

მდივანს ღვინისთვის ხელი არ უხლია. არც არავისთვის შეუხედავს, ისე ადგა სუფრიდან.

— როცა ის ჯეილი მოვა, გათენებულიც რომ იყოს, ჩემთან შემოვიდეს.

დიდხანს დადიოდა მდივანი თავის ოთახში აღელვებული და მოქუფრული. სახის მოდუნებული ნაკვეთები ულიმღამო იერს აძლევდნენ. უნებურად შედგა და გაიოცა: „როდის დაიწყო ყველაფერი? ეს რა, შეთქმულებაა? შინაც და გარეთაც. მაგრამ რა კავშირი არსებობს შინაგან და გარეგან ძალებს შორის? არავითარი. იქნებ არსებობს? ვინ იცის, სად არ დაეთრევა ის ძაღლის ლეკვი. მაგრამ ნუთუ იმდენად უგუნურია, რომ თვითონ დაუწყებს იმ ტოტს ჭრას, რომელზეც უნდა იჯდეს? ოჯახში ჩემი ადგილი დაიკავა და მგონი გარეთაც დაუწყია. დასაბამიდან აქამომდე ქალი იყო მიზეზი ყოველგვარი სისაძაგლისა. ცხვირპირი უნდა დაამტვრიოს კაცმა ეფროსინეს. მაგრამ განა მე თვით არ ჩავიდინე უფრო ადრე, რაც ჩაიდინა ჩემმა სიძემ და რის ჩადენასაც აპირებს? იქნებ ეს სამაგიეროა? ნუთუ არსებობს რაღაც განგება? მაგრამ მე, კომუნისტს, რომ არაფერი მწამს ამისთანა? ცოლმა მომცა ყველაფერი ის, რაც მაკლდა. ახლა, როცა მაქვს ყველაფერი ის, რაც მაკლდა, ცოლი უკვე ზედმეტია. დღეს მე თვითონ შემიძლია წარვმართო ჩემი ბედი... ასევე იქნება ჩემი სიძეც... და მე მაინც გზას დავულოცავდი, აქამდე ოდნავაც რომ შემეტყო ის სწრაფვა ცხოვრების ცვალებად კიბეზე, რაც მე მქონდა მაგის ასაკში. ნუთუ მართლა არასოდეს არ მყვარებია ეფროსინე?“

და მდივანს გაახსენდა შვილის შეძენით მოგვრილი სიხარული. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, არც ისე ულამაზო ქალს, როგორი შუქით უბრწყინავდა უსიცოცხლო თვალები. მხოლოდ მაშინ იგრძნო რაღაც თბილი, მოკრძალებული და სინაზის მსგავსი თავისი შვილის დედისადმი. განა ეს იყო სიყვარული?.. ნუთუ არასოდეს მყვარებია არავინ?

მდივანი ფანჯარასთან მივიდა. დიდხანს უკირკიტა ბნელ სივრცეს, მაგრამ ვერავინ ვერ აღმოაჩინა.

და, საერთოდ, რა არის სიყვარული? ნათესავურ გრძნობათა ერთობლიობა? სისულელეა! სახლში მხოლოდ ბავშვის სანახავად მიმიხაროდა. ახლა კი ლამის ესეც ყელში ამომიყვანონ. სისულელეა! ხომ არ დავბერდი? ჩემზე ბევრად უფროსი იქნება ჭალისპირის თავმჯდომარე. როგორ იცის ძია ნიკომ? — „ფიქრი არ არი გურჯისა, გადაიკიდებს ხურჯინსა!..“ თეიმურაზს მოვთოკავ, სერგოს ისევ გავანეიტრალებ. იმ ორივე განყოფილების გამგეებს კვლავ შემოვიმტკიცებ. თუ არადა, ავუკრავ გუდა-ნაბადს რაიაღმასკომის ახალ თავმჯდომარეს... ჯერ დავიცადოთ, ის ჯერ საქმეების გადაბარებით არის გართული. ვნახოთ, როგორ პოზიციას დაიჭერს.

და მდივანმა მთელი რაიონი მოჩხრიკა:

მეორე მდივანი გამოცოცხლდა, განყოფილების გამგეებმა ურჩობა დაიწყეს, მედიკო და როსტომი იგივე დარჩნენ. მილიციაში საქმე მოგვარდა, მაგრამ ჩუმად დრტვინავენ ჯაშიაშვილის გამო. ინსტიტუტის დირექტორს შემოწმებაზე მისული ვარდენი გამოუგდია, „ვინ ეშმაკი ხარო“... და ყველგან თეიმურაზი. ნუთუ ვერაფრით ამოვიღებ ამ ხიწვს თვალიდან? და მაინც რით ინადირებს ამ ხალხის გულს? მხოლოდ იმითი, რომ ყველგან ყოფს ცხვირს? იქნებ იმითი, რომ არ უშინდება გაცივებას და წელზევით შიშველი არხში ხტება, რათა

წყალ-ტალახში მათთან ერთად თხაროს მიწა?.. ის შფოთის თავი! რატომ თავიდანვე არ მესიამოვნა მისი დანახვა? ვინ არის, რა კაცია? თითქოს ქაოსია, დასრულებული სახე ჯერ არ მიუღია. დღეს რომ პალმის ტოტი უჭირავს, ხვალ ჯოჯოხეთს დაატრიალებს. უცნაურია. რაღაც კავშირი აქვს ჩემს სიმშვიდესთან, გული მიგრძნობს, ტვინი კი თითქოს გაყინულა. არავის არ ცნობს, არც ღმერთს, არც კანონს. მაინც ვინ არის, ეს სახელმწიფო სახელმწიფოში? არც გიჟი, არც ჭკვიანი! ჩემს საკუთარ კაბინეტში გამლანძღა, მილიციელები ცხენით გამითელა, კოლმეურნეები ალაზანზე მიცემა, ხალხს ალავერდობის უკანასკნელი დღე ჩაამწარა... ოჰ, რატომ თეიმურაზმა ცოტა ხნით არ დაიგვიანა! მაინც კარგა მორატყეს, შუბლი გუშინაც შეხვეული ჰქონდა. უნდა ციხეში ვუკრა თავი, თორემ ძალიან გათავხედდა. როგორ გააფთრებით იცავდა იმ ბრიგადირს! კარგი ვქენი, რომ ბრიგადირობიდან და გამგეობიდან გავაგდებინე. რბილად კი მოვექეცი. პარტიიდან უნდა გამერიცხა. სხვა ქურდები დაშინდებოდნენ. არც უნდა გამეშვა.

მდივანი გაბრუნდა ფანჯრიდან და ტახტზე წამოწვა. თავქვეშ ხელები და ორი ყურთბალიში ერთად ამოიწყო. ფეხისწვერებით წაიძრო ფეხსაცმელი. კარგა ხანს იყო გარინდული.

უეცრად თვალები გაუფართოვდა, სახის ნაკვთები გაუქვავდა. მერე დაიძაბა და ერთი აქნევით წამოჯდა.

„რაო?.. რატომ აქამდე ვერ მივხვდი? აქამდე სად ვიყავ? ხედავ, სად არი ძაღლის თავი დამარხული? ნამდვილად თეიმურაზმა შემომიჩინა ეგ ბიჭი! ო, რა გველძუაა!“

ფეხსაცმელში სცადა ფეხის გაყრა, ვერ გაუყარა და გვერდზე მიყარა. შემდეგ სიბნელეში ფლოსტები მოძებნა.

დიდხანს დაჩლატუნობდა მაგიდის გასწვრივ.

ზარმა დაიწკრიალა.

ჭიშკრის ზარი იყო.

კიდევ დარეკეს.

აივანზე ფეხის ხმა გაისმა.

ჭიშკარი გაიღო და ისევ მიიკეტა.

ეზოში ვიღაც შემოვიდა და კიბეს ამოუყვა.

მდივანი ფანჯარასთან მივიდა და ცხვირში წაიქშუტუნა.

„სიძე-ბატონი მობრძანდა“

აივანზე გასული მოსულს მიეგება და მიეხუტა.

— რად დაიგვიანე?

მოსულმა დამხვდურს ნიკაპი აუწია და დაბეჭილი ხმით წაუმღერა:

— „საფლავშიააააც, აქაც-იქააა‌ც, შენთან ერთააად, შენთან ეეერთააად“.

დამხვდურმა პირზე ხელი მიაფარა.

— ნუ ყვირი. მამა გაჯავრებულია. დაიბარა: რა დროსაც არ უნდა მოვიდეს, ჩემთან შემოვიდესო. მაგრამ შენ ნუ შეხვალ. არც მოგიცადა, არც პირველს დაადო პირი, მარტო მეორე შეჭამა და თავის ოთახში გავიდა. იქ ნუ შეხვალ, წამოდი დედასთან.

— მაშინებ? შევალ, ხომ არ შემჭამს? კაცია, წყალბადის ბომბი ხომ არ არი.

— ძალიან გეხვეწები, ნუ ყვირი, არ გაიღვიძოს.

— გაიღვიძოს, თორემ ეგეც სავენახე მიწას აბრუნებდა, კაცის ფერი აღარ ადევს კაბინეტში ჯდომით.

ქალიშვილმა თითქმის ძალისძალად შეაგდო ოთახში.

— მთვრალია, ჩვეულებრივ. — გაიფიქრა მდივანმა.

მეორე ოთახიდან ეფროსინეს მკაცრი ჩურჩული ისმოდა.

— დედიკო, ჩემო საყვარელო დედიკო, შენ ხომ ჩემი საყვარელი დედიკო ხარ. — ენას იჩლექდა სიძე.

და მდივნის ყურამდე მიაღწია, თანდათან როგორ დაურბილდა ხმა მის თანამეცხედრეს.

— უნდა შევიდე.

ეფროსინეს ხმაში ხვეწნა ისმოდა.

— არა, უნდა შევიდე. ტერორს ხომ არ დამინიშნავს. მდივანი კაცია, ერთიც ვნახოთ გაჯავრდეს?!

კარი გაიღო და ოთახში სიბნელის ზოლი შემოიჭრა. კარში შეჩერებულმა კედელზე ხელი აafათურა და ღილაკს მიაგნო. ოთახში სინათლემ იფეთქა და წარბებაწეულმა სიძემ ქვედა ტუჩი გაკვირვებით გადმოაბრუნა.

— ვაჰ, არ გძინავს, მამიკო?

— არ მძინავს. მიკეტე კარი და შემოდი.

მდივანი ტახტზე ჩამოჯდა და სიძეს სავარძელზე მიუთითა.

— დაჯექი.

— ჯერ ერთი, უნდა გაკოცო.

— დაჯექი, რომ გეუბნებიან!

— ვაჰ, დავჯდები, რატომ ფიცხობ, მამილო?

— დაჯექი და მითხარი, სად დაეთრევი შუაღამემდის?

— რომელი შუაღამე, ჯერ ორი საათიც არ არი.

— სულერთია, სად დაეთრევი თითქმის ყოველდღე?

— დაეთრევი რა საკადრისია, ნასწავლი კაცი ხარ...

— შენ კითხვაზე მიპასუხე, ჩემი სწავლა შენი საქმე არ არი.

— გეტყვი, როგორ არ გეტყვი. რა გაჯავრებს, მამიკო.

— შენი მამიკო აქ არავინ არი. მითხარი, სად დაწანწალებ ყოველდღე შუაღამემდის.

— რა შუაღამემდის, ბიჭებმა შემათრიეს ნადიკვარზე... ახალი გახსნილია, დავლოცოთო.

— დანახარჯი ვიღამ გადაიხადა?

— ვინც დამპატიჟა.

— სწორი მითხარი, ვინ გადაიხადა დანახარჯი?

— ვაჰ, დამპატიჟეს და მე გადამახდევინებდნენ?

— თქვი, ფული ვინ გადაიხადა.

— მე ფული საიდან მექნებოდა, ჯერ არა ვმუშაობ. დედა არ მუშაობს, ცოლი არ მუშაობს, შენი ხელფასი კი ოჯახს ხმარდება. იქიდან ჯიბის ფულს ძლივს გადამირჩენს ხოლმე დედიკო. აბა, მამილო, იფიქრე...

— მე შენი მამილო არა ვარ. ვინ გადაიხადა?

— ახლა რას ჩამაცივდი, არავისაც არ გადაუხდია. ხაზეინმა მითხრა, შენი სიმამრის ხათრით...

— მე შენ კარგ სიმამრს მოგცემ... ნუ მიფართხუნებ ცხვირწინ ხელებს, გასწორდი და ისე დაჯექი.

— სწორად არ ვზივარ? რას მიყვირი, სალდათი ხომ არ გგონივარ?

— ყოველი სალდათი ათჯერ შენზე უკეთესია. იმათ, გარდა სამხრეებისა, ზრდილობაც გაჩნიათ.

— გამოცვლას ხომ არ მიპირებ, მამიკო?

— რას არ გავიღებდი, ეგ რომ შემაძლებინა, დაჯექ და მომისმინე.

— ვიდგები, ვითომ სალდათი ვარ.

— დაჯექი-მეთქი!

— სალდათი ვარ და ასე უნდა ვიდგე.

— აი, რას გეტყვი. კარგად მომისმინე და დაიხსომე: დღეის შემდეგ არცერთ რესტორან-სასადილოში არ განახო თელავში შესული. არც მთელ ჩემს რაიონში. როცა მოგშივა, სახლში ყოველთვის მექნება შენი სამუცლაო... აუცილებლად მოეწყვე სადმე სამსახურში, თუნდაც მენაგვედ.

— უზომო მადლობა დიდი პატივისათვის.

— ნუ მაწყვეტინებ. თუ სამსახური არ გინდა, მაშინ ინსტიტუტში შედი, თუნდაც დაუსწრებელზე .ეხლაც არ არის დაგვიანებული.

— მაგაზედაც დიდი მადლობა. ყველა პატიოსანი კაცისთვის თითო ფაკულტეტი საკმარისია. მეორე რაღა საჭიროა?

— შენ ვისთანაც გაგყავს, ისევ იმასთან გაიყვანე! ათი წლის ტახს თხრას ვერ ასწავლი.

— აუცილებელია, დიპლომი მქონდეს?

— არა, განათლება.

— განათლება მშვენიერი მაქვს.

— მხოლოდ საafერისტოდ. ყური მიგდე და დაიხსომე: არასოდეს, არსად,

არცერთ კოლმეურნეობაში აღარ გავიგო, რომ მისულიყო და იქიდან გოჭ-ქათმები წამოგეყვანოს ჩემი სახელით. დაიხსომე?

— დავიხსომე. კიდევ?

— თუ კიდევ გავიგე, არაფერს არ მოვერიდები და შენს ცოლს და სიდედრს ვაიძულებ ამანათები ციხეში გიზიდონ.

—ვაჰ, რა კეთილი მამიკო მყავს! მხოლოდ არ დაივიწყო, დედამიწა მრგვალია და ბრუნავს. ჯანს კი ნურც ეგრე ადვილად დაენდობი, ციხე მაინც ციხეა და ამანათმიუღებლად ჯერ იქიდან კაცი არ გამოსულა.

— როგორ მიბედავ, მამაძაღლო?!

ქუხილზე კარი გაიღო და ლაურა შემოვარდა.

— მამა, მამილო! ჯოტო, რას შვრები.

სავარძლიდან კარამდე ეფროსინემ თეძო ძლივს მოათრია.

ლაურა ხან მამას ეხუტებოდა და ხან ქმარს.

— კარგი, მამა, დამშვიდდი. ჯოტო, გადი ოთახიდან. რა მოგივიდა, მამა რა მოხდა?

— რა იყო, ლუარსაბ, ქვეყანა ხომ არ დაიქცა, მეორედ მოსვლაა?

ლუარსაბმა ტახტზე ჩაიკეცა და შუბლი ღონივრად მოისრისა.

— ახლავე გადი აქედან. ახლავე გადი, და რაც გითხარი, დაიხსომე! არც ჩემს მანქანაში დაგინახო ჩამჯდარი და... და იმ კახპასაც მოეშვი, თორემ!..

— ჯერ შენ მოეშვი შენს კახპას და, მერე მე მოვეშვები ჩემსას! — შებრუნდა და ღიღინით გავიდა: „მე იგეთი რამეე ვიციიი, — იმისთანა ფააას!“

## 2

კუპრაჭა დაიხარა და კიბეზე ჩავიდა. უმალვე ცხვირში ეცა ახალი ფიცრის მოტკბო და კირის მწვავე სუნი. სარდაფის კედლები თეთრად ქათქათებდა. იატაკს ჯერაც ეტყობოდა საღებავის ნაწუნწკლი.

დახლს სარდაფის სიგანის მეოთხედი ეკავა. კიბის პირდაპირ საქამრის სიმაღლეზე შეეკრა ხელოსანს იგი. მის გასწვრივ თაროები იყო. თაროებს იქით მთელი კუთხე გაეწმინდათ ღვინის კასრების დასაწყობად.

ვახტანგი ზურგით იდგა, დახლს უკან, კედელზე, რაღაცას ჩალიჩობდა.

კუპრაჭამ საგულისგულოდ მოათვალიერა იჟაურობა. მერე დახლთან მივიდა და ერთადერთ სკამზე ჩამოჯდა.

— ეგ რაღა ეშმაკად გინდა?

ვახტანგი მობრუნდა და თავისი ნასოტატარი გამოაჩინა.

— იყოს, რას მიშლის, ლაზათია.

კუპრაჭას გაეცინა.

— მოწაფე გოგოსავით იქცევი. ვინ არიან?

— რა ვიცი, ზოგი ჟურნალებიდან ამოვჭერი და ზოგიც მაჩუქეს. კინკილაზეა, არ მაგრდება კნოპებით.

— კედელია ძველი და ბათქაში აცვენილი აქვს. ლურსმანი მისცხე.

ვახტანგი დახლზე ჩამოჯდა.

ახლა მთლიანად გამოჩნდა დახლს უკან კედელი. უწესრიგოდ, შეხირხლულიყო კინოვარსკვლავთა ფერადი ფოტოები და ცირკის მსახიობთა სურათები. ერთ სურათში ჩამოჭნილი ფეხები ბარძაყებამდე გაეშიშვლებინა ლამაზმანს და ზედ სიფრიფანა წინდებს იცვამდა.

— ვის რად უნდა, ბიჭო, მაგისი გაჩხიკული კანჭები. ქალი, აგე, მაგეთი უნდა იყოს. — თვალით ანიშნა რუბენსის რეპროდუქციაზე. იგი კენტავრ ნესესის მიერ ჰერკულესის ცოლის მოტაცებას გამოხატავდა.

— მოგწონს?

— მა როგორ, ქალი ეგეთი უნდა იყოს.

— ბაზრის პირას წვერიანი ხარაზი რომ არი, ხომ იცი?

— მერე?

— სულ ეგეთი სურათებით აქვს თავისი ბუდრუგანა გამოტენილი. კედლებზე ბალღინჯოს მოსაკლავ ადგილს ვერ იპოვი, ისე აქვს გავსებული იჟაურობა. მხოლოდ, ამაზე კარგები კია. ნე-

ტა სად შოულობს ის წეერძაღლი. ყველაზე ბევრი მუშტარი მაგასა ჰყავს. მარტო იმ სურათების სანახავად ღირს შესვლა.

— მაშინ იცი, რას გეტყვი? აქ ორი-სამი კახპა შემოაგდე, კარებთან კი წითელი ფარანი გამოჰკიდე. — კუპრაჰამ თავი სინანულით გადაიქნია.—ამით იწყებ? ქარაფშუტობა საქმეს არ გამოადგება. სად არი კასრები?

— უკვე შემპირდნენ ნაფარეულში, ხვალ ამოვიტან.

— აქამდეც უნდა მოგეტანა. რას გავს თაროები, ამაზე მეტი ვერ დაატანე?

— რა ეშმაკად მინდა თაროები? ესეც ზედმეტია.

— რაკი ნიკომ გითხრა, მაშასადამე, საჭიროა. ნუ ხარ არიფი. მაგას თხელ ფარდას ჩამოაფარებ და შიგნით იგეთ რამეებს დააწყობ, რაც ნებადართული არა გაქვს და ღვინის მუშტარს კი გამოადგება.

ვახტანგს ჰკუაში დაუჯდა.

— იმ კედელთან გავაკეთებ.

— იმ კედელთან არ შეიძლება. მოფარებულია და გარედან არ ჩანს.

— უფრო კარგი, თუ არ გამოჩნდება.

— არ შეიძლება-მეთქი. იქ ხორცი დაიკიდება. არც ამის უფლება გექნება. დაბლა კასრები მოთავსდება, მაღლა კი თუნდა ხუთ ფეშხვას ჩამოჰკიდებ. ღვინოზე ხორცი აუცილებელია. მუშტარს ხორცისა და ღვინის ერთ ადგილას ყიდვა ეადვილება.

— ახლა ორივე ერთად ავიკიდო?

— ვახტაააანგ! ჰკუას წიხლი დააჭირე. არაფერი აკიდება არ უნდა. ხორცით სულ მე მოგამარაგებ. ნახევარ ფასად გიშოვი.

— ეჰ, ტრანსპორტი რომ მქონოდა, არც მაგაზე ვიტყოდი უარს.

— არც ახლა უნდა თქვა. ტრანსპორტი! ტრანსპორტი! მაგასაც გიშოვი, ნუ გეშინიან.

— არა, მაგაში ბედი არა მაქვს. ანდე, სანამ იმ მანქანას ჩემი დაერქმეოდა, მანამდე კალიასავით გაგლიჯეს შუაზე. ეს ნათლიაჩემიც კაი ვინმეა! თვითონაც იზარალა და მეც მაზარალა. ერთი ის რევაზია, თუ ვიღაც ჯანდაბა, უნდა ვნახო და წვენი ვახვრიპო. ჯერ მოსული არ ვიყავი, რომ კბილი დამადგა. ახლა მიადგა და, ნახე, რა ქნა?

— შენ იმას მოეშვი, ვახტანგ, მაგისთანა ხალხს ყოველთვის უფრთხილდი. ეგ იგეთი ძაღლია, რომლის დანახვაზე ცალ ხელში რომ ჯოხი მოიმარჯვო, მეორე ხელში პური არ უნდა დაივიწყო. ახლა კელასავით გამწარებულია, ეცადე, თავი არ შეახსენო.

— შენ, როგორც გეტყობა, ძალიან დაუშინებიხარ მაგ ჯეილებს. საკუთარი მანქანით დააქვს მუქთი პურ-მარილი ალაზანზეო.

— ჰკვიანი რომ თავს მოისულელებს, მეორე ჰკვიანს ეს სიგიჟედ არ უნდა ეჩვენოს.

— ალავერდში მიშველებიხარ ჩხუბში. ვაი, რატომ მაშინ იქ არ ვიყავი!

— იქ რომ ყოფილიყავ, შენც მიეშველებოდი. ასი წლის სიცოცხლე რომ გქონდეს, იმ სანახავს მაშინაც ვეღარ ნახავ. ალალი იყოს მაგაზე ჩემი დანახარჯი.

— მოგთაფლა?

— ალალი იყოს მაგისთანებზე ჩემი დანახარჯი. სახლისა რა ჰქენი?

— ნახევარი მიცემული მაქვს. მეორე ნახევარზე სიმინდის იმედი მქონდა.

— ნუ გეშინია, სიმინდსაც მოასწრებ. დღეს გავიდნენ სამტერევად.

— ვიცი, ყარაულს დავუბარე მარჯვედ იყოს, ბიჭებმა წონაში არ მოატყუონ. მეც აქ ერთი წუთით შემოვიარე, ეხლავე უნდა გავიქცე. კარგია, რომ მოხვედი. მანქანა აქვე გაქვს?

— არა, ლაიფციგის ბაზრობაზე გავგზავნე გამოსაფენად.

— მაშ, ჩემი საქმე ალჩუზე ყოფილა. ერთი ეგ მადარდებს, ვიცი, მილიციის უფროსი გაიგებს და მნახავს.

— მაგაზე უკვე იზრუნა ძია ნიკომ. განახავს კიდევაც და კაი გამარჯობასაც გეტყვის.

— არა, მართლა!

— ჩემმა მზემ და შენმა გახარებამ.

— ვააჰ! მაშ მაღარიჩი ჩემზე იყოს. წამო, ეხლავე ვკისრულობ!

— ჯერ დაიცა, ეს მითხარი, იშოვე ვინმე?

— ძალიან გამიჭირდა. ძნელია ეხლა სანდო კაცის შოვნა.

— რას იტყვი, თუ მაგასაც გიშოვი?

— კიდევ ერთ მაღარიჩს მოვდივარ.

— და სანამ მანქანას იყიდი, თუ მანქანასაც გიშოვი, აქეთ-იქით საწანწალოდ?

— მაგას მაღარიჩი აღარ ეყოფა, ჩემი ღმერთი შენ იქნები.

— კარგი, ყაბულსა ვარ. ეხლა ყური დამიგდე: ჩემს ბიჭს ეყო სეირნობა და ხეტიალი. დროა, უკვე, საქმეს ხელი მოჰკიდოს. იმ ასარ-ბასარებთან ყოფნა კაცს არ გამოადგება. ისინი, სანამ ახალგაზრდები არიან, როგორმე თავს გაიტანენ, სიბერე კი გამწარებული ექნებათ. ახალგაზრდობაში ნაშოვნი, სიბერეში ტკბილი საწუწნია. მინდა შენთან მოვიყვანო.

ვახტანგი დაფიქრდა. მერე თავი გაიქნია.

— არ გამოდგება, სიმონ.

— რას უწუნებ, გიღალატებს?

— არა, შენი შვილის ღალატი? აბა, რას ამბობ! მაგრამ გაფლანგავს. უყაირათოდ, უგულისყუროდ მოეკიდება საქმეს.

— ნუ გეშინია. მაგაზე არ იფიქრო. მე უკვე ველაპარაკე. თვითონაც ეხლა მოწადინებულია. იმ ბიჭმაც კაი ლექცია წაუკითხა.

— ვინ ბიჭმა?

— შენმა მტერ-მოყვარემ.

ვახტანგმა წარბი შეიკრა, თქმით კი არა უთქვამს რა.

— მაშასადამე, უკვე გყავს ერთგული და სანდო კაცი და გაქვს მანქანა.— მისი „მოსკვიჩი“ მთლად შენს განკარგულებაში იქნება.

ვახტანგს ჭკუაში დაუჯდა.

— გინდა კიდევ გაგახარო?

ვახტანგმა ყური ცქვიტა.

— ბარემ ცაში ამაფრინე და ეგ არი.

— რაკი მანდ სერგო გეყოლება, შენ შეგიძლია საშრობს თავი არ დაანებო, სანამ არ მოგწყინდება. ხანდახან მეც გამოვუვლი და წავეხმარები. შენ კი, როცა საშრობში სახრავი გამოგელევა, მთლიანად აქ გადმობარგდები.

— ვაააჰ! სოლომან-ბრძენი ხარ და ეგ არი!

—ახლა, ღვინოზე როგორა გაქვს საქმე, ჯერ ხომ არაფერი გაგიგია? ბაზარზე უკვე გაჩნდა დაღვინებული მაჭრები.

— მინდა სიფთაზე ნათლიაჩემის ღვინით მოვნათლო აქაურობა.

— მაგის იმედი გაქვს?

— როგორ არა მაქვს. რაც იმ ინტრიგანმა ზედმეტი მიწა აღმოუჩინა, დაეშურა და ადრე დაკრიფა საკუთარიც და ჩამონაჭერიც. ეხლა ხალასი ღვინო იქნება უკვე.

— ჰო, მაშ, შენ არაფერი არ იცი? — წამოდგა, თაროების გასწვრივ გაიარა და თავისუფალ კედელთან შეჩერდა.

ვახტანგი უკან დაედევნა.

კუპრაჭამ თავი აიღო და ისე შეხედა, ვითომც არ შეემჩნიოს მეგობრის შეშფოთება.

— მინდა ერთი რჩევა კიდევ მოგცე: მაყალი იშოვე და კედელთან მაგიდა და ორიოდე სკამი დადგი. მერე ფარდაც ჩამოეფარება. შეიძლება ვინმე დაუპატიჟებელი სტუმარი გეწვიოს, ან რევიზია დაგეცეს უცებ. კორესპონდენტები დაძვრებიან კიდევ. ვინ იცის... კაცნი ვართ. რამდენიმე შამფურს მე გამოვატან სერგოს.

— დაიცა, შენ რაღაცა თქვი. რაო, რა არ ვიცი?

— არაფერი. დღეს მიხვალ და ნიკო თვითონ გეტყვის.

— არა, ეხლა მითხარი.

—არ მინდა კარგი გუნება გაგიფუჭო.

—ეშმაკმა წაგიღოს, კუპრაჭ! თქვი, რა არი?

კუპრაჭა მობრუნდა და კიბეს აუყვა. შუა კიბეზე შედგა.

— ნათლიაშენს წუხელ მარანი გაუტეხეს და რაც ღვინო ედგა ქვევრებში, ისე გაიტანეს, წვეთი არ დაუტოვებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.

— დათვივით შეკეტილხარ ბუნაგში.

— რას იზამ, თუ წასასვლელი არსადა გაქვს და ირგვლივ ძაღლები გიყეფენ!

— თათის ლოკვას როდის დაიწყებ?

— თუ ჩემსას გულისხმობ, ალბათ, მალე. სხვისა კი გუნებაშიც არ გაივლო.

შავლეგოს გაეცინა.

— ოჯახის კაცი ყოფილხარ, ძალიან გყვარებია ვენახი.

— გახსოვს, ილია ამბობს ერთგან: კახელ კაცს რომ მამული უხსენო, ის თავის ნეხვდაყრილ ვენახს გიჩვენებსო.

— აქედან ხომ არ მოდის „შენ ხარ ვენახი"? ნეხვის დაყრისა კი რა მოგახსენო, ეს რაღაც უფრო სხვა არი.

— დრემლაა, ცხვრის დრემლა. — რევაზი თოხს ჩამოეყრდნო. — ეს უკეთესიც არი. ვაზის ძირებს გარშემო მოუბნევ და მერე ჩათოხნი.

— სად გიშოვია? ამბობენ, შირაქიდან მოაქვთო, შენ როდის იყავ?

— მე არასოდეს. მაგრამ თუ გაინტერესებს, ნიკოს ძმებსა, ძმისწულებსა და ბიძა-ბიძაშვილებსა ჰკითხე. მე კი ჯერ არ გავგიჟებულვარ.

— იქიდან რით მოაქვთ?

— ჯიბით ხომ არ წამოიღებენ — კოლმეურნეობის მანქანით.

— შენ სად გიშოვია?

— ბერხევაში.

— რაო? მოსწრრებული სიტყვებიც შენმა ფრაუმ ხომ არ გასწავლა?

— არა, ეგ არა. ეს აქ ვისწავლე, ჭალისპირში.

— მისასალმებელია. კიდევ რა ისწავლე?

— სწავლით ბევრი რამ, მაგრამ არ გეხუმრები. ბერხევადან მოვიტანე. მთელ კვირას ვეზიდებოდი გოდრით, დილა-საღამოს.

— როგორ თუ ბერხევადან?

— ჩვენი კოლმეურნეობა სანამ მთიდან ჩამოყვანილ ცხვარს შირვანში გარეკავდა, მანამდე ანდე, იმ კლდის ძირას ედგათ, ბერხევაში. ძია თომამ მასწავლა: ნუ წაალებინებ წყალს იმოდენა სასუქს, ვენახი იქვე გაქვს და შეზიდეო.

— რიყიდან?

— ჰო, რიყიდან.

— იმ ქვებში შეაგროვე?

— იმ ქვებში.

შავლეგოს არაფერი უთქვამს, მწკრივებს გახედა და რქა მოიწონა.

— რქა მართლაც კარგია, გაისად უფრო გაპატრიარქდება.

— ახლაც გაპატრიარქებულია. თოხი არა გაქვს? მოგეხმარები.

— მადლობთ. მეც აუვალ როგორმე.

— მართლა გეუბნები. მინდა ერთი გნახო თოხში რა ჯეილი ხარ.

— არა მაქვს.

— მეზობელს გამოართვი.

რევაზს უსიამოდ ჩაეცინა.

— ერთადერთი მეზობელი მყავს ახლოს და იმასაც თოკი რომ ვთხოვო ჩამოსახრჩობად, არ მათხოვებს.

— მეზობელთან ჩხუბი გაგონილა?

— არ მიჩხუბნია. გაბრუაა — ნიკოს მამის ბიძაშვილი.

— კარგი, მე გამოვართმევ.

მიწა ხელისგულივით იყო ბალახისაგან გაწმენდილი, კარგადაც მოჰყვებოდა თოხს. მსუბუქად მისდევდნენ მწკრივებს მთოხნავები და უკან აფრქვიელებულ შავ კვალს ტოვებდნენ.

— ფეხთ რატომ გაიხადე? უკვე გრილა.

— არა უშავს, ჰყანტობში მივეჩვიე. შენ ეს მითხარი: როდემდე აპირებ განზე დგომას და იქიდან ყურებას? იმ ერთმა ამბავმა ეგრე როგორ გაგტეხა და გაგაფუჭა?

— ადამიანის სიავკაცემ რწმენა დამიკარგა.

—- ნუ სტყუი! ადამიანებში არ ეწერნენ, ნახევარი ჭალისპირი რომ მიადგა რაიკომს და შენს უბრალოებას შეღაღადებდა?!

— შენ რომ არ გევაჟკაცა, კაცი არ იფიქრებდა იქ ფეხის მიდგმას.

— მე თუ არა, სხვა გამოჩნდებოდა. ადამიანი ეგრე არ ამოწყდება. მაგრამ

ერთი ეს მითხარი: დივერსიებით ფიქრობ შურისძიებას?

რევაზი შედგა და მწარედ ჩაიცინა.

— ეგ კითხვა არ მიკვირს, მაგრამ რატომ შენ არ ცვიფრდები, მაგ კითხვაზე პასუხად თოხის ყუას რომ არ გთავაზობ? იქნებ იმასაც ფიქრობ, ღვინოც მე ამოვხაპე?

— არა, ღვინოზე არ მიფიქრია, ეგ უბრალო ქურდბაცაცობაა. მანქანისთვის დინამიტის ხეთქვაში კი რაღაც ვაჟკაცური ურევია. არც შენ და არც მე, არმად ნაშოვნი, არმადვე წავიდესო. თუმცა ღვინოზედაც იგივეს თქმა შეიძლება.

რევაზს არაფერი უთქვამს. მდუმარედ მიჰყვებოდა თავის მწკრივს. ფრთხილად ჩაჰქონდა სასუქი ვაზის ძირებში.

— ნედლი ნაკელი არ დაუწვავს ფესვებს?

— ნედლი აღარ არის. მთელ კვირას გაშლილი ეყარა ვენახში, მზეზე, და დაიწვა.

— რატომ ალაზნის პირზე, ძველ ნაგომურალთან რომ ნაკელის მთებია, იმას არ მოიტან?

— ღმერთმა მაშოროს, კოლმეურნეობისას ხელი დავაკარო.

— რატომ თვითონ კოლმეურნეობა არ იყენებს?

— თითქოს არ იცნობდე თავმჯდომარეს. ავი ძაღლივით არც თვითონ ჭამს და არც სხვას აძლევს. ფუტკარივით სულ მაგას ჩაზზუის ყურში რუსუდანი და მე ყბები გადამაცვდა.

— მაშ რატომ აფუჟებს ეგრე?

—უტრანსპორტობას უჩივის. ვიღაცვიღაცეები კი ჩუმ-ჩუმად იპარავენ.

—რატომ პარტიულ კრებაზე არაფერს ამბობთ, კომუნისტები ხომ საკმარისნი ხართ?

— ვინ რა უნდა თქვას? მე და საწყალი შაშვიანთ საბა თუ ამოვიღებთ ხმას, თორემ დანარჩენები მხოლოდ თავს აკანტურებენ ყველაფერზე. პარტბიუროს მდივნად თვითონვე აარჩევინა ბუღალტერი. უთქმელად უგებენ ერთმანეთს — რა უნდა გააწყო? გახსოვს, იმ გაზეთს რა უყო? კომკავშირის კრებაზე რომ თელავიდან მედიკო და თეიმურაზი არ ჩამოსულიყვნენ და მაგრად არ გაგეჯორათ, იმ მეორესაც თვალწინ დაგიფხრეწდათ. ჰო, მაგით კი ცოტა მომფხანეთ გული.

— მარტო ეგ თუ გაკმაყოფილებს, კიდევ მოგფხანთ. რატომ შენ არ უნდა მოფხანო სხვას?

— ადრე ვალში არც მე დავრჩენილვარ.

— ახლა?

— ახლა სხვა არის... ახლა ავტორიტეტი წამიხდა.

— ნუ ჩურჩუტობ, რევაზ, გამოცდილი, პატიოსანი და მუყაითი კაცი ახლა ყველგან, ყოველთვის არის საჭირო.

— არა, სანამ ეგ მანდ თავმჯდომარედ იჯდება, მე კანტორის ახლო გამკარებელი არ ვიქნები. ბევრგან უბრალო კოლმეურნენი მშვენივრად ცხოვრობენ. ვენახი მაქვს გაპიროვნებული, მოვლას არ მოვაკლებ. გაზაფხულზე სიმინდის ნაკვეთს ავიღებ და დავამუშავებ. ბევრი არაფერი მინდა. ორნი ვართ: მე და დედაჩემი.

საღამომდე მოათავეს თოხნა. დამთავრებისას თოხები ერთმანეთს მიუჯახუნეს.

— მუშა შენისთანა უნდა იშველიოს კაცმა.

— მიწის მგელი ყოფილხარ, შემიკალ ხელში.

— რა გვაქვს ვახშმად, დედი? — გასძახა კმაყოფილმა რევაზმა ეზოში ამოსვლისთანავე.

დერეფანში ბუხართან ჩაცუცქული შაოსანი დედაკაცი წამოდგა და ხელი მოიჩრდილა.

— ლობიოა, შვილო, წყალი ახლა დავასხი. ერთიც წამოდუღდება და შევანელებ კიდეც.

— ლობიო არას იზამს, დედი. იგეთი მუშა მყავდა, ერთ ცხვარს მარტო ინაბრებს. აბა, ეგ სადუღარი გვერდზე მისწიე და ზედადგარზე წყალი დადგი! ეხ-

ლავე ქათმებს მოგიტან გასაბდღვნელად.

შავლეგომ იუარა.

— ლობიოც საკმარისია. სად უნდა სდიო ახლა ქათმებს?

— ვინ გითხრა, რომ უნდა ვდიო? — რევაზი სახლში შევიდა, თოფი გამოიტანა, ორჯერ გაისროლა და სანაგვესთან მოფუსფუსე ორი ვარია გააგორა.— მაინც სანადიროდ ვერ დავდივარ. — გადახსნა და დაცლილი ვაზნები გამოყარა.

— ოჰო, ეს რა გქონია სახლში. — შავლეგომ თოფი გამოართვა და ხარბად დაუწყო თვალიერება.

თოფი სამლულიანი იყო. ორი ზედა თექვსმეტყალიბრიანი, ქვედა — შაშხანის ტყვიას ისროდა.

— სად გიშოვია?

— უნდა შენთან წავიტრაბახო: ანდე, ზედ აწერია.

შავლეგო დააკვირდა და ლულაზე, იქ, სადაც ჯუნგლის პირას ანტილოპა ბალახობდა, რუსული წარწერა შეამჩნია.

— ვინ არის, გენერალი კონსტანტინოვი?

— ჩვენი დივიზიის მეთაური იყო.

— აი, თოფი! ზედგამოჭრილია ჩვენი მთებისათვის.

— კაკოს ხომ იცნობ, მონადირეს?

— ვიცნობ.

— შენ უთხარი: წადი, ამ თოფით კაცი მოკალი და შენი იყოს-თქო. — იგრე გაიქცევა, ძაღლს არც კი გაიყოლებს.

— ერთი, როგორც კი მოვიცლი, წავიდეთ დათვზე.

— როცა გინდოდეს.

რევაზმა თოფი სახლში შეიტანა და მერე ძველი მარგილი მიხეხ-მოხეხა.

— ჯერ წყალი მაინც ადუღებულიყო, შვილო. ეხლა ამათ ბუმბული კარგად არც კი გასცილდებათ.

სასადილოებში ხელხს აძრობენ ტყავს, და შენ ამათ ბუმბულს ვერ გააცლი?!

შავლეგომ ქვების გორას თვალი შეავლო და ლოდზე ჩამოჯდა.

— ამოდენა ქვა-ქვიშა რომ მოგიყრია, მშენებლობას როდის აპირებ?

— ამ შემოდგომით. — რევაზი მივიდა და გვერდით მიუჯდა. — აქამდის მეშინოდა, კოლმეურნეობას და ბრიგადას თავს ვერ გავართმევ-მეთქი, ახლა კი თავისუფალი ვარ.

— საბედასთვის რომ კრამიტი წაიღეთ, ალბათ, დაგაკლდება.

— შეიძლება არც დამაკლდეს.

— თუ დაგაკლდა, კლუბის ეზოდან მოგცემთ. ახლა თუნუქით ხურავენ ყველგან კლუბებს.

— არ მინდა, მაგათი არა მინდა რა. ათას რამეში დასჭირდებათ თვითონ. თუ დამაკლდა, ადვილად ვიშოვი.

— როგორც კი შენებას დააპირებ, გამაგებინე და მოგეხმარებით.

— წინასწარ ვიხდი დიდ მადლობას.

— ის რაღა არის იმ ფარდულთან, ან ის რუ რისთვის გაგიყვანია?

— მან მინდა არყის სახდელი გავაკეთო.

— რაო? არყის სახდელიო? კერძო მეურნეობის დაწყებას ხომ არ აპირებ?

— საქვეყნოდ კი არ მინდა, ჩემთვის ვაკეთებ. ჩემთვის და იმ საწყალი დედაკაცისთვის.

— მერე, რატომ წვალობ ამდენს? ჩვენს კოლმეურნეობას ხომ აქვს არყის სახდელი? მიიტა და გამოგიხდიან. მინდის აღებას ერიდები?

— არაფერს არ ვერიდები იმ კაცის გარდა. აქამდე სულ კოლმეურნეობისაზე ვხდიდი. ახლა კი არყის სახდელზე მყოფნი გააფრთხილა, ახლო არ გამიკარონ.

— შენც სანიორეში გაიტანდი, ფშაველში, ართანაში ან ნაფარეულში.

—კარგად არ იცნობ ძია ნიკოს... თავმჯდომარეები წინასწარ შეითანხმა. ჩემი გულისთვის მაგას ვინ მოიმდურებს?

— მაშ მანდამდეც არის საქმე მისული?

— შენ არ იცი, მაგაზე შორს მიდის... ყური დამიგდე: თუ მაღარიჩს იკისრებ, შენც გამოგახდევინებ.

— მინდს არ აიღებ?

— მაგის იმედი არა გქონდეს. შენაც

შენი იქნება და მომსახურებაც. მე მხოლოდ ადგილსა და ჭურჭელს დაგითმობ.

— მე ჯერ არასოდეს არ გამომიხდია.

— მაშინ მოგეხმარები და გასწავლი.

— ეგ უკვე ჭკვიანურია. მაგრამ გამოხდას ეგრე ადრე რად ეშურები?

— მშენებლობაზე დილ-დილაობით მუშებისთვის თითო-ოროლა ჭიქა მისწრება იქნება.

შავლეგომ ცალი ფეხი აიკეცა და ახმეტის თავს გახედა. სადღაც, ბორბალოს იქით ჩაფარებული მზე ნარინჯისფრად ღებავდა სპეროზას წვერსა და ქულებად დაყრილ რძისფერ ღრუბლებს. მრუმედ ირეკლებოდნენ ნაცრისფერი თხემები. დიდხანს უმზერდა ჩუმად და დაკვირვებით.

— რევაზ! — უცებ მობრუნდა შავლეგო.

რევაზმა თავი აიღო.

— რა არი, შავლეგ?

— ღმერთი მე ასე წარმომიდგენია: ზის სადღაც მთის წვერზე კეთილი, გულუბრყვილო ბერიკაცი, რომელსაც ჰგონია, რომ ანგელოზებს ყველაფერი სწორად მოაქვთ ჩემს ყურამდეო. ქვევით კი ჭიანჭველების ქალაქი ფუსფუსებს თავისი გავარვარებული ვნებებით, დაუოკებელი სიმძაგით, ლეთარგიული სიმშვიდით, აუტანელი სიმდიდრით, მიუტევებელი სიღარიბითა და მოსატევებელი სიხარბით. ღვთის სადიდებლად გუნდრუკი თავის დროზე იკმევა. მსხვერპლი თავისი ფეხით მიდის სამსხვერპლოზე და შესაწირავს იწირავენ ტაძრები. მსუყე სუნი სასიამოვნოდ ეღიტინება მთის წვერზე მჯდარი ბერიკაცის ნესტოებს, ენას მადიანად აწკლაპუნებს და საკმევლის მოლიცლიცე ბურუსში თავისი ნამოქმედარით კმაყოფილ თვალს ყველა ფერი ცისფრად ეჩვენება.

რევაზი ერთხანს გაკვირვებით ისმენდა, მერე გამქირდავად ჩაიცინა.

— რაზე მიარაკებ?

— არაფერზე. გახსოვს, ერთი მოცურავე რომ იღრჩობოდა და ღმერთს შველა სთხოვა?

— მახსოვს.

— ისიც თუ გახსოვს, ღმერთმა რა უპასუხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მახსოვს.

— არ გახსოვს.

— მახსოვს, ხელი გაიქნიე და გეშველებაო, მერე?

— მერე არაფერი. ამ ხელის თითებს ხედავ?

—ძალიან კარგად.

— ცალ-ცალკე არაფერი შეუძლიათ, მაგრამ, აბა შეკარი, რა მუშტი გამოვა.

— რა ბუშმენივით მელაპარაკები?

— ახლა აღარც ბუშმენები ლაპარაკობენ ეგრე, მაგრამ ვატყობ, შენთვის საჭიროა. ომმა აუნაზღაურებელი ზარალი მოგვაყენა, მაგრამ ერთი რამ მაინც თვალნათლივ გვიჩვენა: კაცს თუ რწმენა დაეკარგა, დაღუპულია... ჩვენგან კი ეს დაიხსომე: ადამიანი მარტოა და მის ირგვლივ მხოლოდ ადამიანია, შენ როგორ ფიქრობ, იმ მოცურავეს რომ ნაპირზე კაცი დაენახა, ვის სთხოვდა შველას?

რევაზს არაფერი უპასუხნია. იჯდა და დუმდა. გაშტერებით მისჩერებოდა დაისის მიბნედილ შუქში გახვეული ჰერმის ვარჯს და მანამდე არც განძრეულა, სანამ დედამ არ გამოსძახა, ვახშამი მზად არისო.

4

ფუჩეჩს რუხი მიწისფერი დაჰკრავდა. გამხმარ ფოთლებზე შავ-შავი წინწკლები ხალებივით დაჰყროდა. თავებზე გაპარჭყულ საგველებს უსასოო მლოცველებივით აეშვირათ ცისკენ თითები და გარინდულიყვნენ. ზაფხულის გრძელი გვალვისაგან გამოფიტულნი, ოდნავ შეხებაზედაც კი იმტვრეოდნენ.

თედომ უწადინოდ ერთხელ კიდევ გახედა ნაკვეთს და შარშანდელ ნარუალთან გავიდა.

„უხარისხოა, — გაიფიქრა თავისთვის, — მხოლოდ მაშინ შეიძლება იჭამოს, როცა საქონელს ასკილის ყვავილობა დაუდგება. დავაგვიანეთ სიმინდის

მტვრევა. ფუჩეჩიც ადრე უნდა მოჭრილიყო. თივაც ცოტა გვაქვს წელს, მთიბავები თავის დროზე არ მოამარაგეს ჯერით და მეორედ აღარ გათიბეს პირიმზისა ცარიელა ნამჯამ რა უნდა ქნას? რა მაწიერობა აქვს ცარიელ ნამჯას!“

თედო აბალახებულ ნარუალს გაჰყვა. მიდიოდა და რაღაც უსიამო, დაბეჟილი ხმით ღიღინებდა:

მე რა მენაღვლება,
დედა მოგიკვდება.

„ნიკომ იფიქროს, თორემ ჩემი ნაკვეთები სულ სარწყავშია და არც სეტყვა მოხვედრია. მევენახეობა ჩავარდა, მემინდვრეობა ჩავარდა, არც მეცხოველეობაში აქვს საქმე კარგად და გრძელი ზამთარი ზურგზე აკრავს“.

ბრიგადირი ნარუალს გადაახტა და ხრინწიანად გაიცინა.

„წელს კი უეჭველად ჩამოგხსნით ეპოლეტებს ნიკალაი“.

მეზობელი ნაკვეთიდან ხმაური ისმოდა. დროდადრო გამოაღწევდა ქალების კისკისი. შორს, ფუჩეჩის განაკაფში, ტაროების ოქროსფერი გორა მოჩანდა.

„ეს ნაკვეთიღა აქვს დარჩენილი მარკოზას და მერე შაბაში იქნება, მოთავდება მოსავლის აღება.

წელს ძალიან ვივაჟკაცე: ყველაზე ადრე და ყველაზე მეტი მოსავალი მე ავიღე. ჰო, რა ჩაუვარდა რევაზს ნაცარში კოვზი! ლეომ იცის ხოლმე: შექსპირმა თქვაო... შექსპირი ვინ არი?—მე ვთქვი და, რაცა ვთქვი, მოხდა კიდეც. დაბდღვენით ერთმანეთი მამლებივით. დედალი კი ამასობაში კუჭს გამოიძღობს“.

მარკოზა ვერსად იპოვნა ნათავმჯდომარალმა. ბოლოს სიმინდის ხვავთან უთხრეს: ფშაზე ჩავიდა წყლის მოსატანადო. თედომ მოცდა გადაწყვიტა და თავადაც დაუწყო სიმინდს მტვრევა. წინათ, სანამ ჭალისპირის კოლმეურნეობები შეერთდებოდნენ, მთელი ეს მიწები მის სამფლობელოებში შედიოდა და მარკოზაცა და მისი ბრიგადაც მას ეკუთვნოდა. ახლაც მიჩვეული ხალხი კიდევ მორიდებით ეპყრობოდა და ვაგლახად ვერ აკადრებდნენ ხუმრობასაც კი. თედო გრძნობდა ამას და გუნებაში უხაროდა. თავად ცდილობდა ხუმრობასა და თავის გაყადრებას.

მარკოზა მაინც არ ჩანდა.

გული აუცრუვდა. მიზეზი მოძებნა: დღეს ფუჩეჩს ვაჭრევინებ, უნდა დავხედოო და წავიდა.

მარკოზა ფშის პირას იპოვა. ურემს ძველი ფერსო გასტეხოდა და გასამაგრებლად კეტს უკრავდა სოლებშუა.

მორჩილად მდგარ ცხენს ქვიქვირი ჩამოეგდო და ხამუშ-ხამუშ, ზარმაცად გამოხედავდა ფერსოსთან მოჩალიჩე ბრიგადირს.

— სხვა ვეღარავინ გამოგზავნე? — მიესალმა თედო.

— არ მინდოდა სამუშაოზე ვინმე მომეცდინა, — გაუკვირდა მეზობლის დანახვა მარკოზას, — წუხელ იგეთი დღე მაყარა ძია ნიკომ, დილას დედაბუდიანად ავყარე ოჯახი და აქ გამოვრეკე.

თედო გადასწვდა და წკეპლას გრეხვა დაუწყო.

— წნელი დაიჭერს?

— დაიჭერს, მაშ რა ჩემი გამჩენი გაუწყრება.

კეტი მორგვზე გადაატარეს და საიმედოდ მიაკრეს.

ნათავმჯდომარალმა ფშას გახედა.

— სად უნდა გაავსო კასრი, რა ეშმაკმა აამღვრია?

მარკოზა მობრუნდა.

— ეს სულ იმ დამთხვეულის ამბავია, ალაზანში მიუგდეს და ესლა მოწანწკარებს. ხანდახან ესეც აიმღვრევა ხოლმე. წეღან კი კამკამა მოდიოდა. ჩამოჯექი მანდა, მალე დაწნდება.

დაბურულ თხილებსა, მურყნებსა და ლაფნებს ქვეშ შეგუბებულიყო ფშის წყალი. შიგ ტბორში გრძელი მაგიდა გაეკეთებინათ. აქეთ-იქით სკამები გასდევდა. ნაპირიდან სკამებამდე განიერი ფიცარი გაედოთ. ლამაზი ადგილი იყო.

მარკოზამ ცხენის სადავე ლაფანს გამოაბა და მეორე მხრიდან მიუჯდა მაგიდას. მოწუწული სახე ჩამოიწმინდა

და მცირე ხნით ზედვე შეაჩერა ხელები. თითებშუა მოჩანდა მოპირდაპირის გაუპარსავი, წითური წვერი და ბუზების ნასკინტლივით უხვად დაყრილი ჭორფლი.

თედომ შეამჩნია ბრიგადირის გაყინული მზერა. თავადაც გამომცდელად შეხედა და აიძულა სახიდან ხელები ჩამოეცილებინა.

— შენ ამ ბოლო დროს, რაღაც სალამი დაგიძვირდა. სადა ხარ დაკარგული, რომ ერთხელ აღარ გამომიარე?

— არც მაინცა და მაინც შენ აგიტალახებია ჩემი ეზოს ბილიკი. ვერც გაგამტყუნებ, მოსავლის აღებაა.

— დაგრჩა კიდევ რამე?

— ხვალ-ზეგ მოვრჩები.

— რატომ აჭიანურებ? შეიძლება წვიმებმა მოგისწროს.

— ვერ მომისწრებს, ჯერ კიდევ კაი დღეები წავა. ხალხი თავიანთ საქმეზე იყო დაბანდებული და ვერ გამოვიყვანე დროზე. ხვნა კი დამიგვიანდა. ჩალა მოსაჭრელია და ნასიმინდარი გასაწმენდი. ძალიან შემიკეთა ძია ნიკომ.

— ეგ არაფერი, მეც კი გადმომკრა წუხელ. ალბათ, იმიტომ არის გამწარებული, გუშინღამ მაკე ძროხა რომ აალიტეს.

— აბა, კაცო, რა ძროხა იყო! ჯერზე სამ ხელადას იწველიდა.

— არხეინად.

— საკვირველია, აგრე როგორ წაიყვანეს, რომ ძაღლმა ვერა გაიგო რა. ზურგზე ხომ ვერ აიკიდებდნენ?

— სუნს ბერხევამდის მიჰყვა ძაღლიო.

— ნაღდი თვითმკვლელობაა. იფიქრა: ამის ხელში ყოფნას სიკვდილი მირჩევნიაო, წავიდა და თავი დაიხრჩო.

ქვაფენილზე ჩავლილი ფურგონივით გაგორდა მაგიდაზე ხარხარი.

— შენ როგორ ფიქრობ, ვისი ნახელავია?

თედომ გაზღარბული ყბები მოიქექა და არაბუნებრივად წითელი თვალები დააელმა.

*— დღესაც გადავუკარ თავმჯდომარეს,* არ მეგონა თუ რევაზი ამდენს გაგიბედავდა-მეთქი. კარგად შევუკეთე. დაე, დაჭამონ ერთმანეთი, პროლეტარიატი ბორკილების მეტს არაფერს კარგავს.

მარკოზამ სიგარეტი ამოიღო. სიგარეტის კვამლი მაგიდის თავზე გაწერთხო.

თედომ უსიამოდ აიქნია ხელი.

— ვითომ რევაზი მარტო იქნებოდა? — სხვა მხარეს გააბოლა მარკოზამ.

— შაბათს გოდერძიანთ ბიჭი და ეგ თავიანთ ეზოში ისხდნენ, მერე მიდგნენ და თოფს ნიშანში ესროდნენ ქათმებს.

— ვინმეს ქათამი თუ გადავიდა იმათ ეზოში.

— მაშ თავიანთებს ხომ არ დახოცავდა?

— არც ჩასაბერი დააკლებდა ხელს.

— არც თონიკეს ბიჭი.

— ეგენი ხომ დღე და ღამე ჭყანტობში ყრიან, როდისღა ახერხებენ?

— ეშმაკი ღმერთმა დასწყევლოს, გაიგებ რამეს? ვინ მოიფიქრებდა, რომ ამოდენა წყლების დაწრეტა კაცის ხელით შეიძლებოდა? იქაურობა გველბაყაყით არის სავსე.

—ციებაც რომ არ მიჰკარებიათ?

— ჩემი შალიკო ციებამ არ გაათავა?

— შენი ბიჭიც იქ დადიოდა?

— მაშ როგორ? დადიოდა. დედ-მამა ღლეტურა არა ჰყოლია და თითონ რად იქნება?

— რა თქმა უნდა, ეგ არც არის გასაკვირი, — მარკოზამ კიდევ ერთხელ შეაბოლა მოსაუბრეს, — მაგრამ მე ის მიკვირს: ის ოქლაქი რამ მიიყვანა მაგათთან? იმ დღეს გავედი, ვთქვი: ჩემს ნაკვეთებს ესაზღვრება, ვნახავ ერთი, რას აკეთებენ-მეთქი... ამ სიგრილეში დატიტვლებულან და რას ურახუნებენ ბარ-ნიჩაბსა და წერაქვს, გაგიჟდები! ეგრე რომ გვემუშავა ყველა ჭალისპირელს, თითო კომლი თითო მილიონის პატრონი იქნებოდა. ნამეტნავად ზაქრომ გამაკვირვა. იგრე ბუღრანაობდა იმ დამპალ წყალ-ტალახში, კაცი ვერ ჩერ-

დებოდა იმის ახლო-მახლო. ტანზე ვიცანი, თორემ მთელი თავ-პირი შავად ჰქონდა ლაფით გაპოხილი. ეგრე გადარევა ჯერ არ მინახავს კაცისაგან. გეგონებოდა, რაც ალავერდში დააკლო თავის მოჩხუბრებს, ეხლა იყრის ჯავრსაო.

—ჩემი შალიკო კი ჩააგდო ციებამ და წყალზედაც ძლივს გადის ხანხალით.

მარკოზამ იცოდა რა ციებაც ჰქონდა თედოს ბიჭს შეყრილი.

— აკი ბაკურციხის ტექნიკუმში აპირებდა შენი ბიჭი წასვლას?

თედო მოიღუშა და კიდევ ერთხელ აუქნია ბოლს ხელი.

— ვინ გაუშვა მერე? ჭირი მოვჭამე ბალაანთ, მაგრამ ნიკოს ძალლობა არ იცი? ციებას არ დაეძებდი, გაეშვა, რაღაცას ისწავლიდა ბალღი, არა, სანამ ორ წელიწადს მაინც არ მიაკვდება კოლექტივს (ძაღლი მიაკვდა მაგის გვარ-ჯილაგს სულში), მანამდე ფეხს ვერ გადადგამს ჭალისპირიდანო.

მარკოზამ ნიკაპი დამუშტულ ხელებზე ჩამოდო და დიდხანს იყო გატრუნული. გულს აღარ ხვდებოდა ადრინდელივით თავისი ნათავმჯდომარალის „ფრთიანი“ სიტყვა. ერთადერთი, რისი იმედიც ჰქონდა, ნასყიდამ გაუცრუა.

საკვირველია, საიდან აღმოაჩნდა იმ ღორბლიანს ამდენი ჭკუა? სახლი ვახტანგმა იყიდა და მისი ნაკვეთიც მანვე მიიზომა. რას ერჩი, ვერ გაამტყუნებ: „მე მეგონა ჭალისპირშიც მეკუთვნოდა მიწა. არ მეკუთვნოდა? წაიღეთ, ძმაო, რაც ფეხზე ამკვრია. იქვე დამიფხეკნია. თქვენი იყოს, მაგრამ სახლზე რას მემართლებით, მასალისა და მუშის ფულს მაინც არ ამინაზღაურებთ?“... ნამდვილად ვიღაცა ჰყავს რაიონში, ტყუილად კი არ დაძვრება წარამარა პეწენიკავარდენთან. არა, ამბობენ კი, რაიკომის მდივანი სწყალობსო. თუმცა რაო. — თედო რომ დაჯდეს ნიკოს მაგიერ, თავის ადგილს მე დამითმობს? ბრიგადირობა კი ახლაც ზედა მაქვს. აჰ, არა, ძმაო, ყველა გიჟმა თავის ჯაჭვი თვითონ გაწყვიტოს“.

თედომ ბრიგადირის მზერაში გულგრილობა ამოიკითხა. ცხვირში რაღაც დაიქსუტუნა და ხელისგულით სქელი ტუჩები მოიწმინდა. იგრძნო, რომ ეს ერთი, ყველაზე მთავარი საყრდენი ხელიდან ეცლებოდა. თვითონ ის საქმეც, რომელზედაც ფიქრით მრავალი დღე დაუღამებია, დაღუპვის პირს იყო. რამდენი წელი, რამდენი გრძელი წელი იდო მის წინ, როგორც უწვრთნელი ცხენის წინ მაღალი თარჯი, და ჯერაც ვერ აეღო. რამდენჯერ შეეხალა ფარულად მის კედლებს, რამდენჯერ მოსინჯა მათი გამძლეობა. დღემდის კი ვერც გადალახა და ვერც გაანგრია. მაგრამ თედო არც ეგრე რიგად არის შეჩვეული უკან დახევას. ვერც ეგრე შეურიგდება დამარცხებას. მთავარია. ცდა არ დააკლოს, თორემ დროებითი წარუმატებლობა გრიპივით გაივლის. მთავარია, მარკოზა არ გაუშვას ხელიდან. — დიდი ხანია საბჭოს თავმჯდომარეობას უმიზნებს და თედოს დახმარების იმედი აქვს. თუმცა ნასყიდამ მორყეული სკამი ისევ გაიმაგრა და საეჭვოა ადვილად დათმოს. მაგრამ არაფერია, ძალა აღმართს ხნავს და დაათმობინებენ. ბეღურა ხომ მარკოზაზეა გამობმული, ქოსა გოგია ნახევრად სულელია და ადრიდანვე მის კარზე ნაგლები, ეფრემა და ხატილეწია მშობელ მამას თიხაში გასცვლიან, ჯავახიანთ ია... არა, ია ამ საქმეში არ გამოდგება. რა ეშმაკად უნდა ია, მაგის გარდა, სხვაც ბევრი მოიძებნება. ოღონდ სიტყვის გატანაა საჭირო ხალხში, თორემ უცხვროდ მატყლი ვინ ნახა? ყველაზე საშიში მაინც რევაზი იყო მისთვის. მაგრამ მხრებზე თავი ტყუილად კი არ აბია. ჯერ ნიკოს წინააღმდეგ გამოიყენა, ახლა კი თავად ნიკო დააჯახა და ჯიგრიანად აბღლვნევინებს. სულაც რომ მოუთავოს ხელი, უკეთესია. ამ სულელ მარკოზას უნდა ჩააგონოს, რომ საბჭოში შეიძლება რევაზი დაჯდეს ნასყიდას შემდეგ და ამისი ხელით მოგლეჯს ნარსაც. ეჰეე, თედოს თავი ტყუილად კი არ აბია მხრებზე.

— შენ, მარკოზ, იცი რევოლუცია რად მოხდა?

მარკოზამ ვერ გაიგო.

— რომელი რევოლუცია?

— ახლა, რა ბალღივით მეკითხები, არ იცი. რომელი რევოლუცია მოხდა?

— მერე?

— რა მერე? რად მოხდა?

— გამოცდას მიტარებ? პოლიტსემინარზე ხომ არ გგონივარ?

— არა, შენ მე მითხარი. რევოლუცია რად მოხდა.

— რადა და პროლეტარებმა ძალაუფლება აიღეს.

— რატომ აიღეს?

—იმიტომ, რომ ნებით არ მისცეს.

— მერე, რატომ არ მისცეს?

— როგორ თუ რატომ არ მისცეს? — მარკოზა დაიბნა.

— ჰო, აბა მითხარი, რატომ არ მისცეს?

— იმიტომ. რომ... რატომ უნდა მიეცათ ნებით?

— ეჰ, მეზობელო, ახალგაზრდა კაცი ხარ, მაგაში არ უნდა ერკვეოდე? აი, ეხლა შენ თქვი, ძალაუფლება აიღესო. მაშასადამე, წაართვეს და წაართვეს ის, რაც თავად არა ჰქონდათ. მერე, რატომ წაართვეს? იმიტომ, ჩემო მარკოზ, რომ ძალა-უფლება დიდი საცდური რამ არი. თუ ძალა-უფლება გაქვს, ყველაფერი ხარ.. იტყვი: ეს ნეზვი კი არა, ფაშატიაო და მაშინვე ზოგი ნალ-ყაირს მოარბენინებს, ზოგი ლაგამ-უნაგირს და ზოგიც ჯაგარზე დაუსვამს ხელს: „აუ. რა ფაფარი აქვსო!“ აი. ეგეთია ძალაუფლება. შენ კარგად იცი, მე შენთვის ცუდი არასდროს მომინდომებია. ახალგაზრდა კაცი ხარ, დავიჯეროთ, ბრიგადირად ჩაკვდომას აპირებ? მთელი სოფელი აჯანყებულია: აკურელ კაცს ჭალისპირში რა უნდა თავმჯდომარედ, ჩვენთან კაცი დაილიაო? გაწამდა ნასყიდაც. უთქვამს: თითონ წავალ, სანამ გამაგდებენო. ახლა უცდის. სანამ იმ სახლ-ვენახს დაახურდავებს და მერე აიკრავს გუდა-ნაბადს.

თედო მიხვდა, რომ ნიშანში მოარტყა, იდაყვები მაგიდაზე დააწყო და ნიკაპი უფრო წინ წასწია.

— ახლა ერთადერთი მოქიშპე მაგ ადგილზე რევაზიდაა. მაგას მე კარგა შევუყენე წყალი, თუ გახსოვს. დაბორიალებულია. ახლა ერთი წიხლის კვრა და — ციხეც დაიქცევა.

— ნურც ეგრე ენდობი, თედო, მაგის სიჩუმეს. ვიცნობ, რა „ცხვარიც“ არის. ფოცხვერმა ეგრე იცის ხოლმე განაბვა ნახტომის წინ.

თედომ ზიზღნარევად, უხმოდ გაიცინა, დათვის-ცერცვასავით ყვითელი კბილები გამოაჩინა. რატომღაც გულმოდგინედ გალოკილი ტუჩები მზედაკრულ თუნუქივით აუპრიალდა.

— შენ მოუსმინე, რას გეტყვის თედო, და ის გააკეთე. დანარჩენი ჩემზე იყოს: იმ დღეს ყური მოვკარი, რომ ეგ ჯეილი არყის გამოხდას სახლში აპირებს.

— მერე?

— მერე არაფერი. შენ ბეღურას უთხარი, რომ თავისი ჭაჭა მაგასთან მიიტანოს. ეგ საწყალ ხალხს არაფერზე უარს არ ეტყვის.

— მერე?

— მერე რა? ხომ გითხარი. დანარჩენი მე ვიცი-მეთქი?

მარკოზამ თავი გაიქნია.

— ბეღურას მოეშვი, თედო, ამ ზაფხულსაც, ხომ ნახე, არა გამოვიდა რა იმ ერთი ურემი თივიდან.

ნათავმჯდომარალმა წარბი შეიკრა.

— რადა გგონია, რომ არ გამოვიდა? შენ ხომ იცი, სანთელ-საკმეველი გზას არ დაჰკარგავს. შენ ჭაჭა იქ მიატანინე ბეღურას, დანარჩენი მე ვიცი და ჩემმა ვაჟკაცობამ.

ფშაზე წყლის დასალევად ნახირი დაეშვა. ფეხდაფეხ მოჰყვა მხარზე ჯოხგადებული მენახირე. მაგიდასთან მსხდომნი შენიშნა და სალამი გადმოაგდო.

თედომ სალამზე უგემურადვე უპასუხა და საუბრის კილო ერთბაშად მოსხიპა.

## თავი მესამე

1.

ცხენმა ერთი ნახტომით აივაკა და ვენახებსა და რიყის შუა მოქცეულ ნაიონჯარს ნაპირზე გაუყვა.

ბილიკამდე წამოეწიათ კლდის თავზე ამოსულ მაყვლის ბარდებს სწრაფმზარდი ტოტები, წვეროები მიწაში წაეყოთ და ხელახლა დაფესვიანებულნი ზოგან ბილიკსაც კი გადასცილებოდნენ.

ცხენი მოხერხებულად არიდებდა ფეხებს ეკლიან ზონრებს და ტაატით მიარწევდა ჩაფიქრებულ პატრონს.

ვენახიდან ხმამაღალი ლაპარაკი მოისმა.

ნიკომ თავი აიღო და ქოხს უკან, თავნაკაფ თელასთან ცხენი შეაჩერა.

ვარდუაანთ იოსებას ერმანა რაღაცას უმტკიცებდა და თან, თავისი აზრის გასამაგრებლად, ხელებს განივრად იქნევდა.

ნიკო დააინტერესა მათმა დავამ და ცხენი მწკრივებისკენ შეაბრუნა. ის იყო შიგ უნდა შესულიყო, რომ საიდანღაც მესამეც გამოძვრა და მოდავეთ მიუახლოვდა.

თავმჯდომარემ იცნო ნაბრიგადირალი, წარბი უსიამოდ შეიკრა და ცხენს კვლავ თავქვე უქნა პირი.

„კარგი ვქენი, რომ სიკო ისევ თავის სამწყსოში დავაბრუნე და მაგისი ბრიგადა ერმანას ჩავაბარე. ორი კურდღელი მოვკალი: ერმანას გულიც მოვიგე და ვენახებიც გამოცდილ ხელს არ ავაცდინე“.

ვენახები და ნახნავები.

ვენახები და ნახნავები.

ცხენი ქვით მოფენილ მინდორზე გავიდა. ოდესღაც ამ ადგილზე ბერხევას ევლო. ურო-ბალახასა და ჭიოტაში გამომზირალი ნაცრისფერი ქვა-ღორღი მოჩანდა იმ დღეთა სახსოვრად.

ნალის ჭახუნმა ნიკო ფიქრებიდან გამოარკვია. გადახნულ-დაფარცხულ ნამაყვლარს გახედა და დიდხანს თვალმოუცილებლად უცქირა.

რამდენჯერ თავადაც მოსვლია ფიქრად ამ გაუვალი მაყვალ-ბარდის გადაწვა, მაგრამ რატომღაც ვერც ერთხელ ვერ ამოაცილა ყელს სათქმელად. კომკავშირელებმა კი თვითონ მიიწერეს ახალი სახნავის შემომატება. მართალია, ცოტა ქვიანია, მაგრამ სამაგიეროდ ნასვენია და რამდენიმე წელს კარგ მოსავალს მოიყვანს. მერე სასუქი და მაგის ჯანი!

ცხენმა გალია მაყვლიანი და მინდვრებშუა საურმეზე გაუყვა.

დღე ბურუსიანი იყო, ოქტომბრის ბოლოსთვის უჩვეულოდ თბილი. კუპრივით ჩაშავებულიყო ნახნავები. ნახნავების თავზე მქრქალი — ლილისფერი ჰაერი გარინდებულიყო; ჰაერში მარტოხელა ძერა ბოინობდა. დროდადრო შეჩერდებოდა და კარგა ხანს უძრავად ეკიდა ერთ ადგილს. მერე ისევ იწყებდა კალოს ლეწვას. უეცრად ძერამ მხრები მოწურა და ძირს ტყვიასავით დაეშვა. მხოლოდ ოდნავ შეეხო ნახნავს მკერდით, ელვის უმალ კამარა შეჰკრა, კვლავ ზევით აიწია, ჰაერში შეცურდა და თან განწირული, სუსტი წრიპინი გაიყოლია.

„წლევანდელმა გვალვამ თაგვი ძალიან მოამრავლა, — გაიფიქრა თავმჯდომარემ, — კიდევ რამდენიმე კაცი უნდა გამოიყოს მათთან საბრძოლველად, თორემ გამიტიალებენ ნათესებს“.

ნახნავებს ქვემოთ მწვანედ ხასხასებდა ნაადრევი ჯეჯილი. შორს, ჯეჯილის თავში, სამარგლავად გასული დედაკაცების გაბმული მწკრივი მოჩანდა.

„გვალვა და სეტყვა! გვალვა და სეტყვა! — წელი ისე არ გავა, რომ ან მზემ არ ამოახმოს და ან სეტყვამ არ ჩამიკაკუნოს სადმე. რუსუდანი მართალია, — სანამ ნაწვერალზე თესვას საფუძვლიანად არ მოვკიდებთ ხელს, პირუტყვისათვის საზამთრო საკვებს ბარაქას ვერ დავდებთ. წელს გვალვამ შემიშალა ხელი, გაისად კი... ეჰ, ვინ იცის, გაისად რა იქნება. ფერმაში ძროხები მიკლია,

გეგმა კი ყოველ წელს იზრდება და იზრდება! არა, აუცილებლად კიდევ უნდა შევისყიდო კოლწევრებისგან და მუშა-მოსამსახურეებისგან ფურები, თორემ რაიონში ისევ პირშავად გამოვალ... საზამთროდ ცხვრის გარეკვა კი ადრე მომივიდა. მაშ რა მექნა, ვენახებში ხომ ვერ შევრეკავდი საძოვრად? გადამხმარ-გადაჭმულია მთელი მინდვრები. თუმცა, იქნებ უკეთესიც იყოს, დოლი ადრე იქნება, ბატკანი მოიზრდება, მუხლი გაუმაგრდება და საზამთროდ ან საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვისას ნაკლებ იზარალებს“.

თავმჯდომარემ რაღაც უცნაურად ჩაიღიმა, თვალები დამცინავად დაწკურა და ტუჩქვეშ ულვაშები ცერით გაიწგამოიწია.

ბერხევის მცირე ჭალის მოსახვევიდან მანქანა გამოვიდა. როგორც კი გაუსწორდა თავმჯდომარეს, გაჩერდა. კაბინის სარკმლიდან ლექსომ თავი გამოყო.

თავმჯდომარემ სიმინდის ტაროთი სავსე ძარაზე წამოსკუპებულ დათას ახედა.

— რატომ წამოსულხარ, ბიჭო?

— მაშ, განა მგელი ვარ ღამეც მინდორში ვეგდო.

— იმ ხვავს ყარაულობა არ უნდა?

— უნდა და ჰყავს კიდეც!

— დატოვეთ ვინმე?

— მთელი ხალხი იქ არი, ფუჩეჩსა ჰრიან.

— ხალხს არ ეკითხები, ხვავს ვინ უყარაულებს ამაღამ?

— გიგა-პაპამ თქვა, წადი, მე ვიქნებიო.

— ჰმ! — წაიბურტყუნა თავისთვის თავმჯდომარემ. — მანდ რაღას შემომჯდარხარ ჭოტივით, კაბინაში ადგილი არ არი?

— განა შაშხი ვარ, კაბინაში რა მინდა?

— როგორ თუ შაშხი?! — ნიკო ახლო მივიდა და ცისფერი კვამლით სავსე კაბინაში შეიხედა. — ეს რა ამბავია, რა დაემართა მანქანას, ბიჭო?

ლექსომ მხრები აიჩეჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს მეორე გზობაა, ეგრე აბოლებს.

— მოტორში აქვს რამე?

— ალბათ მოტორშია.

— კიდევ ბევრი დარჩა?

— ხუთი გზობა იქნება.

— დღეს კიდევ რამდენს მოასწრებ?

— აბა, რაღას მოვასწრებ, სხვა არა იყოს რა, გამოვიხრჩვი ამ სატიალოში. ავალ და, უნდა დავშალო.

— რაც შენ ეგ იმ სახლს დააჯახე, მას შემდეგ ველარ იხეირა.

— რა სულ ის სახლი გაკერიათ პირზე, ძია ნიკო, მომაგდე ჯაბახანა და სხვები ახალ მანქანებზე დასხა.

— არცერთი არ არის ამაზე კარგი, საქონელს გაფრთხილება უნდა! ისინი უფრთხილდებიან!

— ამის პატრონის დედაც ვატირე, მაშ, ჩემზე მეტად უფრთხილდებიან? სხვა რომ მჯდარიყო ჩემს მაგიერ, აქამდე ამის ძვლებიც არ იქნებოდა.

— კარგი, გეყოფა ახლა თავის მართლება. გასწი იქნებ ორი გზობა კიდევ მოასწრო და ხვალისთვის მოათავო კიდეც ამოზიდვა. სხვა მანქანებს მაგისთვის არა სცალიათ. რაღაც უჟმური დღეები მოდის, შეიძლება იწვიმოს კიდეც. დაშლას მერეც მოესწრები.

ლექსომ ცოტა ხანს უყურა თავქვე ქევქევით წასულ თავმჯდომარეს, მერე ბრაზიანად გადაადუქა და კაბინაში თავი შეყო.

მანქანა კვლავ ახროტინდა, მოწყვეტით დაიძრა და ძარაზე არხეინად მჯდარ დათას კინაღამ ცხვირი ტაროებზე დაკვრევინა.

თითქოს გადაეჩვიაო ნიკო ცხენზე ჯდომას. უკვირდა: ნუთუ სანამ მანქანას იყიდიდა, მანამდეც ეგრე კუსავით დაღოღავდა? მთაში წასასვლელად ან ტალახში თუ შეჯდებოდა, თორემ ამგვარ ამინდში ცხენი? მაგრამ რა ჩარაა, რაც ის მანქანა... ყოველთვის მწვავედ განიცდიდა თავმჯდომარე მანქანის გახსენებას. თითქოს ის ღამე იყო მიჯნა, რომლის იქითაც ნიკო ნიკო აღარ

იყო. გარაჟის ნანგრევებმა შთანთქა ნიკო, ვისი სურვილებიც რაიკომიდან მოკიდებული მეურმე ბედურამდე თითქმის უშენიშვნოდ სრულდებოდა. და დარჩა მხოლოდ თავმჯდომარე, რომელსაც ღამით მაკე ძროხას პარავენ, მთელ ეზო-ბაღჩას საკუთარი ღვინით ურწყავენ, მანქანას გარაჟიანად უნგრევენ და ზედ შვილივით ნაზარდ ძაღლსაც აკლავენ. მაინც რა მოხდა? საიდან დაიწყო ყველაფერი ეს? ნუთუ ეს ერთმა, რევაზმა ქნა? აი, შურისძიების მაგალითი თუ გინდა! და ისევ ცხვირწინა ჰყავს. ისევ ძველებურად დაბუღრანაობს კოლმეურნეობაში, სოფელში ზოგიერთნი ჩუმჩუმად ვაჟკაცობასაც უქებენ და თავადაც ნაწყენი მეფისწულივით დადის დაბღვერილი... ვაი, რა ცუდად გიცვნიათ ნიკო, დალლარებო! მაგრამ იქნებ თითონაც ცუდად იცნობს თავის თავს? ხომ არ აზვიადებს თავის შესაძლებლობებს? ხომ არ დაბერდა? აარა! ნიკო ისევ ის ნიკოა და დღეს თუ არა, ხვალ იგრძნობენ მისი მტრები, რომ ვეფხვს პწკალები ჯერ არ დასცვეთია! ჯერ კიდევ ბალღი იყო, მოჯამაგირეობისას „ხაზეინს“ რა დღე აყარა! ახლა თვითონ არი ხაზეინი და, აბა, ნახავთ, შეუძლია თუ არა ხაზეინობა! ნიკოს ისიც ახსოვს, რა მუქარას უთვლიდა ყაჩაღად გასული ოთხი ძმა გურასპაშვილი, როცა მათთვის ჩამორთმეულ სახლში ახლად ჩამოყალიბებული კოლმეურნეობის კანტორა გახსნეს. მთელი ალაზნის პირი ძრწოდა მაშინ მათი კარაბინების შიშით. ნიკომ არც კოლექტივი დაშალა და არც კანტორა გადაუტანია სხვაგან. პირიქით, მთელი ქვედა სართული საწყობად აქცია. ძმებმა საკუთარი ხელით ნაშენ სახლს საკუთარი ხელითვე მისცეს ცეცხლი, ხოლო მისი თავმჯდომარე, თელავიდან მომავალი, ხიდს იქიდან მიიმწყვდიეს ალაზნის პირას. ნიკომ ცხენი ისაფრა და გათენებამდე გაუძლო ტყვიის სეტყვას (ო, რა ცხენი იყო, ის დალოცვილი! ჯერ მარტო ტანი, კალმახივით ჰქონდა ლურჯად დაფორეჯებული.). გათენებამდე ცხენი მოუკლეს. განთიადისას უკანასკნელი ვაზნა დაცალა და პირდაპირ კლდიდან აზავთებულ ალაზანში გადაერია... უფროსი ძმა იმ ღამეს იმსხვერპლა, ხუთი თვის შემდეგ საშუალოც მისი ტყვიის წერა გახდა... ჰეჰეე! დალლარებო! ნიკოსთან მოინდომეთ ჭიდაობა? — მაშ ჯერ ცინგლი მოიწმინდეთ და შემდეგ მწკრივზე დადექით ბატალიონად...

სიმინდის ხვავთან მხოლოდ მეველე გიგა დაუხვდა. ზედ ხვავზე მოჭრილი ფუჩეჩი გაეშალა, ინახით მჯდარი თავის ერთგულ თოფს ჩახუტებოდა და ქათამივით თვლემდა.

— რათ გაუშვი დათა?

გიგას დათა არ გაუშვია, მაგრამ თავმჯდომარესთან...

— საორკაცო აბა აქ რა არი, ბალღია, გაიხარებს-მეთქი.

ნიკოს მეტი არაფერი უკითხავს, ცხენი შეაბრუნა და ფშისკენ დაეშვა.

შავ-ყავისფრად მოჩანდა ბუერებით აყვავებული ჭყანტობი. ნაცრისფერ, გამხმარ ლელს ღია-ლურჯი გადაჰკრავდა სიშორისაგან.

„საზრიანი ჩანს ეს ბალღი. — ფიქრობდა თავმჯდომარე. — ამოდენა მიწა ხუმრობა არ არი. რუსუდანი მართალია: სამ წელიწადს რომ აქ საზამთრო ვთესო, ერთბაშად ამოსწევს კოლმეურნეობას. მერე კი ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო. — კლუბსაც ავაშენებ, სტადიონსაც და ელექტრო სახერხიც საკუთარი მექნება. ის მიწები კი... ო, ის მიწები! — ნიკომ ახლა იგრძნო რა ძნელი ყოფილა თუნდაც მცირეოდენი მიწის ჩამოჭრა გლეხკაცისათვის. იმ მიწისა, რომელიც წლების მანძილზე თავისი ოფლით გაუპოხია და თავისად უგულებია. — ვითომ ის ვარაუდი გამოდგება, როგორც იმ საღამოთი მითხრეს? მერე, რომელი კოლმეურნე დაგითმობს თავისი ნებით საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთს, რათა ჩამონაჭრებთან გაერთიანდეს მსხვილ ერთეულად და კოლმეურნეობას გადაეცეს? მაშინ, რასაც დასთმობს, იმაზე უკეთესი თუ არა, არანაკლები უნდა მიუზომო. მაგრამ მაინც როგორ გააერთი-

ანებ ყველა ჩამონაჭერს? მე მგონი, ჩემი ვარაუდი უნდა სჯობდეს: ვისაც რა აქვს ჩამოჭრილი, ყოფილმა პატრონმა თვითონ დაამუშაოს, მოსავალი უკლებლად კოლმეურნეობას ჩააბაროს და მათ კი შრომადღეები დაეწეროთ. ცოტა ძნელი კი იქნება ანგარიშსწორება, მაგრამ ეს უკეთესია... არა, მაგის ვარაუდში მე ის უფრო მომეწონა, ქაჩალგორას ბაღად ქცევა. წინათ მანდ ტყე ყოფილა. მაგ გორადან წყალიც გამოდენილა, იმიტომაც ეძახიან სათავის ციხეს. ეხლაც ეტყობა გორის ძირას ნაწყაროვალი. მერე გაჩეხეს ტყე და დაშრა წყაროც. მა რა ხეირი დაეყრებოდა?

ნიკომ ცხენი შეაყენა. უნაგირის კოტას დააცქერდა და ხელისგულით ულვაშები ჩამოიფოცხა.

ცხენმა თავი ასწია, ლაგამი რამდენჯერმე თავის ძლიერი დაქნევით ჩაჭკრა და რაკი პატრონმა აღარ მიუშვა სადავე, ყურები ცქვიტა.

„არა, აქ უჩემოდაც გაართმევს თავს. სანამ დაღამდება, სჯობია ამ ცხელ გულზე ციხესთან ავიდე და საიმისოდ იქაურობა მოვათვალიერო. ქვევით, ბარად, მშვენიერი ხუთი ჰექტარი რაზე გავაფუჭო, თუ იქ შეიძლება ხეხილის გაშენება? იმ ხუთ ჰექტარში ვაზი ჩაიყრება... მგონი ცუდი აზრი არ უნდა იყოს, მაგრამ საიდან ვიშოვო წყალსაქაჩის ფული?

როდესაც სოფლის თავში, ჩახრიელას ფერდობზე ავიდა, ეგონა, სადაც არის ჩამობნელდებაო, მაგრამ, როცა იქაურობა და მთელი სათავის გორა ძირისძირობამდე მოიარა, დღე ისევ ძალაში იყო.

„ძალიან ადრე ავდექი და იმისი ბრალია. ერთი საათი რა არი, ისიც კი ვერ ვიყიდე, რომ მაჯაზე შემება. რაო, იმასაც ამიფეთქებდნენ?“

ამის გახსენებამ ისევ უსიამო ფიქრები აუშალა თავმჯდომარეს.

„მაშ, ამის პატიება შეიძლება? სადღა წავიყვანო, სადღა გადავკარგო ის გოგო! რაღა იმ ღამეს შეურჩევენ ხოლმე, როცა ის შინ არის? ოხ, დედას გიტირებ, ენუქაანთ ბიჭო, თუ შეგარჩინო, ალალი იყოს!.. რას დაემსგავსა ის საბრალო. როგორ მიხაროდა, მოიკეთა-მეთქი. ფერზედაც კარგად იყო, ჯანზედაც, და გუნებაც სულ შეცვლილი ჰქონდა: დახტოდა, კისკისებდა, საღამოთი შინ მოსულს ყელზე ჩამომეკიდებოდა ხოლმე... ახლა... ახლა ადამიანის ფერი აღარ ადევს. გახდა, სახე მოექუშა და ის ცეცხლიანი თვალებიც ჩაეფერფლა. თუ შევეკითხები რამეს, მაშინ მიპასუხებს, თორემ ზის თავის ოთახში, ფანჯარასთან, და გაჰყურებს ბაღში იმ დიდ წაბლს... მგონი, გული გადაუგრილდა, მგონი, აღარ უნდა უყვარდეს. თავადაც მიხვდა, რა კაციც ყოფილა და, ალბათ, იმას მისტირის. როგორ მეგონა, რომ მეორე წელს შესძლებს სწავლის გაგრძელებას-მეთქი. ისევ თავიდან უნდა დავიწყო ყველაფერი, ისევ ექიმები, ისევ კურორტები და ფულების ხარჯვა, ისევ უნდა ავალოლო მაჰიდამისიც...“

ნიკომ ციხისკენ შეაბრუნა ცხენი. ღონიერმა პირუტყვმა პირდაპირ დაიწყო ასვლა გორაზე.

„რაო, თედოო? — თედო ვინ არი? მაგას ყველა კბილი უგაზოდ დავაძრე. კბენა აღარ შეუძლია და ღრენით, რამდენიც უნდა იღრინოს... ოღონდ ეს ერთი ახალი ხათაბალა გამომიჩნდა. გამომიჩნდა და ახალი თავსატეხიც გამიჩინა. შემიხედავს და ყველა კაცი შემიტყვია რამდენ გრამს იწონის. მაგას კი ვერაფერი გავუგე. რა უნდა, რას იბრძვის? რა აქვს გულში? საით უმიზნებს? რა რჯის? რისთვის შემოერია ჩვენს მყუდრო, სოფლურ ცხოვრებაში?.. სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. ალო რაღაც ცუდს მეუბნება. იქნებ რევაზზე უფრო მეტად მაგას უნდა ვუფრთხოდე? — ჰააა, ნიკოო! თოკი გაგლიჯე და ჯაჭვმა არ გამოგიკრიფოს ფეხები!..

ციხესთან ავიდა.

ის იყო უნდა დაშვებულიყო სოფლისკენ, რომ საყვირის ხმა მოესმა.

ნიკო გაოცდა. ხმა უკანიდან, ტყიდან მოდიოდა.

კიდევ მოისმა საყვირის ხმა.

ნიკომ ცხენი შემოაბრუნა.

ტყის პირას, ფერდობზე, ვიღაცას თოფი გადაეხსნა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ლულაში უბერავდა. შავი მეძებარი დახტოდა მის გარშემო. დროდადრო უკანა ფეხებზე დგებოდა ძაღლი, წინა თათებით კონდახს ეპოტინებოდა და მხიარულად ყეფდა.

კაცმა თოფს თავი ანება და ხელი დაუქნია.

ნიკომ იცნო კაცი და უსიამოდ გაოცდა. არ ახსოვს, რომ ამაზე ურცხვი და მოურიდებელი ვინმე სადმე შეხვედროდეს. სადღაც, გულის არეში მტკივნეულად ეჩხვლიტა. თითქოს შეხორცებულ ჭრილობას პირი გაუხსნესო. ყოველთვის ერიდებოდა მასთან შეხვედრას. იმ დაწყევლილი ღამის შემდეგ მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი, როდესაც მართას ეზოში ხელის ურმით ჰაჯის საქაჯავი შეჰქონდა... ისიც წაართვეს... ისიც აალიტეს... მერე ვინ? აი, იმ მათხოვარმა, იმ მაწანწალამ, რომელიც სოფელში შემოუშვა, შეიფარა, წყალი და პური გაუზიარა და ახლა მოუღლელი, გრძელი კანჭებით მისკენ მოჩინდრიკობს.

ნიკოს უცებ მოუნდა ცხენდაცხენ დაშვებულიყო, პირდაპირ ზედ მიეგდო და მათრახით აეჭრელებინა ეს მოთრეული. იქნებ ცოტა გულს მოჰფონებოდა მაინც. მაგრამ თავი შეიკავა, ცხენი ისევ შეაბრუნა და სოფლისკენ დაეშვა.

ახლა სულ ახლოს მოესმა ძახილი.

ნიკო კვლავ შედგა და შეყოყმანდა.

— ხომ არაფერი უჭირს მაგ ბედშავს? ძაღლი ხომ არ არის, მაინც კაცია.

თავმჯდომარემ ცხენი ისევ გორაკზე ააგდო და დაქვეითდა.

ციხესთან ქაქანით ამოდიოდა კაკო.

მონადირე მოსვლისთანავე თავმჯდომარის გვერდით ჩამოჯდა და სალამთან ერთად უთხრა:

— პაპიროსი არა გაქვს?

ნიკომ ცერად გახედა, ცალი ხელით ალვირის ტოტი დააგრძელა და შეთრითკეპი კიდევ უფრო ჩამოიფხატა შუბლზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **იქიდან** მაგისთვის იძახდი? — ქვედა ტუჩი გადმოებურცა.

— **მაგისთვის**. ვერაფრით გაგაგონე. მერე ავდექი და ლულაში ჩავბერე. კაკომ უზრუნველად დაიდო მუხლებზე თოფი და ჯიბეების ჩხრეკას მიჰყო ხელი. — ეს ოხერი, სად ამომივარდა.

ძაღლმა მისვლისთანავე ცხენს შემოურბინა, რამოდენიმეჯერ ალერსიანად შეჰყეფა, კუდი მეგობრულად გაუქნია და წინ გაუგორდა.

ცხენმა ერთი გადახედა, მერე ცნობისმოყვარედ დასუნა, ბოლოს თავი აიღო, ავი თვალი ჩაუბრიალა და ყურები დალურსა.

ძაღლი უმალ გაიძურწა იქიდან, თავმჯდომარეს წინ მორცხვად გაუარა, მივიდა და პატრონის გვერდით დაწვა.

— აჰა, აი, სად ყოფილა. — კაკომ ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

— მაშ იქიდან მაგისთვის მეძახდი? — თავმჯდომარეს ტუჩი კიდევ უფრო ებურცებოდა, ხმაში შეკავებული ბრაზი ეტყობოდა.

— მაგაზე და კიდევ სხვა რამეზე.

— ეგ სხვა რამე რაღაა?

მონადირემ პირიდან ბოლის ბღუჯა გამოუშვა და ხელი ზევით გაიშვირა.

— აგე, აბა, გახედე!

ნიკომ ბოროტად ანთებული თვალი გვიან მოაცილა მონადირეს და მერე ზიზღით გააყოლა მის თითს.

მთის კალთის გასწვრივ, ფერდობს გადაღმა, ბერხევას თავზე სვავები ტრიალებდნენ.

— მერე, ეგ რა არი? — ნიკომ წეღანაც შეამჩნია ეს დაწყევლილი ფრინველი, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია.

— მივიდეთ და გაიგებ. დილასვე წავაწყდი. აბა, წამოდი, იქნება გეცნოს.

მონადირე წამოდგა, თოფი აიღო და ჩანთა ისევ ზურგზე გადაიკიდა. საცო-

დავად აუცანცარდა თავი ოთხივე ფეხით ზედ მიბმულ კურდღელს.

მძიმედ ჩადიოდნენ გორაკზე.

ძაღლი წინ მიხტოდა, ხანდახან მოხედავდა უკან მომავლებს და კუდს აქიცინებდა.

დასადავებული ცხენი უკანა ფეხებს ფრთხილად ადგამდა. პეიტარი დედაკაცივით მიჰქონდა თავქვე მსუქანი გავა.

სვავები ხეობიდან ზედიზედ ამოიჭრებოდნენ, ზოგნიც, ჰაერში მორიალენი, შეიკრავდნენ მხრებს და ხეობაში ჩაეფარებოდნენ.

რიყეზე ჩაუხვიეს და წყალში გავიდნენ.

იქ, სადაც კალაპოტი უფრო განივრდებოდა, კლდის ძირში აყრილი მურყნებისა და ბუწკნარის ქვევიდან სვავების გუნდი აიშალა. შავად დააბნელეს ხეობა, ფრთების ტყლაშუნით გააყრუეს იქაურობა.

მიახლოვებისას უმალვე ეცა ნესტოებს ლეშის და დაფატრული, შიგნეულის მყრალი სუნი. მურყნის ქვევიდან გამოძვრა ტურა. ძლივს მიათრევდა სიბინძურეში ალუფხულ ნაწლავებს. ძაღლის ყეფაზე თავი აიღო, თვალი შესწრო მისკენ გაქანებულ მეძებარს, ელვის უმალ ნადავლს პირი უშვა, მდევარს წითელი უკანალი უჩვენა და ბუწკნარში დურთა თავი.

რიყეზე ბებერი, პირქუში სვავი გამობობღდა. დიდი, კაუჭა ნისკარტი ქვებზე უწადინოდ გაიწმინდა და ყვითელქუთუთოიანი თაფლისფერი, კრიალა თვალი ავად შეავლო ვახშამში ხელის შემშლელებს.

ბუწკნარიდან გამომძვრალმა მეძებარმა, როგორც კი რიყეზე გამოსული ფრინველი დალანდა, შეჰყეფა და ახლა მას გამოენთო.

ბებერმა სვავმა ძაღლი ძაღლად არ ჩააგდო. უზარმაზარი მხრები გაშალა, ქვებზე მოცვეთილი კლანჭების ჭახაჭუხით გაირბინა და მერე ნელ-ნელა აიწია ჰაერში.

— ვაჰ! რეაქტიულია? — გაიკვირვა კაკომ და თოფი მოიხსნა.

ნიკოს თოფის ხმა არ გაუგია, არც ძაღლის მხიარული ყეფა, როცა თავქვე ყირაზე წამოსული ფრინველისაკენ გაექანა. გაუნძრევლად იდგა შორიახლოს და პირქუშად იცქირებოდა მურყნის ქვეშ. მერე ჩუმად, პირქუშადვე შემობრუნდა, შეშფოთებულ ცხენს ყბაზე დამამშვიდებლად მოუთათუნა ხელი, უზანგში ფეხი ნელა გაუყარა და უნაგირზე მძიმედ აიტანა იოგებში ტყვიაჩადგრილი ტანი.

2

— აქამდე სადა ხარ, ბიჭო? ყოველ საღამოს კრება გაქვს? ამ ბოლო დროს სახლი რაღაც აიკვირაძლე!

შავლეგო მივიდა და პაპას ლოგინზე ჩამოუჯდა.

აგრე იცოდა გოდერძიმ, სანამ თოვლს არ ჩამოყრიდა, ან ყინვა არ მოუჭერდა. აივანზე წვებოდა ხოლმე.

შვილიშვილმა განიერი წვერი ფთილასავით მოუთელა, მერე ისევ გაუსწორა და საბნის ქვეშ გულმოდგინედ შეუფუთა.

— გაფრთხილება უნდა, არ გაგიცივდეს. — და წამოდგა.

— მოიცა, სად მიხვალ, მოდი აქ.

— ახლავე მოვალ.

რძლის ოთახში კვლავ სინათლე ენთო.

შავლეგომ დააკაკუნა.

— მობრძანდით.

ნინო მაგიდასთან იჯდა და საკლასო რვეულებს ასწორებდა.

— შენა ხარ, შავლეგ?

— თამაშს ისევ სძინავს? — მაზლი მივიდა და გასწორებულ რვეულებს თვალიერება დაუწყო.

ნინომ ჭახჭახა სინათლეზე ნატკენი თვალები მოისრისა და კალამი დადო.

— რას ათვალიერებ?

— არაფერს. ვისია ეს რვეული?

— ვარდიაშვილის ბიჭისა.

— იოსებასი?

ნინომ თავი დაუქნია.

შავლეგო მივიდა, მძინარი ძმისწული დაკოცნა და გამობრუნდა.

— ძინავს დედაჩემსაც?

— არ ვიცი. იქით ოთახში წეღან საბედა ძალოს ელაპარაკებოდა.

— საბედა ძალო აქ იყო?

— შეიძლება ახლაც აქ არი. მაგ დედაკაცს თუ არაფერი უჭირს, არავის შეაწუხებს.

შავლეგომ ძილი ნებისა უსურვა და აივანზე გამოვიდა.

— სადა ხარ, ბიჭო, აქამდე. მოკვდა ი დედაკაცი შენი ლოდინით. შედი, იქნებ რა უნდა. რაც მოვიდა, ადგა და დაჯდა, ადგა და დაჯდა, ხრიოკზე დაბმული ცხენივით წრიალებს. დედაშენიც ცოდვაა, იქნება ძილი უნდა, სტუმარს თავს ხომ ვერ დაანებებს? ის ბედდამწვარი, საწყალი საბედაა.

— ვიცი, — მოკლედ თქვა შვილიშვილმა და ბოლო ოთახისაკენ გაალაჯა.

საბედას თავშლის ბოლოები ისე მოეხვივნა სახეზე, მარტო ცხვირი და თვალებიღა უჩანდა. ცალი ხელით ჩამოყრილ მხრებზე მოსხმული უფერული შალი ეჭირა ჩავარდნილ მკერდთან, ცალიც ნიკაპზე მოევლო და გახევებული იდგა კარებთან.

— მე მელოდები, ძალო?

საბედამ თავი უხმოდ დაიქნია და ეცადა ყელში მობჯენილი ქვითინი შეეკავებინა.

შავლეგო მივიდა, დედას ხელი მოხვია და თავსაფარი გაუსწორა.

— შენ რაღა გატირებს, დედი? ნეტავ სადღა გიდგას კიდევ ამდენი ცრემლი? ახლა შენ დაიძინე, მე და საბედა ძალო კი ჩემს ოთახში გავალთ.

— ოთახში გასასვლელად სადა მცხელა, შვილო, ერთი სული მაქვს, სანამ სახლში მივალ. საღამოს აქეთია გელოდები, გავთავდი დედაკაცი, შვილო. სახლში უნდა გამომყვე.

შავლეგო მიხვდა, რომ უკიდურესმა გასაჭირმა მოიყვანა მასთან ღამის სტუმარი. აღარაფერი უკითხავს. დედას მიუბრუნდა, თავისი ცხვირსახოცით მოწმინდა ცრემლი, ხელი მოხვია და სთხოვა, დაწოლილიყო.

— შენ დაიძინე. მე ერთ-ორ საათში აქ ვიქნები.

საბედა უკვე კიბეზე ჩადიოდა.

ბერხევა გალიეს და ორღობეში ავიდნენ.

დედაბერს არა უთქვამს რა, შავლეგოც აღარ მისძალებია.

ორღობის ბოლოს, ხელმარცხნივ, ბერხევის პირას კეთროვანივით ცალკე იდგა ფიცრული სახლი. ჩაბნელებულ ეზოში ჯგროდ დაყრილი კამეჩის ნახირივით მოჩანდა მაყვლის ბარდები. თავათ ფიცრული შეცივნული, მობუზული და საცოდავი ჩანდა შორიდან.

დედაბერმა გაშარავებულ ეზოში შეაბიჯა და ფეხს აუჩქარა. თან გამუდმებით თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდა წუწუნის ხმაზე.

— აქეთ მოდი, შვილო. — ოდნავ მოუხედა თანამგზავრს, დერეფანს მხარი აუქცია და მარნის კიბეს თავქვე ჩაუყვა. მერე კარგახანს იფათურა კარებზე.

შავლეგომ კლიტეში გასაღების სუსტი ტკაცუნი გაიგონა. დედაბერი კიდევ უფრო მოიხარა და კარი უხმაუროდ გააღო.

ღრიჭოდან მკრთალი სინათლის სუსტი შუქი გამოვარდა.

— ჩქარა შემოდი, შვილო. — მოისმა დედაბრის ჩურჩული.

შავლეგო შევიდა და კარი მჭიდროდ მიხურა.

დედაბერმა კარს ურდული გაუგდო და მარნის ბოლოსკენ წაჩანჩალდა.

მარანში შესულ შავლეგოს უმალვე თვალში მოხვდა კედლის ძირას მიდგმული ტახტი და ზედ გაშლილი ლოგინი. ლოგინში ვიღაც იწვა. თავთან დახრილიყო საბედა და ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა.

— როგორა ხარ, შვილო, შენ მოგიკვდა დედა. კიდევ გაქვს სიცხე? რამდენ ხანს დაგტოვე, შვილო, რატომ შენ მაგიერ არა წევს გულმკვდარი დედაშენი. მთლად გამხმარა ტილო.

შავლეგოს არა უთქვამს რა. ერთხანს იყო კარზე ზურგით მიყუდებული. მერე ჩუმად, მძიმედ მიუახლოვდა ლოგინს და ტახტთან შეჩერდა.

ჭუჭყიან ბალიშზე იდო პატარა, მრგვალი, მთლად მელოტი თავი. მაღალი შუბლი ნაოჭებს დაესერა. საფეთქელთან დაკლაკნილი ცისფერი ძარღვები ამობურცოდა. ერთი მათგანი აჩქარებით უცემდა. ყვრიმალისა და ღაწვისთავის ძვლები თვალსაჩინოდ ამოჩრილიყო. გაუპარსავი, დანაოჭებული ლოყები ჩასცვენოდა. მხოლოდ უფერულ, თაგვივით წვრილ თვალებში იგრძნობოდა სიცოცხლის ნატამალი.

დედაბერმა სველი ტილო მოიტანა და შუბლზე დაადო.

ავადმყოფს ესიამოვნა, ჩალურჯებული ქუთუთოები ოდნავ შეარხია და მილულა.

— დიდი ხანია დაბრუნდა?

— თვეზე მეტი იქნება. — დედაბერი ტახტის ბოლოსთან მივიდა და საბანი ასწია. — აი, რა დღეშია.

ძველებურ, ჭრელი ნაჭრებით შეკერილი საბნის ქვეშ უძრავად იდო ძონძებდაბორბლილი ფეხები. წვრილი, გამხმარი კანჭები კოჭებთან შეწითლებულიყო და ოდნავ შესიებოდა.

— რა დაემართა?

— რა ვიცი, შვილო. ამ ოთხი დღის წინ ღამე სადღაც წავიდა, სახლში გათენებისას დაბრუნდა და ვაი, იმ დაბრუნებას. მთელი ფეხები წითლადა აქვს გასივებული. მემრე ზედ ბებერებიც დააყარა.

— ექიმთან არ ყოფილხარ?

— არ გამიშვა. შემწვარი ხახვი დავადე დაბებრებულ ადგილებზე და მე თავად შევუხვიე.

შავლეგომ საბანი ისევ წააფარა, კვლავ ბალიშთან მივიდა. გამხმარ თავის ქალაზე კანი დაირასავით გლუდ გადაჰკროდა და ოფლის წინწკლებდაყრილი უპრიალებდა. დალეულ პირისახეზე ალმური ასდიოდა. მოშვებული, ბებრული ტუჩები ოდნავ გაეხსნა და გამალებით სუნთქავდა.

— ექიმს უნდა დავუძახოთ.

ავადმყოფმა მღვრიე, სიცხისაგან დაბინდული თვალები თავზე წამომდგარს წამით შეავლო. მერე ნერვიულად დაბრეცილ ტუჩებზე ზიზღისმაგვარი გამოეხატა და უწამწამო, დამძიმებული ქუთუთოები ისევ დაუშვა.

ცივი, არამეგობრული, რაღაც მტრული იყო ავადმყოფის გამოხედვაში.

— მეტი გზა არ არი, შვილო. აღარ არი, გათავდა კაცი, შვილო. არ მინდა ექიმიო. მაშ რა ვქნა, ხელიდან მეცლება, შვილო!

— ტილო ხშირად გამოუცვალე. დიდი არაფერი უნდა იყოს. მე ექიმთან წავალ. — გარეთ გამოვიდა და კარები მჭიდროდ გამოიკეტა.

საექიმო პუნქტის აივანზე ელნათურა ჩახჩახებდა. მისი შუქი შუა ეზოში მდგარ ხართუთამდე უწევდა. ექიმის ოთახის ფანჯარაშიც სინათლე ენთო.

„არ სძინავს ძია სანდროს". — გაიფიქრა და კიბეს აუყვა.

— მობრძანდით, კარი ღია გახლავთ.

— გვიან მოისმა კაკუნზე.

ოთახი ისევ ძველებურად იყო ფარდით შუაზე გატიხრული. მის მორთულობას არა შემატებოდა რა, გარდა მოგრძო მაგიდისა, რომელიც წიგნების კარადასთან მიედგა პატრონს. მხოლოდ ეგ იყო, ყვითელ თავის ქალას საწერი მაგიდიდან კარადის თავზე გადაენაცვლა. მაგიდას თვითონ ექიმი მისჯდომოდა, გვერდით გრაფინით ღვინო მოედგა და, როგორც ეტყობოდა, მოწყენილი არ ჩანდა საკუთარი თავის საზოგადოებაში.

— ექიმები ღვინის სმას არ გვირჩევთ, თვითონ კი სიამოვნებით მიირთმევთ. — შავლეგომ გრაფინს შეხედა. მხოლოდ ნახევრამდე ლიცლიცებდა ქარვისფერი სითხე.

ექიმი ოდნავ მოღლვეული თვალებით უცქეროდა მოსულს. მისი მზერა რაღაც ბუნდოვანი, მიღმა სამყაროსეული იყო. თავათაც თითქოს ამ ოთახში იყო და არც იყო. გრძნობდა, რომ ვიღაც უხეშად შეერია მისი განმყუდროებული

სულის იდუმალ სავანეში, ეს იყო მხოლოდ სრულად ვერ ადექვა. ცალი ხელი გრაფინის ყელისთვის ჩაევლო, ცალითაც სავსე ჭიქა ჰქონდა ჩაბღუჯული. მოდუნებული ღაწვისთავები შეფაკლოდა და პატარა, მოვლილი წვერი ოდნავ უცანცარებდა.

შავლეგომ კიდევ მოავლო თვალი, სპირიტიზმის მიმდევრის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა მაგიდას. მხოლოდ ყოვლისშემძლე ბახუსის ხელი ერია ამ სიმყუდროვეში.

ექიმმა სავსე ჭიქას ხელი უშვა, ცარიელს გადასწვდა, გაავსო და ლამეულ სტუმარს მიუწია.

— ვინა თქვა, თითქოს მედიცინა ღვინის სმას კრძალავდეს? არ დაიჯერო, ჭაბუკო, ჩვენ ვებრძვით ლოთობას და არა ღვინის სმას. ღვინო უეჭველი ატრიბუტია სუფრისა და სასარგებლოა ადამიანისათვის... მე მინახავს ქართველი გლეხი, ჯამში რომ წითელ ღვინოს ჩაისხამს და შიგ პურს ჩაიყრის, — ბოლოწოს აკეთებს. ქართველი გლეხი ბრძენია. თითქმის მთელი ევროპა და ნახევარი მსოფლიო შემომივლია და არსად მინახავს ჩურჩხელა. ეს ქართველისთვის არის მხოლოდ საცნაური და მე მასში ვხედავ ამ ერის ხასიათს. ვფიქრობ, ისტორიულმა აუცილებლობამ უკარნახა მას შეექმნა ეს ხილი. — ექიმი მძიმედ გადასწვდა, ლამბაქზე დადებული ორპირი ჩურჩხელა აიღო. — აი, ჭაბუკო, აქ ნიგოზიც არის, ღვინოც და პურიც. ესე იგი ცხიმები, ცილები და ნახშირწყლები. — ეს სამი სასიცოცხლო ელემენტი ჩვენი სხეულისა. ჩურჩხელა მსუბუქია და იგი დიდი ტვირთი არ იყო ლაშქრობისას. ლაშქრობისას, ვამბობ, ჭაბუკო, რადგან ქართველი ერის ისტორია ერთი გრძელი, სისხლიანი გზაა დასაბამიდან მოაქამამდე. მანამდე, სანამ დარიალის ვიწროებში გამოვარდნილი რუსული ბარაბანის ბუხუნი გულში ძაბუნს ჩაუღვრიდა მუსულმანურ სამყაროს...

რაღაც შესაზრალისი იგრძნობოდა ექიმის ხმაშიც და მთელ სხეულშიც. კარგა ხანია არ ენახა, თითქოს უფრო დაპატარავებულიყო. ლამაზ თვალთა კილოებში კიდევ უფრო ღრმად გაედგა ფესვი იდუმალ სევდას. ვიდრე ოდესმე, ახლა უფრო მეტად შეიგრძნობოდა ამ კაცის სიმარტოვე.

და დაენანა, ძლიერ დაენანა.

აიღო ჭიქა, მასპინძლისას მიუჭახუნა და უსიტყვოდ გადაჰკრა.

არც მასპინძელს გაუღია ხმა. ნელა, გაბმით სვამდა. და როდესაც დაცალა, წინ დაიდგა, პირზე ხელები დააფარა და ზედ ნიკაპი ჩამოდო.

შავლეგომ მის მზერას თვალი გააყოლა. მხოლოდ ახლა შენიშნა კარადის ძირში, მაგიდაზე მდგარი, ურთხელის ხის ძვირფას ჩარჩოში ჩასმული, ახალგაზრდა, ლამაზი ქალის სურათი. ამაყი შუბლი და მბრძანებლურად მოშვილდული წარბები მოკრძალებას გაიძულებდნენ. დიდრონი, წყლიანი თვალების გამოხედვა რაღაც სანტიმენტალური ჰქონდა. ხოლო პატარა, კოხტა ტუჩებზე ისეთი არქაული ღიმილი დაჰკვდომოდა, როგორც ძველ ბერძნულ ქანდაკებებს პრაქსიტელემდე ახასიათებდა.

ქალის სახე უცნობი იყო.

შავლეგომ თავად წაატანა გრაფინს ხელი, დაისხა და კვლავ უსიტყვოდ დაცალა. შემდეგ ისევ შეივსო და მასპინძლის წინ გადმოხარა გრაფინის ყელი.

ექიმს არაფერი უთქვამს. არც სურათისთვის მოუწყვეტია მზერა. ფრთხილად აცალა ჭიქის პირს ხელი.

— ეს, ძია სანდრო, მენავეთა და მოგზაურთათვის...

მასპინძელმა სტუმარს მიხედა, შემდეგ ისევ სურათს შეავლო თვალი და თავადაც დაცალა.

— მე ვფიქრობ, ჭაბუკო, ისე, როგორც ხოხბის სახელი, ღვინისაც ქართულიდან წავიდა საქართველოს სამანებს იქით. ოდითგანვე იყო ჩვენში ვაზის კულტი და შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ქართლად შემოსულ ნინოს ხელთ ვაზის ჯვარი ეპყრა. ეკლესიებს

კი ზოგჯერ კარებს ვაზის ფიცრებისგან უკეთებდნენ... წინათ იზრდებოდა ამხელა ვაზი. მე თვითონ მინახავს კალიფორნიაში. მისი ძირის სისქე ერთ მეტრს აღემატება, ნახევარი ჰექტარი ფართობი უკავია და ყოველ წელს ხუთ ტონაზე ნაკლებს არ ისხამს... წინათ ჩვენშიაც იყო... აი, ამ ბაღში, იქ, სადაც ოქროს-შვინდა დგას, მარნის ნანგრევებს ზემოთ. ორასი წლის მაინც იქნებოდა. ამ სახლის პატრონის პაპის პაპის პაპას მაშინ დაურგავს, როცა ერეკლეს ართანის თავში მოთარეშე ლეკები აუჩეხნია და გზად აქეთ გამოუვლია... ვაზის ფასი არაფერია. კარგი ღვინო მადას აძლიერებს, ხოლო საუბარს სასიამოს ხდის. აიღე, ჭაბუკო. რაც მოხვედი, პირში ხემსი არ ჩაგიშვია. ამის მეტი არაფერი მაქვს. უდედაკაცოდ ოჯახი იგივეა, რაც სახლი უსახურაოდ! — ექიმმა ლამბაქზე დალაგებული ცივად მოხარშული ძროხის ხორცი მიუწია და მერე ყველი დანით თხლად დაჭრა. ახლა თვითონ შეავსო ჭიქები მასპინძელმა:

— ეს წასულთა და თავის მიწა-წყალზე ვერ მობრუნებულთათვის.

ექიმი ადგა და კიდევ მოიტანა ღვინო. სიმთვრალე თანდათან ეკიდებოდა. სახის ნაკვთები უფრო უდუნდებოდა, თვალები კიდევ უფრო ემღვრეოდა და ჭიქა ხელში უკანკალებდა. ახლა უკვე ჩაბღუჯული გრაფინის თავზე ედო მოთლილი წვერი და იქიდან მისჩერებოდა სურათს ქუთუთოებშესიებული თვალებით.

შავლეგოს მოსწყურდა, საოცრად მოსწყურდა ღვინო. ნებართვა ითხოვა და მეზობელი მაგიდიდან მოზრდილი კოლბი აიღო. შემდეგ ტუჩი მოიწმინდა და ღვინოს ყველის ნაჭერი დააყოლა.

— მთელი დედამიწის ზურგზე კიბოზე საშინელი ავადმყოფობა კაცობრიობას არ მოვლენია. — სურათისთვის მზერა არ მოუწყვეტია მასპინძელს. — კიბო ამ ქვეყნად ისევეა უბედურების სიმბოლო, როგორც ვაზი სიკეთისა. და მე ვამტკიცებ, თუმცა არარატი ყურის ძირში გვაქვს, მაინც ნოეს მტრედს საქართველოსთვის თვალიც არ დაუკრავს. არ დაუკრავს-მეთქი, თორემ ნისკარტში ზეთისხილის რტოს მაგიერ — ვაზის რქა ექნებოდა... ეს ორი სიმბოლო... ამისათვის არი, რომ ერთის სიმწარეს მეორით აყუჩებენ... ოთხი ათასი წელია, რაც ასე სტანჯავს კაცობრიობას. ჰიპოკრატე. გალენუსი. ამბრუაზ პარე... შემდეგ ლიონის აკადემიამ გამოაცხადა კონკურსი ამ ორასიოდე წლის წინ: „რა არი კიბო?“ და ფულადი ჯილდოც კი დააწესა... პრემია მიიღო ბერნარ პერილიმ, მაგრამ მან მხოლოდ კიბოს შესწავლის ახალი გზები დასახა და არსებითი არა უთქვამს რა... შემდეგ მეცნიერები ვირხოვი და მისი მოწაფე კონჰეიმი; შემდეგ პავლოვი, მაგრამ ყოველწლიურად მაინც მილიონნახევარი კაცი იღუპება დედამიწაზე ამ უბედურების სიმბოლოსაგან... დორნის უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემებით მარტო ამერიკაში ასიათას მცხოვრებზე ოთხასოცდაათი კიბოიანი მოდის... ზოგი მკვლევარი ამტკიცებდა, თითქოს კიბოთი დაავადების რიცხვი ცივილიზაციასთან ერთად იზრდება. თითქოს ურბანიზმი იყოს ამის მთავარი მიზეზი. მაგრამ მე ვყოფილვარ ბელგიის კონგოში და იქაც მრავლად მინახავს კიბოიანი. იგი ერთნაირად უჭერს თავის მარწუხებს როგორც მაღალი, ისე დაბალი კულტურის ხალხებს. მხოლოდ ეგ არის: იქ ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, ხოლო იქაური სიცოცხლის ხანგრძლივობა შედარებით ნაკლებია და მკვიდრნიც იშვიათად ცხოვრობენ იმ ასაკამდე, როდესაც კიბო იწყებს სხეულში ფეხის მოკიდებას.

შავლეგომ ჭიქები კიდევ შეავსო.

— აი, ჭაბუკო, ხედავ ამ ფოტოს? იქნებ გგონია, რომ ეს რომელიმე ევროპელი, ან ამერიკელი პრიმადონაა? აბა, დააკვირდი მისი სახის ნაკვთებს, — თვით უმცირესი ხაზებიც კი არ არი მასში უცხოური. იგი ჭალისპირისა და მისი მიმდგომი სოფლების ოდინდელი მფლობელის, ამ სახლის პატრონის,

თავად ვახვახიშვილის ერთადერთი ასულია... ერთად ვსწავლობდით... რაღაც მოხდა და სხვაზე გაათხოვეს... შემდეგ ქმარს გაჰყვა საფრანგეთში და პარიზს დასახლდა... შენ როგორ ფიქრობ, ჭაბუკო, ესპანეთის სამოქალაქო ომში მხოლოდ იმიტომ წავედი, რომ რესპუბლიკა ფაშისტებისაგან დამეცვა? არა, ჭაბუკო, იყო მეორე ფაქტორიც: საფრანგეთის საზღვარი ახლოსაა პირინეებთან... პარიზში გვიან მივაკვლიე მის ნაბინავარს. მთელი ორი წლით გაესწრო, არაბთა ქვეყნებში წაეყვანა ქმარს, სადაც ის საიდუმლოდ მოხალისეებს აგროვებდა ინდო-ჩინეთის ომისათვის... შემდეგ დიდძალი ფული გაიტაცა და კონგოში გაიქცა... მხოლოდ ეს გამიგო ერთმა შალიკაშვილმა, რომელსაც სათანადო კომპეტენტურ წრეებში უცხოელისათვის საკმაოდ კარგი ადგილი ეჭირა. მანვე მომიხერხა ექიმად მოწყობა კონგოს მიმავალ გემზე, რომელსაც ევროპის ზოოლოგიური პარკებისათვის მახრჩობელა გველები უნდა დაეჭირა... იცი, კი როგორ იჭერენ მახრჩობელა გველებს კონგოში, ჭაბუკო? პირდაპირ გენიოსები არიან ადგილობრივი მკვიდრნი ამ საქმეში: სპეციალურ დიდი ხის გალიას დადგამენ იქ, სადაც მახრჩობელას იპოვიან. შემდეგ რამდენიმე სტაცებს კუდში ხელს და თავისკენ ექაჩება. გველი შეხედავს გალიის ღია კარს და დარწმუნებული იმაში, რომ მტრები დავჯაბნე და ხელიდან დავუსხლტიო, შიგ შეძვრება და მოიკეცება. მონადირეთაც ეს უნდათ: უმალ უშვებენ კუდზე ხელსა და მჭიდროდ გმანავენ გალიის კარს. ხანდახან კი გაბრაზებისას თვითმკვლელობამდე მიდის. საშინელი გაბრაზება იცის გველმა. გულს აირევს და რაც რამ უჭამია, უკანვე ამოანთხევს. ამ დროს იქვე ახლოს უნდა იყო და ტუტიანი ხსნარით პირი მოსწმინდო, თორემ მისი კუჭის წვენი ისეთი ძლიერია, სადაც მოხვდება სწვავს და იქვე ჰკლავს... ფუი ვიღაცა გვწყევლის, რას ამეკვიატა დღეს ეს გველები? თუმცა, მე მინახავს მდინარე კონგოსგან დატბორილ ველზე მდგარი უზარმაზარი ხე, რომელზედაც ადიდებულ წყალს გამოქცეული ათიათასობით გველი იყო შეხორხლილი და მათი შხამიანი სუნთქვისაგან ფოთოლიც კი აღარება ზედ... ერთიც დაასხი, ჭაბუკო, დღეს რაღაც საზიზღარ განწყობილებაზე ვარ.

შავლეგომ დაუსხა და კვლავ გაივსო კოლბი.

უსიტყვოდ მოიყუდეს და უსიტყვოდ დაცალეს.

ექიმმა მოშვებული სველი ტუჩები ძლივს მოსწყვიტა ჭიქას და მერე დაცლილი ჭურჭელი ხელებში მოიქცია. ვერცხლისწყალივით აციალდა წვერზე გადმოღვრილი და შერჩენილი წვეთები.

— ბოლოს მაინც არ გამწირა ღმერთმა: იმდენი წანწალის ფასად ელიზაბეტვილში მივაგენ უპატრონოთათვის განკუთვნილ ლაზარეთში... ქმარი გარეულ კამეჩებზე ნადირობის დროს გაესრისათ გააფთრებულ ცხოველებს, თვითონ კი, საშვილოსნოს კიბოსაგან შეჭმული იწვა ეკვატორის სიცხეში გათანგული... სახე სრულიად შეშლოდა, გაველურებულიყო, ძლივსღა ვიცანი... გემზე აღებული ფული დიდად მომეხმარა, მაგრამ ვერარა გავაწყვე რა ადამიანთა უბედურების ამ სიმბოლოსთან. ლეოპოლდვილში დიდი სანაძლეო მოვიგე ბელგიის მეფის დაბადების დღის აღსანიშნავ დოღზე და ამერიკაში წავედი გულის გადასაყოლებლად... ვეღარც იქ გავჩერდი დიდხანს და კვლავ პარიზს დავუბრუნდი... მას შემდეგ მხოლოდ ის მახსოვს, რაც მის გაციებულ გვამთან ვთქვი ფიცად: მთელი ჩემი სიცოცხლე კიბოს საიდუმლოების ამოცნობისათვის შემეწირა.

მასპინძელი წამოდგა, ფარდამდე მივიდა და ერთი ხელის გაკვრით გადახსნა.

— აი, შეხედე!

და სტუმარს თვალწინ წარმოუდგა შუა საუკუნეების ალქიმიკოსის ლაბორატორია.

— ახლოს მობრძანდით, ყველაფერს აგიხსნით.

სტუმარს არ უნდოდა მასპინძლისთვის ეწყენინებინა. წამოდგა და ფარდას მიუახლოვდა.

მარცხნივ, კუთხეში, ხის ყუთი იდგა, შიგ ზღვის გოჭები კომბოსტოსა და ჭარხალს შეექცეოდნენ, თან დროდადრო რაღაც სასიამოვნოდ ღრუტუნებდნენ.

— ესენი ჩემი საუკეთესო თანაშემწეები არიან. ერთადერთი ცხოველები დედამიწის ზურგზე, რომელნიც იტანენ პირდაპირ გულიდან სისხლის გამოღებას. ესენი, ამათ შეხედე! — მასპინძელი მეორე კუთხისაკენ წავიდა. — მე თქვენ გაგანდობთ... შემობრძანდით, ნუ გერიდებათ.

„კარგა ნასვამია, აქ შეიძლება გატეხოს რამე, ანდა სულაც დალეწოს ახლა ყველაფერი“, — გაიფიქრა სტუმარმა და ფარდიდანვე უთხრა:

— ავადმყოფიდან მოვედი ძია სანდრო, თქვენი დახმარებაა სასწრაფოდ საჭირო. მაღალი სიცხე აქვს. ჯერ იქნებ მასთან წავსულიყავით?

ექიმმა ბიჭს მორიდეული თვალები მიაპყრო, მწვანე სითხიანი, მოგრძოყელმოგრეხილი კოლბი ფრთხილად დადგა პატარა, შავპინებიანი საწოლის გვერდით და შეცბა.

— რატომ მოსვლისთანავე არ მითხარით?

— მგონი ფეხები უნდა ჰქონდეს მოყინული. ერთი საათით ადრე ან გვიან მოსვლა არაფერს შესცვლის.

და სტუმარი იქვე გაოცდა: ექიმს მოდუნებული სახის ნაკვთები როგორღაც გაუმაგრდა, მორიდეული თვალებიც თითქოს დაეწმინდა და ნაბიჯიც მტკიცე გაუხდა.

— ერთი წუთით, ჭაბუკო, ახლავე მოვალ.

ექიმი საჩქაროდ გავიდა ოთახიდან და ცოტა ხნის შემდეგ ეზოში ონკანიდან მოშვებული წყლის ჩხრიალი გაისმა.

ოთახში შემობრუნებული დიდხანს იმშრალებდა სახესა და კისერს ვეება პირსახოცით. სველი, ფეთრი თმების წინ ჩამოყრილი თხელი კულულები აეწეწა და თავზე გაებრუძგნა.

როდესაც დაივარცხნა, ყელზე თბილი კაშნე მოიხვია და თავზედაც ქუდი დაიხურა, მხოლოდ ოდნავ შეშუპებულ ქუთუთოებზე შეატყობდით ღვინის კვალს.

— მოსვლისთანავე უნდა გეთქვათ, ჭაბუკო, — ფაცურობდა ექიმი პატარა ჩემოდანთან და სიჩქარისაგან კინაღამ ხალათის ჩადება დაავიწყდა. — რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს, კარგა ხანია უკვე ვეღარ ვიტან ავადმყოფთან დაგვიანებას.

ექიმმა კარი დაკეტა და კიბეზე ჩავიდა.

— სხვა დროს აუცილებლად დავათვალიერებ თქვენს ლაბორატორიას.

ექიმს არა უთქვამს რა, ლაბადა ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა და ბერხევას დაუყვა.

საბედა ეზოში დაუხვდათ. მოთმინება დალეოდა დედაბერს და შესახვედრად გამოსულიყო.

ავადმყოფი ისევ ისე იყო მისავათებული. ოღონდ ახლა სიცხიანი თვალები გაეხილა და უსაგნოდ იცქირებოდა მტვრიანი აბლაბუდებით სავსე ჭერში.

საბედას ადრევე ეზრუნა და მარანში სკამები ჩამოეტანა.

ექიმმა მისვლისთანავე ჩემოდანი და ლაბადა ძველ ტაბურეტზე დადო და ავადმყოფს მიუჯდა. სულ წუთის მეოთხედს ეჭირა მაჯა, მერე წამოდგა, ფეხებზე საბანი ახადა და საბედას უთხრა ძონძები მოეხსნა.

თითებიდან მოკიდებული მთელი ტერფი კოჭებამდე გასიებულიყო და წითლად ვარვარებდა. მრავალი ადგილი შემწვარი ხახვის ფთილებს დაეფარა.

ექიმმა უთხრა და საბედამაც მოაცილა ყველგან.

გამოჩნდა მოყვითალო ბუშტუკების სიმრავლე, ალაგ-ალაგ დამსკდარიყო და

იქიდან ყვითელი, ჟელესავით შედედებული სითხე იმზირებოდა.

ექიმმა თვალი შეავლო თუ არა, შავლეგოს მიუბრუნდა:

— მეორე ხარისხის მოყინულობაა. — მივიდა, ჩემოდანი გახსნა და თეთრი ხალათი გადაიცვა. შემდეგ დიდხანს იფათურა ჩემოდანში და გამტკნარებული მობრუნდა. — მაკრატელი მაინც დამვიწყებია.

— თუ აუცილებელია, წავალ და მოვიტან.

— მოიცა, იქნებ ამას ჰქონდეს. გაქვთ, მაკრატელი, ქალბატონო?

— ერთი ძველი მაკრატელი მიგდია სკივრში.

— ჟანგიანი ხომ არ არის?

— არა, ქა, ძველი მაკრატელია, რა დაჟანგავდა.

— მაშ, ჯერ ეს ფეხები ისევ შეუბორბლეთ მაგ ნაჭრებით და საბანი დაახურეთ, მერე კი სუფთა ქვაბში ჩადეთ ის თქვენი მაკრატელი და კარგა მოხარშეთ.

— შეშა გაქვთ, ძალო?

— ვინ მომატიალა შეშა, შვილო? ძველი ლობიოს ჭიგოები მიყუდია სახლს უკან.

— წალდი მომეცი და დავჭრი.

შავლეგო უკან მალე ჩამობრუნდა.

— მაკრატელი ახლავე იქნება. საკვირველია, თვეზე მეტია, რაც სახლშია, დღე კი მეოთხეა, რაც ეგრე დამართნია. მართალია, ღამღამობით ცივა, მაგრამ ჯერ ისევ შემოდგომაა და საკმაოდაც თბილი, როგორ მოეყინა?

—ეს, რამდენადაც ვხვდები, ამ დედაკაცის შვილია, რომელიც ციმბირს იქით ჰყავდა დაკარგული. ეტყობა, ძველად მოყინული ჰქონია. მორჩენის შემდეგ ის ადგილი სიცივისადმი მეტად მგრძნობიარეა და პატარა გაცივება საკმარისია, რომ სისხლის მიმოქცევა კვლავ მოიშალოს. — ექიმმა ხელები სპირტიანი ბამბით საგულდაგულოდ გაიწმინდა და ახლა პინცეტები ამოიღო.—კიდევ კარგ დროს მოვასწარით. თუმცა სისხლძარღვთა კაპილარები უკვე დამსკდარა. შენ ადი ერთი, ჭაბუკო, და მოხარშული მაკრატელი ქვაბიანად ჩამომიტანე. იმ დედაკაცმა ხელი არ ახლოს.

შავლეგომ ქვაბი ჩამოიტანა.

ექიმმა დედაბერს თახჩაში შედგმული ლამპა ახლოს მოატანინა. შემდეგ პინცეტით ამოღებული მაკრატელი შავლეგოს მისცა.

— არ შეუბერო, ამ პინცეტიანად იქნიე, მალე გაცივდება.

ავადმყოფი იწვა გაუნძრევლად და დაბინდული თვალით უცქეროდა მის ირგვლივ მოფუსფუსეთ. დროდადრო ცდილობდა ერთი ფეხი მეორისთვის წაეხახუნებინა, რათა აუტანელი წვა და ქავილი დაეურვებინა.

ექიმმა კვლავ მოაცილებინა საბედას სახვევები, თავად მისდგა და მოყინული ადგილები სპირტით მობანა.

— ბამბაც ცოტა წამომიღია. რას იზამ, უნდა ვიკმარო. აბა, მომეცი აქ მაკრატელი, უკვე გაცივდებოდა. — მერე დედაკაცს მიუბრუნდა: — თაფლის სანთელი და მზესუმზირის ზეთი თუ გაქვთ?

— მაქვს ცოტაოდენი.

— მიდი, ჭაბუკო, ეგ წყალი გადაღვარე, მაგ ქვაბში ის სანთელი და ზეთი თანაბარი რაოდენობით ერთად მოხარშე და აქ მომიტანე. დასწყევლოს ეშმაკმა, წინასწარ რომ მცოდნოდა, მალამოსაც წამოვიღებდი.

შავლეგო დედაბერს გაჰყვა.

ექიმი მთელ-მთელ ბუშტუკებსა და დამსკდარ-დაფლეთილ კანს ფრთხილად ჰკვეთდა და ბანდით ამშრალებდა.

შავლეგომ ქვაბი ჩამოიტანა.

და, როდესაც მალამო გაცივდა, ექიმმა წასცხო ფეხებზე და ბანდით თბილად შეუხვია.

— ახლა, აი, რა, ქალბატონო. უპირველეს ყოვლისა, ავადმყოფისათვის ჰაერია საჭირო. რატომ გგონიათ, რომ აქ უფრო თბილა, ვიდრე მაღლა? მარანში ამის დატოვება არ შეიძლება. სიცხე საკმაოდ მაღალი აქვს. ეს ნაწილობრივ ნერვიულობის ბრალიც არის. მომეცი, შავლეგ, ეგ კოლოფი, ბარემ ანტიტეტა-

ხუსს გავუკეთებ. თუმცა პენიცილინიც რომ აქვე შევუშვათ, არაფერიც არ დაშავდება.

როდესაც ყველაფერი მოთავდა, ავადმყოფი გამოცოცხლდა, ბეღურასავით პატარა, ოფლიანი თავი გადააქნია და ძალლა აყვანაზე სასტიკი უარი განაცხადა.

ექიმმა შემცბარი თვალი დედაბრიდან შავლეგოზე გადაიტანა.

შავლეგომ ლაბადა აიღო, მხარზე გადაიგდო და ექიმს ფრანგულად უთხრა:

—ნურაფერს დაიმჩნევთ. ყველაფერს აგიხსნით. აქვს მიზეზი, რომ ზევით აყვანას უფრთხოდეს. მაგრამ არაფერია, ჩვენ მაინც ავიყვანთ.

შემდეგ ავადმყოფს მიუბრუნდა და თვალი თვალში გაუყარა.

— მე არ ვიცი, შენ კიდევ მიცნობ თუ არა, სოლიკო, მაგრამ ვიღაცას ხომ უნდა ენდო? სხვანაირად არ იქნება. ნურაფრისა ნუ გეფიქრება, ყველაფერზე მე ვაგებ პასუხს.

ავადმყოფს თვალი არ მოუცილებია მისთვის. დიდხანს და დაჟინებით უცქეროდა გასავათებული. მერე ოდნავ შეარხია ზიზღიანი, გამომშრალი ტუჩები და ძლივს ამოღერღა:

— რა ვიცი, რაც ჩამოსულხარ, ყველას მალამოდ დადებულხარ და რაღა ჩემთვის იქცევი შხამადა და ბალღამად?

— შევთანხმდით. — თქვა შავლეგომ და ტახტს დაეწოდა, — თქვენ წინიდან ასწიეთ, ძია სანდრო, შენ კი, საბედა ქალო, ლამფით გაგვიძეხი.

ავადმყოფი მსუბუქი იყო, თავად ტახტი — უფრო მსუბუქი.

წამოსვლისას ექიმმა საბედა დაარიგა;

— ცხელი ჩაი დაალევინე ხოლმე. დანარჩენი ყველაფერი ეშველება. რაო, ჩაი არა გაქვს? დილაზე მე მოგიტან, პენიცილინის გასაკეთებლად რომ მოვალ. ნურა გედარდება-რა, ერთ თვეში ფეხზე დავაყენებ.

როცა შავლეგომ ექიმი სახლამდე მიაცილა კიბესთან შედგა:

— მე თქვენ, ძია სანდრო, გზადაგზა ჩემი მიხვედრილობის ნაყოფი გაგიზიარეთ. აქედან დასკვნა: დღემდე რევაზზე მიტანილი ყველა ეჭვი ბათილდება...

— რა თქმა უნდა, თუ შუბი ხალთაში არ დაიმალა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავადმყოფი გაცემულ იქნება.

— არც მწვადი უნდა დაიწვას, არც შამფური. რაღაცას მოვიფიქრებ. მანამდე კი თევზებივით ვდუმვართ.

— მე მკურნალი ვარ, ჭაბუკო, და პაციენტი ჩემთვის მხოლოდ ავადმყოფია. ერთი რამ კი გახსოვდეს: ავკაცობის იარლიყი ყველა სასჯელზე უმძიმესია. სოფლის თვალში როგორ ფიქრობ მაგ ლაქის წარეცხვას?

— მაგას მოვიფიქრებ. ამაღამდელი აფორიაქებისთვის კი ოდესმე გადაგიხდით მადლობას.

— არა ღირს, ჭაბუკო, ეს ჩემი პირდაპირი მოვალეობაა...

### 3

რაიკომის მდივანმა ჩუმად გახედა მაგიდასთან მსხდომთ. არცერთის სახეზე არ ამოიკითხებოდა თანაგრძნობა და თანადგომა. მხოლოდ ვარდენი შეხედავდა დროდადრო მაამებლური ღიმილით, რომელშიაც ცუდად დაფარული სიხარული გამოსჭვიოდა. მდივანს არ გაჭკვირვებია ამ მიუხვედრელი ხეპრის განწყობილება. მასში მორიგი ავანტურის წინასწარი ნიშნები შეიცნო. იჯდა თავისი მაგიდის უკან, როგორც გამოქვაბულის პირთან ბუნაგიდან გამოგდებული ღათვი ძაღლების ხროვაში და ქვეშეცნეულად ხვდებოდა: მისი მხრიდანაც უცილებელი იყო საპასუხო კბილების კაპუნი. და ერთბაშად შეებრალა თავისი თავი — უპატრონო და მარტოხელა. ის, რისიც ეშინოდა მთელი მოკლე წლების განმავლობაში, დღეიდან იწყებოდა. ასე ძლიერ არასოდეს შეშურებია მათი, ვისაც ზურგს ძლიერი ხელი უმაგრებდა. ყოველთვის ცდილობდა საქმით დაემტკიცებინა, რომ ღირსი იყო იმ დიდი პატივისა, რომელიც წილად ხვდა რაიონში. თავისი კუთხისაგან მემკვიდრეობად მიღებულმა მოუქნელობამ კი ვერ შეაძენინა უფრო მაღალ სკამზე

მჯდარი გულშემატკივარი. სოფრომიჩი? — ჯერაც არ იცის რისთვის სწყალობს ამ ჩაცმა-დახურვასა და ქალებზე გადაგებულ დეგენერატს. ძმა არ არის მისი და ბიძაშვილი. თხოვნა შეუსრულა, რომელიც ბრძანებას უფრო ჰგავდა, მაგრამ განა ამისთვის მასზე დანდობა შეიძლება? ვარდენი არც ისეთი სულელი იყო, ვერ შეემჩნია, როგორ აძლევდა მდივანი ზიზღნარევი გამოხედვით შეზავებულ ქედმაღლურ სალამს. მას მარტოდმარტოს უნდა ებრძოლა ამ მზის ქვეშეთში თავისი ადგილისათვის. ადგილისათვის, რომელსაც ასნი და ათასნი უკრაჭუნებდნენ დალესილ კბილებს. ძალთა თანაფარდობის მხრივ შეიძლება უპირატესობა მათ მხარეზე ყოფილიყო, მაგრამ პოზიცია თვითონ უკეთესი ჰქონდა. აქამდე სიმაგრის მისადგომების ფარული მოსინჯვა, ახლა აშკარა შეტევაში გადადიოდა და უნდა ებრძოლა. უნდა თვითონაც ებრძოლა დაუნდობლად და გააფთრებით. ასეთი იყო ცხოვრების რკინის კანონი, კანონი, რომელსაც ვერცერთი მოკვდავი გვერდს ვერ აუხვევს. გამოცდილება მის მხარეზე იყო და პოზიციური უკან დახევა სრულიადაც არ ნიშნავდა მარცხს.

მდივანმა შუბლზე თითის წვერები ისე ძლიერ გადაისვა, თითქოს გარეთ გამოსაჭვრეტად მოძალებული აზრები ისევ უკან შედენაო. მაგიდის მინაზე ფანქრის ბოლოს დიდხანს უსვამდა.

— შენც ასევე ფიქრობ, სერგო?

მეორე მდივანს კეთილი, ფუნჩულა სახე ღიმილმა გაუნათა.

— მეც ეგრე მგონია, ლუარსაბ.

მდივანი ერთბაშად გაერკვა საქმის ვითარებაში: რაკი მეორე მდივნისთვის სოლომონიჩი აღარ არის და მხოლოდ ლუარსაბია...

— მედიკოც ამ აზრისაა?

— დიახ, პატივცემულო ლუარსაბ.

ახლა უკვე ყველაფერი ნათელი იყო: მაინც მტკიცედ მოქმედებდა შორეულ შირვანში მყოფი თეიმურაზის ხელი.

და უეცრად ისეთი შიში იგრძნო, როგორც ფრონტზე პირველად მოხვედრისას, როდესაც ზარბაზნების ბათქით ზანზარებდა და კვნესოდა ძელმიწური, ხოლო ჭერიდან ჩამოცვენილი მიწა ბალნის ამბურძგნავად მიძვრებოდა საყელოდან ზურგში. მეტად უსიამო შეგრძნება იყო.

რაიალმასკომის ახალი თავმჯდომარე, რომელიც ლაგოდეხიდან პირდაპირ აქ გადმოიყვანეს, თითქოს უგულისყუროდ, დინჯად წმენდდა სათვალის შუშებს.

მდივანმა შეხედა მის ოდნავ კეხიან ცხვირს, ცხვირის ძვალზე სათვალის ნაჭდევებს და გამქირდავი ღიმილი ვერ შეიკავა.

—მგონი, ეს პირველ რიგში შენ უნდა გეხებოდეს, ალექსანდრე. ყურს ისე ცვიგდებ, თითქოს სასწორის პინაზე ბოლოს მხოლოდ შენი თითის დაკვრა იყოს საჭირო. ეს საკითხი რაიონში ბევრს აწუხებს. რამდენიმე კი პირდაპირ ავადმყოფურად არის დაინტერესებული.

— მე ახალი კაცი ვარ თელავში, ამხანაგო ლუარსაბ, ჯერაც კარგად არ გავცნობივარ რაიონს,—რაიალმასკომის თავმჯდომარემ სათვალე გაიკეთა. კრიალა მინებს იქიდან მდივანს მისჩერებოდნენ სერიოზული, აზრიანი ჭროლა თვალები, — მაგრამ, რამდენადაც საქმეების შესწავლამ დამანახვა, ჯაშიაშვილი ამ საქმეში უბრალოა. მისი პირადი საქმეც გამოხდილი წყალივით კრიალა და სუფთაა.—და დაუმატა:—რა თქმა უნდა, თუ არ ვიანგარიშებთ იმ ბიუროზე, ჩემი აზრით, დაუმსახურებლად მიღებულ სასტიკ საყვედურს.

— ეგ კიდევ ცოტა იყო მაგისთვის, პარტიიდან უნდა გაგვერიცხა.

რაიალმასკომის თავმჯდომარემ გაკვირვება ვერ დამალა.

— მე მგონი, ამხანაგო ლუარსაბ, უკიდურეს ზომებს იმ დროს იღებენ, როცა სხვა გამოსავალი არ არი. გარდა ამისა, თუ ორივეს ნამსახურობის ნუსხებს თვალს გადავავლებთ, ჯაშიაშვილის ადლი ღალანაშვილისაზე საკმაოდ გრძელი აღმოჩნდება. ვიცი, რისთვისაც გა-

დმოიყვანეს ღლონაშვილი ლაგოდეხიდან თელავში და, გარდა ამისა, არც ის სცენაა ჩემთვის უცნობი, რომელიც მილიციის სამორიგეოში გათამაშდა ადრინდელი ბაზრის დირექტორის გოშაძის დაპატიმრებისას. მაშინდელ ყალბ ჩვენებებს თქვენ რომ შეცდომაში არ შეეყვანეთ, ახლა ჯაშიაშვილის დაბრუნება—არ დაბრუნების საკითხი თავისთავად მოხსნილი იქნებოდა დღის წესრიგიდან. მაგრამ, რაკი ჩვენი პარტიული სინდისი და კომუნისტური მორალი თავისას მოითხოვს და ისე, როგორც ბუნებაში არაფერი არ იკარგება, ხოლო ამ ქვეყნად სანთელ-საკმელი თავის გზას არ ჰკარგავს, ასევე გოშაძის მტვერწაყრილი საქმე უნდა გამოიჩხრიკოს და უდანაშაულოდ დასჯილი კაცი თავის ადგილს დაუბრუნდეს. ღლონაშვილის ძმისწული კი, რომელიც ახლა ბაზრის დირექტორად მუშაობს, გადაყვანილ იქნას კვლავ თავის პირვანდელ სამუშაოზე.

მდივანმა იქ მსხდომნი ჩამოათვალიერა.

სერგო კვლავ თავისი კეთილი ღიმილით იღიმებოდა.

თვითონ აქამდე მოკრძალებული მედიკოც კი ჯიუტად უსწორებდა თვალს.

— საინტერესოა, ვარდენი რას იტყვის.

აღრიცხვის სექტორის გამგის თვალები უმალ გაექცა მდივნის თვალებს. ვარდენს გულში საკუთარ თავზე ბრაზი მოუვიდა: დღეები დღეებს მისდევდა, კვირები კვირებს, თვეებმა თვეები გალიეს და მზერის ძალა კვლავ ინსტრუქტორის ყალიბისა დარჩა, განყოფილების გამგის მზერამდე ვერ ავიდა. „თითქოს ჯადო აქვსო“ — ღვარძლიანად გაიფიქრა და თავისი ლამაზი თითები მაგიდის მაუდზე დააწყო.

— მე აქ, ახლა, სოლომონიჩ, შემთხვევით შემოსწრებული კაცი ვარ. რაც შეეხება იმათ, მაშინდელი თქვენი ბრძანებებისა არ იყოს, მაგათი ერთად მუშაობა არ შეიძლება.

„საკმაო ვირ-ეშმაკა ხარ, ძაღლის ლეკვო!“ — გაიფიქრა სოლომონიჩმა და არც კი უცდია ზიზღი დაემალა.

— თქვენ მაშინ სწორად გადაგიწყვეტიათ, — თქვა რაიალმასკომის თავმჯდომარემ. — მხოლოდ ერთი განსხვავებით: ვინც უნდა წასულიყო რაიონიდან, ის არ წასულა. მე არ ვიცი რამ განაპირობა ეს, რამ მიგაღებინათ ასეთი გადაწყვეტილება, მაგრამ ამის გამოსწორება ძნელი არ არის. მით უმეტეს, ღლონაშვილს ლაგოდეხშიაც ჰქონდა მსგავსი შემთხვევა და ჩემთვის სრულიად გაუგებარია, იქიდან ამგვარი საქმის გამო განთავისუფლებული, როგორ გადმოგზავნეს პირდაპირ აქ, ამოდენა რაიონში?

„თეიმურაზი, თეიმურაზი, თეიმურაზი!“ — და მდივანი შეკრთა:

კაბინეტის მუშამბიანი კარი გაიღო და შიგ თეიმურაზი ჩადგა.

მან თვალი მოავლო იქაურობას და იკითხა:

— შეიძლება?

„როგორც ზღაპარში, მისი სახელის ხსენების შემდეგ მავნე სული რომ გამოცხადდება.“

დანარჩენთაც გაიოცეს.

— მობრძანდით.

— ჩვენ კი ჯერ ისევ შირვანში გვეგულებოდი.

— ახლახან მოვედი. მხოლოდ ცოტა შევნაყრდი და ტანსაცმელი გამოვიცვალე.

თეიმურაზს სახე მხიარული ჰქონდა. სიარულში ოდნავ ეტყობოდა კოჭლობა.

„დაბადებით პოეტად დაბადებულა, გზა კი რაღაც შემთხვევამ გაუმრუდა. რას მოძვრებოდა რაიკომში?“ — სინანულით გაიფიქრა მდივანმა.

— ცხვარი ხომ მშვიდობით დააბინავე? — იკითხა სერგომ და მსუქანი სახე გაებადრა.

— აბა, მოგვიყევ, როგორ იმგზავრეთ, როგორ ჩახვედით, როგორ დაბინავდნენ. რა უჭირთ, რა ულხინთ ჩვენს მწყემსებს? — იკითხა მდივანმაც და

ერთხელ კიდევ შეავლო მოლოდინით დაძაბული თვალი თავით-ფეხამდე.

თეიმურაზი ყველას მიესალმა, მოიკითხა და ჩამოჯდა.

— დიდი წვალება კი დაგვჭირდა, მაგრამ მაინც კარგად ვიმგზავრეთ. ცოტა შალაურელებს ავუწიე ყური და ზედ ჭალისპირელებიც მივაყოლე.

— რა დაემართათ?

— არაფერი. ტრასაზე, ფოილოს იქით, ყონაღები ჰყოლიათ. მშვენიერ ცხვრებს უხეიროებში უცვლიდნენ და ზედ სართს იღებდნენ. წავასწარი და ორივე მხარეს სულ ბურდა-ვალა ვაძახებინე.

—აქ ჩამოვლენ და მოვუვლით. ტრასა როგორია?

— რა უშავს, ალიაბადთან ორიოდე ჰექტარი გადაუხნავთ, მაგრამ ეგ არაფერია.

— ხომ არ შეუცვლიათ?

— მას შემდეგ რაღას შესცვლიდნენ. თურქული აღარავის ფარას აღარ სჭირს. ყოველ შემთხვევაში, კარანტინი არსად შეგვხვედრია.

— საზამთროდ ხომ ყველაფერი აქვთ მწყემსებს?

— ყველაფერი მოვუმარაგე და თუ რამე გაუჭირდებათ, ალიბაირამლში ჩვენი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუდმივი წარმომადგენელი ვინახულე და პირადად ვთხოვე მომხმარებოდა. თავად დავესწარი ყველა შესაკეთებელი ფარეხის შეკეთებას. თავადვე ვუშოვე ლურსმანი და ლელი. ოღონდ ცოტა თივაზე მედარდება. თუმცა ბალახი კი კარგია და არა მგონია აგრე რიგად დასჭირდეთ თივა. ერთი რამ კი დასაფიქრებელია: მთელი ეს გზა მაინც გრძელი და დამღლელია პირუტყვისთვისაც და მწყემსებისთვისაც. დროსა და ხარჯებსაც მეტს მოითხოვს. რაღაც სხვა უნდა მოვიფიქროთ, რაღაც სხვანაირად უნდა გადავწყვიტოთ.

რაიკომის მდივანმა თავი ჩაღუნა და გამქირდავი ღიმილი რომ დაეფარა, დიდხანს იქექდა კეფას ფანქრის ბოლოთი.

— თვითმფრინავებით ხომ არ გვირჩევ, თეიმურაზ?

— თუ საჭიროა, თვითმფრინავითაც, პატივცემულო ლუარსაბ, მაგრამ, განა დაილია სახმელეთო გზები? თელავიდან შირვანამდე მშვენიერი რკინიგზა მიდის.

რაიკომის მდივანი უცებ მიხვდა, რომ კარგი შემთხვევა ეძლეოდა უსიამო საუბრის თავიდან ასაცილებლად.

— ეგ კი მართლა საფიქრებელია, თეიმურაზ, ჩვენ ახლავე უნდა ვაცნობოთ ეს წინადადება სამინისტროს და შემდეგ შეიძლება ცეკამაც განიხილოს. გაზაფხულამდე კარგა დროა და მანამდე მოესწრება გადაწყვეტა.

— მე სერიოზულად ვამბობ, პატივცემულო ლუარსაბ.

— მეც სრული სერიოზულობით გეუბნები. აი, ახლა რაიონის ნაღები თითქმის აქა ხართ. ვიმსჯელოთ, მოვისაუბროთ და თბილისს ვაცნობოთ.

მაგრამ რაიაღმასკომის თავჯდომარემ ერთბაშად გაუქარწყლა იმედი.

— წინადადება ძალიან კარგია და ამასთან საქმიანიც, მაგრამ ასეთი საჩქარო მანდ არაფერია. მე მგონი, ამხანაგო ლუარსაბ, რისთვისაც მოვედით ეს სამი კაცი და, ალბათ, თეიმურაზიც შემოუერთდება ჩვენს საუბარს, ჯერ ის მოვათაოთ და გადავწყვიტოთ, თორემ უდანაშაულო ხალხს სრულიად გავუცრუებთ იმედს, რომელსაც ჩვენზე ამყარებენ. ამასთანავე, სხვასაც ხალისს დავუკარგავთ პატიოსნად მუშაობისას. ყოველ მუშაკს კი ის რწმენა უნდა განუმტკიცდეს, რომ მას უმიზეზო და უსაბუთო ხელყოფისაგან სათანადოდ იცავენ. ხოლო დანაშაულისათვის დამნაშავე ისჯება და არა უდანაშაულო.

— განა იმ ბიუროზე ლალანაშვილს დაუმტკიცდა, რომ დამნაშავე იყო? — უკვე აიქოჩრა მდივანი. — ჯაშიაშვილი კი მთვრალი დაიარებოდა სამსახურში და მილიციის მუშაკებსაც ფიზიკურად შეურაცხყოფდა.

თეიმურაზი უმალვე მიხვდა საქმის ვითარებას.

რაიაღმასკომის თავჯდომარემ რატომღაც კიდევ ერთხელ გაწმინდა სათვალე.

— ჯერ ერთი, ჯაშიაშვილის სიმთვრალესაცა და ფიზიკურ შეურაცხყოფას ამტკიცებს ერთი და იგივე კაცი, რომელიც, ასე ვთქვათ, ღაღანაშვილთან ბლოკშია, თანაც დროსა და ადგილს ასახელებს ისეთს, სადაც და როცა იმ ორთა გარდა არავინ იყო. ერთი ამტკიცებს, მეორე უარყოფს, ვის დავუჯეროთ? იმ მილიციის მუშაკს კი ექიმის უბრალო ცნობაც არა აქვს, რომ მისი ხელყოფის რაიმე ნიშანი ეწეროს შიგ. მეორეც, თუ ამბობთ, რომ ჯაშიაშვილმა შეურაცხყო ფიზიკურად მილიციის მუშაკი, რატომ ივიწყებთ, რომ თვითონ იმ მუშაკმა და მისმა თანამშრომლებმა მილიციის უფროსის, ღაღანაშვილის თანდასწრებით სცემეს უდანაშაულო მოქალაქეს და თანაც ისე, რომ დიდხანს ავადმყოფობდა და, თურმე, ახლაც უჩივის ტკივილებს?

— ერთი რამ მაოცებს თქვენი, ამხანაგო ალექსანდრე, რატომ გჯერათ, რომ მილიციაში სცემეს და არ გჯერათ, რომ ხიდან ჩამოვარდა?

— რამდენადაც ვიცი, ბაზრის ტერიტორიაზე ხეები არ არის და არც ტყეში დადის.

— არც მონტიორობისა ესმის რამე, — დაუმატა სერგომ.

— განა სახლში, ეზოში, ბაღზე ან ჰერამზე არასოდეს ასულხართ?

თეიმურაზმა წარბები აწკიპა და ჯიქურ შეხედა რაიკომის მდივანს.

— მე ხომ ვიცი, პატივცემულო ლუარსაბ, რომ არც თქვენა გჯერათ ეგ ვერსია?

— რომელი ვერსია?

— ხიდან ჩამოვარდნა.

— თქვენ საიდან უჯერით, რომ მილიციაში სცემეს?

— ორი კაცი ამტკიცებს.

— ვინ კაცები?

— დაზარალებული და ავტოინსპექტორი.

— დაზარალებული თავისთავად გამორიცხულია. ავტოინსპექტორზე კი მოგახსენებთ: თუ იმ სერჟანტის მილიციის უფროსთან ბლოკში ყოფნა გჯერათ, რატომ ავტოინსპექტორის ყოფნა არ გჯერათ ჯაშიაშვილთან ბლოკში?

— ეს არც თქვენ გჯერათ, პატივცემულო ლუარსაბ.

„ეს თეიმურაზი პირდაპირ გადამრევს, მეორე ფეხის მოტეხაც ცოტა იქნება მისთვის."

— შენ რაებს ბოდავ, კაცო, ხომ არ შეიშალე? — რაიკომის მდივანს სახე მოუქურუშდა და თვალებში ცეცხლი გამოჩნდა.

— სანერვიულო აქ არაფერია, პატივცემულო ლუარსაბ. საერთოდ, კამათში და მსჯელობაში ირკვევა ჭეშმარიტება. ამას ვერც თქვენ უარყოფთ. რაც შეეხება ჩემს შეშლას, მე ბიუროზე ვესწრებოდი და მაშინ თქვენ უბრალო მიმიკითაც არ გამოგიხატავთ, რომ გოშაძე უპატიოსნო კაცი იყო და ავტოინსპექტორი ცდილობდა შეცდომაში შეეყვანა ბიურო.

— მაშ რატომ მაშინ არ ამოიღე ხმა? რატომ იჯექი სკამზე კუნძივით? განა მაშინ ამავე ამბავს არ ვიხილავდით? რამ ჩაგიგდო ენა? ღაღანაშვილის ბლოკის სიძლიერისა შეგეშინდა თუ თვითონ მილიციის უფროსისა?

თეიმურაზს გაეღიმა.

— გახსოვთ, პატივცემულო ლუარსაბ, „ომი და მშვიდობაში" ალექსანდრე I რას ეუბნება ნაპოლეონს ერთ ადგილას? „თქვენ ფიცხი ხართ, მე კი ჯიუტი, გნებავთ, მოვილაპარაკოთ, თუ არა, გაგშორდებით". ლაპარაკი არ აგვცდება, გაშორებით კი ჩვენ ეგრე ადვილად ვერ გავშორდებით. შიშით კი თქვენც კარგად იცით, რა მშიშარაც ვარ, ისიც იცით, რომ მარჯვენა მუხლში ჯერაც ბანდიტის ტყვია მიზის.

მდივანს უკანასკნელი სიტყვები რაც გაუგონია. მეხსიერების მიყრუებულ საკუჭნაოში უმალ გამოჩხრიკა ვეება

ტივზე ბრწყინვალე კარავი, სადაც ნაპოლეონმა თავისი სამკუთხა ქუდი ხელში ნერვიულად მოჭმუჭნა და ძირს დაახეთქა. არ იყო ურიგო შედარება და გულის კუნჭულში არც სწყენია. ოღონდ ახლა საჭირო იყო ნაპოლეონის სიმაღლეზე დარჩენა.

— რაკი ასე შეგვყვარებია ლაპარაკი, მაშ ვილაპარაკოთ. გამეცი პასუხი, რატომ მაშინ ბიუროზე არ დასძარი ხმა?

— განა დაგავიწყდათ, ბიუროს შემდეგ რა გითხარით?

— მე ბიუროზე გეკითხები! რატომ ბიუროზე არ ამოიღე ხმა? — თავი ვეღარ შეიკავა მდივანმა.

— განა არ გითხარით მიზეზი ბიუროს შემდეგ?

— ბიუროზე, ბიუროზე! ბიუროზე რატომ ჩაგივარდა ენა! ეს კაცი გადამრევს პირდაპირ!

— მაშ, რაკი დაგვიწყებიათ, არ დავიზარებ და გაგახსენებთ: იმიტომ არა ვთქვი რამე, რომ მე ის ბიურო ბიუროდ არ მივიჩნიე.

— რატომ მერე, აბა, თქვი, მიზეზი!

— მაშინაც გითხარით და ახლაც გეტყვით, ეს იყო რაღაც ნარევი ბიუროსი და რაიონის მოწინავეთა თათბირისა.

— ბიურომ ყოველგვარი წესრიგის დაცვით ჩაიარა, განა ის ამბავი რამეთი შეიცვლებოდა, რომ რაიონის მოწინავენი იქ არ ყოფილიყვნენ?

— აუცილებლად! დღემდე არ გადაიდებოდა და საორჭოფო და ხელახალი საკამათო აღარ იქნებოდა. არც პატიოსან ხალხს გავუტეხდით გულსა და არც რაიკომზე ვაფიქრებინებდით გულში ცუდ რამეს.

— თუ ასე შეგტკიოდა გული ხალხზედაც და რაიკომზედაც, რატომ მაშინ არ ამოიღე ხმა?

— იმიტომ, რომ აი ამ ამბავს გამოიწვევდა, რაც დღეს არის.

— თუ ეგ იცოდი, რომ ეს ამბავი ადრე თუ გვიან მაინც უნდა მომხდარიყო, განა მაშინდელი ბიურო უფრო შესაფერისი არ იყო სათქმელად?

— არა, არ იყო.

— რატომ?

— იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც მაშინ დავასახელე.

— მაინც, რა მიზეზია?

— ისა, რომ ბიურო-ბიუროა და მას მხოლოდ ბიუროს წევრები უნდა ესწრებოდნენ. მე თქვენც გიცნობთ და საკუთარ თავსაც: თქვენ თქვენსას არ დათმობდით, მე უკან არ დავიხევდი და იმ ხალხის თვალწინ ბაბილონის გოდოლს გავმართავდით. განა იმდენად სულელად მთვლით, რომ საქვეყნოდ გამოვაჭენებდი რაიკომს? ხალხს ისედაც ბევრი საზრუნავი აქვს, მათი ნერვები ისედაც დასაზოგია, გარდა ამისა, რაიკომის ავტორიტეტსაც მოფრთხილება უნდა.

დიდხანს იჯდა რაიკომის მდივანი თავჩაღუნული და დაფიქრებული. ფანქარი წარამარა იცვლიდა მინაზე წვერსა და ბოლოს. თხელი ტუჩები ოდნავ ეგრიხებოდა ჭაღარა ულვაშების ქვეშ. მერე თავი რამდენჯერმე ჩაიქნია და ქუშად გახედა თეიმურაზს.

— და ახლა გინდა ამ ამბის მიმართულების მოულოდნელი შეცვლით ერთბაშად დასცე თვითონ რაიკომის მდივნის ავტორიტეტი?

თეიმურაზს მწარედ გაეღიმა.

—პატივცემულო ლუარსაბ...

— და იმ ხალხს, ვინც ის გადაწყვეტილება მოისმინა, ერთბაშად გინდა დაანახო, რომ რაიკომი ბაღდის სასწორივით ხან ერთ მხარეს იხრება და ხან მეორე მხარეს?

— პატივცემულო ლუარსაბ...

— და, საერთოდ, გსურს ყველას აჩვენო, რომ მდივანი იმდენად უპრინციპოა, რომ დღეს ერთს იტყვის და ხვალ მეორეს? ესე იგი, იმ დღეს რა განწყობილებაზე იქნება?

ყველა მიხვდა, რომ კაბინეტი მეხით იტენებოდა.

მდივნის ჩაფერფლილ თვალებში ელვა ისადგურებდა. თეიმურაზი გაუტეხავ თვალს არ აცილებდა და თავს სინანულით იქნევდა.

რაიაღმასკომის თავმჯდომარემ სათ-

ბიბლიოთეკა

ვალე კიდევ ერთხელ გაწმინდა და გაიკეთა. მისი ხშირი, გრძლად გადაწოლილი წარბები უკვე იჭმუხნებოდა. ფართო შუბლზე ნაოჭები ჩაღრმავდა. თხელი სახე თითქოს კიდევ უფრო დაუგრძელდა. თვალებში აშკარა წყენა ჩანდა.

—ამხანაგო ლუარსაბ, სანამ თქვენ ერთმანეთს შორის კამათს და პაექრობას გააგრძელებდეთ, მანამდე მინდა გითხრათ და ძალიან გთხოვთ მომისმინოთ.

— არა, ჯერ მინდა, რომ ამან გამცეს პასუხი!

— მე გაგცემთ პასუხს.

— არა, ამან უნდა გამცეს!

— ამხანაგო ლუარსაბ, ახლა ვხედავ, რომ მართალი ყოფილა მაშინ თეიმურაზი.

— როგორ თუ მართალი?

— იმგვარად, რომ ჩვენ, ის ხალხი, რომელნიც ამ სიმაღლეზე ვსხედვართ და იქიდან განვაგებთ იმ ხალხის ბედიღბალს, რომელთაც აგვირჩიეს და აქ, ამ სიმაღლეზე დაგვსხეს...

— მოკლედ მოსჭერი, გადამიყოლა ამ შენმა მაღალფარდოვნებამ.

— მოკლედ მოვჭრი.—რაიაღმასკომის თავმჯდომარე კიდევ უფრო მოიღუშა.— ჩვენ უფლება არა გვაქვს პირადს, ეგრეთწოდებულ „ავტორიტეტს“ ვანაცვალოთ საქმე, რომელიც ეხება ადამიანებს. იმ ადამიანებს, რომელნიც ჩვენ შემოგვცქერიან, ჩვენგან ილებენ მაგალითს და ჩვენს პატიოსნებასა და სამართლიანობაზე არიან სრულად მონდობილნი. რაიკომის მდივანი, ცალკე აღებული, განყენებული ცნებაა, რომელიც თავისთავად არაფერს არ ნიშნავს. მაგრამ ადამიანი, რომელიც რაიკომის მდივნის ადგილზე ზის, ნიშნავს კაცს, ისეთსავე არსებას, როგორნიც ჩვენ, დანარჩენი ვართ.

— სულ ეგ არი შენი ფილოსოფია?

— მე გთხოვთ, მომისმინოთ, ამხანაგო ლუარსაბ, ეს ჩემსა და თქვენს ოჯახს არ ეხება.

ოჯახის გახსენებაზე მდივანს უსიამოდ დაებრიცა ტუჩები.

— ბრძანეთ, საინტერესოა, საიდან კრებთ ხოლმე ამ მარგალიტებს. — და ავი თვალი სერგოდან ზიზღნარევი მზერით ვარდენზე გადაიტანა. მერე არხეინად მჯდარ თეიმურაზს შეხედა: „ნეტავი როდის ამოვიღებ ამ ხიწვს თვალიდან?“

ალექსანდრე უკვე გაცხარებით ლაპარაკობდა.

მხოლოდ საღამოთი, სახლში მისვლისას ჩაიკეტა თავის ოთახში და მთელი დღის დაგროვილ ბოღმას იქ მისცა გასაქანი. მერე ტელეფონს გადასწვდა და ნომერი აკრიფა.

— კარგია, რომ შინ დამხვდი, ვანო, უკვე იცი? საიდან, როგორ? ახლახანს მოვდივარ იქიდან... ჯანდაბას ვარდენის თავი. ახლავე დააჯექ მანქანას და წადი თბილისში. მე უკვე აღარაფერი შემიძლია. ჯანდაბას-მეთქი ეგ ყველაფერი. წადი თბილისში. თუმცა ახლა იქიდანაც მეეჭვება, რომ რაიმე გამოვიდეს. წადი თბილისში, ამ წუთსვე წადი! მერე გეტყვი დაწვრილებით. ვერავის ჩამოთვლი, მანდ მხოლოდ ერთი კაცი არ ურევს ხელსა! — და ყურმილი გამწარებით დაახეთქა.

## 4

შავლეგომ ერთხელ კიდევ გადახედა გაშლილ წიგნებს და სკამიდან წამოდგა.

ოთახი პატარა იყო. შიგ მხოლოდ ძველებური საწოლი და მომცრო მაგიდა იდგა. კედელში ამოეჭრათ წიგნების თაროები.

კარი გააღო და გარეთ გამოვიდა.

პაპას თავის ტახტზე პირაღმა ეძინა. ოდნავ ისმოდა ბერიკაცის ღრმა, გაბმული სუნთქვა.

ღრმა ძილით ეძინა თავად სოფელსაც. სიზმარში მელას ნახვით გამოღვიძებული ბებერი მამლის უნებური შეყივლებაც კი არ ისმოდა საქათმეებიდან.

ღია კარიდან გამოჭრილ მკრთალ შუქზე მოჩანდა გალუმპულ ხეთა შავი კონტურები.

კიბე ჩაიარა და ძირს ჩავიდა. ეზოში მოლი დაჭანჭახებულიყო და ჭყაპა-ჭყუ-

პი გაუდიოდა. ესიამოვნა გახურებულ შუბლსა და სახეზე ნაწვიმარი ღამის სიგრილე.

ბილიკზე გამოვიდა და ჭიშკრისკენ გაუყვა. ოდნავ ხრაშუნობდა ფეხქვეშ ახალდაყრილი ხრეში.

საკინძე შეიხსნა, ღრმად ჩაისუნთქა და ჭიშკრიდან უკანვე გამობრუნდა.

დამძიმებულ თავში კვლავ ბობოქრობდა დამუხტული ტვინის ყოველი უჯრედი. ბურუსიანი ქაოსიდან თანდათან იკვეთებოდა იაზილიკაიას კლდეზე ამოჭრილი ხეთური სამყაროს საკულტო სცენები. თრიალეთური ვერცხლის თასზე ცეკვავდნენ ნატიფად ნაჭედი დახვეწილი სხეულები. ვაზის ფოთლებით შუბლშემკული დიონისეს გარშემო დახტოდნენ მხიარული სატირები. მოკლული ნადირის ირგვლივ იგრიხებოდნენ ნახევრადშიშველი წარმართული ტომები და ათასგვარი, ერთურთის საწინააღმდეგო ვარაუდ-კონცეფციებიდან ნათელ, გარკვეულ ფორმას ღებულობდა აზრები.

ნალამფარი თვალი სიბნელეს შეეჩვია და კიდევ უფრო მკვეთრი გახდა საგანთა მოხაზულობა. ჩამოძენძილი, ჯიქანდაცლილი ღრუბლებით შემურული ცა მძიმედ ეხეოდა ჭიშკრის ბოძებსა და მესერის წვეროებზე.

ოდნავ ხრაშუნობდა ფეხქვეშ ახალდაყრილი ხრეში ბილიკზე.

ბერძნები...

რამდენით არი დავალებული კაცობრიობა ამ ხალხის გენიისაგან. უთუოდ მართალი უნდა იყვნენ ისინი, ვინც ქართულ სიტყვა „ბრძენს“ „ბერძენიდან“ მომავლად ვარაუდობენ. არგონავტების მითი უფრო ძველია, მაგრამ ამ სიტყვის გაჩენა იმ დროს უნდა განეკუთვნებოდეს, როდესაც ბერძნული კულტურა პონტოსა და ჰალისის პირას შეხვდა ქართულ სამყაროს... რამდენი მკვლევარის მარჯვენა დაშვრა და რამდენი სამელნე დაშრა, მაგრამ კვლავ მაინც ბნელით არი მოცული იმ ტომთა ადრინდელი ასავალ-დასავალი, რომელთა სამფლობელოები თრაკიიდან მოკიდებული მთელი მცირე აზიის ჩრდილოეთს მოიცავდა არაქსამდე და კავკასიონამდე...

როდესაც მითრიდატე დიდმა ევპატორად წოდებულმა, ქართულ ტომებზე დაყრდნობით პონტოს უზარმაზარი იმპერია შექმნა და რომს ხშირად შიშის ზარსაცა სცემდა, მაშინ მის არმიაში თითქმის მთელი ახლო აღმოსავლეთის ხალხები იყრიდნენ თავს. პლუტარქე ამბობს, რომ ამ არმიაში ყველაზე გულადებად იბერები ითვლებოდნენო... ნუთუ გულადობის გარდა სხვა არა ჰქონდათ რა მაშინ იბერებს?.. ჩვენ, ქართველები ცოტა პატივმოყვარე ხალხი ვართ და ხომ არ ვაჭარბებთ, როდესაც ძველი აღთქმის ბიბლიურ თობელს, რომელიც „კვერით ხუროა“ იყო, ასურულ ტაბალსა და ბერძნულ ტიბარენებს ქართულ იბერებს ვუკავშირებთ? — ეს ის ტომია, რომელმაც მაშინდელ მსოფლიოს რკინა პირველად გააცნო. ხომ ცნობილია: ჩვენი მჭედლები ჭედვის დროს ცხელი რკინიდან აცვენილ ლითონის ფერფლს „თოგალს“ უწოდებენ. უთუოდ რაღაცას უნდა ნიშნავდეს ესეც... არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ კოლხეთში მიმავალი არგონავტები, პირველად და საკმაოდ ხანგრძლივადაც კუნძულ ლემნოსზე შეჩერდებიან. კუნძულის უძველესი მცხოვრებლები სინტიები იყვნენ. ჰომეროსმა სინტიები არაბერძნებად წარმოგვიჩინა. არისტოფანე კი მათ პირდაპირ ბარბაროსებს უწოდებს. სინტიები პელაზგები ყოფილან ფილოქარეს მიხედვით. ჰელინიკე ლოგოგრაფოსს ისინი აღმოსავლეთიდან მოსულ ხალხად მიაჩნია და მათ ხელობად ლითონის მადნეულის დამუშავებას თვლის. ცეცხლი რკინის გამოსაწრთობად პირველად მათ გამოუყენებიათ. ყველაზე მეტ თაყვანს ცეცხლსა და ცეცხლის ღვთაებას სცემდნენ. მეტად საგულისხმებელია ისიც, რომ „ილიადაში“ ღმერთების მამამთავრისაგან ოლიმპოდან გამოტყორცნილი ჰეფესტო სწორედ კუნძულ ლემნოსზე დაეცემა და მას სინტიები შეიფარებენ. ნეტავ ეს ტომი კოლხთა მოდგმისა ხომ არ

იყო, რომელიც ლემნოსზე გადასახლებულა აღმოსავლეთიდან?

კიდევ ერთი რამ არი საინტერესო: როდესაც ჰექტორი პატროკლეს აქილევსის საჭურველს აჰყრის, მაშინ თავათ აქილევსი რჩება უსაჭურვლოდ. არაბერძენ, პელაზგ აქილევსს თვითონ ჰეფესტო გამოუჭედავს ისეთ ჯავშან-საჭურველს, რომელსაც მტრის იარაღი ვერას აკლებს. რჩება მოწყვლადი მხოლოდ ცნობილი „აქილევსის ქუსლი“ — სხეულის ის ადგილი, რომელსაც ჯავშანი არ ფარავს. ესეც ხომ არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ თავად აქილევსი თუ არა, საჭურველი იყო ქართული?.. არა, მე ეს იბერები და იბერია გამასავათებს... ყოველ ერს ჰქონია თავისი აღზევებისა თუ დაცემის ხანები. გადაშენებულან და პირისაგან მიწისა აღგვილან უზარმაზარი იმპერიები და ხალხები, მაგრამ იბერებს მაინც თავიანთი ნაჭედი რკინის გამძლეობა გამოჰყოლიათ და მსოფლიო საწნახელში ჩაყრილებს თავისთავადობა დღემდე დაუწურავად მოუტანიათ...

ვერ მიხვდა, როდის გადაუხვია ბილიკიდან. კვლავ ჭყაპა-ჭყუპი გაჰქონდა გაჟიებულ მოლს.

სიგრილე პირველად ფეხებზე შეაცოცდა. შემდეგ პერანგის საყელოშიაც ჩაუძვრა. ნაგვიანევი შემოდგომის ნაწვიმარი ღამე სინესტით სუნთქავდა.

შავლეგომ ცას ახედა და გაირინდა. სახეზე არცერთი წვეთი არ დასცემია.

აღარ იწვიმებს, ხვალაც ჩავუხტებით იმ ფშასა და ბარემ მოვათავებთ. ძალიან კი შეგვიწყო ამინდმა ხელი. მაინც ძლიერ გაჭიანურდა. არც არი გასაკვირი, — პირველყოფილი საშუალებებით ვმუშაობთ. თუმცა ჩვენმა წინაპრებმა განა ასეთივე საშუალებებით არ გაიყვანეს თამარის დროს ალაზნის დიდი არხი?

კიბეზე აუხვია, ოთახში შევიდა, ფეხსაცმელები გაიხადა და საწოლზე გულაღმა გადაწვა.

იწვა თავქვეშ ხელებამოწყობილი და ჩაშტერებით მისჩერებოდა კედელზე დაკიდულ დახუნძლულ მტევნებიან ჩხას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს უმზერდა.

აი, ეს ფოთლები, ეს დამჭკნარი, ყავისფრად დახრუკული ფოთლები, ერთ დროს ისე იყვნენ ვაზის რქებზე განლაგებულნი, რომ თანაბრად განაწილებულიყო მტევნებისათვის ჩრდილი და სინათლე. ისინი თავისი სუსტი სხეულით ეფარებოდნენ მათ ხვატისა და დელგმის დროს. პირველად ისინი აგებებდნენ სუსტ მკერდებს სეტყვას და ქარიშხალს. თავიანთი ზედაპირიდან აორთქლებდნენ ზედმეტ სინესტეს და მზის ენერგიას გადამუშავებული სახით აწვდიდნენ ამ მტევნებს. და ყველაფერს ამას რისთვის აკეთებდნენ? განა არ იცოდნენ, რომ ეს ბოლო ელოდათ? რა თქმა უნდა, იცოდნენ, მაგრამ მაინც აკეთებდნენ ამ მტევნებისათვის. თავად დაიღუპნენ, ნაყოფი კი დატოვეს თვისი... მაშ, ვისა აქვს უფლება ადამიანთა საკეთილდღეოდ შეეძლოს შექმნა რამესი და არ შექმნას იგი? მე, აქამდე მკვრივი და მაგარი ერთეული, გავიხლიჩე ატომივით და ახლა ერთბაშად ორი კერპი მინდა ვილოცო. განა ერთი კაცი გაუძლებს მუხლის მოყრას ორ სამსხვერპლოსთან? ეშმაკმა დასწყევლოს! რუსუდანი მართალია, მაგრამ სად უფრო საჭირო ვარ ჩემი ხალხისთვის?.. რუსუდანი, ჩემი კარგი რუსუდანი! მან უკვე იცის რისთვის იცოცხლოს და ამიტომაც აქვს მიზანი თავად ცხოვრებას. მაგრამ რევაზი? რა დიდი იმედი იყო ეს ბიჭი ჩემთვის! როგორ მეგონა, რომ მოტყდებოდა ეგრე ანაზდად? ლამის გავაღმერთო მითრიდატე, — აი, ვისგან უნდა აიღოს მაგალითი ყოველმა კაცმა! ეს იყო სიმხნევისა და ნებისყოფის საოცარი ერთობლიობა. არა, რევაზს არ ეპატიება განზე გადგომა და ჩაკეტვა თავის ნაჭუჭში... საბედა მაინც დედაკაცია, ბევრ ჭირნახული. ერთადერთი შვილის დარდმა გადაიყოლა...

რას დამსგავსებია თვითონ სოლიკო? საცოდავი კაცი, აჩრდილი იმ კაცისა, ერთ დროს რომ კაცობდა. თვეზე მეტია,

რაც მოსულა სოფელში და დღემდე დედის მეტმა არავინ არა იცოდა რა. მაინც რაღაცა შემორჩენია ვაჟკაცური, რომ ნიკოსი არა მიითვისა რა: მანქანა დალეწა, ღვინოთი ეზო მორწყა, ხოლო ძროხა ყვავ-ყორნებს მისცა საძიძგნავად. კაკო ამბობდა, ნადირობისას წავაწყდიო ციხის გადაღმა, ხეობის ძირას... საცოდავმა კინაღამ თავიც გადააყოლა. ეტყობა, ფეხები პირველად კოლიმაზე, — ტუნდრაში მოეყინა. ახლა კი ძროხა წყალ-წყალ წაიყვანა, რათა მდევრისთვის კვალი დაეფარა. ცივმა წყალმა გაუხსენა ის დამზრალობა. კიდევ კარგი, საბედა ძალო ჩემთან მოვიდა. ახლა მთელმა ჭალისპირმა იცის, რომ ექიმი ავადმყოფ დედაბერთან დადის სამკურნალოდ. ცნობისმოყვარე მეზობლებს მაინც არა გამოეპარებათ რა და არცა მგონია შუბი ხალთაში დიდხანს დაიმალოს... ექიმი, საბრალო ექიმი! რა საცოდავი ყოფილა, ღმერთო, ეს კაცი!.. თავად საბრალო, ცდილობს სხვებს შეუმსუბუქოს ამ ქვეყნად ყოფნა. მაგასაცა აქვს თავისი იდეალი და მიზანი. მაგრამ რით აპირებს კაცობრიობის იმ საშინელ მტერთან შერკინებას, რა იარაღით? რის განდობას აპირებდა იმ ღამეს ნეტავ? რაღაც გულუბრყვილობად მეჩვენება მისი ჯახირი იმ „ლაბორატორიაში“, სადაც არცერთი პაციენტი არა ჰყავს დაკვირვებისათვის...

წამოდგა და სინათლე ჩააქრო.

„ხვალ ადრე უნდა ავდგე უსათუოდ“.

ის იყო პერანგი უნდა გაეხადა, რომ ფანჯარაში გაიხედა.

ფანჯრის იქით, ბაღში, ღამე იცრიცებოდა.

5

ვახტანგი ჩამობნელებულ კარზე მიხვდა, რომ სარდაფში ვიღაც ჩამოდიოდა. ფულის თვლას თავი მიანება და უჯრა მიკეტა.

— თქვენ, ვაჟარნი, ჯაბანნი ხართ... რუსთაველმა თქვა და რვაასი წლის შემდეგ კიდევ არა ტყუის.

— უცხო მეგონე, იარაღი არ შეამჩნიონ-მეთქი.

— მშიშარა კაცის მონაგრებული არა მინახავს რა. — კუპრაჭა გადაიხარა დახლს იქით, უჯრა გამოსწია და შიგ ერთხანს უცქირა.

— სად იშოვე ეს ჯაბახანა? ამ წუთში ამოიღე და დაკარგე აქედან.

— რატომ? — გაოცდა დახლიდარი...

— ვინ იცის, რამდენი გაფუჭებული კაცი დაეხეტება.

— მაგ მკლავის პატრონს თუ იარაღი გჭირდება! — გადაიხარა. სმიტვენსონი ამოიღო და ჯიბეში ჩაიდო. — ამაზე ციხეა.—და ხელები ერთიმეორეზე გაიბღერტა. — მერე ეს სარდაფიცა და ყველაფერიც ფაა-ფუ!

ვახტანგმა თითი გამაფრთხილებლად მიიდო ტუჩებზე და ფარდაზე თვალით ანიშნა.

— ვიცი, — და კუპრაჭამ ფარდისკენ გასწია.

ფარდის იქით ვეება კასრი ამოებრუნებინათ და მის ძირზე პური, წიწაკის მწნილი და ხახვ-ნიორი დაეყარათ. კასრის ირგვლივ ოთხი ნაბდის ქუდიანი დამდგარიყო და პირდაპირ სურიდან ასხამდნენ ღვინოს ჩაის ჭიქებში. შექეიფიანებულ სახეებზე ყავისფრად ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ ყბის გლუვი კუნთები.

— მობრძანდით, სუფრა დაგვილოცეთ.

კუპრაჭა მიესალმა და ჭიქა ჩამოართვა.

— ხარის ქედს გაუმარჯოს, ცის ნამს, დედამიწის მოსავალსა და თქვენს მარჯვენას! კეთილი ყოფილიყოს თქვენი ფეხი ამ ღვთის მარანში და ზღურბლზე ბალახი არ ამოგეყვანოთ.

—აბა, რას ამბობ, როგორც კი თელავში ამოვალთ, სუ აქ მოვდივართ.

კუპრაჭამ ჭიქა მანამდის არ დაცალა, სანამ იქაურობა კარგად არ მოათვალიერა.

— ეგრე მტერი დაგეცალოთ! — დადგა, მადლობა თქვა და ფარდიდან გავიდა.

ვახტანგი კვლავ დასტებად აწყობდა ასმანეთიანებს, ორმოცდაათ მანეთიანებსა და თუმნიანებს.

— იმ სურაში რამდენი ჩადის?

— შვიდი ლიტრი. ვახტანგს თავი არ აუღია.

— მეორედ არ დავინახო ის სურა აქა! ბედოვლათები! ყოველ სურაზე ნახევარ ლიტრს კარგავენ!

ვახტანგმა თვალი ჰკიტა.

— სერგო სად არი?

— ღვინოზე გავგზავნე შაშიანში.

— სერგოს ჯერ ბუმბული არ გამაგრებია, შეიძლება მოატყუონ.

— ვერ მოატყუებენ. მე თვად ვიყავი, ჰაშნიკი თავადვე ავიღე და ვიყიდე კიდეც.

— მაინც ჯერ ნუ ენდობი. და, გაიწაფოს. ყური დამიგდე: ნასყიდამ მნახა. კომლთა სიაშიც შევიტანე და ეზო-სახლკარიც დავუმტკიცე, იმ მეორე ნახევარს რატომ აღარ მაძლევს, რას მემართლება?

— უარი არასოდეს მითქვამს, მე მაგის კაცად მიცნობ? ამაღამვე მივაგდებ საშრობში მანქანას.

— შენ იგრე არ მოგივიდეს, ვირი რომ მოგებაზე წავიდა და ნალებიც იქ დაყარა. ეგ ქურდობაა. მაგაზე ციხე და ფააფუა! ნახე, გიორგი — თქვენი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, შრობის პროცენტზე მოელაპარაკე და როგორც ხორბალზე, სიმინდზედაც ისე გააკეთე. ბუღალტერს ისევ შეუთანხმდით უწყისებზე. ორი დღეც მოიცადე. დეკემბრიდან ავანსების გაცემა დაიწყება. უბუღალტროდ კოლმეურნეობაში კენჭი კენჭზე არ გაიჩხაკუნებს. არ იძუნწო. რაც შენს წილად მოვა, სახლის ფასსაც გადაიხდი და დაგრჩება კიდეც. მერე ჰაიდა! მოუსვი იქიდან.

ვახტანგმა თავი მოისაწყლა.

— რა დაგიშავეთ, რას მერჩით, რატომ მაგდებთ იმ კაი სოფლიდან, ბიჭო?

კუპრაჭამ კარს იქით, კედელზე, გაქონილ ტილოს ნაჭერს შეავლო თვალი. უმალვე მიხვდა, რომ მის უკან ცხვრის ფეშხვა იმალებოდა და ესიამოვნა.

— კარგი გიქნიათ, რომ იქ მაგიდის ნაცვლად, კასრი დაგიდგამთ.

— სერგომ თქვა, მაგიდა თვალში საცემია, კასრი დავდგათო.

კუპრაჭას მამის სიამაყით გაეღიმა.

— კაი ბიჭი დადგება. მაყალი იშოვეთ?

— ვიშოვეთ, მაგრამ გლეხებს ხომ არ დავუდგამ?

— მუშტარი — მუშტარია, ფულს არ აწერია — ვინ იხდის. მომხედე ახლა, კაი ღვინო მინდა, მოუნათლავი. მე თავად გამითავდა ჰალისპირში.

— მაქვს ათვედრიანი. ბევრი გინდა?

— სამოცდაათ ლიტრამდე ვიკმარებდი.

— ახლავე გინდა?

— ახლავე. ხვალ ამისთვის აქ ხომ არ ამოვალ.

— მანქანა აქვე გაქვს?

— აქვე.

— ისევ იმათთვის გინდა?

— იმათთვის.

— მაინც არ ეშვები?

— არ ვეშვები. ხვალ ამთავრებენ სამუშაოს და შაბაში აქვთ.

— იმდენი გაქვს, რომ უკვე წყალში ჰყრი?

კუპრაჭას გაეცინა და ლამაზი, ჩაწიკწიკებული კბილები გამოაჩინა.

— რასაცა გასცემ, შენია, რაც არა — დაკარგულიაო, რუსთაველმა თქვა.

— ნეტა რაღა გიშავთ შენ და ლეოს ერთს შექსპირი არიგებს ჭკუას, მეორეს — რუსთაველი.

— აკი ამიტომაც ვართ მუდამ მოგებაში! ახლა ატომის საუკუნეა და ჩემგან ეს გახსოვდეს: იყო დრო, როდესაც ძუნწი იხვეჭდა, ახლა მხოლოდ გულხელი იხვეჭს და, თუ არ დათეს, ვერც მოიმკი.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯენო კალანდია

## ამ გზების იქით...

ამ გზების იქით, იქ, უფრო მაღლა,
ვიცი, ღამდება ძალიან გვიან
და ვარსკვლავები ახელენ თვალებს.

ამ გზების იქით, იქ, უფრო მაღლა,
მსუბუქი ვნებით ანათებს მთვარე
და აბოდებენ ხეები ძილში.

ამ გზების იქით, იქ, უფრო მაღლა
ღრუბელთა ბოლში იძინებს დათვი
და ესიზმრება წითური წაბლი.

ამ გზების იქთ, იქ, უფრო მაღლა
საოცრად ლურჯი ცა და ფოთლები
ჰაერის გაშლილ მკლავებში თრთიან.

ამ გზების იქით, გზებია კიდევ
მხოლოდ სიზმრებში ხილული წუთით.

* * *

განათებული იდგა ათონი
შენი ცისფერი თვალის სინათლით.

და ზღვის გაბმული სუნთქვა, შრიალი
ნელა წყდებოდა, როგორც სიმღერა,

და ზეთისხილის ბაღებს დათოვლილს
დაფარფატებდა მთვარის სანთელი.

* * *

უცებ ნათდება ცა შემოდგომის, —
უზარმაზარი თაღი გრანიტის,
უცებ ნათდება ცა შემოდგომის

და მაშინ ყვითლად ბრწყინავს კრამიტი.
უცებ ნათდება ცა შემოდგომის
და მზე მამრივით მთებზე გადადის.

* * *

თვალს მიეფარა ქოხი ქვითკირის,
ხავსმორეული, როგორც წისქვილი.

და უკან დამრჩა შენი სადგური
განათებული მკრთალი სანთურით.

და თოვლისფერი თეთრი ხელებით
უკან გარბიან არყის ხეები.

და მზესუმზირას ყანა ყვითელი
გაბრწყინებულა მთვარის სხივებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იონა ვაკელი

## პოეზია

აღსარებაა იგი მუდამ უკმარი სულის,
თუ მას ვერ მიწვდი, დღეც რომ იყოს, მაინც ბნელია,
იდუმალ წვითა და ოცნებით გარემოცული,
მისგან ამ ქვეყნად უჩვეულო ტკბობას ელიან.
თუ ის გეწვია, მოსვენებით ვეღარ იქნები,
იღვიძებს სული და ბუნებაც ცოცხლდება ქუში,
დადგები ლოცვად და უმალვე შენი ფიქრები —
მოვლენ და მძაფრი მღელვარებით სხდებიან გულში.
გაწვება სისხლი, სულშიც იწვის წმინდა სანთელი,
გონებით ფრთებს ქვეშ იღვენთება ცეცხლი ძლიერი,
ბნელშიც რომ იჯდე, სული შენი არის ნათელი,
შენი კაცობით, შთაგონებით ხარ ბედნიერი.
უბედური ხარ, თუ მიზანი ვერ გამოკვეთე,
გიკვდება გული, ზეზეურად თითქოს ილევი,
და თუ მიაგენ საიდუმლოს, როგორც მოკეთემ —
ქვეყანა მაშინ აღვსილია ვარდ-ყვავილებით.
ვინ დაგავალა, ყველა ტკივილს რომ მტლად ედები,
ყველა სიხარულს რომ გზას უხსნი ჩემი ალერსით,
სად შენ გაივლი — იქ უთუოდ არის ედემი,
და ჩუმად ქრება ჯოჯოხეთის ხმა უმწარესი!

## გედი

იყო აუზში შარშან ორი ყარყარა გედი,
არ აწუხებდათ საზრუნავი, არც მწარე ბედი,
ახლა იქ მხოლოდ ერთი-ღა ჩანს დაღონებული,
მასთან შეზრდილი მეგობარი აღარ ყავს გვერდით.
ხან ცას გახედავს, ხან წყალს გაჰკვეთს შავი ნისკარტით,
უმეგობრობამ, მარტოობამ შესძინა დარდი,
და დარჩენილი ასე ობლად ამ ქვეყანაზე —
აუზის ირგვლივ გულმოკლული საბრალოდ დადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ არის რამ სხვა სიცოცხლე, ან სხვა საშველი,
რომ გახალისდეს და გაჰფანტოს გულმა ნაღველი?
მაგრამ რა მწარე და ძლიერი სულის ძვრაც არის —
იმდენად ღრმაა ხმა სიმძაფრის გამომხატველი!

## ᲐᲕᲢᲝᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ჩუმი და მძაფრი შთაგონებით დიდხანს იწოდა —
სამშობლოს ბედზე გულდამწვარი მებრძოლი კაცი,
აპილპილება, გულისმოსვლაც ხშირად იცოდა,
მაგრამ რომ ჩანდა, კი არ იყო ასეთი მკაცრი.
ეჯავრებოდა ყველა ხარბი, აღვსილი შურით,
გაუტანლობას რომ ხედავდა — გული კვდებოდა,
პატიოსნებით შეძენილი ალალი პური,
ცოტაც რომ ჰქონდა, სხვებისათვის ემეტებოდა.
ამ ქვეყანაზე სულ ამაოდ არ უცხოვრია,
არც მისთვის წუხდა, რომ სიცოცხლე ხანმოკლე არის,
აღზევებისთვის მუხლმოყრით არ უმათხოვრია,
დიდთა წინაშე არ ყოფილა მორჩილად მდგარი.
ჰქონდა კალამი მართალი და დაუნდობელი,
მისი მოქნევის შემართება ახლაც დიდია,
ის იყო მისი ნუგეში და აზრის მშობელი,
ჯილდოზე იგი არასოდეს გაუყიდია.
ზოგს მიამიტი, გულუბრყვილოც ეგონათ ხშირად,
არ სწამდა კაცი, უნუგეშო, უღვთო, უხატო,
გულახდილობა და სიმართლე, დაუჯდა ძვირად,
მაგრამ მტრებს იგი იქნებ სხვებმა გადაუხადონ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გენაძე

# მუზარადში ამოსული ყვავილი

## რ ო მ ა ნ ი

ყველას ხსოვნას, ვინც ომიდან შინ
ვერ დაბრუნდა.

### პირველი თავი

ჩვენი ეშელონი სადღაც შიშველ მინდორში გააჩერეს, ჯარისკაცები უმალვე ჩამოგვსხეს, ხევში ჩაგვიყვანეს, დაგვამწკრივეს და ჯგუფებად დაგვანაწილეს.

ახლა უკვე ჩემი ჯგუფი ქალაქში მიაბიჯებს აქ ყველანი პირველად ვართ და მიდამოს ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებთ. ჯერჯერობით საინტერესო არაფერი ჩანს. გორაკებზე შეფენილი სახლები უკიდეგანოდ გადაშლილ შავ ზღვას გადაჰყურებენ.

ბიჭებმა ერთხანს მწყობრად იარეს, მერე დაიფანტნენ და გზას თავისუფლად გაუყვნენ.

ლეიტენანტმა, რომელსაც ჩვენი თავი ამ სამიოდე საათის წინათ ჩააბარეს, არაფერი გვითხრა და მეც რა მენაღვლება, იარონ ბიჭებმა თავისუფლად!

ქუჩას ჩექმებსა და ბათინკებზე დაკრული ნალების ჭახა-ჭუხი ახმაურებს.

წინ სავლე რეხვიაშვილი მიაბოტებს ყოჩივით. უკან ემზარ ჯიბუტი მიჰყვება კრავივით. სავლეს ერთი ნაბიჯი ემზარის ორ ნაბიჯს უდრის.

შალვა ცამციძეს, ელიოზ შავიძეს და მანანე ხაჭაპურიძეს გრძელი ფარაჯები შეხვდათ და საფრთხობელებსა ჰგვანან. ხელები და კანჭები არცერთს არ უჩანს. მხარბეჭიან და მაღალ სავლე რეხვიაშვილს კი ფარაჯა მუხლისთავებამდე ძლივსა სწვდება. მისი ტანისათვის შეკერილი ფარაჯა ჯარში არ იშოვება და რა ქნას? ბანჯგვლიანი მკლავები თითქმის იდაყვებამდე გამოუყრია, გეგონებათ, საჩხუბრად გამზადებულაო. მაგრამ სავლეს ჩხუბი ჯერ არავის უნახავს. ეს ბეჭებგანიერი, ოდნავ მოუხეშავი ახმახი ჯარისკაცი ცხვარივით უწყინარია. უბატონოდ ხმას არავისა სცემს. თუ ვინმემ გააჯავრა, ღიმილით დაემუქრება ხოლმე. ზოგჯერ ისე გულუბრყვილოა, ბავშვი მგონია. სავლე დანარჩენი ჯარისკაცებისაგან იმითაც გამოირჩევა, რომ ფეხზე ასალთახალი ქალამნები აცვია.

მიაბოტებს სავლე და იქით-აქეთ გაკვირვებული იყურება. საოცრად დიდი თვალები აქვს. იფიქრებთ, ქვეყნიერება პირველად რომ დაუნახავს, გაოცებულა და ის ბავშვური გაოცება მის თვალებს სამუდამოდ შერჩენიაო.

ნიკო კუდაშვილი თავჩაქინდრული მოდის, ზურგჩანთა კუზივით ადგას. ღმერთმა იცის, შიგ ამდენი რა უყრია.

ემზარ ჯიბუტმა „ჩარირამა ბებია“ წამოიღიღინა და არქიფო სვანიძეს იდაყვი გაჰკრა:

— ჰე, ამყევი, ბიჭო!

არქიფომ ხელი ჩაუქნია:

— რა მემღერება, შიმშილით კუჭი მეწვის.

ელიოზ შავიძე წვიმით გალუმპულ წიწილასავით მობუზულა. ამ საწყალს, მგონი, თაკარა ზაფხულშიც სცივა, ახლა კი დეკემბერია.

ვალიკო იაშვილი ორიოდეჯერ შეჩერდა და მწყრალად გამომხედა. აშკარად ეტყობოდა, ეწყინა, ლეიტენანტმა ჯგუფის უფროსობა მე რომ დამავალა. ვალიკო იაშვილი მზვერავია, თანაც ჩემზე მეტი ჩინი აქვს, უფროსი სერჟანტია. ცოტა ამპარტავნობაც სჩვევია. არ უყვარს, როცა სხვას მეტ ყურადღებას აქცევენ

და აფასებენ. ამ დროს წყენას ვერც მალავს.

ამირან ხარაძეს ზურგზე ფანდური ჰკიდია.

ლეიტენანტმა შენიშნა: შენ რა, ფრონტზე სასიმღეროდ მიდიხარ თუ საბრძოლველადო? თოფს შეველევი და ამ ფანდურს ვერაო, მიუგო მან.

ამირანს გვერდით ძმა მიჰყვება — შიო. ამირანს სულ უცინის პირისახე, შიო ფიქრის ბიჭია, უფრო ხშირად შუბლშეკრულსა ვხედავ.

სქელკისერა კახელი ფალავანი ფირუზა ხატიაშვილი ჩამოშლილ ტოლაღებს ისწორებს ხოლმე და წამდაუწუმ იგინება, ოღონდ ვის აგინებს, ვერ გაიგებ.

ფალავანს უჩა მჭედლიძე მიჰყვება გვერდით. ეს მუდამ კრიჭაშეკრული კაცი უცხოს მუნჯი ეგონება, გაზითაც ვერ ამოაძრობ სიტყვას, თითქოს რაც ქვეყნიერებაზე ხდება, მისთვის სულ ერთიაო. არც ახლა იღებს ხმას.

ჩუმად მოაბიჯებენ სეკა ძუგაევი და ესტატე დეისაძეც.

დღეს, ეტყობა, ლაპარაკის გუნებაზე არც სხვა ჯარისკაცები არიან.

სერგო მეწაღიშვილი და ნუგზარ დიასამიძე ბოლოს მოდიან და ჩურჩულებენ. ალბათ იმაზე თათბირობენ, აქ კაცი გადასაკრავს ვერ იშოვისო? ორივეს უყვარს დალევა. ნუგზარმა ერთხელ მითხრა, გრადუსი ჰქონდეს და თერმომეტრში ჩასხმულ ვერცხლისწყალს დავლევო.

რიყის ქვით მოჭედილ ქუჩას მივადექით და ნალები უფრო აჭახუნდა.

საველე ბექობთან შეჩერდა და ზღვას გადახედა.

ეს ქალამნიანი ჯარისკაცი ადრე თავის სოფელს არ გასცილებია, ამ ერთ წელიწადში კი ირანი მოიარა და ახლა შავ ზღვას გასცქერის.

— აგაშენათ ღმერთმა, ძლივს არ გადავყლაპე გემრიელი ჰაერი. — საველემ გრძელ ულვაშებზე ხელი ისე გადაისვა, გეგონებათ, მღვრიე მაჭარი დალია და ლექი მოიწმინდაო.

— ესეც შენი ნოვოროსიისკი! — ქალამნიან მაღალ ჯარისკაცს ტანმორჩილი ნიკო კუდაშვილი დაუდგა გვერდით და ზურგჩანთა შეისწორა.

— ძია ნიკო, არ მოგწონს აქაურობა? — ჰკითხა შიომ.

— ირანს სჯობია, ჰაერიც უკეთესია, თუ ამ ჰაერნაყლაპი ხალხი ცივ ზღვაში არ გვაბანავეს.

— ნიკოჯან, გეშინია? — სერგო მეწაღიშვილმა მარცხენა თვალი ოდნავ მოჭუტა, გაიღიმა და ოქროს კბილი გამოაჩინა.

— მე რა, ჩემი თავი ჯანდაბას, ხუთი შვილი მყავს, ხუთი, ოთხი ბიჭი, ერთი გოგო, სულ წვრილშვილი, უფროსი ცამეტი წლისაა, უმცროსი წლისა და ცხრა თვისა, მაშა.

— მდიდარი ყოფილხარ, — ჯიბუტმა სიფრიფანა ცხვირის წვერზე სალოკი თითი გაისვგამოისვა, — შენ რა გიშავს, ჩვენ ვიკითხოთ...

შიომ უბის წიგნაკი ამოიღო და რაღაც ჩაინიშნა.

ნუგზარ დიასამიძემ ვალიკო იაშვილს დურბინდი გამოართვა და ზღვას გახედა:

— რამხელაა ეს უპატრონო! ახლა უცებ ღვინოდ რომ იქცეს, ჰა!

— ბიჭებო, შეხედეთ, მზე რა ლამაზად იძირება, ასე გგონია, გახურებული ფოლადი დნებაო. — შიო ხარაძე ფალავანს მიუბრუნდა:— ფირუზ, ხედავ?

— ერთი მაგის პატრონის დედაცა და მერე— შენიცა! — ღიმილით მიუგო ხატიაშვილმა.

მზე ნამდვილად ლამაზად ჩადიოდა. თითქოს თვითონ იძირება, შუქს კი ჰორიზონტის არშიად ტოვებსო. ზღვაში მზის ჩასვლა აქამდე არ მენახა და თვალი კარგა ხანს ვერ მოვაშორე.

სხვა ჯარისკაცებიც ერთ ხანს ჩემსავით იყვნენ გარინდებულნი.

დუმილი ლეიტენანტმა დაგვირღვია:

— ეგ ზღვა არსად გაგექცევათ, ხვალაც აქ იქნება, აბა, გავუყვეთ, თორემ გვაგვიანდება! სერჟანტო, მოაწყვე ხალხი, შენც დადექი მწკრივში!

ნალდაკრული ჩექმებისა და ბათინკების ჭახა-ჭუხმა კვლავ აახმაურა ქუჩა. ახლა მხოლოდ ეს ხმა მესმის. მდუმარე ჯარისკაცები ჩაფიქრებით მიაბიჯებენ. ერთს მხარზე შაშხანა ჰკიდია, მეორეს — კარაბინი, ვალიკო იაშვილს ავტომატი ღვედით კისერზე ჩამოუკონწიალებია და საველეს გვერდით დამდგარა. ვიღაცამ ამირანის ფანდურის ლარებს ხელი გაჰკრა.

მიხვეულ-მოხვეული გზით დავეშვით.

ქვის ფართო კიბეზე ქალ-ვაჟი ამოდის. ბიჭს ფარაჯა აცვია, ქალს — ქურქი. აქაოდა, აღმართზე ასვლისას შემოგეშველებიო, ვაჟი ხელის მოკიდებას ცდილობს და ქალს ეტმასნება, ქალი კი ვაჟს ზრდილობიანად იშორებს, აბეზარ მეურვეს თავდაჭერილად გაურბის.

ქალმა კიბე ამოათავა, ყურებაკეცილი თბილი ქუდი მოიხადა, ჩამოშლილი თმა შეისწორა. ფეხს აუჩქარა და ვაჟს წინ გაუსწრო.

„ღმერთო ჩემო, ნანა გონგაძეს აქ რა უნდა?! — გული ლამის ბუდიდან ამომიფრინდეს. — იქნებ მხოლოდ ჰგავს და სხვა არის?!“ დავუძახებ-მეთქი. ენა დამება. კისერი მომელრიცა და თვალები უკან დამრჩა.

ქალ-ვაჟი მოსახვევს მალე მიეფარა. ვერ დავინამდვილე, ის გოგო ნანა იყო თუ არა. სული ამიფორიაქდა. კიდევ კარგი, გაგვაჩერეს, თორემ ფეხი ისე ხშირად მერეოდა, ჩემ წინ მიმავალ საველეს, მთლად დავუბეგვავდი კანჭებს. ჩექმის წვერი ორიოდეჯერ ისე მივარტყი, საწყალი კაცი სიმწრისაგან დაიმანჭა. საყვედური კი არ მაკადრა, მწარე ღიმილით მანიშნა, ფეხი გეშლებაო.

ღამის გასათევად გრძელ შენობაში შეგვიყ-

ვანეს. ამ შენობას წინათ ალბათ საწყობებად იყენებდნენ. მხოლოდ ფართო კარი და ორი ვიწრო სარკმელი აქვს.

ბიჭებმა ლაბადა-კარვები ცემენტის შიშველ იატაკზე გაფინეს, ზურგჩანთები და აირწინაღები ბალიშებად დაიდეს. მანასე ხაჭაპურიძემ თავის მიდება ძლივს მოასწრო, გემრიელი ხვრინვა ამოუშვა. უჩა მჭედლიძემ და შალვა ცამციძემაც მალე დაიძინეს.

მეც წამოვწექი, მაგრამ არ დამძინებია.

— მირიან, რა მოგივიდა, ავად ხომ არა ხარ? — მკითხა სავლემ.

— რა მიგავს ავადმყოფს?

— რაღაცა უგუნებობა გემჩნევა.

— კაცი ყოველთვის მხიარულად ვერ იქნება... არაფერია... შენ არ იძინებ?

— ერთს გავაბოლებ, თან გავიხედ-გამოვიხედავ. — სავლე გარეთ გავიდა.

მეათე კლასში ყოფნისას წინა მერხზე ნანა გონგაძე დამისკუპდა. ის გოგო ჩვენს სკოლაში ბათუმიდან გადმოვიდა. მეზღვაურის ხალათი ეცვა. საყელოგადაფენილი. პირველად თავი სოფლელ გოგოებზე უფრო დარბაისლურად ეჭირა. გვიან მივხვდი: ეს სერიოზულობა მხოლოდ ქალური სიკეკლუცის ნიღაბი იყო. ზოგჯერ ისე შემომხედავდა, გულაჩქროლებული ვშტერდებოდი და მონუსხულივით კარგა ხანს ვიყავი ერთ ადგილას დაბმული. მერე წიგნში თავის ჩარგვა ამაო იყო: თეთრი მინდვრის შავი ხნული სადღაც მეკარგებოდა, ასოების ნაცვლად ნანას თვალებსა ვხედავდი და სულიანხორციანად იმ თვალებში ვიძირებოდი. თეთრი ბაბთებით შეკრული ორი ნაწნავი ყელზე მეხვეოდა და სუნთქვაშეკრულს მახრჩობდა.

ჩვენი კლასის ფანჯარა გზატკეცილს გადაჰყურებდა. ერთხელ მე და ნანა იმ ფანჯარასთან ვიდექით. ნანას ნაირნაირი ყვავილებით მოხატული ჭრელი კაბა ეცვა. გზაზე უცნობმა ქალიშვილმა გაიარა, შავკოპლებდაყრილი თეთრი კაბა შვენოდა, მოხდენილად მიირხეოდა. უნებლიეთ გავაყოლე თვალი. ნანამ ხელი ქოჩორზე წამავლო და თვალებზე ჩამომაფარა.

— რას შვები, გოგო? — ძლივს მოვიშორე ნანას ხელი და ქოჩორი გადავიწიე.

— როცა ერთ ქალიშვილთან დგახარ, ყმაწვილო, მეორეს თვალები არ უნდა დაუპრაწო. უზრდელობაა. — ნაღველშერეული სიცილით მითხრა ნანამ, შეტრიალდა და გამშორდა. ღელვა და წყენა ვერ დამალა.

იმ ღამეს რული არ მომკარებია. საოცრად თბილი ხელი ქოჩორს თვალებზე მაფენდა და ეს ამბავი უცნაურად მაჟრჟოლებდა.

თითქმის ერთ თვეს გოგოსათვის ხმა არ გამიცია. ნანასთან ლაპარაკი სიცოცხლედ მიღირდა, კრინტის დაძვრას დავაპირებდი და გული ყელში ბურთივით მებჯინებოდა.

მერე მე და ნანა ერთმანეთს ტკბილად იშვიათად ვესაუბრებოდით, თითქოს რაღაც გვაქვს გასაყოფიო, ხშირად ვკინკლაობდით და ჩხუბი რატომღაც ტკბილ საუბარზე მეტად მსიამოვნებდა. რაღაცას ვებრძოდით და ამ ბრძოლის კორიანტელში იდუმალი გრძნობის ცეცხლსა ვმალავდით.

ათწლედი ისე დავამთავრეთ, ერთმანეთისათვის სიყვარული არ აგვიხსნია.

მერე მე უნივერსიტეტში მოსაწყობად თბილისს მივაშურე, ნანა კი სოფელში დარჩა ბებიასთან. გაზაფხულზე გავიგე; დაუკრავს ფეხი და შინაურების დაუკითხავად შემთხვევით შეხვედრილ გეოლოგს გაჰყოლია.

მეგონა, ყველაფერი სიზმარივით გაქრებამეთქი. იმ ამბავმა გულში ჭრილობა დამიტოვა, უნდობლობის ჭრილობა.

უკვე ჯარში ყოფნისას მომწერა ამხანაგმა: ნანა ქმარს გაეყარაო.

წარმოიდგინეთ, ესეც მეწყინა. იმ გოგომ თითქოს მეორედ მომაყენა შეურაცხყოფა: თუ ასე ქარაფშუტა იყო, რამ შემაყვარა-მეთქი?

პირველი სიყვარულის ჭრილობა თავს ხშირად მახსენებდა. ვიგონებდი ნანასთან გატარებულ დღეებს და რაღაც მტკიოდა, მაგრამ ნანასთან კვლავ შეხვედრისა და დაკარგული სიყვარულის დაბრუნების სურვილი ერთხელაც არ დამბადებია.

შეურაცხყოფილი, სხვის ხელში ბურთივით ნათამაშები სიყვარული რაღად მინდოდა?

„დავიჯერო, ის გოგო ნანა იყო? ჯარში ექიმები და ექთანები მოჰყავთ, ნანა რატომ უნდა წამოეყვანათ? იმ გოგოს წითელი ჯვრით მოხატული ჩანთა ეჭირა. იქნებ ქმარსგაცილებულმა ნანამ აწრიალებული გული ასე დაიმშვიდა? ვთქვათ, საექთანო კურსები ან საფერშლო სკოლა საჩქაროდ... დაამთავრა და...

ნანას მამა მაიორი იყო, ვინ იცის...

თუმცა, რამდენი ადამიანი ჰგავს ერთმანეთს...“

ერთხელ ისტორიის მასწავლებელმა მეზობელ სოფელში ძველი ციხე-კოშკის დასათვალიერებლად წაგვიყვანა. ნანა ისე მომყვებოდა, თითქოს უსიტყვოდ მევედრებოდა, ხელი მომკიდეო. არ მეყო სითამამე. მოზრდილი ღელე იყო გადასასვლელი. ნანამ ისეთ ადგილას მოინდომა გატოპვა, უეჭველად უნდა გამომეჩინა ვაჟკაცობა. შუაწყალში, აქაოდა, სიპ ქვაზე ფეხი ამისხლტაო, გოგო მკლავებში ჩამივარდა. მე მგონია, ეს მაშინ განგებ ჩაიდინა, მორიდებულ ბიჭს გავათამამებო, რაკი ერთხელვე ხელის მოკიდებას გაბედავს, მერე აღარ შერცხვებაო. ციცაბო ბილიკს ავუყევით. იქაც ვაჟკაცობის გამოჩენა იყო საჭირო. ხელი ჩავჭიდე და აღარ გავუშვი. ორიოდეჯერ მკერდით მომეხალა და გაიტრუნა. ციხეზე ასვლისას ჩემს მკლავზე იყო ჩამოკიდებული. გულში უჩვეულო ცეცხლი დამიტრიალდა. ქონ-

გურს რომ მოვეფარეთ, კიდევ უფრო გამათამამა, მოვეხვიე და ვაკოცე. უკან მოდევნებულმა ყიჟინამ მაპოვნინა თავი, არ ავყევი გახელებულ ქინს, თორემ ვინ იცის...

ასეთი იყო ნანა. ეს სანიტრისჩანთიანი გოგო კი ვაჟის ხელს ახლოსაც არ იკარებდა.

„იქნებ ქმარმიტოვებულმა ქალმა ბუნება შეიცვალა? ჭკუაში ჩავარდა და ვნების იდუმალ ძახილს ადვილად არ მიჰყვება, ერიდება მამაკაცს?“

ამ ქალაქში თუ გაგვაჩერეს, შეუძლებელია არსად შემხვდეს. უბრალოდ ცნობისმოყვარეობა მახელებს, ის გოგო ნანაა თუ სხვა ვინმე?

მოგეხსენებათ, ჯარისკაცი სადაც თავს მიდებს, მისი სახლკარიც იქ არის. ფიქრს დაღლილობამ აჯობა და ჩამეძინა.

კარგა ხანია ასე გემრიელად ღამე არ გაგვითევია. დილით გასაღვიძებლად თავზე არავინ დაგვდგომია. ძილით გამაძღარი ხალხი ნებანება წამოიშალა.

ლეიტენანტმა ბრძანება გასცა: ეზოდან ფეხი არავინ გაადგასო.

— მირიან, ხუთიოდე ბიჭი რომ გავიპაროთ, შენ ხომ არ გეწყინება? — გამიხმო არქიფო სვანიძემ.

— რა დაგკარგვია ქალაქში?

— იქნებ სასუსნავი ვიშოვოთ რამე. ძალიან კი არ დავაგვიანებთ, მალე მოვალთ.

— წადით, ოღონდ ფრთხილად!

მალე დაბრუნდნენ ხელცარიელნი და ყურებჩამოყრილნი.

— რა ქენი, ბიჭო, ვერაფერი იშოვე? — ვკითხე არქიფოს.

— მაგათი ყოფაც ავატირე, ყველასი. ბაზარი აღარ არის, არც ისე იყიდება რამე. ერთ ბერიკაცს „ბუხანკა“ მოჰქონდა, ვთხოვე, დამითმე-მეთქი. მწყრალად შემომხედა: ვინ ხარ, შე მათხოვაროო. მუქთად კი არ მინდა, ფულს მოგცემ-მეთქი. ეგ შენი ფული შპალერის მაგივრად კედელზე გააკარი. ხვრელებიდან შემოპარულმა ქარმა ცუდი ამბები რომ არ დაგასიზმროსო. აქეთ ფული აღარავის უნდა, გაცვლა ნაღდზეაო.

— მალე, ალბათ, ფრონტზე გაგვიყვანენ და იქ ყველაფერი თავზე საყრელად გვექნება.

— კი... ყუმბარებს ბლომად დაგვაყრიან.

ეს არქიფო, მგონი, კუჭგახვრეტილია, მუდამ შია. ადრეც გამხდარი იყო, ჯარში კი მთლიანად ჩამოყარა ხორცი, დაჩიავდა და დაილია ერთხელ თვითონვე იხუმრა: რაც ფარაჯა ჩამაცვეს, მხოლოდ მადა და ყურები გამიდიდდაო; მეცოდება, მაგრამ რა ვქნა, აქ ულუფა ყველას გამოზომილი გვაქვს.

დილით ციოდა, მერე დეკემბრის სუსხს ღრუბლებში მყვინთავმა მზემ აჯობა და ცოტა დათბა. ბიჭები ბარგიბარხანიანად გარეთ გამოეფინენ. ზოგმა ეზოში უსაქმოდ დაიწყო ყიალი, ზოგიც ჩამოჯდა და ბერიკაცივით მზეს მიეფიცხა.

შიომ სადღაც ცარცი იპოვა და კედელზე ქართულად მიაწერა: „აქ ვიყავით ქართველი ბიჭები. დეკემბერი, 1941. ხარაძე შიო“.

— მემატიანენო, შეხედეთ, ჩემი ძმა სადაც მიდის, კვალს ტოვებს! — გაიცინა ამირანმა, ფანდური მოიმარჯვა და შაემოწმა, ხმა ხომ არ დაჰკარგვიაო.

ნიკო კუდაშვილი ბოლთასა სცემს ჩაფიქრებული. რატომღაც ზურგჩანთას წამითაც არ იშორებს.

— ნიკოჯან, მაგ ზურგჩანთაში ისეთი რა გიწყვია, დღე და ღამე რომ ვერ ელევი? — ცალ თვალს ოდნავ ჰუტავს და ოქროს კბილს აჩენს სერგო.

— ერთი შენც მოგცლია, ვითომ არ იცი...

— საიდან უნდა ვიცოდე, გულთმისანი ვარ?

— ძალიან კარგადაც იცი.

— არ ვიცი, ადამიანო, ვაი?!

— მუხუდოს კონცენტრატები და გამხმარი პურია, რა გინდა მერე? თქვენ რომ მაშინვე გამოუყენებთ წირვას, მე ვინახავ, მაშა.

— მთელი წლისთვის მოგიმარაგებია, მოგკლავს მაგის თრევა. ბიჭებს დაურიგე, ტვირთი შეგიმსუბუქდება.

— შენ ჩემი ჯავრი ნუ გაქვს. მუდამ ასე ვატარებ... ზურგიდან მაინც არ მომხვდება ტყვია. ჯავშნად მინდა, ჯავშნად? აღარ მომეშვები?

— ბარემ გორის ციხე წამოგეკიდებინა, ყუმბარაც ვეღარაფერს დაგაკლებდა! — სერგო კვლავ აელვებს ოქროს კბილს.

— ძია ნიკო, ჯავშნად თუ გინდა, ქვიშა ჩაიყარე შიგ, ტყვია უფრო ვერ გაატანს! — იცინის მეფანდურე.

— ქვიშა თქვენ ჩაიყარეთ ცარიელ ზურგჩანთებში! — ნიკო ულვაშებზე ისვამს ხელს.

— აპა, აბა, ძია ნიკოს არ აწყენინოთ, ბიჭებო. თორემ! — ვექომაგები მე.

— რა, თორემ? — ფანდურს ათამაშებს ამირანი.

— კუჭი შიმშილით რომ გაგიხმეთ, პურის ერთ ნატეხსაც არ გიწილადებთ.

— ეჰ, — ამოიხვნეშა ნიკომ, — ვინ იცის, შინ როგორ არიან, მე კი აქ...

— ნუ გეშინია, ძია ნიკო, ყველანი კარგად იქნებიან.

— ა, ნახე! — კუდაშვილმა ფარაჯის შიდა ჯიბიდან სურათი ამოიღო და ხელისგულზე დაიდო.

ქალს ბუთხუზა ბავშვი უზის მუხლზე. ორი დაბღვერილი, პერანგისამარა ბიჭი მარჯვნივ ამოსდგომია, ერთიც, ბრაზიანად თვალებგადმოქაჩული, უკან უდგას. ხუთიოდე წლის ჭრელკაბიან გოგონას ქალის წინ ჩაუმუხლებია და, ეტყობა, ვულიანად იცინის.

— ამ მამაძაღლს, — ნიკომ თითი ფართოდ

თვალებგახელილ ბიჭს დაადო, — პაპამისის სახელი დავარქვი — ლევა. მამაჩემი ცხრაას თოთხმეტში რომ „ვაენობა“ იყო, მაშინ დაიღუპა... ოთხი ობოლი დაგვტოვა... აი, მისი სახელი გავაცოცხლე, უფალმა ყველაფერი ცუდი გვაშოროს.

— კარგი ცოლ-შვილი გყოლია.

— ეჰ! — ნიკომ ისევ ამოიხვნეშა და სურათი შეინახა.

ცოტა ხნის შემდეგ სავლეს ხმა მომესმა:

— ვინ მიქნა ეს, ჰა, ვინ მიქნა?

— რა იყო, სავლე?

— აგურები ჩოუყრიათ! — სავლემ ზურგჩანთიდან ორი წითელი აგური ამოიღო და ცალ-ცალკე დაიჭირა ხელში. — ვიღაცამ ეს მიქნა, ხომ არის თავში ჩარტყმის ღირსი? ან დალლარა ჯიბუტი იქნებოდა, ან ეს ჭკუამხარული მეფანდურე! — სავლემ ამირანს გახედა და აგურები შორს მოისროლა.—მირიან შენ ხომ არ მოგიკრავს თვალი?

— არა, არ შემიმჩნევია.

სავლე გამშორდა და ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მომიბრუნდა:

— მირიან, ჩვენ ახლა გადაგვანაწილებენ და, თუ ძმა ხარ, არ მიღალატო.

— მე რა ღალატი შემიძლია, სავლე?

— სადაც შენ ჩაგრიცხონ, მეც იქ ჩამწერე, ნუ მიმატოვებ ამ ლაზღანდარების ხელში. ნასწავლი კაცი ხარ და იმედივით გიყურებ, ჩემ თავს არავის დააჩაგვრინებ. ღმერთმა კამეჩივით ღონე მომცა, მარა, მარტო ღონე რას მიშველის...

— ჭკუა არა გაქვს, შე საწყალო, — სიცილით უთხრა ამირანმა.

— გაგხეთქავ, ბიჭო, ახლა ცემით! — გაუღიმა სავლემ, და თათმანიანი ხელებით ტაში ყურთან დაუტკაცუნა.

ეზოში უცნობი ზემდეგი შემოვიდა:

— ირანიდან გადმოყვანილი ჯარისკაცები თქვენა ხართ?

— არ გვეტყობა იქაური მზე? — მიუგო ამირანმა.

— ჯგუფის უფროსი რომელია?

— მე ვარ, ამხანაგო ზემდეგო.

— აბა, მოწესრიგდით, ჩვენი ბატალიონის ახალი მეთაური უნდა მოვიდეს.

— მკაცრია? — ჰკითხა ვალიკო იაშვილმა.

— ჯერ არც დავლაპარაკებივართ. ამ დილით დაგვამწკრივეს, წინ ქერა კაპიტანი დაგვიყენეს და რუსულად გამოგვიცხადეს: ამიერიდან ბატალიონის მეთაური კუზნეცოვი იქნებაო. აქამდე სულ ქართველი მეთაურები გვყავდნენ, პატაკსაც კი ქართულად ვაბარებდით, ახლა, ალბათ, ასეა საჭირო...

— იქ ჩვენც ქართულ ბატალიონში ვიყავით! — მივუგე მე. — თქვენ სადაური ხართ, ამხანაგო ზემდეგო?

— გურული.

— ჩვენებური ყოფილხარ! — გაეხარდა ჯიბუტს. — გამარჯობა შენი! მე ემზარა ვარ, ჯიბუტი.

— მიტროფანე ჩხაიძე! — ზემდეგმა ჯარისკაცს ხელი ჩამოართვა.

ვალიკომ დურბინდით ქუჩას გახედა:

— ქერა კაპიტანი მოდის, ალბათ, ის იქნება.

— ჰო, ის არის, — თქვა ზემდეგმა .

— აბა, დადექით, ბიჭებო! — ვთხოვე ამხანაგებს.

— ზურგჩანთებიც ავიკიდოთ? — მკითხა სავლემ.

— როგორც გინდათ. ერთ მწკრივად მოეწყვეთ, ერთ მწკრივად!

— ნაღდი რუსი ჩანს, — თქვა ვალიკომ.

— აბა, კუზნეცოვი ვინ იქნება?

ემზარმა უცებ შუბლზე მიირტყა ხელი და ზემდეგს მიუბრუნდა:

— წეღან რა თქვი, ჩვენებურო, აქამდე პატაკსაც კი ქართულად ვაბარებდითო?

— ქართული ბატალიონი იყო და... რა მოხდა, შე კაი კაცო?!

— ამ ერთხელაც იმ რუსს ქართულად რომ ჩავუპატაკოთ, ცა ხომ არ ჩამოიქცევა? ვითომ ახალმოსულებმა არ ვიცოდით... —ემზარმა თვალი ჩამიკრა.

— ჩაუპატაკეთ, კი, ბატონო, მე რა მაქვს საწინააღმდეგო? — ზემდეგი განზე გადგა.

ჯიბუტი ახლა მე მომიბრუნდა:

— მირიან, ჩემო ძამია, მე ვუპატაკებ, რა! ამ ერთხელ უფროსობა დამითმე ვაჟკაცურად.

— დავუთმო? — პირველად ვალიკოს შევხედე.

დაუთმეო, რამდენიმე კაცმა ერთად მომაძახა.

— სხვას ნურაფერს შემეცილები და ყველა ჩემ ჩინ-მედალს დაგითმობ... შენ ახლა მორიგე ხარ, იცოდე. — მწკრივში ემზარის ადგილას ჩავდექი.

— მიდი, ემზარჯან, მიდი, ერთი შენებურად შეალამაზე! — მიაძახა სერგომ და თვალი ჩაუპაჭუნა.

— ეშმაკის ფეხო, შარი არაფერი აგვიტეხო, შარი! — მწკრივიდან წინ წამოიწია შალვა ცამციძემ.

— დადექი შენს ადგილას! რა შარი უნდა აგიტეხო? — ჯიბუტმა ცამციძეს ხელი მსუბუქად მიარტყა და მწკრივში დააბრუნა, მერე ჩაიღიღინა: — ჩარირამა, ჩარირამა... აბა, მხნედ, ბიჭებო!

ეზოში მაღალ-მაღალი, ქერა კაპიტანი შემოვიდა. ქურქზე ვარსკვლავაბზინდიანი ფართო ქამარი არტყია, მხარიღლივ საველე ჩანთა ჰკიდია.

— სმენა! — გასცა განკარგულება ჯიბუტმა.

— თავს გაუფრთხილდი, ბიჭო! — ზურგჩანთა შეისწორა ნიკო კუდაშვილმა.

ემზარი კაპიტანს მწყობრი ნაბიჯით მიეგება, ქუსლი ქუსლს მჯახედ მიარტყა, გაშლილი ხელი საფეთქელთან მიიტანა და რიხინად დაიწყო:

— ამხანაგო კაპიტანო, ირანიდან ჩამოყვანილ ჯარისკაცთა ჯგუფში ყველაფერი წესრიგზეა... — ერთი ღრმად ამოისუნთქა და ასევე რიხიანად განაგრძო: — შენს ცოლს კი გავეხუნტრუცე **შუაღამისას!**

სავლემ, ამირანმა, არქიფომ და ნუგზარმა იფრქვინვეს, მეც წამსკდა სიცილი, სხვებმა თავი ძლივს შეიკავეს. ზემდეგი შეცბა და გახევდა.

კაპიტანმა ყვრიმალთან მიტანილი ხელი დაუშვა და მოპატაკეს მშვიდად ახედ-დახედა:

— კაკ ვაშა ფამილია?

— რიადავოი დჟიბუტი, ტავარიშ კაპიტან!

— ეტა ტოჟე ნადო დაკლადივატ! პანიატნო?

— პანიატნო! — ემზარი ცოტა არ იყოს შეკრთა.

სავლე შეკავებულმა სიცილმა ლამის დაახრჩოს, წამდაუწუმ ფხუკუნებს.

— ზნაჩიტ, ვი პარუსკი გავარიტ უმეიტე, პერევედიტე ტოჩნო, ჩტო ვი რაპარტავალი!

— ვაიმე! — ჩვენკენ გამოიხედა და უმალვე მიბრუნდა. —ია... ია... რაპარტავალ, ჩტო... ვგრუპე სალდატ, კატორიე პრიბილი იზ ირანა, ვსიო ვპარიადკე.

— ხარაშო, ვოლნა!

— ვოლნა! — შვებით ამოისუნთქა ჯიბუტმა.

ჯარისკაცები კვლავ ძლივს იკავებენ სიცილს.

— ჩოტკა რაპარტუეშ, სალდატ, ნო პლოხო, შტო ტაკჟე ჩოტკო პერევადიტ ნე უმეეშ. — კაპიტანმა ემზარს კვლავ ახედ-დახედა, მერე მწკრივს ნელა ჩაუარა, ყველა სათითაოდ შეათვალიერა, მწკრივის თავთან შეჩერდა და იქვე მდგარ ჯიბუტს გაუღიმა: — — ისე, შე ღმერთ ძაღლო, ნამეტანი გულკეთილი ყოფილხარ.

— ვაიმე?! — ემზარი თვალებად იქცა და. თითქოს ხელი ჰკრესო, უკან დაიხია.

— სადა მყავს, ბიჭო, ცოლი, თორემ მეც კარგად გავეხუნტრუცებოდი.

ჯარისკაცებს ღიმილი გაკვირვებად ექცათ. ერთმანეთს გადავხედეთ.

ჯიბუტი აკანკალდა:

— ვაი?! ბოდიში, ამხანაგო კაპიტანო, რა ვიცოდი, თუ...

— ბათუმში გაზრდილი რუსი ვარ, შე აბდალო! — კაპიტანმა ხელი ლოყაზე ალერსიანად გაუტყაპუნა.

— ხომ გითხარი, ხომ გითხარი, ახია შენზე! ხეხე ახლა ნაობახტი! — ჯიბუტს ნიშნისმოგებით მიაძახა ცამციძემ.

— რა ვქნათ ახლა ჩვენ? — ჰკითხა ემზარს მეთაურმა.

— დამნაშავე ვარ, ამხანაგო კაპიტანო, დამსაჯეთ, **ღირსი ვარ!**

კაპიტანმა ჩუმად გაიცინა:

— მოდი ასე შევთანხმდეთ; დავძმაკაცდეთ ერთიანი ფრონტისათვის, სადმე სახუნტრუცო თუ ვინმე შეიგულო, ნუ მომერიდები, მეც გამაგებინე. — ბეჭზე ძმაკაცურად დაჰკრა ხელი და ჩვენ შემოგვიბრუნდა. — ახლა გავიცნოთ ერთმანეთი. მე ვარ ბატალიონის მეთაური ლეონიდ ფეოდოროვიჩ კუზნეცოვი. შენი გვარი, ამხანაგო!

სავლე გამოიჭიმა და ისედაც დიდი თვალები უფრო გაუფართოვდა:

— რეხვიაშვილი... სავლეს მეძახიან.

კაპიტანმა ახედ-დახედა და შუბლი შეიკრა:

— ეს რა არის? პარტიზანობას აპირებ? ქალამნიანი ჯარისკაცი ვის გაუგონია? ერეკლე მეფის დრო ხომ არ არის? ჩექმები ჩაიცვი ახლავე!

— დამეხა, ამხანაგო კაპიტანო, ბედად გზაზე საქალამნე ვიშოვე, თვარა სულ ფეხშიშველა ვრჩებოდი.

— დაგეხა, თუ პურ-მარილში გასცვალე და შემოგეჭამა? აქაოდა, ახალ ნაწილში მაინც მომცემენო?

სავლეს ენა დაება და რაღაც გაურკვევლად ამოილუღლუღა.

— გაყიდე? — ჩაეძია კაპიტანი.

— არ გაუყიდია, ნამდვილად დაეხა, ამხანაგო კაპიტანო, — მივუგე მე.

კაპიტანმა მკაცრად შემომხედა:

— ოჰო, ქომაგიც ჰყოლია, თვითონ ვერ გამცემს პასუხს?

— ჩემ ჯღანებს ვინლა იყიდდა, თვარა... — როგორც იქნა სიტყვა იპოვა სავლემ.

— აბა, გადაყარე?

— არა, არ გადამიყრია, აგერ მაქ. — სავლემ ზურგჩანთა გახსნა და ჩექმები ამოიღო. — ერთს აღარც ძირი უვარგა, აღარც ყელი, ცალი ჩექმით ვიარო?

კაპიტანმა მინგრეულ-მონგრეულ ჩექმას დახედა:

— მართალი კაცი ყოფილხარ. კეთილი, შეინახე! ზემდეგო!

— გისმენ, ამხანაგო კაპიტანო! — გამოეჭიმა ჩხაიძე.

— დღესვე წაიყვანე საწყობში და გამოუცვალე!

— ჩემი სარგო ჩექმა ჯარში არ იშოვება და რაფრათ გამომიცვლის? თუ ვინმე შემიკერავს, სხვა ამბავია. — გათამამდა სავლე.

— რა ნომერი გინდა?!

— რა ვიცი, მგონი, ორმოცდაცხრა.

კაპიტანი ღიმილად იქცა:

— აუჰ?! ვინა ყოფილხარ, კაცო შენ?!

— რა ჩემი ბრალია? — სავლემ ჩექმები ზურგჩანთაში ჩაყარა. — სანამ ულვაში არ ამომივიდა, ფეხსაცმელი არ მღირსებია, ისე დავტრატუნობდი ტყე-ღრეში.

— ეს ჩექმაც თავრიზში შეუკერა ერთმა

ღვთისნიერმა კაცმა. მანამდე „პაკრიშკის“ წაღები ეცვა. — სიტყვა მივაშველე სავლეს. — იქნებ აქაც გამოვუნახოთ ვინმე მეჩექმე.

კაპიტანმა მხრები აიწურა:

— აქ ძნელია. რა გიყო ახლა მე შენ?

— რა ვიცი... — მხრები აიწურა რეხვიაშვილმაც და განა ხუმრობით, სერიოზული თავდაჯერებით მიუგო: — რაკი ჩემი სარგო ფეხსაცმელი ჯარში არ იშოვება, გამიშვით სახლში. მამაჩემს მივეხმარები, შვიდი შვილი ჰყავს სარჩენი.

— კარგი, კარგი, ვილონებთ რამეს, ასე არ დაგტოვებთ. — კაპიტანი მე მომადგა. — შენი გვარი?

— კობერიძე მირიან.

— შენ ყველას ექომაგები, თუ?..

— ვინც მართალია, რატომ უნდა დაიჩაგროს?

— ეგეც სწორია. შინ რას აკეთებდი?

— უნივერსიტეტში ვსწავლობდი იურიდიულ ფაკულტეტზე. მეორე კურსიდან წამომიყვანეს ჯარში.

— მეთაურთა სკოლაში ხომ არ ყოფილხარ?

— არა.

— რატომ მერე?

— რა ვიცი... სულ ერთი არ არის?

კაპიტანი მწკრივს გაჰყვა:

— დიასამიძე ნუგზარი... მეც ბათუმში ვარ გაზრდილი, ამხანაგო კაპიტანო.

— ხაჯაპურიძე მანასე.

— რა მოგივიდა, წუხელი არ გძინებია? — ჰკითხა კაპიტანმა.

— როგორ არა. — ულიმღამოდ მიუგო მანასემ.

— ყველაზე ადრე დაწვა და ყველაზე გვიან გაიღვიძა, — თქვა ნუგზარმა.

— მერე, კარგად გაახილე თვალი, შე კაი კაცო! ჯარისკაციც ფხიზელი უნდა იყოს!

— მზემ მომთენთა და... — თავი იმართლა მანასემ.

— შავიძე ელიოზი. — ხელები მოიშმუშნა ჯარისკაცმა.

— შენ რას მობუზულხარ, გცივა?

— დეკემბერია.

— ხაჯაპურიძისათვისაც დეკემბერი არ არის? ერთი ამ მზეზე ითენთება, მეორეს სცივა...

— ყველას სხვადასხვა სისხლი აქვს, ამხანაგო კაპიტანო.

— გაინძერ-გამოინძერი ხოლმე და გახურდები. შენი გვარი?

— ხარაძე შიო.

— კაპიტანმა შიოს ფარაჯის საყელო გადაუწია და გულისპირიდან წვრილ ძეწკვზე დაკონწიალებული რაღაც ღინჯილო ამოუღო.

— ეს რა ავგაროზი გკიდია? მოიხსენი ახლავე! მორწმუნე ხარ?

— მორწმუნე არა ვარ, მაინც ვერ შეველევი... პატარაობისას მე და ჩემ ძმას ერთმანეთისაგან ვერ გვარჩევდნენ და ეს დედამ ჩამომკიდა...

— ჰო, თუ ასეა... — კაპიტანმა ანიშნა, შეინახეო.

— ხარაძე ამირან.

— შენა ხარ ამის ძმა?

— ტყუპები ვართ, ამხანაგო კაპიტანო, — ამირანმა ზურგზე მოგდებული ფანდური გაისწორა.

— ჰო, რაღაცით კი ჰგავხართ ერთმანეთს.

— შიოზე სამი საათით, ცხრა წუთით და შვიდი წამით ვარ უფროსი. — გაიცინა ამირანმა.

— სერგო მეწაღიშვილი. მე ამხანაგო უფროსო, კარგი მედოლეც ვარ, თუ დაგჭირდეთ...

— არა, მედოლე აქ არ გვჭირდება. როცა საჭირო იქნება, დოლს ზარბაზნები დაუკრავენ.

— დეისაძე ესტატე. — ჯარისკაცმა გრძელ ულვაშზე გადაისვა ხელი.

— მჭედლიძე, — ისე ჩაილაპარაკა უჩამ, თითქოს თავისი გვარის თქმას ვინმეს ამადლისო.

— სახელი? — ჰკითხა კაპიტანმა.

— რა მნიშვნელობა აქვს, უჩა მქვია.

— მზვერავი იაშვილი ვალიკო! — უფროსმა სერჟანტმა მკერდი წინ წაიგდო და კისერზე თასმით ჩამოკონწიალებული დურბინდი შეათამაშა.

ნიკომ ერთი შეხედა კაპიტანს და თავი ჩაღუნა, თითქოს მიწას ელაპარაკებაო:

— კუდაშვილი ნიკო. მე, ამხანაგო კაპიტანო, ხუთი შვილი მყავს, ერთი გოგო, ოთხი ბიჭი, სულ წვრილშვილი. — უბიდან უცებ სურათი ამოიღო და ხელისგულზე დაიდო. — მამაჩემი პირველი მსოფლიო ომის „ვაენობისას“ დაიღუპა, ოთხი ობოლი დავრჩით... ახლა მეც რა ვიცი...

— დამშვიდდი, დამშვიდდი.

— ძუგაევი სეკა... მე ოსი არის, სენი წირიმე.

— ხატიაშვილი ფირუზა.

— შენ მოჭიდავე ხომ არა ხარ?

— მეტყობა?

— საღლაც მინახავხარ. კარგი ფალავანი უნდა იყო...

— უკეთესი ვიქნებოდი, მაგრამ ვის აცალეს ამ ჩემანალა გერმანელებმა, მაგათი დედაც!.— ცხრასართულიანი დააჭვავა ხატიაშვილმა.

— სვანიძე არქიფო.

— ცამციძე შალვა... შალიკო. ისე, მე მთლად ჯანმრთელი ვერა ვარ, პატივცემულო...

— ნუ გეშინია! — დააიმედა კუზნეცოვმა და მწკრივის დათვალიერება განაგრძო, ბოლომდე ნება-ნება გავიდა, შემობრუნდა და ახლა შორიდან შემოგვხედა: — აუჰ, ეს რაა, კაცო?

ქართველები ლატარიაში მერგეთ? მთელ ბატალიონს სამაჯრე ულვაშები გაუშვია. — კაპიტანმა კეთილად გაგვიღიმა, — მოდი ბიჭო, აქ!

სავლემ გადადგა ნაბიჯი.

— შენ არა! — კაპიტანმა ჩემკენ გამოიხედა.

მწკრივიდან გავედი. კაპიტანი ახლოს დამიდგა და წყნარად მითხრა:

— შავი ულვაში კარგია, გშვენის. ეს შავი წვერი რა შავ ჭირად გინდა ჭირისუფალი ხარ?

იმას ხომ არ ვეტყოდი, წვერის გაპარსვასავით არაფერი მეჯავრება-მეთქი? რაკი შინაურად გამესაუბრა, მეც შინაურული სითამამით მივუგე:

— სიკვდილს ასე უფრო შევაშინებ, ამხანაგო კაპიტანო.

— ჰაიტ! — ხელი მკერდზე ალერსიანად მომარტყა. — სადაა, ბიჭო, სიკვდილი? რა დროს სიკვდილია, შე აბდალო? დღესვე გაიპარსე წვერი, თორემ აქაურ გოგოებს არ მოეწონები, წვერმა ჩხვლეტა იცისო, დადექი!

მე კვლავ მწკრივში დავბრუნდი.

ჯარისკაცებმა ერთმანეთს იმედიანად გადახედეს, ასეთ მეთაურთან არაფერი გაგვიჭირდებაო. ემზარმა აყინჩული ცერიც კი გაიშვირა კუზნეცოვისკენ.

ეტყობა, კაპიტანს თვითონ უფრო სიამოვნებს, ქართულად რომ გველაპარაკება, თორემ ასე განსაკუთრებით ჩემი წვერი აქ რა სახსენებელი იყო?

— თქვენ ახლა ნამგზავრები ხართ და აბანო მოგიხდებათ, ხომ მართალია? — გვითხრა კუზნეცოვმა.

ბოლში გამოყვანილ ტარანასავით გაფშეკილ-ჩამომხმარმა არქიფო სვანიძემ უკმაყოფილება ვერ დამალა:

— რა დროს აბანოა, მგელივითა მშია.

— დღეის ულუფა ხომ მიღებული გაქვთ? — საუბარში ჩაერია ზემდეგი.

ჩხაიძეს მკაცრად შეხედა მეწალიშვილმა, ამ ღვთისნიერ კაპიტანთან საუბარი გვაცალეო:

— რა ხანია გზაზე მოვდივართ, შემოგვეჭამა.

— თქვენ ჯარისკაცები არა ხართ? — ხელქვეითის მრუდე შემოხედვა არ ესიამოვნა ზემდეგს.

— ჯარისკაცი რა, უკუჭოა, უკუჭო? — ჩაიბურდღუნა შალვა ცამციძემ.

— ჯარისკაცს თუ დასჭირდა, ორ კვირას ბათინკის ენა უნდა ღეჭოს და ისე შეინახოს თავი! — ხმა გაირიხიანა ზემდეგმა. — პანიატნო, სალდატ?

— მე პანიატნო, მარა... ცარიელ კუჭს ეს „პანიატნო“ რაფრად გავაგებიო, რაფრად? — შალვამ მუცელზე მიირტყა ხელი.

კაპიტანი და ზემდეგი განცალკევდნენ. ცოტა ხანს წაითათბირეს. კაპიტანმა ზემდეგს რაღაც დაუბარა და წავიდა.

— აბა, აიკარით გუდანაბადი! — მოგვაძახა ზემდეგმა.

— სად მიგყავართ, სად? — ჰკითხა ცამციძემ.

— ჯერ გავახშმებთ, მერე გაბანავებთ და ყაზარმაშიც დაგაბინავებთ!

ქუჩა ნალდაკრულმა ჩექმებმა და ბათინკებმა აახმაურეს.

დიდ შენობას ყუმბარა დასცემია და ცალი მხარე ჩამოუნგრევია.

ერთ კედელზე სისხლისფერი ასოებით აწერია: „ნაშე დელო პრავოე, მი...“ ეტყობა, ლოზუნგის გაგრძელება კედლის ნანგრევში ჩაიმარხა. ვიღაცას იმ წარწერის ქვეშ ქართულად მიუწერია: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!“

ჩვენ სწორედ ამ შენობასთან გაგვაჩერეს.

— სერჟანტო. აქ მოიცადეთ, მე ამბის ,გასაგებად სასადილოში შევირბენ! — ზემდეგმა სიტყვა დამიგდო და გზა განაგრძო.

ჯარისკაცებმა ბოძებმორყეული მესერი წამოაქციეს. მანასე ხაჭაპურიძე უმალვე წამოწვა, ფარაჯის საყელო აიწია და თავი შიგ ჩარგო.

— ბიჭებო, თუ დამეძინოს, არ მიმატოვოთ!

— შენ დაგწყევლოს მამაზეციერმა, გვარი გამოიცვალე, თვარა, არ ვიცი, რა მოგივა. შენ რომ გიყურებ, სულ ხაჭაპური მელანდება. — უთხრა ჯიბუტმა.

— ამხელა ხაჭაპურს ახლა კი გაათავებს კაცი! — სევდიანად ჩაილაპარაკა არქიფომ.

— ე, ბიჭო, მანასე, მაგრად გაეხვიე ფარაჯაში, ამ დამშეულ ხალხს არ შემოეჭამო! — ურჩია ვალიკო იაშვილმა, ჩექმის ყელიდან სალამური ამოაძვრინა და თავგასართობად დაუკრა.

ზოგი გულაღმა გაიშოტა, ზოგიც ზურგჩანთაზე ჩამოჯდა.

ცაზე პროჟექტორის ორმა შუქმა ერთმანეთი გადაკვეთა და ერთხანს უზარმაზარი იქსივით იქანავა.

სავლემ სათუთუნე ქისა ამოიღო და გააბოლა. სხვებმაც გაახვიეს და წაქცეულ მესერზე ციცინათელები აციმციმდა.

ემზარს ხველება აუტყდა:

— უჰ, რა მწარეა, ეს ოხერი! რაღა ჩვენი ცხოვრება და რაღა ეს!

— ნუ ეწევი, ვინ გაძალებს? — ვუთხარი მე.

— ერთხელვე რომ დაეჩვევა კაცი სიგლახეს, ვეღარ მოიშლის. სკოლაში პაპიროსის გაბოლება ვაჟკაცობად მიმაჩნდა, გოგოებს თავს ვაწონებდი, ახლა კი უთუთუნოდ გაძლებაც

აღარ შემიძლია. საამოდ მაბრუებს და რაღაცეებს მავიწყებს.

მოვიდა ზემდეგი, ყველა წამოიშალა.

— დასხედით, დასხედით! ვახშამი ერთ საათში იქნება, აქედან ფეხი არ მოიცვალოთ! გაფრთხილებთ, ქუჩებში ღამით ხეტიალი სასტიკად აკრძალულია. არც თამბაქოს მოწევა შეიძლება! ამ ერთ კვირაში გერმანელებმა ქალაქი ორჯერ დაბომბეს. ჯგუფის უფროსო, ხალხს მიხედე! მე მალე მოვალ! — ზემდეგი კვლავ წავიდა.

— ჩააქრეთ, ბიჭებო!

— შენ რა გიშავს, არ ეწევი. რაკი მოვუკიდეთ, გადასაგდები თუთუნი სად არის! — ჯიბუტმა ციცინათელა მუჭში შემალა.

— მუჭში ცეცხლი არ იმალება, ჩააქრეთ!

ვალიკოს გარდა ყველამ ჩააქრო — აქაოდა, შენზე დიდი·ჩინისა ვარ და არ გემორჩილებიო. მივუახლოვდი და თოფის დუგლუგი მესერს ნელა დავარტყი. მშვიდად ჩამომჯდარმა ვალიკომ ამომხედა. უსიტყვოდ ვაგრძნობინე, ჩააქრე-მეთქი. შემომაბოლა და ქუდი შუბლისკენ არხეინად გადაიწია.

ცოტა ხანს მოვიცადე და თოფის დუგლუგი კვლავ ნელა დავაბრახუნე .

თითქოს არც გაუგონიაო.

ადგილიდან ფეხი არ მომიცვლია, არც კრინტი დამიძრავს.

ისევ ამომხედა და აღელვება რომ ვერ შემატყო, თვითონ აფეთქდა, თუთუნი ძირს ბრაზიანად დააგდო და ჩექმით მისრის-მოსრისა:

— ამის დედა ავატირე, რა დღეში ვართ, შენს ნებაზე მწარე თუთუნიც ვერ უნდა გააბოლო?

მინდოდა, მეგობრულად რაღაც მეთქვა. საჰაერო განგაშის მაუწყებელ სირენათა ამაზრზენმა ხმამ გააყრუა იქაურობა. ჩვენ ნამდვილი, საბრძოლო განგაშის ხმა პირველად გავიგონეთ და ქორისგან დამფრთხალი წიწილებივით თავგზააბნეულად გავიფანტეთ.

მე იქვე, გზისპირას თხრილში ჩავრგე თავი და უნებლიეთ ხელები კეფაზე დავიფარე, თითქოს ამ ხელებს ჯადო-თილისმა ეცხო და მოსალოდნელი ხიფათისაგან მიხსნიდა.

— ტახ, ტარარახ! ტახ, ტარარახ! — სირენათა ზმუილს საზენიტო ქვემეხების ხშირი ბათქა-ბუთქის ხმა შეერია.

სადღაც იგრგვინვა და იქუხა, გეგონებოდათ, ცა ჩამოინგრაო. მერე უცებ ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

— ადექი, ამხანაგო, გაფრინდნენ უკვე! — მომესმა ქალის ხმა.

შევბრუნდი და რას ვხედავ: ქალიშვილი წამოდგა, ჯვრიანი ჩანთა და ცარიელი კარდალა ერთად მიყარა და ქურქის ბერტყვას შეუდგა. ეს სწორედ ის გოგო იყო, გუშინ ვიღაც ჯარისკაცთან ერთად ქვის კიბეზე რომ ადიოდა.

გაოგნებულმა ახლაღა შევნიშნე, თურმე განგაშისას აქვე დაწოლილა, ჩემს გვერდით. აღარ დამჭირდა ამ გოგოს ქალაქში ძებნა. იგი ნანას ერთი მოლანდებით ჰგავდა მხოლოდ.

ნელა წამოვდექი.

— თქვენ რომელი ბატალიონიდან ხართ? — მკითხა გოგომ.

— ჯერ არ ვიცით. ირანიდან გადმოგვიყვანეს.

— ირანიდან?!

— დიახ!

— შეგეშინდათ? — ისე მკითხა, ბებია შვილიშვილს რომ მოეფერება ხოლმე.

— რა ვიცი... ისეთი ამბავი იყო, ალბათ, შემეშინდა. — სიმართლის თქმა ვამჯობინე.

— არა უშავს, შეეჩვევი. ჩვენ რომ პირველად დაგვბომბეს, უარესი დაგვემართა: ხალხი ერთმანეთს ძლივსღა სცნობდა. — ჩემ შიშს უმალვე გამართლება მოუძებნა. უფრო დაკვირვებით ავხედ-დავხედე.

— ბოდიში, თქვენი სახელი?

— მაია, მაია კანდელაკი.

— ნიკორწმინდელი ხართ?

— არა, მცხეთელი.

— კანდელაკები ნიკორწმინდაში ცხოვრობენ, ბიცოლა მყავს იქაური.

— კანდელაკები ბევრგან ცხოვრობენ. ყველა სალოცავ ტაძარს, ეტყობა, თავისი კანდელაკი ჰყავდა. უჰ, ნავსადგურში რაღაც იწვის!

ზღვისკენ გავიხედე. ცეცხლი გიზგიზებდა და კუპრისფერი კვამლი ცისკენ გველეშაპივით მიიზლაზნებოდა.

ყველა ჯარისკაცი წაქცეულ მესერთან დაბრუნდა. არქიფო სვანიძემ მაია შენიშნა და უმალვე გოგოსთან გაჩნდა.

— ნება მიბოძეთ, ქალიშვილო, გიკავალროთ! — რიხიანად უთხრა და ხელი მკლავზე წაატანა.

გოგომ განზე გაიწია:

— ჯერ კავალრობა ისწავლე, ვაჟკაცო... კავალერი ქალს აქეთ უნდა დაუდგეს!

— მაგდენი რომ მცოდნოდა ჯარში ვინ წამომიყვანდა! — უხერხულობის გასაქარწყლებლად გაიცინა ბიჭმა და მაიას მეორე გვერდიდან აეტუზა. — ჯერ ქალის გვერდით არ გამივლია, გინდა დამიჯერე, გინდა არა, ერთხელ მეც ხომ უნდა გამოვცადო?

— კავალრობის წესი იმასაც მოითხოვს, ჯერ გაეცნო ქალიშვილს.

— გაცნობას რა უნდა?! თქვენი მონა-მორჩილი არქიფო სვანიძე! კალატოზის შეგირდი, ამჟამად ჯარისკაცი! — ბიჭმა ქალს თავი მოწიწებით დაუკრა და ისევ წაატანა ხელი.

მაია კვლავ განზე გადგა, უცებ კარდალასა და სანიტრის ჩანთას ხელი დაავლო, არქიფოს ერთი მკაცრად შეხედა და ჩქარი ნაბიჯით გაუყვა გზას.

— ბოდიში, ქალბატონო, ბოდიში! — ხელმოცარული არქიფო იქვე დარჩა, თითქოს უხილავი ხუნდი დაადესო.

ჯარში მე და არქიფო ერთად გამოგვიწვიეს. თოვლში გაკვალულ ბილიკზე მთვრალი მობანცალებდა. ერთხელ წაიქცა კიდეც. გზაზე შუახნის ქალი შემოგვხვდა, გოგო მოჰყვებოდა. ეტყობოდა, მისი ქალიშვილი იყო. ჩვენ რომ დაგვინახეს, მიხვდნენ, წვევამდელები არიანო და გზა დაგვითმეს, თოვლში გადავიდნენ და გაჩერდნენ. არქიფო რომ მიუახლოვდა, ხელები დარდიმანდულად გაშალა, ერთი შეუძახა: მზეთუნახავო, გენაცვალეო, მივარდა გოგოს და აკოცა.

— უჰ, შენ არ გეღირსოს.. — უცებ ქალიშვილი შეჩერდა, სიტყვას დაუწყო ძებნა.

— არ დასწყევლო, შვილო, არ დასწყევლო, ჯარში მიდის! — ქალმა პირზე ხელი დააფარა გოგოს. — დაძმურად გაკოცა, სხვანაირად კი არა.

— ბოდიში, არაფერი გეწყინოთ! — გულზე ხელი მიიდო მთვრალმა ბიჭმა და ბილიკს ბარბაცით გაუყვა.

არქიფოს საქციელი არ მომეწონა, დავეწიე და ვუსაყვედურე:

— სირცხვილია, ბიჭო, რაკი ჯარში მივდივართ, ყველაფერი კი არ გვეპატიება!

— ვიცი, მარა რა ვქნა? ცოდვა ვარ... ჯარში ისე მივდივარ, გოგოს მოხვევა რა ხილია, არ ვიცი... ერთი კოცნა მაინც არ წავიღო თან? თუ ეს დიდი დანაშაულია, მაპატიეთ, ძმებო!— ეს ისე სევდიანად თქვა, რატომღაც შემებრალა და ის შეცოდება უმალვე შევუნდე.

არქიფოს არც დღეს ჩაუდენია დიდი დანაშაული, მისი ეს უწყინარი საქციელი მაინც საწყენად დამირჩა.

— რაო, არქიფო, არაო? — ვუთხარი ნიშნისმოგებით.

— უკარება ვიღაცაა. ვნახოთ, ვის დააკლდება. ზოგი გოგონა ხელს არ იკარებს, რომ დაბერდება, ბევრსაც ინანებს.

— თავის მიძალება სირცხვილია, ბიჭო.

— ჩემო მირიან, იცი, რას გეტყვი? მე ახლა სირცხვილი ფეხებზე მკიდია. ფარაჯა მაცვია და ჯარისკაცი მქვია. სალდათს რა უნდა? კარგი გამოძინება, რიგიანი გამოძღომა, მერე გვარიანი გამოთრობა და ბოლოს — ქალი... სულ ერთია, რავარიც იქნება, ოღონდ კაბა ეცვას. ამათი დედა ავატირე, ყველასი! შენ რას იტყვი, ამაღამ კაცი ვერ გაიპარება ქალაქში?

— საშიშია, არ გირჩევ... ხომ გაიგონე, ღამით სიარული აკრძალულიაო? ჯერ აქაურობას დაზვერვა უნდა.

— ვინ გაცლის, ბიჭო, დაზვერვას? იქნებ ხვალვე წაგვიყვანონ ფრონტზე? ქალის უნახავი ხომ უნდა მოვკვდე, იმათი დედა ავატირე, ყველასი! მე მაინც ვსინჯავ ამაღამ, არ წამომყვები? მერე უფრო გაგვიჭირდება.

— ვნახოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ჯარისკაცთა სასადილოში შეგვიყვანეს. გაუსალაშინებელი გრძელი ფიცრები ბოძგიტებზე დაუკრავთ. ეს არის მაგიდები.

სასადილოში შესვლისას კვლავ იმ გოგოს შევეფეთე. ახლა უფრო გარკვევით დავინახე. თეთრ პირისახეზე არც ხალი აჩნდა, არც სხვა რაიმე განსაკუთრებული ნიშანი. ოდნავ წინ წამოწეული ყვრიმალის ძვლები და ფოსოებიანი ლოყები სიგამხდრის იერს აძლევდა. მაღალი ყელი, გაფრენილი წარბები და ღია ლაჟვარდისფრად მოლივლივე დიდრონი თვალები ჰქონდა.

— მაიკო, ამ დროს აქ რა გინდა? — ჰკითხა მიტროფანე ჩხაიძემ.

— ავადმყოფისათვის ვახშამი მიმაქვს.

— გაგაცილებ.

— შენს საქმეს მიხედე, მე არ მეშინია.

მაიამ მკაცრი შემოხედვა იცის, ხმა კი საამო აქვს, თბილი და ხავერდოვანი, ოდნავ სევდაშერეული.

— შენ ჯარში ვინ გამოგიშვა, ლამაზო? — გაუღიმა ვალიკომ.

— ჩემმა თავმა! — ვალიკოსათვის არც შეუხედავს, მაია გარეთ გავიდა.;

— გაიქეცი, გაიქეცი, თორემ გამოგედევნები, შენმა მზემ! — ხელი ჩაიქნია მზვერავმა.

— კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო, ჰეი! — ჩაუღიღინა ჯიბუტმა იაშვილს და ცხვირის წვერზე თითი გაისვ-გამოისვა.

ზურგჩანთებიდან კარდალების ამოღება არ დაგვჭირვებია. შავი პურის პატარ-პატარა ნაჭრები დაგვირიგეს და ალუმინის თეფშებზე რაღაც დაგვისხეს.

— ეს რა არის? — იკითხა ემზარმა.

— თევზის წვენია, შეხვრიპე, შეხვრიპე! — უთხრა ზემდეგმა. — თუ არ მოგწონს, არავინ გაძალებს.

— ვალიკო, თუ ძმა ხარ, დურბინდი მომაწოდე! — გასძახა ჯიბუტმა იაშვილს.

— რა დროს დურბინდია, ბიჭო?

— მათხოვე, მათხოვე, ამ წვენში თევზის ნიშანწყალი იქნებ მაგით მაინც აღმოვაჩინო!

— საშენო თევზები ზღვაში არიან. ხვალ ან ზეგ გაგიყვანენ, ჩაყვინთე და ნახავ! ჯიბუტი ჰკვიანად იყავი, ენაკვიმატობას თავი დაანებე, თორემ მაგ ენითვე ჩამოგკიდებენ. — გააფრთხილა ზემდეგმა.

— ეეჰ, ხუმრობასაც აღარ გვანებებენ! — ჯიბუტი წვენის ხვრეპას შეუდგა.

სხვებმაც იშიშვლეს კოვზები. ზოგს ტოლალში ჰქონდა გაჩრილი, ზოგსაც ჩექმის ყელში.

ნანას გათხოვების შემდეგ სულ იმას ვფიქრობდი, არსად შემომეყაროს-მეთქი. ახლა რომ

ვერ ვნახე, რატომღაც მეწყინა. იქნებ იმიტომ, უცებ რომ მეგონა ვნახავდი და სხვას კი გადავეყარე? ეტყობა, გული უარყოფილ და განდევნილ სიყვარულს სადღაც თავის კუნჭულში მაინც ინახავს ხოლმე.

მაგიდაზე იდაყვით ჩამოყრდნობილი ხელი წამით თვალებზე მივიფარე და თერთქურქიანი ქალიშვილის გვერდით მეზღვაურის ხალათიანი ნანა დავინახე. მერე ნანამ წამში ნაირფერი ყვავილებით მოხატული ჭრელი კაბა გადაიცვა, უცებ რაღაც ეწყინა, ზურგი შემაქცია და სკოლის დერეფანში გაიქცა.

მისი გაქცევა როგორ გამეხარდა მაშინ, ახლა კი...

არ ვიცი, მე მეჩვენებოდა, თუ ნამდვილად ასე იყო, ნანას მომხიბვლელობა არ აკლდა. ატლასივით გადატკეცილი ნაზი პირის კანი და ულამაზესი თვალები ჰქონდა. ერთს შემოგხედავდა და მისი ტყვე იყავი უკვე. ამ ქურქიან ქალიშვილს კი, ისე რა, არა უშავს, ნანასთანა მოხდენილი ვერ არის, მისი მარილიც აკლია.

ვფიქრობ ამას და თან მიკვირს: ვინ მაძალებს, ეს ორი ადამიანი ერთმანეთს შეუდარეო? ამ ქვეყნად ყველა ერთნაირი ხომ არ იქნება? ნანა თუ სანდომიანი და ლამაზი იყო, რა ხეირი დამაყარა? მაია თუ ისე ეშხიანი არ არის, მე რას მიშავებს? გულში ნაცარწაყრილი ნაკვერცხალი უნებლიეთ რომ გამომიჩხრიკა და ამაფორიაქა, რა მისი ბრალია?

— მირიან, რატომ არ ჭამ? კოვზი ხომ არ დაგეკარგა? — მკითხა საველმ.

— კოვზი როგორ არა მაქვს... ისე, რაღაც...— ჩექმის ყელიდან ალუმინის კოვზი ამოვიღე, პური მოვკბიჩე და წვენი მივახვრიპე.

— რა მოგივიდა, კაცო? — გაკვირვებაზე მეტად საველეს შიში ემჩნევა. — ზღვის ჰაერმა დაგხამა, თუ გამოგცვალა ვინმემ? ღმერთმანი, ველარა გცნობ?

— არაფერია, ჩემო საველე, არაფერი! — წვენს ჩქარ-ჩქარა დავუწყე ხვრეპა.

— მე შენი იმედი მაქვს, ხომ იცი... — საველემ პურის ნატეხი თეფშს მოუსვა და პირში ჩაიტენა. — არ მიღალატო! ასე მგონია, შენთან არაფერი გამიჭირდება... ხომ იცი ჩემი ამბავი...

საველეს ამბავი თუ მე არ ვიცი...

მთებში გაზრდილი კაცია, ხელისმოწერას ძლივს ახერხებს, რუსულის ინჩი-ბინჩი არ გაეგება. ჯარში ერთად წამოგვიყვანეს და მთელი გზა შემომჩიოდა რა მეშველება, ხალხში გამოუსვლელსა და უსწავლელს ყველა ლაზღანდარა დამიბრიყვებსო. ჩვენ შორის ყველაზე ჯანღონიანია და მაინც თავი უსუსურად მიაჩნია. გაიგო, მე რომ უნივერსიტეტში ვსწავლობდი და ეს დიდ ამბად მიიჩნია: გვერდიდან ნუ მომიშორებო. ქართულ ლეგიონში მოვხვდით და ჯარისკაცული ცხოვრება არ გასძნელებია, მაინც სულ ჩემს ახლოს ყოფნას ცდილობდა. ახლაც იმას სწუხს, არ მომშორდეო.

— ნუ გეშინია, საველე, ნუ! სანამ პირში სული მიდგას, შენს თავს არავის დავაჩაგვრინებ!

რა კარგია, ვიღაცას შენი იმედი რომ აქვს: რატომღაც ძალღონე და საკუთარი თავის რწმენა გემატება.

სანამ ჩემს ულუფას შევხვრიპავდი, არქიფო სვანიძემ სადღაც სამი თეფში წვენის მონადირება მოასწრო. კოვზს არც ხმარობდა, პირდაპირ თეფში ეჭირა ხელში და ხვრიპავდა.

— არქიფო, როგორაა ქვეყნის საქმე? — ჰკითხა ნუგზარ დიასამიძემ.

— როგორც დაგიბარებია. რაღა დაგიმალო და, დღეს ნამდვილად ბედნიერი ვარ, ძმაო. ახლა გერმანულ ტანკს შიშველი ხელებით რომ შემაჭიდონ, ნახშირივით მივფშვნი-მოვფშვნი, იმათი დედა ავატირე, ყველასი.

— გაძეხი კი? — ვკითხე თევზის წვენით გაბედნიერებულ ჯარისკაცს.

— აწი თულა მომშივდება, არა მგონია. ისე, კაცმა რომ თქვას, არ მეკუთვნოდა, თუ? თქვე მამაძაღლებო, ხმა თუ არ ამოიღე — მშიაო, ვინ გაჭმევს რამეს? სერგო, ა, შეგიძლია ახლა დოლი ჩემს მუცელზე დაუკრა: დაფტიპიტომ, დიფტიპიტომ! დიფტიპიტომ, დაფტიპიტომ!

— თევზის წვენმა რომ ასე გაამხიარულა, ამას გოჭის ხორცი რომ აჭამო და ზედ ღვინოც დააყოლებინო, რაღას იზამს? — შენიშნა ემზარმა.

— ეჰ, რა ცოტა რამე გვყოფნის სამხიარულოდაც და სატირლადაც?

შიო ხარაძემ უბის წიგნაკში რაღაც ჩაიწერა.

გარეთ გამოვედით. ნავსადგურისკენ გავიხედე. იქ ცეცხლი კვლავ ენთო და კუპრისფერი კვამლი ცისკენ გველეშაპივით მიიზლაზნებოდა.

ჩვენ სწორედ იმ ცეცხლისაკენ წაგვიყვანეს.

* * *

შაბათს ჩვენი ასეული სამეცადინოდ ქალაქგარეთ გაიყვანეს. ირანიდან მოსულები თითქმის ყველანი ერთად მოვხვდით. ოცეულები ზღვის პირას განლაგდნენ ცალ-ცალკე.

ცოტა ხნის შემდეგ მაია კანდელაკი და მიტროფანე ჩხაიძე ერთად მოვიდნენ, გატენილი ზურგჩანთები მოიტანეს. მერე მაიამ ინდივიდუალური პაკეტების დარიგება დაიწყო.

— რა არის ეს?! — გაუკვირდა საველეს.

— რა მოგივიდა, ბიჭო, აქამდე ინდივიდუალური პაკეტი არ გინახავს?

— უცებ სხვა რაღაც მეგონა.

— გულისჯიბეში ჩაიდე ან აირწინაღის ჩანთაში.

მე რომ გამომიწოდა პაკეტი, რატომღაც შევკრთი.

— შენ რაღამ შეგაშინა, სერჟანტო? შიგ ყუმბარა არ არის ჩადებული.

— არა, შიში რა შუაშია! გმადლობთ! —

პაკეტი გამოვართვი და უმალვე გავშორდი, თითქოს მართლაც რაღაცამ შემაშინაო.

ნუგზარ დიასამიძემ მაიას ხელი აუღო და მხედრულად მიესალმა:

— ამხანაგო სანინსტრუქტორო, ამ ჩვარს ცოტა სპირტსაც თუ გამოაყოლებ, შენს ხატს ეკლესიაში დავკიდებ!

— სადღა გაქვს, ბიჭო, ეკლესია, ხატი რომ დაჰკიდო? — მიუგო მაიამ.

— ჩემი გულის ეკლესიაში დავკიდებ.

— ზურგისაკენ! ნაბიჯით იარ!

ჯიბუტი მაიასკენ ღიღინით წავიდა:

— ცაზე მთვარე ამოსულა, ნანინა, ნანა, ნიშანია დარისაო, ნანინა, ნა, მთვარემ გული გამინათა, ნანინანა, ნანა, იმედი მაქვს ხვალისაო, რერო, რანინა...

მაიამ პაკეტები დაარიგა. მერე ბექობზე ცალკე ჩამოჯდა და ზღვას დაუწყო ცქერა.

ზემდეგმა ჯიბუტი იხმო.

— გისმენ! — გამოეჭიმა ემზარი.

— შენზე ამბობენ, კარგი „ჩარირამა“ იცისო.

— „ჩარირამა“ ჩემი მოგონილია! — სახე გაებადრა ჯარისკაცს. — ბატალიონში სიმღერის გუნდს თუ ჩამოაყალიბებთ, მე აგერა ვარ.

— აბა, ერთი მითხარი!

— ბებიაა! — კისერი დაიგრძელა და თითი შეათამაშა ჯიბუტმა. — ჩარირამა, ბებია, ჩარი!

ზემდეგმა ხმა აუწყო, ჯიბუტი ღიმილად იქცა.

— მალადეც! მართლა გცოდნია, შე გლახა! წამო ერთი, ყუმბარის ყუთები გადმომატვირთეინე!

— დიდუუუ! — შეიცხადა ჯიბუტმა. — ამისთვის მათქმევინე „ჩარირამა?“

— მერე სიმღერის გუნდშიც ჩაგწერ! — დაამედა ზემდეგმა. — წამო, წამო, გვეჩქარება.

ჩვენ მეცადინეობას შევუდექით. ოცმეთაურის თანაშემწე ბონდო ნიკურაძე მცირე ყალიბიანი ნაღმმტყორცნელით სროლას გვასწავლის.

— ეს ყველაფერი, ამხანაგო მეთაურო, ცხრაჯერ მაინც მაქვს ნასწავლი, სხვა რამეზე ვისაუბროთ! — ეუბნება ნუგზარ დიასამიძე.

— შენ აჯანყებას ნუ მიწყობ, გამეორება ცოდნის დედაა! ჯარისკაცს წვრთნა არ მოსჭარბდება, როგორც ფაფას — ქონი. — მეთაურის ხმაში წყრომა სულაც არ ისმის. უბრძანეს, ხალხი ამეცადინეო და ისიც ამეცადინებს, აბა, რა ქნას?

დიდი მონდომებით არც თვითონ ლაპარაკობს და ვერც ჩვენ ვუსმენთ.

მე თვალი წამდაუწუმ მაიასკენ გამირბის, მარტო რომ ზის.

მეცოდება: „ალბათ, რა ძნელია ამდენ ჯარისკაცებში ერთი გოგოს ყოფნა?“

იმ დღის შემდეგ პირისპირ აღარ შევხვედრივარ.

რატომღაც მინდა, მივიდე და უბრალოდ დაველაპარაკო, შინაურულად.

მაგრამ ვერ ვბედავ. ბიჭებმა ამაზე ლაზღანდარობა რომ დაიწყონ, ალბათ, ვერ მოვითმენ და... რა ვიცი.

წყნარი დღეა. დეკემბრის სუსხი მზემ დაჯაბნა. სიცივე მაინცდამაინც არ გვაწუხებს.

შესვენებისას ვალიკო იაშვილი და ერთი სერჟანტი მოგვადგნენ, ჩვენს ბიჭებს თუთუნი სთხოვეს.

— ა, ცოტაღა დამრჩა, გავიყოთ! — სავლემ ქისა გაზეთის ქაღალდზე დასცალა.

გააბოლეს.

სერჟანტს ვაკვირდები, თითქოს სადღაც მინახავსო.

„ბიჭოს, მგონი, ის არის... — ნამდვილი სახელი ვერ მოვიგონე, — ლანგარა“.

ორიოდე წლის წინათ ჩვენი სოფლის ფეხბურთელთა გუნდი ნიკორწმინდელ ფეხბურთელებს ეთამაშებოდა. მე კარში ვიდექი. მშრალი ანგარიშით დაგვამარცხეს. სამივე ბურთი ერთმა ბიჭმა შემიგდო. იმ ბიჭს მთელი სტადიონი „ლანგარას“ დასძახოდა, საუკეთესო ბასკი ფეხბურთელის სახელს. ბასკმა ფეხბურთელებმა თბილისში რომ ითამაშეს, მე არ დავსწრებივარ, ჰოდა, არც ლანგარა მინახავს. მაგრამ რამდენიმე წელს დიდსა თუ პატარას მისი სახელი ეკერა პირზე. ფეხბურთელის შექება როცა უნდოდათ, ამ სახელით ნათლავდნენ. იმ დღეს ნიკორწმინდელი ლანგარა მართლაც უბადლო იყო. ჩვენიანებს ბურთს ადვილად ართმევდა, წინ გამოიგდებდა და რატომღაც პირდაღებული მისდევდა, თითქოს ბურთს გადაყლაპვას უპირებსო. მოკლედ შეკრეჭილი უხეში ქოჩორი ზღარბულად აბურძგვნოდა. მის თმას ვინ უყურებდა!

— სერჟანტო, მე ვერა მცნობ? — ვკითხე ახალმოსულს.

დამაკვირდა:

— ბოდიში, არ მაგონდები?!

— ადრე ფეხბურთს არ თამაშობდი?

— ფეხბურთს რომელი ბიჭი არ თამაშობს?!

— ნიკორწმინდელი ხარ?

სერჟანტმა თავი დამიქნია.

— შენ ნამდვილად ისა ხარ... ლანგარა.

ეტყობა, ამ სახელის გაგონებას აქ არ მოელოდა, გაოცებით შემომხედა და გაიღიმა.

— ვაჟა ვარ კობახიძე. შენ მაშინ, მგონი, მეკარე იყავი?

— კი. გამარჯობა შენი! მე მირიანი ვარ, კობერიძე.

მაშინ დამარცხება, რა თქმა უნდა, მეწყინა და გამარჯვებულს ზედაც არ შევხედე, ახლა კი „მეტოქის“ დანახვა საოცრად გამეხარდა და ხელი ისე ჩამოვართვი, თითქოს მაშინდელ გამარჯვებას ახლა დაგვიანებით ვულოცავდი.

— პირველ ოცეულში ხარ?

— ჰო. ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის გუნდის მეთაური ვარ.

ის-ის იყო, ტკბილი საუბარი უნდა გაგვება, ჯიბუტი მოვარდა:

— ბიჭებო, ბიჭებო, გერმანელი ვნახე!

უცებ ყველას შეშფოთება დაეტყო, ვინც იჯდა, უმალვე წამოხტა.

— სად? — იკითხა შიომ.

— ზღვას გამოურიყავს, რუმბივითაა გასიებული.

— თოფიანია?! — სავლე თვალებად იქცა.

— კი, წინ თოფი ჰკიდია, ზურგზე — ზარბაზანი.

— მართლა?! — სავლემ მხარზე ჩამოკიდებული შაშხანა სწრაფად ჩამოიგდო და მოიმარჯვა.

— უჰ, შე უბედურო, მკვდარია ის გერმანელი. იქნებ ყირიმშიც მოჰკლეს და თოფი აქამდე რაფრად გამოჰყვებოდა?

— ქვე რა ვიცი, გერმანელები ათასნაირ ხრიკებს იგონებენო და... — სავლემ შაშხანა კვლავ მხარზე ჩამოიკიდა.

— ნამდვილად ყირიმში მოჰკლავდნენ. ზღვას თურმე მკვდარი ზოგჯერ ძალიან შორს მიაქვს. — ჩაფიქრებით თქვა ვალიკომ.

— ჰო, ამბობენ, ყირიმში მაგარი ჟუჟვააო. — საუბარში ჩაერია ამირანი.

— სიკვდილის მაცნედ მოსულა ის ტიალი! — ბრაზიანად ჩაილაპარაკა შიომ.

— მაგნაირი მაცნე ბოლო დროს რიყეზე რამდენიმე ნახეს. სადღაც იქით წინა პარასკევს თურმე ჩვენი და გერმანელი ჯარისკაცი ტალღამ წყვილად გამორიყა. ეტყობა, ერთმანეთს ყელში ჩააფრინდნენ, ხელი არცერთმა არ გაუშვა და ორივე დაიხრჩო. — ვაჟა კობახიძემ ეს ისე დაბეჯითებით თქვა, გეგონებოდათ, ის ჰიდილი თავისი თვალით ნახაო.

— ეჰ, ვინ იცის, რა მოხდა... იქნებ ზღვაში ერთმანეთის გადარჩენაც უნდოდათ და ვერ მოახერხეს? — ეს ვარაუდად გავიფიქრე, რატომღაც ხმამაღლა კი წამომცდა.

ვალიკომ ეჭვიანად შემომხედა:

— წითელარმიელსა და ფაშისტს ერთმანეთი რატომ უნდა გადაერჩინათ?

— ყველა გერმანელი ფაშისტი არ არის.

— მოიგონა რაღაცა იწილო-ბიწილო. ახლა ყველა გერმანელი ფაშისტია. ვინც ფაშისტი არ არის, ჰიტლერს ჯურღმულში ჰყავს გამომწყვდეული. — ცოტა არ იყოს, ამპარტავნულად მომახალა ვალიკომ და დურბინდი მოიმარჯვა, აქაოდა, ზღვას ვუყურებო. ნამდვილად კი მაიას გახედა.

ვალიკოს აღარ შევეკამათე. ვიცი, ჩემი ყველა სიტყვა აღიზიანებს და რატომ გავახელო ტყუილ-უბრალოდ? იმას თავისი რწმენა აქვს, მე — ჩემი. რაც მტკიცედ გწამს, ვერავინ შეგაცვლევინებს.

— დამარხეთ ის გერმანელი? — ვკითხე ჯიბუტს.

— არა?! რატომ უნდა დაგვემარხა?!

— უნდა დაგვემარხათ.

— შენ სიცხე ხომ არა გაქვს? ეგდოს, იმის დედ-მამის სულიც... რას მოეთრეოდა, მე დავპატიჟე? ფაშისტს მოვუარო?

— ფაშისტს არა.

— ჯერ ვიწვალო, მიწა ვთხარო და მერე შარიც ავიკიდო? სულელი კი არა ვარ? გერმანელი რომ დავმარხო, იქნება ისეთი რაღაცაც დამაბრალონ... — ჯიბუტი განზე გადგა, აქაოდა, მომეშვი, ამ ამბავზე შენთან ლაპარაკიც არ მინდაო.

— მართლა მკვდარი იყო, მართლა მკვდარი? — ემზარს ჩუმად ჰკითხა შალვა ცამციძემ. — ოინი არაფერი გვიყონ ფაშისტებმა.

— მომშორდი, თუ კაცი ხარ!! თუ აგრე ძალიან გაინტერესებს, წადი და ნახე, მკვდარი არსად გაიქცეოდა! — ჯიბუტმა ახლა ცამციძესაც შეაქცია ზურგი.

— ემზარ, შორს არის? — არ მოვეშვი მე.

— ეგერაა, გორაკს იქით.

ოცმეთაურის თანაშემწეს ვთხოვე, პატარაზე გავივლი-მეთქი. უარი არ უთქვამს: ოღონდ არ დააგვიანო, მალე ყაზარმაში უნდა წავიდეთო. საულეც წამომყვა. გორაკიდან გადავხედეთ რიყეს და გამოვბრუნდით.

— იმ სიშორიდან ამისთვის წამოვიდა ეგ უბედური?! — სამიოდეჯერ გაიმეორა სავლემ.

მაია ისევ თვალმოუშორებლად გაჰყურებს ზღვას, თითქოს ქანდაკებად იქცაო. ვინ იცის, რას ფიქრობს? გვერდით გამოვუარეთ. არც ჩვენ გვითქვამს რამე, არც თვითონ ამოუღია ხმა.

მეცადინეობა დამთავრდა. წასასვლელად დაგვამწკრივეს. კაპიტანმა კუზნეცოვმა აგვიარჩამოგვიარა. და წასვლა დააპირა.

— ამხანაგო კაპიტანო, ერთი წუთით თუ შეიძლება!

— გაწუხებთ რამე? — ახლოს მოვიდა კაპიტანი.

— ზღვამ მკვდარი გერმანელი გამორიყა.

— მერე, იქ გავლა ხომ არ გაშინებთ, ბიჭებო?

— შიში რა შუაშია?! მკვდარი გერმანელი უკვე ჩვენი მტერი გერმანელი აღარ არის, მიცვალებულს კი, ვინც არ უნდა იყოს, დამარხვა უნდა.

კუზნეცოვმა გაკვირვებით შემომხედა და ჩაფიქრდა.

— იიჰ, რა დროს გერმანელის დამარხვაა, შიმშილით კუჭი მიხმება. — უკმაყოფილოდ წამოიძახა არქიფო სვანიძემ.

— ვა, ვერა ხვდები? მირიანს უნდა, გერმა-

ნელის დამარხვა აქვე დაიბედოს, გაიგე? — გაეპასუხა სერგო მეწაღიშვილი.

— ბოდავთ რაღაცას! მირიანი მართალს ამბობს! — გამომექომაგა შიო.

წამით დუმილი ჩამოწვა. კაპიტანმა კვლავ შემომხედა და თითქოს ისევ ფიქრობსო, წყნარად ჩაილაპარაკა:

— მკვდარი გერმანელი უკვე ის გერმანელი აღარ არის, მიცვალებულს კი, ვინც არ უნდა იყოს, დამარხვა უნდა... მართალი ხართ! გამიძეხით!

გეზი გორაკისაკენ ავიღეთ. ჯიბუტმა რაღაც ჩაიბურდღუნა. ფირუზა ხატიაშვილმა ვიღაცას შეუკურთხა. შალვა ცამციძე მწკრივს ჩამორჩა, აქაოდა, ბათინკის თასმა შემეხსნა და ვისკვნიო.

— ცამციძე, ფეხს ნუ ითრევ, წამოდი ჩქარა! — მიაძახა ბონდო ნიკურაძემ.

— ვაიმე, რა ხალხში ვარ, რა ხალხში?! კაცო, დანაღმული არ იყოს ის ოხერი, დანაღმული! — შიში ვერ დამალა შალიკომ.

ღამით გადაუღებლად წვიმდა. აკვიატებული ფიქრის ბრალი იყო თუ სხვა რამის, რამდენჯერმე მომელანდა, თითქოს მაია კვლავ ზღვის ახლოს, ბექობზე წამოყუნტულ ლოდზე იჯდა, ქურქის საყელო აეწია, წვიმის თქეში მაინც ჩასდიოდა კისერში და სიცივე მხრებში ხრიდა. პირისახეს სველი თმა უფარავდა. უხილავი რაღაცით მიჯაჭვულს განძრევა არ შეეძლო. უზარმაზარ ვეშაპადქცეული შმაგი ზღვა ქალიშვილისაკენ ღრიალით მოიწევდა. უმწეო და განწირული მაია მშველელს უხმობდა. კაცის ჭაჭანება არსად იყო. მე უხილავი რაღაცით კლდეზე ვიყავი მიჯაჭვული. არავისი შველა არ შემეძლო, არც ჩემი თავის, არც სხვისი. ეს უფრო მიკლავდა გულს.

ზღვის ნამდვილ ღრიალს თანდათან შევეჩვიე და, როგორც იქნა, ჩამეძინა. მერე ისევ ზღვის განგაშმა გამომაღვიძა. ყველას დავასწარი ადგომა. ეზოში გავედი და ზღვას გადავხედე. ისევ ყინმორეული ღელავდა და შფოთავდა. აღარ წვიმდა, მაგრამ ზღვა კვლავ გუნებაამღვრეული იყო. ჯერ დაცხრომას არც აპირებდა.

კვირადღის თავისუფლებით ვისარგებლე და იმ ადგილისკენ გავისეირნე, მაია თვალგაშტერებით ზღვას რომ გაჰყურებდა. ამეკვიატა, იქ დამხვდება-მეთქი. არ დამხვდა. ბექობთან მივედი და ჩამოვჯექი. იმედი არ დამიკარგავს: უეჭველად მოვა და გავესაუბრები-მეთქი: რატომღაც მაიას ხმის გაგონება მომენატრა, თბილი, სამო და ხავერდოვანი ხმის გაგონება:

კარგა ხანს ბექობისკენ მომავალ ბილიკს გავყურებდი, მერე რიყეს მივაშტერდი. ჩავუთქვი: ნეტავი ზღვამ ადამიანის გვამი აღარ გამორიყოს-მეთქი. ზვირთმა რიყეზე მხოლოდ ერთი მკვდარი თოლია და ორი შავი ჯირკი შემოაგდო.

ბექობის მახლობლად გადმოგორებული ტალღები კენჭებს აჩხრიალებდნენ.

ჩემს მოშორებით, მარცხნივ, ყალყზე შემდგარ თეთრფაფრიან ზვირთებს იერიში მაღალ კბოდეზე მიჰქონდათ, კლდეს თავგამეტებით ეხლებოდნენ და უამრავ შადრევნად დამსხვრეულნი უკან იხევდნენ. ეს ქედმოხრილი მორჩილებით უკან გაქცევას არ ჰგავდა, ზვირთები ზღვისკენ მხოლოდ დროებით იხევდნენ, იქ ძალღონეს კვლავ იკრებდნენ და კბოდესაკენ ახალი გაафთრებით მოიგრაგნებოდნენ. კბოდე ბობოქარი ზღვის შემოტევას ისევ ამსხვრევდა და ყველაფერი წინანდებურად მეორდებოდა.

ბექობისაკენ მომავალი ბილიკი ისევ ცარიელი იყო.

არ ვიცი, რამ მომაჩვენა: უზარმაზარ ზვირთებში მოტივტივ-მოქანავე ქალიშვილი დავლანდე. ის თითქოს ნანასაც ჰგავდა და მაიასაც. მერე ორივე დავინახე, ერთად იხრჩობოდნენ, განწირულნი მშველელს უხმობდნენ, მშველელი კი არავინ ჩანდა.

თვალი დავხუჭე და საშინელი მოჩვენება უმალვე გაქრა.

მოვშორდი იქაურობას. მერე კარგა ხანს ყაზარმის ეზოში დავბორიალობდი, იქნებ მაიამ გამოიაროს-მეთქი.

„ასე რამ მომანატრა მისი სევდანარევი თბილი ხმა?“

დღე ისე მიიწურა, მაიასათვის თვალი არ მომიკრავს.

დილაუთენია წამოგვყარეს, მშრალი ულუფა დაგვირიგეს, ყაზარმა დაგვაცლევინეს და ნავსადგურისაკენ წაგვიყვანეს.

— ასე უცებ სად მივდივართ, სად მივდივართ? — წამდაუწუმ ბურდღუნებს შალვა ცამციძე.

მისი შეშფოთება ნიკო კუდაშვილსაც გადაედო, მერე — სხვებსაც.

ყველა აჩურჩულდა: სად მივდივართო? ამ ჩურჩულში რაღაც იდუმალებაა გახვეული. პასუხს არავინ იძლევა, არავინ არაფერი არ იცის.

— სავლე, გიშოვეს ჩექმები? — ჰკითხა შიომ.

— სადღაც შემიკერეს. ცუდი ტყავისაა, ერთ თვეს თუ გამიძლო, კაი იქნება. ეჰ! — ხელი ჩაიქნია სავლემ. არ ვიცი, ამ ახალ ჩექმებს ჩაუქნია თუ სხვა რამეს.

მანასე ხაჭაპურიძეს ისევ ძილი უდგას თვალებში, მთვრალივით მიბარბაცებს.

ნიკო კუდაშვილს ზურგჩანთის კუზი ადგას, თავჩაქინდრული მიდის. ალბათ, თავის დაბღვერილ ბიჭებსა და კისკისა გოგონაზე ფიქრობს.

არქიფო ორცხობილას ახრამუნებს.

ამირანს ავტომატი კისერზე ჩამოუკონწიალებია, ფანდური ხელში უჭირავს.

ელიოზ შავიძეს ქუდის ყურები ჩამოუშვია და მობუზულს ფარაჯის საყელო აუწევია.

ვალიკო იაშვილი ცალკე მოდის. ორიოდეჯერ მაიასთან გამოლაპარაკება სცადა, გოგომ ხმა არ გასცა.

ზღვა ისევ გუნებაამღვრეულია. ტყვიისფერი ღრუბლები ახვევია ქალაქთან მომდგარ ქედს. მთები იშვიათად ჩნდებიან, ისიც ლანდად. ბორიო უბერავს და ცაში უგზოუკვლოდ მოფარფატე მშრალ ფიფქებს მოერეკება.

ნაპირს უზარმაზარი გემი მოადგა და ღუზა ჩაუშვა. არ ვიცი, ასეთ გემს რას ეძახიან, არც საომარსა ჰგავს, არც — სამგზავროს.

გემის საკვამურიდან ბოლქვა-ბოლქვა ამოსულ ბოლს ეული ქარი ხან ცაში მიაქროლებს, ხან ზღვაზე აწვენს.

ბარგი-ბარხანა ერთად დავყარეთ, გუშაგი მივუჩინეთ და გემის დატვირთვას შევუდექით. შევაგორეთ საზიდრები, ორმოცდახუთ მილიმეტრიანი ყალიბის ქვემეხები და რამდენიმე საბარგო ავტომანქანა, ავიტანეთ ნაღმმტყორცნები, ტყვიამფრქვევები, ტანკსაწინააღმდეგო თოფები, საბრძოლო მასალა და საჭურველი.

მერე გემის ხიდურზე ცხენების აყვანა დავიწყეთ. საყვირი აზუზუნდა. მალე თვითმფრინავის გუგუნი გაისმა. ქალაქის ჩრდილოეთით, გორაკებზე დადგმულმა საზენიტო ქვემეხებმა ბათქა-ბუთქი ასტეხეს. მტრის თვითმფრინავი გამოჩნდა. ჭურვები თვითმფრინავის ირგვლივ სკდება მჭახედ. მათი ხუჭუჭა კვამლი ღრუბლებს მუქ ლაქად აჩნდება და მალე იცრიცება.

ცხენებმა ჭიხვინი ასტეხეს, ლამის ხელიდან აღვირები წაგვართვან.

სვასტიკით ფრთებმოხატულმა თვითმფრინავმა ელვის სისწრაფით გადაგვიქროლა. არც ყუმბარა ჩამოუგდია, არც ტყვიამფრქვევით დაუცხრილავს იქაურობა, ცხვირი ასწია და ღრუბლებში ამაზრზენი ზმუილით მიიმალა.

შებინდებამდე ქარმა აღმოსავლეთით ღრუბლები გადარეკა. შორს მთები გამოჩნდა თეთრად.

ბინდდება. ღუზა აუშვეს. გემი რწევითა და ტორტმანით დაიძრა.

მთელ დღეს ჯარისკაცთა გაძახილ-გამოძახილი აყრუებდა გემსაც და ნავსადგურსაც, ახლა ყველა ერთბაშად დადუმდა. მეხის გავარდნის წინამორბედ დუმილსა ჰგავს ეს სიჩუმე.

— მირიან, შენ ხომ არ იცი, სად მივდივართ, სად? — შალვა ცამციძე გვერდით ამომდგომია და სახელოში მექაჩება. ფერი სულ დაჰკარგვია.

— მე გულთმისანი კი არა ვარ, ჩემო შალიკო... არც დიდი მეთაური.

— შენ ბევრი რამე იცი ხოლმე, ბევრი რამე... უკეთ იცი.

— არაფერიც არ ვიცი, ჩემო შალვა, რაც მე ვიცი, აქ სულაც არ არის საჭირო.

ქალაქში ერთი შუქიც არ ციმციმებს. ლანდადქცეული ნაპირი თანდათან ბურუსში გაეხვია და ერთიანად გაუჩინარდა.

ზღვამ ღელვას უმატა და გემმა — რწევას. ზოგჯერ ტალღა ისე ეხლება, გეგონებათ, გემს გადააყირავებსო.

კიბეს ჩავყევი. გემის უზარმაზარ მუცელში მხოლოდ ორიოდე სანთელი ლიფლიფებს.

ბიჭები ულმერთოდ დაიღალნენ. ვისაც სად მიუსწრია, იქ მიწოლილა. უმრავლესობას უკვე სძინავს.

სიბნელეში ფეხი არავის დავადგა-მეთქი, ორიოდე ნაბიჯი გადავდგი, სავლეს მოვკარი თვალი და მის ახლო გამოვძებნე ადგილი.

სავლე ზურგჩანთაზე ზის, კედელს მიყრდნობია. თვალებზე მუზარადჩამოფხატულს შაშხანა ლაჯებშუა ამოუჩრია. მეგონა, ასე სძინავს-მეთქი. ჩურჩული მომესმა.

— სავლე, ვის ელაპარაკები?

— ჰა?!

— ვის ელაპარაკები-მეთქი?

— მე ველაპარაკები?! არა, კაცო, ჩემთვისა ვფიქრობ რაღაცას. რატომ არ გვიმხელენ, სად მივდივართ?

— გვეტყვიან. ხვალაც ამ თვისაა.

— შენი შეტყობით?

— ყირიმში ბევრი აგარაკია, დასასვენებლად მიგვასეირნებენ.

— იიჰ, მაღალაკი სიტყვა ნუ იცი ხოლმე, ბიჭო.

— ალბათ, სევასტოპოლში გადაგვსხამენ. ყირიმის მიწა-წყალზე გერმანელებს მარტო ეგ ქალაქი დარჩათ აუღებელი. ამბობენ: ჩვენები მაგრად იბრძვიანო.

— შორსაა?

— იქნებ სამიოდე დღესაც მოგვიწიოს ზღვაზე ყოფნა.

— მერე საშიში არ არი?

— ახლა ყველგან საშიშია.

— ზღვა მაინც სხვაა. ეეჰ! — სავლემ თოფი ძირს დააგდო და თოფს გვერდით მიუწვა.

— აპა, აგარაკზე მივდივართ, ჰა? — მკითხა ჯიბუტმა. — მერე უსაგზუროდ მიგვიღებენ?

— რა გალაპარაკებთ ამდენს, მოისვენეთ, კაცო! — ძილმორეული ხმით ამოიკვნესა ნიკო კუდაშვილმა.

ამ დროს სალამურიც აკვნესდა. ეს ვალიკო უკრავს.

— შენ რაღა მოგივიდა, ბიჭო, ახლა მოგინდა მაგის დაკვრა? — ნიკოს ხმაში საყვედური კი არა, ვედრება გაისმა, მომასვენეთო.

— ვალიკო, ხალხს მოსვენება უნდა, გააჩუ-

მე ეგ რაღაცაა, შე კაი კაცო! — ნიკოს გამოექომაგე მე.

— უკეთ დაეძინებათ. — ვალიკომ სალამური უფრო ხმამაღლაააკვნესა.

— ამხანაგებს ცოტა ხათრი მაინც გაუწიე?

— სხვის საქმეში ნუ ერევი, შენ ვინ გკითხავს რამეს? ხოში მაქვს და ვუკრავ.

— ეჰ! — ამოიხვნეშა ნიკომ. — ნეტავი თქვენ! დაუკარი, ჯიბრზე დაუკარი!

კალიკომ დაკვრა შეწყვიტა.

წამწამებზე დაკიდებული ძილი უცებ დამიფრთხა. სიბნელიდან მაია გამოვიდა და სანთელთან კედელს მიეყუდა. უქუდოდაა. მოკლე ნაწნავი მხარზე ადევს, ხაკის ხალათი აცვია. ამობურცულ მკერდზე წითელი ტყავის აშურმა ირიბად ჩამოსჰიმვია.

„რატომ არ სძინავს? დასაწოლად მყუდრო ადგილი ვერ შეარჩია, თუ სხვა რამეს ელოდება?"

შორიდანაც კი აშკარად ემჩნევა, ნაღვლიან ფიქრებშია ჩაძირული.

„ამდენ ჯარისკაც მამაკაცებში ერთი გოგო მართლაც რა საცოდავია?"

მინდა გვერდით დავუდგე უხმოდ, ისე, თანაგრძნობის გამოსახატავად ჰირისუფალს რომ ამოუდგებიან ხოლმე მხარში. ვიღაც უხილავი არ მიშვებს.

სანთელი ილვენთება. იქით მაია დგას, აქეთ — მე. ქანდაკებასავით გახევებულ გოგოს თვალს ვერ ვაშორებ.

დუმილი ჩამოწვა. აქა-იქ მხოლოდ ხვრინვა ისმის. ორიოდეჯერ ნიკომ წამოიკვნესა.

გემის მუცელში ყაზარმის მძიმე ჰაერი დატრიალდა. ტალღების ხმაური აქ ყრუდ აღწევს, ზღვის ხმა მაინც მესმის.

სანთლის უკანასკნელი სხივი ჰურვის ყუთს დააკვდა.

წკვარამ ღამეში უცებ მარტო დავრჩი.

არა, სიბნელეს არ შევუშინებივარ, უბრალოდ ამ სიბნელიდან გაქცევა მომინდა, კიბეს ხელის ფათურით მივუახლოვდი და გემბანზე ავედი.

ქვევით დამრჩა ჯარისკაცთა ხვრინვა და სევდით თვალებავსებული ქალიშვილი. აქ ზღვის ბობოქარი სული და კუნძულებად გაბნეულ ღრუბლებში მოკიაფე ვარსკვლავები შემომეგებნენ. ანძა სწორედ იმ ვარსკვლავებში ქანაობს, გეგონებათ, გემი უსასრულო ცაში მიცურავს და ზღვა განგაშით უკან მისდევსო. გემის ერთ პატარა სარკმელში ლურჯი ნათურა ანთია. ეს უფრო ჩალურჯებულ თვალსა ჰგავს, ვიდრე ნამდვილ სინათლეს.

„ეჰ, სად მივდივართ, რატომ არ გვიმხელენ?"

შვება ვერც გემბანზე ამოსვლამ მომანიჭა. ისევ გემის მუცელს მივაშურე. ქამარი შევიხსნი, ხალათის საყელო გავიხსენი, თავი ზურგჩანთაზე მივდე და ფარაჯაში გავეხვიე.

•

უსიზმროდ მეძინა, ოღონდ სულ წყურვილს ვგრძნობდი. დილით, ეტყობა, ფარაჯა გადამეხადა, სიცივემ გამომაღვიძა. გემის მუცელში ცოტა ხალხი იყო დარჩენილი. ვერც მაიას მოვკარი თვალი. მხნედ წამოვდექი. ფარაჯა ნაბადივით მოვიგდე და კიბეს ავუყევი.

ირგვლივ მუქლურჯი ზღვის მეტი არაფერი ჩანს. ეს ზღვაც დიდ კალოსა ჰგავს. ცა ზედ გუმბათივით ახურავს. გემი, თითქოს ცის გალიაში დაუმწყვდევიათო, სადღაც ბრდღვინვით გარბის. მაინც გუმბათდახურული კალოს შუაგულში რჩება. თითქოს ზღვის კალო და გემი უსასრულობაში ერთად მიცურავენო.

აქოჩრილ-აზვირთებული ტალღა გემის კიჩოს გაშმაგებით ეხეთქება და გრგვინვით სკდება: მსხვილ შადრევნებს მაღლა ისვრის და შხეფებს გემბანზე ასხამს, მერე ქაფმორეული ზვირთები უკან იხევენ და ხელახალი შეხლისათვის ემზადებიან.

გემიც ვაჟკაცურად ებრძვის ზღვის ბობოქარ ტალღებს, მრისხანების ნიშნად თოვლისფერი ქაფი რომ მოსდებია.

გუშინ ორცხობილასა და მარილიან თევზს შევექეცით. ალბათ, მთელ ღამეს წყალი იმიტომ მწყუროდა. ზღვის დანახვამ ძილში მიყუჩებული წყურვილი გამიახლა. ის კი არ ვიცოდი, აქ სასმელი წყალი სად უნდა მეშოვა.

„ჰმ! კაცი ზღვაში იყო და წყალს ეძებდე?"

ირანში უწყლო უდაბნო გვერტყა და ყელი იმიტომ გვიშრებოდა. აქ ირგვლივ წყალია და თავი მაინც უდაბნოში მგონია.

— ემზარ, სასმელი წყალი სად არის?

— მეც მაგას არ ვკითხულობ? — ჯიბუტმა კარდალა ბურთივით აისროლა და დაიჭირა, მერე წაიღიღინა: — ზღვაში ვარ და წყალს დავეძებ, გულის ცეცხლის ჩასაქრობად.

— ყუთებთან რომ კასრები დგას ეგერ, ე, იმაში დგას სასმელი წყალი. — მიგვასწავლა არქიფომ.

თითქმის ერთი კარდალა დავცალე.

— მირიან, სად მივდივართო? რა გაიგე?

— ვერაფერი. შენ, ემზარ, ამ დილით მაია არ გინახავს?

— კი, გველეშაპის მუცელში რომ გავიღვიძე, ისიც იქ იყო. მერე ვალიკომ რაღაც უთხრა, დაჰკრა ფეხი და მაღლა გამოიქცა. ნამეტანი უკარებაა. ვერაფრით ვერ დავიმარტოხელე, არადა, ისე რას გაუბედავ...

უკან გამოვბრუნდით. უცებ ემზარმა შემაჩერა.

— ხედავ?

ნაღმების ყუთზე ქურქმოხურული მაია ზის და, რაღაც ფურცელს ჩაჰყურებს. ეტყობა, ბარათს კითხულობს.

მიტროფანე ჩხაიძემ მიმოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო, ჯერ ქამარი შეისწორა, მერე ქუდი და მაიასთან ქურდული ნაბიჯით მივიდა.

— გოგო, რას ჩაჰყურებ ეგრე გაფაციცებით? ცავ, შეხედე, რა ცაა! შენი თვალების ფერი ზღვასაც გადასდებია და ცასაც.

მაიამ ბარათი დაკეცა:

— ეგ ვიცი, შენ ახალი სთქვი რამე.

— მაცა პაწა! ამდენ ბიჭებში ერთი გოგო რომ ხარ, არ გეშინია?

— მგლები ხომ არ არიან? ალბათ, არ მეშინია, თორემ აქ წამოსვლას ვინ მაძალებდა?

ზემდეგმა მაიას მხარზე ხელი გადაუსვა:

— ეს ქურქი ნამეტანი გიხდება.

— შენზე უკეთ ვიცი, რაც მიხდება. — მაიამ განზე გაიწია. — მომშორდი!

— გოგო, ნუ ბრაზდები, თორემ მალე დაბერდები! — ზემდეგმა ახლა უკვე მკლავზე თამამად მოჰკიდა ხელი.

— რა გინდა, ბიძია?! — წამოხტა მაია.

— ბიძიაო? ჩემისთანა ბიძიას შენისთანა ბიცოლა არ აწყენდა. ვიცი, გცივა და ხელებს მაინც გაგითბობ!

— პარახოდი მიდი-მოდის, ქანაობს, ნაჩალნიკი აბანოში ბანაობს! — ჩაუმღერა ყუთებიდან თავგამოყოფილმა ჯიბუტმა.

მიტროფანე ცივწყალ გადასხმულივით შეცბა და გამოტრიალდა. ემზარს რომ მიუახლოვდა, თვალები მრისხანედ დაუბრიალა და მუშტიც დაანახვა:

— ოო, ჯიბუტი, ჯიბუტი! მე შენ გიჩვენებ! პოლიტმეცადინეობისათვის მოემზადეთ!

— რა დროს პოლიტმეცადინეობაა, ბიძია მიტროფანე! — ემზარმა გაქცეულ ზემდეგს სიცილი დაადევნა.

კარდალა შევინახე და გემბანზე ამოვბრუნდი. უნებლიეთ მაიასკენ წავედი.

ვხედავ ყუთებთან ნუგზარ დიასამიძე მოლიღინებს:

— მოდი ჩემთან, ქეთო, ქეთო,
პარახოდი გავაკეთოთ,
ერთად ჩავსხდეთ ,მე და შენა,
არ გაგვიგოს დედაშენმა.

ნუგზარი ყუთებზე შეხტა და ფეხი ფეხზე გადაიდო:

— ზღვის უდაბნოში წალკოტივით ჰყაოდა გოგო, იმ გოგოს ერქვა მაია...

დიასამიძე ყველის ვაჭარივით იღრიჭება. მე შენ გეტყვი, შვენის. რომ გაიცინებს, მეჩხერ კბილებთან ერთად ზედა ღრძილებიც უჩანს.

— მომშორდი, ლაზღანდარა, შენღა მაკლდი! ნუგზარი თითქოს მაიასკენ არც იყურება, ღრეჭით განაგრძობს:

— უცებ შემიყვარდი, რა ჩემი ბრალია? ხელი ხინტით მოვაწეროთ თოფის კონდახზეო. არ გინდა? ქალალდი ჩვენს დროში სანდო აღარ არის, გოგო...

— მე გოგო აღარა ვარ, ქმარი შინ დავტოვე, ბიჭო. — წყნარად მიუგო მაიამ. ალბათ, იფიქრა, აღელვება რომ შემატყოს, უფრო გამახელებსო.

— კი, დაგიჯერე, ამ წუთში. ტყუილის თქმაც არ გემარჯვება, იმიტომ უფრო მომწონხარ.

— საქმრო მყავს... შეყვარებული.

— შესაძლოა. ვიღაცას ვიღაცა ყოველთვის უყვარს, ჰირიმე. ეგ არაფერია. შეყვარებულის გადაყვარება ადვილია, თუ უკეთესი ვინმე შეგხვდება. დავიჯერო, ის შენი მზეჭაბუკი ჩემზე კოხტა და ლამაზია?

— მათხოვარი ხარ. შენ ჯარში ვინ წამოგიყვანა, ხიდის ყურთან უნდა იდგე ხელგაწვდილი... აღარ დამანებებ თავს?

— ცხონებულმა ბაბუამ ანდერძად დამიტოვა: რასაც კარგს დაინახავ, პირს ღლავივით ნუ დააღებ, მაშინვე დაავლე ხელი, თორემ სხვა მოიტაცებს და შენ ხახამშრალი დარჩებიო. ღმერთმა გაანათლოს მისი სული! სხვათა შორის, ბრძენი ბაბუა მყავდა.

— აღარ მომშორდები? ბოლოსდაბოლოს, ჩანთა გესროლო?

— ეგ სიკეთე გამოიმეტე და ყოველ ცისკრის ჟამს შენზე ვილოცებ! — დიასამიძემ მკლავები ცაში აყარა.

— თავიდანვე ეგრე ვერ თქვი? — გაიღიმა მაიამ. — ბიჭო, მე უფრო გიყვარვარ, თუ ჩემი ჩანთა? რატომ დაგება ენა? ჰა, გამოტყდი, თუ ვაჟკაცი ხარ!

დიასამიძემ ხელი გულზე მიირტყა:

— შენცა და შენი ჩანთაც... ორივე ერთად...

— ამ ჩანთაში სპირტი რომ არ გეგულებოდეს, მაშინაც ასე იჭიკჭიკებდი?

— სპირტმა ცისფერი ალი იცის, გოგო, შენი თვალებისფერი, ამიტომ მიყვარს სპირტი, თვარა, ისე ბევრი კი არაფერია: დალევ და ერთს გემრიელად შეგახურებს, დარდს დაგავიწყებს და დამხოშიანად აგამღერებს, ეგ არის და ეგ!

— ბავშვს უხდება მაიმუნობა, დიდის მაიმუნობა კი საზიზღარია.

— ვითომ ქვეყნიერება დაიქცევა, ასიოდე გრამი რომ ჩამახეთქო?

— ყველას თუ ას-ასი გრამი ვურიგე, კარგი დახლი დამიდგება. როცა დამჭირდება, შენ მომიტან?

— თავისთავად გაჩნდება, ჩიტუნია. წარმოვიდგინოთ, ვითომ მსუბუქად დავიჭერი... ცოტა სპირტი ხომ უნდა დამახარჯო? ჩემი კუთვნილი ბარემ აქ მომეცი.

— შენ ისეთი სქელკანიანი ხარ, ვერც ტყვია მოგერევა, ვერც ყუმბარა.

— გირჩევნია, ცოტაოდენი ნებით მომცე, თორემ არ დაგეძინება? მთლიანად მოგპარავ და გამოგიწრუპავ.

— ნამდვილი ქურდი თავს ეგრე არ ამხელს, მჩხავანა კატა ხარ.

— ჰოდა, შე დალოცვილო, ამ პატიოსან

ბიჭს, ფისუნიასავით სათნოს, ორ ყლუპ სპირტს უკავებ? სხვა რამეს ხომ არა გთხოვ?

მაია ახლა კი გაბრაზდა:

— სხვა რა უნდა მთხოვო, შე მართლა მათხოვარო?! ადამიანურად რომ დაგელაპარაკე, მოუკრეფავშიც გადახვედი? გასწი აქედან, ვიდრე მაგ ლაყე თავს გაგიხეთქავ!

ნუგზარი თავისებურად დაიღრიჯა და მეჩხერ კბილებთან ერთად ღრძილებიც გამოაჩინა:

— რა იცი, რომ ლაყეა? დაყნოსე?

მაიამ უფრო მრისხანედ შეიკრა წარბები. დიასამიძემ შეატყო, ამასთან ხუმრობით ველარაფერს გავხდებიო და შეფუცხუნებული გამობრუნდა:

— არ გადამაყოლა ერთ ყლუპ სპირტს? რას მედიდგულები? შენი თავი მართლა მზეთუნახავი ხომ არ გგონია? აქ სხვა გოგოებიც რომ იყვნენ, შენკენ ცალი თვალითაც არავინ გამოიხედავდა. ერთი უყურე შენ ამას! თუ არ შემომეხვეწები, ხმასაც აღარ გაგცემ! — ეს სამდურავი ვითომ გულმოსვლით ესროლა და მერე წაუმღერა: — ამოდუდდი, მარგალიტო, ნაგუბარში ჩადექ, წყალო, არც ისეთი ლამაზი ხარ, როგორც იპრანჭები, ქალო! იცოდე, ეს შენზეა გამოთქმული. — მათარა აისროლა და დაიჭირა.

— ეჰ, ჩემო ცარიელო მათარავ, მე და შენ ბედი არა გვწყალობს და ვიყოთ ჩვენთვის.

— რა გეშველებათ, რა! — მაიამ ნუგზარს თვალი გააყოლა. მის გამოხედვაში ზიზღზე მეტი სიბრალულია.

„ახლა მაიასთან ვერ მივალ, ალბათ, ისეა გულაშლილი".

თითქოს ვიღაცას თავის ვაჟკაცურ მკლავებსა და მკერდს ახარბებსო, ყუთებთან ვალიკო იაშვილი მიმდგარა, წელზევით გაშიშვლებულა და ცივი წყლით ტანს იზელს, ადრეც იზელდა ხოლმე. ახლა უფრო მოუხშირა. ეტყობა, ამობურცული მკერდისა და მსხვილი მკლავების გარდა, იმის გამოჩენაც სწადია, რაც მკლავებზე სვირინგით ახატია: მარჯვენაზე — ტარიელი ვეფხვს რომ ახრჩობს, მარცხენაზე — ისარგაყრილი გული.

ვალიკო ტანადიც არის, თვალადიც. მხოლოდ ერთი რამ არ მომწონს: თავისი თვალტანადობით რომ ამაყობს. აი,ახლაც მაიასკენ უჭირავს თვალი, აბა, თუ მიყურებსო. მაია კი აინუნშიც არ აგდებს, მისკენ არც იყურება, რაღაც სურათს დასცქერის დანაღვლიანებული.

ვალიკომ ჩაიცვა და მაიასთან მისვლა დააპირა, თავს შევახსენებო.

იქვე ამირანი გაჩნდა. ფანდურს უკრავს და დამღერის. ხან მაიასკენ იყურება, ხან ვალიკოსკენ. ვალიკომ ამრეზილად შეხედა მეფანდურეს: ამას რაღა უნდა, მეცამეტე გოჭივით რომ გამოტყვრაო. ამირანს მწყრალმა შემოხედვამ ღიმილი მოჰგვარა და ვალიკოს გასაზელებლად უფრო ტკბილად ამღერდა:

ველზე რო სისხლის ტბა ბრუნავს,
გადასავდებე სად არი?
შიგა წევს გველი წითელი, თავსა სძრავს,
ბოლო სად არი?
ბევრსა ჰკლავს ბევრის სურვილი, მაგრამ
გაგება სად არი?

ვალიკომ მეფანდურეს ერთხელაც გამოხედა: მწყრალად და კისერზე პირსახოცგადაკიდებულმა ჩასასვლელ კიბეს მიაშურა. ამირანმა სიმღერით გააცილა.

გემის მოაჯირთან ამირანის ძმა შიო დგას. ხელში ჯიბის „ვეფხისტყაოსანი" უჭირავს. ერთხელ მითხრა: დაფიცებული მაქვს, ბოლომდე ზეპირად უნდა ვისწავლოო. ხან წიგნს ჩაჰყურებს, ხან ჩურჩულებს, ზოგჯერ მაიასკენაც გაურბის თვალი.

ამირანი გამარჯვებულის იერით მობრუნდა. მხრები შეათამაშა და მაიას ახლოს აღიღინდა:

ლალები, ლალები, ცისფერი გაქვს
თვალები,
თვალი ზეცას დაუდგება, შენ კი
გენაცვალები.

მაიას თითქოს არც გაუგონიაო, მეფანდურეს არ გამოხედა.

ამირანმა უფრო მჭექარედ დასძახა:

ლალე, ლალე, დივლიდალალალე,
თეთრო გოგო, გენაცვალე,
შავო, გამეცალე!

ძმებმა ერთმანეთს შეხედეს. უცებ ორივეს წასკდა სიცილი.

— რა გაცინებს, ბიჭო? — ჰკითხა ავგაროზიანმა.

— შენ რა გაცინებს? — მიუგო ფანდურიანმა.

— სასაცილო ხარ, აბა, რა! დადიხარ და ფანდურით გინდა ზღვის შფოთვა შეაჩერო.

— ზღვას ვერც შენ გააჩუმებ, თუნდაც ეგ შენი „ვეფხისტყაოსანი" ბოლომდე წაუკითხო და მერე შენი უნიჭო ლექსებიც მიაყოლო.

— ვისი ლექსებია უნიჭო, შე ვირო!

— შე ვირო და... უარესო! შენ!... — ამირანმა ფანდური ყუთზე მიაგდო.

ძმები ერთმანეთს ებღლვნენ. გახურდა ჭიდაობა. ხან ერთი მოექცა ქვეშ, ხან მეორე.

ვიფიქრე: ძმებმა ჭიდაობით არ დაიწყონ და ჩხუბით არ დაამთავრონ-მეთქი. გასაშველებლად მისვლა დავაპირე.

უცებ საიდანღაც ზემდეგი გამოვარდა:

— ჰაიტ! რას შვებით? რა გაჩხუბებთ? ადექით! — ხელი დაავლო ორივეს, წამოაყენა და გაკვირვებულმა ხან ერთს შეხედა, ხან მეორეს. — ძმები ხართ?! რა გაქვთ გასაყოფი? რა გაჩხუბებთ? — მაიასკენ გაიხედა. — იქნებ იმან?!.

— შენი საქმე არ არის, ჩვენ მოვრიგდებით! — ფარაჯის ბერტყვას შეუდგა შიო. — მერე ძირს დაყრილ ქუდებს დასწვდა და ერთი თვითონ დაიხურა, მეორე ძმას ჩამოაფხატა.

— გამოტყდით, რომელი უფრო მოგწონთ, მრისხანე ზღვა, თუ... — მიტროფანემ ისევ მაიას გახედა, — ჩაფიქრებული?

— ორივე. ოღონდ ერთი ვიღაც მესამე გვიშლის ხელს! — მწყრალად მიახალა ამირანმა, ფანდური აიღო და ქუდი შეისწორა.

— იქნებ ის მესამე გაფრთხილებთ, ძმები ხართ და ეს ჩაფიქრებული ზღვა თუ ჩადგა თქვენშუა, ავი ამბავი დატრიალდებაო?

— შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს. — ამირანმა წიგნი ჯიბიდან ამოიღო.

— რა ქენი, დაიზუთხე „ვეფხისტყაოსანი“ ბოლომდე!

— ცოტა მაკლია. დავიჯერო, შენ ახლა ეს გაინტერესებს?

— რატომაც არა... ესეც და...

შიომ მაიას გახედა:

— ისიც არა?

ზემდეგმა შიოს წაუყრუა.

— ცოტა ცივა ხომ იცი?

— არა, აღარ ცივა! — ზემდეგმა ხელები მოიშმუშნა. — დათბა.

—შენ როცა ერთ ვინმეს უყურებ, მგონი, გცხელა კიდეც.

მიტროფანემ კვლავ წაუყრუა შიოს, მერე ამირანს მიუბრუნდა:

— შენ დღედაღამ ეგ ფანდური რომ გიჭირავს, ზედ ჯვარი დაიწერე?

— ერთხელაც გითხარი: თოფს შეველევი და ამ ფანდურს ვერა-მეთქი. უნივერსიტეტშიც კი დამქონდა ხოლმე... ერთმა კარგმა კაცმა ფოლკლორის ლექციაზედაც კი დამაკვრევინა...

— ისიც შენისთანა ტაშფანდურა ყოფილა.

— შენდენი ჭკუა იმ კაცს ფრჩხილში ჰქონდა.

— ხარაშო, ხარაშო! — თითი მუქარით დაუქნია, ძალიან წამომაჩვიეთ ენა და... მიფრთხილდით! ახლა კი პოლიტმეცადინეობისათვის მოემზადეთ!

ჯარისკაცებმა თავი გემბანზე მოიყარეს. ზოგი ჭურვების ყუთებზე ჩამოჯდა, ზოგმა იატაკზე მოიკალათა.

— სენი წირიმე, რა დროს პოლიტმეცადინეობაა?! — სეკა ძუგაევმა ხელები გაკვირვებით გადაატრიალ-გადმოატრიალა და მხრები აიწურა.

— ბნელი ფიქრი რომ არ მოგივიდეს, ყოველდღე უნდა განათლდე. — არ გასცინებია, დარბაისლურად უთხრა ჯიბუტმა და სიფრიფანა ცხვირზე ხალოკი თითი გაისვ-გამოისვა.

— ერთი ეს გითხარი, ემათა სულ რომ არა გაქ განათლება, ფრონტზე რანაირად უნდა გიომოს? — ძუგაევმა თოფრებში ქვინქვირჩაყოფილ ცხენებს გახედა.

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, — მიუგო ემზარმა, — აქ მეცადინეობას ეგენიც დაესწრებიან ხოლმე და ფრონტზე მისვლამდე ცხრაჯერ განათლდებიან.

მეთაურთა კაიუტიდან პოლიტხელი ვანო სოსიაშვილი გამოვიდა. ეს კაცი ორმოციოდე წლისა იქნება თითქოს შეშინებია, ცას თავი არ ავარტყაო, მხრებში ოდნავ მოხრილა. ახალი ქურქი აცვია.

ტანდაგვალული და თვალებდაკუსული შალვა ცამციძე პოლიტხელს კუდივით გამოჰყვა. გაბერილი საველე ჩანთა უჭირავს.

ჯარისკაცები წამოიშალნენ. სოსიაშვილი ღიმილით მოგვესალმა და ხელით გვანიშნა — დასხედითო.

ცამციძე მელიასავით მიცუნცულდა და პოლიტხელს ჩანთა მიაწოდა.

სოსიაშვილმა სქელი ჩანთა გახსნა და გაზეთები დასტად ამოიღო. ორიოდე დღის წინანდელი საინფორმაციო ბიუროს ცნობები დაწვრილებით გაგვაცნო.

მანასე ხაჭაპურიძემ ჩემს უკან ხვრინვა ამოუშვა.

— გაიღვიძე, ჰა, გაიღვიძე! — ხელი წაჰკრა ამირანმა.

— იიჰ, ეგ ყველაფერი ვიცი! — ისევ დახუჭა თვალი.

ჯარისკაცები აჩურჩულდნენ: სად მივდივართ, რატომ არ გვიმხელენო?

— ბონდო, ჰკითხე! — ხელი მოვკიდე ოცმეთაურის თანაშემწეს.

— შენ ჰკითხე, კომკავშირის მდივანი ხარ.

როცა სოსიაშვილმა შეისვენა, ხელი ავიწიე.

— რა გინდა, ამხანაგო სერჟანტო?

წამოვდექი.

— ამხანაგო პოლიტხელო, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ იმას რატომ არ გვეუბნებით, სად მივდივართ?

სოსიაშვილმა დაკვირვებით შემომხედა. რაკიყოყმანი შევატყვე, განვაგრძე:

— თქვენ უეჭველად გეცოდინებათ, ხელქვეითებსაც გვენდეთ... გემიდან ხომ არ გადავხტებით და საიდუმლოს ზღვის ლორებს ხომ არ გავანდობთ? საახალწლოდ ვის უნდა ვეწვიოთ?

— ძალიან გაინტერესებს?

— ყველას აინტერესებს.

— ფეოდოსია უნდა დავიკავოთ, ბიჭებო. მერე დიდძალ ჯარს მოგვაშველებენ, მტრის განლაგებაში ღრმად შევიჭრებით და ოკუპანტებს ზურგიდან დავცხებთ.

სოსიაშვილმა მეცადინეობა განაგრძო. ასჯერ თქმულის მესერთედ მტკიცებას შეუდგა: ჩვენი საქმე სამართლიანია და უეჭველად გავიმარჯვებთო.

— ისე დაბეჯითებით ამბობს, თითქოს ადამისჟამიდან მოყოლებული ყოველთვის სიმართლე იმარჯვებდა ყველგან. — ყურში ჩამჩურჩულა ამირანმა.

ჯიბუტმა გვერდზე მიმახედა. ცხენები უცნაურად აკანტურებდნენ თავებს.

— ა, ამათაც კი შეიგნეს, გეთანხმებითო, მე ვითომ რა ვარ, ამდენს რომ ჩამჩიჩინებს? — ემზარს უცებ სიცილი წასკდა.

— ამხანაგო ჯიბუტი, რა გაცინებს? — სიტყვა გაწყვიტა სოსიაშვილმა.

ემზარი წამოხტა, პოლიტხელს გამოეპიმა და სხაპა-სხუპით მიაყარა:

— მიხარია , ფაშიზმის განადგურება რომ გარდაუვალია!

— დაჯექი და თავს დაუკვირდი! ხუმრობა მეც მიყვარს, ოღონდ თავის დროზე.

სერგო მეწაღიშვილმა მარცხენა ხელი უცებ პირზე მიიფარა, მარჯვენა კი მოწაფესავით აიშვირა.

— რა გნებავს, ამხანაგო... მებრძოლო? — ჰკითხა პოლიტხელმა.

— ბოდიში, აი... — ანიშნა, გულს მეზიდება და გამიშვიო.

პირზე ხელმიფარებული მეწაღიშვილი წაბარბაცდა.

— რა დღეშია! — თქვა არქიფომ.

— გავყვეთ, არ გადავარდეს. შეიძლება, ამხანაგო პოლიტხელო?

სერგოს მე და არქიფო გავედევნეთ.

— ვაიმე, დედა! შენი სერგო უდროოდ გიკვდება!

მეწაღიშვილი გემბანის მოაჯირზე გადაეყუდა, მერე შემობრუნდა და იქვე ჩაჯდა. როგორც იქნა, სული მოითქვა.

— ვაჰ, ეს გემი რა ხათაბალა ყოფილა, კაცო?! მთელ ღამეს დოლი მიბრაგუნებია, ასე არ დავღლილვარ. სამი სუფრა გამომიცლია, ღვინო გადაბმით მისვამს, არაფერი შამტყობია...

— სამ სუფრაგამოცვლილს ცოტა რამე კი შეგეტყობოდა, ნუ ტრაბახობ. თქვი: ღვინოს არ უწყენია-თქო, უფრო დაგიჯერებენ.

— კარგი, მირიანჯან, შენებურად იყოს. ვაჰ, ამ ოხერმა, ზღვამ რამოდენა ხალხში გამაბითურა, კაცო?! დედის რძე არ შემარჩინა. არა, ძმაო, არა, ზღვაში სიცოცხლე გახვრეტილ გროშად არა ღირებულა. ოღონდ მიწაზე ფეხი დამადგმევინონ და... მერე ჩემი თავი ჯანდაბას!

დეკემბრის მზე ცივი და ულიმღამოა. პოლიტმეცადინეობის დამთავრებისთანავე ხალხი კვლავ გემის მუცელში ჩაეშვა. მაიაც ქვევით ჩავიდა, მალე ამობრუნდა და თავის ამოჩემებულ ყუთს მიაშურა.

მე თითქოს ეს არ შემიმჩნევია, მოაჯირთან მივდექი და გუმბათის წრეში მოქცეულ ლურჯ კალოს გავხედე. მერე შემოვბრუნდი და...

„სად წავიდა?“

გემის კუდისკენ გავაბოტე. გუმანმა არ მიღალატა, მაია იქ დამხვდა. ორ ყუთშუა მყუდროდ ჩამჯდარა და სადღაც შორს იყურება, ზღვის მიღმა.

დამინახა. წამოხტა და შუბლზე ჩამოცვენილი თმა ქუდში შემალა. ხელში სურათი უჭირავს.

— ეგ რა არის, ქალიშვილო, საკუთარი მშვენიერების ცქერით ტკბებით? სურათს რატომ დაჰყურებთ, სარკე არა გაქვთ?

— თქვენ გგონიათ, ეს მე ვარ?

— აბა, დაიაა?

— და არა მყავს. დედაა.

— ასე ახალგაზრდა?

— სურათში ადამიანს ასაკი არ ეტყობა.

— ლამაზი დედა გყოლია, პირწმინდად მისი ხატი ხარ.

— მე მაქებ, თუ დედაჩემს?

ენა დამება.

— ეჰ, რა ხართ! — მაიამ სურათი თეთრ ქაღალდში შეახვია და გულისჯიბეში ჩაიდო, მერე უსიტყვოდ მითხრა: წადი ახლა, რაღას უდგეხარო?

წასვლა გუნებაშიც არ გამივლია, დარჩენის საბაბიც არაფერი მაქვს.

„რა ვუთხრა?“

— ზღვა გიყვართ? — რაც ენაზე მომადგა, ის ვკითხე.

— ერთფეროვანია საშინლად... ვილაც-ვილაცეების ქათინაურებს მაგონებს. მე ცა და მიწა მიყვარს.

— მე უფრო ზღვა მომწონს, ოღონდ ასე განრისხებული — არა.

— ზღვა გხიბლავს, თუ... ზღვისფერი?

— გულთმისანი ხართ?

— გულთმისნობა აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ ვხვდები, რაც უნდა მითხრან ხოლმე და გულში მეცინება.

— აქ სასაცილო რა არის?

— მიხარია და მეცინება. — მაიამ წარბები ასწია და ისედაც დიდრონი თვალები უფრო გაუფართოვდა. მისი თვალი ახლა მართლაც ზღვასა ჰგავდა: მიმზიდველი იდუმალებით იყო სავსე.

— რა გიხარია, შენს თვალებში ზღვა რომ ჩანს?

— აბა, შენ ხომ არ გამოჩნდები? რასაც ვუყურებ, ისა ჩანს. ეჰ, რას არ იტყვის თქვენი ენა? ერთმა ისიც კი ჩამიქათინაურა, შენი თვალები ცასავით უძირო და ზღვასავით ღრმააო. სხვებს მზელა დაუტოვა.

—მერე მაგაზე მოგდის გული? შეგაქო, ხომ არ უგინებიხარ?

— თავხედები ხართ. კაბიანი თუ დაინახეთ ვინმე, გათავდა, უმალვე იერიშზე გადადიხართ. თავს აჩვენებთ, ვითომ მისთვის გიძდებით. დღე ერთია და ათასი მიხსნის სიყვარულს. მაგ თქვენი სიყვარულით ყელამდე ავივსე, სადაცაა დამახრჩობს.

— ბიჭებმაც რა ქნან? ქალი დასანახავად ენატრებათ და ზოგჯერ ენას იფხანენ.

— მართლა? მე რა, ენის მოსაფხანი ნივთი ვარ?

— რატომ ნივთი?.. მე მგონია, თავს ბედნიერად უნდა გრძნობდე, ამდენი პატრონი რომ გყავს.

— პატრონი, თორემ... ქალს მხოლოდ ერთი პატრონი უნდა.

— პატრონი იქნებ ერთი უნდოდეს, ქათინაურები კი, ვიცი, ყველასგან სიამოვნებს... მე გოგოს ვიცნობდი...

— ქვეყანაზე ყველა ერთნაირი არ არის. ყალბი ქათინაურების ფრქვევას ის გირჩევნიათ, თქვენზე სუსტ არსებას რომ დაინახავთ, ზოგჯერ ისიც იფიქროთ, ცოდვაა-თქო. მომბეზრდა ამდენი ქათინაური!

— ბოდიში, ქალიშვილო! მე, მგონი, თავმოსაბეზრებელი არაფერი მითქვამს. — უმალვე შევბრუნდი.

— შენ არა, მე უფრო სხვებს ვედავები... ახლა უბრალოდ შენზე გადამიტყდა ჯოხი. — ხმა აუთრთოლდა და ისე შემომხედა, თითქოს პატიებას მთხოვსო. იქნებ ასე არც შემოუხედავს და მე მომეჩვენა? არ ვიცი.

— ოჰო, მყუდრო ადგილი აგირჩევიათ პაემანისათვის, — თავს წამოგვადგა კაპიტანი კუზნეცოვი, — აქ სიყვარულობიას თამაში არ გამიმართოთ, სალდათებო! — ჯერ მე შემომხედა ღიმილით, მერე მაიას.

— მაგის ჯავრი ნუ გაქვთ, ამხანაგო კაპიტანო, უნდა გვენდო! — გავუღიმე მეც.

— გეხუმრე, ბიჭო, გენდობით, ყველაფერში გენდობით. — კაპიტანმა იქვე ჩაფიქრებით მოსიარულე ნიკოს მოჰკრა თვალი. — კუდაშვილო, მაგ უშველებელ ზურგჩანთას დღედაღამ რომ არ იშორებ, ისეთი რა გიწყვია შიგ?

— არაფერი... ეს ისე...

— მაინც?

ნიკო შეყოვნდა, მერე უცებ წამოიძახა:

— ასე უფრო კარგადა ვგრძნობ თავს... თბილადა ვარ, თბილად...

— უცნაური კაცია! — კაპიტანმა გულითადად გაგვიღიმა და სიცილით წავიდა.

— რა უნდათ, კაცო, რას ჩამაცივდნენ? მე მამძიმებს ეს ოხერი, სხვას ხომ არა? ეეჰ! — კუდაშვილმა ხელი ჩაიქნია და გაგვშორდა.

— ავგაროზად დააქვს, ტყვია ზურგიდან მაინც არ მომხვდებაო. — ეს ვთქვი და სიტყვა შემომელია.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. კაპიტანი კეთილად გაგვეხუმრა, მაგრამ იმ ხუმრობამ ორივე მაინც შეგვაკრთო რაღაცნაირად.

ზღვამ დილით შეისვენა, თითქოს სული მოითქვაო, მერე ისევ გაშმაგდა. ზოგი ზვირთი მთასავით აიზიდება მაღლა, ფაფარს გაშლის, დაიგრაგნება, გემიდან უკუქცეულ ტალღას დაეჯახება და გრუხუნით იმსხვრევა.

უზარმაზარი გემი კი შეუპოვრად ებრძვის ყალყზე შემდგარ, აბობოქრებულ ზვირთებს და უშიშრად მიიწევს წინ.

ზღვა თავისთავად, ალბათ, სულაც არ ხმაურობს, ეს მხოლოდ გემი ახმაურებს.

— ჩიტო, გაბმულხარ მახეში? მირიან, ულოცავ, ავი თვალი რომ არ ეცეს? — ჯერ ნუგზარის ხმა გავიგონე, მერე ანაზდად ყუთებიდან თვითონაც ამოძვრა.

— წადი, ბიჭო, მომშორდი!

— მე კი მოგშორდები, ვალიკო იაშვილს უფრთხილდი! იცოდე, დუელში გამოგიწვევს. სროლა იცის — ტყვიას ნატყვიარში აძვრენს. დათიკო შევარდნაძე თუ გაგიგონია, ე, იმაზე მარჯვეა.

— ვინც შეუშინებია, ისევ ის შეაშინოს! — მივუგე არხეინად.

— შენ იცი! ყიყლიყოო! გათენდა! მე მიყვალია და... — დიასამიძე ღიღინით წავიდა. — შავი შაშვი ჩიოდა, ნეტავ რასა ჩიოდა...

— რაო, მაია, აკი ყველა ყალბი ქათინაურებით მიმასპინძლდებაო? აგერ, ხალხი ამბობს: ვალიკოს ისე უყვარს მაია, რომ დასჭირდეს, მისთვის სულსაც გასწირავსო. სხვათაშორის, ლამაზი ბიჭია...

— ლამაზია, მაგრამ...

— ილიამ თქვა: ლამაზი გოგო და ლამაზი ბიჭი, სხვა რა უნდა სიყვარულსო.

— ვალიკო ისე მიყურებს ხოლმე, როგორც მშიერი მგელი ბატკანს. ასეთი ხალხი არ მიყვარს. სულ იმის დამტკიცებას ცდილობს, ყველაზე უკეთესი ვარო. ალბათ, ჩემ სიყვარულსაც იმიტომ იჩემებს, აქაოდა, თუ მე მოვინდომებ, სიყვარულზე უარს რომელი გოგო მეტყვისო! ამ აღსარებას, იცოდე, მხოლოდ შენ განდობ!

— გმადლობ ნდობისათვის.

— შენ სხვებს ნუ აჰყვები! არც სხვა რამე იფიქრო, მირიან. მე ერთი უკვე შევუშვი გულში, მეტი ადგილი აღარა მაქვს... ასე რომ, იმედი ნურავის ექნება... წადი ახლა!

ასეთ აღსარებას ნამდვილად არ მოველოდი. მაიამ თავის გულში ჩამახედა, უნებლიეთ ძალიან ახლოსაც მიმიშვა... როგორც სანდო მეგობარი.

ამას რა დიდი მიხვედრა უნდოდა, ის ერთი ბიჭი, გულში რომ ჩაუსახლებია მაიას, მე არა ვარ. ამან არათუ დაამცირა ქალიშვილი, პირიქით, ჩემ თვალში უფრო აამაღლა.

ძალიან მართლისმთქმელი ადამიანი ყოფილა. ყალბად არავის ეთამაშება და სხვების ყალბ თამაშსაც უფრო სევდით უყურებს, ვიდრე ზიზღით: ადამიანები ასეთები რატომ ხართო.

ამ წუთში თითქოს ხელახლა აღმოვაჩინე ეს გოგო. მისი სული რომ დავინახე, გარეგნულადაც სხვანაირი მეჩვენა.

ანაზდად ნანა კვლავ გამომეცხადა და მაიას პირისპირ დაუდგა. ერთმანეთს უცნაურად ახედდახედეს და თვალი თვალში გაუყარეს.

ნანას უნდოდა ყველა მისი თაყვანისმცემელი ყოფილიყო, თუნდაც თვითონ გულით მარტოოდენ ერთი ვაჟი ჰყვარებოდა, ასე ვთქვათ, ყველას ხატობას ცდილობდა.

მაია თაყვანისმცემლებს იგერიებს.

ნანას სილამაზე მყვირალა იყო, უცებ ვეცემოდა თვალში.

მაიას აკვირდები და თანდათან სანდომიანი ხდება და მიმზიდველობაც ემატება. ჩუმი სილამაზითა და უბრალოებით გხიბლავს.

ნანას ვნებით დაბინდული თვალები ჰქონდა, ეს იყო და ეს. მაიას ცისფერი თვალები ციცინათელებით ევსება ხოლმე, წვიმაგადავლილი ლაჟვარდის სიკაშკაშე, სიღრმე და უსაზღვროება ჩანს შიგ. ასეთი მეტყველი თვალები არსად შემხვედრია.

მაიას ალსარების შემდეგ მე ველარაფრის თქმა მოვახერხე, მუნჯივით დგომაც მეუხერხულა და უხმოდ მოვშორდი.

ჩასასვლელთან ვალიკო იაშვილმა გადამიჭრა გზა. ვხედავ: ფარაჯა არ აცვია, მკერდი მოჩხუბარივით გაუღელია.

— შენ, ეი, ვაჟკაც! რა გინდოდა იმ გოგოსთან?

— ლაპარაკს მიშლი?

— ლაპარაკს არ გიშლი... რას შესციცინებდი თვალებში? მოგწონს?

— მშვენიერი გოგოა.

— მოეშვი, თორემ შუა ზღვაში გადაგაგდებ ნაფოტივით! — ვალიკომ თვალები მუქარით დამიბრიალა.

— ნუ აჩქარდები, ვალიკო, გაზაფხულამდე მოიცადე, ზამთარში არ მიყვარს ბანაობა, წყალი ერთობ ცივია. შენ თუ გინდა, გაყვინთავებ. ცივი წყლით ნაზელ ტანს არც ცივი ზღვა აწყენს. — ჩემმა სიმშვიდემ მევე გამაკვირვა.

რაკი თავს ასე იოლად მოვერიე, იმედი მომეცა: სხვასთან ბრძოლა ოდნავადაც არ გამიჭირდება-მეთქი.

შევატყვე, ჩემმა სიმშვიდემ ვალიკოს მუქარას ცივი წყალი გადაასხა, მზეერავ ვაჟკაცს თვალებში მოწოლილი ცეცხლი გაუნელდა, ნირი შეეცვალა და წყალში ჩაგდებულ ორცხობილასავით მოლბა:

— შენ არა ხარ მართალი, ბიჭო. ვერაფერი ვაჟკაცობაა, სიყვარულში სხვას შეეცილო!

— ვინ გითხრა, მირიანი სიყვარულში სხვას შეეცილაო?

— ლაილაის მოუკვდეს პატრონი, ეგ გოგო მე მიყვარს.

— სიყვარულს ვერავინ დაგიშლის.

— მურმანის ეკლად ნუ ამომიხვედი. მაია ჩემია და ცოცხალი თავით არ დაგანებებ.—არა, ეს მუქარა არ არის, უფრო თხოვნას ჰგავს.

— იცი, რას გეტყვი, ჩემო ვალიკო? მე და შენ ბავშვები აღარა ვართ. მაია არც შენია, არც — ჩემი. შენ ნამდვილად გიყვარს თუ არა, ეს კიდევ საკითხავია, მაგრამ თუ გიყვარს, ესეც ძალიან ცოტას ნიშნავს. გოგოსაც უნდა უყვარდე. მაიას საქმრო ჰყავს, ბიჭო. მე და შენ ჯერჯერობით სადავო არაფერი გვაქვს და ტყუილად რატომ ვიფაფხუროთ? სადაც მივდივართ, დავიდარაბა იქაც გვეყოფა, ჩემო ძმაო. დამშვიდდი!

ვერ შევატყვე, დამეთანხმა თუ არა, ციბრუტივით შეტრიალდა და ჩექმების მწყრალი ბრახა-ბრუხით გამშორდა.

ვერ გამიგია, გული ასე რამ გამიხალვათა, შვება რამ მომანიჭა? ჩემმა საქციელმა ჩამაფიქრა.

ვალიკოსაგან დასაცავად მაიასა და იმ ვიღაც უცნობ ვაჟს ერთად გამოვექომაგე. რაკი სხვას ვიცავდი და არა ჩემ თავს, ალბათ, სიმშვიდეც ადვილად იმიტომ შევინარჩუნე, ჩემმა სიმშვიდემ კი ვალიკო გააქცია.

მარტოდ დარჩენილი ახლა ჩემ გულში ვიყურები და მომხდარ ამბავს სულ სხვანაირად ვხედავ და ვაფასებ.

ვალიკოს კატეგორიულმა მტკიცებამ: გოგო ჩემია და ცოცხალი თავით არ დაგითმობო, მამაკაცური თავმოყვარეობა გამიხელა და რაღაცნაირად ჯიბრშიც ჩამაყენა.

იქნებ რაიმეს მისაკუთრება არც გინდოდეს ადამიანს, მაგრამ თუ ვინმე დავას დაგიწყებს, ჩემიაო, შენ კი ნამდვილად იცი, მისი არ არის, უნებლიეთ შეეცდები, არ გაატანო.

თურმე იმ წუთში მე მაიას გულში ჩასახლებულ ბიჭს კი არა, ჩემ თავს ვიცავდი. ვალიკოც ხომ ამას მიმტკიცებდა დაჟინებით: ჩემი მეტოქე შენა ხარო. მე დამემუქრა და არა იმ უცნობს. ჰოდა, ვისაც ემუქრებიან, თავიც იმან უნდა დაიცვას. ახლა უკვე მე ვდგავარ იმ აზრზე, რომ მაიას ცოცხალი თავით არავის დავუთმობ, რა თქმა უნდა, თუ ის უცნობი ბიჭი არ გამომეცხადება და მაიაც მის მხარს არ დაიჭერს. აქ იარაღით ბრძოლა არ შეიძლება. ადამიანებმა ერთმანეთს ძალით არაფერი არ უნდა წავართვათ. სიყვარულის თოფ-იარაღით დასაკუთრება სიგიჟეა. სიყვარული სიყვარულმავე უნდა დაისაკუთროს, თუ უნდა კეთილი გზით ატაროს და სიძულვილად არ აქციოს. თოფ-იარაღი სადაც არის საჭირო, ნეტავი იქაც არა სჭირდებოდეს ადამიანს...

*

გათენდა. ხმელეთი კვლავ არსად ჩანს. მუქად ჩალურჯებულ დიდ კალოს ისევ გუმბათი ახურავს. შორს, ცის კაბადონზე, ღრუბელს წითელი ფერი დაჰკრავს. გემი გუშინდელივით აღარ ირწევა, ზღვის ღელვა დამცხრალა, აღარც ქარი ზუზუნებს.

იქ მივედი, გუშინ მაია რომ იჯდა. არავინაა, მოაჯირს მივადექი.

გემი თითქოს ლურჯ კალოს ლეწავსო, თეთრ კვალსა ტოვებს. კვალი არც გრძელდება, არც მოკლდება, გემს კუდად მოსთრევს.

— მირიან!

ეს ვინ მეძახის ასე იდუმალი ჩურჩულით?

თითქოს მაიას ხმაა.

მივტრიალდი, ახლო-მახლო არავინ დგას.

რამდენიმე ჯარისკაცი მოაჯირს მიჰყუდებია, ფარაჯის საყელო აუწევია, ქუდის ყურები ჩამოუშვია და სივრცეს გასცქერის. ცოტა იქით, თოფრებში ცხვირჩარგული ცხენები თავებს აკანტურებენ.

ისევ გემის თეთრ კვალს დავუწყე ცქერა.

— მირიან!

„წელან, ვთქვათ, მომეჩვენა, ახლა ხომ გარკვევით გავიგონე?“

ყუთებს შემოვუარე. კაცის ჭაჭანება არსადაა.

— მირიან! — მომესმა მესამედაც.

მთელი გემბანი შემოვიარე და მაიას ვერსად წავაწყდი. ხვეული კიბე ჩავირბინე.

მაია განცალკევებულა, კედელს მხრებით მიყრდნობია და ქსოვს. წინდისჩხირებს თვლებში ისე უყრის, ზედაც არ უყურებს.

— დილა მშვიდობისა, მაია!

— იცოცხლე!

— შენ მეძახდი?

— არა?! ვინ გითხრა?! — მაიამ ქსოვას თავი მიანება.

— არავინ. თვითონ გავიგონე.

— დედას გეფიცები, არ დამიძახნია... ფიქრადაც არ გამივლია.

— შენ ახლა ზევით არა ყოფილხარ?

— დილით პირი დავიბანე, მერე სულ აქა ვზივარ... ამ წუთში შინ ვიყავი.

— შინ იყავი? ვისთან?

— საკვირველია, ღმერთმანი?! ზოგჯერ ისეთი რაღაც მოგენატრება, სხვას სასაცილოდაც რომ არ ეყოფა. უცებ ჩვენი ფისუნიას ნახვა მომინდა. ერთხელ გამფხაჭნა და მერე განზე გადგა, თავი დამნაშავესავით დახარა და ქვეშქვეშ გამომხედა, თითქოს ბოდიშს მიხდისო. იმ დღიდან ისე შემიყვარდა... ეს ერთი კვირაა ჩემი ფისუნია და მარო ბებო მიდგანან თვალწინ. ძალიან ტკბილი ბებო მყავს, თუმცა ბებია ჯხვას ვის ყოლია ცუდი? ქალის ყველაზე დიდი ბედნიერება, ალბათ, ის არის, ბებია რომ გახდება...

უცებ საუბრის საფანელი ორივეს შემოგვაკლდა და უხერხულად გავჩუმდით.

— ვის უქსოვ მაგ ჭრელ წინდას?

— ვისაც მოერგება.

— მეფისწულივით გინდა მოიქცე? ქოში რომ იპოვა და მერე მის პატრონს დაუწყო ძებნა?

— ვნახოთ, თუ არავის მოერგო, მე ჩავიცვამ...

„ეს რა მემართება? ამ გოგოსთან უბრალო სიახლოვეც კი სასიამოვნოდ მაბრუებს“.

კვლავ უხერხული დუმილი ჩამოწვა, ახლა ორივე ვეძებთ იმ ძაფის წვერს, რომელიც ამ დუმილს დაარღვევს.

— როგორი ამინდია გარეთ?

— სუსხიანი ქარი უბერავს.

— ნაპირი არ ჩანს?

— ჯერჯერობით არა.

ისევ შეიკრა დუმილის გორგალი. ახლა მე ვიპოვე სათქმელი.

— მაგ წინდას რომ მოათავებ, გამასინჯე, იქნებ მომერგოს, კარგი?

— ვნახოთ!

ვალიკომ შეამჩნია, მაია მაღლა მიდისო, კიბესთან დაეწია. თავი ვერ შევიკავე, შორიახლოს გავყევი.

ვალიკომ ქალიშვილს მკლავზე ხელი მოკიდა, აქაოდა, კიბეზე ასვლისას შეგეშველებიო. მაიამ მისი ხელი ცივად მოიშორა.

— ახალფეხადგმული ბავშვი ვარ? არა მჭირდება ხელის მოკიდება!

— რა იყო, გენაცვალე, ხელზე ეკლები მაქვს?

— ვინ გთხოვა, გამომყევიო? მხლებელი დედოფალსა ჰყავდა. მე და შენ ერთნაირი ჯარისკაცები ვართ.

— მოიცა, მოიცა, რას თამაშობ?

— მინდა ვითამაშებ, მინდა ვიცეკვებ, რა შენი საქმეა?

— მე თუ მაწყენინეს, დაუნდობელი ვარ, იცოდე!

— ჯერ წუხანდელი ამბავი მოინელე და ხვალინდელზე მერე ვილაპარაკოთ!

— რა წუხანდელი ამბავი?

— ვითომ არ იცი... სანთლის ჩაქრობისთანვე რომ მომიჩოჩდი და ხელის ფათური დამიწყე, გგონია, ვერ გიცანი? სულ დაკარგე სინდის-ნამუსი. შენ სიყვარული ის ხომ არ გგონია?!

— მე მოგიჩოჩდი?

— სარკე თუ არა გაქვს, ვინმეს გამოართვი და ჩაიხედე! ჩემი სილაქანი ახლაც გამჩნევია ლოყაზე. იოლად გადამირჩი, ტყვია უნდა დამეხალა. თუ არ მომშორდები, არც ტყვიას დავიშურებ... იქნებ გგონია, ისე სუსტი ვარ, თავის დაცვას ვერ მოვახერხებ?

— მემუქრები კიდეც? ვნახოთ! ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, სხვა ადგილას! — ვალიკო მარცხნივ წავიდა და ერთიც გამოხედა მაიას. — არ დაგავიწყდეს, მე მზვერავ ვალიკოს მეძახიან!

იაშვილმა ჯუბა გაიძრო, მერე წელზევით გაშიშვლდა და ცივი წყლით ტანის ზელას შეუდგა. მე დამინახა, მაგრამ არაფერი უთქვამს. წარბიც არ შეუხრია.

*

მოგეხსენებათ, ფარაჯიან ხალხს უსაქმოდ არასოდეს აჩერებენ.

— თოფ-იარაღი გაწმინდეთ და ზურგჩანთები მოაწესრიგეთ, ნაშუადღევს ბატალიონის მეთაური გასინჯავს! — გაგვაფრთხილა მიტროფანე ჩხაიძემ.

— ბიძია, როგორაა ახლა იმ სიყვარულის ამბავი? — კვიმატურად ჰკითხა ემზარმა.

— ჯიბუტი, ხულიგან! საქმეს მიხედე, თვარა ჩაგსვამ ნაობახტში!

— შენ რომ ნაობახტი გაქვს ახლა, იმაში შენი დაჭერილი თევზები ჩასვი!

— ჯიბუტი, მოისვენე, თვარა, ახლა „ჩარირამას“ სხვანაირად გამღერებ.

— კი, ბატონო, ახლავე: — ემზარამ კისერი დაიგრძელა და სიმღერა გაჰქმა: — „ბებიაა! ეს მიტროფანე ზემდეგი, რას გადამკიდებია!..

— კაი, კაი, იმღერე, იმღერე! — დაუთმო მიტროფანემ.

აფუსფუსდა ხალხი. ერთი თოფსა წმენდს, მეორე ზურგჩანთასა ბერტყავს, მესამე პირს იპარსავს, მეოთხე ფეხსაცმელებს იწმენდს. მაია კვლავ წინდასა ქსოვს. შიო „ვეფხისტყაოსანს“ იზეპირებს. მანასეს სძინავს.

— ვაჰ, არ შემიკლა ამ ოხერმა! — სერგო მეწალიშვილი დუგლუგით დაყუდებული შამხანის ლულაში ზუმპას გამწარებით უხახუნებს.

— მორჩა, ეყოფა! ამას ხომ არ გადავყვები თან!

— მედოლე, თოფის წმენდა გირჩევნია, თუ დოლის დაკვრა? — ეკითხება ოცმეთაურის თანაშემწე ნიკურაძე.

— ვაჰ, ეგ კიდევ საკითხავია, ბონდოჯან? ბოდიში, ამხანაგო უფროსო სერჟანტო...

— აბა, ვნახოთ, მაგ თოფის ლულაში დღეა თუ ღამე?

— დღეა, უფროსო, თეთრი დღე, სარკესავით პრიალებს. ამით მტერს დღეს დავუღამებ და ღამეს არ გავუთენებ, მააშ.

მეთაურმა მებრძოლს თოფი გაუსინჯა.

— მიდი, ცოტაც გაწმინდე! ჯერ არ გათენებულა, ნუ გეზარება!

— არ შემიკლა ამ რკინამ! ვითომ ასე ვერ ისვრის ტყვიას?

— კარგი სროლა იცი?

— ვაჰ, დღეს რა შაკითხვებს მაძლევ, კაცო? მაშ, არ ვიცი?

— კი, კაცო, ხუთსართულიან სახლს ორ ნაბიჯზე ისე არტყამს, თვალსაც არ ახამხამებს. — ჩაურთო სიტყვა ჯიბუტმა.

სერგომ ოქროს კბილი გამოაჩინა და თოფი შეატრიალა:

— ერთი დამიდექი და ნახავ, რა სროლაც ვიცი...

ემზარი განზე გახტა, ალბათ, შეეშინდა, ლულა არ მომარტყასო.

— მტკვრის გაღმა რომ კოლო მოფრინავდეს, გამოღმიდან ვესვრი, ცალ თვალს მოვთხრი და ისე გავუშვებ ცოცხალს, მააშ! ეგეთი ბიჭი ვარ მე!

შიომ უბის წიგნაკში რაღაც ჩაიწერა.

— გაფრინდი, შაო მერცხალო, — წამოაღიღინა ამირანმა.

— გაფრინდი, შაო მერცხალო, გაჰყევ ალაზნის პირსაო, — აჰყვა ფირუზა ხატიაშვილი.

მერე ყველა ამღერდა:

ამბავი ჩამომიტანე ომში წასული ძმისაო.

ეს სიმღერა ბევრჯერ მომისმენია. აქ სხვანაირი მეჩვენა.

ზღვას მიაპობს გემი და მღერიან ჯარისკაცები. შინ არავინ იცის, ახლა ისინი სად არიან. რომელი მერცხალი ჩაიტანს ამბავს?

ზურგჩანთა გავხსენი, ქაღალდში გახვეული თეთრკოპლებიანი ცისფერი თავსაფარი ამოვიღე, გავშალე, ხელში შევატრიალე და დავკეცე.

— მირიანჯან, როცა „შაო მერცხალოსა“ მღერიან, მაგ თავსაფარს ზურგჩანთიდან რატომ იღებ ხოლმე?

— ისე, არაფერია... — თავსაფარი ისევ გავახვიე და შევინახე.

— თუ ძმა ხარ, ერთი ეგ გამაგებინე და შენს ქორწილში დოლის დაკვრა ჩემზე იყოს. — სერგომ თოფის დუგლუგზე აათამაშა ხელები. — სამახსოვროდ „ნაშამ“ გამოგატანა, თუ...

ვინ მოთვლის, ადამიანს შინ რამდენი რამე აქვს, თავის დღეში რომ ვერ გამოიყენებს. რაკი პატრონს არ აწუხებს, დევს თავისთვის. ჯარისკაცი გადასაგდებ ხარა-ხურას ყოველთვის აღმოაჩენს ხოლმე. რაც არ სჭირდება, რატომ უნდა ატაროს, თუნდაც ის რაღაცა სულ ფურფუტელაც იყოს?

მე ზედმეტად მხოლოდ ეს თავსაფარი მაქვს. მაგრამ ამას მაინც ვერ შეველევი, ზემდეგმა რიგგარეშე ყოველ დღე კარტოფილის საფცქვნელად რომ გამაგდოს.

სტუდენტი კაცი ზამთრის გამოცდების ჩასაბარებლად ვემზადებოდი, ჯარში გამოწვევის უწყება რომ მომივიდა. კომისართან მივედი: თუ შეიძლება სოფელში წავალ, იქ ერთადერთი დაია მყავს და დავემშვიდობები-მეთქი. ღვთისნიერი ადამიანი შემხვდა: მაგაზე გაწყენინებო!

სოფელში ჩასვლისთანავე ცა აირია. უშველებელი მოთოვა. ავტომანქანების მოძრაობა შეწყდა. იმედიც არ იყო, რომ გზა მალე გაიხსნებოდა. რაიონის სამხედრო კომისარმა ბრძანება გასცა: წვევამდელები ნაქერალას ქედზე ფეხით გადაიყვანეთო.

გზაზე რომ გავედით, თითქოს ჩვენს ჯიბრ-

ზეო, ქარბუქი ატყდა. ღვინით შეზარხოშებულ ბიჭებს ცა ქუდად მიაჩნდათ, დედამიწა ქალამნად. ერთს არ წასცდენია: უკან დავბრუნდეთო, თოვლიან ბილიკს თამამად შეუტიეს. ყველას მოაცილებდა ვინმე შინაური. მე ჩემი დაიკო მომყვებოდა, ასმათი. კაკარდიანი ქუდი მეხურა. ყურებს წამდაუწუმ ვისრესდი. დამშვიდობებისას ასმათმა უცებ თავსაფარი მოიხსნა და გამომიწოდა.

— შენი თავსაფარი მე რად მინდა, გოგო?

— ყურებზე მოიხვიე.

— ჯარში მიმავალმა კაცმა თავსაფარი მოვიხვიო?!

— სათოხარში არ გხურებია?

— სათოხარში სხვა იყო, ყველას ეხურა.

— რა დროს სირცხვილია, ბიჭო, ნუ გეშინია, ვაჟკაცობა არ წაგიხდება. აქ რომ ასეა, მთაზე რაღა იქნება! ნაქერალამ თურმე ისეთი სუსხი იცის, ეგერ, ბიცოლა ედუკიამ თქვა...

— ნაქერალამდე ცხრაჯერ გამოიდარებს.

— რომ არ გამოიდაროს?

— გამოიდარებს, გამოიდარებს!..

— თუ გამოიდარებს, მოიხსნი და ის იქნება... მერე, თუ გინდა, გადააგდე.

— ვერა, თავსაფრით ვერ ვივლი.

— ნუ ხარ უკუდო ამპარტავანი! თავსაფრად კი ნუ დაიხურავ, გაკეცე და ყურები აიხვიე... აი, ასე! — უარის თქმა აღარ მაცალა, ხელად ამიხვია თავყბა. ერთი შემომხედა, უცებ ცრემლი მოერია და თავი ჩაღუნა.

— რა გატირებს, გოგო?

— წადი ახლა! არ მოიხსნა, იცოდე! წერილი მალე გამომიგზავნე! — დაჰკრა ფეხი, ჩაკიდებულ ბილიკზე უკან მოუხედავად დაეშვა და, თითქოს ღრმა თოვლში გაკვალულმა საცალფეხო გზამ ჩაყლაპაო, უმალვე გაუჩინარდა.

ასმათი მართალი გამოდგა, მთა უფრო მკაცრად შემოგვეგება. თითქმის ყველამ აიხვია ყურები. ნიკორწმინდას რომ მივუახლოვდით, ქარბუქმა თოვლში დამარხვაც კი დაგვიპირა. იძულებული გავხდით, ღამე კოლმეურნეობის კანტორაში გაგვეთია.

შინიდან წამოღებული ეს თავსაფარიღა შემომრჩა. თვალისჩინივით ვუფრთხილდები, თითქოს ამ ნივთს ჩემი სიცოცხლე და ბედიღბალი აბარიაო.

თავსაფარს ხელს რომ მოვკიდებ, ასე მგონია, დაიას ვესიყვარულები-მეთქი. მეცოდება შინ მარტოდ დარჩენილი გოგონა.

თავსაფრის შენახვისას ხელში პერგამენტის ქაღალდის ღასტა მომხვდა.

ეს სამიოდე დღის წინ პოლიტხელის თანაშემწემ მომცა: ბიჭებს კომკავშირის ბილეთების გასახვევად დაურიგეო. ახლაღა მომაგონდა. ერთი ავიღე, შიგ ჩემი კომკავშირის ბილეთი გავახვიე.

— ეგ რა არის? — მკითხა შიომ.

— კომკავშირის ბილეთს პერგამენტის ქაღალდი შემოვაკარი, ზღვაში ვართ და... ვინ იცის... თუ თქვენც გაახვევთ, ქაღალდებს მე დაგირიგებთ. გინდათ?

— მე ორი მომეცი, უბის წიგნაკსაც გავახვევ.

უცებ რიგი გაიმართა.

— რა ხდება აქ, რა ამბავია ბიჭებო? — მოგვადგა ზემდეგი.

— კომკავშირის ბილეთებს ვახვევთ პერგამენტის ქაღალდში, — მიუგეს ძმებმა.

— ჰო, კაი, გაახვიეთ, გაახვიეთ. — მიტროფანე ჩხაიძემ მწკრივს გახედ-გამოხედა. — ჯიბუტი! სადა ხარ, ჯიბუტი!

— აგერა ვარ, თოფსა ვწმენდ.

— შენ კომკავშირელი არა ხარ?

ემზარმა თავი დაუქნია გაკვირვებით.

— ჰოდა, დადექი აგერ რიგში, ოღონდ ჰკვიანად, არ შემარცხვინო.

— მირიანჯან, მე კომკავშირელი არა ვარ! — ოქროს კბილი გამოაჩინა და განზე გადგა მედოლე. — არ მიმიღეს, ავლაბრელი ხარო.

კიბეზე შალვა ცამციძე ჩამოვიდა, ნახა, ხალხი რიგში დგას, თვითონაც აიტუზა, მერე მიმოიხედა და იკითხა:

— რას არიგებენ, რას არიგებენ?

— კარტოფილს არიგებენ შალვაჯან. — მიუგო სერგომ.

— მოხარშულს თუ უმს?

— ორივეს, შალვაჯან, ორივეს. მოდი აქ! შენ კომკავშირელი ხარ?

— ახლა ვინ არ არის კომკავშირელი, ვინ არ არის?

— ჰოდა, დადექი „ოჩერედში“.

ვხედავ, ჩემკენ ზურგჩანთამოუშორებელი ჯარისკაციც მოდის.

— ვა, ძია ნიკო, შენცა? რა დროს შენი ეგეებია? — სერგომ ზურგჩანთაზე ჩაავლო ხელი და უკან გადააბარბაცა.

კუდაშვილმა თოფის დუგლუგი მოუღერა, მედოლემ თავისი შაშხანა ორივე ხელით ასწია და ფარად დაუხვედრა.

— რა გინდა, კაცო, რა! — სერგოს გაუწყრა ნიკო და ჩემკენ შემობრუნდა.

— ძია ნიკო, შენცა გაქვს კომკავშირის ბილეთი? — ღიმილით შევხვდი კუდაშვილს.

— მაქვს, მაშა.

— აბა, მაჩვენე! მაჩვენე-მეთქი! ისე ქაღალდს ვერ მოგცემ, გამოზომილად მაქვს.

— მაქვს, კაცო, რო გეუბნები მაქვს. — ნიკომ უბეში ხელი ჩაიყო და ოჯახის სურათი ამოიღო. — აი ჩემი კომკავშირის ბილეთი. — უცებ რაღაც მოაგონდა, ისევ ჩაიყო უბეში ხელი, სამკუთხა ბარათი ამოიღო და გაშალა. — ა, ესეცა!

ფურცელზე ვიღაცას თითებგაფარჩხული ხელი დაუხატავს.

— ეს რა არის, ძია ნიკო? — გულზე ნათელმა სევდამ გადამირბინა.

— ჩემი ნაბოლარა ბიჭის თათია, წერილზე მიუხატია — ხელს გართმევო. ნახეთ, ბიჭებო, რა მივიღე წერილითა!

წერილზე მიხატულ ბავშვის ხელს ყველამ სევდანარევი ღიმილით დახედა.

— ენაცვალოს მამა! მალე წლისა და ათი თვისა გახდება. აი ამას გავახვევ მაგ კარგ ქაღალდშია და...

ნიკომ სურათი და ბარათი ერთად გაახვია და პირჯვარი გადაიწერა.

ირგვლივ ნაღვლიანი დუმილი ჩამოწვა.

— ბიჭებო, ორი კატარღა დაგვეწია. — ამბავი მოიტანა ვალიკომ. — ერთი მარჯვნიდან ამოგვიდგა, მეორე — მარცხნიდან. ბადრაგასავით მოგვაცილებენ. კატარღებზე ქვემეხები ჩანს.

— აპა, აწი აღარაფერი გვიჭირს. — ხელებს იფშვნეტს ჯიბუტი. — ეს გემი რომ აქ დაიღუპოს, ყველანი უკვალოდ დავიკარგებით. ზღვა ისე ჩაგყლაპავს, ერთს არ დაასლოკინებ.

— შენ თურქეთში გაგრიყავს, ნუ გეშინია. — აიმედებს ნუგზარ დიასამიძე.

— დიდი შეღავათია, აგაშენა ღმერთმა.

ხალხს საქმე მალე შემოელია. მავანმა დაიძინა, მავანმა ფიქრებს მისცა თავი. კრინტს აღარავინ სძრავს. ალბათ, დუმილის დარღვევას ყველა ერიდება. ეს დუმილი ერთობ ნაღვლიანია, რაღაცნაირად შიშისმგვრელიც.

მაია კვლავ კედელთან დგას, იქ, სადაც სანთელს ანთებენ, და გამალებით ქსოვს. ამ საერთო დუმილში მისი დუმილი თითქოს გამოირჩევაო. ყველა ზის ან წევს, მაია კი დგას. თეთრი ქურქი მოუხურავს და დგას. სადღაც შორს იყურება, ამ კედლებს მიღმა.

„ნიკორწმინდელი ხარ?.. კანდელაკები ნიკორწმინდაში ცხოვრობენ...“

ცაში ნიკორწმინდის ტაძარი აისვეტა და შორიდან თეთრი შუქი მესროლა.

ნიკორწმინდაში ღამეგათეულმა წვევამდელებმა დილაუთენია გავიღვიძეთ. კანტორიდან რომ გამოვედით, მშვენიერი დარი იდგა. უპირველეს ყოვლისა ტაძარი მომხვდა თვალში. თოვლს მისი სპეტაკი ფერი ვერ გაეხუნებია. ცაში თავაწეული მშვიდად იდგა. უმშვენიერესი ჩუქურთმებით მოხატულს თავისებური შუქი და სინათლე ჰქონდა, თოვლისაგან განსხვავებული მისი სითეთრე თითქოს ანათებდა და ათბობდა კიდეც ადამიანს.

მე არც მამაზეციერი მწამს, არც — უფლის ხატი. ეკლესიაში მხოლოდ ცნობისმოყვარეობით შევსულვარ ხოლმე და გალობა მომისმენია.

ნიკორწმინდის დანახვამ იმ წუთში უცნაური სურვილი დამიბადა: ახლოს მივალ-მეთქი. მეგონა უბრალოდ კი არ შემომანათა, უხმოდ დამიძახა-მეთქი.

უმანკო თოვლში გავტოპე და ტაძარს შემოვუარე. მერე კართან გავხევდი, უშველებელ ბოქლომდადებულ კართან, ერთხანს ჩუქურთმის მზეებს თვალგაშტერებით ვუყურე და გამოვბრუნდი. გული გამინათდა და საოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი. ახლაც არ ვიცი, რატომ მომეჩვენა: რაკი ახლოს მივედი, ტაძარმა თავისი სიკეთის მადლი, სიმშვიდე, სიწმინდე და ჩუქურთმებადქცეული მზეები მეც გამომატანა და შორს მიმავალს უხმო ლოცვით გზა დამილოცა-მეთქი.

მაშინ დავრწმუნდი, რომ ეს დიდებული ტაძარი, ცადაზიდული ნიკორწმინდა, იმდენად ღმერთს კი არა, უფრო მეტად ადამიანებს აუშენეს ადამიანებმა, აუშენეს რაღაცის იმედად და მანუგეშებლად, ღმერთის კი არა, ადამიანის სარწმუნებლად.

იმ დღიდან თითქოს მისი შუქი ყველგან მომყვება. ისიც მგონია ხოლმე, რომ ნიკორწმინდის ნათელი დაჰკრავს ჩემი დაიკოს ამ უბრალო თავსაფარსაც. ამიტომ ვინახავ ასე სასოებით.

„ნიკორწმინდელი ხარ?“

„არა, მცხეთელი!“

მცხეთაში ჯვრის მონასტერი და სვეტიცხოველი ერთმანეთს გაჰყურებენ. სვეტიცხოველი ნიკორწმინდის ტაძარზე დიდია, უფრო ძველიც.

„ნეტავ მაია რას ფიქრობს ახლა?“

როგორ მინდა მივიდე და გამოვესაუბრო, მაგრამ...

— ამირან, შენ, მგონი, სარკე გაქვს.

— ნატეხია პატარა.

— მათხოვე, წვერს გავიპარსავ.

ამირანმა ჯიბეები მოიჩხრიკა:

— ჰო, ვალიკომ გამომართვა. შენ წვერის პარსვა ასე ხშირად რომ არ გიყვარდა, ბიჭო?“

— ფეოდოსიაში შეყვარებული მელოდება.

— ჰოდა, ვალიკოს, ალბათ, აღარ სჭირდება და გამოართვი.

არქიფოს გამოვართვი. ჩემ თავს სარკეში პირველად ვუყურებ მუშტრის თვალით.

„ერთი შავტუხა ვიღაცა ხარ, სქელულვაშა, წარბებგაბარდღნილი და ცხვირკეხიანი. დაეტიე შენს ტყავში, ვის ეპრანჭები? იმას შენთვის არა სცალია, სხვა ჰყავს?“.

ვცდილობ ფაქიზად გავიპარსო. ამაოა მონდომება. რატომღაც ხელი მიკანკალებს, დავიჩეხე ყბები. არქიფოს ჯუბას ცოტა ბამბა გამოვაცალე და ჭრილობებზე დავიდე. ხალათს თეთრი საყელური გამოვაკერე და ფარაჯას ღილები დავუმაგრე.

ჯიბეში ახალი ცხვირსახოცი ჩავიდე. ფეხსაცმელებიც გავიპრიალე.

„თითქოს პაემანზე მართლაც მელოდებიან...“

ერთხელაც ჩავიხედე სარკეში და ბამბა მოვიცილე. მზადა ვარ. ახლა მაიასთან მისვლის სა-

ბაბს ვეძებ. ვიპოვე — ფარაჯას კალთა შემოსძენძია.

— ამხანაგო სანინსტრუქტორო, მაკრატელს ვერ მათხოვებთ?

ეტყობა, მაიას ფიქრი დავუფრთხე.

— რაო? აჰ, მაკრატელი? რომელი, დიდი თუ პატარა?

— ფარაჯის კალთას ძაფები დასთრევს და...

ჩანთიდან დიდი მაკრატელი ამოიღო და მომაწოდა.

— სხვა ხომ არაფერი გინდა?

— არა, გმადლობ!

სამი ნაბიჯი გადმოვდგი მხოლოდ. მაიას ოდნავ გაბზარული ხმა დამეწია.

— მირიან, მოიცა!

სწრაფად მივტრიალდი.

— რა გინდა, მაია?

— **იცი რა...**

„დაფასთან გაძახებულ მოწაფესავით რამ დააბნია?!“

— არაფერი, არაფერი, ბოდიში, რომ შეგაჩერე. წადი! ,

ფეხი მივასვი.

— ნუ გერიდება, მაია, მითხარი!

— ის ლამაზი თავსაფარი ვისია? — თეთრ სახეზე სიწითლე მოედალა.

— ასე უცებ როგორ შეამჩნიე?

„თურმე მაიაც მადევნებს თვალყურს“.

— დედამ გამოგატანა ავგაროზად?

— ავგაროზად მხოლოდ დედის მანდილი არ მიაქვთ.

— აბა, იმისია?

— ვინ იმისი?

— იმისი... ვითომ არავინ გყავს?

— ჰო, იმისი? არა.

— ჯარში წამოსვლისას დაიამ გამომაცილა. პატარა დაიკო მყავს, ასმათი. თოვლიანი მთა უნდა გადმოგველახა. ქარბუქი იწყებოდა და ასმათმა თავისი თავსაფრით ამიხვია ყურები. შინიდან წამოღებული ესლა შემრჩა. ჩემი დაიკო ახლა სულ მარტოა, ბედის ანაბარად...

უცებ ნუგზარ დიასამიძემ დაიქუხა:

— ე, ჰე, ჰეი! რას ჩამოგიყრიათ, ბიჭებო, ყურები! პანაშვიდზე ხართ? ვისაც შეყვარებულმა უღალატა, თვითონაც უღალატოს და სხვა გაიჩინოს. ჰეი, მედოლე! სად დამეკარგე, შე ძველო? სერგო, სერიოჟა!

მეწალიშვილი ცოცხლად წამოხტა:

—რას მიბრძანებს ყველაზე დიდი „ნაჩალნიკი?“

— აბა, საცეკვაო შენებურად! თუ ჯიგრიანად დაუკრავ, წითელი სამთუმნიანი აქ რა ჰირად გინდა, გამხმარი პურის ნაჭერს კი მოგაფშვენი შუბლზე. მოსულა?

— ვაი, ჩემი ბომბორა თავი მოგიკვდეთ! თქვენ ცეკვას ნუ დაიზარებთ და დოლის დაკვრას მე არ დაგამადლით! რაკი ზღვის პირი მოვიშორე, ახლა რა მიშავს!

— აბა, შენ იცი, დასცხე!

— ვა, დოლი მინდა!

ჯიბუტმა უმალვე კარდალა გააჩინა:

— გამოგადგება, ჯიგარო?

სერგომ კარდალას ისე მოკიდა ხელი, თითქოს რაღაც საშინელება აცხიაო:

— ეს რა არის, კაცო?! ამ გაზუზნულ „კატილოკზე“ დავუკრა? ამაზე შევირცხვინო ხელობა? მომაშორეთ! — კარდალა გადააგდო. — —„პაჟარნიკის“ დაფაზე რომ ვედრო ჰკიდია, ის მომიტანეთ, კარგი ფსკერი აქვს!

მოუტანეს. მუხლებშუა პირუკუღმა მოიქცია და მსხვილი თითები დაუშინა. სახე გაებადრა და ოქროს კბილი აელვარა:

— ავეტიკას ქორწილია, მოდით!

წამოიშალა ხალხი და დოლიც უფრო გახურდა, დოლს ტაში აჰყვა.

საცეკვაო წრე კიბესთან შეიკრა.

მოცეკვავე არავინ გამოჩნდა და სერგომ დაკვრა შეწყვიტა.

— ვაჰ, თქვე მამაყელქონიანებო, ეს მკლავები ხოჯევანქელი გეურქასაგან ნანათხოვრები როდი მაქვს! იცეკვოს ვინმემ!

კვლავ ახმაურდა დოლადქცეული ვედრო და ტაშიც ისევ აჰყვა.

ყველა ერთმანეთს აქეზებს იცეკვეო.

ემზარმა ძუგაევს ხელი ჰკრა და წრეში შეაგდო: ოსური ასა დაუარეო.

სეკა უხერხულად შეიშმუშნა.

— ცეკვა არ იცის და რა გიქნა, სენი წირიმე! — ხალხში შერგო თავი.

ჯიბუტი ახლა კუდაშვილს მიადგა:

— აბა, ჰე, ძია ნიკო, გორულად!

— ეეჰ, რა მაცეკვებს! — უცებ გულისჯიბიდან ოჯახის სურათი ამოიღო. — შეხედე, ბიჭო! ჩემი შვილები, ჩემი ცუგრუმელები... იქნებ ახლა შიათ კიდეც, მე კი... —ზურგჩანთაზე მიირტყა ხელი. — ეეჰ! მომასვენე, შენი ჭირიმე!

კვლავ ყველა ერთმანეთს აქეზებს, არის ხელისკვრა და ერთი ამბავი.

— ატლარ ჩოპა, თემურ ფაშა, ვააა, ჰა, ჰა! ჰე, გადახტით ვინმე! — გაჰკივის ემზარი.

წვევამდელები რიონის სადგურზე კარგა ხანს გაგვაჩერეს. ციოდა. ერთმა მხიარულმა, ღვინით შეხურებულმა ჯგუფმა „ატლარ ჩოპა, თემურ ფაშა“ დასძახა და ბაქანზე ცეკვა გახურდა. ჯიბუტი მაშინ ისეთ გუნებაზე იყო, ქვეყნიერება თავისი ეგონა, წრეში შევარდენივით დაფრინავდა და ლოყები თურაშაული ვაშლივით უღაჟღაჟებდა.

ახლა ფერი დაჰკარგვია, ლოყები ყბებში ჩასცვენია და სიფრიფანა ცხვირი საოცრად დაჰგრძელებია. მისი ფარაჯა თითქოს საფრთხობელად ჯოხზე დაუკიდებიათო.

—ემზარ, ცეკვა ისეთი უნდა, შენ რომ იცი... გახსოვს რიონის სადგური? აბა, ერთი შენე-

ბურად შეინავარდე! — მკლავში ჩავავლე ხელი და ოდნავ ვუბიძგე.

— მეე?! — ჯერ ფარაჯაზე დაიხედა, მერე ბათინკებზე. — ამით ვიცეკვო, კაცო?

—საქმე ის არის, ამით იცეკვო, თორემ უძიროებს რომ შემოიწკვერტავ და საქორწილოდ გამოიპრანჭები, მაშინ ცეკვას რა დიდი ამბავი უნდა? მიდი, მიდი! აბა, ჰე და ჰო!

— ეჰ, თუ სიკვდილია, ცეკვით მოვკვდეთ! — ემზარმა ხელი ჩაიქნია და წრეში შეინავარდა: — ცეცხლი ზოგჯერ ზღვასაც აშრობს, ცეცხლი ცეკვავს ზღვაშიაო. ვინც ახლა არ ითამაშოს, ამოვარდეს გვარშიაო.

მართლაც ცეცხლივით დატრიალდა, მაგრამ მალე დაიღალა და წრიდან გავიდა.

— რას შვები, ემზარ, გვღალატობ? გაგეწვია ვინმე!

— რა მწვადებნაჭამი მე ვარ, აღარ მყოფნის, ძმაო, სულთქვა... ააფრინე ალალიო...

— აბა, ფირუზ, შენი ჯერია. — უთხრა ამირანმა მორგვივით კისერჩამრგვალებულ ხატიაშვილს.

— ცეკვა რა ჩემი საქმეა, ვისაც უნდა დამეჭიდოს! — მსხვილი მკლავი ასწია კახელმა ფალავანმა.

— ჭიდაობა მერე მოგიწევს, გერმანელებთან.

— ერთი იმათი პატრონის ქვეყანაცა და მერე შენიცა!..

ფირუზა ცხრასართულიანს რომ დაახვავებს, ბედნიერების ღიმილი გადაეფინება ხოლმე. ახლაც გაიბადრა.

— ნუ იგინები, ბიჭო, გოგოს მაინც მოერიდე! — ხელი წაჰკრა შიომ.

— ე რაღა გოგოა, ჩვენი ძმაა...

შემეშინდა, ფირუზამ ამ თვინიერ სიტყვას გინებაც არ მოაყოლოს-მეთქი. მაიას გახედა და თავი შეიკავა.

— ვაჰ, უფასო მედოლე რომ იშოვეთ, იმიტომ აღარავინ ცეკვავთ? -— სერგოს გაბრაზება დაეტყო.

— თუ ეგრე ადვილია, შენ იცეკვე. — წავაქეზე მედოლე.

—.ჩემი ლამაზი და ჭკვიანი თავი გენაცვალოს! მაშინ აი ეს შენ დაუკარი! — ვედრო ხელში შემომაჩეჩა, — ბატონი ხარ, შენ დაუკარი, მე ვიცეკვებ!

— შენსავით რომ არ მემარჯვება?

— ვისაც ცეკვა უნდა, ფეხს კამეჩის ცოხნაზედაც ააყოლებსო. დაუკარი, დაუკარი! ცეკვის ეშხზე ძლივს მოვსულვარ, თუ ძმა ხარ, არ გამანელო! სიფათი და მარიფათი არ წამიხდინო!

ახლა „დოლი“ მე ავაბრახუნე.

— ტაში, ტუში! აი ეგეთი ბიჭი ვარ მე, მააშ! — სერგომ ცერი აყინჩა. —აბა, ბიჭებო, არ შემარცხვინოთ! — მკლავები ფართოდ გაშალა, წრეში ტანის რხევით შევიდა, ორიოდეჯერ შემოუარა, შუაში გაჩერდა, დოინჯი შემოიყარა, კისერი დაიგრძელა, თავი გააქნ-გამოაქნია, ჩაბუქნა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და თვალი ღიმილით შემოატარა. გემის რწევით შეწუხებულ კაცს ოდნავადაც აღარა ჰგავს, ცეკვისას ერთბაშად გამოიცვალა ადამიანი. თავი საველეს დაუკრა, არ გაჰყვა საველე. მერე შიოს დაუკრა თავი, არც ის გაჰყვა. სერგომ უცებ ცეკვას თავი დაანება. — ვაჰ, თუ ცეკვა არ გინდოდათ, ვინ გაძალებდათ? მარტო მე ვიცუნდრუკო? ეს ფეხები ქირით კი არ მიშოვნია?

— დაუკარი! — დაიძახა მაიამ.

ყველა გაინაბა.

— ვაჰ, მართლა იცეკვებ, მტრედო?

— თქვენ დაუკარით.

ამირანმა „ცანგალა და გოგონა“ წამოიწყო და საცეკვაო სიმღერამ იჭექა.

ყელმაღალმა მაიამ თავი მოხდენილად დაიჭირა. ჩექმებიანი გოგო ისე წანარნარდა, თითქოს ფეხს ძირს არ აკარებსო. მერე საცეკვაოდ შალიკო გაიწვია. შალიკო ამას, ეტყობა, არ მოელოდა, დაფრთხა და უკან გადაბარბაცდა. ჯარისკაცებმა დააძალეს, მიდიო, შალვას უფრო შეეშინდა და გაქცევაც კი დააპირა. დაიჭირეს და წრეში შემოაგდეს. გახევდა.

— ჰა, იცეკვე! — მიაძახა მედოლემ.

— თუკი არ ვიცი, თუკი არ ვიცი?! — თვალები აცა-ბაცა გაექცა ცამციძეს.

— რას მიქვია არ ვიციო, შე მუდრეგო? ცეკვას რა უნდა? ერთი გადახტი, მკლავები გაშალე, პირზე ღიმილი ვარდივით გადაიფინე, „იტოგში“, თუ გინდა, ძალით გამხიარულდი, ორიოდეჯერ წრეს შემოუცუნცულე და ფეხი გაუსვ-გამოუსვი. მოვრჩით ბაზარს?

— არ ვიცი მე ცეკვა, არ ვიცი — შალიკო ხალხში დაიმალა.

მაია ახლა ჩემ პირდაპირ გაჩერდა და თავი მოწიწებით დამიკრა.

გულში თითქოს შანთი გამიყარესო. ეს შანთი ყინულივით ცივიც არის და ცეცხლივით მწველიც. ტკბილიცაა, მწარეც.

შევდრკი და უნებურად უკან დავიხიე. მეც შალიკოსავით ხომ არ ვიტყვი, ცეკვა არ ვიცი-მეთქი? არადა, მართლაც არ ვიცი... არასოდეს არ მიცეკვია.

მაია კი კვლავ გარინდებული დგას. თითქოს თავის აწევისა ეშინიაო.

— ვაჰ, ეს რა ხალხში ჩავვარდი, კაცო?! — სერგომ „დოლი“ გააჩერა. — ტაში დაგიკრან, გოგომ საცეკვაოდ გაგიწვიოს და გააწბილო?

როგორც იქნა, გული ბუდეში ჩავიგდე და მკლავები ქორის ფრთებივით გავშალე.

უფრო გახურდა ტაში, „დოლმა“ ბრახუნს მოუმატა. ამირანმა ფანდური შემოაშველა.

მაია მტრედივით მიგოგმანებს. მე, ალბათ მგელივით კისერგაშეშებული მივდევ. ვიღაცამ დაიძახა, შეჯიბრი იყოსო. აშენა ღმერთმა!

— უქმაროა, ქმარი უნდა, ერთი ჰყავს და

სხვაი უნდა! — იკივლა დიასამიძემ და თვალის დახამხამებაში ჩემსა და მაიას შუა ამოყო თავი.

მე თამაშგარე დავრჩი.

ახლა ნამდვილად გახურდა ცეკვა-თამაში. ყველას მოუნდა მკლავების გაშლა და განავარდება. დიასამიძეს ბონდო ნიკურაძე ჩაენაცვლა. ძმებს ფეხები თავისთავად აუთამაშდათ. პირველად ავგაროზიანი ბიჭი შეიჭრა წრეში, მერე ფანდურიანმა წაართვა ქალი. ძმამ „მეტოქეს“ თავზე ალერსიანად წაარტყა ხელი, წრიდან გასულმა უბის წიგნაკი ამოიღო და რაღაც ჩაიწერა. ამირანი მღერის, ცეკვავს და ფანდურსაც უკრავს. სავლეც კი მოემზადა საცეკვაოდ. დაასწრეს. ჯეირანივით ყელმოღერებული გოგო რომ დაინახა, არქიფო სვანიძეც აცუნდრუკდა. არ მოუხდა ცეკვა, დასაკლავად გაყვანილ თხასავითა ცმუკავს. ისევ მეჩავები შეჯიბრში, ვალიკომ ველარ მოითმინა, ხელისკვრით გამაგდო განზე და თვითონ გაედევნა მაიას, მერე დარდიმანდულად შემობრუნდა და მოგოგმანე გოგოს გზა გადაუჭრა. მაიამაც არ დააყოვნა, შეტრიალდა და გაფრინდა. ვალიკო კვლავ გადაეღობა გზაზე. მაია ვაჟის გაშლილი მკლავების ქვეშ მარჯვედ გაძვრა და იაშვილი კენტად მიატოვა...

რაღაცამ საშინელი შხუილითა და გუგუნით გადაგვიარა თავზე. გახურებული ტაშ-ფანდური, დოლი და ყიჟინა ერთბაშად შეწყდა. ყველა გაირინდა.

გუგუნი გამეორდა. ეს თვითმფრინავის ხმაა.

ზოგმა გაოცებით მიაყურა, ზოგმაც მაღლა გაქცევა დააპირა.

კიბეზე კაპიტანი გამოჩნდა:

— არ შეგეშინდეთ, ბიჭებო, ჩვენი თვითმფრინავია, ციდან გვიცავს.

მაიას თითქოს რაღაც მოაგონდაო, კიბეს მიაშურა. მეც გავყევი.

მოაჯირთან მიდგა და თვითმფრინავს ხელის ქნევა დაუწყო. პირისახე უჩვეულოდ გაუბრწყინდა, საოცარი ალტაცება დაეტყო.

— ე, ჰე, ჰეი! ე, ჰე, ჰეიიი!

— ისე უქნევ ხელს, თითქოს იცოდე, შიგ ვინა ზის?!

მაიამ არც შემომხედა.

—ვინც არ უნდა იყოს, ჩვენიანია. გვდარაჯობს. აქ რომ გემს ყუმბარა დაარტყან, ყველანი დავიღუპებით.

— შენ უეჭველად გადაგარჩენ, მე იხვივითა ვცურავ.

-- სამაგიეროდ მე სულ არ ვიცი ცურვა. ხელი თუ ჩაგავლე, შენც დაგახრჩობ!

— ვერ დამახრჩობ. ღვთის მადლით, თმა გაქვს. შენს ხელს როგორმე მოვიშორებ და თმით გათრევ.

— ოჰო, კიდევ კარგი, არ შევიჭერი, თურმე გამოსადეგი ყოფილა... — ახლაღა შემობრუნდა მაია და გამიცინა. — მერე, რიყეზე მხოლოდ ჩემი თმა რომ გაგყვეს?

— ნუ გეშინია, წყალში ყველაფერი მსუბუქია.

— ახლა სასტიკად ცივია ზღვა, უცებ დაგკრუნჩხავს, შენს თავსაც ვერ უშველი.

— გემი თავისით ხომ არ დაიღუპება? ყუმბარა ან ძელს ჩამოამტვრევს ან ფიცარს. მოვახტები როგორც ცხენს და ჰერი!

— ბავშვური ოცნებაც გყვარებია.

— თუ ცოტათი მეოცნებე არა ხარ, ყველაფერი შავად მოგეჩვენება.

— კარგია იმედი. — მაიამ ისე შემომხედა, თითქოს პირველად ახლა დამინახაო, მერე, ეტყობა, რაღაც მოაგონდა, სევდიანად გამიღიმა. — წუხელ სიზმარში უსაშველოდ მწყუროდა. ვითომ უდაბნოში მივდიოდი. სად იყო და სად არა, ერთი კარგი ბიჭი შემომეგება და ბროლის ჭიქით კამკამა წყალი დამალევინა.

— ის ბიჭი იქნებოდა, შინ რომ გელოდება.

— შინ მე არავინ მელოდება! — მაიამ ისევ ცას ახედა. — ვინც შენ იგულისხმე, ისიც ჯარშია, მფრინავის კურსები აქვს გავლილი, პარაშუტისტიც არის.

— ახლა გასაგებია. იქნებ სწორედ ის მფრინავი გვდარაჯობს ჩვენ? ჩვენ კი არა, შენ დაგტრიალებს თავზე, არავინ შემიწუხოსო.

— შეიძლება, ყველაფერი შეიძლება! — მაიამ ჩვენს ზემოთ გადაქროლებულ თვითმფრინავს გააყოლა თვალი.

— ფხიზლად გვდარაჯობს. ახლა იმან შენს გვერდით რომ დამინახოს, ყუმბარას პირდაპირ ჩემს კეფას დაუმიზნებს.

— ეჰ! — მაიას, ეტყობა, ფიქრი შორს გაექცა.

ალბათ, იმ თვითმფრინავს გაჰყვა, ღრუბლებში რომ გაუჩინარდა.

იარაღი შეგვიმოწმეს და ზურგჩანთები გაგვიჩხრიკეს. მე ჩემი დაიას თავსაფარი უბეში შევინახე. ასე მირჩევნია.

ზემდეგმა ხელშეუხებელ მარაგად ხორცის კონსერვები და ორცხობილა დაგვირიგა. ქართული თამბაქოც მოგვცა.

— ეტყობა, ფეოდოსიას ვუახლოვდებით. — ვარაუდობს ბონდო ნიკურაძე.

ჯარისკაცები დამდურებულებსა ჰგვანან, კრინტს არავინა სძრავს. ზოგი ჩაფიქრებულია, ზოგიც ყველაფერს გულგრილად უყურებს. მხოლოდ არქიფო დაწრიალებს იქით-აქეთ, ხან ვის გაჰკრა ფეხი, ხან ვის გადააწყდა.

— ბიჭო, გაწუხებს რამე?

— არაფერი.

ერთხელაც გამიარ-გამომიარა წინ, მერე ზურგჩანთას ხელი გულმოსულად დაავლო, სიბნელეში მიიკუნჭა და ორცხობილას გრახა-გრუხი აუტეხა.

— რას შვები, შე ღმერთგამწყრალო, ხელშეუხებელ ულუფას ახლავე ანადგურებ?

— ამათი პატრონის დედაც ავატირე, ყველასი. დღეს მშიოდეს და ხვალისთვის შევინახო? რა ვიცი, ხვალ რა მოხდება? იქნება იქამდე ვერც გავაწიო...

ამ გრახა-გრუხმა სხვებსაც გაუღვიძა მადა. გემის მუცელი ორცხობილას ხრამუნით აივსო. მხოლოდ ნიკო კუდაშვილი ვერ შეაცდინა ვერაფერმა. შემონახულ ძველ ხორაგს ახალი დაუმატა და უშველებელი ჩანთა ზურგზე მოიგდო ისევ.

—ძია ნიკო, არ მოიხსნა, თორემ მოგპარავთ, — აფრთხილებენ ბიჭები.

— მირიან! მირიან!

მაიას ხმაა. ისევ მომეჩვენა-მეთქი, არ მივიხედე.

— მირიან, რამ ჩაგაფიქრა? აქ არა ხარ?

— რა მოხდა?

— გამომართვი.

— რა არის ეს?

— ჯარისკაცებს ყოველგვარი ულუფა თანაბრად ეძლევათ. მეც ჯარისკაცი ვარ.

დავაკვირდი. მაია ხელში თურმე თუთუნს მაჩეჩებს.

— შენ გგონია, მე კი ვეწევი?

— არა?! ეს კი არ შემიმჩნევია?!

— ადრე ვეწეოდი, ბავშვობისას. ახლა სათოფეზე არ ვეკარები.

— გწყენს?

— არა, არ მწყენს... ისე, დედის ხათრით...

— დედის ხათრით?

— ჰო, გრძელი ამბავია. ერთხანობას ვლადიკავკავში ვცხოვრობდით. მამაჩემი იქ მეპურედ მუშაობდა. თითქმის ყველა ქალაქელი ბიჭი ქაჩავდა პაპიროსს. მეც მიმაჩვიეს. ხშირად ქუჩაშიც კი ვკრეფდით ნამწვავებს. ერთხელ მოსაწევად ეზოში დადგმულ საპირფარეშოში შევიმალე და არხეინად გავაბოლე. დედაჩემს ჰგონებია, საპირფარეშოს ცეცხლი მოეკიდაო, უცებ კარი შემოაღო და პირში პაპიროსგაჩრილი დამინახა. მანამდე დედა უბრალო რამეზედაც კი მცემდა ხოლმე, მაშინ ხელი არ მახლო: ეს უკვე ჩემი საქმე არ არის, პასუხი მამაშენთან აგეო. მამას ჩემთვის ხელი ერთხელაც არ დაუკარებია, კედელზე ბალთებიანი ქამარი ეკიდა და ნათქვამი ჰქონდა, თუ რამეს დააშავებ, ამ ქამრით გცემო. გავიდა ერთი დღე, მამას ქამარი არ ჩამოუხსნია კედლიდან. მეორე და მესამე დღემაც ასევე უწყინრად ჩაიარა. მამის შინ მოსვლას ყოველ საღამოს გულის კანკალით ველოდი და ქამარს ისე შევყურებდი, როგორც დროებით გაჩუმებულ მრისხანებას. „რა ვქნათ, შვილო, ვუთხრა მამაშენს, თუ ამიერიდან იმ საწამლავს პირში აღარ ჩაიდებო?“ — მწუხარედ მკითხა დედამ. არა-მეთქი, ფიცივით მივუგე თავჩაქინდრულმა. დედას ჩემი კაიკაცობის ამბავი რომ გაემხილა და მამას ვეცემე, იქნებ ჯობრზე კიდევ მომეწია, პატიებამ კი ისე იმოქმედა, იმ დღიდან პაპიროსი პირში ხუმრობითაც აღარ ჩამიდევს... ქამრის შიშით კი არა, დედის ხათრით... მკაცრი, მაგრამ სამართლიანი დედა მყავდა...

— დიდი ხანია აღარა გყავს?

— ოთხი წელიწადია. აღარც დედა მყავს, აღარც — მამა. შენ დედა რომ გყავს, ვიცი...

— მამაც მყავს. მასწავლებლად მუშაობდა. ახლახან გავიგე, ჯარში ისიც გამოუწვევიათ.

დუმილი.

— რა ვუყოთ ახლა ჩვენ ამ თამბაქოს?

— შენს ულუფას ვის აძლევ ხოლმე?

— სავლე რეხვიაშვილს. მოსაწევი თუ აქვს, არც ჭამა უნდა, არც სმა.

— ჰოდა, ეგეც სავლეს მიეცი.

შევამჩნიე: ვალიკო დაბღვერილი მოგვჩერებია. განგებ შევაქციე ზურგი. რა ჩემი ბრალია, თუ ის ახლა წყალში დგას და ცეცხლი უკიდია?

მაიამ ვალიკოს გახედა და ისევ მე შემომიბრუნდა. ვატყობ, რაღაცის თქმა უნდა და ვერ ბედავს.

— მაია, რა გაწუხებს?

— ეჰ, რა ვიცი... ათასი ეშმაკი და ჯანდაბაა ირგვლივ... ძნელია!

— რა არის ძნელი?

— რა ღონიერი სულიც არ უნდა ჰქონდეს, ერთი ადამიანი უძლურია ყველგან. ყველას ვერ ენდობი, ხომ მართალია?

— ვიცი, ვალიკომ გაწყენინა.

— მინდოდა კაპიტნისათვის მეთქვა, თავი შევიკავე. რომ გახმაურდეს ათასი ჭორის კუდს გამოაბამენ... შენ, დარწმუნებული ვარ, არსად წამოგცდება... მინდა, შენ მაინც გამიგო... მაჩუქე ის შენი დის თავსაფარი, კარგი?

ეს ისე მოულოდნელად მითხრა, გავშტერდი.

— რატომ?!

— ყველას უნდა თითო მფარველი... ერთი მფარველი, ვისაც ენდობა. მე მინდა შენს ვაჟკაცობას ვენდო... ისეთი არაფერი იფიქრო, მე ახლა ერთი ადამიანი მინდა ფარად, სხვა აბეზარი ხალხი რომ მოვიგერიო... იცოდე, აქ სხვა ამბავი არაფერ შუაშია... შენც იცი, მე... — მაღლა აიხედა, აქაოდა, ჩემი სიყვარული იქ დაფრინავსო. — რამ ჩაგაფიქრა?

— რა ვიცი... ჩვენ ომში მივდივართ, მაია, ყოველთვის ერთად ვერ ვიქნებით...

— ვიდრე ვიქნებით?

— მე შემიძლია შენი გულისთვის კაცი მოვკლა, მაია... უბრალოდ შენი გულისათვის კი არა, ვინც შეურაცხყოფას მოგაყენებს... თორემ თუ ადამიანი კეთილი ანგელოზივით თავზე გევლება, რას ვერჩი!

— ჰოდა, მომეცი ის თავსაფარი!.. რატომ ორჭოფობ?

— არა, არ ვორჭოფობ. — დის თავსაფარი უბიდან ამოვიღე და მაიას მოვახვიე თავზე.

ცას ღრუბელი მოეძალა. მზე როდის ჩავიდა, ვერ გავიგე. ბინდიც შეუმჩნევლად მოგვეპარა.

ზევით უნებართვოდ ასვლა სასტიკად აგვიკრძალეს. გემის მუცელი თუთუნის ბოლით გაიტენა. ვინც ეწევა, რა უშავს. მე სუნთქვა ძალიან გამიჭირდა და გემბანზე ავედი. უკუნი ღამეა. გემი თითქოს ხმაურით სავსე წყვდიადს მიარღვევს.

სადღაც შორს მკრთალი სინათლე გამოჩნდა. შუქურაა ვითომ? ომის დროს თეთრ შუქურას ვინ ანთებს? მთვარე ყოფილა. ღრუბლებიდან ამოტივტივდა და უმალვე ჩაყვინთა. ამბობენ: მთვარის დანახვა ზღვას აღელვებსო. ზღვას უმთვაროდაც არ აკლია აღელვების მიზეზი.

გვერდით ვიღაც ამომიდგა.

— ვინა ხარ?

— შიო ვარ, ხარაძე. რა ბნელი ღამეა, კაცო? არსად გადავიჩეხოთ.

— ნუ გეშინია.

— ძველ მეზღვაურებს თუ დავუჯერებთ, ხიფათი არ აგვცდება.

— რაზე ამბობ?

— უძველეს დროში თურმე გემი ზღვაში არ გადიოდა, თუ შიგ ქალი იჯდა. ეს ავის მომასწავებლად მიაჩნდათ.

— ძველებს ბევრი რამ სხვანაირად სწამდათ.

— რა თქმა უნდა... ჩვენში დარჩეს და, ეს ჩვენი მაია კარგი გოგოა, ხომ იცი?!

-- ახლა გაიგე?

— პირველად რომ ვნახე, მაშინაც მომივიდა თვალში, მაგრამ ვიფიქრე: აქ სხვა გოგოები არ არიან და მაია ლამაზი იმიტომ მეჩვენებამეთქი. თურმე სულაც არა. ეგ რუსთაველზე რომ გაატარო, სხვა გოგოებს იქაც დაჩაგრავს... მაგაზე მოთხრობა მინდა დავწერო.

— აჰ, მოთხრობისთვის მოგწონს?

— არა, კაცო, ისეც და ასეც... ასეთი კარგი გოგო ვის არ მოეწონება?

-- ჰოდა, ასეთ კარგ გოგოს უკვე ჰყავს საქმრო.

— რა იცი, ადრევე იცნობდი?

— თვითონვე თქვა, მფრინავიაო.

— მფრინავი გაფრინდება... ომი იმდენ სიყვარულს შეაბრუნებს წაღმა-უკუღმა!...

უცებ შავი უკუნი თეთრმა შუქმა გასჭრა. ზღვაზე გრძელი სინათლე განერთხო. მერე იქით-აქეთ დაიწყო სირბილი, გეგონებოდათ, ვიღაც უხილავი ბნელში მოდის და უზარმაზარი თეთრი ხელის ფათურით რაღაცას ეძებსო.

მალე ის გრძელი თეთრი ხელი მეორე თეთრმა ხელმა გადაკვეთა, თითქოს შავ დაფაზე ცარცით უშველებელი იქსი დაწერესო.

„რას უდრის იქსი? ერთუცნობიანი განტოლებაა, თუ..."

მე და შიო კიბეზე დავეშვით. კაპიტანი კუზნეცოვი ფეხდაფეხ ჩამოგვყვა.

— მოემზადეთ!

ზოგი ახალდაძინებული იყო, ძლივს გააღვიძეს.

ზურგჩანთები და სამარი აღჭურვილობა ავიკიდეთ, მუზარადები დავიხურეთ და თოფიარაღი ხელში მოვიმარჯვეთ.

მედოლე კედელს მიეყუდა და ისე დაამთქნარა, ლამის ყბა ელრძო.

ნიკომ უბიდან სურათი ამოიღო და დააშტერდა.

ძმებმა ერთმანეთს ჩაჰკიდეს ხელი.

მანასე ხაჭაპურიძეს ზეზეურად დაეძინა ცხენივით, მუხლმა უმტყუნა, წაიბორძიკა, თვალი შეშინებულმა გაახილა და, არ წავიქცეო, სავლეს წაავლო ხელი.

სავლემ ხელი მოჰკიდა, გამაგრდიო.

სანთელი მკრთალად ანათებს. კედლებზე არიალებული ლანდები დევების ჩრდილებსა ჰგავს.

სადღაც იქუხა. ჩვენი გემი არ შეტორტმანებულა, ყველა მაინც გადაბარბაცდა.

კიბესთან შეჯგუფული ხალხი ერთმანეთს მიაწყდა.

— რა ამბავია, მირიან?! — სავლე თვალებად იქცა.

— მალე, ალბათ, მიწაზე გადაგვსხამენ.

— ეს ჩვენი სადესანტო კატარღები ისვრიან, გზას გვიკაფავენ, არ აღელდეთ და არ აირიოთ, ახლა მთავარია სიმშვიდე! — გაგვაფრთხილა კაპიტანმა.

აი, თითქოს ჩვენი გემიც შეტორტმანდა. გემის მუცელში ელვა იჭრება და ჯარისკაცთა პირისახეზე წამისწამ შუქ-ჩრდილი თამაშობს. ვხედავ გაფართოებულ თვალებს, მტკიცედ მოკუმულ ტუჩებსა და შეტეხილ წარბებს.

მაია ახლაღა შევამჩნიე. ჩემს ახლოს დგას, ხელში ჯვრით მოხატული ჩანთა უჭირავს.

— ეჰ, დედაშენმა რომ იცოდეს, სადა ხარ ახლა, გადაირევა ქალი! — ვითომ ვუთანაგრძნე მაიას. ამ წუთში სხვა ვერაფერი მოვიფიქრე. ვერც ხელის მოკიდება გავბედე.

მაიამ კრინტი არ დასძრა, მგონი, ჩემი ნათქვამი ვერც გაიგონა.

ისევ ატყდა გრუხუნი და ელვა. ახლა ჩვენი გემი ნამდვილად შეტორტმანდა.

ნიკომ სურათი უბეში შეინახა და პირჯვარი გადაიწერა.

ვალიკომ თვალი თვალში გამიყარა.

„რას მიყურებ, ვერ მიცანი-მეთქი?" — გავივლე გულში.

ვალიკომაც თითქოს უსიტყვოდ მითხრა: „ვერაო. აი, იწყება ამბავი და ერთმანეთს იქ გავიცნობთო". კეთილი-მეთქი.

— ვა, ეს რა გრუხუნია, კაცო?!—ამდენ პირმოკუმულ ხალხში სერგომ წამოისროლა პირველი სიტყვა. — ვითომ მარტო ქვემეხები ისვრიან? გეგონებათ, ცა უზარმაზარი დოლია და ზედ დევებმა რკინის მუშტები დაუშინესო?!

ჯერ კატარღები მიადგნენ ნაპირს, მერე ჩვენც დავადგით მიწაზე ფეხი.

ფერგაცრეცილი ცა დაგვყურებს.

ჩემ წინ ტალღა ნაპირზე გადმოვიდა, ქაფის არშია დატოვა და ისევ ზღვას დაუბრუნდა. ქაფმა რიყის ქვებზე მოიკიდა ფეხი, აშრიალდა და მალე დადნა.

„ვაითუ ჩვენც?! არა. ჩვენ ხალხი ვართ და არა — ქაფი".

— მირიან, ნახე? რამდენი თევზი გამოურიყავს, კაცო?! — ხელი მომკიდა სავლემ. — მთელ ღამეს ამ უბედურებს ესროდნენ?!

— ყუმბარისთვის სულ ერთია კაცის ხვედბა, თევზს თუ ქვას.

ერთი გერმანელი ტალღებში ტივტივებს, მეორე — ნაპირზე გდია გულაღმა. ქერათმა რიყის ქვაზე გადაუფენია, პირი კი უშველებელზე დაუღია, თითქოს ავ სიზმარსა ხედავს, დაყვირება უნდა და ყელიდან ხმა არ ამოსდისო.

სავლე ამას ვერ ხედავს, რიყეზე მიმოყრილ თევზებს დაჰყურებს

—იარაღი მოამზადეთ! — ისმის მეთაურების ხმა.

„ნეტავ მაია რომელ ოცეულს გაჰყვა? იმ არეულობაში სად დამეკარგა?"

## მეორე თავი

მე ნაღმმტყორცნელთა გუნდის მეთაური ვარ, ეგ არის და ეგ. რაც ირგვლივ ხდება, ბევრ ვერაფერს ვიგებ. მეთაურები ჯარისკაცებს ანგარიშს არ აბარებენ. ზოგ რამეს მაინც ვხვდები. ამ ორიოდე კვირაში მტერმა უკან საკმაოდ დაიხია, მოწინააღმდეგის განლაგებაში ჩვენ სოლივით შევიჭერით. რაც უფრო ღრმად მივიწევთ, ვგრძნობ, მარწუხებში ვექცევით. პირველხანობას მეთაურები გვაიმედებდნენ: ჩვენები დიდძალ ჯარს მოგვაშველებენო. ახლა ამაზე კრინტს აღარავინა სძრავს.

ეტყობა, მტერმაც გაიგო, რომ არავინ გვეშველება. მეტი გაათრებით გვებრძვის. ჩვენს ოცეულს ნაღმები ცოტა დარჩა. ხშირად ქვეითი ჯარისკაცებივით ვიბრძვით — ხელში მხოლოდ შაშხანები და ავტომატები გვიჭირავს. ღამეებს ღია ცისქვეშ ვათენებთ. ქარბუქი სანგრებს თოვლით გვივსებს ხოლმე. სიცივე ძვალ-რბილში ატანს. ბიჭები პირისახეს თოვლით იზელენ წამდაუწუმ. ზოგს ცხვირი მოეყინა, ზოგს ფეხები. ბრეზენტის ხელთათმანები გაგვიცვდა და გადავყარეთ. თუ ვისვრით, ხელებს თოფზე ვითბობთ. მაგრამ განუწყვეტლივ ხომ არ ვისვრით? ამდენ ტყვიას ვინ მოგვიტანს?

— აუჰ, რა ყოფილა ეს ყინვა, კაცო?! — ცხვირს თოვლით იზელს ემზარი. — ყველას არ ასწავლა ცეკვა?! აღარც სერგოს დოლი გვჭირდება და არაფერი.

ღამეა. მივდივართ, მიედივართ და აღარ გვაჩერებენ. ირგვლივ საოცარი სიმშვიდეა. ორიოდეჯერ ცაზე ფერადმა ტყვიებმა გადაიქროლეს, ერთხელაც შორს წითელმა მაშხალამ გაიბრდღვიალა. სხვა არც არაფერი დაგვინახავს, არც არაფერი გაგვიგონია.

— ბიჭებო, ამირანი არ გინახავთ?—თითქმის ყველას ეკითხება შიო და ხმა თანდათან უკანკალებს.

ბოლოს გაიგეთ: ამირანი და კობა ლაბაური თურმე ვალიკო იაშვილის ჯგუფს გააყოლეს დაზვერვაზე. შიო მაინც ვერ დამშვიდდა: უცნაური ძმა მყავს, ვაითუ რამე აიხიროს და სისულელე ჩაიდინოსო.

შიო თავის ძმაზე სწუხს, მე კი მაიას ამბავი მაფორიაქებს. ზემდეგმა თქვა: დაჭრილებით დატვირთულ მანქანას გავაყოლეთ, მაგრამ ის მანქანა, მგონი, გზაზე დაუბომბავთ და ცოცხალი არავინ გადარჩენილაო.

„ნუთუ?". არ მინდა რაიმე უბედურებაზე ვიფიქრო, მაგრამ...

შიშველი მინდორი გადავიარეთ და რაღაც მინგრეულ-მონგრეულ შენობას წავადექით. ალბათ, წინათ თავლა იყო.

— გათენებამდე აქ შევისვენებთ! უფროსო სერჟანტო, ხალხი დააბინავე!—გასცა განკარგულება მიტროფანე ჩხაიძემ.

— ამხანაგო ზემდეგო, ცეცხლი რომ დავანთოთ, შეიძლება?—ჰკითხა ჯიბუტმა.

— ცეცხლს დაანთებ და აქედან ცოცხალი ვერ გაასწრებ, მოწინააღმდეგე ელურსამეთში კი არ გაქცეულა!

— აპა, ვის ჩავეხუტო, რომ გავთბე? ეეჰ, ეს იხერი ომი თვითონ რამდენ ცეცხლს აბრიალებს, ჩვენს ნებაზე კი ერთსაც არ გვანთებინებს. გაიყინე ემზარ, ვის ენაღვლება!

— ამხანაგო ზემდეგო, ქოხმახის ყველა ჭუჭრუტანას ლაბადა-კარვებს ჩამოვაფარებთ და... — ვთხოვე მე.

— ჲუ შენ იქნები პასუხისმგებელი! — დამითმო მიტროფანემ.

ცეცხლმა ალის პირველი ენაც გამოაჩინა და...

— მაია?! აკი თქვეს, დაჭრილებს გაჰყვაო?!

— ეს-ეს არის წამოგეწიეთ. — მაია ქანდაკებასავით დგას.

— ის მანქანა მართლა დაბომბეს?

— ნულარ მომაგონებ... არ ვიცი, რა სასწაულმა გადამარჩინა... მხოლოდ მე და ერთი დაჭრილი გადავრჩით.

მაიას ამაზე საუბარი უჭირდა და მეც აღარაფერი მიკითხავს.

ცეცხლს შემოვეჯარეთ. შიო სამჯერ თუ ოთხჯერ გავიდა გარეთ, პირმოკუმული და გაფითრებული შემობრუნდა, ირგვლივ უცნაურად მიმოიხედა და ცალკე დაჯდა.

— დღეს ძველით ახალი წელიწადია, ხომ იცი, — გაიხსენა ესტატე დეისაძემ.

— ჰაი დედასა, რა ახალი წელი გვითენდება! — ამოიხვნეშა კუდაშვილმა.

— კაცო, ამ ოხერტიალ ომს ძველ ახალწელიწადს მაინც არ ექნება „ვიხადნოი“?—მედოლემ ცეცხლს ფეხსაცვევი მიაფიცხა.

— კი, გერმანელები საახალწლო ჩიჩილაკსაც მოგართმევენ, არ გნებავს? — გაეპასუხა ჯიბუტი.

— არ გამიკვირდა, ასე სიმყუდროვე რატომ არის-მეთქი? — საუბარში ჩაერია ნუგზარი.- ალბათ, ყველა ერიდება თოფის სროლას. ჩვენში დარჩეს და, კაცმა კაცს ახალწელიწადს მაინც არ უნდა ესროლოს ტყვია...

— დაბედებაზე თუა, გერმანელებს თოფის ბათქა-ბუთქი ისე უყვართ, დღეს სულ არ უნდა მოისვენონ, — შენიშნა არქიფომ და ხელები მუცელზე შემოიწყო.

ყველა გაჩუმდა, თითქოს სათქმელი შემოელიათო.

ნუგზარი თავჩაქინდრულ მაიასკენ გადაჯდა და ჯამბაზივით ახედ-დახედა.

— რავა ხარ, გოგო? ჰა, მაია, არ გეყურება? რავა ხარ?

— არ იცი?

— კი ვიცი, მარა, მაინც... შენ ახლა საახალწლო სუფრას უნდა შლიდე, ანგელოზო!

— რას იზამ... ჩვენი ნება რომ იყოს...

— შე მშობელდალოცვილო, ეს ახალი წელი რომ დაგვალოცვინო, ვითომ ღმერთი გაწყრება?

— დალოცე, ვინ გიშლით?

— თოვლის წყლით ხომ არ დავლოცავთ?— ხელები მოიშმუშნა ნუგზარმა და საწყლად გაიღიმა. — დღეს მაინც გვიზიარე ცოტა სპირტი!

— ვერა... სპირტი ძალიან ცხარეა... ახალწელს სიცხარესა და სიმწარეს ხომ არ დავუბედებთ?

— ო, რა კერპი და ჯიუტი ხარ!

— როცა სიჯიუტე საჭიროა, აბა, რა ვქნა?— თავი აწია მაიამ.

— შენ გგონია, მართლა სპირტი მინდოდა? თავჩაქინდრული რომ დაგინახე, გული მომიკვდა და გამოგელაპარაკე. ე, ეგრე, აწიე თავი!

ზემდეგმა თითო ორცხობილა ჩამოგვირიგა.

— ერთი გამოხრული კბილი მაქვს, ეს ნამცეცი იმაში გამეკვეტება და მე რა შევჭამო? — ორცხობილას ჭირისუფალივით დახედა ემზარმა.

— ჯიბუტი! — თითი დაუქნია მიტროფანემ.

ხრამუნი ცოტა ხანს გაგრძელდა, ყველა ცარიელ ხელებს დააჩერდა.

— ეჰ, ერთი ახლა ჩვენებური ლობიო მოგვცა! —ინატრა არქიფომ.—ქოთანში მოხარშული, ნივრით და ქინძით შეკაზმული! რას გამოვიგვერდები!

— ბიჭებო, მანასეს შეხედეთ, მანასეს! — წამოიძახა დიასამიძემ.

მივიხედე. მანასეს ორცხობილას პირში ჩადება მოუსწრია და მისძინებია კიდეც.

მძინარე კაცის პირში გაჩრილ ორცხობილას მიაჩერდა ყველა.

— ჰა, მანასე, მანასე! — ხელი წაჰკრა ესტატემ. — გაიღვიძე, კაცო!

ხაჭაპურიძემ რაღაც ამოიღუღლუღა, თვალი კი არ გაახილა.

— გაიღვიძე, მე შენი დედა!..—ფეხი წაჰკრა ფირუზა ხატიაშვილმა.—ან შეჭამე ეგ ოხერი რაღაცა, ან რამე უქენი... ბიჭებს ნერწყვს ნუ აყლაპვინებ!

მანასემ ორცხობილა შეჭამა და მაშინვე მიიძინა.

გვერდით სვანიძე მიუწვა:

— ეჰ, რა დღეში ვართ? ჩვენი ცოდვა იმას...

— ვისა, ბიჭო?

— ვინც არის...

— ცივა, ნუ წვები, თორემ დაგეძინება და, ხომ იცი...

— აქედან ფეხებმოყინულს წაგიყვანენ? ჯანდაბას! შიმშილით ვკვდები და ძილით მაინც გავძღე.

არქიფოს სავლე მიუწვა გვერდით.

შიო წამოდგა, გარეთ გავიდა და შემობრუნდა.

— სად არიან ამდენხანს?

— ვიზე ამბობ, შიო?

— მზვერავებს ძალიან დააგვიანდათ. — ჩამოჯდა და ცეცხლს ჩააშტერდა.

ნიკომ უბიდან სურათი ამოიღო:

— ეჰ, შვილებო, შვილებო! ა, ნახე ჩემი ყაჩაღები! — მჭედლიძეს გაუწოდა.

— ვიცი, რამდენჯერ მაჩვენე... მე ოთხი მყავს, უფრო პატარები. დედა შარშან მოუკვდათ... ჩემს დასთან დავტოვე... ეჰ.

— ჩვენ ახლა იმათ უნდა ვუვლიდეთ, აქ რა გვინდა?

— დარდის გასაქარვებლად შენ სურათი მაინც გამოგყოლია, მე რა ვქნა? თუ სიზმარში ვნახე, მარტო მაშინ ვარ ბედნიერი. ეეჰ! — უჩა მჭედლიძემ ლაბადა-კარავი გაიფინა და თავი ზურგჩანთაზე მიდო.

„რა ცივი, მშიერი და სევდიანია ეს ახალწლის ღამე?“

სერგომ კუდაშვილის მსუქან ზურგჩანთას მიაშტერა თვალი.

— ნიკო, ჰა, ნიკო!

— რა გინდა, კაცო? — წამოიმართა მხართეძოზე წამოწოლილი კუდაშვილი.

— გამაგებინე, კაცი ხარ თუ ისკარიოტელი? ნუ გვაწამებ ამდენს. ან შენი ჩანთიანად მოგვშორდი, ან...

— ეს ვინ არის? რას ჩამაცივდი, კაცო?

— ამოალაგე ეგ ოხერი, შიმშილით ხომ არ დაეიხოცებით!

— ომია, შვილოსა, ომი, ვინ იცის, რა დღეში ჩავცვივდეთ.

— ა, წინდახედული კაცი! — ხელი აიქნია ბონდო ნიკურაძემ.

— ყველას თავისი ჭკუა აქვს! — მიუგო კუდაშვილმა.

— ეჰ, რა ეშველება ამდენ ჭკვიან ხალხს?!- - თავი ასწია ჯიბუტმა.

— რა დროს ჭკუაა, შე დალოცვილის შვილიშვილის შვილიშვილო? ან შენი თავი შეიცოდე, ან — ჩვენ. ამაზე მეტი რაღა უნდა დაგვემართოს? — მედოლემ ხალხს გადახედა. — არა გშიათ. კაცო?

— რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, გამოიზოგეთმეთქი? თქვენ რომ ყველაფერს მაშინვე ყლაპავდით. შვილოსა, მე ვინახავდი. ხომ არ მომიპარავს, ჩემი ულუფაა, მაშ!

— მერე რა რომ შენია? ამდენს რომ გვალიზიანებ, ეგ კაცობაა? ან მოგვეცი, ან—გადაagდე!—სერგო კვლავ ცეცხლთან შემომსხდარ ჯარისკაცებს მიუბრუნდა.—მე რა, თქვენზე მეტი მინდა? ამოიღეთ ხმა, არა გშიათ?

ნიკომ ანჩხლად წამოიძახა:

— არა შიათ, არა! რა გააჭირე საქმე, მოასვენე ე ხალხი!

— ძია ნიკო, მოიტა რა ცოტა პური!—ფარაჯიდან თავი ამოყო მობუზულმა ელიოზ შავიძემ.

— მოგვეცი. ძია ნიკო. მოგვეცი!—შიომაც ამოიღო ხმა

— ა, ახლა ესეც აჰყვა!

— ძია ნიკო, შეელიე მაგ ჯავშანს, ნუ გეშინია! — ეთხოვე შეც.

— შენ რაღა მოგივიდა, ბიჭო?—კუდაშვილმა გეოდი იცვალა, ზურგი შემოგვაქცია.

ემზარმა ხელი გაიშვირა:

— ნიკო! ნიკო! მოიღე მოწყალება, ღმერთიმც შეგეწევა!

სავლემ თვალიც არ გაახილა, ხელი უმისამართოდ ასწია და ძილმორეული ხმით ჩაილაპარაკა:

— თუ გვაძლევ. მოგვეცი ეგ ოხერი!

ფირუზა ხატიაშვილმა თავისებურად შეუკურთხა, ნუ გაგვაწამეო.

— გადამრევს ეს ხალხი?! — ნიკო გადატრიალ-გადმოტრიალდა, მერე ზურგჩანთას სწრაფად დაავლო ხელი და გახსნა დაუწყო: — ოჰ, თქვენი ღმერთი არ იყოს, თქვენთვის ვათრევ, თქვე ოხრებო, ჩემთვის ხომ არა?

— ჰოდა, ახლა ჩვენ ვათრევთ! — ხელები მოიფშვნიტა ნუგზარმა. — შენი კაიკაცობა რომ არ გვცოდნოდა, განა აქამდე ვერ მოგპარავდით?

— აბა, თქვენ იცით, თუ სულ ახლავე შეულაპავთ! გამოიზოგეთ, ბიჭო, გამოიზოგეთ! — ნიკომ ყველას ორ-ორი ორცხობილა მისცა, შიოს კი — ოთხი. — ძმასაც შეუნახე, ბიჭო!

სერგო ორცხობილას გამოსართმევად ნიკოსთან არც მივიდა. თითქოს რაღაც დანაშაული ჩაიდინაო, თავი ჩაღუნა. ნიკომ ულუფა მუხლზე დაუდო.

— განა მენანება, ბიჭო, შავი დღისათვის ვინახავ. ომში ვართ, ომში! ჭამე, ჭამე, ალალი იყოს!

— ბოდიში, ძია ნიკო! შენთვისაც ვერ იმეტებდი და ჩვენ დაგაცლევინეთ. განა სიძუნწით მოგდიოდა... ასე რომ ყოფილიყო, ბიჭები აქამდე მოგპარავდნენ. კარგი კაცი ხარ, გაიხარონ შენმა შვილებმა. — სერგომ ულუფა აიღო.

ნიკო კვლავ თავის ჩანთასთან ჩაჯდა, ერთი ორცხობილა თავისთვისაც ამოიღო და თავჩაღუნული შეუდგა ჭამას.

მხოლოდ ხრამუნი ისმის.

— ჯიბუტი, რას შვები, სულ ჭამ? არ ინახავ? ჰკითხა მიტროფანემ.

— ოოჰ! —ხელი ჩაუქნია ემზარმა, აქაოდა, მომეშვიო.

— ოოჰ და, aaa! — ზემდეგმა მეორე ორცხობილასაც ჩაასვა კბილები.

ისმის მხოლოდ ორცხობილას ხრამუნი და ცეცხლის ტკაცუნი.

უცებ ემზარს სიცილი წასკდა.

— ბიჭებო, ძია ნიკოს შეხედეთ, ძია ნიკოს! თაგვივით არა ცუცნის?

ყველას აუტყდა ჩუმი სიცილი. სერგოს ოქროს კბილი ცეცხლის შუქზე აელვარდა.

— ამის სახრავი კბილები რომ არ მქონდა, თქვე ოხრებო, იმიტომ ვინახავდი, რას იცინით? — კუდაშვილმა თვითონაც გულიანად გაიცინა.

ორცხობილას ხრამუნი და ხალხის ჩუმი სიცილი ერთმანეთში აირია.

— რავა ატყობ, ძია ნიკო, გემრიელია? — ჰკითხა დიასამიძემ.

— ეგა ჩვენს მედოლესა ჰკითხეთ! შენ გაიხარე, სერგო, შენ გაიხარე! ახლა უფრო მსუბუქად ვივლი, მაშა! ეს რა სიკეთე მიყავი, კაცო!

— მაია, მაია სად არის, ბიჭებო? — გაისმა გარეთ.

„თითქოს ვალიკოა, ასე რამ დაუბეჟა ხმა?“

მე და მაია ერთად წამოვხტით, ლაბადა-კარავმა გადაიწია და ვალიკო შემოვიდა. პირისახე სისხლითა აქვს მოსვრილი, ხელებზეც აცხია.

— ვალიკო, რა მოგივიდა? — მივაძახე მე.

— ვალიკო?! — მივარდა მაია. — დაჭრილი ხარ?

— მე არა... ველარ შევძელი... ზვინამდე ძლივს ვათრიე... უშველეთ... იქ კობა ლაბაური წევს...

შიო წამოდგა და გაშტერდა.

— ვალიკო, ამირანი სად არის?

— არ ვიცი.

— შენ არ გამოგაყოლეს?

— კი...

— მერე?

— არ ვიცი... ისეთ ცეცხლში მოვხვდით. ჩემთან მხოლოდ ლაბაურიღა დარჩა... ისიც დაიჭრა... ძლივს დავაღწიეთ თავი... სხვებს რა მოუვიდა, არ ვიცი... მაია, წამომყევი...

— ვაიმე, ძმაო! — შიო მოწყვეტით ჩაჯდა და პირისახე ხელისგულებში ჩარგო.

დაჭრილს მოვუარეთ და ზურგში გავისტუმრეთ. ჩვენ ოცეულში დავბრუნდით.

შიო უძრავად ზის და მინავლულ ცეცხლს ჩაშტერებია. ორიოდე კაცი ფხიზლობს. სხვებს სძინავთ.

თითქოს აქ განთიადამდე უნდა დავრჩენილიყავით, რა ხანია გათენდა, მაგრამ არავინ გვეუბნება, აიშალეთო.

სავლემ ქალამნები გამომიწოდა.

— ჰა, შეინახე!

— მე?! მერე შენ აღარ გინდა?

— ეს შენია. აგერ ტყავი ვიპოვე და... ტყუილა ხომ არ გავჩერდებოდი. იქნება ქვე გამოგადგეს... თუ შენ არ გინდა, სხვას მიეცი...

ქალამნები ჩანთაში ჩავიდე.

შიომ ჯიბიდან სამი ორცხობილა ამოიღო და დააშტერდა.

— შიო, რას უყურებ, ჭამე, ბიჭო, ჭამე! — უთხრა ნიკომ.

შიომ სამივე ორცხობილა ჯიბეში ჩაიდო და ისევ მბჟუტავ ცეცხლს ჩააშტერდა.

— აბა, გეყოფათ დასვენება, მოემზადეთ, ათ წუთში გავალთ! — გასცა განკარგულება ზემდეგმა.

მიტროფანემაც დაამთავრა სიტყვა და ფანდურის ხმაც გაისმა.

შიომ ნელანელა წამოიწია. თითქოს ძილბურანშია და არ იცის, სად არისო, მერე გაკვირვებით მიმოიხედა.

— მირიან, გესმის?

ატენის ხეობაზედა წყალი ჩამოდის
ტანაო,
დედამ რო შვილი გაზარდოს, ე, სწორედ
ჩემისთანაო.

ნამდვილად ამირანი მღერის.

შიო გარეთ გავარდა. გავყევით.

— ცოცხალი ხარ, ბიჭო? — შორიდან მიაძახა ავგაროზიანმა ძმამ ფანდურიანს და გადაეხვია. მერე ხელი გაუშვა და შორიდან შეხედა, თითქოს ჯერ მისი კარგად ყოფნა ვერ დაინამდვილაო. — სად იყავი, შე ვირო, შენა!—სილაქანი ხელმოუზომავად გაარტყა.

— შე ვირო და... შე წიგნის ჭია!—ამირანმა უცებ ავტომატი, ზურგჩანთა და ფანდური მიაგდო, ძმას ებრდღვნა და წააქცია.

ხან ერთი მოექცა ძირს, ხან—მეორე, მერე ორივენი სიცილით წამოდგნენ.

— მართლა სად იყავი? ვალიკომ თქვა, დაიკარგაო. — ვკითხე მეფანდურეს.

— გერმანელების ზურგში შევიპარეთ, ხევში გავძვერით. გაგვიგეს და, მგონი, ყველა იარაღი დაგვიშინეს. ირგვლივს ისეთი ცეცხლი დაატრიალეს, თავით დავუწყე მიწას ბურღვა, ამქვეყნიურ ჯოჯხეთს ქვესკნელში გავექცევი-მეთქი. ფრჩხილებიც კი ჩავასვი მიწას, მაგრამ იმ გაყინულ მიწას ახლა ყუმბარაც ძლივს არღვევს და მე რას დავაკლებდი? სამჯერ ზურგში რაღაც მომხვდა მაგრად. ახლა კი გავთავდი-მეთქი, ვიფიქრე. არაფერიც!—უავგაროზო ძმამ ავგაროზიანს ლოყაზე ალერსით წაუთათუნა ხელი.— ჯერ ჩემკენ გამოვლა მიქელგაბრიელს არც უფიქრია. გაყინული ბელტები დამცემია, ბიჭო! მაია აქ მეგულებოდა და მე იქ რა მომკლავდა?— ამირანმა გაიღიმა, ფანდური აიტაცა და ქალიშვილს ჩაუმღერა:

წყალში შეცურდა ირემი, თან მელა მისდევს
ტივითა.
გოგო ეგ შენი ღიმილი მაბრუნებს
წისქვილივითა... გოგო...

— რა დროს სიმღერაა, მოემზადეთ, მივდივართ! — იჭექა ზემდეგმა. — ჯიბუტი, სადა ხარ, ჯიბუტი!

შიომ ამირანს სამი ორცხობილა გაუწოდა:

— ჰა, ჭამე, შე ვირო!

წინ მთა გადაგველობა. გვიბრძანეს: ნაღმმტყორცნები მაღლობზე აიტანეთო, ქვეითები იერიშზე გადადიან და გზა უნდა გავუკაფოთო. ფერდობს ვიწრო გზა მიუყვება, ისეა მოლიპული, ფეხს ძლივს ვიკავებთ.

— რა აათრევს ამ უპატრონოს!—ნაღმმტყორცნი ბრაზიანად მიაგდო სერგომ და მუცელატკივებულივით მოიკუნტა.

— ჰე, მეღოლე, რაღას უყურებ, ასწიე!— მიადგა ემზარი.

— ვაჰ, ვირი ხომ არა ვარ, დავიღალე.

— ასწიე-მეთქი!

— სულისმოთქმა მაცალეთ, რაღა! ახლა სხვამ ითრიოს!

— ჩემკენ რას იყურები?—ყუთი დადო სავ-

ლემ. — სულ მე ხომ არ ვათრევ? მაგაზე ჯვარი კი არ დამიწერია!—ნაღმმტყორცნს ფეხი ბრაზიანად წაჰკრა.

ეს უწყინარი კაცი პირველად ვნახე წარბშეკრული.

— განა მეზარება, ღონე აღარ მომდევს. მე შენოდენი სად შემიძლია, საღლეჯან. შენ ბუღასავით სქელი კისერი გაქვს, მე — ძაფივით წვრილი. ჭრიჭინამ ფრთა რომ გამკრას, მომწყდება.

— აქამდე მოგიტანია, ცოტაზედაც ზიდე, შე კაი კაცო! — საყვედურის თქმა დავაპირე და თხოვნა გამომივიდა. — ძნელია, მაგრამ, ეს ომის ტვირთია, არავისთვის არ არის მსუბუქი. სანამ ცოცხლები ვართ, ყველამ თანაბრად უნდა ეზიდოთ.

— ჰოდა, ახლა ეს ოხერი სხვამ წამოიღოს, მე ამირანს რომ ყუთი მოაქვს, ის მომეცით.

— ეგ აიღე, შე ქოფაქო, თორემ იმდენს გირტყამ, შენს დოლს რომ არ მოხვედრია! შენ, მგონი, ჯერ ჩემი თავური დარტყმის გემო არ გაგისინჯავს! — ხელი აუქნია მეფანდურემ. — რას მაიმუნობ?

— მაიმუნის ხმა მესმის! ხელი აიღე, რაღა!

— ენა დააყენე, თორემ!... ისე მიქთეთქვამ, როგორც დაგიბარებია!

— აბა, თქვენ იცით, გერმანელების მაგივრად ერთმანეთს თუ დახოცავთ!—შუაში ჩაღგა ჯიბუტი. — მოასვენეთ კაცი, თავს მესამე მსოფლიო ომისთვის ინახავს.

— ეჰ, შენი დასაცინიც გავხდი?—სერგომ ცალი თვალი მოუჭუტა ემზარს.

— აკი ამბობდი, მთელ ღამეს დოლს ვუკრავდი და არ ვიღლებოდიო? — შევახსენე მე.

— დოლი და ეს ოხერი რკინა ერთია, მირიანჯან? საცოლშვილო წელი მომწყვიტა, ამის გამომჭედის პატრონიცა...

— ვინც შენს დაკრულ დოლზე ითამაშოს... შენც იტყვი, კაცი ვარო?! — ამრეზილად შეხედა ჯიბუტმა.

— ვაჰ, ემზარჯან, — გასავათებული ჯარისკაცი უცებ გამოცოცხლდა,—იგეთი გოგოები მიტანცავებია, იტყოდი, რა დედამ შობაო. გოგმანს რომ დაიწყებდნენ, ვარსკვლავებს ეთამაშებოდნენ, ამისმა მზემ!—მედოლემ ლოყაზე ხელი მიიტყაპუნა.

— გეყოფა ტრაბახი! მოდი, ერთად ავწიოთ! ავჩქარდეთ, გაგვასწრეს!

— ყველა ღმერთმა დასწყევლოს, მირიანჯან, ვინც ეს ომი მოიგონა!

— ახლა წყევლა-კრულვით ვერაფერს გავხდებით. ასწიე, ასწიე! ეს ომი ჯერ უნდა მოვიგოთ, მერე შეგვიძლია დავწყევლოთ და შევაჩვენოთ კიდეც!

— კარგი, შენებურად იყოს, უფროსო.

ნაღმმტყორცნი ციმციმ ავწიეთ და აღმართს შევუდექით.

— ბიჭებო, დაიღალეთ? — წამოგვეწია ზემდეგი.

— ვაა?!

— რა ვა?

— ის ვა, რომა, რკინისაა, ეს ოხერი, ბამბის ხომ არა?

— ახლა გაიგე? კარგი, კარგი, დაისვენეთ, ოღონდ ცოტა ხნით, თორემ მერე ფეხის გადადგმა უფრო გაგიჭირდებათ. შეგიძლიათ მოსწიოთ.

— თუღა გვაქვს...

ვაჟა კობახიძე წამოგვეწია, ცხენებით ქეემეხი ამოიტანა.

— გაგიჭირდათ, ბიჭებო?

— ეგ კიდევ საკითხავია, ლანგარა?

ვაჟამ ცხენები თავისი ქვემეხებიდან გამოხსნა, ჯერ ჩვენი ოცეულის იარაღი და რამე-რუმე აიტანა გორაზე, მერე სხვებსაც მიეშველა.

— აბა, ბიჭებო, ახლა ნაღმის ყუთები ამოვიტანოთ!

გორაკიდან მე, სავლე, ემზარი და სერგო უკან გავბრუნდით.

ზუზუნი მოგვესმა. ავიხედეთ. თვითმფრინავი სვასტიკიან ფრთებს გვიქნევს. მოგვიახლოვდა. სხვადასხვა მხარეს გავიქეცით. თვითმფრინავმა ონავრულად გაგვიქროლ-გამოგვიქროლა, ტყვია დაგვიშინა და თვალს მიეფარა.

გადავრჩი. ძირს გართხმულმა თავი ავწიე.

— ბიჭებო! ჰეი, ბიჭებო!

სერგო და ემზარი მოვიდნენ.

— სავლე! სავლე!

ვინ გცემს ხმას.

— სავლე, სადა ხარ, ბიჭო? — გავსძახე უფრო ხმამაღლა.

სერგო და ემზარიც აყვირდნენ. სდუმს თოვლიანი მინდორი.

— ხომ არ მოარტყა იმ ძაღლიშვილმა?!—გული ამიკანკალდა, სხეული ამითრთოლდა, ენა დამება. გავრბივარ და მუხლები მეკეცება. ბორცვზე შევდექი და მიმოვიხედე.

კაცი თოვლში პირქვე დამხობილი წევს.

— სავლე! — სამივემ ერთად წამოვიძახეთ.

— სავლე!

კრინტს არა სძრავს.

მივვარდი და ხელი დავავლე. თვალი გაახილა და მძიმედ წამოიზლაზნა.

— რა იყო, კაცო, მოხდა რამე?

— ცოცხალი ხარ, შე ღმერთძაღლო?!

— ჯერჯერობით კი.

— ხომ არ გაგკრა იმ ურჯულომ?—ჰკითხა სერგომ.

— ქვე რას უნდა გეეკრა? რაღაცამ ერთი კი გამწივლა ყურთან, მარა, რა ვიცი... ტყვია იყო

ვითომ? — საღლემ თოვლში ამოგანგლული ფარაჯის ბერტყვა დაიწყო.

— ბიჭო, ენა ხომ არ გადაგეყლაპა? იმდენი გიძახეთ!—უთხრა ემზარმა.

— არ გამიგონია, ღმერთმანი.

— მგონი, ეძინა ამ შობელძაღლს! — ოქროს კბილი გამოაჩინა სერგომ.

— კი, მეძინა. თავი მივდევი თუ არა, თვალმა მომატყუა... რამდენი ღამეა, ხომ იცი...

— ეჰ, შე უბედურო! — ხელი თავში წაჰკრა ჯიბუტმა.

— უბედური ქვე რათა ვარ, მამაჩემს ჩემს გარდა კიდევ ექვსი შვილი ჰყავს. უბედური შენა ხარ, ამ ქვეყანაზე მარტო რომ დაკინკილობ, აპა! — გაუღიმა სავლემ.

სერგომ ახლა იქით გაიხედა, თვითმფრინავი რომ მიიმალა.

— დაინახეთ, კაცო?! აქაოდა, თქვენისთანა ჩანჩურები ჩემისთანა არწივს რას დააკლებენო, იმ ოხერტიალმა მუშტი მოგვიღერა და, მგონი, თითიც კი დაგვიქნია, თითქოს ბავშვებსა ტუქსავსო. ერთი ეგ დამანახა მიწაზე, ვუჩვენებ, მუშტის მოღერება როგორც უნდა! ვაჰ, ისე ამოვკრავ ცხვირში, ვარსკვლავები თვალოს და ვერ დათვალოს!

ნაღმის ყუთები მთაზე მშვიდობიანად ავიტანეთ.

ცოტა ხნის შემდეგ თვითმფრინავი ისევ გამოჩნდა.

გულაღმა გადაშხლართულებმა იარაღი მოვიმარჯვეთ. ზოგმა ავტომატი ააკაკანა, ზოგმაც შაშხანა გააცეცხლა.

თვითმფრინავი ისე დაბლა დაეშვა, შემეშინდა, თავზე არ დამაჯდეს-მეთქი.

კაპიტანმა კუზნეცოვმა „ტეტეც" კი ესროლა. აბა, აქ ვინ იყო იმისი გამგები, ვისმა ნასროლმა ტყვიამ უწია, თვითმფრინავი ჰაერში შეტორტმანდა, ცეცხლისა და შავი კვამლის გრძელი კუდი აითრია და მთის გაღმა გადაეშვა.

— წადი შენი გამომგზავნის პატრონის ქვეყანაცა! — დაადევნა ფირუზა ხატიაშვილმა.

— მასხარად აგვიგდო იმ ნამუსგარეცხილმა და მიეზლო კიდეცა!—კუდაშვილმა ორი ნაღმი იღლიებში გოჭებივით ამოიჩარა და ნაღმმტყორცნელისაკენ გაიქცა.

ძველებურად დიდი კუზი აღარ უჩანს, ზურგჩანთა დაუპატარავდა.

— ამხანაგო კაპიტანო, ტყვიას რაზე ხარჯავდით, შეიძლებოდა, მფრინავისთვის პირდაპირ ქვა ჩაგვერტყა თავში!—ცხვირის წვერზე თითი გაისვ-გამოისვა ჯიბუტმა.

კუზნეცოვს სულაც არ გასცინებია, ეტყობა, გერმანელის ასეთი თავხედური გამოსეირნება ცუდად ენიშნა.

არ ვიცი, წინ რატომღა მივიწევთ, როცა ზურგი გაუმაგრებელი გვრჩება?!

კაპიტანი კუზნეცოვი წინანდებურად აღარ მხიარულობს, უფრო ხშირად ჩაფიქრებულს ვხედავ. აღარ გვშორდება, ჩვენთან ერთად დგას ხოლმე სანგრებში, ულუფასაც ჩვენთან ერთად იღებს.

ღამით შიშველ მინდორში გავედით. გაძაგრულ მიწას პატარა ბარ-ნიჩბებით ვერაფერი მოვუხერხეთ, სანგრები ვერ გავთხარეთ და თავი მივანებეთ. როგორმე ასე უნდა გავძლოთ, ალიონზე კი ხევში ჩავალთ და წინ წასვლას ისე ვცდით.

აისმა თოვლს სილურჯე შეაპარა თანდათან. გარიჟრაჟისას ყინვამ ისე შემოუტია, როგორც იტყვიან, ფრინველს ცაში გააშეშებს.

ბიჭები გასახურებლად ერთმანეთს მამლებივით ეძიძგილავებიან.

ფირუზა ხატიაშვილმა სავლეს ხელი დაავლო, დამეჭიდეო. კამეჩივით ღონიერი სავლე დაიზლაზნება, ჩასკვნილი ფირუზა უფრო მოქნილად დარბის.

ჭიდაობს ორი ჯარისკაცი, ორივე ერთად კი გამწარებით ყინვას ეჭიდავება.

ფალავანმა საიდან არ შემოუარა სავლეს, ღონით ვერ დასძალა და ბოლოს ხერხი იხმარა: მკლავში დააელო ხელი, ზურგზე გადაიგდო მეტოქე და მოწყვეტით მოადენინა ძირს ბრაგვანი. სავლე წელათრევით წამოიზლაზნა და თავის გამართლებაც კი სცადა:

— ორი დღის უჭმელ-უსმელი ვარ, თვარა გაჩვენებდი თავის სეირს.

— მე რა, ცალკე ცხვარი დამიკლეს? როცა გაძღე, სავლე, მითხარი და კიდევ დაგეჭიდები.

ემზარმა მედოლეს ცარიელი კარდალა შეაჩეჩა ხელში, დაუკარიო. თვითონ „ატლარ ჩოპა, თემურ ფაშა" დასძახა. ეტყობა გალიგვებულ ტუჩებს თავს ძლივს უყრის, მაინც მღერის. ტაშიც დასცხო და გახელებული ცეკვაც გააჩაღა.

მედოლე კარდალას უტყაპუნებს ხელებს. საღლაც თათმანები უშოვნია, თორემ თითები ცივ რკინაზე მიეყინებოდა. ამირანი ფანდურს უკრავს.

ემზარი ყველაფერს ერთდროულად ასწრებს — ცეკვას, სიმღერას და ტაშის დაკვრას.

— ამყევით, ბიჭებო!

აჰყვნენ. ახლა სხვებმაც გაახურეს ცეკვა. აბაკუნდნენ ჩექმები და ბათინკები. არის ერთი ბუქნავი და გარბენ-გამორბენა. ცეკვავს ყველა, ძია ნიკოც კი. ყველა მღერის, ცეკვავს და ტაშსაც უკრავს. ბუქნავს მაიაც.

ეს, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი სიმღერა არ არის, დიდი სევდისა და ჭირ-ვარამის მოთქმაგოდებას უფრო ჰგავს, იქნებ შიშის ზარსაც: რომ გავჩუმდეთ, ვაითუ გავიძაგროთ, უტყვიოდ დავიხოცოთ და ვიღაც ოხერი გავაცინოთო.

ჰოდა, გაგიჟებით ვცეკვავთ, გულამოვარდნით ვმღერით და ყველანი შეუწყვეტლად ვუკრავთ ტაშს. იქნებ ჩვენი ხმა ახლა მტერსაც ესმის!

გაიგონოს! ყველაფერი ფეხებზე გვკიდია. მთავარია ამ ყინვასა და ღამეს თავი ცეკვით გავუსრისოთ.

— წიუ, წიუ, წიუუუ!

ერთმა ტყვიამ სავლეს ფარაჯის კალთა გაუხვრიტა და ლაჯებში გაუძვრა.

ტყვიების წვილმა გაგვფანტა და თოვლში ჩაგვაწვინა.

— ხოხვით მომყევით!—კაპიტანი ხევისკენ წაგვიძღვა.

გერმანელები სოფლიდან თავგზააბნეულად გაქცეულან და სამი საბარგო მანქანა მიუტოვებიათ. სამივე დაზიანებულია. ძარადახურულ მანქანაში სურსათი აღმოჩნდა. უმალ დაიტაცეს ბიჭებმა.

— მოწამლული არ იყოს? — გააფრთხილა ავგაროზიანმა ძმამ ფანდურიანი.

— საწამლავი მომერევა ახლა მე? — იცინის ამირანი და გერმანულ ძეხვს მადიანად შეექცევა.

სერგო მეწაღიშვილმა, ემზარ ჯიბუტმა, არქიფო სვანიძემ და ნუგზარ დიასამიძემ ერთი ბოთლი არაყი იპოვეს და იქვე გამოწრუპეს.

ფირუზამ სავლეს მხარი გაჰკრა:

— ხომ გამოგაძღეს, მე იმათი დედა... მოდი ახლა, დამეჭიდე,

— შე კაი კაცო, შემარგე ეს რაღაცა ორი ლუკმა!

მანქანების იქით, გზის პირას ვალიკომ ორი აბგა ნახა. უმალვე გაჩხრიკა. ერთი ცარიელი აღმოჩნდა. მეორედან შალის კაბა და თექის ჩექმები ამოიღო. ამ აბგის პატრონმა, ეტყობა, ვიღაც გაძარცვა.

ვალიკომ ნადავლი მაიას მიურბენინა. მაიამ ზედაც არ შეხედა.

— რა იყო, გოგო, ქირზის ჩექმას ეს არა სჯობია?

— არ მინდა! არ მინდა-მეთქი!

ვალიკომ მხრები აიწურა, კაბა და თექურები ისევ აბგაში ჩატენა და ზურგზე მოიგდო.

ნიკო კუდაშვილმა დაჩუტული ზურგჩანთა კვლავ პირთამდე ამოტენა. ჯიბუტმა სადღაც მეორე ჩანთაც უშოვა, თვითონვე მიეხმარა და ისიც კონცენტრატებითა და ორცხობილათი გაავსებინა.

— ძია ნიკო, რაკი შენ ზურგჩანთაში ქვიშის ჩაყრა არ დაგჭირდა, აღარაფერს ვჩივი. ახლა ერთი ზურგზე მოიგდე, მეორე წინ დაიკიდე და ორი ჯავშანი გექნება. თავს გაუფრთხილდი, ხომ ხედავ, შენი თავი როგორ გვჭირდება?

ნიკომ ორივე ჩანთა ზურგზე მოიგდო, ორი კუზი გაიჩინა.

— ეჰ, ვინ იცის, ჩემი შვილები იქ... მე კი აქ...

სოფელს გავცილდით. თორმეტიოდე წლის ბიჭი წამოგვეწია. გრძელი პალტო აცვია. თბილი ქუდი თვალებამდე ჩამოუფხატავს.

— შენ საით, ვაჟკაცო? — ეკითხება კაპიტანი.

— თქვენ მოგყვებით. მე ვიტია სტეფანენკო ვარ, რაზალიეველი.

— სწავლობ?

— ვსწავლობდი. გერმანელებმა სკოლა დაგვიხურეს, ორი ჩემი ამხანაგი კი დახვრიტეს.

— ბავშვები დახვრიტეს? რატომ?

— შარი მოსდეს: წარბები რატომ ჩამოგიშვიათ და შუბლშეჭმუხვნილი რატომ გვიყურებთო. მე შურს ვიძიებ, თქვენთან ერთად ვიბრძოლებ.

— გაბრუნდი, ბიძიკო, უკან გაბრუნდი!

— რატომ? მე მხდალი არა ვარ. როცა ბიჭები ომობანას ვთამაშობდით, მე წითელი მეთაური ვიყავი და ყოველთვის ვიმარჯვებდი.

— ომი თამაში არ არის, ვიტია, დამიჯერე, გაბრუნდი!

— თოფს ვიშოვი და ნახავთ, თუ არ ვივარგებ!

— ამხანაგო კობერიძე, რა ვქნათ? — რატომღაც მე მკითხა კაპიტანმა.

ბიჭი სასოებით მომაჩერდა, მერე ქუდი მოიხადა, თითქოს ეკლესიაში სალოცავად შედისო. თაფლისფერი თვალები მუდარით აევსო.

— რაკი თვითონ უნდა ჩვენთან ყოფნა, დარჩეს! სავალდებულო არ არის, თოფი ვასროლინოთ...

— ამხანაგო კანდელაკო, დარჩეს ვიტია ჩვენთან? — კაპიტანი მაიას მიუბრუნდა.

— როგორც თქვენ იტყვით.

— მაშინ, დარჩეს. შენს თანაშემწედ ვნიშნავ! — პირდაპირ არ უთხრა, მოსავლელად გაბარებო.

არსად ისვრიან. ორიოდე კილომეტრი გავიარეთ და შევისვენეთ.

— რა უცნაურად ცარიელია ცა! — მაიამ მაღლა ნაღვლიანად აიხედა.

— დაგივიწყა.

— ვინ დამივიწყა?

— ვინც იყო... თავზე რომ დაგტრიალებდა.

— შენ სულ ის გიტრიალებს თავში.

— შენ არა?

თითქოს შეკითხვა ვერ გაიგონაო, პასუხი არ გამცა. გარინდებულმა სადღაც შორს გაიხედა. დაძაბული ჩანს, გეგონებათ, თავის ფიქრს უსმენსო.

გვაცნობეს: მოწინააღმდეგემ ასამბაი თითქმის უბრძოლველად დატოვა და სტარი კრიმისაკენ დაიხიაო.

ვიტიამ თქვა: ასამბაი ხელისგულივით ვიცი. იქ ხილის უზარმაზარი ბაღია, შუაბაღში კი აგურის ორსართულიანი სახლი დგასო.

ბიჭის ნათქვამი ზუსტი გამოდგა. ჩვენი ასეული სწორედ იმ ბაღში განლაგდა. სხვებმა სტარი

კრიმისაკენ მიმავალ გზასთან, მაღალი ალვების მახლობლად დაიჭირეს საბრძოლო პოზიცია.

— მირიან, ღამე იმ სახლში რომ გავათიოთ, არ შეიძლება? მუდამ ცისქვეშა ვართ...

— შეიძლება, რატომაც არა.

შევედით.

— აი, აქ შეგვიძლია დავბინავდეთ. — შევჩერდი ოთახში, რომელსაც ერთი პატარა ფანჯარა ჰქონდა, ისიც ფანერის ფიცრით აჭედილი. იატაკზე მოთელილი ნამჯა ეყარა.

— ალბათ, გერმანელების ნაწოლია,—მაიამ ზიზღით დახედა, ჯერ ფეხით კუთხეში მიხვეტა, მერე ფანერის ფიცრით გარეთ გაიტანა.

ახალი ნამჯის მოსატანად მინდორში დაყუდებულ ზვინს მივაშურეთ. ვიტიაც წამოგვყვა. ზვინში გერმანელი არ იყოს დამალული-მეთქი, ავტომატი გავსინჯე და კისერზე ჩამოვიკონწიალე.

— მალჩიკ, ნი კუშაი სნეგ! — გაუწყრა მაია.

— ა ჩტო დელატ. პიტ ხაჩუ ოჩენ!

თითქოს მინდორში ჩვენს გასვლას ელოდაო, „მესერშმიტმა“ ამაზრზენი შხუილით გადაგვიქროლა. სამივენი თოვლში ჩავცვივდით. წამოდგომა ძლივს მოვასწარით, ის წყეული ისევ გამოჩნდა. ავტომატის შემართვაც არ მაცალა, ტყვია სეტყვასავით დაგვიშინა. ვიტია წინ გაიქცა და მოწყვეტით დაეცა. მე მაიას ხელი ვკარი, ნაყუმბარევ თხრილში ჩავაგდე და თავზე გადავეფარე.

— წიუ, წიუ, წიუუუ!

უნებლიეთ თავზე წავივლე ხელები.

ტყვიის წივილი მიწყდა, თვითმფრინავის ხმაც.

— მაია, ცოცხალი ხარ?

— გადავრჩით, მგონი.

— ვიტია!

წამოდგა და შორიდან გაგვიღიმა.

მაიას ხელი მოვკიდე და ავიტაცე. ფეხზე დამდგარმა გოგომ შემომხედა და სიცილი წასკდა.

— ამ უბედურებაში რა ნახე სასაცილო?

— რა ვიცი... — უცებ სიცილი გაუწყდა და თვალები გაუფართოვდა. — ვაი?! სად გაუკრავს ტყვიას?!

ქურქი მკერდზე ირიბად ჰქონდა გაგლეჯილ-გარუჯული.

— ბეწვზე გადარჩენილხარ?!

„იქნებ საცოლე ბიჭიც იყო ის ოხერი?! რა არხეინად დააყარა ტყვია გასათხოვარ გოგოს? თითქოს თავგასართობად ბეღურებზე ნადირობსო... ო, რა უგუნურია ომი! ისვრის ადამიანი ტყვიას და არ იცის, ვის კლავს?! ყველაფერს რომ დაუფიქრდეს, გაგიჟდება კაცი...“ — უნებლიეთ ნიკაპზე წავივლე ხელი და ისე მაგრად მოვიჭირე, ყბა მომეღრიცა.

— მირიან, რა დაგემართა, ტირი?

თავი გავაქნიე, არა-მეთქი.

— აბა, რამ აგიმღვრია თვალი? მადლობა უფალს, გადავრჩით!

— დიადია მირიან, ზაჩემ პლაჩეშ?! — მომაშტერდა ვიტია.

— ნიჩევო, მალჩიკ, ნიჩევო. — ბიჭს თავზე ხელი ალერსით გადავუსვი და თოვლში ჩავარდნილი ავტომატი ავიღე.

ვიტიამ წელზე შემორტყმული თოკი შემოიხსნა და ნამჯის ბულული შეკრა.

ჩვენ ლაბადა-კარვები გავახვიეთ და ავიკიდეთ.

— ამ შუაზამთარში კალოობა გაქვს?!—მკითხა ემზარმა და ნალმტყორცნთან ისე მოხდენილად ჩაბუქნა, იფიქრებდით, ქორწილში ლამაზ ქალიშვილს ეთამაშებაო.

— რას იზამ, ნაადრევი ნათლიღების ყინვა ზოგს კალოს ალეწინებს, ზოგსაც — აცეკვებს. —მივუგე ემზარს და ტვირთი მოვიხსენი. — ვიტია, სნიმაი გრუზ!

ბიჭმა ნამჯა ძირს მოწყვეტით დააგდო და ოფლით დაცვარული შუბლი სახელოთი მოიწმინდა. მაიამ თავისი ტვირთი ჩემს ნამჯას დაადო.

ვხედავ: ბილიკზე არქიფო მოდის, ცარიელ კარდალას მოაქანავებს და რაღაცას ჯუჯღუნებს.

— ვინ გაწყენინა, ჩვენებურო?

კარდალა მიწაზე ბრაზიანად დაანარცხა, როგორც წინათ ქუდის დაბერტყება იცოდნენ, ფეხი გაჰკრა და ბურთივით გაისროლა.

— ამათი დედა ავატირე, ყველასი. ჩვენს დაჩუტულ ჩანთებს კიდევ ეს ეპირვებოდა? სურსათის ფორანსა და სამზარეულოს ბომბი დასცემია და ყველაფერი ერთმანეთში აუნდღლევია, მზარეული და ცხენი სულ ლუკმა-ლუკმა დაუფლეთია. დიდმარხვისათვის უნდა მოვემზადოთ.

„ეჰ, ყველას თავისი ჭირ-ვარამი აწუხებს. ამას ახლა დიდმარხვა უფრო ადარდებს, ვიდრე იმ საწყალი მზარეულის სიკვდილი... თუმცა, რას იზამ... ომია... სიკვდილს ზოგჯერ გულგრილად თუ არ შეხედე, რამდენს გაუძლებ?“

— ნუ გეშინია, ბიჭო, კუდაშვილს ერთი სასურსათო საწყობი ზურგზე ჰკიდია.

— კუდაშვილის იმედად მტერი გეყოლოს... ერთხელ კი მოგვცა, მარა, ყოველთვის გაიმეტებს ვითომ? შია და ერთ ლუკმასაც არ აკლებს, ჩემი ჯავშანიაო... მოუშორებლად ზურგზე ჰკიდია... კუჭცარიელ სიცოცხლეს უფრთხილდება...

— თუ ძალიან გაგვიჭირდა, გაიმეტებს... ძუნწი კაცი არ არის.

ტვირთი ავიკიდეთ და ბაღის ბილიკს გავუყევით. სამი „იუნკერსი“ გამოჩნდა.

— დაწექი, მაია! ვიტია, ლაჟის!

ქიუუუ! ქიუუუ! ქიუუ! ააზ! ააზ! ააზ! ქიუუ! ააზ!

მიწა შეირყა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...

თითქოს გაუხედნავი ცხენის ზურგზე ვარ გაწოლილი. გადადგდებას მიპირებს, მე კი ფაფარში ჩავაფრინდი და ფეხები მუცელზე მაგრად შემოვასალტე.

ერთი ბომბი სწორედ იმ ოთახს დაეცა, ჩვენ ღამის გასათევად რომ ავირჩიეთ. წინა ხაზზე ყოფნისას ყველაზე საშიში განცალკევებულ შენობაში დგომაა. ხოლო როცა საჰაერო თავდასხმაა მოსალოდნელი, მაშინ ხომ იქ არც უნდა გაჩერდე. ჩვენ ადრევე უნდა გვევარაუდა, რომ იმ სახლის ნდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ სულ ცისქვეშ ღამის თევამ ისე მოგვაბეზრა თავი, უნებლიეთ ავყევით ცთუნებას. კიდევ კარგი, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

უცებ მადლობა შევუთვალე იმ წყეულ საცოლე ბიჭს, შუა მინდორში გასულ საპატარძლო ქალიშვილზე ციდან რომ დაიწყო ტყვიამფრქვევით ნადირობა. იქ რომ არ ჩავწოლილიყავით, სახლში ნამჯის შეტანას უეჭველად მოვასწრებდით და ახლა აღარაფერი გვეცოდინებოდა, რა ხდება ქვეყნიერებაზე.

„ღმერთო ჩემო, მოდი და გაიგე, ომის ორომტრიალში ვინ გადაგარჩენს და ვინ დაგღუპავს!“

ერთ დღეს გამოიხედა თბილმა მზემ და ეს უმალვე იგრძნო მიწამ — გალხვა.

ვალიკო იაშვილმა ამბავი მოიტანა: სოფელ ყარაგოზში გერმანელებს სტარი კრიმიდან უამრავი ჯარი მოემატა და, აშკარაა, იერიშისათვის ემზადებიანო. ყარაგოზი არც ისე შორს არის, ფხიზლად ყოფნა გვმართებსო.

ასამბაიში ჯერ კანტი-კუნტად დაეცა ჭურვები, მერე მტერმა არტილერიის ცეცხლი თანდათან გააძლიერა. ყუმბარების ღმუილი, ქვემეხების გრუხუნი, ნაღმმტყორცნების ჟივილ-წივილი, ცხენების ჭიხვინი და ადამიანთა ყვირილ-ძახილი ერთმანეთში აირია.

არტილერიის ცეცხლი მინელდა და კვლავ „იუნკერსები“ გამოჩნდნენ.

ჟიუუუ! აახ, ჟიუუუ! აახ!

ისევ ზათქი და ზრიალი ატყდა ჩვენს ირგვლივ. თოვლნარევი მიწის შადრევნები ავარდა ცაში. „იუნკერსები“ გაფრინდნენ.

ბაღში ოცამდე შავი ორმო დავთვალე. ერთ-ერთი ორმოს მიწაში ზემდეგი მიტროფანე ჩხაიძე იყო აზელილი. თვალი მოვკარი და მეორედ იქით გახედვა ველარ შევძელი.

წამით მომელანდა, რომ მაია იმ შავი ორმოს გადაღმა თოვლში წევს, წევს მთლიანად დაფლეთილი და სისხლით მოსვრილი.

შემოვტრიალდი და იქით გავიქეცი, სადაც ერთი საათის წინ მაია დავტოვე. გზის გადაღმა, ფარდულთან, შეჯგუფული ხალხი დავინახე. მაია არ ჩანდა. ფეხები შემებორკა, ახლოს მისვლა ვერ გავბედე... ვერც პირი ვიბრუნე. მერე ფარდულიდან დოლბანდით თავშეხვეული ჯარისკაცი გამოვიდა და მაია გამოჰყვა. ერთ, სიხარული არ მიგრძვნია, მუხლი სწორედ ახლა მომეკვეთა, კინაღამ წავიქეცი.

— მაია, ბევრია დაჭრილი?

— დაჭრილი მხოლოდ ორი კაცია... უამრავი ხალხი დაიღუპა.

უკან გამოვბრუნდი.

ნიკო სანგრის კედელს მიჰკვრია, გეგონებათ მიწა ჩაუბღუჯავს და ველარ ელევაო. ადამიანის ფერი აღარ ადევს. კაცი თვალებად ქცეულა. ნამდვილად გიჟსა ჰგავს. სანგრიდან რომ ამოხტეს და ცეკვა დაიწყოს, არ გამიკვირდება. მისი სანგრის წინ ყუმბარისგან ამობრუნებული მიწა უზარმაზარი შავი ძაბრივით ჩანს.

— ძია ნიკო, ძალიან შეგეშინდა?

— მე რა, ჩემი თავი ჯანდაბას! თითისტოლა ბავშვებს რა ეშველებათ, ბიჭო, რა ეშველებათ! შენ ხომ იცი...

„ვიცი, ძია ნიკო, ვიცი. შენს სიკვდილზე უფრო შენი შვილების დაობლება გაშინებს. ჩვენც რომ ცოლშვილი გვეტიროდეს შინ, ალბათ, შენნაირი შიში გვეცოდინება“.

— დამშვიდდი, ძია ნიკო, დამშვიდდი! მუდამ ასე არ იქნება...

ისევ გაისმა თვითმფრინავების ამაზრზენი ზმუილი. რაღაც ერთ საათში „იუნკერსებმა“ ყუმბარები სამჯერ გადმოგვაყარეს. წინა თავდასხმისას ჩვენი ნაღმმტყორცნის უკან ბომბა მიწა უშველებელზე ამოაბრუნა. მე, ვიტია და მაია იმ ორმოში ჩავწექით.

სახლი ნანგრევებად იქცა. რამდენიმე ხე ფესვებიანად ამოვარდა მიწიდან.

ჩვენი ნაღმმტყორცნი ჯართად იქცა. აქ არცერთი საზენიტო ქვემეხი არ გვქონდა, შაშხანებითა და ავტომატებით კი, აბა, რას გავხდებოდით?

არ ეშინია მხოლოდ ყველაფრისაგან დაცლილ ადამიანს. მის გულში აღარც შიშია, აღარც სიმამაცე.

ნაყუმბარევ მიწას ცახცახით ვებღაუჭებოდით, სადღაც უფრო ღრმად გვინდოდა ჩაძვრომა, ქვესკნელი კი, ჯერჯერობით, მიწის კარს არ გვიღებდა, თითქოს ზედ ცხრაკლიტული ადევსო.

ცოტა სიმყუდროვე რომ ჩამოდგა, მაია კვლავ ფარდულისკენ გაიქცა და იქ თავმოყრილი დაჭრილების მოვლა-პატრონობას შეუდგა. უნდა გენახათ, ვიტია რა მარჯვედ ეხმარებოდა.

ექიმი არსად ჩანდა. ამირანმა თქვა: ნაყუმბარევში ჩაწოლილ პოლიტხელს ჭრილობას უხვევდა, სწორედ იმ ადგილს ისევ დაეცა ყუმბარა და ორივე მიწაში აზილაო.

დახოცილების დამარხვას ვეღარ ავუდიოდით. მსუბუქად დაჭრილები ერთმანეთს უხვევდნენ ჭრილობებს და თავისი ფეხით მიდიოდნენ რაზალიევკისაკენ, სადაც მედსანბატი ეგულებოდათ. მძიმედ დაჭრილები მაიამ ორი საზიდრით გაისტუმრა.

მერე მე და საველე სხვა გუნდებისათვის ნაღმებიან ყუთებს ვეზიდებოდით.

რეხვიაშვილი თითქოს დამუნჯდაო, კრინტს აღარა სძრავდა. ისეთი პირისახე გაუხდა, ფერდობს მეწყერი რომ დაანგრევს, ყბა განზე გაუქცა. რამდენჯერმე კბილები ისე გაახრჭიალა, მეგონა, ბრაზისაგან დაიმტვრევს-მეთქი.

ყუთები ორმოში ჩავაწყვე და გაბრუნება დავაპირე. თითქოს მომცელესო, ანაზდად ბილიკზე დავენარცხე. მოულოდნელი აფეთქების ტალღამ წამაქცია.

— ვაიმე, დედა! — ჩამწვდა ყურში ვიღაცის ლონემიხდილი კვნესა.

შავ ორმოსთან გულაღმა დაწოლილი ჩვენი ოცმეთაურის თანაშემწე ბონდო ნიკურაძე დავინახე. ნაყუმბარევ თხრილს გადავახტი და მწოლარე ადამიანთან ჩავიჩოქე. საველეც უმალვე იქ გაჩნდა.

ბონდომ წამოიწია, ტანს ვეღარ მოერია და ისევ თოვლში ჩაწვა. თოვლი თანდათან გავარდისფერდა.

ნიკურაძეს ქამარი აბზინდთან ჰქონდა გაწყვეტილი. ფარაჯა გავუხსენი, ხალათი ავუწიე და... ჭიპთან გადმოყრილი წელები დავინახე. ცივ ხელზე მოხვედრილმა თბილმა სისხლმა, თითქოს თითები დამწვაო, მკლავი უნებლიეთ უკან გამაწევინა.

მოცვივდნენ ბიჭები, დახედეს და გახევდნენ. ბონდოს სააქაო პირი აღარ უჩანდა. მომაკვდავს პირისახე სიმწრით დაემანჭა, ოღონდ თვალები არ დაუხუჭავს, უფრო გაუდიდდა და ცას მიაშტერდა, მერე მარჯვენა ხელი ასწია და თითები რამდენჯერმე აათამაშა, გეგონებოდათ, რაღაცას ეპოტინება და ვერ მისწვდენიაო. ცაში ხელმოსაკიდს რას იპოვიდა, მკლავი მალე ჩამოუვარდა.

იქნებ ამ წუთზე საშინელი თვითონ შენი სიკვდილიც არ არის, როცა თვალნათლივ ხედავ, ადამიანი სულსა ლევს, შენ კი არც შველა შეგიძლია, არც სანუგეშო სიტყვის თქმა.

წინადღეს ოცმეთაური დაგვეღუპა და მისი მოვალეობა ნიკურაძეს დააკისრეს.

ახლა ესეც ეთხოვებოდა სიცოცხლეს.

უკვე რამდენი ადამიანის სიკვდილი ვნახე, მაგრამ ეს თითქოს უფრო სხვა იყო. ჩვენი პატარა ოჯახის უფროსი სწორედ გაჭირვების ჟამს ობლად გვტოვებდა. გაოგნებული დავყურებდი.

საველემ მეთაურს მკლავი აუწია, ალბათ, ეფიქრა წამოვაყენებო. ნიკურაძემ ხელი უნიათოდ გაიქნია და მილეული ხმით რაღაც წაიჩურჩულა. ეტყობა, იმედი გადაიწყვიტა, აღარაფერი მეშველება და ნუღარ მაწვალებთ, სულის ამოსვლა მაცალეთო.

მომაკვდავი ადამიანის ფართოდ გახელილ თვალებს ვერ გავუძელი. შევბრუნდი.

ერთი პირობა ისიც კი გავიფიქრე, მაიას მოსაყვანად გავიქცევი-მეთქი.

„ეჰ, რაღას უშველის...“

ბონდო ნაყუმბარევში ჩავასვენეთ და მიწა სანგარსათხრელი ბარნიჩბებით მივაყარეთ. წარწერაგაკეთებული პატარა ჯოხიც დავუსვით.

მერე ემზარი და სერგო მეზობელი გუნდის ბიჭებთან ერთად ისროდნენ, მე და საველე ისევ ნაღმებს ვეზიდებოდით.

აშკარა იყო, მოწინააღმდეგის სროლის ხმა თანდათან გვიახლოვდებოდა.

შიომ ამბავი მოიტანა: მეზობელი ოცეულიდან მხოლოდ ვაჟა კობახიძის ქვემეხი გადარჩაო. ახლა ვაჟა თვითონ არის ყველაფერი: ოცმეთაური, მომიზნე და ჭურვების მზიდავიო. სამი ტანკი დასწვა და ორი გააქციაო. პოზიციის შეცვლა უნდა და მივეხმაროთო. სერგო, ემზარი, არქიფო და ნუგზარი წაჰყვნენ.

ვაჟამ ქვემეხი ბაღში შემოაგორა. ქუდი არ ეხურა. აჯაგრული თმა ოფლს დაერბილებინა. მარცხენა წარბზე ტყვიას გაეკრა და ლოყაზე სისხლის ორტოტა ნაკვალევი ეტყობოდა. ხელებიც სისხლში ჰქონდა მოსვრილი. ფარაჯა გაეღელა და მძიმედ სუნთქავდა.

მინდოდა, რაღაცით თანამეგრძნო. ჭრილობის შეხვევა დავუპირე.

— არ მინდა, მირიან. ისეთი არაფერია, თვალს ხომ ვერ ავიხვევ? — ქვემეხის ლაფეტზე ჩამოჯდა, ჯიბიდან ქისა ამოიღო და გაზეთის ნახევზე თუთუნი დაყარა. დაებნა. აცახცახებული ხელით მეორედ დაყარა. ისევ დაებნა. საველემ თავისი თუთუნი გაუხვია და მიაწოდა.

ვაჟამ ორიოდე ლუკმა კვამლი ხარბად ჩაჰყლაპა, მერე, თითქოს რაღაცას იგონებსო, თვალი ცას გაუშტერა, თუთუნი თოვლში მოისროლა, ხელები პირისახეზე მიიფარა და ისეთი გმინვა ალმოხდა, ავადმყოფმა რომ იცის ძილში.

— ვაჟა, გტკივა რამე? ხმა ამოიღე, ბიჭო!

— უსაშველოდ მტკივა, მირიან, უსაშველოდ! რა ბიჭები დაიღუპნენ, რა ბიჭები!.. იცი, რამდენი მეზობელი მომიკვდა თვალწინ? ერთი ჩემი ღვიძლი ბიძაშვილიც. ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით... შინ დაბრუნება რომ მეღირსოს, რომელი ერთი დედის შემოხედვას გავუძლო, მირიან?! ადამიანი?! ო, რა არის ადამიანი?!. უუჰ!..

ხმა ჩაუწყდა და მე დასისხლულ ხელებში დამალული ცრემლის სულისშემძვრელი ქვითინი გავიგონე.

ვაჟას გვერდით უხმოდ ჩამოვჯექი.

ხუთიოდე წუთიც არ გასულა, კობახიძემ თავი ასწია და მე დავინახე საოცრად მშვიდი, სევდაჩამორეცხილი სახე და უცრემლო თვალები.

— ბიჭებო, ნუ გავახარებთ იმ ძაღლიშვილებს, იქ ჭურვები დარჩა, ბარემ ისიც გადმოვიტანოთ, მომეხმარეთ ძმურად!

გზისპირას ჩამწკრივებული მაღალი ალვების ახლო-მახლო თეთრი თოვლი თითქმის აღარ იყო. ჩვენ მიწაში გაჩენილ შავძაბრებშუა მივაბიჯებდით. ირგვლივ დამწვარი მიწის, დახრუკული ხორცის, წყალში ჩაგდებული გახურებული რკინის, მჟავე კომბოსტოსა და თბილი სისხლის სუნით გაჟღენთილი ჰაერი იდგა. მიწაში დრუნჩწაჩრილი ქვემეხების ახლო-მახლო, ნაყუმბარევ ორმოებში სამუდამოდ დადუმებული ჯარისკაცები იწვნენ — ზოგი გულაღმა, ზოგიც — პირქვე.

ცხედრები რომ არ დაენახა, სავლემ ჭურვების ყუთები აიფარა და ისე წაძუნძულდა, თითქოს უკან რაღაც საშინელება მისდევსო.

უკანასკნელი ყუთები რომ გადმოგვქონდა, თოფების ბათქა-ბუთქი ატყდა. ჩვენს თავზე, ძალიან მაღლა, ორი ბომბდამშენი თვითმფრინავი გამოჩნდა. მერე რაღაც უცნაურად გამაოგნებელი წივილ-კივილი და გოდება გაისმა, გეგონებოდათ, ცა ჩამოიქცა და ქვეყნიერების დაღუპვის ჟამი დადგაო.

გახევდა სავლე, გავხევდი მე, არც ვაჟა განძრეულა. თითქოს უსაშველო უბედურებას ველოდით და სიკვდილი ასევე გვინდოდა, ზეზეურად.

თოვლში აზელილ მიწას ჯერ უზარმაზარი რკინის კასრი დაასკდა ზათქით, შემდეგ გრძელი რელსი გულისგამაწვრილებელი წივილ-კივილით დაენარცხა.

კასრიც და რელსიც საგანგებოდ იყო დაჩვრეტილი.

თვითმფრინავები გაგვშორდნენ, ჩვენ კი ისევ გაშტერებულები ვიდექით. ხომ დიდი თვალები ჰქონდა სავლეს, ისე გაფართოებული მაინც არასოდეს მინახავს.

— მირიან?! ჰა, მირიან?! — წაიჩურჩულა სავლემ.

— რა გინდა?

— გამაგებიე, რა ხდება ქვეყანაზე? ამ ჯოჯოხეთს როდემდე გავუძლებთ? უუჰ, ეს თუ სიცოცხლეა!.. — სავლემ თოფი წამში გატენა და შეატრიალა.

ეს ისე სწრაფად მოხდა. მე მხოლოდ წამოყვირება მოვასწრე:

— სავლე, რას შვები?! არ გაბედო!

მეგონა, თავს იკლავს-მეთქი. სავლემ კი თოფი ცაში გაისროლა, ერთხელ კი არა, სამჯერ ზედიზედ.

— ნუ გეშინია, მირიან, ცაში ვისვრი, ცაში?!

— ცაში ვის რას დააკლებ, ბიჭო?!

— ღმერთს ვესვრი, მირიან, ღმერთს! თუ სადმეა, რას უყურებს ის შობელძაღლი?! ცოტა ხნით მაინც რატომ არ ჩამოდის მიწაზე?! ნახოს რა ჯოჯოხეთი ტრიალებს! უუჰ! — სავლემ რატომღაც ხელები მომხვია, თავი მხარზე ჩამომადო და ბავშვივით ატირდა.

— ღმერთს ცაში რა უნდა, ბიჭო? ღმერთი აქ არის, მიწაზე! — სავლე ჭურვის ყუთზე დავაჯინე.

— გამაგებიეთ, კაცო, გამაგებიეთ, ეს წყეული ფაშისტებიც ღმერთის გაჩენილი ადამიანები არიან?! — აკანკალებული სავლე წამოდგა და, თითქოს ვიღაცას ემუქრებაო, დამუშტული ხელები ცაში აყარა.

ასამბაიში თავდაცვის ხაზი წრიულად დავიჭირეთ. სამ დღე და ღამეს ბრძოლა არ შეგვიწყვეტია. როდის მეძინა, არ მახსოვს.

პოლკის შტაბთან რადიოკავშირი გაწყდა. რაიმე ნიშანს აღარც მაშხალებით გვაძლევდნენ. ნაღმები გამოგველია. ტყვია-წამალიც ცოტა დაგვრჩა.

დაზვერვიდან დაბრუნებულმა ვალიკო იაშვილმაც ცუდი ამბავი მოიტანა: რაზალიევკაში გერმანელები დგანან, პოლკის შტაბი აღარ არსებობს და არც მეზობელი ბატალიონების ნიშანწყალი ჩანს სადმეო, ირგვლივ მხოლოდ ფაშისტები არიანო.

ჩვენ უამისოდაც ეხვდებოდით, რომ თავი მარყუჟში გვქონდა გაყოფილი, „ტომარაში“ ვიყავით მოქცეულნი და ახლა სასწაული თუღა გადაგვარჩენდა.

ჯიბრზე მოთოვა, მიწა ისევ გაიძაგრა და სუსხიანმა ქარმაც დაუბერა.

შებინდებისას ჩვენმა ბიჭებმა ერთად შევიყარეთ თავი.

კარგა ხანს კრინტი არავის დაუძრავს. შემაძრწუნებელი იყო ეს დუმილი.

ჯიბუტი ასე სახეამღვრეული არასდროს მინახავს. ერთხანს ბოლთასა სცემდა, მერე უცებ ყველაზე სიტყვაძვირ უჩა მჭედლიძეს მიადგა:

— ჰე, ამოიღე ხმა, კაცო! თქვი რამე!

— ეჰ, მე რა უნდა ვთქვა?

— ოღონდ ხმა ამოიღე, რამე თქვი და თუ გინდა, შემომაგინე!

— ეჰ, შენ რას გერჩი?

— აბა, ვისაც გინდა, იმას შეაგინე!

— ეჰ! — ხელი ჩაიქნია სიტყვაძვირმა კაცმა და მობუზულ შავიძეს დაუდგა გვერდით.

ისევ შემაძრწუნებელი დუმილი ჩამოდგა.

ესტატე დეისაძემ თოფის საკეტი გაარჩხაკუნა.

ეს გრძელულვაშა ჯარისკაცი კი ნამდვილად თავს იკლავს-მეთქი, ხელებში ვეცი.

— ესტატე, სისულელე არაფერი ჩაიდინო!

— შენ გგონია, მე ის?.. მაგის დარდი ნუ გაქვს, რაც არ უნდა გამიჭირდეს, თავს არ მოვიკლავ... სხვისი კარნახით იმდენი ვისროლე და ერთი ჩემს ნებაზე რომ გავისროლო, არ შეიძლება? — ესტატემ ტყვია ცაში გაგზავნა. — მე ყველაზე უფრო ღამე მძულს, ჰოდა, ღამეს ვესვრი, გაიგეთ?

— მიდი, მიდი, ესროლე, იქნება მოკლა! — უთხრა ამირანმა.

— ვიცი, ვერ მოვკლავ, მაინც ვესვრი!

ისევ დუმილი ჩამოწვა.

„ზოგი ღმერთს ესვრის, ზოგი — ღამეს... იქნებ მე ახლა ამ საშინელ დუმილს ვესროლო და მოვკლა? ეჰ, სისულელეა...“

— როგორ აირია ყველაფერი?! — მეგონა, გავიფიქრე-მეთქი, თურმე მითქვამს.

— ამათი დედა ავატირე, ყველასი! — კბილებიდან გამოსცრა არქიფომ.

— რა უპატრონოდ გადმოგვყარეს! თავით ფიქრობდნენ, თუ... — ემზარს ძალიან შეეცვალა ხმა.

— გაჩუმდი, გაჩუმდი, ბიჭო! — შემოსწყრა ნიკო.

— დაგვახრჩო ამდენმა სიჩუმემ! — ემზარს გამოექომაგა სერგო.

— სიცოცხლე მოგძულდათ, სიცოცხლე? — იკითხა შალვა ცამციძემ.

— ტყუილს ვამბობ? — გაანჩხლდა ჯიბუტი.

— ტყუილს კი არ ამბობ, მარა, ხომ იცი...

— თუ გინდა, გაიქეცი და უფროსებს მიუტანე ენა...

— მე არ მივუტან, მარა, ირგვლივ იმდენი ყურია, იმდენი...

— მე არავისი არ მეშინია! ზოგჯერ თუ არა ვთქვი, ვიხრჩობი, თქვე ულმერთოებო! ხანდახან, ძალიან რომ მომივა გული, მივიკუნჭები სანგარში და ვაგინებ ხან ღმერთს, ხან ეშმაკს... ზოგჯერ ჩემ თავსაც... აბა, გული როგორ მოვიოხო? კი, ბატონო, უარს არ ვამბობ, სანამ სული მიმყვება, ვიბრძოლებ, მარა, ასე არ შეიძლება, არა! ახლა სად ჯანდაბაში წავიდეთ? აღარ შემიძლია, მეტი აღარ შემიძლია!... ჩარირამა, ჩარირამა, ბიჭებო!..

ჯიბუტს მწარე ბოლმა სიმღერად გადმოსკდა. მისი სიმღერა ტირილს უფრო ჰგავდა.

ჩარირამა, ჩარირამა, ჩარირამა, ბებია,
ყუმბარა თუ შემოგვაკლდა, ტყვია კიდევ ბევრია,
თოვლი მაინც ბევრია, ქვები მაინც ბევრია!
ჩარირამა, ბიჭებო!..

ემზარს ტირილი წასკდა:

— ბიჭებო!.. ეჰ, სადღა არიან ბიჭები?! — ყველას ზურგი შემოგვაქცია და ბინდში გახვეულ არემარეს გასძახა: — თოვლში ჩამარხულო ბიჭებო, უსაფლავოდ დაყრილო ბიჭებო! ზოგს მიწაც კი ვერ მოგაყარეთ!... ჩარირამა, ჩარირამა, ბიჭებო!.. ბიჭებოოო!..

ჯიბუტი ძირს დაემხო და ისე აზმუვლდა, უღლის მეწყვილე ერთი ხარის დაკვლისას მეორე რომ მოსთქვამს ხოლმე.

ხელი მოვკიდე და წამოვაყენე.

— გაჩუმდი, ემზარ, გაჩუმდი! ახლა ვაება რას გვიშველის, თორემ...

— თქვენც იბღავლეთ, ბიჭებო, იბღავლეთ, თორემ ბოლმა გულს გაგიხეთქავთ!

სწორედ ამ დროს კაპიტანი კუზნეცოვი წამოგვადგა თავს:

— იაშვილო, აქა ხარ? რას იტყვი ახალს?

— ვერაფერს, ამხანაგო კაპიტანო. მჭიდრო ალყაში ვართ, ბატალიონს ყველა გზა მოჭრილი აქვს... ირგვლივ ფაშისტები არიან.

— სადღა არის ბატალიონი, ორმოცდაათიოდე კაციღა დავრჩით. — თავისთვის ჩაილაპარაკა კაპიტანმა.

— აკი ჩვენს დასახმარებლად დიდძალ ჯარს გამოგზავნიანო? — შევბედე მე: — რა ხანია მტრის ზურგში ბედის ანაბარად ვიბრძვით.

— სად არის აქამდენხანს ის მაშველი ძალა, ამხანაგო კაპიტანო? — მომეშველა ამირანი.

— ჩვენს შემდეგ დესანტის გადმოსხმა არ მოხერხდა, ბიჭებო, ფეოდოსიის ნავსადგური გაიყინა.

— საჰაერო დესანტი მაინც მოეშველებიათ? — არ დააყოვნა სერგომ.

შემეშინდა, ვაითუ, ასეთმა საუბარმა კაპიტანი გააბრაზოს და ეს ყველაფერი ცუდ ამბავში გადაიზარდოს-მეთქი, მაგრამ, ეტყობა, ამას კაპიტანიც კარგად მიხვდა და თავდაჭერილობა ამჯობინა, მშვიდად და აუღელვებლად ალაპარაკდა:

— ბიჭებო, ნუ ვიდავებთ იმაზე, რაც საქმეს არ მოუხდება. ჩვენ, ყველანი, ჯარისკაცები ვართ, რაც გვიბრძანეს, პირნათლად ვასრულებდით. სანამ შეგვეძლო, თავდაუზოგავად ვიბრძოდით... კვლავაც ვიბრძოლებთ, ვიდრე ხელში თოფის დაჭერა შეგვეძლება... დაწყნარდით, ყველაზე მეტი სიმშვიდე ახლა გვმართებს. ამხანაგო კობერიძე, შეამოწმე, თქვენს ოცეულში რამდენი კაცი დარჩა. თუ არ ვცდები, თქვენ ყველაზე ნაკლებ დაზარალდით. ბაღის გასწვრივ დაიჭირეთ პოზიცია და იარაღი მზად იქონიეთ!

კაპიტანმა შიო ხარაძეს ანიშნა გამომყევიო და წავიდა.

დამარცხება აბნევს ადამიანებს, მით უმეტეს, თუ ისინი მტრის ალყაში ექცევიან. ვიდრე ვიმარჯვებდით, ყველანი ერთად ვიყავით და ჭირვარამსაც თითქოს ადვილად ვიტანდით, დავ-

მარცხდით და თითქოს რაღაცამ უცებ გაგვთიშა და ცერცვის მარცვალივით დაგვაბნია. ჩვენ დავემგვანეთ იმ ტალღას, კბოდეზე თავგანწირულად შეხლილი ზათქით რომ იმხსვრევა და იფანტება.

ამბობდნენ: გერმანელებს ღამით ბრძოლა არ უყვართო, შებინდებისთანავე სახლებსა და ძელმიწურებში ქათმებივით შეიყუჟებიან, ზოგჯერ ტანსაცმელსაც კი იხდიან და დილამდე არხეინად სძინავთო, მხოლოდ გუშაგები ფხიზლობენო.

ამ ღამით თავის რჯულს უღალატეს. თითქოს ჩვენი დაბნეულობა დაინახეს, სასოწარკვეთა იგრძნეს და ცეცხლზე ნავთს გვისხამენო, სულ რომ ჩამობნელდა, სროლა უფრო გაახშირეს. არა გვზოგავდა ქვემეხი და ტყვიამფრქვევი, ნაღმტყორცნი და თოფი. გვესროდნენ ოთხივე მხრიდან, აქაოდა, არ დაგვაიწყდეთ. ყველა გზა რომ მოჭრილი გაქვთ, დაგვნებდით, თორემ ასამბაიში სიკვდილი არცერთს არ აგცდებათო.

ერთ ფარდულს ცეცხლი წაეკიდა და იქაურობა გაანათა. ფარდულის ახლო-მახლო გავლა-გამოვლას ვერიდებოდით. ის ცეცხლი ოდნავადაც არ გვათბობდა, ჯაშუშივით კი გვიბრიალებდა თვალს.

თოვლიან სანგრებში ჩავდექით. იქნებ ზოგი გულში იგინებოდა, საყვედურის სათქმელად კი ხმა არავის ამოუღია. ეტყობოდა, ყველას თავისი საფიქრალი აწუხებდა. მაია ჩვენს სანგრებთან აბაკუნებდა ფეხებს. მინდოდა, როგორმე მენუგეშებია, სიტყვა კი ვერ გამოვნახე.

მეზობელ სანგარში ავტომატმომარჯვებული ვალიკო იდგა, კისერზე დურბინდი ეკიდა, ზურგზე — გერმანული აბგა.

მე ვიცოდი, რომ იმ აბგაში ვალიკოს კვლავ ედო ნადავლი კაბა და თექის ჩექმები, ეს იცოდა მაიამაც. გოგო თვითონ არ სთხოვდა და მე ხომ ვერ დავაძალებდი? თორემ ახლა დიახაც აჯობებდა, ქირზის ცივი ჩექმების ნაცვლად მაიას თექის თბილი ჩექმები რომ სცმოდა.

რატომღაც ის ამბავი გამახსენდა, ვალიკო მაიას რომ მიუჩოჩდა ღამით.

„ჰო, ის, რა თქმა უნდა, სითავხედე იყო, თუმცა... რა ვიცი, ვითომ საშინელ დანაშაულს ჩადიოდა? ალბათ, ყველა თავისებურად მართალია. ამ ქვეყნიდან ვის უნდა ისე წასვლა, ქალის ერთი ალერსი მაინც არ წაიღოს თან? აბა, ამ წუთისოფელში მარტო იმისთვის ხომ არ მოვდივართ, ხელში თოფი დაეიჭიროთ, ვიღაც მოვკლათ და ვიღაცამ ჩვენ მოგვკლას?"

იმ გარინდებულმა წუთმა სიკვდილის პირისპირ დამდგარ ვალიკო იაშვილს თითქოს ყველაფერი აპატია. მისი სითავხედე რაღაცნაირად გაამართლა კიდეც.

„ნუთუ როცა სიკვდილის პირისპირ ვდგებით, ბევრი რამ სხვანაირად გვეჩვენება? იქნებ ღმერთი კი არა, სწორედ სიკვდილია ადამიანური ცოდვების შემნდობი? სიკვდილი თვითონ იმხელა ცოდვაა, იმ ცოდვასთან შედარებით, ალბათ, ყველა ცოდვა [illegible] იქცევა... საერთოდ კი, ვინ იცის, ამ ქვეყნად ცოდვა რა არის და მადლი რა არის? იქნებ ადამიანებს რასაც ცოდვად მოგვაწერენ, სწორედ ის არის მადლი და რასაც მადლად გვისახავენ, ის არის ცოდვა? რა ვიცი, რა ვიცი..."

— მაია, გინდა, ვალიკოს თექის ჩექმებს გამოვართმევ.

— არა.

— ცოდვა ხარ, გოგო, მოგეყინება ფეხები.

— არ მინდა, გავძლებ როგორმე.

— შენ იცი! ფარდულში მაინც წადი.

— არა, აქ მირჩევნია.

— საშიშია ზევით სირბილი, ერთობ ხშირად ისვრიან!

— რას ვიზამთ...

— ბიჭებო, ბატალიონის მეთაურთან ვიკრიბებით, ყველა უნდა წამოხვიდეთ! — შორიდან მოგვაძახა შიო ხარაძემ.

— რა მინდაო?

— მივალთ და გვეტყვის.

ვაჟა კობახიძეს გავუარეთ.

— მე ქვემეხს ვერ მივატოვებ! — ვაჟა ჭურვის ყუთებზე ჩამოჯდა. — რასაც კაპიტანი იტყვის, დაუსწრებლად ვეთანხმები.

— მირიან, მარტო ხომ არ მივატოვებთ, მეც დავრჩები. — ვაჟას სავლე მიუჯდა გვერდით.

— კეთილი, დარჩით! წავიდეთ, მაია! პაშლი, ვიტია! ვალიკო, არ მოდიხარ?

— გავშეშდი ამ სანგარში, ფეხის განძრევას რა სჯობია.

ცეცხლმოკიდებული ფარდულიდან ასიოდე მეტრზე ბუდრუგანა იდგა. ორმოციოდე კაცმა იქ მოიყარა თავი.

„ვაი დედასა მტრისასა! ესღა დარჩა ჩვენი ბატალიონიდან?!"

ცეცხლის შუქი ჩვენამდე მკრთალად აღწევდა. მაინც შევნიშნე : კაპიტანს წვერი ახალი გაპარსული ჰქონდა. წარბშეტეხილი მშვიდად და მტკიცედ იყურებოდა.

— ყველა მოვიდა? — წყნარად ჰკითხა შიოს.

— თითქმის.

კუზნეცოვი წაქცეულ ბუდრუგანასთან მიდგა, პირისახეზე ხელი ჩამოისვა, მერე წამით თავი დახარა, გეგონებოდათ, ძირს რაღაცას ეძებსო და ჩუმად დაიწყო:

— მეგობრებო, ყველა ხედავთ, რა დღეშიც ვართ. აშკარაა, ველარავინ მოგვეშველება. ამიერიდან თავს ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ. ხვალამდე რომ ასამბაიში დავრჩეთ, უეჭველია, ყველანი დავიღუპებით. იქნებ ერთი ტყვიის გასროლაც ველარ მოვახერხოთ, ისე ამოგვჟლ-

ქონ... ეს უგუნურად თავის წაგება იქნება. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ამაღამ ალყიდან უნდა გავაღწიოთ. — კაპიტანმა მიმოიხედა, რას იტყვიანო, გაურკვეველ დუმილს წააწყდა და ისევ თვითონ განაგრძო: — უკან, რაზალიევკისკენ, ჩვენ არ წავალთ. ჯერ ერთი, მტერი სწორედ იქ მოელის ალყის გარღვევას, მეორეც, ჩვენ არ ვიცით, რაზალიევკის მიღმა რა მდგომარეობაა. ჩრდილოეთ-დასავლეთით თუ წავალთ, თხუთმეტიოდე კილომეტრზე ტყიან მთებს მივადგებით. მერე ჩვენს ვაჟკაცობაზე იქნება დამოკიდებული ყველაფერი. ჯერჯერობით თავის გადასარჩენად სხვა გზას ვერ ვხედავ. პირადად მე ტყვეობას სიკვდილი მირჩევნია... ჩემთან წამოსვლას არავის ვაძალებ, ვისაც უნდა სხვა გზა აირჩიოს, წავიდეს, საითაც გული გაუწევს.

— გვცდი, ამხანაგო კაპიტანო? — უკმაყოფილოდ წამოიძახა ვალიკომ.

— ახლა გამოცდის დრო არ არის... გეფიცებით ადამიანურ სინდისს... ჩემი რწმენა ადამიანთა შორის ურთიერთნდობაა... სადაც ეს არ არის, იქ ყველაფერი მალე ირღვევა და იღუპება. მე არ გიბრძანებთ ახლა, მხოლოდ გეთათბირებით. მე თქვენი ბატალიონის მეთაური აღარა ვარ, ბატალიონი აღარ არსებობს... ჩვენ დროშაც კი არა გვაქვს, ჩვენ-ჩვენი სულის დროშის ამარა დავრჩით. მე მინდა, მებრძოლთა რაზმი შევადგინო, იქნებ პარტიზანული რაზმიც შევადგინო ნებაყოფლობით... დიახ, გამომყვეს მხოლოდ ის, ვისაც ჩემი სჯერა, ვინც მე მენდობა... სხვები თავისი გზით წავიდნენ... გეფიცებით, არ ვესვრი, თუ ჩემი რაზმის წინააღმდეგ იარაღს არ შემართავს... დიახ, ყველამ თავისი რწმენის დროშით იაროს... გიმეორებთ: ამჟამად მე რაიმეს დაძალება არ შემიძლია. დაძალებული ლუკმაც კი უგემურია, რწმენა — რა საჭიროა!.. ოღონდ, ახლავე გაფრთხილებთ, ვინც მე გამომყვება და მეთაურად მაღიარებს, კიდეც უნდა დამემორჩილოს. რაზმში არეულობასა და გაწევ-გამოწევას ვერ დავუშვებ. წესრიგსა და დისციპლინას ძველებურად მოვითხოვ, როგორც რაზმის უფროსი. იქნებ ზოგჯერ უფრო მკაცრადაც კი მოგექცეთ, რამეთუ თქვენს ბედზე პასუხისმგებელი მხოლოდ მე ვიქნები... ვისაც ჩემთან წამოსვლა სწადია, თოფი ასწიოს!

თვალის დახამხამებაში თოფების ტყე აიშალა, ერთიც არავინ შეყოყმანებულა.

ამირანმა თოფთან ერთად ფანდურიც ასწია. ვერ დავინახე, მხოლოდ ვიგრძენი: კუზნეცოვს თვალზე ცრემლი მოადგა.

— ბედნიერი ვარ, გმადლობთ, მეგობრებო! ჩვენ ამიერიდან სიკვდილისა და სიცოცხლის ძმები ვართ. ასეც ველოდი. თქვენთან ერთად ჯოჯოხეთის ცეცხლში შესვლასაც არ მოვერიდები. მე მჯერა თქვენი. რაკი თქვენც ასევე გჯერათ ჩემი, ნახევარ საათში გზას დავადგებით. თუ ვარგისი ქვემეხები და ნაღმმტყორცნები დარჩა, მოშალეთ და სანგრებში გამწეულად ჩამარხეთ. მტერმა კიდეც რომ იპოვოს, ვერ უნდა გამოიყენოს. არცერთი ვაზნა და ხელყუმბარა არ დატოვოთ აქ. თუ შაშხანები და ავტომატები გატენილი გვექნება, სარჩო-საბადებელსაც ვიშოვით და და სხვა რამესაც. ამიერიდან თოფითა ჩვენითა უნდა მოვიპოვოთ პური ჩვენი არსობისა! ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენთ, დრო საშუროა, მოემზადეთ!

კბოდეზე შეხლილი და დამსხვრეული ტალღა უხილავმა ძალამ თუ ახალი მიზნის რწმენამ კვლავ გააერთიანა და ღონემოკრებილი ისევ ძლიერ და შეუპოვარ ტალღად აქცია. ყველანი შეხმატკბილებულად ავმოქმედდით. ნაღმმტყორცნები და დაზიანებული ქვემეხები სწრაფად დავმალეთ და ზოგი სანგრებში ჩავყარეთ, ზოგი ყუმბარებისაგან ამოთხრილ ორმოებში. მერე თოვლი და მიწა მივაყარეთ.

ვაჟამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: თავისი ქვემეხის დაშლა-დამარხვა არ დაგვანება.

— შენ არ მოგვყვები, ვაჟკაცო? — ჰკითხა შიომ.

— ქვემეხიანად წამოვალ.

— ნუ სულელობ! ტყიან მთას უნდა შევაფაროთ თავი! — ავგაროზიან ძმას ფანდურიანი ძიეშველა.

— სანამ გზა იქნება, ერთად ვივლით, მერე ვნახოთ.

კაპიტანი ვაჟა კობახიძესთან თვითონ მოვიდა:

— აქაოდა, რამდენიმე ტანკი ავაფეთქეო, აღარ გვემორჩილები? იცოდე, ურჩობას ჩვენ არავის ვაპატიებთ!

— ამხანაგო კაპიტანო, აქ ურჩობა რა შუაშია? ერთი ქვემეხი რომ წამოვიღოთ, რა დაშავდება? ჭურვები დამრჩა, ტყუილად ხომ არ გადავყრი? ვინ იცის, სად გამოგვადგეს...

— ქვემეხის თრევის თავი ვისა აქვს, კაცო? ალყიდან ქურდულად უნდა გავიპაროთ. დილამდე თუ ტყეში არ შევასწარით, ალბათ, ყველანი დავიღუპებით.

— ქვემეხს ჩვენ არ ვათრევთ. ასეულში ორი ცხენი დაგვრჩა. ტყეში რომ შევალთ, ქვემეხს დავმალავთ და ცხენებს დავკლავთ. სადაც ჩვენ გავალთ, იქ ქვემეხსაც გავაპარებთ... მენდეთ, ამხანაგო კაპიტანო!

— ო, რა ჯიუტი ხარ! მაინცდამაინც შენი უნდა გაიტანო! კარგი, შეუბი ცხენები, ოღონდ ფრთხილად!

თითქოს განზრახვას მიგვიხვდნენო, ასამბაიდან გასვლა რომ დავაპირეთ, გერმანელებმა ცაში მაშხალები დაჰკიდეს და სინათლის დიდი ღობე შემოგვავლეს. ერთ პატარა ხევში კარგა ხანს ვიდექით გარინდულნი.

მაშხალები ჩაქრა და უკუნი ღამე ჩამოწვა. ასამბაი უკან მოვიტოვეთ და ტრიალ მინდორზე გავედით. წინ ვალიკო იაშვილი, ტყუპები და კაპიტანი ლეონიდ კუზნეცოვი მიდიოდნენ, მერე ორი ცხენი ქვემეხსა და ჭურვების ყუთებით დატვირთულ სახელდახელოდ გამართულ ურიკას მიაგორებდა. ჩვენ ბორბლების კვალს მივყვებოდით. კარდალები და მათარები ზურგჩანთებში ცალცალკე ჩავდეთ, რომ არ ეჩხაკუნა. არც თუთუნს აბოლებდა ვინმე. კაპიტანმა ადრევე გაგვაფრთხილა: ალყიდან გასვლამდე მოწევა არ შეიძლებაო.

მაიამ გემზე მოქსოვილი ჭრელი წინდები ვიტიას ხელთათმანებად ჩააცვა.

ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, ასამბაის არტილერიის ცეცხლი დაატეხეს თავს. უშენდნენ განუწყვეტლივ. ალბათ, ყველაფრის მიწასთან გასწორება ეწადათ.

— ჩინებულია, — თქვა კაპიტანმა, — მტერმა ჩვენი წამოსვლა ვერ გაიგო, ისევ ასამბაიში ვეგულებით. ახლა აქეთაც ჩუმად უნდა გავძვრეთ. მთავარია, ტრიალ მინდორს დროულად გავშორდეთ.

კუზნეცოვმა ჩაიმუხლა, ქურქზე მოხურული ლაბადა-კარავი საიმედოდ მოიფარა და პლანშეტზე დადებულ რუკას ხელფარანი დაამუქა. მერე კომპასი ხელში დაიჭირა და მზვერავებს წინ წაუძღვა.

შუაღამისას ქარბუქი ატყდა. სწორედ ამგვარ ამინდზე იტყვიან ხოლმე: გარეთ ძაღლსაც არ გააგდებენო. ფეხის გადადგმა გაგვიჭირდა, გაჩერებაც არ შეიძლებოდა. ეს ქარბუქი მტერს უფრო უხვევდა თვალს. ჰოდა, ვიდრე ჩვენი მოთვალთვალე დაბრმავებული იყო, ტრიალი მინდორი უკან უნდა მოგვეტოვებინა.

ლაბადა-კარავი თითქმის ყველას ეხურა. სავალემ ვიტიასაც კი უშოვნა. ეს დიდი შეღავათი იყო. ქარბუქს ადვილად იგერიებდა. მართალია, გაიყინა და გულისგამაწვრილებლად ხრიგინებდა, მაგრამ ამას აღარ ვჩიოდით.

მაიას ჯალამბარი და სანიტრის ჩანთა გამოვართვი. გრძელ გზაზე ერთი კილოგრამი ტვირთიც კი ფუთად იქცევა ხოლმე.

განთიადისას ქარბუქმა იმძლავრა. არქიფოს სავლე რომ არ მიშველებოდა, ნამქერი დამარხავდა.

— მირიან, არ დამეკარგო! — მაიამ თვითონ გამომიწოდა თათმანიანი ხელი და მკლავზე მაგრად ჩამეჭიდა. — თუ ავი რამ გვიწერია...

— ნუ გეშინია, ზღვაში დაგპირდი, გადაგარჩენ-მეთქი, აქ მიწაა... ეს ქარბუქი არც ისე ღონიერია, მალე ჩადგება.

მე მაინცდამაინც ვერ დავიკვეხნი, ძალიან ღონიერი ვარ-მეთქი, მაგრამ იმის ნებისყოფა კი მაქეს, ჩემი ძალღონე მოთმინებით გამოვიზოგო და ადვილად არ დავეცე. ამ საშინელ ღამეს ბუნების ეს ჯილდო ყველაზე მეტად გამომადგა.

— ყირიმში და ასეთი ყინვა-ყიამეთი, კაცო?! — ლოყები თოვლით დაიზილა ამირანმა.

— ომმა, ეტყობა, ზამთარსაც შეუშლია გზაკვალი. — გაეპასუხა ძმა.

იფიქრებდით, ეს საშინელი და სულისშემხუთველი ნამქერი ვიღაცამ გერმანელების თვალის ასახვევად დაატრიალაო, ტრიალი მინდორი გათავდა და ქარმაც თეთრი ფრთები დაკეცა, დაღლილმა დაისვენა და მოთქმა-გოდება შეწყვიტა.

ღიმილსა ჰგავდა განთიადი, გეგონებოდათ, შფოთვით ღამეგათეულ ზეცას რაღაც უხარიაო.

„ვითომ ახლა ცამ მოწყალების თვალით გადმოგვხედა?“

მივაბიჯებთ და იქით-აქეთ ვიყურებით.

ჯერჯერობით არც მთა ჩანს სადმე, არც — ტყე.

განთიადის შუქნაკრავი თოვლი ზღვისფრად ლივლივებს და მე ამ ზღვაში ვხედავ მწვანე ლაბადა-კარვებში გახვეულ, გრძლად გაჭიმულ, დაღლილ-დაქანცულ ტალღას, რომელიც ფეხზე ძლივსა დგას და მაინც წინ მიიწევს შეუპოვრად.

ირგვლივ ისეთი დუმილია, გეგონება, ამქვეყნად თოფი არასოდეს გავარდნილაო. ჯარისკაცები თითო-ოროლა სიტყვას თუ გადაუგდებენ ერთმანეთს.

— გადავრჩით, მგონი.

— ღმერთმა კარგი ყურით გისმინოს!

ფანდურიანი ძმა ავგაროზიანს ხელსა ჰკრავს:

— ახლა მაინც მომაწევინე, ბიჭო!

— ცოტაც მოიცა, სულწასულო, ჯერ რიგიანად არ გათენებულა. ეშმაკს პირი არ უჩანს.

რაღა დროს ეშმაკია, მოიტა, თორემ!

— აღარა მაქვს შენი გასაფუჭებელი თუთუნი.

ჩემ წინ სავლე ცალსაბურავდაჩუტულ მანქანასავით მიდის. გუშინ საღამოს მარცხენა ჩექმა მთლიანად შემოეგლიჯა და შიშველი თითები გადმოყარა. ადგა და იმ ფეხზე ქალამანი ჩაიცვა.

ახლა სავლეს ვიტიასთვის ჩაუვლია ხელი და გამობმულივით მიჰყავს. სთხოვა: ზურგზე აგიკიდებო. იუკადრისა ბიჭმა: როგორ მიბედავ, მეც თქვენისთანა ჯარისკაცი ვარო. ჩუმჩუმად ყინულს კამფეტივითა წუწნის. „დიადია“ სავლე უშლის, „ნე ნადაო“, მაგრამ მეურვის გრძელნაბიჯებს ადევნებული ბიჭი, ეტყობა, ისეა ტანგახურებული, ამ ცთუნებისაგან თავს ვერ იკავებს.

ასამბაიში ვიტიამ კარაბინი იშოვა. მე წავართვი. არ მინდა, ჯერ ბავშვმა თოფი ისროლოს და ვიღაც მოკლას. სჯობია, მაიას მიეხმაროს ხოლმე.

— ვიტია, ნე ნადა, ნე ნადა! — სავლემ ყინული ხელიდან გააგდებინა. — დავაი, სადის! — ზურგი მიუშვირა.

— ნეტ! — კვლავ ჯიუტად გაიმეორა ბიჭმა.

ისევ ხელიხელჩაკიდებულნი გაუყვნენ გზას.

— სავლეჯან, ბავშვის მოვლა გემარჯვება, აი! — უთხრა მედოლემ.

— ჩემი უმცროსი და-ძმები სულ ჩემ ხელში არ გაიზარდნენ?!

— ღმერთმა კარგი გაძლება მოგცეს, ექვსი ბავშვის ჰყვირილმა გაგზარდა ასე ოტროველა?

— აპა, არა! ბავშვის ჰყვირილისთანად არაფერი არ მიყვარს, სიმღერას მირჩევნია. გულში მაქ ჩათქმული, შინ დაბრუნებისთანავე ერთ დონდროხა გოგოს მოვიყვან და ცხრა შვილს გავაჩენინებ... იმ ცხრა შვილს კიდევ ცხრა-ცხრა შვილი ეყოლება და, ჰერი, გამრავლდება ჩემი გვარ-ჯილაგი. არა, თუ?

— ღმერთმა გაგამრავლოს!

ჩუმად მიდიან ჯარისკაცები. ისმის ლაბადაკარვების ხრიგინი და კიდევ რაღაც იდუმალი ხმა. იქნებ ეს ჩექმებისა და ბათინკების ჰრიაალია ან სადღაც შორს ხანგამოშვებით ისვრიან. მე კი რატომღაც მეჩვენება, რომ ამ იდუმალ ხმად წყნარი, ძალიან წყნარი ღიღინი მოგვყვება. არ ვიცი, რა ღიღინებს, განთიადი თუ ჩვენი სული, რომელმაც ფაშისტების ალყას თავი დააღწია. ეს ღიღინი ლოცვასაც ჰგავს... ომის გზაზე მიმავალი ჯარისკაცის გვერდით ამგზავრებულ ლოცვას... ლოცულობს დედა, და, შვილი... ყველა ლოცულობს და ეს ლოცვა ჩვენ მოგვყვება...

მიდიან ჯარისკაცები, წამით შეჩერდებიან ხოლმე, რაღაცას დაძაბულად მიუგდებენ ყურს და კვლავ მიდიან.

ვიცი, ისინი რასაც უგდებენ ყურს: ხომ არსად ისვრიანო. ეჩვენებათ, რომ სროლის ხმა მოსდევთ. მე კი მინდა თავი დავირწმუნო, რომ ისინი ყურს უგდებენ ლოცვას, რომელიც ოდნავ ირხევა, ხან აიწევს, ხან მიწყნარდება და ქრება.

ჯიბუტი შეჩერდა, რეხვიაშვილის ფეხებს ირიბად გახედა, ტაში შემოჰკრა და წამოიძახა:

— დიდუუუ! ეს რა გიქნია, სავლეია?!

— რა იყო, შე მაღვალაკო, ქვე ქალამანი არ გინახავს? შენც ისე მეყოლები გაზრდილი... დამეხა, ბიჭო, დამპალი მეშით შეკერილი ის მეორე ჩექმა და რავარც მიხერხდება...

— თუ კაცი ხარ, საიქიოში ასე წასვლას მოერიდე, თორემ შენზე დიდი სატანჯველი ადამის ძეს არ მოევლინება.

— იჰ, იტყვი რაღაცას.

— სამოთხის მოციქულები ქალამნიან ფეხში ჩაგავლებენ ხელს და თავისკენ წაგქაჩავენ, ჯოჯოხეთის მოციქულები ჩექმიან ფეხზე მოგეჭიდებიან და თავისკენ წაგათრევენ. შე უბედურო, შუაზე გაიხლიჩები... ისე, ორი ჩემხელა კაცი კი გამოხვალ...

— ერთი შენც მოგცლია.—ხელი ჩეუქნია სავლემ.

— ემზარ, რომელ სახარებაში ამოიკითხე, ბიჭო, ეგ სიბრძნე? — ვკითხე მე.

— სახარება არ უნდა ამას, მე ჩემი ჭკუა მაქვს.

— ვაი იმ ჭკუას, შენ რომ გაქვს! — გაიცინა ამირანმა.

— მე რაც არ ვიცი, ბიჭო, არც ვამბობ. განკითხვის ჟამს სამოთხეში მხოლოდ ქალამნიან ხალხს შეუშვებენ, ჩექმიანი კაცი იქ ვერ გაიჭაჭანებს.

— ვაჰ, რატომ, კაცო? — გაუკვირდა სერგოს.

— რა ვიცი მე. დანარჩენი შენ გაარკვიე, ყველაფერზე მე ვიმტვრიო თავი? ამდენი ფიქრით ჭკუა მეღრძო.

— გეტყობა კიდეც! — დაიმედა ამირანმა.

— ა, ახლა ეს გადამეკიდა! ენა დააყენე, ბიჭო, თვარა, მაგ ფანდურს თავზე გადაგამტვრევ!

ცოტაც გავიარეთ. ახლა რეხვიაშვილს მედოლე შეუჩნდა:

— სავლეჯან, ცალი ჩექმა ყოველთვის მარცხენა ფეხზე რომ გეხევა, ექვსი თითი გაქვს?

სავლემ ხელი ჩაუქნია: სალაპარაკო სხვა ვერაფერი გამონახეთო.

— გგონიათ, მართლა დაეხა? — შემობრუნდა ვალიკო იაშვილი. — ცალი ჩექმა და ცალი ქალამანი ასამბაიში შემოეჭამა, პურივითა და ყველივით მიატანა ერთმანეთს. ძია ნიკო, სანამ ეს მეორე ჩექმა და ქალამანიც შემოეჭმება, სავლეს მიეცი რამე!

— სავლეს თავი უფრო გაწუხებს, თუ შენი? — მიუგო კუდაშვილმა და გზა განაგრძო.

ნიკომ მეორე ზურგჩანთა ასამბაიში დასცალა, ეს ერთი კი ისევ კუზივით ადგას. ბიჭებს ფიცივით უთხრა: ამას კი ვეღარ შეველევი და ტყუილად ნუ შემომიჩნდებითო.

— ძია ნიკო, არ გაბრიყვდე და ახლა ჩანთას თავი არ მოხსნა. — ოქროს კბილი გამოაჩინა მედოლემ. — ხომ ნახე, კონცენტრატებითა და გამხმარი პურით აშენებულმა ციხე-სიმაგრემ როგორ გიშველა! ეგ რომ არა გქონოდა ზურგზე აკიდებული, სალსალამათი ვერ გადარჩებოდი, მააშ! კარგად მოუარე, კარგად, გამოგვადგება! ვინ იცის, რა დღეში ჩავცვივდეთ.

კუდაშვილმა მედოლეს არც მოხედა.

იმ კუზიანი კაცის უკან ილაჯგაწყვეტილი არქიფო სვანიძე მთვრალივით მიბარბაცებს. ისე მოხრილა, თითქოს ზურგზე ვინმე აზისო. კარგა ხანია წვერი არ გაუპარსავს, ეს უფრო დაღლილ სახეს უჩენს. რაღა ის და რაღა ელიოზი.

— არქიფო, რას შვები, გამოგელია არაქათი?

— ეჰ, ამათი დედა ავატირე, ყველასი. უძილობამ გამომათაყვანა და შიმშილმა სულ მომითავა ხელი. ღმერთო, კარგი ყურით მისმინე და, შინ დაბრუნება თუ მეღირსა, ერთს გემრიელად გამოვთვრები, გამოვძღები მატრონიას ხარივით, ჩავგორდები ლოგინში და ცხრა დღე და ღამე გადაბმულად ვიძინებ.

— ვინ არის, ბიჭო, მატრონია?

— ერთი დედაბერი იყო ჩემ დედულეთში. შავი ხარი ჰყავდა, რქებგადაგრეხილი. თუ მიუშვებდი, იჯრაზე ნახევარ ზვინ თივას ისე გამოა-

თავებდა, დალლარა ემზარას სიტყვებით რომ გითხრა, ერთს არ დაასლოკინებდა. ახლაც მიკვირს, იმდენი თივა რა მუცელში ეტეოდა? ჭამდა და და არ სუქდებოდა, მთლად ჩემსავით იყო.

ჩვენს წინ კაცი წაიქცა, თოვლში პირქვე დაემხო და აღარ დგება. ჯერ მე ვეცი, მერე მაია, წამოვაყენეთ.

— შალიკო, შენა ხარ?

ცამციძემ ჩაკარგული თვალები ისე გაახილა, თითქოს ქვეყნიერების დანახვა ეზარებაო.

— დადექი ფეხზე, რა მოგივიდა, ბიჭო?

— კაცი არა ხარ ვინმე, კაცი? აღარ შემიძლია, თქვე უღმერთოებო, ახალი ნაავადმყოფარი ვარ...

— ამოდენა გზა გამოგივლია, ცოტაც გაუძელი, შე ღმერთძაღლო! არც ისე ჩქარა მივდივართ, ვერ მოგვდიო. ეს რა აგიკიდებია? აირწინაღი?!

— ჰო, ამ ოხრობის თრევამ სულ ამომართვა სული. ვინც ეს მოიგონა...

— შე დალოცვილო, მოიხსენი და გადააგდე!

— ხო გაგვაფრთხილეს, არაფერი დაკარგოთო... თუ ცოცხალი გადავრჩი, დამსჯიან...

—ის ზურგში გაგვაფრთხილეს... შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს, ჩემო ძამია. შეხედე, ვიღას ჰკიდია აირწინაღი? ყველას ვერ დასჯიან.

— ის წყეული გაზი რომ გამოუშვან, მოწამლული გაზი, მერე რა მეშველება?

— სადაც სხვა, იქ შენ! მოიშორე, მოიშორე!

ცამციძემ აირწინაღი ჩანთიდან ამოიღო და ისე ფრთხილად დადო ძირს, გეგონებოდათ, გატეხის ეშინიაო.

— ჩანთაში რაღა გიწყვია, გუდასავით რომ გაგიბერია? ნიკო კუდაშვილსა ბაძავ?

— პოლიტმეცადინეობის წიგნები და კონსპექტებია.

— ჰაა?!

— სოსიაშვილმა ჩამაბარა, თვალისჩინივით გაუფრთხილდიო. სადმე რომ შემხვდეს და მომთხოვოს...

— ეჰ, ველარ მოგთხოვს.

— რატომ, კაცო?

—ჭურში გეძინა? პოლიტხელი ასამბაიში ყუმბარამ დამარხა.

— რას ამბობს?! ეჰ, რა კარგი კაცი იყო...

— ყუმბარა კარგსა და ცუდს არ არჩევს.

ცამციძემ ზურგჩანთიდან ყველაფერი ამოალაგა და აირწინაღის გვერდით ისე მოწიწებით დააწყო, როგორც საფლავზე ყვავილებს დებენ. მერე ნაბიჯი გამართა და ამხანაგებს დავეწიეთ.

ნუგზარ დიასამიძე სერგო მეწალიშვილს რაღაცას უყვებოდა. მაია რომ დაინახა, ხელი ყბაზე წაივლო და აზმუვლდა ხბოსავით.

— რა მოგივიდა?

— კბილი... ჰმმმუუ! — ზმუილით ანიშნა მტკივაო.

— აჰ, სპირტი გინდა?

ნუგზარმა თავი დაუქნია.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, პირდამუწულმა იარე. მტკივან კბილს ცივი ჰაერი არ უნდა მოხვდეს და უმალვე მოგირჩება.

— მაიაჯან, მიეცი ცოტა, რა! — სთხოვა სერგო მეწალიშვილმაც.

მაიამ თავი გაუქნია.

— ვაჰ, ეს რა აუღებელი ციხე-სიმაგრეა, კაცო?! ნუგზარჯან, კოვზი ნაცარში!

სერგო და ნუგზარი კვლავ ერთად გაუყვნენ გზას.

ცოტაც რომ გავიარეთ, ჯიბუტმა ამხედ-დამხედა, თვალი მოწკურა, სალოკი თითი ცხვირის წვერზე გაისვ-გამოისვა და მკითხა:

— მირიან ჩემო, როგორა ხარ?

— რა მიშავს.

— ჰო, რა გიშავს მართლაც! ხალხი ყირიმის აგარაკებზე წამოსასვლელად უამრავ ფულსა ხარჯავს, შენ კი, აგერ, რა ხანია კოხტა გოგოსთან ერთად დასეირნობ, თანაც უფასოდ, ხვიშტ კაპიკს არავინ გახდევინებს.

— ამნაირი სეირნობა ჰიტლერს ნუ მოუშალოს ღმერთმა!

— კი, ბატონო, ყაბულსა ვარ, ამინ!

კაპიტანმა ვალიკო იაშვილს დურბინდი გამოართვა და მიდამოს გახედა.

ყველამ შეისვენა. ზოგი ძირს დაბჯენილ შაშხანას დაეყრდნო, ზოგი—ავტომატს. არავინ ჩამჯდარა.

გვერდით შიო ამომიდგა და ფარაჯის სახელოში ფრთხილად მომქიდა ხელი:

— მირიან, იცი რა, ადრეც მინდოდა მეთქვა, ბოდიშს ვიხდი, მაშინ რომ...

მობოდიშების მიზეზს ვერ მივხვდი, ამ ბიჭმა როდის მაწყენინა-მეთქი?

— არ მახსოვს?! რაზე ამბობ?!

— აი, გემზე რომ გითხარი რაღაც... ღმერთმანი არ ვიცოდი, თუ თქვენ...

— აჰ, მაშინ? ეგ რა საბოდიშოა?

— რა ვიცი, კაცნი ვართ...

— კარგად იყავი, ჩემო შიო, მაგაზე არც იფიქრო... ჩვენ შორის ისეთი არაფერია...

— ისე, იმ მოთხრობას მე მაინც დავწერ, ახლა უკეთ დავწერ.

კაპიტანმა დურბინდი ვალიკოს დაუბრუნა და ჩვენკენ შემობრუნდა:

— მეგობრებო, მთა ისევ შორსაა. ჩვენ ფეოდოსიიდან სტარი კრიმისკენ მიმავალ ფართო გზატკეცილს ვუახლოვდებით. ამ არე-მარეში დღისით გავლა შეუძლებელია, გერმანელთა საგუშაგოებს გადავწყდებით. მინდვრის ბოლოს უზარმაზარი ზვინი დგას. მოვითათბიროთ. ხომ არ აჯობებს თავი იმ ზვინში შევრგოთ? შებინდებამდე დავისვენებთ კიდეც.

— იქნებ მაგ ზვინიდან გერმანელები ნამჯას ეზიდებიან? — ეჭემა გამიელვა და ფიქრი ხმამაღლა წამომცდა.

— თუ ახლა არავინ არის იქ, ნამჯის წასაღებად მოსულ ორიოდე გერმანელს როგორმე ჩუმად ავუგებთ ანდერძს. — მომიგო კაპიტანმა.

გადაწყდა: ზვინს უნდა შევაფაროთ თავი. წინ მზვერავები გავუშვათ.

— გამოკეთდი, ვაჟკაცო? — ვკითხე ცამციძეს.

— ცოტათი კი, უფრო თავისუფლად ვარ, ფეხის გადადგმა ისე აღარ მიჭირს. აგაშენათ ღმერთმა, აგაშენათ!

ამირანი ჩვენს ჯგუფთან მოვიდა და იდუმლად წაგვჩურჩულა:

— ბიჭებო, ბიჭებო, მოდით, რა წაგიკითხოთ! ოღონდ მომეფარეთ, შიომ არ დამინახოს, თორემ...

ფანდურიან ბიჭს ავგაროზიანი ძმის უბის წიგნაკი მოუხელთებია.

— აბა, მისმინეთ, რა ბრძენი ძმა მყავს. — ამირანმა უბის წიგნაკი გადაფურცლა და საზეიმო იერით დაიწყო კითხვა: — „ელიოზი მზეს ნიშნავს. ამ საწყალ ელიოზა შავიძეს კი სულ აკანკალებს. მცივანა მზე ვის გაუგონია? ვინ იცის, ადამიანის სახელი რამდენჯერ გვატყუებს ასე?“ ხომ დიდებული სიბრძნეა? — ამირანმა წიგნაკი კვლავ გადაფურცლა: — „ასამბაიში ქვემეხები და ნაღმმტყორცნები დაემარხეთ. ომში ზოგჯერ მკერდგანგმირული ჯარისკაცები უსაფლავოდ გვრჩებიან. დაუმარხავი გვრჩებიან, თოფ-იარაღს კი ვასაფლავებთ“. ეს კიდევ არაფერი, ახლა მოისმინეთ, რას წერს: „ვაკვირდები ჩვენი ბატალიონის ჯარისკაცებს. შესანიშნავი ბიჭები არიან. ადამიანური სისუსტე ვის არა აქვს, მაგრამ ბუნებით ყველა კეთილი, წმინდა, მართალი და პატიოსანია... ასე მგონია, ყველა ამ უბრალო ადამიანის სულში ჭეშმარიტი გმირი ზის. ჩვენი ჯარისკაცები ხშირად უკმაყოფილოდ წუწუნებენ, აგინებენ ერთმანეთს და ვილაცას, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ყველაზე მძიმე განსაცდელის ჟამს, ისინი ქვეყნის ერთგულნი რჩებიან, სამშობლოსათვის თავს უყოყმანოდ სწირავენ. მე ამ ადამიანების მჯერა...“ ხედავთ, რა ძმა მყავს! კიდევ წავიკითხო?

— წაიკითხე, წაიკითხე! — დაინტერესდა ჯიბუტი. — იქნება ჩემზეც სწერია რამე!

— „ღმერთო ჩემო, რამდენი უცოლშვილო ბიჭი მოკვდა?! იმ ბიჭებთან ერთად კი უამრავი მათი შთამომავალიც... ჩვენ რომ გვგონია, ერთი ადამიანი მოკვდაო, ეს მოჩვენებითია, — ერთი ადამიანის სიკვდილის დროს მარტოოდენ ერთი ადამიანი არასოდეს არ კვდება... ერთ უცოლშვილო ჯარისკაცთან ერთად, ვინ მოთვლის, რამდენი მისი „შესაძლებელი“ შვილი და ბადიშისშვილი იღუპება? ყველა ადამიანში რამდენიმე თაობაა ჯაჭვურად გადაბმული. ჰოდა, როცა კაცი უშვილძიროდ გადადის, სიცოცხლეს ეცლება ჯაჭვის ერთი რგოლი თუ რაღაც ამგვარი —ერთ სიცოცხლეში ჩაბუდებული ათასი სიცოცხლე... ამიტომ მარტოოდენ ერთი კაცი არასოდეს არ კვდება, ისპობა უამრავი სიცოცხლის ბუდე... ჩვენთან უმეტესობა უცოლშვილო ხალხია. ეჰ!“ აუჰ, რა ფილოსოფია დაურტყა„ ბიჭო!

— უჭკუო აქ არაფერი არ წერია, — გამოვექომაგე მე შიოს.

— უჭკუო არა, მაგრამ...

— რას კითხულობ, შე ეირო, შენ?! ჯიბიდან ამომაცალე? — ბეჭზე ხელი დაჰკრა ავგაროზიანმა ძმამ ფანდურიანს.

— შე ვირო და... შე ფილოსოფოსო ვირო!— ამირანმა უკან დაიხია, წამით შედგა და შიოს მოულოდნელად მკერდზე თავი დაარტყა.

შიო წაფორხილდა, მაგრამ არ წაქცეულა.

— შენი საანგლო ვარ? მომეცი წიგნაკი ჩქარა!

— არ მოგცემ... აქ ისეთი საინტერესო რაღაც-რაღაცეები სწერია!

მომეცი-მეთქი!—შიომ ძმას ხელი წაატანა, ამირანი გაუსხლტა. შიომ ძმის დაჭერა სცადა, მხოლოდ ფანდურს მისწვდა, ამირანმა ჯიქურ გაიწია და შიოს თასმაგაწყვეტილი ფანდური შერჩა ხელში.

— მომეცი წიგნაკი, თორემ ამას არ მოგცემ!

— ნუ მომცემ! დაკვრა შენ არ იცი და არაფერი. აბარღუნე და ზედ შენი ოცობოცო ლექსები დაამღერე!

— ძმები ხომ არა ხართ, დაარტყით!—ამირანსა და შიოს შუა ემზარი ჩადგა.

— კეთილი, ასე ხომ? — ავგაროზიანმა ძმამ უფანდუროდ დარჩენილ ძმას მუშტი აჩვენა.

— რა თქმა უნდა, ასე! თუ ფილოსოფიურად განვსჯით, ეს არის ცხოვრების დიალექტიკა!— ამირანმა ძმის წიგნაკი გულისჯიბეში ჩაიდო.

— ბიჭებო, ბიჭებო, ზვინი თავისუფალია!— ვალიკო იაშვილმა შორიდან დაგვიქნია ხელი.

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოვანეს თუმანიანი

## ძახილი

თუკი ნამდვილად
ღმერთი ხარ, ღმერთი
და შენ არ შექმენ
სევდა-ვარამი,
თუკი არ მოგაქვს
წუხილი ჩვენთვის,
ტანჯვა და ცრემლი
დაუფარავი;
თუ სიბოროტის
წარმავალ შხამით
არ მოგიწამლავს
სული ნათლისა,
არ გაგიმსჭვალავს
სიავით ჟამი,
არ დაგიბერავს
გზა სიმართლისა;
თუ მართლა ქვეყნად
საშველი არ სჩანს,
დროა მძვინვარე
და უმწარესი,
თუ შენ არ გითქვამს,
რომ ჰქონდეს ტანჯვას
ამ საწუთროში
გზა-ასპარეზი,
მაშინ ერთსა გთხოვ:
რომ შეანელო
ავი ვნებანი
ადამის ძეთა,
და ამის შემდეგ,
ღმერთო მფარველო,
მე უსათუოდ
გიწამებ ღმერთად!

## ყარყატი

კეთილ იყოს შენი მოსვლა,
ჯან, ყარყატო მოგიზგიზევ,
შენ გაზაფხულს მოგვილოცავ,
გაგვიხარებ გულებს ისევ.

როცა წახველ ფრთაფარფატავ,
მარტოდ-მარტოდ, ობლად დავრჩი,
ქარმა მოსპო, მიმოფანტა
ყვავილები მთა და ბარში.

დაგვიბრუნდი, ჯან, ყარყატო,
გაიკეთე ბუდე ისევ,
მთელ წელიწადს, ფრთაფარფატავ,
იფრინე და იგიზგიზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გულუბრყვილოებს

ნეტავი თქვენა! არ გესმით ხალხის,
არც არას ავნებთ ადამიანებს.
ნეტავი თქვენა! გული გაქვთ ბალღის,
არა გრძნობთ წყენას, არცა სიავეს.
ნეტავი თქვენა! რა რიგ დიდია
ეგ თქვენეული ძალა მოთმენის.
ვიცი, რომ თქვენი გული მშვიდია,
სული კი — წყნარი და უშფოთველი.

## ჩემს ბიბლიოთეკაში

სხედან ჩემს ირგვლივ, სასიკეთოდ
შემოკრებილნი,
ქვეყნიერების ტალანტები — დიდი
მგოსნები.
ყოველდღე მესმის მათი სიტყვა,
სიბრძნე კეთილი,
სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლო მათი
ოცნების
ჩემთან არიან და მინდა ვთქვა
დაუფარავად:
არც პური შიათ და არც სამოსს არ მთხოვს
არავინ.

თარგმნა **რევაზ მარგიანმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლ ვერლენი

## სენტიმენტალური საუბარი

მდუმარე ბაღი მჭკნარ ფოთლებით გადარუჯული...
უახლოვდება ორი ლანდი ჩუმად, ჩურჩულით.

სულდგმულებია?
თითქოს, მაგრამ აქ რა გინდოდათ?
ისმის ჩურჩული:
„უბედობა, უამინდობა!“

ხეთა ჩონჩხები,
ძირს ფოთლების კორიანტელი,
მოლასლასებენ,
მოიგონეს დღე სანატრელი:

— გახსოვს?
არ გახსოვს?
სად გაფრინდა ის სიყვარული?
ის სიყვარული ჟამთ სიავით აწ დაფარული?

— შენს დაცლილ გულში
მოგონება თუ დაჰკრის ქარად?
არ მოგაგონებს ის ჩემს სახელს?
— ო, არა, არა!

— სიზმრად თუ მხედავ,
რასა ფიქრობ?
არ გიხარია?
— არა, წაგიღო დავიწყებამ დიდი ხანია!

— გახსოვს? არ გახსოვს?
ნეტარებით აღთქმული ფიცი,
მერე ალერსი გაშმაგებით,
— არა, არ ვიცი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— როგორც იმედი დაგვყურებდა ჩვენ მზის ნათელი,
— ქვეყნიერებას დარჩა ურვა და ყრუანტელი.

მდუმარე ბაღი...
საუბარი რა გულსაკლავი,
ღამის წყვდიადი
და ჩამქრალი ბედის ვარსკვლავი.

ფრანგულიდან თარგმნა **გიორგი ქავთარაძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როდიონ ქორქია

# ნ ი კ ო ლ ა ძ ე

## ისტორიული პიესა

მოქმედნი:

1. ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე
2. გ ე ნ ე რ ა ლ ი ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი
3. პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი ბ ე რ გ ი
4. მ ა მ ა ნ ტ ი — მუშა
5. პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი ჩიქოვანი
6. ს ა ლ ო მ ე — მუშა ქალი
7. ნ ა თ ე ლ ა — პროპაგანდისტი
8. კ ო წ ი ა — ექიმი
9. გ ი ო რ გ ი — ხმოსანი
10. ზ უ მ ბ ა — ახალგაზრდა მუშა
11. ს ო ლ ო მ ო ნ ი — მდივანი
12. დ უ რ ი ხ ი ნ ი — უნტერ-ოფიცერი
13. პ ა ვ ო ნ ი — იტალიისა და ინგლისის კონსული.

ეპიზოდურ როლებში ჯარისკაცები, მუშები

მოქმედება წარმოებს 1905 წლის მიწურულს

### პირველი მოქმედება

### პ ი რ ვ ე ლ ი ს უ რ ა თ ი

ფარდის ახდისას აივანზე სალომე ზის თავწაკრული და სახვევებს ითვლის. მამანტი თოფს წმენდს. შორს მოჩანს შენობათა რიგი.

ს ა ლ ო მ ე — ასი ცალი სახვევი... ჩვენი უბნის ყველა მუშის ოჯახმა გაიღო თავისი წვლილი. მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას ჩვენს უბანში ასი დაჭრილი იყოს.

მ ა მ ა ნ ტ ი — ასი კაცი მარტო ჩვენს უბანში თუ დაგვიჭრეს, საშველიც არ ყოფილა.

მ ა მ ა ნ ტ ი — (წაიღიღინებს).

აგერ დილა გათენდება,
აღსდექ, მუშავ, შენ!
შენი შრომაც დაფასდება,
ნუ გძინავს შენ.
მუშავ, მუშავ, შენ...
მუშავ, მუშავ, შენ!

ს ა ლ ო მ ე — (ეხლა სალომემ დაიწყო. მამანტიმ ბანი მისცა).

სადაც არის გათენდება,
აღსდექ, მუშავ, შენ,
ბედნიერი დღე დადგება,
კაცად გახდი, შენ!
კაცი გახდი, შენ!
მუშავ, მუშავ, შენ!
ჩემო მუშავ, შენ!

(ამ დროს ისმის მარსელიოზა).

მ ა მ ა ნ ტ ი — (გახედა ქუჩას) ჩემი რაზმი მოდის!

ს ა ლ ო მ ე — ო, როგორ მიყვარს ეგ სიმღერა!

(ახლოვდება სიმღერა):

ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს,
ჩამოვიბერტყოთ ფეხზე მის მტვერი,
ზიზღით ვუცქერით ჩვენ ოქროს
კერპებს,
მეფის ტახტის ვართ მოსისხლე მტერი.
ჩვენ მხარი მივცეთ ჩვენს ტანჯულ
მოძმეს,
მშიერ ხალხს ხელი ჩვენ გავუწოდოთ,
წყევლა და კრულვა შევუთვალოთ
მტერს,
და ბრძოლის ველზე გამოვითხოვოთ...

შ ა მ ა ნ ტ ი — (ასწია თოფი) გამოვითხოვეთ კიდეც და აჰა, აღსდგა მშიერი ხალხი, მუშა ხალხი!... წავიდეთ სალომე! სახვევები წამოიღე! რაზმელებს დავურიგოთ. (მიდის, სალომე კალათში აწყობს სახვევებს. პაუზა. ისმის კომანდის ხმები.).

ხ მ ე ბ ი — ერთი! ორი! ერთი! ორი! სწორება მარცხნივ!

ს ა ლ ო მ ე — (გახედა ქუჩას). ზუმბას რაზმი მოდის!

ზ უ მ ბ ა — (გაჩერდა აივანთან) გაუმარჯოს ერთობას!

ს ა ლ ო მ ე — მამანტი უკვე წავიდა.

ზ უ მ ბ ა — ქალბატონო სალომე, ეს წიგნები ნათელას გადაეცით (მიდის. ისმის კომანდის ხმები!).

ხ მ ე ბ ი — მარჯვნისაკენ!
— მარცხნისაკენ!
— ზურგისაკენ!
— პირდაპირ იარ!
— სდექ! დაწექით! ჩასაფრდით!
— მიზანი ასი ნაბიჯი! პირდაპირ ბათქი! (კომანდის ხმები თანდათან მიწყნარდა).

ს ა ლ ო მ ე — (კალათი აიღო. ჩამოვიდა აივნიდან. ჩქარი ნაბიჯით მოდის ნათელა). რა ამბავია ნათელა?

ნ ა თ ე ლ ა — მამანტი სად არის?

ს ა ლ ო მ ე — რაზმს ამეცადინებს. რა იყო, რა მოხდა?

ნ ა თ ე ლ ა — ცუდი ამბავია. მოსკოვის აჯანყება დამარცხდა.

ს ა ლ ო მ ე — დიდუვ, ღმერთო! რა მითხარი, ნათელა!

ნ ა თ ე ლ ა — მოსკოვის კომიტეტმა დაადგინა: შეწყდეს ბრძოლა, შეიცვალოს ტაქტიკა. რევოლუცია საფრთხეშია! სამხედრო წესებია გამოცხადებული. დამსჯელი რაზმებია გაგზავნილი მთელ საქართველოში.

ს ა ლ ო მ ე — დიდუვ, ღმერთო! (გაუვარდა კალათა. გადმოცვივდა სახვევები). ზოგმა მუშამ პერანგი გაიხადა და მე მომცა სახვევებად დაჭერიო. ახლა რა ვქნა?.. შეწყდეს ბრძოლაო, ადვილია სათქმელად!

ნ ა თ ე ლ ა — გურიაში გენერალი ტოლმაჩოვია დანიშნული ხალხის დამსჯელად, იმერეთ-სამეგრელოში კი — გენერალი ალიხანოვი. კომიტეტში ცნობა მოვიდა, ეს ალიხანოვი დიდი მხეცი ვინმეა და თავი ტყუილად არ შეაკლათო.

ს ა ლ ო მ ე — ღმერთო, რა გვეშველება!

მ ა მ ა ნ ტ ი — (შემოდის) სალომე, შეინახე თოფი! კომიტეტში მივდივარ! (დაინახა ნათელა), ოჰ, აქა ხარ? ეს რა ამბავი გავიგე! მართალია?

ნ ა თ ე ლ ა — საუბედუროდ, მართალია. კომიტეტში ხარ გამოძახებული, რაზმი უნდა დაშალო.

მ ა მ ა ნ ტ ი — რაზმი უნდა დავშალო?

ზ უ მ ბ ა — (შემოვარდა და მიიჭრა ნათელასთან) ამხანაგო ნათელა, მართალია რაც გავიგეთ?

ნ ა თ ე ლ ა — მართალია! ჩვენსკენ დამსჯელი ჯარი მოიწევს.

ზ უ მ ბ ა — მოიწევს და დავხვდებით!

ნ ა თ ე ლ ა — ბრძოლა უნდა შეწყდეს!

ზ უ მ ბ ა — როგორ თუ შეწყდეს! აბა რას ვასწავლიდით მუშებს თოფის სროლას, თუ ბრძოლაში არ გამოვიყენებდით? აბა რას ჩამოგვქონდა ეს იარაღი საზღვარგარეთიდან?

მ ა მ ა ნ ტ ი — რახან მოსკოვმა ბრძოლა შეწყვიტა... ჩვენც უნდა შევწყვიტოთ... მეტი გზა არ არის!

ზ უ მ ბ ა — ერიჰაა!.. მე გაფუჭდი და შენც გაფუჭდიო!

მ ა მ ა ნ ტ ი — მე კომიტეტს ვემორჩილები, რაზმს დავშლი.

ზ უ მ ბ ა — არა, ამხანაგო მამანტი, მე არ დავშლი რაზმს! მე არ დავყრი იარაღს. მე

ჩემი რაზმით მტერს პირდაპირ შევხვდები.

ნ ა თ ე ლ ა — წავიდეთ კომიტეტში. იქ ვილაპარაკოთ.

ზ უ მ ბ ა — მე კომიტეტშიაც ასე ვილაპარაკებ.

ნ ა თ ე ლ ა — ანარქისტო! კომიტეტს უნდა დაემორჩილო!

ზ უ მ ბ ა — მე ანარქისტი არა ვარ, ჩემს მუშურ საქმეს ვემორჩილები, ჩემს ინტერესს. შენ, ამხანაგო ნათელა, მასწავლებელი ხარ, ხვალ გაკვეთილებს ჩაუჯდები სკოლაში. მე სად წავიდე, ჩემი ორი კლასით? იხევ კურტანი ავიკიდო ზურგზე?

ნ ა თ ე ლ ა — შენ გეგონა, რევოლუცია თუ მოხდებოდა, ნიკოლაძის ადგილს მოგცემდნენ?

ზ უ მ ბ ა — არა, ნათელა, მე ბრიყვი არა ვარ, ჩემი თავის ფასი არ ვიცოდე! ნიკოლაძე ერთია ქვეყანაზე, ჩემისთანა კი ათასები. მაგრამ მეც მაქვს ჩემი თავმოყვარეობა — არ შევწყვეტ ბრძოლას! მორჩა და გათავდა! მორჩილება არ შემიძლია!

მ ა მ ა ნ ტ ი — ამხანაგო ზუმბა, შენ გაბრაზებული ხარ. გაბრაზებული კაცი კი იოლად შეცდება. დამშვიდდი... წავიდეთ კომიტეტში (მიდის).

ზ უ მ ბ ა — შენი ხათრით, ნათელა, თორემ არ წამოვიდოდი. (მიდის ნათელასთან ერთად).

ს ა ლ ო მ ე — (მარტო. ერთ ხანს ჩაფიქრებულია) დამსჯელი რაზმი მოდის?... ნეტავი, ნიკოლაძე თუ ჩამოვიდა.

ფ ა რ დ ა

## მ ე ო რ ე ს უ რ ა თ ი

გენერალ ალიხანოვის საველე შტაბი ვაგონში. კედელზე ჩამოკიდებულ რუკასთან დგას პოლკოვნიკი ბერგი, და მოახსენებს გენერალს. შეიძლება ეს სურათი ფარდის წინ მოეწყოს.

ბ ე რ გ ი — თქვენო აღმატებულებავ, დავლაშქრავთ მთელ იმერეთს (აჩვენებს რუკაზე), გადავწვავთ შორაპანს, ზესტაფონს, ხარაგაულს, ჭიათურას, ქუთაისს, სამტრედიას, დავანგრევთ სოფლებს. მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას, რასაკვირველია, გავანადგურებთ.

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — განაგრძეთ!

ბ ე რ გ ი — მოვშლით ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროს. მაგალითად, ზესტაფონი მეღვინეობის ცენტრია, შორაპანი სატრანსპორტო ვაჭრობის პუნქტია, სამტრედია დიდი საკვანძო სადგურია. ქუთაისი ხომ საგუბერნიო ქალაქია. ვითარეშებთ აჯანყებულ სოფლებში... დავაშოშმინებთ მთელ იმერეთს და... ჯერი სამეგრელოზე მიდგება.

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — კარგია, განაგრძეთ!

ბ ე რ გ ი — შემოსული ცნობიდან ჩანს, რომ სამეგრელოშიც მწვავე აგრარული გამოსვლები იყო. რევოლუციონერების მიერ მთავრობის ბევრი აგენტია დახოცილი.

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — დამნაშავეს სიკვდილი!

ბ ე რ გ ი — სამეგრელოში სამი დიდი პუნქტია, სადაც კონცენტრირებულია ამ მხარის ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება: სენაკი, ზუგდიდი და ფოთი.

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — სენაკსა და ზუგდიდს, აგრეთვე, რევოლუციურ სოფლებს მე გავუსწორდები. თქვენ განდობთ ფოთის დასჯას და დაშოშმინებას.

ბ ე რ გ ი — მესმის, თქვენო აღმატებულებავ!

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — იმერეთსა და სამეგრელოში ისეთი ცეცხლი უნდა ავარდეს, რომ მისმა ალმა ბატონ ჭავჭავაძეს თბილისში აუწვას თვალები, ხოლო ბატონ ნიკოლაძეს — ფოთში.

ბ ე რ გ ი — თქვენო აღმატებულებავ, ნება მომეცით, შეგეკითხოთ: რატომ გძულთ ქართველები?

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — ქართველებმა გატეხეს ჩემი სამშობლო დაღესტანი შამილის დროს. შური უნდა ვიძიო. მამიდან შვი-

ლამდე და შვილიდან შვილიშვილამდე უნდა დარჩეს ჩემი სახელი. მე მარტო რევოლუციას კი არ ჩავაქრობ, დავწრეტ ქართველი ხალხის საარსებო წყაროს... აგერ, ხედავთ, ფოთი! (უჩვენებს რუკაზე) ეს საქართველოს ფანჯარაა, რომლითაც უკავშირდება საქართველო ევროპას. და როგორც პეტრე დიდმა პეტერბურგის საშუალებით რუსეთი ევროპას დაუკავშირა, ისე ნიკოლაძემ საქართველო ევროპას დაუკავშირა ფოთის საშუალებით. მან გააშენა ფოთის დიდი ნავსადგური. გააშენა ქალაქი. შეჰყარა ფოთში რამდენიმე ათასი მუშა. გახსნა სკოლები, დაწესებულებები, ჭიათურასა და ფოთში ჩამოვიდნენ ევროპის კაპიტალისტები ჭიათურის მარგანეცის გასაზიდად. ფოთში ცხოვრობენ ევროპის სახელმწიფოთა კონსულები, უცხოელები. მეფისნაცვლის კანცელარიაში მითხრეს, რომ ფოთში რომ ჩახვალ, თავი ევროპის ქალაქში გეგონება... მაგრამ ჩვენ დავწვავთ ფოთს, ნაცარტუტად ვაქცევთ მთელ ქალაქს!

ბ ე რ გ ი — უნდა მოგახსენოთ, თქვენო აღმატებულებავ, მე ჩემს ოჯახშიც გამიგონია ნიკოლაძის სახელი. ბიძაჩემი ფედორ ნიკოლაევიჩ ბერგი, მწერალია, რედაქტორი და, საერთოდ, ცნობილი კაცია რუსეთში. აი, იმის კაბინეტში კიდია ნიკოლაძის სურათი... ერთ ჩარჩოშია მოთავსებული სურათი ჩერნიშევსკისა, გერცენისა და ნიკოლაძისა. ეგ ნიკოლაძე, თქვენო აღმატებულებავ, ევროპის მასშტაბის პუბლიცისტიაო, იტყოდა ხოლმე ბიძაჩემი. რასაკვირველია, თუ ის ნიკოლაძეა!

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — სწორედ ის არის. და, აი, ასეთ კაცთან გექნებათ საქმე. იოლი როდი იქნება ქალაქის გადაწვა. ნიკოლაძე გადაგეღობებათ წინ უზარმაზარი ავტორიტეტით.

ბ ე რ გ ი — მე ხომ თქვენი სახელით ვიმოქმედებ და თქვენ ნაკლები ავტორიტეტი როდი გაქვთ, თქვენო აღმატებულებავ! ჯერ ერთი: გენერალ ლეიტენანტი ბრძანდებით, შემდეგ კი თქვენ ჩინებული მწერალიც ხართ...

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — აი სწორედ ამ ნიადაგზე მომიხდა უსიამოვნება ბატონ ნიკოლაძესთან პეტერბურგში. ნიკოლაძემ სასაცილოდ აიგდო ჩემი მწერლობა. მე დავექადნე მას: თუ საქართველოში შეგხვდი, ხმლით დაგელაპარაკები მეთქი... ამიტომ არ მინდა პირადად ფოთში ჩავსვლა. ნიკოლაძე მაშინვე აფრენს დეპეშას პეტერბურგში. ვიტე მისი პირადი მეგობარია. არა, მე ვერ ჩავალ ფოთში. ფოთში ისეთი ოფიცერი უნდა ჩავიდეს, რომელსაც შეეძლება ჩემი დავალების შესრულება.

ბ ე რ გ ი — მართალს ბრძანებთ, თქვენო აღმატებულებავ!

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — აი, ასეთი ოფიცერი ბრძანდებით თქვენ, ჩემი შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ბერგი.

ბ ე რ გ ი — (გამოიჭიმება) ჩემთვის დიდი ჯილდოა თქვენი ქება, თქვენო აღმატებულებავ!

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — თქვენ ქება არ გჭირდებათ! მთავარსარდალმა და მე ვიცოდით, თუ ვის ვნიშნავდით ჩემი შტაბის უფროსად.

ბ ე რ გ ი — ჩემთვის დიდი პატივია თქვენი ნდობა, თქვენო აღმატებულებავ!

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — მაშ ასე! ფოთს თქვენ დასჯით! ჩახვალთ, მისცემთ წინადადებას, რომ ჩააბარონ იარაღი. წინააღმდეგ შემთხვევაში — ცეცხლი!

ბ ე რ გ ი — მესმის, თქვენო აღმატებულებავ!

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — მაგრამ გაფრთხილებთ: ნიკოლაძეს მაინც უნდა გაუწიოთ ანგარიში. მტერია, მაგრამ ხომ იცით, ვინ არის! სახიფათო კაცია. ამიტომ ვიხმაროთ აღმოსავლური ხერხი: თავაზიანად მიხვალთ და მოულოდნელად დაკრავთ... ჯარს ჯერ ნუ წაიყვანთ. მოელაპარაკეთ პირადად. წაუყენეთ შეუსრულებელი წინადადება. მაგალითად: 24 საათში ჩააბარონ იარაღი. არა და... ცეცხლი... ამ ხერხით მე მშრალზე დავტოვებ ნიკოლაძეს, მე ჩავუმტვრევ მაგას ევროპის ფანჯარას...

ბ ე რ გ ი — შესანიშნავად მოგიფიქრებიათ, თქვენო აღმატებულებავ!

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — ოღონდ გაფრთხილებთ: ნიკოლაძესთან კამათში არ ჩაებათ, მასთან კამათი მხოლოდ ზარბაზნით შეიძლება... გარდა ამისა, თავი ისე დინჯად დაიჭირეთ და ისე იმოქმედეთ, თითქოს არც კი იცით, ვინ არის ნიკოლაძე! ერთი ჩვეულებრივი

მოხელეა, ერთი პატარა ქალაქის თავია... არც მეტი და არც ნაკლები. თქვენ თითქოს სრულიად ჩვეულებრივი ოფიცერი ხართ. არ შევამჩნიოთ მორიდება, სიფრთხილე ან შიში. თქვენ ჩადიხართ როგორც მდგომარეობის ბატონი. ქალაქი აჯანყდა, იარაღს არ ჰყრის, უნდა დაისაჯოს.

ბ ე რ გ ი — მესმის, თქვენო აღმატებულებავ!

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — ეხლა კი ვაუწყოთ იმერეთს ჩვენი ჩამოსვლა... იმ პირველ სოფელს, რომელსაც აქედან ვხედავთ, დაუშინეთ ქვემეხი! (ბერგი გადის. პაუზა. ისმის ქვემეხის გრიალი).

ფ ა რ დ ა

## მ ე ს ა მ ე ს უ რ ა თ ი

ნიკოლაძის კაბინეტი, კედელზე ჰკიდია ფოთის რუკა. შემოდის ნიკოლაძე.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — (შეეგება) მობრძანდით, ბატონო ნიკო, როგორ ბრძანდებით? როგორ იმგზავრეთ? რამეს ხომ არ ინებებთ?

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ცოცხალი რომ ვარ, არ გიკვირს? 5 დღეა თბილისიდან მოვდივარ. ჯერ სამხედრო ეშელონებს უშვებდნენ, მერე სახალხოს, ისიც ალალბედზე. სამი ღამე არ მიძინია ადამიანურად. რა ამბავია ქალაქში?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ახლავე მოგახსენებთ. ოღონდ ერთი სასწრაფო დეპეშა უნდა გიჩვენოთ. ბაქოს ნავთის მრეწველობის კომიტეტი წინადადებას გაძლევთ გადმოხვიდეთ ბაქოში და თვეში 2500 მანეთს გთავაზობთ.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ოჰო! 2 500 მანეთს!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — დიახ!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — დიდი თანხაა!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — თქვენი რვა თვის ჯამაგირია.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — (გამოართვა დეპეშა. წაიკითხა) უპასუხეთ ასე: „დიდად გმადლობთ ყურადღებისა და ნდობისათვის, მაგრამ საქმეები ნებას არ მაძლევს დავტოვო ჩემი ქვეყანა“.

ახლა კი, ჩემო სოლომონ, მიამბე, რა ამბავია ფოთში!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — გაფიცვები შეწყდა, ბატონო!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — მარგანეცი გააქვთ?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — გუშინ დაიწყეს, ბატონო!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ეს კი კარგია. რამდენი გემი დგას ნავსადგურში და რომელი სახელმწიფოებისა?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ინგლისისა, გერმანიისა, იტალიისა, საფრანგეთისა, საბერძნეთისა, ოსმალეთისა.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — კონსულები ხომ არ წასულან არეულობის დროს!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — არა, ბატონო, იტალიის, გერმანიის, საბერძნეთის, ინგლისისა და ოსმალეთის კონსულები აქ არიან. ინგლისის და იტალიის კონსულმა პავონიმ დარეკა — თქვენი დაკვეთა შევასრულე და გამბუზია ჩამოვიტანეო.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ჰო, ეს კარგია. ახლა ეს მითხარი, ხომ არ შეგიძლია მიჩვენო როგორი იარაღი ჩამოიტანეს!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — კი, ბატონო, ერთი შაშხანა თქვენთვის გამოვართვი მუშებს, რომ მეჩვენებინა.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — აბა, მაჩვენეთ.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — (გადის და შემოდის შაშხანით ხელში) ინებეთ, ძალზე გრძელი და წვრილი ლულა აქვს.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ამით უნდა ეომოთ ალიხანოვს?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ხალხი მაინც ვარჯიშობს ამ თოფით.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ხალხი რომ გაბრაზდება, ჯოხითაც იომებს. შეინახეთ თოფი. ახლა ეგ მითხარით, გამოსვლები ხომ არ ყოფილა ქალაქში?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — არა, ბატონო! თვითონ ხალხი იცავს წესრიგს. ყველა უბანში პატრულები არიან გამოყოფილი.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — გამოიძახეთ კოწია მიქაბერიძე, გიორგი საბახტარაშვილი, ბესარიონ ხოფერია, ივლო ხუნჯუა, ლუარსაბ

ყრუაშვილი... გამოიძახეთ მუშა მამანტი.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ძალიან გავლენიანი კაცია მუშებში და ჭკვიანიც.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — აი, სწორედ ის... მაშ ასე.. დაიჭირეს დათვის ბელი, ყელში ჩააბეს საბელი.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ბატონო ნიკო, თქვენ იცით, ხალხი როგორ ხსნის ამ თქვენს ლექსს?

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — აბა?..

ს ო ლ ო მ ო ნ ი — დათვი რუსის მეფეაო, ბელი ჩინოვნიკიაო. ნიკოლაძე ჩინოვნიკებს ჭკუით დაიჭერს და ყელში საბელს ჩააბამსო. მარგანეცზე ნახევარკაპიკიან გადასახადს უეჭველად გაიტანსო.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ნეტავი ეგრე მოხდებოდეს!.. მაგრამ ალიხანოვი იმ შემთხვევაში დათვის ბელზე უარესია. ის აფთარია, მოსისხარი, დაუნდობელი, საშინელი კარიერისტი (ისმის ეტლის ხმაური. ეტლი გაჩერდა ფანჯარასთან.).

ს ო ლ ო მ ო ნ ი — კოწია მიქაბერიძე მოვიდა.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ოჰ, კოწია (ადგა. მიდის შესაგებებლად, შემოდის კოწია მიქაბერიძე. კოწია შუატანის, ლამაზი და ბრგე ვაჟკაცია. აცვია სამხედრო ექიმის ფორმა. არტყია ხმალი. მომხიბლავი შესახედაობის კაცია. წვერი გაპარსული აქვს, წინ თმა შეთხელებული. ასე 40 წლისა იქნება. კოწია და ნიკოლაძე გადაკოცნიან ერთმანეთს).

კ ო წ ი ა — ალიხანოვი უკვე სენაკშია. სენაკი იწვის, ბატონო ნიკო!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ვიცი!.. რა ამბავია გარნიზონში!

კ ო წ ი ა — გარნიზონი ამჟამად გენერალ ალიხანოვს ემორჩილება. გარნიზონის ჯარებს ევალებათ შავი ზღვის სანაპიროს და ნავსადგურის ბლოკირება. ეს-ეს არის მოვიდა ცნობა, რომ ალიხანოვი შეკრავს ყულევ-ჭალადიდ-გურიის გზას. ამრიგად, ქალაქი გარშემორტყმული იქნება ალიხანოვის ჯარებით.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — რას ამბობენ გარნიზონის შტაბში! რას მოითხოვს ალიხანოვი!

კ ო წ ი ა — ჯერჯერობით იარაღს. ევროპიდან ჩამოტანილ იარაღს. მაგრამ ამაზე შეჩერდება?

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ცხადია, არ შეჩერდება. ერთი პროვოკაციული გასროლა და ტყვიას დაგვიშენს.

კ ო წ ი ა — ბრძანებაა: გარნიზონი მზად იყოს საბრძოლოდ.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ჩვენ მოვემზადოთ ამ უბედურებისათვის. ვინ იცის, რა მოხდება! ვუშველოთ ხალხს. ამიტომ, ჩემო კოწია, მოელაპარაკე ჩვენს ექიმებს: ტერ-ნიკოგოსოვს, ტერ-სტეფანოვს... ფერშლებს: რუხაძეს, ნოდიას, მზად იყვნენ ხალხის თასახმარებლად, თუ ქუჩაში სროლა აუტეხეს ხალხს. იქონიეთ შესახვევი და წამალი პირველი დახმარების აღმოსაჩენად.

კ ო წ ი ა — საექიმო პერსონალი მზად იქნება.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — დაჭრილები ქალაქის თვითმმართველობაში მოიყვანონ. აბა, შენ იცი! (აცილებს კოწიას კარებამდე. კოწია გადის. შემოდის გიორგი).

გ ი ო რ გ ი — სალამი ბატონ ნიკოს!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — გიორგის გაუმარჯოს! მობრძანდი, გიორგი, მობრძანდი!

გ ი ო რ გ ი — (გიორგი მაღალი, ტანადი, ლამაზი კაცია. სქელი, გრუზა თმა აქვს, კოკობი და კოხტა ულვაშები). ბატონო ნიკო, რა კარგ დროს ჩამობრძანდით. თქვენი ჩამოსვლა პირდაპირ ხსნაა ჩვენთვის. ფედერალისტებმა ჩამოიტანეს ერთი გემი საეჭვო ხარისხის თოფები, ხალხი დაესია და წაართვა. თოფები გაიტანეს გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში, ალიხანოვი ეძებს ამ თოფებს და აწიოკებს ხალხს. ნეტავი ღირდეს მაინც! ვეუბნებით ხალხს: რად გინდათ ეგ თოფები მეთქი! არა, არ გვიჯერებენ. დღეს მიტინგი იქნება და თქვენ გთხოვენ გამოსვლას. ეგებ, თქვენ დაგიჯერონ.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ვნახოთ, ჩემო გიორგი, ვნახოთ! მთავარი კი ის არის, რომ ქალაქში ერთი თოფი არ გავარდეს და ნორმალური ცხოვრება არ შეწყდეს. ამიტომ მინდოდა თქვენი ნახვა.

გ ი ო რ გ ი — ბრძანეთ, ბატონო!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — თქვენ გავლენიანი კაცი ბრძანდებით, ცნობილი მრეწველი, ქველ-

მოქმედი, განათლებული და, იმავე დროს, სოციალ-დემოკრატი. ასე რომ, ორივე მხარე, როგორც ბურჟუაზია, ისე პროლეტარიატი ანგარიშს გიწევთ. ამიტომ, თქვენ შეგიძილათ სწორედ ახლა გამოადგეთ ქალაქს.

გ ი ო რ გ ი — მიბრძანეთ, ბატონო!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — საჭიროა, ქალაქში მშვიდობიანობა დამყარდეს. ჩამოუარეთ ვაჭრებს, მრეწველებს, ხელოსნებს, ჩვეულებრივ განაგრძონ თავიანთი საქმიანობა. გადაეცით ყველას ჩემი თხოვნა: ნუღარ დაიბნევიან, ნუ შეეშინდებათ. განუმარტეთ, რომ ვაჭრობა და მრეწველობა იგივე შრომაა. ნუ შეწყდება შრომა. თუმცა თქვენ, მარქსისტები, სხვანაირად უყურებთ ვაჭრობას.

გ ი ო რ გ ი — დიახ, მარქსი ამბობს, რომ ვაჭრები არ ქმნიან ღირებულებას.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — მართალია, მაგრამ მარქსი იმასაც ამბობს, რომ, თუ საჭიროა, ეშმაკის ბებიასაც უნდა შეუამხანაგდეო. ჰოდა, ახლა თქვენ უნდა გამოძებნოთ საერთო ენა ყველასთან. როცა გემი იძირება, ერთმანეთს კი არ უნდა ვედავოთ, არამედ უნდა გადავარჩინოთ იგი. ამიტომ, შევერთდეთ ყველა: ქართველი და თათარი, რუსი და ებრაელი, მუშა და ვაჭარი, ერი და ბერი და ვიხსნათ ჩვენი ქალაქი... თქვენ დამეხმარებით, რომ ქართველ ერს, ქართველ მუშას ფოთი შევუნარჩუნოთ!..

გ ი ო რ გ ი — მთელ ჩემს გავლენასა და ძალ-ღონეს მოვახმარ ამ საქმეს.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — კიდევ ერთი თხოვნა: ძუკუ ლოლუა თუა ფოთში?

გ ი ო რ გ ი — ფოთშია, ბატონო!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — კარგი იქნება, თუ ძუკუ ლოლუა კონცერტს მოაწყობს. ეს შექმნის შთაბეჭდილებას, რომ ქალაქში სიწყნარეა და არავინ ფიქრობს აჯანყებაზე, მთავრობის აგენტებსა და ჯაშუშებს გამოვაცალოთ ნიადაგი.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — (შემოდის) ალიხანოვის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ბერგი გეახლათ. პოლკოვნიკი ჩუმად შემეკითხა, ნიკოლაძე როგორ გუნებაზე არისო.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — თქვენც უთხარით: ძალიან კარგ გუნებაზე არის-თქო. შემომიტანეთ პალიასტომის პორტის გეგმა და დაჰკიდეთ კედელზე (მდივანი გადის. პაუზა).

ბ ე რ გ ი — (შემოდის) მაქვს პატივი გეახლოთ ქუთაისის გუბერნიის დამსჯელი რაზმის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ბერგი.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — პოლკოვნიკი ბერგი, სასიამოვნოა! თქვენი გვარი ცნობილია რუსეთში და მე მადლობელი ვარ გენერალ ალიხანოვისა, რომ სწორედ თქვენ გამოგგზავნათ. დაბრძანდით.

ბ ე რ გ ი — (ისევ დგას) მაქვს პატივი მოგახსენოთ, მათი აღმატებულების გენერალ-ლეიტენანტ ალიხანოვ-ავარიელის ულტიმატუმი.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ასე ოფიციალურად და მხედრულად რატომ მელაპარაკებით. მე ხომ სამხედრო პირი არა ვარ.

ბ ე რ გ ი — წესი წესია, ბატონო, სამსახური მოითხოვს ასე (გამოეჭიმება). ბატონო ქალაქის თავო! მისი აღმატებულება გენერალ-ლეიტენანტი ალიხანოვ-ავარიელი მოითხოვს თქვენგან: ფოთმა ჩაგვაბაროს ევროპიდან ჩამოტანილი იარაღი 24 საათის განმავლობაში.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — (პაუზა) გენერალი ალიხანოვი ლეკია, ხომ!

ბ ე რ გ ი — დიახ!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — თქვენ გერმანელი ბრძანდებით?

ბ ე რ გ ი — დიახ!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — მე კი ქართველი... ჰმ... სამი სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ერის და, ასე გასინჯეთ, სხვადასხვა რჯულის ადამიანი... ალიხანოვი მუსულმანია, თქვენ პროტესტანტი, მე — მართლმადიდებელი... საინტერესო კომბინაციაა. (ბერგი სახტად დარჩა) განაგრძეთ!

ბ ე რ გ ი — დიახ... ფოთმა უნდა ჩაგვაბაროს იარაღი 24 საათის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვისაც ვუპოვნით იარაღს, დავხვრეტთ, ხოლო ქალაქს გადავწვავთ. (დახედა საათს) დანიშნეთ დრო ულტიმატუმისა.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — რატომ უწოდებთ თქვენს მოთხოვნილებას ულტიმატუმს? ჩვენ ხომ მეომარი მხარეები არა ვართ!... დაბრძანდით, გეთაყვა.

ბ ე რ გ ი — ქუთაისის გუბერნიაში სამხე-

დრო მდგომარეობაა გამოცხადებული. ჩვენი მოქმედებაც შესაბამისი უნდა იყოს.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — გენერალ ალიხანოვს სადა აქვს მთავარი შტაბი? (ამ დიალოგის დროს მდივანს შემოაქვს რუკა, გააკრავს და გადის).

ბ ე რ გ ი — სენაკში... მაშ ასე... (ადგა) მე გაგაფრთხილეთ. დანარჩენი... (რეკავს ტელეფონი).

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — მაპატიეთ... (ყურმილი აიღო). გისმენთ... იტალიის კონსული ბატონი პავონი? ამ დილით ჩამოველ, ბატონო კონსულო!.. გამბუზია ჩამოიტანეს? ოჰ, ძალიან გამახარეთ... გულით... გულით... (ყურმილი ჩამოკიდა) თქვენ, ბატონო პოლკოვნიკო, გაგიგონიათ იტალიური თევზი გამბუზია?

ბ ე რ გ ი — არა, ბატონო!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ოო! მეტად საინტერესო თევზია!.. იტალიაში ამ თევზის საშუალებით ებრძვიან ციებას. ფოთშიც ძალიან გავრცელებულია ციება. ციებას კოღო ანოფელესი აჩენს. გამბუზია კი ამ ანოფელესის ჭუპრებით იკვებება.

ბ ე რ გ ი — საინტერესოა!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ჰოდა, მინდა ფოთის წყლებშიც გავავრცელო ეს საოცარი თევზი.

ბ ე რ გ ი — ჩინებული აზრია!... მაშ ასე! მშვიდობით ბრძანდებოდეთ (წასვლა უნდა).

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — მოითმინეთ. თქვენ ბრძანეთ, რომ გვარად ბერგი ხართ. თქვენ ფეოდორ ნიკოლაევიჩ ბერგს ხომ არ იცნობთ!

ბ ე რ გ ი — ბიძაჩემია!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ოჰ, დიდად სასიამოვნოა... ვიცნობ პირადად. კარგი მწერალია, ნეკრასოვის „სოვრემენიკში“ იბეჭდებოდა.

ბ ე რ გ ი — დიახ, ბატონო! ალბათ მოგეხსენებათ, რომ ბიძაჩემმა ბოლო დროს შეხედულებები შეიცვალა.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — დიახ! დროს შეეგუა.

ბ ე რ გ ი — დრო ბევრს ნიშნავს, ბატონო... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — მაგრამ მთავარი საკითხი რომ არ გადაგვიწყვეტია? — დრო...

ბ ე რ გ ი — დრო, აკი მოგახსენეთ, 24 საათი.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ძალზე ცოტა დროა, ბატონო პოლკოვნიკო... ამ დილას ჩამოველ და ვერ მოვასწარი კარგად გამეგო, ვინ ჩამოიტანა იარაღი. მართლა ფოთში ჩამოიტანეს თუ ტრანზიტით გაატარეს? ვინ წაიღო? სად წაიღეს? ყოველივე ამას ხომ გაგება უნდა? განა 24 საათში შეიძლება ამის გაგება? ანდა იარაღის შეგროვება?

ბ ე რ გ ი — (ჩაფიქრდა) სამხედრო პირისათვის 24 საათი დიდი დროა.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — მაგრამ ჩვენ ხომ სამხედრო პირები არა ვართ! მე მშვიდობიან მოსახლეობასთან მაქვს საქმე. რომ იცოდეთ, რა ჭრელი ხალხია! ქართველი, სომეხი, თათარი, ბერძენი, რუსი, ებრაელი... დღეს პარასკევია. თათარი გარეთ არ გამოდის. ხვალ შაბათია — ებრაელი, რომ მოკლა, თითს არ გაანძრევს. ზეგ კვირაა, ქრისტიანი კაცი ეკლესიაში მიდის. ხომ ხედავთ, რომ სამი დღე უკვე დაგვეკარგა.

ბ ე რ გ ი — (ჩაფიქრდა) მომიცია 48 საათი და გავათავოთ ლაპარაკი.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — არა, ბატონო, 48 საათი არ კმარა!

ბ ე რ გ ი— მეტის მოცემა არ შემიძლია! მშვიდობით ბრძანდებოდეთ. (მიდის, კედელზე დაინახა რუკა. შეჩერდა და დააკვირდა) ეს რა რუკაა?

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ეს რუკა, ბატონო პოლკოვნიკო, ფოთისა და მისი მიდამოების რუკაა. ეს პალიასტომის ტბაა. ხედავთ, რა ღრმად არის შეჭრული ხმელეთში? მე მაქვს პროექტი, რომ პალიასტომის ტბა გადავაქციოთ სამხედრო ბაზად; დააკვირდით! ეს მდინარე კაპარჭინაა, ეს — მალთაყვა. აქ გაიჭრება ყელი გემის შემოსასვლელად. ფლოტი დადგება პალიასტომში. მოგეხსენებათ, ოსმალეთი ჩვენი მტერია და მეზობელი. ომის შემთხვევაში ის პირველად ბათუმსა და ფოთს დაარტყამს. სანამ ჩვენი ფლოტი მოგვეშველება სევასტოპოლიდან, მტერი მოშლის ჩვენი არმიის ზურგს — შავი ზღვის სანაპიროს. თუ კი აქ ბაზას გავმართავთ, ამ საშიშროებასაც ავიცილებთ.

ბ ე რ გ ი — ეს პროექტი სამხედრო თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა. თქვენ, ბატონო ნიკოლაძე, სამოქალაქო კაცი ხართ.

საიდან იცნობთ სამხედრო საკითხებს ასე ღრმად?

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — მე, ბატონო პოლკოვნიკო, დისერტაცია მაქვს დაცული ციურიხის უნივერსიტეტში სამხედრო თემაზე: „განიარაღება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები“. ამ დისერტაციისათვის სამართლის დოქტორის ხარისხი მომენიჭა. ასე რომ სამხედრო საკითხებს ამ დისერტაციაზე მუშაობისას გავეცანი.

ბ ე რ გ ი — დიდად საინტერესო და საჭირო პროექტია, მე რომ სამხედრო მინისტრი ვიყო, ამ პროექტს უეჭველად დავამტკიცებდი... დიახ! ძალიან საჭირო პროექტია! მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (მიბრუნდა, მაგრამ ისევ მივიდა რუკასთან. ისევ აკვირდება).

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — იმ საკითხზე კი, მგონი შევთანხმდით!

ბ ე რ გ ი — ჰო, 48 საათი.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ბატონო პოლკოვნიკო, ჩვენი კაცი, ქრისტიანი კაცი, ფსიქოლოგიურად ვერ მიხვდება ამ ციფრს. ჩვენს სამ რიცხვს ვართ შეჩვეული. ჩვენი ხალხი ამბობს: „ღმერთი სამებითაო“. პირჯვარს სამი თითით იწერს. წყევლასაც სამ რიცხვს ჩაურთავს „სამჯერ წყეულიო“, იტყვის.

ბ ე რ გ ი — მეც გამიგონია.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ფატალურია ეს რიცხვი, აი, ჩვენს ურთიერთობაშიც ეს რიცხვი თამაშობს დღეს: თქვენ, მე და ალიხანოვი. სამი სხვადასხვა ეროვნების ადამიანები: ლეკი, გერმანელი და ქართველი. ერთ საქმეზე ვფიქრობთ: როგორ მოვაგვაროთ რუსეთის მეფის საქმე.

ბ ე რ გ ი — (წასკდება სიცილი) სასაცილოა!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — მართლაც... მაშ, შევთანხმდეთ სამ დღეზე!

ბ ე რ გ ი — ამიღია ჩემს თავზე ეს რისკი! შევთანხმდით!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ჩაბარების ხელწერილს. რასაკვირველია, მივიღებთ წესისამებრ.

ბ ე რ გ ი — ჩვენ მთელ გუბერნიას ჩამოვართმევთ იარაღს, და ხელწერილი კი არავისათვის არ მიგვიცია.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — შეცდომაა. ეს ხომ ფასეულობაა! ხაზინას შეეძინა ფასეულობა, მაშასადამე, საბუთიც საჭიროა. თქვენ გერმანელი ბრძანდებით, სხვას უნდა ასწავლოთ პუნქტუალობა.

ბიბლიოთეკა

ბ ე რ გ ი — კარგი, მოგცემთ ხელწერილს

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — კიდევ ერთი თხოვნა. იარაღი ჩაბარებისთანავე უნდა გაიტანოთ ქალაქიდან, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

ბ ე რ გ ი — რასაკვირველია, იმ დღესვე გავიტანთ. (უყურებს რუკას) აჰ, რა გაბედული პროექტია!..

პ ა ვ ო ნ ი — (შემოდის) ხელში უჭირავს ქილა. ბატონ ნიკოს სალამი. ძალიან გამიხარდა თქვენი ჩამოსვლა. (ნიკოლაძე და პავონი მიესალმებიან ერთმანეთს. ნიკოლაძემ რაღაც ჩაუჩურჩულა პავონის. პავონმა თავი დაუქნია).

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ბატონო პოლკოვნიკო, ნება მიბოძეთ გაგაცნოთ, იტალიის და ინგლისის კონსული, ბატონი პავონი.

ბ ე რ გ ი — დიდად სასიამოვნოა! დიდად! თქვენ ორი სახელმწიფოს წარმომადგენელი ყოფილხართ!

პ ა ვ ო ნ ი — დიახ! ორი სახელმწიფოსი... (მიუბრუნდება ნიკოლაძეს). შევასრულე თქვენი დავალება, ბატონო ნიკო, გუშინ იტალიიდან ჩამოვიდა გემი და ჩამომიტანეს გამბუზია. აი, უყურეთ! (აჩვენა ქილა) დანარჩენი გემზეა.

ბ ე რ გ ი — რა პატარა თევზია! ქინძისთავის ტოლაა!

პ ა ვ ო ნ ი — სამაგიეროდ, დიდ საქმეს აკეთებს. სპობს ციებას. იტალიაში დიდადაა გავრცელებული. ბატონ ნიკოლაძესაც სურს აქ გაავრცელოს, ფოთშიც.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — დიახ, მე და ბატონი კონსული ჩავუშვებთ არხში. ეგებ წამობრძანდეთ ჩვენთან?

პ ა ვ ო ნ ი — იტალიაში თითონ მთავრობა ადევნებს თვალყურს ამ საქმეს. წამობრძანდით ჩვენთან!

ბ ე რ გ ი — დიდი სიამოვნებით. მაგრამ მე სპეციალური დავალებით გახლავართ ჩამოსული ამ აჯანყებულ ქალაქში. გამბუზია კი უფრო მშვიდობიან დროს შეეფერის.

პ ა ვ ო ნ ი — მართალს ბრძანებთ! მე სულ ფოთში ვარ და მოგახსენებთ რომ არავითარი აჯანყება და უწესობა ქალაქში არ

მინახავს. მე სპეციალური მოხსენებაც კი გავუგზავნე ჩემ მთავრობებს: რომსა და ლონდონში.

ბ ე რ გ ი — ჰო.... მაგრამ მე მაინც ჩემი საქმე მაქვს... მშვიდობით ბრძანდებოდეთ (მიდის. ემშვიდობებიან).

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ოჰ, ბატონო პავონი! რა შუბლმაგარი ხალხია ეს სამხედროები! 24 საათში ჩაგვაბარეთო იარაღი. რამდენი ვევაჭრე და ძლივს დავიყოლიე სამ დღეზე..რა კარგ დროს მომიტანეთ ეგ გამბუზია!

პ ა ვ ო ნ ი — მე მდივანმაც გამაფრთხილა, თუ რისთვის იყო ჩამოსული ეს პოლკოვნიკი და ამიტომ ვუთხარი, რომ ქალაქში მშვიდობაა-მეთქი.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — მადლობელი ვარ! შეიძლება დამჭირდეს თქვენი ჩარევა ამ საქმეში. ეს ხომ იტალიისა და ინგლისის ინტერესებსაც ეხება! გარდა ამისა, თქვენ ჩვენი სიძეც ბრძანდებით.

პ ა ვ ო ნ ი —დიახ, ბატონო! მე ვამაყობ, რომ ქართველი ქალი მყავს ცოლად. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (მიდის. პაუზა)

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — დაიჭირეს დათვის ბელი, ყელში ჩააბეს საბელი... სამი დღე... სამი დღე.... ჩააბარებენ კი? (ისმის მარსელიოზის ხმები).

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მუშების დელეგაცია გეახლათ. (ნიკოლაძემ თავი დაუქნია. სოლომონს შემოჰყავს მამანტი და ზუმბა. ნიკოლაძემ ორთავეს ჩამოართვა ხელი. სკამზე მიუთითა. მუშები სხდებიან).

მ ა მ ა ნ ტ ი — ბატონო ნიკო, ხომ კარგად ბრძანდებით?

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — განა ასეთ დროს შეიძლება კარგად ყოფნა? მძიმე დროა.

მ ა მ ა ნ ტ ი — მძიმე, ძალზე მძიმე, ამიტომ გეახელით, ბატონო ნიკო, ასეთ მძიმე დროს რჩევა მოგვცეთ: როგორ მოვიქცეთ! მოსკოვის აჯანყება დამარცხდა. მოსკოვის კომიტეტმა დაადგინა — აჯანყება შეწყდესო. ჩვენთან კი ისევ იარაღს აჟღარუნებენ. ახლა კიდევ ხმა გავარდა, რომ მთავრობა იარაღის ჩაბარებას მოითხოვსო. ალიხანოვის წარმომადგენელი ყოფილა თქვენთან და მოუთხოვია იარაღის ჩაბარება. აი, ყველა ამ საკითხზე მიტინგია დღეს დანიშნული და მუშები გთხოვენ თქვენი აზრი გვითხრათ.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — კი, შვილო! მოვალ, გეტყვით ჩემს აზრს. კარგია, რომ სწორედ დღეს გექნებათ ამაზე მსჯელობა. მე სამი დღის ვადა მომცა იარაღის ჩაბარებისათვის ალიხანოვის წარმომადგენელმა. როგორ ფიქრობთ, ჩავაბარებთ კი ამ სამ დღეში!

მ ა მ ა ნ ტ ი — (პაუზა) არა მგონია!

ზ უ მ ბ ა — არამც თუ სამ დღეში, სულ არ ჩავაბარებთ.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ალიხანოვის წარმომადგენელმა პირობა წამოაყენა: თუ იარაღს არ ჩაგვაბარებთ, ქალაქს გადავწვავთო.

მ ა მ ა ნ ტ ი — (წამოვარდა) რას ბრძანებთ!.. ეგ უნდა ვუთხრათ მუშებს.

ზ უ მ ბ ა — ცეცხლს ცეცხლით ვუპასუხებთ... ჩვენ, არ დავიხევთ! (მარსელიოზა ახლოვდება.) ჩვენ, ამხანაგო ნიკო, იარაღს არ დავყრით.

მ ა მ ა ნ ტ ი — ჩვენ კი, ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი მუშა, წინააღმდეგი ვართ ანარქისტული გამოსვლისა. ყოველ შემთხვევაში, ეს თვითონ ხალხმა გადაწყვიტოს. ხალხი კი თქვენს სიტყვას მოელის, ბატონო ნიკო! ხომ მობრძანდებით.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — კი, შვილო, მოვალ, როგორ არ მოვალ! ჩვენი ქალაქის არსებობის საკითხი წყდება...( მუშები გადიან. ნიკოლაძე მიმართავს მდივანს.) გთხოვთ ჩემი სახელით დაურეკოთ ბატონ პოლიცმეისტერს თავად აბაშიძეს, პოლიციას ნუ გამოგზავნის მიტინგზე. ხალხმა თავისუფლად გამოთქვას აზრი. (ჩაფიქრდება).

ფ ა რ დ ა

## მეორე მოქმედება

### მეოთხე სურათი

ფოთის ბაღი. მოჩანს ნიკოლაძის კოშკი. ერთგან დგას ტრიბუნა. მიტინგის მონაწილენი შემოდიან სხვადასხვა მხრიდან. მოედანზე ხალხი შეიკრიბა. გამოჩნდება ნიკოლაძე. ყველანი მდაბლად მიესალმებიან. ხალხი გაიყოფა ორად და შუაში გაივლის ნიკოლაძე. პაუზა. ნიკოლაძე ჩამოჯდება მერხზე.

მ ა მ ა ნ ტ ი — (ტრიბუნაზე ადის). ამხანაგებო! მიტინგს გახსნილად ვაცხადებ. სანამ დღის წესრიგს შევუდგებოდეთ, უნდა მოგახსენოთ ერთი სამწუხარო ცნობა. გენერალი ალიხანოვი რომ სურამის გვირაბს გამოსცდა, ბრძოლა გაუმართეს ჭიათურელმა მუშებმა. ბრძოლა გმირული და მედგარი იყო. რასაკვირველია, თავიდანვე განწირული იყო ეს ბრძოლა, მაგრამ ჭიათურელი მუშები მაინც ვაჟკაცურად დაიხოცნენ მუშათა კლასის საქმისათვის. ბრძოლაში დახოცილ ჭიათურელ მუშათა პატივსაცემად მოვიხადოთ ქუდი და შევასრულოთ სამგლოვიარო რევოლუციური ჰიმნი.

(იხდის ყაბალახს. ყველანი იხდიან თავსაბურავს. მღერიან. ნიკოლაძე წამოდგება, მოიხდის ქუდს. მთელი სიმღერის მანძილზე დგას თავდახრილი).

შევუდგეთ საკითხის განხილვას... ამხანაგებო! დღევანდელი მიტინგი მოწვეულია ერთ დიდ საჭირბოროტო საკითხზე: იარაღის ჩაბარების საკითხზე. რადგან ორგანიზაციაში აზრი გაიყო, მუშებშიაც სხვადასხვა აზრია, და რადგან პარტიებიც ვერ შეთანხმდნენ, მუშებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მოგვესმინა ჩვენი ქალაქისთავის ნიკო ნიკოლაძის აზრი. ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ვაცხადებთ: ახლა, როცა მოსკოვის აჯანყება დამარცხდა, უაზროა შეიარაღებული ბრძოლა. ზოგი ამხანაგი კი აცხადებს: თავი შევაკლათო მტერს!

ზ უ მ ბ ა — (ახტა ტრიბუნაზე). ამხანაგებო! არ არის სწორი ამხანაგი მამანტის აზრი! საკითხი ასე არ დგას. საკითხი აი როგორ დგას: ვუღალატოთ რევოლუციას თუ არ ვუღალატოთ? ჩავაბაროთ იარაღი თუ არ ჩავაბაროთ?!

ნ ა თ ე ლ ა — ამხანაგ ზუმბას განცხადება დემაგოგიაა!... არავის უთქვამს რევოლუციას ვუღალატოთო.

ზ უ მ ბ ა — მე ვაცხადებ: რევოლუციისათვის საჭიროა ბრძოლის გაგრძელება. ჩვენ დიდი მსხვერპლი გავიღეთ, თუ საჭიროა კვლავაც გავიღებთ.

მ ა მ ა ნ ტ ი — კერძო კამათი შეწყდეს. ვთხოვთ ნიკოლაძეს ილაპარაკოს!

ხ მ ე ბ ი — ნიკოლაძემ ილაპარაკოს! ნიკოლაძეს ვთხოვოთ!

მ ა მ ა ნ ტ ი — ბატონო ნიკო, მობრძანდით!.. (გასძახის მიტინგს) ამხანაგებო, სიტყვა ეძლევა ამხანაგ ნიკოლაძეს.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — (ადის ტრიბუნაზე. როგორც კი ნიკოლაძე გამოჩნდა ტრიბუნაზე, იგრიალა ტაშმა). შვილებო! ძმებო! მეგობრებო! (ისევ ტაში).

ზ უ მ ბ ა — ამხანაგებო! ჯერ მოვუსმინოთ და მერე ვნახოთ, საჭირო იქნება ტაში თუ არა! პირადად ჩემთვის ნიკოლაძის აზრი ცნობილია. ჩვენ ბევრი გვაქვს მასთან საკამათო.

მ ა მ ა ნ ტ ი — სიჩუმე! დაწყნარდით, ამხანაგებო! პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობა არ ეწინააღმდეგება ერთმანეთის გაგებას.

ხ მ ე ბ ი — კმარა კამათი! ნიკოლაძემ ილაპარაკოს.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — შვილებო! ძმებო! კამათის დრო არ არის. არც ვარ ახლა კამათის ხასიათზე. აი, ამ ერთი საათის წინ ჩემთან იყო გენერალ ალიხანოვის წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ბერგი, პოლკოვნიკმა წამოაყენა ულტიმატუმი: 24 საათის განმავლობაში იარაღი ჩაგვაბარეთო. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარი შემოვა ქალაქში და გადაწვავენ ქალაქს. ძლივს დავითანხმე პოლკოვნიკი 24 საათი სამ დღედ შეეცვალა.. ეხლა თვითონ განსაჯეთ, როგორ მოვიქცეთ! რევოლუცია დამარცხდა. მოსკოვის აჯანყება ჩაახშეს. დამსჯელი რაზმები მოედო მთელ ქვეყანას. ზეგ ალიხანოვის ჯარი შემოვა ფოთში... ჩვენზეა დამოკიდებული ხალხისა და ქალაქის ბედი.

ხ მ ე ბ ი — გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ!

— როგორ გადავარჩინოთ ქალაქი?

— იარაღს არ ჩავაბარებთ!

— კლასთა ბრძოლამ შერიგება არ იცის!

ზ უ მ ბ ა — ამხანაგო ნიკოლაძე! ბოდიშს ვიხდი, რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ ხომ გაიგონეთ შეძახილები: ,,იარაღს არ ჩავაბარებთ! კლასთა ბრძოლამ შერიგება არ იცისო". ვიკამათოთ პრინციპულად! ჯერ თეორია და პრინციპი, ბატონო, ხოლო შემდეგ პრაქტიკა და ტაქტიკა. მე თქვენ ჩემი

ჯგუფის სახელით როდი გელაპარაკებით, მე მარქსის სახელითაც ვიკამათებ.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ნუ წუხდებით, ახალგაზრდავ, თქვენ გაგიგონიათ მარქსი, მე კი პირადად ვიცნობდი მას. ხოლო თუ მარქსიზმის თვალსაზრისით ვილაპარაკებთ, თანამედროვე პირობებში ბარიკადულ ბრძოლას აზრი არა აქვს. რადგან ჯარს ზარბაზანი აქვს, მუშებს—კი თოფი. ჯარის ტექნიკა უეჭველად დაამარცხებს მუშებს, ასე ამბობს ენგელსი. და ასეთი მდგომარეობა გვაქვს დღეს ფოთში. ჩვენ რომ აქ ბარიკადები გავმართოთ, უეჭველად ამოგვხოცავს ალიხანოვი. ყოველი დროის ბრძოლას თავისი ხერხი აქვს, თავისი ფორმა აქვს. დღეს, როცა თქვენს წინაშე ვდგავარ, მე ბრძოლაში ვარ ჩაბმული. მე ვიბრძვი იმისათვის, რომ ყალბი ვაჟკაცობის ჟინს არ შეეწიროს ჩვენი ქალაქი. მე მოვედი მხოლოდ მამაშვილური რჩევისათვის, აქ კი ზოგიერთები კამათის ჟინით გატაცებულან. ვიმეორებ: კამათის დრო არ არის!

ხ მ ე ბ ი — მართალია! გვირჩიეთ რა ვქნათ! როგორ გადავარჩინოთ ჩვენი ფოთი!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ფოთი არც თქვენია და არც ჩემი. ფოთი მთელი ქართველი ერისაა. მისი სიმდიდრეა. მარტო მუშები როდი არიან ფოთში. აქ ათასნაირი ხალხია. აიღეთ სასწავლებლები, ხე-ტყის ქარხნები, სამრეწველოები, სახელოსნოები, რკინიგზის დეპო, ნავსადგური... ყველა ამას მოვლა უნდა, შენარჩუნება უნდა. ფოთის ბაზარს ეტანება გურია, სამეგრელო... დაუფიქრდით ამას!.. გარდა ამისა, ფოთში ბევრია უცხოელი და იმათი შრომა ჩვენთვისაც სასარგებლოა. ისინი ამდიდრებენ ჩვენს ეროვნულ დოვლათს, აშენებენ სახლებს, შემოაქვთ საქონელი. ისინი ამდიდრებენ ჩვენს ეროვნულ კულტურას. ფოთში ბევრმა მუშამ იცის ინგლისური, ფრანგული, იტალიური. სომხური, თურქული, ბერძნული, რუსული ხომ თითქმის ყველამ იცით. აი, დღევანდელი ჩვენი თავმჯდომარე, ამხანაგი მამანტი, ოთხ უცხოურ ენაზე ლაპარაკობს: ინგლისურად, იტალიურად, თურქულად, რუსულად. ეს ხომ კულტურაა!... ფოთის ეკონომიკა და კულტურა დიდი ეროვნული განძია, ამიტომ მას ფორმულებით ნუ მივუდგებით. ფორმულები დროის მიხედვით იცვლება. ერი კი, ქართველი ერი იყო, არის და ვეცადოთ იყოს მომავალში.

ხ მ ე ბ ი — სწორია! მართალია! (ძლიერი ტაში).

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ამიტომ შევერთდეთ ყველა. გვქონდეს ერთი პირი, ერთი მიზანი: საერთო ძალით და შეთანხმებით გადავირჩინოთ თავი.

ხ მ ე ბ ი — მაშ რა ვქნათ? ჩავაბაროთ იარაღი?

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — მე, როგორც ოფიციალური პიროვნება, გიპასუხებთ: ჩავაბაროთ იარაღი!

მ ა მ ა ნ ტ ი — ვინ არის მომხრე იარაღის ჩაბარებისა, ასწიეთ ხელი! (მოსჩანს აწეული ხელები) მიტინგი დახურულია.

ფ ა რ დ ა

## მეხუთე სურათი

მამანტის აივანი. მოსჩანს ქუჩა, არხი, აივანზე სალომე რეცხავს სარეცხს. პაუზა. ქუჩაში გამოჩნდებიან ნათელა და მამანტი...

ს ა ლ ო მ ე — (გადმოსძახა) რა ჰქენით, ჩააბარეთ?

ნ ა თ ე ლ ა — ეჰ, ჩავაბარეთ, ჩავაბარეთ!..

ს ა ლ ო მ ე — რას იზამ, ძალა აღმართს ხნავს. მეც წინააღმდეგი ვიყავი ჩაბარებისა, მაგრამ ნიკოლაძეს რომ მოვუსმინე გადავიფიქრე. ტყუილ-უბრალოდ ხალხის გაჟლეტას რა აზრი აქვს მეთქი. ახლა მთავარია, გული არ გავიტეხოთ.

მ ა მ ა ნ ტ ი — მართალი ხარ. მთავარია, გული არ გავიტეხოთ.

ს ა ლ ო მ ე — გული მეუბნება, რომ გადავრჩებით, ნიკოლაძე გადაარჩენს ქალაქს. აგერ წარბმაც დამიმოწმა. (ცერის ბოლოს

წარბზე გადაისვამს, განაგრძობს რეცხვას).

მ ა მ ა ნ ტ ი — ნიკოლაძე მოდის, ნიკოლაძე, კოწიაც, პავონიც, რაშია საქმე.

ნ ა თ ე ლ ა — ნიკოლაძე დღეს გამბუზიას უშვებს არხში.

ს ა ლ ო მ ე — ამ აფორიაქებულ დროს თევზისთვის მოიცალა ამ დიდმა კაცმა?

მ ა მ ა ნ ტ ი — დღეს ნიკოლაძე იარაღის ჩაბარებასაც არ დასწრებია. თავისი წარმომადგენლები გამოგზავნა. (აივანთან, არხის პირას, გამოჩნდებიან ნიკოლაძე, კოწია და პავონი. სალომემ, ნათელამ და მამანტიმ ჩაირბინეს კიბე. საერთო მისალმება, ხელის ჩამორთმევა).

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — სალამი, ქალბატონებო!

ს ა ლ ო მ ე — თვითონ, ბატონო!

კ ო წ ი ა — როგორ ხარ სალომე? კიდევ გტკივა თავი? არ გიშველა ჩემმა წამალმა?

ს ა ლ ო მ ე — მიშველა, ბატონო კოწია. კარგი წამალი ყოფილა.

კ ო წ ი ა — (თევზს უჩვენებს) უკეთესი წამალი მოგიტანეთ. შენს ციებას ეს თევზი მოსპობს.

ს ა ლ ო მ ე — რას ბრძანებთ? როგორ. ბატონო?

კ ო წ ი ა — ციებას აჩენს კოღო. გამბუზია ჭამს კოღოს კვერცხებს და ჭუპრებს. მოისპობა კოღო და მოისპობა ციება.

პ ა ვ ო ნ ი — ოღონდ არხს უნდა მოუაროთ, იხვები და ბატები ახლოს არ უნდა გააკაროთ. ჩვენში, იტალიაში ასე უვლიან ამ თევზს.

ს ა ლ ო მ ე — ოჰ, ბატონო იხვსა და ბატს როგორ მივუშვებთ.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — მეზობლის ქალებსაც უთხარით ის, რაც ბატონმა პავონმა გითხრათ.

ს ა ლ ო მ ე — კი, ბატონო! კი, ჩემო ბატონო!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ქალბატონი ნათელაც დაგვეხმარება ამ საქმეში. მოწაფეებს აუხსნის რომ არხს თვალყური ადევნონ, შინაური ფრინველები არ მიუშვან. ბავშვები ძალიან დაგვეხმარებიან ამ საქმეში.

ნ ა თ ე ლ ა — კი, ბატონო! ავუხსნი ბავშვებს და დავავალებ.

ბ ე რ გ ი — მაქვს პატივი გეახლოთ, ბატონო, ქალაქის თავო!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — სალამი, ბატონო, პოლკოვნიკო!

ბ ე რ გ ი — იარაღის ჩაბარება დამთავრდა. თქვენ შეასრულეთ თქვენი დაპირება. მეც ვასრულებ ჩემს სიტყვას და გეახელით რომ პირადად გადმომეცა ჩაბარების ხელწერილი.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — დიდი მადლობელი ვარ, ბატონო პოლკოვნიკო! დიდად კმაყოფილი ვარ თქვენი ყურადღების. მე ვფიქრობ, ბატონო პოლკოვნიკო, თქვენც კმაყოფილი ხართ, რომ მშვიდობით ჩაიბარეთ იარაღი.

ბ ე რ გ ი — მე და თქვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობით დამთავრდა ყველაფერი?

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — რასაკვირველია, ბატონო პოლკოვნიკო! ამიტომაც დღეს საზეიმოდ ჩავუშვებთ არხში გამბუზიას. აი, თვითონ ბატონი პავონი, იტალიის კონსული გვაჩვენებს, როგორ აკეთებენ ამას იტალიაში.

პ ა ვ ო ნ ი — აი ასე, ბატონო, თევზი უნდა მიეჩვიოს ახალი ქვეყნის წყალს. (ქილას თავი მოხადა და წყალი გადაასხა. შემდეგ არხის წყალი ჩაასხა ქილაში. აი, აი, თევზები გაირინდნენ. უყურეთ! უყურეთ! ეხლა კი გაინძრნენ. თავისუფლად დაიწყეს ცურვა... მიიღოს ქართულმა მიწა-წყალმა იტალიელი სტუმარი. (ქილა გადმოაპირქვავა არხში).

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — მე უკვე მოგახსენეთ, ბატონო პოლკოვნიკო, რომ ციებისაგან დიდადაა შეწუხებული ჩვენი ქალაქი. ციება უარყოფით გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე. ამის მოგვარებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ბ ე რ გ ი — გასაგებია! დიდად საინტერესოა თქვენი ღონისძიება.

პ ა ვ ო ნ ი — იტალიაში, ბატონო პოლკოვნიკო, თვითონ მეფე ჩამოუვლის ხოლმე არხებს და ამოწმებს გამბუზიის მოვლა-მოშენების საქმეს.

ბ ე რ გ ი — (ირონიით) თუ იტალიაში თვითონ მეფე აქცევს ყურადღებას ამ საქმეს, ჩემთვის გასაგებია რატომ ვერ დაესწრო დღეს ბატონი ნიკოლაძე იარაღის ჩა-

ბარებას ფოთში... და გამბუზიის მოშენებით არის გართული. ჩვენ კი, სამწუხაროდ, ცნობა გვაქვს, რომ ქალაქში არც ისე უზრუნველყოფილია მშვიდობიანობა, როგორც თქვენ გსურთ დაგვისახოთ. ასე მაგალითად, ერთი ჯგუფი შეიარაღებულთა დღეს გავიდა ქალაქიდან.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — შეიარაღებულთა ჯგუფი? ისინი მონადირეები იქნებიან, ჩვენს ქალაქში ბევრია მონადირე, ბატონო პოლკოვნიკო! ახლა სანადირო სეზონია და ყოველ დღე ნახავთ ქალაქიდან მიმავალ თოფიანებს.

ბ ე რ გ ი — ყოველ შემთხვევაში მე ვტოვებ ქალაქში საყარაულო ასეულს. მას უფლება აქვს გაჩხრიკოს ყველა საეჭვო პირი და თუ საბრძოლო იარაღი უნახა, ადგილზე დაიხვრიტოს... მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (მიდის).

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — როგორ მელიასავით მოვიდა და აფთარივით წავიდა..ჲ არაა კარგად საქმე... ცხადია, ყველას არ ჩაუბარებია იარაღი. ბატონო მამანტი, ზუმბას ჯგუფმა ჩააბარა იარაღი?

მ ა მ ა ნ ტ ი — არა, ბატონო, არ ჩაუბარებია.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — იმ თქვენს ამხანაგს გული არწივისა აქვს, თავი კი ბეღურასი. აი ესაა საშიში.

კ ო წ ი ა — მზვერავი ასეულის დატოვებაც არ არის კარგი. თავაშვებული ჯარისკაცები ვინ იცის, რას ჩაიდენენ?

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — კოწია, ბატონო პავლონი, წავიდეთ გარნიზონის უფროსთან!.. თქვენ კი მეგობრებო! (მიუბრუნდება ნათელას, მამანტის და სალომეს) დაუყოვნებლივ მოძებნეთ ზუმბა და მისი ჯგუფი. არც ერთი მუშა არ გამოჩნდეს ქალაქში შეიარაღებული. იცოდეთ: ქალაქი დიდი საშიშროების წინაშე დგას...

(ყველანი გადიან ნათელას გარდა, შემოდის ზუმბა)

ნ ა თ ე ლ ა — ოჰ, ზუმბა (მივარდა. უცებ შეიკავა თავი) რა კარგია, რომ მოხვედი. შენს საძებნელად წავიდნენ.

ზ უ მ ბ ა — მე შენთან მოვედი... შენ ჩემთვის მარტო პროპაგანდისტი როდი ხარ... შენ ვერ ამჩნევდი ამას. გასაგებიცაა.

ნ ა თ ე ლ ა — გაჩუმდი... რა დროს ეგაა.

ზ უ მ ბ ა — დრო სწორედ ახლაა. ეგებ უკანასკნელად გხედავ... ვიცი, დიდია მანძილი ჩვენს შორის, მაგრამ გულმა მანძილი არ იცის... შენ მარტო ნათელა როდი ხარ ჩემთვის, შენ ჩემი ცხოვრების სანთელიცა ხარ. დიდი, ჩაუქრობელი სანთელი. და თუ მზე დამიბნელდა, ამ სინათლის შუქი ჩამყვება სამარეში.

ნ ა თ ე ლ ა — ზუმბა, მოიცა ზუმბა! სად წავიდა? სად მიდის? (მისდევს) ისმის კანტი-კუნტად სროლის ხმა.

ფ ა რ დ ა

### მეექვსე სურათი

ტყის პირი. მოჩანს მდინარის ნაპირი და რკინიგზის ლიანდაგი. ზუმბა და რამდენიმე შეიარაღებული მუშა წვანან ლიანდაგზე.

ზ უ მ ბ ა — (საათს დახედა) ათ წუთში გამოივლის მატარებელი. ამხანაგებო, იარაღიანი ვაგონი უკანაა მიბმული. გამცილებელი ჩვენი კაცია. აქ მოხსნის ვაგონს. როგორც კი გაივლის შემადგენლობა, ვაგონს პირი შევუგდოთ და გაჩერდება.

ვ ა ნ ო — ჯარისკაცებს რა ვუყოთ?

ზ უ მ ბ ა — თუ გვესროლეს, დავხოცოთ. თუ არა და გავუშვათ. ჯობია ავყაროთ იარაღი და მერე გავუშვათ.

ვ ა ნ ო — ბევრმა ჩააბრა, თუ იცი იარალი?

ზ უ მ ბ ა — აბა რა გითხრა? სულმოკლეებმა ჩააბარეს. მე მგონი, ბევრმა მიწაში ჩაფლა. ან პალიასტომის ნაპირას გადამალეს, ტყეში.

ვ ა ნ ო — ზუმბა, ჩვენ რომ იარაღს წავიღებთ, ვაი თუ ნიკოლაძეს ისევ შეედავონ და ქალაქს ცეცხლი წაუკიდონ?

ზ უ მ ბ ა — არა, ჩემო ვანო, ახლა ნიკო-

ლაძეს ვერ შეედავებიან. ნიკოლაძეს ხელში უჭირავს საბუთი, რომ იარაღი ჩაბარებულია. ნიკოლაძემ შეასრულა ალიხანოვის დავალება: ჩააბარა იარაღი. ხოლო თუ ალიხანოვმა ვერ მოუარა იარაღს რა ნიკოლაძის ბრალია? ვაგონს გაძარცვავენ ტყეში. ეს ტყე ფოთის ფარგლებში არ შედის.

ვ ა ნ ო — მაშ ფოთის მოსახლეობა პასუხს არ აგებს?

ზ უ მ ბ ა — არ აგებს!

ვ ა ნ ო — მაშ საქმე ისე გაიჩარხება, რომ ქალაქი გადარჩება და იარაღიც ჩვენ დაგვრჩება.

ზ უ მ ბ ა — რასაკვირველია! (ყური დაადო ლიანდაგს) მოდის. მატარებელი მოდის! მოემზადეთ, ამხანაგებო! ვანო, წაიყვანე შენი ჯგუფი და დაუარე ზურგიდან. (ისმის მატარებლის ხმაური, რომელიც თანდათან ახლოვდება. შუქი ჩაქრა. მატარებელმა გაიარა. შუქი აენთო. გამოჩნდა ჯარისკაცი).

დ უ რ ი ხ ი ნ ი — ვინა ხართ? რა გინდათ?

ზ უ მ ბ ა — ხელები ზევით! დაყარეთ იარაღი, თორემ დაგხოცავთ!

დ უ რ ი ხ ი ნ ი — ჩვენ ჯარისკაცები ვართ, იარაღს როგორ დავყრით?

ზ უ მ ბ ა — ამხანაგო ჯარისკაცო, ჩვენ გვინდა იარაღი, დაგვანებეთ იარაღი და არ გესვრით.

დ უ რ ი ხ ი ნ ი — აბა, გაბედე და ხელი ახლე იარაღს! (დაწვა, მოიმარჯვა თოფი).

ზ უ მ ბ ა — ამხანაგო ჯარისკაცო, გიმეორებ, ჩვენ არ გვინდა სისხლი. არ გესვრით! დაგვანებეთ იარაღი!

დ უ რ ი ხ ი ნ ი — იარაღს არ განებებთ! მოშორდი, თორემ გესვრით! ვითვლი: ერთი! ორი!

ზ უ მ ბ ა — სამი! (ესროლა. იმავე წუთს ესროლა დურიხინმაც. ზუმბა წაიქცა).

დ უ რ ი ხ ი ნ ი — აბა ბიჭებო! ესროლეთ, ამათ!.. (ატყდა სროლა).

(ზურგიდან გამოჩნდნენ შეიარაღებული მუშები. ჯარისკაცებს მათ იარაღი აჰყარეს.

ვ ა ნ ო — ამხანაგო ზუმბა, რა ვუყოთ ამათ?

ზ უ მ ბ ა — შეუკარით ხელ-ფეხი და დაჰყარეთ ლიანდაგზე. აბა, გატეხეთ ვაგონი! (მუშები შეჰკრავენ ჯარისკაცებს. გადადიან სცენის მიღმა და მცირე ხნის შემდეგ გამოაქვთ იარაღი. ჩააქვთ მდინარის პირას).

დ უ რ ი ხ ი ნ ი — პაი დედას! წავაგე ჭკუა! გაუთვლელად უნდა მესროლა შენთვის. ჩაგაძაღლებდი!

ზ უ მ ბ ა — ჩვენ ხომ შეგვიძლია ეხლაც დაგხოცოთ, მაგრამ არ დაგხოცავთ. ოჰ. დაჭრილი ვარ! სისხლი მდის! (ცალი ხელით იხვევს).

დ უ რ ი ხ ი ნ ი — ეს მე დაგჭერი. ბედი გქონია, ძაღლიშვილო!

ზ უ მ ბ ა — ბედი შენი იკითხე, რომ გადამირჩი.

დ უ რ ი ხ ი ნ ი — რას გვიზამთ ახლა? დაგვხოცავთ?

ზ უ მ ბ ა — დავცლით ვაგონს და გაგიშვებთ... ჩვენ რაში გვჭირდება თქვენი დახოცვა?... ბიჭებო, მზადა ხართ?

ვ ა ნ ო — მზადა ვართ. ორივე ნავი გავავსეთ.

ზ უ მ ბ ა — აბა აიღეთ ამათი თოფები, ააცალეთ ვაზნები, შეუხსენით ხელები და გაუშვით! (დურიხინს ააცალეს ვაზნები, შეუხსნეს ხელები. დურიხინი დგას ერთხანს უხმოდ).

დ უ რ ი ხ ი ნ ი — მადლობას არ გეუბნები. თუ სადმე შეგხვდი!..

ზ უ მ ბ ა — დაადექით ახლა ამ ლიანდაგს და ჩახვალთ ჭალადიდში.

დ უ რ ი ხ ი ნ ი — ზურგში არ გვესროლოთ!

ზ უ მ ბ ა — ჩვენ რევოლუციონრები ვართ. ზურგში სროლას მეფის ჯარისკაცები არიან დაჩვეულნი. აბა გასწით! (ჯარისკაცები მიდიან. ერთი ჯარისკაცი ჩამორჩა, მივიდა ზუმბასთან).

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — ჩვენ ყველანი როდი ვართ რევოლუციის წინააღმდეგ. ჩვენ არ გესროლეთ როგორც საჭირო იყო... დაჭრილი ხარ, მგონი. აჰა, პირადი პაკეტი, შეიხვიე, მშვიდობით! (მიდის. შემოდიან ნათელა და მამანტი).

მ ა მ ა ნ ტ ი — ვერ მოვასწარით! ეს რა ჰქენით... ეს რა ჰქენით? რა ჩაიდინეთ ბიჭებო!

ნ ა თ ე ლ ა — რა მოგივიდა ზუმბა, დაჭრილი ხარ?

ზ უ მ ბ ა — დაჭრილი ვარ, მკლავში!

(წაბარბაცდა) შემიხვიეთ, თუ ძალიან არ მიჯავრდებით? აგერ, პირადი პაკეტი.

ნ ა თ ე ლ ა — მაჩვენე ხელი. სისხლი გდის. ხალათს ვერ გაიხდი? სახელო უნდა გავჭრა, ჯაყვა გაქვს?.. (გაჭრის და უხვევს) ოჰ, ზუმბა, რა ჩაიდინე ზუმბა!

მ ა მ ა ნ ტ ი — (გადგება განზე) თქვენ რას უცდით, ბიჭებო?

ვ ა ნ ო — ზუმბას ვუცდით!

მ ა მ ა ნ ტ ი — ზუმბა დაჭრილია, ვერ წამოვა თქვენთან. ჩვენ წავიყვანთ დრეზინით. აბა, იჩქარეთ! ნავები გაღმა ნაპირზე გაიყვანეთ და იარაღი ტყეში გადამალეთ. დღესვე, საღამომდე ჩაასწარით ქალადიდში, ვითომ სოფელში იყავით, ფოთში ცოტახანს ნუ გამოჩნდებით. აბა, გასწით!

ვ ა ნ ო — ჩვენ იარაღს მოვუვლით, თქვენ ზუმბას მოუარეთ!

ზ უ მ ბ ა — ძალიან მიჯავრდები, ამხანაგო, მამანტი? მაპატიე, მე სირცხვილი მოვრეცხე მუშებს. ახლა კი თუ გინდა დამსაჯე. აი მესროლე და გადამაგდე რიონში. ჩემი თავი შეეწიროს რევოლუციას.

მ ა მ ა ნ ტ ი — რევოლუციას სხვანაირად უნდა შესწირო თავი. მაგრამ ეხლა რა დროს ამაზე ლაპარაკია?.. წავიდეთ!

ზ უ მ ბ ა — სად მიგყევართ?

მ ა მ ა ნ ტ ი — ფოთში, მიქაბერიძესთან. სხვაგან ყველგან გიპოვნიან დაჭრილ კაცს და დაგხვრეტენ. მიქაბერიძესთან კი ეჭვს არ მიიტანენ.

ზ უ მ ბ ა — შენც მიჯავრდები? (ნათელა დუმს) მთელმა ქვეყანამ შემრისხოს, ოღონდ შენ ნუ მიჯავრდები. შენ... (ნათელა დუმს) რას დუმხარ? (წაბარბაცდა) ერთი სიტყვა მაინც მითხარი.

ნ ა თ ე ლ ა — (შეეშველა. მხარში ამოუდგა. ზუმბას ხელი მხარზე გადაიდო). დამეყრდენ! მაგრად დამეყრდენ! (გადიან).

ფ ა რ დ ა

## მესამე მოქმედება

### მეშვიდე სურათი

ალიხანოვის საველე შტაბი ვაგონში. ალიხანოვი გაბრაზებულია და ბოლთას სცემს. ბერგი დგას კუთხეში.

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — რატომ მიეცით ხელწერილი?

ბ ე რ გ ი — მომთხოვა ხელწერილი და აბა რა მექნა! იარაღის ჩაბარება იურიდიული აქტიაო. იარაღი მარტო საბრძოლო საგანი როდია, მატერიალური ღირებულებაც არისო. ხაზინას შეეძინა ეს ღირებულება და ხომ უნდა ვიცოდეთ რა შეეძინაო?

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — და თქვენც დაუჯერეთ, რომ ყველამ ჩაგაბარათ იარაღი? (მივიდა მაგიდასთან. ასწია ქაღალდები). აი აგენტურის ცნობები: ყველას არ ჩაუბარებია იარაღი.

ბ ე რ გ ი — სწორედ ამიტომ დავტოვე მე იქ მზვერავი ასეული.

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — აგიხვიათ თვალი ნიკოლაძემ, გაჯობათ ჭკუაში. ეს კონცერტიო, ეს გამზუზიაო.. ეხ, თქვენ... სირცხვილი პოლკოვნიკო, სირცხვილი! მე ხომ გაგაფრთხილეთ, ვისთან გექნებოდათ საქმე?.. მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. ამჟამად მაინც წააგებს, ბატონი ნიკოლაძე. ჩაბარებული იარაღის გატაცება დიდი კოზირია ჩვენს ხელში. ჩვენ ახლა შეგვიძლია თავს დავესხათ ფოთს და გადავწვათ იგი. და ამას მე გავაკეთებ ერთი ქართველი ოფიცრის ხელით, რომელიც არ დაინდობს ნიკოლაძეს.

ბ ე რ გ ი — თქვენო აღმატებულებავ, მე რატომ არ მავალებთ ამ საქმეს?

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — თქვენ გერმანელი ხართ. მე კი მინდა ქართველი კაცის ხელით გადავწვა ქართული ქალაქი. ეს უფრო ატკენს გულს ქართველებსა და ნიკოლაძეს.

ბ ე რ გ ი — ეს ქართველი ოფიცერი პოლკოვნიკი ჩიქოვანია?

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — დიახ! ჩიქოვანი და ნიკოლაძე მტრები არიან. ნიკოლაძე თავადაზნაურობის მტერია. ჩვენი მტერი- რაზნოჩინეცია. ერთ-ერთ ბანკეტზე მან აუგათ

მოიხსენია ქართველი თავად-აზნაურობა: მუქთახორები არიანო. ჩიქოვანი ხომ თავადია და იწყინა. დუელში გამოიწვია. ნიკოლაძემ მიიღო გამოწვევა.

*ბერგი* — შედგა დუელი?

*ალიხანოვი* — სამწუხაროდ, არა ილია ჭავჭავაძემ ჩაშალა. ჩიქოვანი შესანიშნავი მსროლელია და მოკლავდა მას. ჩიქოვანს შენიშვნა მისცეს ბრძანებით. ამან ხელი შეუშალა იაპონიის ომიდან ახალდაბრუნებულ ჩიქოვანს ჯვარი მიეღო. ამიტომ, მას ჭირივით ძულს ნიკოლაძე.

*ბერგი* — მაშ, ჩიქოვანი არ დაინდობს ნიკოლაძეს?

*ალიხანოვი* — დიახ, სწორედ ამიტომაც გამოვიძახე ჩიქოვანი. მაგრამ რომ იგვიანებს?

*ბერგი* — თქვენო აღმატებულებავ, მოსულა ჩიქოვანი.

*ალიხანოვი* — თხოვეთ!

*ჩიქოვანი* — მაქვს პატივი გეახლოთ, თქვენო აღმატებულებავ!

*ალიხანოვი* — გულითადად მოხარული ვარ, ძვირფასო პოლკოვნიკო, თქვენი მოსვლისა. დაბრძანდით.

*ჩიქოვანი* — გმადლობთ!

*ალიხანოვი* — მე თქვენ ერთი სერიოზული დავალება უნდა მოგცეთ.

*ჩიქოვანი* — გისმენთ.

*ალიხანოვი* — თქვენ გიცნობთ ადგილობრივი საზოგადოება და თქვენს სიტყვას დიდი წონა აქვს.

*ჩიქოვანი* — გმადლობთ ქათინაურისათვის, თქვენო აღმატებულებავ.

*ალიხანოვი* — არა, პოლკოვნიკო, ეს ქათინაური არ გახლავთ! ეს ჭეშმარიტებაა! „მიეზღოს კეისრისა კეისარს“... ამიტომ, მე საჭიროდ დავინახე შემოგთავაზოთ ჩემი ჯარის ერთ-ერთი შენაერთის მეთაურობა.

*ჩიქოვანი* — დიდად გმადლობთ, თქვენო აღმატებულებავ!

*ალიხანოვი* — დაბრძანდით! დაბრძანდით!

*ჩიქოვანი* — მაგრამ მე ხომ ქუთაისის გარნიზონში ვირიცხები? სენაკში ორი დღითა ვარ ჩამოსული პირად საქმეზე.

*ალიხანოვი* — მე, როგორც სარდალს ქუთაისის გუბერნიაში მოქმედი ჯარებისა, მაქვს უფლება თქვენი გადმოყვანისა.

*ჩიქოვანი* — სწორედ აგრეა, თქვენო აღმატებულებავ! ნება მომეცით შეგეკითხოთ: რა დავალების მოცემას ინებებთ?

*ალიხანოვი* — ჩვენ ჩავიბარეთ ფოთში აჯანყებულთა იარაღი. იარაღით დატვირთულ მატარებელს დაეცნენ აჯანყებულნი და გაძარცვეს. როგორც ხედავთ, ეს გაძარცვა სამხედრო აქტია. ამ აქტის საპასუხოდ აჯანყებულნი უნდა დაისაჯონ. ჰოდა, ამ ოპერაციის ხელმძღვანელად მე გნიშნავთ თქვენ.

*ჩიქოვანი* — თქვენო აღმატებულებავ, ძალიან გთხოვთ ამარიდოთ ეს პატივი.

*ალიხანოვი* — ეს რა მესმის? რუსეთის არმიის ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერი, სახელოვანი, პატივდადებული და... პოლკოვნიკო, ეს არსებითად საბრძოლო ბრძანებაა! არსებითად, ჩვენ ფრონტზე ვართ!

*ჩიქოვანი* — მესმის, თქვენო აღმატებულებავ!

*ალიხანოვი* — მე მხოლოდ თქვენისთანა მამაცსა და გამოცდილ მეთაურს შემიძლია მივანდო ეს საპასუხისმგებლო დავალება. ეგებ გეშინიათ, რომ ვერ დასძლიოთ მტერი? მაშინ...

*ჩიქოვანი* — შიში? შიში და პოლკოვნიკი ჩიქოვანი? ვინ დაიჯერებს?..

*ალიხანოვი* — არც მე მჯერა... მაშ, თქვენ დღეიდან ფოთის საექსპლოატაციო ჯარის უფროსი ბრძანდებით. პოლკოვნიკო ბერგ, დაწერეთ ბრძანება! გადაეცეს პოლკოვნიკ ჩიქოვანის განკარგულებაში სამი ბატალიონი მეთოთხმეტე გრენადერთა პოლკისა... ყუბანის ყაზახთა ჯარების მეორე პლასტუნთა ბატალიონი. ოცდამეცამეტე საარტილერიო ბრიგადის ერთი ბატარია... დაუმატეთ კიდევ ერთი რკინიგზის ასეული...

*ბერგი* — არის!

*ალიხანოვი* — ჩემი შტაბის უფროსს პოლკოვნიკ ბერგს ვავალებ, ამას დაწერა არ უნდა, იყოს ჩემს წარმომადგენლად ფოთის ქალაქის თავთან. (ბერგს) რაც შეეძლება მეტი სიმკაცრით და მოთხოვნილებით მოეპყარით ქალაქს, როგორც აჯანყებულს და ბატონ ნიკოლაძეს, როგორც წამქეზებელს. მაგრამ ფრთხილად იყავით კიდევ რამე ხრიკი არ მოგდოთ ნიკოლაძემ... ხო-

ლო თუ საჭიროება მოითხოვს, უცხოეთის კონსულებთან იყავით ლოიალური. სამწუხაროდ, ეს საჭიროა. თავისუფალი ბრძანდებით!

ბ ე რ გ ი — მესმის.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — ჩემი ამოცანა რა იქნება, თქვენო აღმატებულებავ?

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — თქვენი ამოცანა ის იქნება, რომ გადაწვათ ქალაქი.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — ქალაქი გადავწვა?

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — დიახ! უნდა გადაწვათ მეფის წინააღმდეგ აჯანყებული ქალაქი!

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — თუ ქალაქში სიწყნარეა? თუ მიზეზი...

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — მიზეზი არის: გაიტაცეს იარაღი. ბერგი და თქვენ გამოცხადდებით ნიკოლაძესთან. ეტყვით ამ მიზეზს და შეუდგებით მოქმედებას.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — მაშ, ჯარი მემორჩილება მხოლოდ მე.

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — დიახ! მხოლოდ თქვენ!.. თავისუფალი ხართ!

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — მესმის!

ა ლ ი ხ ა ნ ო ვ ი — ფოთი უნდა განადგურდეს...

ფ ა რ დ ა

## მერვე სურათი

ნიკოლაძის კაბინეტი. ნიკოლაძე, კოწია, გიორგი. სიმღერა შორიდან „Гей славяне!..“

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — გესმით, რას მღერიან?.. მაშასადამე, მოდიან შურის საძიებლად. მოდიან, რომ განამტკიცონ თვითმპყრობელობის პოლიტიკა: დევნა და ჩაგვრა მცირე ერებისა, ბატონობა და ზვიადობა ველიკოდერჟავული მთავრობისა. მთავრობა ორ კურდღელს იჭერს... ახშობს რევოლუციას, ეს მთავარია და ჩაგრავს მცირე ერებსაც.

გ ი ო რ გ ი — ამდენი ჯარი რა საჭირო იყო მაშინ? (მძიმე დუმილი).

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — (თითქოს გამოერკვა, ასწია თავი, ეტყობა, მიიღო გადაწყვეტილება.) გიორგი, ჩამოუარეთ უცხოეთის კონსულებს. იტალიისა და ინგლისის, გერმანიისა და საბერძნეთის კონსულებს სთხოვეთ მობრძანდნენ ჩემთან. დიდია ამ სახელმწიფოთა ინტერესები ფოთსა და ჭიათურაში. მათ უნდა სთხოვონ თავისი მთავრობების სახელით რუსეთის ჯარის სარდლობას, რომ ქალაქს და ნავსადგურს ხელი არ ახლონ.

(შემოდიან ბერგი და ჩიქოვანი)

ბ ე რ გ ი — მაქვს პატივი გეახლოთ დამსჯელი რაზმის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ბერგი.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ჩვენ უკვე ვიცნობთ ერთმანეთს.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ჩიქოვანი.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ოჰ, ბესარიონ!.. აი, სად შევხვდით ერთმანეთს... მობრძანდით, მობრძანდით.

ბ ე რ გ ი — დასაჯდომად არ გვცალიან. გუშინ თქვენმა რევოლუციონერებმა გაგვიტეხეს სამხედრო ვაგონი და გაიტაცეს იარაღი. ან დაუყოვნებლივ — ვიმეორებ, დაუყოვნებლივ ჩაგვაბარეთ ბოროტმოქმედნი ან გადავწვავთ ქალაქს.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ბატონო პოლკოვნიკო, ჩვენ რატომ უნდა დაგვედოს ბრალად თქვენი ვაგონის გაძარცვა?

ბ ე რ გ ი — როგორ თუ რატომ? თქვენ მომატყუეთ მე, ბატონო ნიკოლაძე, ჩამაბარეთ იარაღი, მიიღეთ იურიდიული საბუთი და იარაღი ისევ წაგვართვით.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — უკაცრავად, ბატონო პოლკოვნიკო! მე თქვენთვის იარაღი არ წამირთმევია. ვაგონზე თავდასხმა მოხდა ფოთის ტერიტორიის გარეთ. მე კი ვმოქმედობ ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე. სადაა თქვენი ლოღიკა!

ბ ე რ გ ი — ბატონო ნიკოლაძე, მე თქვენ თვალს ნუ მიხვევთ! და სიტყვაზე ნუ მიჭერთ. მართალია, თქვენს სიტყვას ყურს უგდებენ რუსეთის მთელ იმპერიაში, მაგრამ ამჟამად რუსეთის იმპერია მე ვარ... არ იძ-

ლევით ბოროტმოქმედებს?... გადავწვავთ ქალაქს. (ჩიქოვანს) წავიდეთ, პოლკოვნიკო!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — მე ვფიქრობ პოლკოვნიკი ჩიქოვანი არ დაგეთანხმებათ ამაში. ფოთი იზოლირებული ქალაქი არ არის. ის მჭიდრო ურთიერთობაშია გარემოსთან. მაგალითად, ევროპასთან.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — დიახ, მე ჩემი მოსაზრება მაქვს.

ბ ე რ გ ი — მაინც?

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — ფოთში დიდძალი ევროპიელები ცხოვრობენ. თქვენ ხომ დაგავალათ გენერალმა ანგარიში გაეწიოს ამ პოლიტიკურ ფაქტორს?

ბ ე რ გ ი — ჩვენ უცხოელების ინტერესებს არ შევეხებით. ჩვენ გვინდა ბოროტმოქმედნი.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — გარდა ამისა, მე მგონია, იურიდიულად ბატონი ნიკოლაძე მართალია.

ბ ე რ გ ი — ჩვენ ვართ ბრძოლის ხაზზე. ბრძოლის ხაზზე კი ერთი კანონია — ტყვია. აი, ესაა ჩვენი იურიდიული კანონი. ჩვენ გავუსწორდებით აჯანყებულ ქალაქს.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — რას ბრძანებთ, ბატონო პოლკოვნიკო? რა აჯანყება? რისი აჯანყება? ქალაქში დღეს კონცერტია დანიშნული. განა კონცერტზე იფიქრებს მოჯანყე ხალხი?

ბ ე რ გ ი — კონცერტი? (ჩიქოვანს) არაფერი მესმის. თქვენ გესმით?

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — მე კი მესმის, რომ ქალაქში სიწყნარეა. არავითარი ბოროტმოქმედნი აქ არ არიან და ჩვენ უნდა დავბრუნდეთ უკან.

ბ ე რ გ ი — მე არ დავბრუნდები უკან! და თუ თქვენ ხელს იღებთ თქვენს დავალებაზე, მე გავუსწორდები (ქალაქს).

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — (ჩიქოვანს) ბატონო ბესარიონ, ჩვენ ამ წუთში ორი ქართველი ვდგავართ ერთმანეთის პირისპირ. ფოთი ქართველი ერისაა, გახსოვდეთ!

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — მე შევასრულებ ჩემს მოვალეობას ჩემი ქვეყნის წინაშე (გადის).

კ ო წ ი ა — აი ვაჟკაცობაც ეგ იქნება! ეგებ დაივიწყოს შუღლი? ეგებ გადავრჩეთ.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ვნახოთ... მე მაქვს ერთი უკანასკნელი საბუთიც ფოთის გადასარჩენად. (გააღო სეიფი, გამოიტანა ქაღალდები), ამ საბუთით საფრანგეთს ავალაპარაკებთ..

ფ ა რ დ ა

## მეოთხე მოქმედება

### მეცხრე სურათი

ერთი დარაბის წინ სხედან დურიხინი და ორი ჯარისკაცი. სვამენ ღვინოს. დარაბის კარი ჩამტვრეულია.

დ უ რ ი ხ ი ნ ი — აბა, მიტროშკა, დამისხი! კიდევ დამისხი! ამ ქვეყანაში კარგი ღვინო ცოდნია! (დალია)

მ ი ტ რ ო შ კ ი ნ ი — ღვინო კარგია! ქვეყანა კარგია! ახლა ქალები იკითხე! პირდაპირ ანგელოზები არიან. მაგრამ არც ერთმა რომ არ გაგვიღიმა?.. უკარება ყოფილან!

დ უ რ ი ხ ი ნ ი — მე მათ ვუჩვენებ უკარებას... მე მათ... დავიჭერ ქუჩაში და იქვე წავაქცევ.

პ ე ტ რ ე ნ კ ო — ვერაფერსაც ვერ წააქცევ!

დ უ რ ი ხ ი ნ ი — ვითომ და რატომ? ვინ დამიშლის?

პ ე ტ რ ე ნ კ ო — სინდისი.

დ უ რ ი ხ ი ნ ი — ჰა!.. სინდისი!.. სინდისი არ გამამხიარულებს, ჩემო ძმაო! ქალი კი, და ისიც წაქცეული, გამამხიარულებს.

პ ე ტ რ ე ნ კ ო — სულელი ხარ, დურიხინ!

დ უ რ ი ხ ი ნ ი — შენ თავს ნუ გაგდის!.. გითმენ, გითმენ და მერე დედას გიტირებ!.. მე უფროსი უნტერ-ოფიცერი ვარ. თუ მოვინდომე, დედას გიტირებ და ეს იქნება წესდებით... ასე არაა, მიტროშკა?

მ ი ტ რ ო შ კ ი ნ ი — ასეა, ბატონო, უფროსო უნტეროფიცერო!

დ უ რ ი ხ ი ნ ი — მე ვარ მეფის ტახტის დამცველი. შენ ხარ მეფის ტახტის დამცველი. ეს ვინ არის. კრამოლნიკი... გუშინ ამბობდა, რა გვინდაო ამ ქვეყანაში?.. ა!

ჯარისკაცო პეტრენკო, ხომ ამბობდი ასე ამ ხალხს რას ვერჩითო?

პ ე ტ რ ე ნ კ ო — ახლაც გავიმეორებ: რა გვინდა აქ? რა დაგვიკარგავს?.. შინ ჩემს დედ-მამას შიმშილით კუჭი ეწვის. მე კი აქ რა მინდა?

დ უ რ ი ხ ი ნ ი — ის მინდა, რომ... ღვინო მინდა... მიტროშკინ, დამისხი ღვინო!

მ ი ტ რ ო შ კ ი ნ ი — ინებეთ, ბატონო, უფროსო უნტერ-ოფიცერო!

დ უ რ ი ხ ი ნ ი — ამას უყურეთ: აქ რა გვინდაო?

პ ე ტ რ ე ნ კ ო — ჰო, რა გვინდა? ჩამოსვლა ვერ მოვასწარით და ღვინის სარდაფი გავტეხეთ. გავძარცვეთ და ვძრეობთ, უკვე მოკლულია რამდენიმე კაცი ტყუილ-უბრალოდ.

დ უ რ ი ხ ი ნ ი — გუშინ რომ იარაღი წაგვართვეს, ის რა იყო?.. ეს სამაგიეროა!..

მ ი ტ რ ო შ კ ი ნ ი — ასეა... რადგან უფროსი ლაპარაკობს, ასეა.

დ უ რ ი ხ ი ნ ი — ქართველები ჩვენი მტრებია, მეფის მტრები. ესენი ბასურმანები არიან. უნდა გავწყვიტოთ.

პ ე ტ რ ე ნ კ ო — სცდებით, ბატონო, უფროსო უნტერ-ოფიცერო! გაიხედეთ! ხედავთ ეკლესიის ჯვარს? ეს იმათი ეკლესიაა.

დ უ რ ი ხ ი ნ ი — მერე რა რომ ეკლესიაა? არ ენდო ქართველების ეკლესიას. გარეთ ჯვარია, შიგნით ეშმაკი.

პ ე ტ რ ე ნ კ ო — აი, სწორედ შენა ხარ ასეთი! ყელზე ჯვარი გკიდია, გულში კი ეშმაკი გიზის. შენ და შენისთანები არცხვენენ რუსებს და კაზაკებს.

დ უ რ ი ხ ი ნ ი — (გაბრაზდა) რიგოსანო პეტრენკო, სმენაა! (პეტრენკო დგება სმენაზე), მიპასუხე ვინ არიან შინაური მტრები? ისე მიპასუხე, როგორც გასწავლე!

პ ე ტ რ ე ნ კ ო — შინაური მტრები არიან ურიები, სტუდენტები და ცხენის ქურდები, ბატონო, უფროსო უნტერ-ოფიცერო!

დ უ რ ი ხ ი ნ ი — სწორია. ახლა მიპასუხე: რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ ამ ქალაქში.

პ ე ტ რ ე ნ კ ო — ამ ქალაქში ჩვენ უნდა დავხოცოთ აჯანყებული ხალხი და გადავწვათ ქალაქი.

დ უ რ ი ხ ი ნ ი — სწორია!.. თავისუფლად! (პეტრენკო დგება თავისუფლად) რა ჰქვიან ამ ქალაქს.

პ ე ტ რ ე ნ კ ო — ფოთი, ბატონო, უფროსო უნტერ-ოფიცერო!

დ უ რ ი ხ ი ნ ი — როგორი ქალაქია, თუ იცი!

პ ე ტ რ ე ნ კ ო — ეტყობა კულტურული ქალაქია.

დ უ რ ი ხ ი ნ ი — როგორი?

პ ე ტ რ ე ნ კ ო — კულტურული, ესე იგი განათლებული.

დ უ რ ი ხ ი ნ ი — ბარდელი თუ არის ქალაქში? არ გკითხავს?

პ ე ტ რ ე ნ კ ო — არ ვიცი! არ მიკითხავს!

დ უ რ ი ხ ი ნ ი — აბა როგორი განათლებული ქალაქია, თუ ბარდელი არაა? ეჰ, მე რომ მეფე ვიყო! ყოველ ქუჩაზე ბარდელს გავხსნიდი. შედი, ჯარისკაცო! შედი, კაზაკო! რომელ გოგონას გინდა, მოკიდე ხელი! დალიე, იცეკვე!.. მიყვარს ცეკვა. აბა მიტროშკინ, დაუკარ გარმონი!

(მიტროშკინს მოაქვს გარმონი. უკრავს. დურიხინი ცეკვავს. ამ დროს შემოდის ბერგი).

ბ ე რ გ ი — გამარჯობათ, ბიჭებო!

ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ი — გაგიმარჯოთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

ბ ე რ გ ი — დალიეთ ღვინო?

დ უ რ ი ხ ი ნ ი — დავლიეთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

ბ ე რ გ ი — იცოდეთ, აქ ყველა სარდაფი თქვენია! ყველაფერი თქვენთვის მომიცია!

დ უ რ ი ხ ი ნ ი — მადლობას მოგახსენებთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

ბ ე რ გ ი — ახლა კი შეუდექით მეფის სამსახურს, აი, ამ რიგში რაც შენობებია, უნდა გადაიწვას. თუ ვინმე შეეცადოს ცეცხლის ჩაქრობას, ესროლეთ! შენ ხომ საუკეთესო მსროლელი ხარ? შენი იმედი მაქვს..

დ უ რ ი ხ ი ნ ი — მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

ბ ე რ გ ი — დაიწყეთ! (ბერგმა მოუკიდა პაპიროსს და ტროტუარზე ბოლთას სცემს), ავარდა ცეცხლის ალი. მამანტის სახლ მოედო ცეცხლი. სალომე გავშვიანად გამოვარდა აივანზე).

დ უ რ ი ხ ი ნ ი — უკან დაიხიე, თორემ გესვრი!

ს ა ლ ო მ ე — (კივის) მიშველეთ! მიშველეთ! (აივანს ცეცხლი მოედო. სალომე დგას ცეცხლში. გამოჩნდებიან ზუმბა და ნათელა).

ზ უ მ ბ ა — (შემოვარდა. დაინახა ცეცხლმოდებული სალომე.) სალომე, ბავშვი მომაწოდე! ბავშვი! (გამოართვა ბავშვი, ჩამოდის აივნიდან, ცეცხლი მოსდებია ზუმბასაც).

დ უ რ ი ხ ი ნ ი — ეს ვიღაა?

პ ე ტ რ ე ნ კ ო — არ ესროლო! (თოფს ხელი აუკრა, თოფი გავარდა.). ადამიანი არა ხარ? დედა და შვილი იწვის...

(ნათელამ გამოართვა ბავშვი ზუმბას. პეტრენკო ცეცხლს უქრობს ზუმბას).

მ ა მ ა ნ ტ ი — (შემოვარდა, გადახედა ყველას. უცბად გაერკვა მდგომარეობაში. გაიხადა ზედატანი და შემოახვია სალომეს. უქრობს ცეცხლს). ნუ გეშინია, სალომე! ნუ გეშინია! (ჩაუქრო ცეცხლი. სალომემ ბავშვი გამოართვა ნათელას).

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — (შემორბის) ჯარისკაცებო! ისმინეთ ჩემი! არ ესროლოთ ხალხს!

ბ ე რ გ ი — პოლკოვნიკო ჩიქოვანო, ეს რას ნიშნავს?

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — გენერალ ალიხანოვის განკარგულებით, ჯარი მემორჩილება მე. ჯარის მოქმედებაზე მე ვაგებ პასუხს!

ზ უ მ ბ ა — (გადმოდის შუა ადგილას) პასუხს მე ვაგებ ბატონო პოლკოვნიკო! მე გავაჩერე ვაგონი, მე გავიტაცე იარაღი! ამიტომ, გთხოვთ, მე მაგებინოთ პასუხი. ქალაქი არაფერ შუაშია. მე დამხვრიტეთ!

ნ ა თ ე ლ ა — (ამოუდგება გვერდით ზუმბას). მართალია! ჩვენ გავიტაცეთ იარაღი! ჩვენ დაგვსაჯეთ! ქალაქი არაფერ შუაშია.

ბ ე რ გ ი — (უყურებს ერთხანს ორივეს), მაშ, თქვენ მოაწყვეთ იარაღის გატაცება? კეთილი და პატიოსანი... მე თქვენ საკუთარი ხელით დაგხვრეტთ,, დადექით კედელთან, (ზუმბა და ნათელა დგებიან კედელთან. ბერგმა ამოიღო რევოლვერი, დაუმიზნა ნათელას. ნათელა დგას თავაწეული, ამაყად. ბერგმა რევოლვერი მიუშვირა ზუმბას. ზუმბა დგას ამაყად. ბერგმა დაუშვა რევოლვერი. მიუბრუნდა ჩიქოვანს). ბატონო პოლკოვნიკო, ხედავთ როგორი სცენა მოგვიწყო ნიკოლაძემ? ტყუილად როდი გამაფრთხილა გენერალმა: ნიკოლაძემ რაიმე ხრიკი არ მოგდოსო... ესეც ერთი ხრიკი ბატონი ნიკოლაძისა. უნდა ამათი თავი შემომაჩეჩოს და გადაარჩინოს ქალაქი... ხა... ხა... ხა... ხა... არა, ჩემო კარგო. სულელები სხვაგან ეძებე! (ნათელას და ზუმბას) გასწით აქედან! მოწყდით აქედან!

ზ უ მ ბ ა — ბატონო პოლკოვნიკო, გაძლევ პატიოსან სიტყვას, მე გავიტაცე იარაღი!

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — (ზუმბა დაიმარტოხელა) წადი, ძმაო, თავს რაღათ იღუპავ? (შემოდიან ნიკოლაძე, კოწია, გიორგი, პავონი.).

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ბატონო პოლკოვნიკო, გთხოვთ, მოუსმინოთ უცხოეთის კონსულს ბატონ პავონის.

პ ა ვ ო ნ ი — ბატონო პოლკოვნიკო! ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს... ჰოდა, მე გახლავართ იტალიისა და ინგლისის კონსული მე გელაპარაკებით მათი უდიდებულესობათა იტალიისა და ინგლისის მეფეთა მთავრობების სახელით. ჩვენ იტალიელებსა და ინგლისელებს დიდი მატერიალური ინტერესები გვაქვს ფოთში. ფოთსა და ჭიათურის მარგანეცის წარმოებაში ჩვენ მილიონები დავაბანდეთ და თუ თქვენ, ბატონო პოლკოვნიკო, ხელი შეგვიშალეთ რუსეთთან ურთიერთობაში, იძულებული ვიქნები ვაცნობო ევროპას. მე ვადასტურებ, რომ ფოთში სუფევს მშვიდობიანობა.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — (წარუდგინა) ეს გახლავთ გერმანიის კონსული, ბატონი სმიტი.

ს მ ი ტ ი — ბატონო პოლკოვნიკო, მათი უდიდებულესობის გერმანიის იმპერატორის მთავრობის სახელით, გთხოვთ, შეწყდეს ქალაქის აწიოკება; გერმანია დიდად არის დაინტერესებული ფოთის მდგომარეობით. აქ ჩვენი დიდძალი კაპიტალი ტრიალებს. და თუ თქვენ ხელი შეგვიშალეთ, იძულებული ვიქნები ვაცნობო ჩვენს მთავრობას თქვენი მოქმედება.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ეს გახლავთ საფრანგეთის კონსული, ბატონი სკრიპუნასი.

ს კ რ ი პ უ ნ ა ს ი — მე ვუერთდები ჩემი კოლეგების პროტესტს. ჩემი მთავრობის სახელით მე გთხოვთ მოგვცეთ მშვიდობიანი საქმიანობის საშუალება. ჩვენ, უცხოელები...

არ ვერევით თქვენს საქმიანობაში, თქვენც ნუ ჩაერევით ჩვენს საქმიანობაში. ჭიათურია და ფოთის მშვიდობიანი ცხოვრება საჭიროა თქვენთვისაც და ჩვენთვისაც.

პ ა ვ ო ნ ი — დღეს ჩვენი გემები იტვირთებოდა მარგანეცით. თქვენ კი ხელი შეგვიშალეთ. მუშები გაიფანტნენ თავიანთ სახლებში. აი ეს მუშა (მიუთითებს მამანტიზე) იმის ნაცვლად, რომ გემზე მუშაობდეს, თავის ცოლშვილსა და სახლკარს დარაჯობს აქ. ვიმეორებ: გემების გადატვირთვა შეჩერდა. ნავსადგური დაცარიელდა, ვინ აგებს პასუხს?

ბ ე რ გ ი — ბატონებო! ბატონებო! მე ნავსადგურს არ ვეხები. მე მხოლოდ ქალაქთან მაქვს საქმე.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — რაც შეეხება ქალაქს, უნდა მოგახსენოთ, რომ საფრანგეთში მე გამოშვებული მაქვს ობლიგაციები და აღებული მაქვს სესხი, რომლის გირაოა ეს სავაჭრო შენობები. თუ ეს შენობები დაიწვა, საფრანგეთის მთავრობა პასუხს მოსთხოვს რუსეთის მთავრობას. საჭირო იქნება დიდძალი ზარალის ანაზღაურება. ამ შემთხვევაში პასუხს აგებთ პირადად თქვენ.

ბ ე რ გ ი — ეს ახალი ამბავია ჩემთვის. ეს მე არ ვიცოდი... არც უცხოეთის ინტერესებს შევეხებით... არც ნავსადგურს ვეხებით.

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — მაგრამ ქალაქი იწვის... ჩააქრეთ ცეცხლი. თუ თქვენ გეშინიათ, ჩიქოვანი აიღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — დიახ, მე ვიღებ ჩემს თავზე პასუხისმგებლობას (მიბრუნდა კულისებისკენ) სმენაა! მოხსენით ყარაულები! ჩააქრეთ ცეცხლი! (ყველანი გარბიან ცეცხლის ჩასაქრობად. ჩიქოვანი გადის).

ბ ე რ გ ი — (გასძახის) პოლკოვნიკო, მე თქვენ ჩამოგხსნით სამხრეებს! თქვენ პასუხს აგებთ!

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი ს ხ მ ა — მზად ვარ, ვაგო პასუხი!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — პოლკოვნიკი ჩიქოვანის შესახებ მე პირადად მოველაპარაკები გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს (ისმის სიმღერა: ,,სამშობლოვ, სამშობლოვ“). ბატონო პოლკოვნიკო, გესმით ეს სიმღერა?.. ამ მომღერალ, მშვიდობიან ქალაქს თქვენ ცეცხლი წაუკიდეთ, პოლკოვნიკმა ჩიქოვანმა კი ჩააქრო ცეცხლი. მან უზრუნველყო ქალაქში მშვიდობიანი ცხოვრება და შრომა. ევროპის წარმომადგენლებიც დაადასტურებენ ამას.

ბ ე რ გ ი — (დაიბნა) ბატონო ნიკოლაძევ!... თქვენო აღმატებულებავ! მე მხოლოდ გენერალ ალიხანოვის დავალებას ვასრულებდი!... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

(ცეცხლი თანდათან ნელდება და ქრება. შემოდის ჩიქოვანი. გამოეჭიმება ნიკოლაძეს).

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — ბატონო ნიკო, ცეცხლი ჩამქრალია!

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ბატონო ბესარიონ, მადლობელი ვარ თქვენი! (გადაეხვევა და კოცნის).

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — მადლობელი ვარ მეც თქვენი, რომ საშუალება მომეცა კეთილად ვემსახურო ჩემს ქვეყანას!.. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (გაბრუნდა. გასძახის კულისებისაკენ). სმენაა! სწორება რიგებში! ნაბიჯით იარ! გაისმის დოლისა და ჯარის ფეხის ხმა. პაუზა. შემოდიან პიესის პერსონაჟები.).

ნ ი კ ო ლ ა ძ ე — ძმებო! შვილებო!... დიდი მადლობა ყველა იმათ, ვინც ხელი შეგვიწყო გადაგვერჩინა ჩვენი ქალაქი... ჩემი მადლობა ფოთის მუშებს, დინჯად რომ ეჭირათ თავი და დაიცვეს წესრიგი. ჩემი მადლობა ფოთის მოსახლეობას, რომ არ შეწყვიტა შრომა და გონივრული მუშაობა. მადლობა ჩემს მამაც ხალხს... მადლობა ყველას, ყველას!..

(სიმღერა — ,,სამშობლოვ, სამშობლოვ, ჩემო ლამაზო“...)

ფ ა რ დ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუტა გაგუა

## აპრილი

ბაღში მეფობდა სიჩუმე მკაცრი
და ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ იდო
თოვლი, რომელიც ხვდებოდა თვითონ —
დარჩენას უკვე არ ჰქონდა აზრი.

მე ვუყურებდი უხმოდ და თრთოლვით,
როდესაც ქვისგან გამოკვეთილი
ბელადის გაწვდილ ხელიდან თოვლი
გაუჩინარდა თეთრი მტრედივით.

ბაღში აპრილი ახელდა თვალებს
და წარმომიდგა: საოცრად ნაზი,
ამ გამარჯვების ზეიმით მთვრალი
სადღაც, სოფელში, ტიროდა ვაზი.

და ირწეოდნენ ხენი ჩრდილებად
იქ, სადაც ენთო აღმოსავლეთი...
და არ არღვევდა ღრუბლის ნაფლეთი
ამ საზეიმო განწყობილებას.

## მე ვიცი გრძნობა

მე ვიცი გრძნობა, გრძნობა, რომელიც
წმინდაა, როგორც პირველი თოვლი;
არის წუთები შეუცნობელი —
უსაზღვრო ლტოლვის, ლტოლვის და
ლტოლვის.

პირზე ბედნიერ ღიმილს დაიფენ —
უკან დაიხევს ყინვა და სუსხი.

მარადისობის გარდა რაიმეს
თუკი ეკუთვნი, არავინ უწყის.

ოდნავ შემკრთალი თვალების ტბაში
ჩაიძირები ჩუმი ალერსით...
და ჩნდება ბავშვი, იზრდება ბავშვი,
და ორაზროვნად გვიმზერს თვალებში.

## გიორგი შატბერაშვილის ხსოვნას

ალბათ ელოდი სტუმრად მეგობარს —
კარებზე ვიღაც რეკავდა დიდხანს,
გაუღე — ტლანქად გადაგეღობა:
ღია კარებში სიკვდილი იდგა!

ის გპირდებოდა მყუდრო სამყოფელს
და ზღაპრულ ედემს—მართალს და
ტყუილს,

და არ ითხოვდა შენგან თანხმობას —
ყველაფერს წყვეტდა თავისი ჭკუით.

და დარჩი ღია კარებთან აგრე —
გაოგნებული, ფერმკრთალი სახით,
და ყველა სახე ხსოვნაში ჩაქრა,
როგორც ცარიელ დარბაზში ჭაღი.

ეს სიზმრად... ხოლო, იმ ბნელ ქაოსით
შემკრთალი როცა გამოვერკვიე,
აღარ იყავი — სასაფლაოზე
უკრავდნენ შენი სულის რექვიემს.

ძლივს ციმციმებდა შუქი იმედად
შენს სამარესთან და მივხვდი ბოლოს:
ის უკვე შენთვის არ ციმციმებდა —
იმედი ცოცხლებს სჭირდებათ მხოლოდ.

ვირწმუნო, რომ შენ დაგეხშო გრძნობა,
ძნელია, როგორც ეს დღე უშენოდ,
როგორც საკუთარ სიკვდილზე ცნობას
წააწყდეს კაცი და დაუჯეროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი სახელი რომ არ ჩაქრება
ხსოვნაში, როგორც უმწეო სხივი,
მე ვიცი სხვებზე არანაკლებად,
მაგრამ ეს მაინც არ შველის ტკივილს...

ო, არაფერი არ შველის, ვიცი,
და მტკივა, როგორც ჭრილობა ღია,
შეხორცებული იარა მიწის,
რომელსაც შენი საფლავი ჰქვია.

* * *

თითქოს ჭრილობას გაეხსნა პირი
და წვეთავს სისხლი, წვეთავს და წვეთავს—
ადამიანებს გვჩვევია ხშირად,
გავაზვიადოთ დარდი ან სევდა...

უკიდეგანო და მოციმციმე
დღე ნაილია ზმანების მსგავსად;
ღამის წყვდიადი მთელი სიმძიმით
დაეშვა ციდან, ვით მყარი მასა.

ცოტა ხნის უკან რაც ფეხზე იდგა —
მთები, სახლები, ხეთა ამალა —
უცებ მიწასთან გასწორდა თითქოს,
მთელი გარემო იქცა ტრამალად.

ო, ღამის სევდა, სევდა ნაცნობი!..
მაგრამ მე მივხვდი, რომ ეს ყოველი
იყო სიყალბე და თვალთმაქცობა
და არა დარდი განუზომელი.

და მზემ როდესაც შუქი ცხოველი
მოჰფინა, რასაც ბინდი ებურა, —
ცას მიეხალა ისევ ყოველი,
მხრები გაშალა წინანდებურად.

და რა დაშვენდა ოქროს ვარაყი
ზეცის ტატნობთან ამოზრდილ მუხებს,
წელში გავსწორდი, როგორც ბალახი,
რომელსაც ფეხი დაადგეს წუხელ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ქუთათელაძე

# ხელოვნების პარტიულობის ლენინური პრინციპი

ხელოვნების პარტიულობის შესახებ ვ. ი. ლენინის მოძღვრებას საფუძვლად დაედო მისი გენიალური სტატია „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელიც 1905 წლის ბობოქარ დღეებში დაიწერა. მართალია, სტატიაში ლიტერატურაზეა ლაპარაკი, მაგრამ ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული დებულებები თავისთავად შეგვიძლია გავავრცელოთ ლიტერატურაზეც და ხელოვნებაზეც.

„ძირს უპარტიო ლიტერატორები!“ — გადაჭრით და გარკვევით ამბობდა ვ. ი. ლენინი. ეს სინამდვილის მხატვრული ასახვის რაიმე იძულებითი მინიშნების ცდა როდი იყო, ეს ახალი პროლეტარული კულტურის შექმნის აუცილებლობით ნაკარნახევი მოთხოვნა გახლდათ.

მწერალი მაღალი იდეალების მქადაგებელია, მაგრამ რეაქციულია თუ პროგრესული ეს იდეალები, ამის შეფასება არ შეუძლია ისეთ კლასს, რომელიც მომხრეა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა. მაშასადამე, ბურჟუაზიას არ ძალუძს სიმართლის თქმა.

ბურჟუაზიული ხელოვნებაც პარტიულია. პარტიულია თავისი რეაქციული მიზნების გამო. მაგრამ ბურჟუაზია გარეგნულად ფარავს ხელოვნების პარტიულ ხასიათს, შინაგანად, საქმით კი მისი მომხრეა. „უპარტიობა ბურჟუაზიული იდეაა, პარტიულობა კი —სოციალისტური“. ლენინმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ მწერალი, მხატვარი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მთლიანად დამოკიდებულია ფულის ქისაზე. თუმცა ეს დამოკიდებულება შენიღბულია „ხელოვნების თავისუფლების“ ყალბი ლოზუნგით. რომლესაც თავს ესხმიან სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, ჩვენი მტრები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ კომუნისტური პარტიულობის პრინციპი თითქოს ეწინააღმდეგება შემოქმედებით თავისუფლებას. ეს „მტკიცება“ მოკლებულია სიმართლეს, რადგან პარტიულობის პრინციპი ორგანულ კავშირშია საბჭოთა მხატვრის მსოფლმხედველობრივ მისწრაფებებთან.

„შემოქმედებითი თავისუფლება,—წერდა ბელინსკი, — იოლად ეგუება თანამედროვეობისადმი სამსახურს: ამისათვის საჭირო როდია აიძულო საკუთარი თავი, სწერდე თემებს, ძალას ატანდე ფანტაზიას; ამისათვის საჭიროა მხოლოდ ის, რომ იყო მოქალაქე, შენი საზოგადოების, შენი ეპოქის შვილი, შეიგნო მისი ინტერესები, შეაერთო საკუთარი მისწრაფებები ეპოქის მისწრაფებებთან; ამისათვის საჭიროა სიმპათია, სიყვარული, ჭეშმარიტების ჯანსაღი პრაქტიკული გრძნობა, რომელიც შენს რწმენას არ განაცალკევებს საქმისაგან, შემოქმედებას ცხოვრებისაგან“.

ხელოვნება ადამიანს ეხმარება სინამდვილის შეცნობაში. ხელოვნებაში, როგორც სინამდვილის მხატვრულ ასახვაში, მთავარი მარტო ის კი არ არის თუ რას აგვისახავს შემოქმედი, რაზე მოგვითხრობს, რას გვიქადაგებს, არამედ, — არის თუ არა მისი ქადაგება ჭეშმარიტი. ხოლო, იმისათვის რომ მხატვარი სწორ შემოქმედებით პრინციპებზე დადგეს, საჭიროა შეიცნოს თავისი აღმზრდელი საზოგადოება და იმ იდეების პროგრესული ხასიათი, რის გავრცელებასაც იგი ემსახურება. ისეთი რამ შეუძლებელია ბურჟუაზიულ სამყაროში, სადაც ადამიანს ადამიანი სჩაგრავს.

ხელოვნების პარტიულობის შესახებ ვ. ი. ლენინის მოძღვრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მებრძოლი სოციალისტური ხელოვნების წინსვლისათვის, იმისათვის, რომ მხატვარმა თავისი შემოქმედება სახალხო ინტერესების სამსახურს დაუქვემდებაროს და მთელი თავისი მრწა-

მსით მომავალი კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის აქტიური წევრი გახდეს.

სოციალისტური ხელოვნების პარტიულობა, თავისი ისტორიული ფესვებით მჭიდროდ არის დაკავშირებული წარსული პერიოდების მოწინავე ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებთან. წარსულის მოწინავე ხელოვნება, ასე თუ ისე, ყოველთვის იყო პარტიული. ეს უპირველეს ყოვლისა მისი ტენდენციურობით გამოიხატებოდა. ხელოვნების ტენდენციურობა — გარკვეული კლასის ან საზოგადოებრივი ჯგუფის იდეებით ხელოვნების ნაწარმოების გამსჭვალვა, — ხელოვნების პარტიულობის პირველადი ნიშანია. ტენდენციურობა შესაძლოა პროგრესიულიც იყოს და რეაქციულიც, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი სოციალური ჯგუფის ტენდენციებია გამოხატული ხელოვნებაში. საბჭოთა ხელოვნებისათვის ყველაზე მეტად ახლობელია მეცხრამეტე საუკუნის რუსული რეალისტური ხელოვნების ტრადიციები, რომლებიც გვერდით მიჰყვებოდა ისტორიული პროგრესის მოთხოვნებს და როდი უპირისპირდებოდა სინამდვილის მხატვრული ასახვის სიმართლეს. ტენდენციურობის ცნება მათ ესმოდათ როგორც ხელოვნების იდეურობა, მისი მიზანსწრაფული შინაარსი. ტენდენციურობა თავის გზას იკაფავდა ანტიხალხურ თეორიებთან ბრძოლაში, იმ თეორიებთან, რომლებიც ხელოვნების იდეურ შინაარს უარყოფდნენ. ამ თეორიებში იყო ცდა იმის ჩვენებისა, თითქოს ტენდენციურობა მხატვრულობის დამაკნინებელი იყოს.

სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკაში ტენდენციურობამ სრულიად შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა, ოღონდ მის გვერდით გვაქვს ჩვენი ეპოქისათვის ახალი, უფრო კონკრეტული, უფრო ზუსტი ცნება — ხელოვნების პარტიულობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელოვნების პარტიულობის პრინციპში გამოხატულება ჰპოვა წარსული მემკვიდრეობის ისეთმა მოწინავე ტრადიციებმა, რომლებიც აღიარებდა ხელოვნების უდიდეს აღმზრდელობითსა და რევოლუციურ გარდამქმნელ როლს და განამტკიცებდა მოწინავე ხელოვნების კავშირს მასებთან, ხალხთან. ასეთი იყო კაცობრიობის განვითარების მთელ მანძილზე ხელოვნების ის შედევრები, რომლებიც იდეურობით მუდამ ინარჩუნებენ დიადი ნიმუშების მნიშვნელობას.

მსოფლიო დიდი ტიტანების, ძველი ბერძენი მოქანდაკეებისა და მწერლების: მირონის, ფიდიასის, პოლიკლეტის, პოლიგნოტის, პრაქსიტელის, ჰომეროსის, ესქილეს, სოფოკლეს და სხვა მრავალთა შემოქმედება, ჩვენს ყურადღებას მარტო მხატვრული ღირსებებითა და გასაოცარი ოსტატობით კი არ იპყრობს, არამედ საკაცობრიო იდეალებითაც. მართალია, ამ ხელოვნების საფუძველი და არსენალი მითოლოგია იყო, მაგრამ არცერთ დიდ რეალისტ შემოქმედს არ უფიქრია გადაეხვია სინამდვილის ასახვის რეალური გზისაგან. მართალია, აღორძინების ხანის ტიტანები: ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი და სხვები რომის პაპს ემსახურებოდნენ, მის დაკვეთებს ასრულებდნენ, მაგრამ არსად არ ღალატობდნენ სიმართლეს. ვატიკანის ერთ-ერთი ეკლესიის ჭერის მოხატულობის ზვიად რაინდულ პერსონაჟების განწყობაში, მათს თავისებურ კომპოზიციურ განლაგებაში მიქელანჯელო თავისი საყვარელი ფლორენციის პატრიოტულ სულისკვეთებას გამოხატავდა. ამ საზოგადოების გარკვეული ჯგუფის გულისტკივილი და ღრმა კაეშანი მსოფლიოს გულისტკივილს და რაღაც ტრაგიკული საშიშროების მოახლოების გამოხატვას უერთდებოდა.

ესთეტიკაში დადასტურებულია წინააღმდეგობა, რაც ხშირად შესამჩნევი იყო მწერლის მსოფლმხედველობრივ პოზიციასა და შემოქმედებას შორის. ცნობილია ლ. ტოლსტოის „ბოროტების წინაღუდგომლობის“ თვალსაზრისიც და „რუსეთის რევოლუციის სარკედ“ წარმოდგენილი მთელი მისი გენიალური შემოქმედებაც. იგივე ითქმის სატირიკოს მწერალზე ნ. გოგოლზე. გაიხსენეთ კომედია „რევიზორი“, მისი მამხილებელი ძალა, ამასთან გოგოლის თხოვნა მსახიობ შჩეპკინისადმი გოროდნიჩის სახის სცენაზე შესრულებისას შეენელებინა უსაზღვრო ზიზღისა და მძვინვარე პროტესტის გამომხატველი ინტონაციები.

ხელოვნების პარტიულობის შესახებ ლენინის მოძღვრება წინა პლანზე აყენებს მხატვრის ემოციურ-ინტელექტუალური შეგნებისა და მისი აღმზრდელი კლასის, მოწინავე კლასის მსოფლმხედველობრივ პოზიციებთან ორგანულ კავშირს. თუ კი ამ კავშირს სხვა ეპოქაში ტენდენციურობის სახით სტიქიური ძალები ამოძრავებს, ჩვენს ეპოქაში იგი აშკარად გარკვეული, ხალხის გვერდით მდგარი, პარტიის მოთხოვნათა შინაარსით გაპირობებული უნდა იყოს.

ნაწარმოებები, რომლებშიაც ტენდენციურობა და პარტიულობა შერწყმულია წმინდა პოეტურობასთან, მხატვრულობასთან, — აი რა აღელვებს ხელოვნების ნაწარმოებთა მომხმარებელს. ნაწარმოების იდეურობა თვით ხელოვნების შინაგანი არსის, მისი ობიექტური ბუნების ნაყოფია.

ხელოვნებაში პარტიულობის პრინციპის გატარების ძირითად პუნქტად ითვლება პარტიის პოლიტიკის ორგანული შერწყმა მხატვრის საკუთარ რწმენასთან, მისი ძალდაუტანებელი, თავისუფალი კავშირი მწერლის გულისკარნახთან. კარგად თქვა ამის შესახებ გამოჩენილმა საბჭოთა მწერალმა მ. შოლოხოვმა:

„ჩვენზე, საბჭოთა მწერლებზე, ავგული მტრები საზღვარგარეთ ამბობენ, რომ თითქოსდა ვწერთ ჩვენ პარტიის მინიშნებით. საქმე ცოტა სხვაგვარად არის. თვითეული ჩვენგანი წერს თავისი გულის მინიშნებით, ხოლო ჩვენი გული ეკუთვნის პარტიას და მშობლიურ ხალხს, რომელთაც ვემსახურებით ჩვენი ხელოვნებით...“

კომუნისტური პარტიულობის პოზიციებზე დგომა და ცხოვრების მართალი ასახვა საბჭოთა მხატვრის მოთხოვნილებაა.

მხატვრის სინამდვილისადმი ემოციური მიმართების ინტენსიურობაში ხედავდა მ. გორკი მხატვრის შეგნებულობისა და კომუნისტური პარტიის იდეური მიზანსწრაფულობის მაღალმხატვრული ფორმით გადმოცემის სიძნელეს. თავის დროზე იგი ა. სურკოვს სწერდა: „თქვენ ლაპარაკობთ ესთეტიკური პრინციპების პოლიტიკური მიზანშეწონილობის მომენტებთან შეთვისების სიძნელეებზე... ეს სიძნელე არ იქნებოდა, რომ გვეგრძნო გასაოცარი, სულში ჩამწვდომი ცხოვრების სილამაზე, ცხოვრების შემოქმედების მგზნებარე აფეთქება ჩვენს კავშირში, ბურჟუაზიის მდგომარეობის საზიზღარი ტრაგიზმი დასავლეთსა და მთელ მსოფლიოში... ესთეტიკური პრინციპები ჩინებულად შეირწყმებოდა „პოლიტიკურ მიზანშეწონილობასთან“, ჩვენ რომ გაგვაჩნდეს რევოლუციური სიძულვილი...“ (ციტირებულია დ. ნიკოლაევის ბროშურიდან „ხელოვნება და ესთეტიკური აღზრდა“).

კომუნისტური პარტია არ ჰფარავს თავის ამოცანებს, არ ეშინია აშკარად იქადაგოს მთელი მსოფლიოს წინაშე თავისი შეხედულებები, აზრები, მიზნები და მისწრაფებები. კომუნისტური პარტიულობის სულისკვეთებით გამთბარი საბჭოთა ხელოვნება მხატვრული სახეებით განასახიერებს ცხოვრების სიმართლეს, ჩვენი სინამდვილის განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას. ვ. ი. ლენინის პარტიულობის პრინციპი უარმყოფელია ყოველგვარი სუბიექტივიზმისა, უარმყოფელია სინამდვილის დამახინჯებისა, როდესაც მხატვარი ცხოვრების მოვლენების არსში წვდომის უუნარობის ან მხატვრული შესაძლებლობების უკმარობის გამო გმირებს თავს ახვევს ისეთ აზრებსა და გრძნობებს, რაც ლოგიკურად არ გამომდინარეობს ამ გმირთა ხასიათიდან, და ისინი იდეების უბრალო რუპორებად გამოჰყავთ.

მებრძოლი პარტიული სულისკვეთებით გამსჭვალული ხელოვნება განამტკიცებს ისეთი გმირების სახეებს, რომლებიც გვხიბლავენ თავიანთი აქტიურობით, ქმედითობით, ხასიათის შინაგანი მიზანსწრაფულობით. საბჭოთა ხელოვნების პარტიულობა განსაზღვრავს მხატვრის მებრძოლ პოზიციას, მის სწრაფვას აქტიურად ჩაერიოს ცხოვრებაში, არ გადაიქცეს სინამდვილის პასიურ ამსახველად. საკუთარი შემოქმედებისადმი ასეთი დამოკიდებულება მხატვრისაგან მოითხოვს ხალხისათვის ნაცნობი და ახლობელი თემებისა და ხასიათების ძიებას, შემოქმედებითს გაქანებას, სინამდვილის ცოდნის ჰორიზონტის გაშლა-გაღრმავებას, იმისაკენ სწრაფვას, რომ ყოველთვის აიცდინოს თავი უნიათო მიმბაძველობასა და შტამპს.

ვ. ი. ლენინი უდიდესი დიალექტიკური სიღრმით გვიხასიათებს სახელდობრ ხელოვნების სფეროში პარტიული ხელმძღვანელობის თავისებურებას: „ლიტერატურული საქმე საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი, „პატარა ბორბალი და ხრახნი“ უნდა გახდეს ერთი მთლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატიული მექანიზმისა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს მთელი მუშათა კლასის მთელ შეგნებულ ავანგარდს. ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი ორგანიზებული, გეგმაშეწონილი, გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობისა“. (ვ. ი. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ გვ. 43).

ვ. ი. ლენინის ეს დებულება პარტიის ხელმძღვანელ როლს ნიშნავს საბჭოთა ხელოვნებაში, რადგან „ბურჟუაზიული ანარქიული ინდივიდუალიზმის“ გამოვლინება მარტო ხელოვნებისათვის საზიანო კი არ არის, არამედ სპობს კავშირს მხატვარსა და ხალხს შორის. ვ. ი. ლენინმა იქვე შენიშნა, რომ ლიტერატურული საქმე ყველაზე ნაკლებად ემორჩილება მექანიკურ „შეთანაბრებას“, „ნიველირებას“, და დაასკვნა: „უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს“.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ არ შეიძლება შაბლონურად გავიგოთ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, არ შეიძლება გავაიგივეთ შემოქმედება პარტიულ საქმიანობასთან. ამასთანავე არ იქნება კანონზომიერი საბჭოთა მხატვრის პარტიასთან კავშირი გვესმოდეს როგორც პარტიასთან ორგანიზებული დაკავშირება. პარტიულობა იმ კუთხით უნდა გავიგოთ, რომ ხელოვნების წარმომადგენელთ განსაზღვრული იდეოლოგიური პოზიცია სჭირდებათ თანამედროვე მოვლენათა სწორი შეფასებისათვის. ამ შეფასებას კი ფასი მაშინ აქვს, როცა შემფასებელი სწორ მსოფლმხედველობრივ პოზიციაზე დგას და პრაქტიკულად მონაწილეობს ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლაში. გადამწყვეტი მნიშვნელობა ფორმალურ მხარეს (ეკუთვნის თუ არა მხატვარი პარტიას), კი არა აქვს, არამედ პარტიის განუხრელი ხაზის რეალურ მხარდაჭერას. „მე ჩემს თავს არ განვაცალკევებ პარტიისაგან,

— ამბობდა მაიაკოვსკი, — ჩემს მოვალეობად ვთვლი შევასრულო ამ პარტიის ყველა დადგენილება, თუმცა არა მაქვს პარტიული ბილეთი“.

არ იქნებოდა კანონზომიერი უარგვეყო ყველა ის შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც კაპიტალიზმის პირობებში შეიქმნა. ჩვენში ასეთი შეცდომა პროლეტკულტელებს მოსდიოდათ. ისინი წარსულის დიადი მემკვიდრეობის დაგმობას მოითხოვდნენ.

პროლეტკულტელთა „თეორეტიკოსი“ იყო იდეალიზმის ცნობილი აპოლოგეტი ა. ბოგდანოვი, რომელიც ქადაგებდა კულტურისა და ხელოვნების დარგში კლასიკური მემკვიდრეობის „დამხობას“, ცხოვრებისაგან, პროლეტარიატის ბრძოლისაგან ხელოვნების მოწყვეტას. კლასობრივ საზოგადოებაში შექმნილ მთელ მხატვრულ მემკვიდრეობას პროლეტკულტელები ბურჟუაზიულ ხელოვნებად აცხადებდნენ. ისინი გვერდს უვლიდნენ ვ. ი. ლენინის მოძღვრებას ყოველ ეროვნულ კულტურაში ორი კულტურის შესახებ. მათ არ ესმოდათ, რომ ბურჟუაზიულ ეპოქაშიც არსებობდა ხალხური სულისკვეთებით გაჟღენთილი ხელოვნება.

პროლეტკულტელები, რომელთაც სურდათ პოლიტიკისათვის ჩამოეცილებინათ მხატვრები, მოეწყვიტათ ახალგაზრდა საბჭოთა ხელოვნება პარტიულ ხელმძღვანელობისაგან, ვ. ი. ლენინმა ამხილა და გაანადგურა.

ბურჟუაზიის აპოლოგეტები დღესაც არ სცხრებიან და თავიანთ მახვილს ხელოვნების პარტიულობის პრინციპს უმიზნებენ. მათ შორის ცნობილია უნგრელი ლუკაჩი. ბურჟუაზიის დამცველი იდეოლოგები ვ. ი. ლენინის პარტიულობის პრინციპს ამახინჯებენ. მათი აზრით, მხატვრის თავისუფლება ნიშნავს შემოქმედების სრულ მოწყვეტას საზოგადოებისაგან, სახელმწიფოსაგან და კლასთა ბრძოლისაგან. კლასობრივ მისწრაფებებისაგან მხატვრული შემოქმედების მოწყვეტა ბურჟუაზიულ ხელოვნებას იმის სრულ შესაძლებლობას უქმნის, რომ გაამართლოს აბსტრაქციონიზმი, ნატურალიზმი და სხვა მრავალი ფორმალისტური მიმდინარეობა.

არასოდეს არ მოძველდება ის ბრწყინვალე დებულებები და მოთხოვნები, რომლებიც წამოაყენა ვ. ი. ლენინმა თავის შრომაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რადგან მასში ასახულია ნამდვილი, ჭეშმარიტი შემოქმედების საზოგადოებრივი ფუნქცია, მოცემულია ის აუცილებელი ნიშანდობლივობა ხელოვნებისა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ნამდვილი რეალისტური ხელოვნება, პასიური, მჭვრეტელი კი არა, სინამდვილის ობიექტურად ამსახველი, პროგრესული იდეოლოგიის გამომსახველი ხელოვნება.

რევიზიონისტები ცდილობენ დაამკვიდრონ თავიანთი დებულებები, რომ არსებობს „ხელოვნების ავტონომიური კანონები“, რომლებიც ექვემდებარება უფრო რთულ, მრავალფეროვან დამოკიდებულებებს, ვიდრე უბრალო კლასობრივი კავშირებია.

შეტევის ძირითად უბნად ბურჟუაზიის იდეოლოგებმა აირჩიეს შემოქმედებითი თავისუფლების თეორია. ვ. ი. ლენინის აზრით, შემოქმედებითი თავისუფლება სრულიადაც არ ნიშნავს მხატვრისათვის ნაძალადევად რაიმეს თავზე მოხვევას. ყოველი მხატვრის უფლებაა „ქმნიდეს თავისუფლად საკუთარი იდეალის შესაბამისად“ (ვ. ი. ლენინი).

პარტიულობა მჭიდრო კავშირშია ხელოვნების ნაწარმოების მხატვრულობასთან, რადგან იგი გავლენას ახდენს მხატვრის მიერ სინამდვილის მოვლენათა შერჩევაზე, ცხოვრებიდან აღებული მასალის გააზრებაზე და შეფასებაზე. იდეები ხელოვნების ნაწარმოებში თავისი უშუალო ცნებითი ფორმით (ასეთი ნაწარმოები ყოველთვის სქემატურია), კი არ უნდა იყოს გადმოცემული, არამედ იმ რთული მხატვრული სამოსით, რომელმაც ადამიანებში უნდა აღძრას გარკვეული ემოციები, შთაბეჭდილებები, სურვილები, აღაგზნონ ადამიანთა წარმოსახვა, ფრთები შეასხან მის ფანტაზიას. მხოლოდ ასეთი „გზით“ მოტანილ იდეას შეუძლია მხატვრული ნაწარმოების შექმნა. იდეა ნაწარმოებში განყენებულ აზრად კი არ უნდა წარმოგვიდგეს, არამედ უნდა წარმოადგენდეს გრძნობათა, განცდათა, შთაბეჭდილებათა, ფიქრთა, განწყობათა ერთიანობას, რომელსაც აღძრავს ადამიანში მხატვრული ნაწარმოები.

პარტიულობა ხელოვნებაში მარტო პოლიტიკური ცნება კი არ არის, არამედ — ესთეტიკურიც. იგი განუყოფელია მხატვრის ნიჭისა და ოსტატობისაგან. სწორი პოლიტიკური შეფასება და ორიენტაცია, სწორი იდეები თავისთავად ვერასოდეს მხატვრულ ქმნილებას ვერ შეჰქმნის, თუ მხატვარს არა აქვს საკმაო ნიჭი, უნარი შენიშნოს ფარული მოვლენები, განსაზღვროს მისი სოციალური ბუნება, გამოჰყოს ყველაზე უმთავრესი, ტიპობრივი და შესძლოს მათი მხატვრული ხორცშესხმა, ასახოს მოვლენები კონფლიქტის ჩვენებით, გამოძერწოს ტიპობრივი ხასიათები, გადაგვიშალოს მათი ფსიქოლოგიური თავისებურება და მოქმედება, ქცევა. ცხოვრებისადმი პასიურობა, ადამიანებისადმი გულგრილი დამოკიდებულება მხატვარს უბიძგებს ნატურალიზმისაკენ, ანტიმხატვრულობისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან ბრეგაძე

# ვ. ი. ლენინი და მხატვრული შემოქმედების პრობლემები

ლენინის ლიტერატურულ შეხედულებათა ფილოსოფიური საფუძველი — ასახვის მატერიალისტური თეორიაა. ლიტერატურასა და ხელოვნებაზე ლენინის შეხედულებათა ფილოსოფიური არსი შეიძლება ყოველმხრივ და სისრულით შევიცნოთ, თუ მის შრომას „მატერიალიზმს და ემპირიოკრიტიციზმს“ დავეყრდნობით. ლენინის ფილოსოფიურ და ლიტერატურულ მსჯელობათა შედარება ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ღრმად და შემოქმედებითად იყენებდა იგი თავის საერთო შეხედულებებს ისეთ რთულ სფეროში, როგორც არის მხატვრული აზროვნება. ცენტრალურ პრობლემად აქ გვევლინება სინამდვილესთან ხელოვნების დამოკიდებულება, ხალხის ცხოვრებასთან გაუთიშავი კავშირის პრობლემა. ეს დებულება რამდენიმე ათეული წლის წინათ წამოაყენა კლასიკურმა მარქსისტულმა ესთეტიკამ. მაგრამ ამჟამად იგი პოვებს ახალ თეორეტიკულ დასაყრდენს და ცხოვრებისეულ დადასტურებას.

ლენინი ხელოვნებისაგან, უწინარეს ყოვლისა, სიმართლეს მოითხოვდა. სიმართლე — მოწინავე ხელოვნების პირველი მცნება და საპროგრამო დებულებაა. ლენინის მტკიცება, რომ რეალიზმი მსოფლიო ხელოვნების განვითარების მთავარი გზაა, რაც დრო გადის, მით უფრო აქტუალური ხდება.

როგორც ცნობილია, ბურჟუაზიულ-დეკადენტური ესთეტიკა, ჩვენს დღეებში განაგრძობს ლაშქრობას კლასიკური რეალიზმის წინააღმდეგ, აცხადებს მას მოძველებულად, მოსაწყენად, თანამედროვე ადამიანის მსოფლშეგრძნებისაგან ძალზე დაშორებულ ეტაპად, აქედან მოდის კლასიკური მხატვრობის „გაუფასურების“ ახალი ცდები.

ლენინმა განაგრძო ტრადიციები კლასიკური ესთეტიკისა, რომელიც ხელოვნებას მიიჩნევს ცხოვრების მხატვრულ წარმოქმნად. სუბიექტივისტურ ესთეტიკურ კონცეფციებისაგან განსხვავებით, ლენინის მიერ მხატვრული შემოქმედება გაგებული და ახსნილია, როგორც პრაქტიკული სულიერი მოღვაწეობის განსაკუთრებული სფერო, რომელსაც აქვს თავისი მატერიალური საფუძველი, თავისი სპეციფიკა და ობიექტური კანონები. ლენინმა, ფილოსოფიურად დაასაბუთა შემოქმედების შემეცნებითი, იდეური და ესთეტიკური ამოცანების გაუთიშაობა. სინამდვილის სახეობრივი წარმოქმნის ჭეშმარიტება, ლენინური კონცეფციის თანახმად,— ხელოვნების მთავარი კანონი და კრიტერიუმია. — „ილიჩმა, — წერს ნ. კ. კრუპსკაია, — კარგად იცოდა რუსული ლიტერატურა — მისთვის იგი იყო ცხოვრების შეცნობის იარაღიო. და რამდენადაც მეტი სისავსით, ყოველმხრივად და ღრმად ასახავდა მხატვრული ნაწარმოები ცხოვრებას, ამასთან რამდენადაც უფრო სადა იყო ნაწარმოები, იმდენად უფრო აფასებდა მას ილიჩი“.[1]

იმის კლასიკურ ნიმუშს, სახელდობრ, თუ რა აზრს გულისხმობდა ლენინი ცნებაში „სინამდვილის ასახვა ხელოვნებაში“, წარმოადგენს მისი სტატიები ლევ ტოლსტოიზე. ქრონოლოგიურად და მთელი რიგი პრობლემების მიხედვით ეს სტატიები უშუალოდ უკავშირდება „მატერიალიზმს და ემპირიოკრიტიციზმს“, სადაც ყველაზე მეტი სისრულით არის გაშუქებული ასახვის მატერიალისტური თეორიის საკითხები.

„დიდი მხატვრის სახელის შედარება რევოლუციასთან, რომელიც მან აშკარად ვერ გაიგო, რომელმაც მას აშკარად აარიდა თავი, შეიძლება პირველი შეხედვით უცნაური და ხელოვნური მოგვეჩვენოს. ხომ არ დავარქმევთ სარკეს იმას, რაც, ცხადია, არ ასახავს მოვლე-

1 „ლენინი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, 1957, გვ. 560.

ნებს სწორად? მაგრამ ჩვენი რევოლუცია უაღრესად რთული მოვლენაა... და თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, მას თავის ნაწარმოებებში უნდა აესახა რევოლუციის თუნდაც ზოგიერთი არსებითი მხარე“,[1] — წერს ვ. ი. ლენინი ლ. ნ. ტოლსტოიზე.

ლენინის მტკიცებით, ხელოვნება სახეობრივი ფორმით მზამზარეულ ჭეშმარიტებათა პოპულარიზაცია კი არ არის, არამედ ადამიანური შემეცნების ერთერთი სრულუფლებოვანი სახეობაა. ხელოვნების ისტორია მოწმობს, რომ ჭეშმარიტად დიდი მხატვრები ყოველთვის ახალი გზების გამკაფავნი იყვნენ, ყოველთვის აღმოუჩენდნენ ხოლმე კაცობრიობას ახალს, მანამდე უცნობ მოვლენებს.

ვ. ი. ლენინი ორიენტაციას აძლევდა მწერლებს — დადგომოდნენ ცხოვრების ყოველმხრივი ქმედითი შესწავლის გზას; ფართოდ ცნობილია ლენინის მსჯელობა ამ საკითხზე მ. გორკისადმი გაგზავნილ წერილებში. უნდა აღინიშნოს, რომ ფორმულა — აუცილებლად საჭიროა ვსწავლობდეთ ცხოვრებისაგან ხშირად სხვადასხვაგვარად იყო გაგებული. ობივატელები, „პატარა საქმეთა“ მქადაგებელნი, ოპორტუნისტები ამ დებულებაში გულისხმობდნენ, გარემოებასთან პასიური შემგუებლობის, თავისი სიმხდალისა და შემთანხმებლობის გამართლებას. აბათილებდა რა ასეთ შეხედულებებს, ლენინი მიუთითებდა, თუ რით განსხვავდებოდა სინამდვილის მოვლენებისადმი რევოლუციური მიდგომა ობივატელურისაგან.

„სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტებს, — წერდა ლენინი, —უყვართ ჩვენთვის თქმა: ისწავლეთ ცხოვრებისაგან. სამწუხაროდ, ცხოვრება მათ ესმით მხოლოდ როგორც მშვიდობიანი პერიოდების, უძრაობის დროის ჭაობი, როცა ცხოვრება ძლივსძლივობით მიჩოჩავს წინ“.[2]

ავითარებდა რა იმ აზრს, რომ აუცილებელია ვსწავლობდეთ ცხოვრებისგან, ლენინი პირველ ყოვლისა, მოგვიწოდებდა გავრკვეულიყავით ცხოვრების მოვლენების და პროცესების მთელ სირთულეში, ნათლად დაგვენახა ისტორიის მთავარი ტენდენცია — სინამდვილის მძლავრი რევოლუციური განვითარება.

ლენინის აზრით, მწერალს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებით გამახვილებული დაკვირვებულობა, გამჭრიახობა და განმჭვრეტელობა, გაჩნდეს უნარი სხვა ადამიანებზე უფრო შორს და ღრმად იხედებოდეს. ლენინი ამბობდა, რომ არ შეიძლება ლიტერატორთა, იდეოლოგთა, პოლიტიკოსთა ნაწარმოებებისადმი წამოყენებული მოთხოვნები გავუთანაბროთ ჩვეულებრივი ადამიანის აზრებს და გამონათქვამებს. ის, რაც უბრალო ობივატელის ნათქვამში ჟღერს ბუნებრივად, როცა თავის ცხოვრებასა და ყოფაზე სიმართლეს ლაპარაკობს, კარგავს ძალას მწერალთან, რომელიც საყოველთაოდ ცნობილ ამბებს ვერ გაშორებია, ვერ გამოუვლინებია და ვერ განუზოგადებია ძველის კვდომა ან ახლის დაბადება.

ყოველი ნამდვილი ხელოვნება — ეს არის ახლის მიგნება, აღმოჩენა. ხელოვნება თავისი ხერხებით და საშუალებებით ეძებს ჭეშმარიტებას, პოულობს მას, ამასთან, გვასწავლის უკეთ გავერკვეთ ცხოვრების სირთულეში. უამისოდ იგი ხელს ვერ შეუწყობდა ადამიანის სულის ჩამოყალიბებას. თუ მწერალი ისწრაფვის ჩამოაყალიბოს და აამაღლოს ადამიანის სული, იგი იმაზე შორს და ღრმად უნდა იხედებოდეს, რაც ცხოვრების ზედაპირზეა ამოტივტივებული, და რასაც ყურადღების და დაკვირვების დაუძაბავად ხედავს თავის ირგვლივ ყოველი ადამიანი.

ლენინის შეხედულებანი ხელოვნებაზე ორგანულად დაკავშირებულია მის ბრძოლასთან ლიტერატურის პარტიულობისათვის. პარტიულობის პრინციპი მხატვარს, ხელოვანს გზას უხსნის ცხოვრების ნამდვილი სიმართლის შესაცნობად. იგივე პრინციპი წინ ეღობება შემთხვევითი ფაქტის წვრილმან სიმართლეს, გაცვეთილ, შაბლონურ ჭეშმარიტებათა უფერულობას, ფუჭ მეშჩანურ ხმაურს; ამ პრინციპს ვრცელ და დიდ სარბიელზე გამოჰყავს ისტორიის მსვლელობის, ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათა, მის მამოძრავებელ ძალთა დიდი სიმართლე.

„ათასჯერ გეთანხმებით, რომ საჭიროა სისტემატური ბრძოლა პოლიტიკურ დაცემულობასთან, რენეგატობასთან, წუწუნთან და სხვ.“ — სწერდა ლენინი ა. მ. გორკის 1908 წლის თებერვალში.[1]

ამჟამად მარქსიზმის მოწინააღმდეგეებმა შექმნეს მთელი ლიტერატურა, რომელიც მიზნად ისახავს გააბათილოს და უარყოს იდეოლოგიის პარტიულობის პრინციპი, დაამტკიცოს ობიექტურობასთან მისი შეუთავსებლობა. ამ ლიტერატურიდან შეიძლება დავასახელოთ წიგნები: ტ. ფიშლის „მატერიალიზმი და პოზიტივიზმი დღეს“, მ. ლანგეს „მარქსიზმი, ლენინიზმი და სტალინიზმი“, ს. ოსოვსკის „მარქსიზმი და მეცნიერული შემოქმედება სოციალისტურ საზოგადოებაში“, ი. ბოხენსკის „საბჭოურ-რუსული დიალექტიკური მატერიალიზმი“ და ბევრი სხვა. ბურჟუაზიის იდეოლოგთა აზრით, პარტიულობის მარქსისტული პრინციპი ნიშნავს ყოველგვარი ობიექტურობის უარყოფას. პარტიულობის და ობიექტურობის თანაფარდობა მათ აყავთ გადაუწყვეტელი დილემის ხარისხში. მა-

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 15, გვ. 236, 1950 წ.
2 ვ. ი. ლენინი, ტ. 9, გვ. 242, 1950 წ.

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 24, გვ. 431, 1953 წ.

თი დასკვნით, აშკარა პარტიულობა სრულიად გამორიცხავს მსჯელობათა ობიექტურ ჭეშმარიტებას. მარქსიზმის მოწინააღმდეგენი პარტიულობას აცხადებენ გარეგნულ კატეგორიად ხელოვნების მიმართ; რეალიზმი და პარტიულობა მათ წარმოუდგენიათ როგორც ურთიერთ გამომრიცხველი დაპირისპირებანი.

მაგრამ განა ეს ასეა? რევოლუციური ხელოვნება, როგორც ცნობილია, მუდამ ტენდენციურია, მაგრამ მისი ტენდენციურობა არა თუ უპირისპირდება ცხოვრების ობიექტურ შეცნობას, უფრო რელიეფურად გამოხატავს მას. ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოებში ცხოვრების ასახვა და ცხოვრებაზე მხატვრის შეხედულებათა გამოხატვა ერთიმეორისაგან განუყოფელია. ცდები შესცვალონ ხელოვნების სიმართლე სინამდვილის მექანიკური ასლის გადმოღებით, განურჩეველი ობიექტივიზმით, ახასიათებს მხოლოდ ფრთებშეკვეცილ ნატურალისტურ პროგრამებსა და თხზულებებს. ამავე დროს არ შეიძლება ხელოვნება იყოს ცხოვრებისადმი მწერლის სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატულება.

აქ ჩვენს წინაშე ისმება მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: რა კავშირი არსებობს ტენდენციურობასა და ობიექტურობას შორის ხელოვნებაში, ცხოვრების ობიექტურ ასახვასა და ცხოვრებასთან მხატვრის სუბიექტურ დამოკიდებულებას შორის? ზოგჯერ ჩვენში თავს იჩენს ცალმხრივი შეხედულებანი, რომელნიც საკმაოდ არ ითვალისწინებენ ხელოვნებაში ცხოვრების ობიექტური ასახვის როლს. ზოგიერთი ავტორის მსჯელობით გამოდის, თითქოს საბჭოთა ლიტერატურის თავისებურებას განსაზღვრავდეს მხოლოდ მისი ტენდენციურობა. სამწუხაროდ, ობიექტურობის და ტენდენციურობის საკითხი აქ რამდენადმე ცალმხრივად არის ახსნილი და გაშუქებული. არის სხვადასხვაგვარი ობიექტურობა და სხვადასხვაგვარი ტენდენციურობა. არის მ. გორკის და მ. შოლოხოვის ობიექტურობა და დაცემულობის და გულგატეხილობის აპოლოგეტთა ტენდენციურობაც. არის ვ. მაიაკოვსკისა და ა. ფადეევის ტენდენციურობა და ნატურალიზმის ობიექტურობა, რომელიც ისწრაფვის დაამტკიცოს ბრძოლის უნაყოფობა, უნაყოფობა ცდებისა—შეცნობილი ზემოქმედება ვიქონიოთ ისტორიის მსვლელობაზე. მოდერნიზმისა და ნატურალიზმის უმწეობას შობს არა ტენდენციის უქონლობა, არამედ ტენდენციის ფრთაშეკვეცილობა, მოწინავის და ჩამორჩენილის ურთიერთთან გათანაბრება, სიბრმავე ცხოვრების ხილვაში. გარდა ამისა, ტენდენციურობა თავისთავად როდი უზრუნველყოფს ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ ღირსებას.

ამ შემთხვევაში შეიძლება გავიხსენოთ, თუ როგორ უარყოფდა ვ. ი. ლენინი ნაროდნიკულ ტენდენციურობას, რომლის დაძლევის ცდებს ვხვდებით გლ. უსპენსკის შემოქმედებაში, ამ მწერლის ძალას, ლენინის დასკვნით, განაპირობებდა გლეხობის ცხოვრების ჩინებული ცოდნა, მწერლის ძლიერი ნიჭი, რომელიც წვდებოდა მოვლენების არსს და სიღრმეს.

უსპენსკი „საუცხოვოდ იცნობდა გლეხობას. მას ჰქონდა უდიდესი არტისტული ტალანტი, რომელიც მოვლენების თვით არსს სწვდებოდა. ამიტომ არ შეეძლო არ დაენახა, რომ ინდივიდუალიზმი გახდა საფუძველი ეკონომიური ურთიერთობისა არა მარტო მევახშესა და მოვალეს შორის, არამედ გლეხებს შორისაც საზოგადოდ“.[1]

გ. უსპენსკი, განსხვავებით სხვა ხალხოსნებისაგან, რომლებიც ცდილობდნენ შეექმნათ გლეხობის „პრეპარატი“ წინასწარ აღებული სქემების მიხედვით, შესანიშნავად ხედავდა სოფლის ფენებად დაყოფას და კრისტალიზაციას. ლენინი აღნიშნავს, რომ გლ. უსპენსკიმ თავის ნარკვევებში «Буржуй», «Дохнуть некогда», «Один на один», ასახა რეფორმის სინამდვილე სწორედ ისე, როგორც ენგელსმა დაინახა იგი. ლენინს მხედველობაში აქვს ენგელსის შრომა „რუსეთის სოციალისტური განვითარების შესახებ“, შრომა, რომელიც შეიცავს რუსეთის კაპიტალისტური განვითარების მეცნიერულ ანალიზს.

ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ უბრალო მითითებანი ტენდენციურობაზე სრულიად საკმაო არ არის. არსებითია, უწინარეს ყოვლისა, თუ როგორია ამ ტენდენციურობის ხასიათი. მართლაცდა, თვით უმდიდრესი ტენდენციის განყენებულად და რიტორიულად გამოთქმა ვერ მოგვცემს ხელოვნების ნაწარმოებს.

ზოგადი იდეა და ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი ერთი და იგივე როდია. ზოგადი იდეა ვერ ამოსწურავს მის საგნობრივ-ნივთობრივ მხარეებს, თავის თავში არ შეიცავს ცხოვრების სისხლხორცს. მის ფერებს და სურნელებას, თვით ცხოვრების ასახვის გარეშე, ცხოვრების კონკრეტულ-გრძნობადი განსახიერების გარეშე არ შეიძლება შეიქმნას მხატვრული სახე, ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოებები. ნაწარმოების სახეობრივ ქსოვილში ადამიანთა ბედიღბლის მოძრაობით და ცვალებადობით შეიძლება გადმოიცეს ისტორიული განვითარების კანონზომიერებანი. ხელოვნების გამარტივებული, გაუბრალოებული გაგება, მისი აღქმა, მხოლოდ როგორც შეხედულებათა და თვალსაზრისთა სისტემის, ნიშნავს კონკრეტულ-გრძნობადი მომენტისა და თვით ცხოვრების ლოგიკის არასაკმაო შეფასებას.

მოწინავე იდეურობა ხელოვნებაში განუყო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 1, გვ. 298, 1948 წ.

ფელია სამყაროს მხატვრული წარმოქმნისაგან. იდეურობა იჭრება ნაწარმოების ყველა კომპონენტში; ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, იხსნება ნაწარმოებში, როგორც სხივი ბროლში. მაგრამ იდეურობა არ ამოსწურავს იმას, რასაც ხელოვნების ნაწარმოები იძლევა. ლენინი აღნიშნავდა კონკრეტულის იმ სიმდიდრეს, რომელსაც იდეა თავის თავში არ შეიცავს.

მეცნიერული ცნებები და მხატვრული სახეები ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების შემეცნების სხვადასხვა ფორმებია. მაგრამ ცხოვრების ასახვის თვით პროცესი როდია უსიცოცხლო, პასიური, მექანიკური, სარკისებური ასლი. ლენინი გვიჩვენებს შემეცნების, მათ შორის, მხატვრული შემეცნების ქმედითს, დიალექტიკურ ხასიათს, მის ორგანულ კავშირს საზოგადოებრივ პრაქტიკასთან.

ასახვის ლენინური თეორიის არსებითს მომენტს — თეზისს შემეცნების პროცესში გრძნობების და აზროვნების ერთიანობის შესახებ— განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელოვნებისათვის. და ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან მხატვრულ შემოქმედებაში ერთმანეთს ეჯახება ურთიერთზე მოქმედი ორი ძირითადი ელემენტი — მხატვარი და სინამდვილე. მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, მისი ცხოვრებისეული გამოცდილების მოცულობა და ხასიათი. მისი იდეური მრწამსი და გრძნობები ბევრად განსაზღვრავენ მის მიერ შექმნილ თუ შესაქმნელ ნაწარმოებთა თავისებურებას.

თუ არ შეიძლება ხელოვნება შემოვფარგლოთ იმ ამოცანით, რომ მან გამოხატოს ცხოვრებისადმი მხატვრის სუბიექტური დამოკიდებულება ან განასახიეროს განყენებული იდეები, ასევე არ შეიძლება სწორად და მართებულად ვცნოთ მეორე უკიდურესობა — უარვყოთ შინაარსის ობიექტური მხარე, უარვყოთ ის წარუშლელი დაღი, რომელსაც შინაარსზე აღბეჭდავს მხატვრის პიროვნება. ხშირად ჩვენში შინაარსად გულისხმობენ მხოლოდ ცხოვრებისეულ მასალას, რომელიც მწერალმა საფუძვლად დაუდო ნაწარმოებს, მაგრამ ცხოვრებისეული მასალის და ნაწარმოების შინაარსის გაიგივება მეტისმეტად ამარტივებს მხატვრული შემეცნების რთულ დიალექტიკას.

ლენინის ფილოსოფიურ ნააზრევში რელიეფურად არის გამოყოფილი ცხოვრების მხატვრული წარმოქმნის ქმედითობა. შემოქმედების ბუნების ეს დიალექტიკური გაგება ცხადყოფს ყოველი სახის ფრთაშეკვეცილი ილუსტრატორობის, ცხოვრების მექანიკური ასლის უსუსურობას. ლენინი კატეგორიულად უარყოფს საზოგადოებრივ ყოფიერებასთან საზოგადოებრივი ცნობიერების ვულგარულ გაიგივებას.

„საზოგადოებრივი ცნობიერება, . — განმარტავს ლენინი, — ასახავს საზოგადოებრივ ყოფიერებას, — აი რაში მდგომარეობს მარქსის მოძღვრება. ასახვა შეიძლება დაახლოებით სწორი ასლი იყოს ასახულის, მაგრამ იგივეობაზე ლაპარაკი აქ უაზრობაა“.[1]

ლენინი აქ გამოყოფს ყოფიერების და შემოქმედების ურთიერთზემოქმედების აქტიურ ხასიათს. ცხოვრების წარმოსახვა ხელოვნებაში წარმოუდგენელია შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამოსახვის გარეშე. მხატვრულ შემეცნებაში ურთიერთს დიალექტიკურად შეერწყმის ობიექტის ასახვა და მხატვრის პიროვნების გამოსახვა. ამიტომაც ერთსა და იმავე თემაზე, ერთსა და იმავე მასალაზე დაწერილი ნაწარმოებებიდან ზოგი შეიძლება გამოვიდეს შინაარსით მდიდარი, ზოგიც — ღარიბი და უფერული. ცხოვრებისეული მასალა მხატვრების მიერ აისახება სხვადასხვა პოზიციებიდან, სხვადასხვა თვალსაზრისით, სხვადასხვანაირი სიღრმით და სისრულით. საშუალო და სუსტი მწერლების ნაწარმოებებში ცხოვრება, როგორც წესი, მოსჩანს სქემატიზირებული, გაღარიბებული, ფერების სიუხვეს მოკლებული. ჭეშმარიტ მხატვართა ქმნილებებში კი სინამდვილის ფაქტები წარმოდგენილია არა უშუალოდ, არამედ სახეობრივად განზოგადებულნი და გააზრებულნი, მოვლენების შინაგანი აზრის და არსებითი მხარეების გახსნით გამდიდრებული.

ხელოვნება უბრალოდ სინამდვილის ასლს კი არ იღებს, არამედ ქმნის თავის საკუთარ მხატვრულ სამყაროს, სულს უდგამს და გარდაქმნის ცხოვრების მასალას. დიდი ხელოვანი თავის საუკეთესო ნაწარმოებებში მუდამ ინდივიდუალური მხატვრული სამყაროს შემოქმედია. იგი არა მარტო ასახავს ცხოვრებას, არა მარტო გვაცნობს მოვლენების გარკვეულ სფეროს, არამედ აძლევს მას თავის საკუთარ გაშუქებას და შეფასებას. მხატვრის მოღვაწეობას ვერ დავიყვანთ ცხოვრებისეული მონაცემების პასიურ წარმოქმნამდე, იგი ამ ამოცანებს თავის ნააზრევსაც უმატებს და აშუქებს მათ გარკვეული პოზიციიდან და თვალსაზრისით.

როგორც ვთქვით, ყოველი დიდი მწერალი ქმნის თავის საკუთარ სამყაროს. ყოველ მათგანს მოეპოვება ცხოვრების ამა თუ იმ მხარისადმი ინტერესების ურყევი, მდგრადი წრე. მათი ასახვა მხატვრის ინდივიდუალურ მიდრეკილებათა, შეხედულებათა და პოზიციის შესაბამისად, იძლევა რაღაც მდგრადს, ურყევს, ორგანულს, მწერლის საკუთარი მხატვრული სამყაროს დამახასიათებელს. ის, ვისაც ასეთი ინდივიდუალური მხატვრული სამყარო არ გააჩნია, არც არის დიდი შემოქმედი.

ადამიანური შემეცნების ბუნების შესახებ გამოთქმული ლენინის აზრები ორიენტაციას აძლევს ხელოვანს, მხატვარს, ასახოს სინამდვილე კონკრეტულ-გრძნობითი სისავსით, ცხოვრები-

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 14, გვ. 411, 1950 წ.

სეული საღებავების სისავსით. „დიდებულია!“— ამბობს ლენინი, როცა განმარტავს ჰეგელის შემდეგ გამონათქვამს: ცხოვრების შეცნობის სიღრმე მოთავსებულია ისეთ ზოგადში, რომელიც თავის თავში ანსახიერებს განსაკუთრებულის ინდივიდუალურის, ცალკეულის მთელ სიმდიდრეს.

„ზოგადი, — წერს ლენინი, — არსებობს მხოლოდ ცალკეულში, ცალკეულის მეშვეობით, ყოველი ცალკეული არის (ასე თუ ისე) ზოგადი. ყოველი ზოგადი არის ცალკეულის (ნაწილაკი, ან მხარე, ან არსი“).[1]

როგორც ცნობილია, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა გამოდის ხელოვნებაში საერთო-ზოგად და ინდივიდუალურ თვისებათა ორგანული შერწყმის დებულებიდან. წიგნში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ ლენინი აღნიშნავს მწერალ მამინ-სიბირიაკის მიერ ასახული კაპიტალიზმის თავისებურებას ურალში. ჩვეულებრივ ლენინის ეს სიტყვები ესმით, როგორც შეფასება იმ სიმართლისა, რომელიც მამინ-სიბირიაკმა გვიჩვენა ცხოვრების საერთო პროცესების და მოვლენების მხატვრულ წარმოქმნაში. მაგრამ ნარკვევ „Бойцы“-ზე გამოთქმულ შენიშვნებში ლენინი ამ ნაწარმოებში ხედავს არა მარტო საერთო რუსული პროცესების, არამედ ურალის ყოფის თავისებურების სურათსაც. მართლაც, ხატავს რა ურალელი ბურლაკების ტიპებს, მამინ-სიბირიაკი, ზუსტად აღბეჭდავს მათ სოციალურ სახეს, ფსიქოლოგიურ თვისებებს, იძლევა მათ როგორც ზოგად-საერთო, ისე ინდივიდუალურ თვისებებს, ხატავს ადამიანთა სხვადასხვა სოციალურ ტიპებს.

„ამ მწერლის (მამინ-სიბირიაკის) ნაწარმოებებში მკაფიოდ იხატება ურალის განსაკუთრებული, თითქმის რეფორმისწინადროინდელი, ყოფაცხოვრება, ქარხნებზე მიჯაჭვული მოსახლეობის უუფლებობა, უმეცრება და დამცირებულობა, ბატონების კეთილსინდისიერი „ყმაწვილური გარყვნილება“, ადამიანთა იმ საშუალო ფენის (რაზნოჩინელები, ინტელიგენცია) არარსებობა, რომელიც ასე დამახასიათებელია ყველა ქვეყნის, მათ შორის რუსეთის კაპიტალისტური განვითარებისათვის“ (ლენინი)[2].

ლიტერატურის შესახებ გამოთქმულ ლენინის შეხედულებათა ერთობლიობაში მკვეთრად და მკაფიოდ არის გამოკვეთილი პრინციპები ახალი ტიპის რეალიზმისა, რომელიც გაუთიშავადაა დაკავშირებული სოციალისტურ იდეებთან და რომლებიც მწერლისაგან მოითხოვს უნარს — სიმართლით ასახოს ცხოვრება მის მუდმივ მოძრაობასა და პერსპექტივაში.

რევოლუციური ხელოვნების განვითარებას სერიოზულ დაბრკოლებად გადაელობა წინ მეშჩანური, ბანალური „რეალიზმი“, რომელიც დაგმო და შეაჩვენა მ. გორკიმ „ხოხვისათვის დაბადებულ“ ანკარა გველის ალეგორიულ სახეში.

ლენინი კატეგორიულად უარყოფდა ცრურეალიზმის ყოველ სახეობას, რა სამოსელითაც არ უნდა გამოჩენილიყო იგი.

ფრიად საჭიროა და სასარგებლო გავიხსენოთ, რომ რეალიზმის სწორად გაგების საკითხი ლენინს დაყენებული აქვს იმ პროცესებთან დაკავშირებით, რომლებიც ასახული და გაშუქებულია მ. გორკის მოთხრობა „დედაში“. სოციალისტური ხელოვნების თვისებათა დადგენა-გაგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ნაწარმოებზე გამოთქმულ ლენინის აზრს: „ეს წგინი — საჭირო წიგნია, ბევრი მუშა მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში შეუგნებლად, სტიქიურად, და ახლა ისინი წაიკითხავენ „დედას“ და ის დიდ სარგებლობას მოუტანს მათ“.

ჩვენი დროისათვის საჭირბოროტო და აქტუალურია ემპირიოკრიტიციზმის ერთ-ერთი ბურჯის ი. პეტცოლდის ესთეტიკურ შეხედულებათა ლენინისეული კრიტიკა. ამ იდეალისტ მეცნიერის მოსაზრებანი თავის საფუძვლებში ძალიან ემსგავსებიან თანამედროვე დეკადენტურ მიმდინარეობათა საპროგრამო დებულებებს, რომლებიც უარყოფენ სინამდვილესთან ხელოვნების რაიმე კავშირს და ხელოვნების ნაწარმოებთ მიიჩნევენ მხოლოდ შეგრძნებათა ქაოსის ასახვად და თავშეუკავებელი ფანტაზიის გამოხატულებად. როგორც დეკადენტობის თანამედროვე თეორეტიკოსები, ასევე ი. პეტცოლდიც ეძებდა ყოველგვარ საბუთს და არგუმენტს, რომ დაემტკიცებია ხელოვნების უფლება — მოახდინოს სიმახინჯის იდეალიზაცია, დაამდაბლოს მშვენიერება, წაშალოს ზღვარი კეთილსა და ბოროტს შორის, მოწინავესა და დრომოჭმულს შორის, ჭეშმარიტებას და ტყუილს შორის. ლენინმა სრულად და საფუძვლიანობით დაახასიათა ეს ფილოსოფია, როგორც რეაქციული, როგორც გაყინვის და დამყაყების იდეოლოგია და პროპაგანდა.

ლენინის ესთეტიკური ნააზრევის შუქზე მკვეთრად სჩანს სიცრუე და სიყალბე მოდეკადენტო ლიტერატორთა განცხადებებისა, თითქოს-და მოდერნიზმი აფართოებდეს ხელოვნების სფეროს, თითქოს-და ადამიანი შეჰყავდეს სულ ახალ და ახალ სამყაროში და ამდიდრებდეს ჩვენს ცნობიერებას. მოდერნიზმის თანამედროვე თეორეტიკოსებსაც არ ძალუძთ თქვან რაიმე იმაზე ახალი, რაც თავის თეორიებით თქვეს მახისტებმა, რომელთაც, როგორც წერს ლენინი, — უყვართ დეკლარირება თემაზე, რომ აღიქვამენ სამყაროს, როგორც შეგრძნებათა ერთობლიობას, და რომლებიც

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 36, გვ. 412, 1959 წ.
[2] ვ. ი. ლენინი, ტ. III, გვ. 577, 1948 წ.

გაიძახიან: „ჩვენ სამყარო მართლაც ისე გვაქვს მიჩნეული, როგორც იგი გვეჩვენება, აღსავსე ხმებით, ფერებით და სხვ; მაშინ როდესაც მატერიალისტებისათვის სამყარო მკვდარია, არც ხმებს შეიცავს და არც ფერებს, იგი განსხვავდება თავის თავად იმისაგან, რაც გვეჩვენებაო და სხვ“.[1]

ლენინი განმარტავდა, რომ მატერიალისტისათვის სამყარო იმაზე უფრო მდიდარი, ცხოველმყოფელი და მრავალნაირია, ვიდრე ჩვენ გვეჩვენება, რამდენადაც ჩვენი შეგრძნებანი შეზღუდული არ არის სუბიექტური რეალობის კარდახშული სფეროთი.

ლენინმა გვიჩვენა საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების განვითარების მთავარი გზა,— ეს არის მჭიდრო კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, შემოქმედ მუშაკთა აქტიური მონაწილეობა კომუნისტურ მშენებლობაში, სინამდვილის გატაცებული და გაღრმავებული შესწავლა, მხატვრული ოსტატობის განუწყვეტელი სრულყოფა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მწერლისა და ხელოვანის შემოქმედებითი წინსვლისა და ნაყოფიერებისათვის ხალხის ცხოვრების შუაგულში ყოფნას და მოღვაწეობას, განსაკუთრებით, ჩვენს დროში. არც ერთმა სხვა ეპოქამ არ იცის ასეთი გიგანტური მასშტაბის მოვლენები, რომლებიც ესოდენ ძირეულ ძვრებს და გარდატეხებს ახდენდნენ მთელს მსოფლიოში. მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა ხელოვნების საბჭოთა მოღვაწეებს აძლევს უტყუარ სწორ ორიენტირს იმისათვის, რომ დამოუკიდებლად, შემოქმედებითად გაერკვნენ თანამედროვე ცხოვრების ურთულეს მოვლენებში, შთაგონებით, ჭეშმარიტი მხატვრულობით ასახონ იგი, გაუნათონ მასებს გზა მომავლისაკენ.

---

1. ვ .ი. ლენინი, ტ. 14, გვ. 153, 1950 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ლოლაშვილი

# დამატებანი და გასწორებანი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა „დაკარგული" დედნების აღმოჩენის გამო

ნიკოლოზ ბარათაშვილის უნიკალური და ღრმაშინაარსიანი ლიტერატურული მემკვიდრეობა ჩვენამდე სრულად არ არის მოღწეული. დაკარგულია პოემა „ივერიელნი“, ლექსი „ასტრა“, ლაიზევიცის „იულიუს ტარენტელი“ (თარგმანი) და 1844-1845 წლების ნაწერები. არსად არა ჩანს ცხრა ლექსის („ჩინარი“, „მადლი შენს გამჩენს“, „როს ბედნიერ ვარ“, „ცისა ფერს“, „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“, „ელენეს და მარიამს“, „ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყაჩო“, „კავკასიური მოთხრობა“) და ორი (II და XI) წერილის[1] ავტოგრაფები, რამდენიმე ხელნაწერი კრებული (მათ შორის ე. წ. „განჯური რვეული“) და პირველნაბეჭდთა დედნები. ზოგიერთი მათგანი ხელთ ჰქონიათ XIX საუკუნის იმ რედაქტორ-გამომცემლებს, რომელთაც წვლილი უდევთ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა შეგროვებასა და გამოქვეყნებაში, მაგრამ დღეს ისინი მიუგნებელია.

გასულ წელს, როდესაც ნ. ბარათაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ვეცნობოდი, ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ცენტრარქივის სიძველეთსაცავებში გამოვავლინე რამდენიმე „დაკარგული“ ავტოგრაფი, რომლებიც ნ. ბარათაშვილის თხზულებათა საიუბილეო (1922, 1939, 1945 და 1968 წლების) გამოცემებს არ დასდებია საფუძვლად. ესენია: ხელნაწერთა ინსტიტუტის H 2417 და H 572 — „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“, Q 419 — XVI-XVII წერილები ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი — და ცენტრარქივის ფ. 1446, № 736 — V, VI, VIII და XVIII წერილები გრ. ორბელიანისადმი და ლექსები — „ვპოვე ტაძარი“, „მერანი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“ და „სულო ბოროტო“.[1] მათგან პირველი ორი ავტოგრაფი (H 2417 და H 572) ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1945 (გვ. 128-129) და 1968 (გვ. 269) წლების საიუბილეო გამოცემებში მიჩნეულია შეცდომით გადანაწერ ცალებად. გამომცემელნი მათ „ომის“ („ძრწოდე კავკასო“...) ტექსტის დასადგენად არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, მაშინ როდესაც დაწუნებული და წაშლილი ტაეპი „მეფესა თავი შეჰსწირეთ, ვაგლახი ეცით წარმართთა“ ამ ავტოგრაფებში იკითხება როგორც „იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა“.

1945 წლის გამოცემის მონაწილეებმა ვერ იპოვნეს XVI და XVII წერილების ავტოგრაფი, რომელიც, ს. ყუბანეიშვილის ცნობით, „ადგილზე არ აღმოჩნდა“ (გვ. 119). მისი პირველი პუბლიკაციის დროს ფონდის შიფრი შეცდომით იყო დასახელებული. მაშინ ავტოგრაფი ინახებოდა ილია ჭავჭავაძის არქივში A 1718 N-ით, მერმე ის გადაიტანეს Q ფონდში და ახალი ნომერი (419) მიეცა.

დიდხანს „დაკარგული“ იყო ცენტრარქივში დაცული ავტოგრაფებიც. 1895 წელს ისინი ხელთ ჰქონდათ ე. თაყაიშვილსა და დ. კარიჭაშვილს (V გამოცემის რედაქტორებს), მაგრამ შემდეგში მათი კვალი დაიკარგა. 1939 წელს მხოლოდ ორი წერილის (VI და VIII) დედანი უნხავას ა. გაწერელიას აუწერელ ფონდში

---

[1] წერილთა რიგი მითითებულია ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1939 წლის საუბილეო გამოცემის მიხედვით. დაყოფა ყველგან ჩემია.

[1] ი. ლოლაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1968, გვ. 25-26, 63-65, 67.

(გვ. 102, 104), მაგრამ მათი ტექსტობრივი თავისებურება მისი რედაქციით გამოქვეყნებულ წიგნში არ არის გათვალისწინებული. 1945 წელს კი ოთხივე წერილის ავტოგრაფები აღწერა შ. ჩხეტიამ („ნიკოლოზ ბარათაშვილი“, I, გვ. 65-66) და მიუთითა ადგილსამყოფელიც — „განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდი N 9264“, მაგრამ ეს ფონდი შემდეგში დაიშალა და კვლავ გაქრა მათი კვალი. გასულ წელს ისინი მაპოვნინა თამარ ტაბლიაშვილმა (ამჟამად ცენტრარქივის დირექტორმა) და სათანადო საარქივო დამუშავების შემდეგ მოთავსდა ძველ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში 736 N-ი.

ამ ავტოგრაფთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს VI წერილის დედანი, დათარიღებული 1842 წლის 2 მაისით. მისი ადრესატია გრ. ორბელიანი, ტექსტი შეიცავს ილია ორბელიანის ტყვეობის ამბავსა და „მერანის“ პირველ ვარიანტს. მასში „თვარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა“-ფრაზის შემდეგ ჯვარედინი ხაზებით წაშლილია 21 სიტყვისაგან შემდგარი ოთხი სტრიქონი. 1895 წელს ე. თაყაიშვილი ფიქრობდა, რომ იგი წაშლილია ან პოეტის ან გრ. ორბელიანის მიერო. ასევე ვფიქრობდი მეც, მაგრამ როდესაც VI წერილის უმიკაშვილისეული ასლისა (S 4911, ფ. 18-19) და პირველნაბეჭდის („კრებული“, 1873, № 3) მიხედვით პ. ინგოროყვამ ცენზორის მიერ წაშლილი სიტყვების „აღდგენა“ სცადა და 21 ხაზს შორის, „ამოიკითხა“ სიტყვა „იმპერატორი“ (ნიკ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968, გვ. 177 და 244-247), მე კვლავ დავუბრუნდი ამ ავტოგრაფს და განსვენებულ ა. იოვიძის დახმარებით შევეცადე წაშლილი ტექსტის გაშიფვრას. არქივის ფოტოლაბორატორიაში ვერ შეძლეს ზედა ხაზების მოხსნა და ქვედა ნაწერის ცხოვლად წარმოჩენა. ამით დადასტურდა, რომ ის 21 სიტყვა წაუშლია თვით პოეტს წერის პროცესში. მაშასადამე, დარჩა ერთი შესაძლებლობა: გამადიდებელი შუშით დამეწყო ზოგიერთი სიტყვისა და ასოს ამოკითხვა. დიდხანს ვატრიალე დედანი ხელში და ბოლოს აი რა შედეგი მივიღე (აღდგენილი ტექსტი ხაზგასმულია):

„ეს არის, რომ იქნება ჩვენ დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა. (დაბრუნდება, თუ ჰკუა მოიხმარა). მაშ, მხნედ(?) არის. თუკი ტყვეობა გაუგრძელდა, მაშინ ვინ იცის, ე...ც უ... ...ბა... ...გამვებაც(?) ვ... უ......?“

ტექსტის სრულად წაკითხვა ვერ ხერხდება, მაგრამ გაშიფრული სიტყვების მიხედვით უდავოდ ირკვევა, რომ აქ არსად არა წერია „იმპერატორი“; წაშლილი ტექსტი არც „სახიფათო ყოფილა პოლიტიკურად“ და არც პ. უმიკაშვილს დაუტოვებია მასში რაიმე კოდი.

1873 წელს VI წერილი დაიბეჭდა უცვლელად. ცენზორს მისგან არც ერთი სიტყვა არ ამოუღია. პ. უმიკაშვილმა პირველნაბეჭდში 21 სხვადასხვა ზომის ხაზით მიგვანიშნა მხოლოდ წაშლილი სიტყვების რაოდენობა და მათი სიგრძე-სიმოკლე.

ნ. ბარათაშვილმა იცოდა, რომ გრიგოლი ძლიერ შეწუხდებოდა ილიას ტყვეობის გაგებით. ამიტომ იგი ამ ამბავს ძმას მაშინვე არატყობინებს, ყოველნაირად ცდილობს, რომ ბიძა არ გაალიზიანოს უსიამოვნო თხრობით. წერილში ის აღწერს ილიას ტყვედ ჩავარდნის ისტორიას, ყურადღებას ამახვილებს მას გმირობაზე და თანაც ძმას ამშვიდებს — „იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა“-ო, თუმცა კარგად იცის, რომ ილიას სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. ამჯერად პოეტი იჩენს დიდ სიფრთხილესაც: მას ეშინია, ვაი თუ ილია დაიღუპოს, თუ ტყვეობა გაუგრძელდება, და ცდილობს თავისი შიშის განცდა გრიგოლსაც არ გადასდოს. ამიტომაც იგი წერილში საგულდაგულოდ ჰშლის ამაღელვებელი (თუ დამამწუხრებელი) შინაარსის 21 სიტყვას, რომ ადრესატმა ვერ შესძლოს მათი წაკითხვა[1].

* * *

ნ. ბარათაშვილის ლექსთა „დაკარგული“ ავტოგრაფებისა და ნუსხების ძიებისას ჩემი ყურადღება მიიპყრო დ. კარიჭაშვილის ერთმა ჩანაწერმა (გამოქვეყნებულია ჩემს წიგნში): ამის მიხედვით, XIX საუკუნის 90-იან წლებში არსებულა პ. უმიკაშვილის შენიშვნებით გადაწერილი კრებული ნ. ბარათაშვილის ლექსებისა. ეს კრებული შეკინძული ყოფილა ერთ წიგნად და შეიცავდა 95 გვერდს (გვ. 63). ცენტრარქივის აღწერილობანი რომ შევამოწმე, მის კვალს ვერ მივაგენი. რაკი იგი არ აღმოჩნდა N 736 ხელნაწერ დოკუმენტებთან, რომელთა შორისაც დაცულია დ. კარიჭაშვილის ჩანაწერი, დაკარგულად ვიგულვე. S 4911 (ფ. 23-24) ხელნაწერის ცნობით, უმიკაშვილისეული რვეული გადაწერილი იყო „ალექსანდრე ჩიქოვანის ხელით დაწერილი რვეულიდან“, რომელიც სარდიონ ალექსი-მესხიშვილის რვეულის პირს წარმოადგენდა, ხოლო ამ უკანასკნელის შედგენილობა და მეცნიერული ღირებულება ვიცოდი S 1555 ხელნაწერის მიხედვით. ამიტომ რას ვიფიქრებდი, თუ ამ შამთხვევაში საქმე მქონდა პ. უმიკაშვილის მიერ სხვადასხვა დროს გადაწერილ ორ სხვადასხვა რვეულთან! მაგრამ მასზე ცოტა ქვემოთ, ახლა კი ორიოდე სიტყვით ყურადღებას გავამახვილებ ნ. ბარათაშვილის ლექსთა პირველ (1876 წლის) გამოცემაზე,

---

[1] ეს მოსაზრება გაიზიარა ა. გაწერელიამ (ქართული ვერსიფიკაციისა და ჰიმნოგრაფიის საკითხები, მნათობი, 1969, № 1, გვ. 172-173).

რადგანაც ამ გამოცემის დედნის ძიებამ მიმიყვანა პ. უმიკაშვილისეულ ნუსხამდე.

ნ. ბარათაშვილის ლექსების პირველი გამოცემა შეიცავს 30 ლექსს და პოემას „ბედი ქართლისა“. უძღვის მოკლე წინასიტყვაობა, რომელშიც აღნიშნულია: „ეს ლექსთა კრება ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილისა გადმოვბეჭდეთ ჩვენ თვით პოეტის საკუთარის ხელნაწერთაგან, რომელნიც ეკუთვნოდნენ თ. გრიგოლ დიმტრის ძეს ორბელიანს. ხოლო ოთხი ბოლოს მოქცეული ლექსი (ე. ი. «შევიშრობ ცრემლსა», «დამქროლა ქარმან», «ჩინარი», «მადლი შენს გამჩენს», ი. ლ.) სხვა ხელნაწერებში ვიპოვეთ. მათ შორის «ჩინარი», ზედმიწევნით ვიცით, რომ ნ. ბარათაშვილის თქმულია, დანაშთენს სამს ლექსზედ კი მაგას ვერ ვიტყვით, თუმცა ნ. ბარათაშვილის სიტყვის კილო და სიცხოვლე მართლ-გრძნობისაზედ აჩნევია. სამწუხაროდ, ჩვენ უნდა ვქთვათ, რომ ერთის დედნის გარდა ვერსად ვერ ვიშოვეთ სხვა ნამდვილი ხელნაწერი პოეტისა ანუ სარწმუნო გვამთა გადმონაწერები, რომ შეგვედარებინა ერთმანეთთან და ისე შედარებით შეთანხმებული დაგვებეჭდა“ (გვ. VII). წინასიტყვაობას ხელს აწერენ „გამომცემელნი“, მაგრამ მათი ვინაობა არსად არ არის აღნიშნული. მკვლევართა შორის დადგა საკითხი: ვინ არიან ნ. ბარათაშვილის ლექსთა ეს ანონიმი გამომცემელნი? გამოითქვა რამდენიმე მოსაზრება:

— „ი. ჭავჭავაძესთან და გ. თუმანიშვილთან ერთად, 1876 წელს მას (პ. უმიკაშვილს, ი. ლ.) აქტიური მონაწილეობა მიუღია ნ. ბარათაშვილის ლექსების პირველი გამოცემის მომზადებაში“[1].

— „ამ კრებულის გამოცემის ინიციატივა ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. კრებულის შედგენაზე და გამოცემაზე უმუშავნიათ ილ. ჭავჭავაძეს, კ. ლორთქიფანიძეს და პ. უმიკაშვილს“.[2]

— გამოცემის „ხელისშემწყობი და ინიციატორი“ იყო ი. ჭავჭავაძე, ხოლო მისი დამხმარე — პ. უმიკაშვილი. ამ უკანასკნელს ნაბეჭდი კრებულის „საკუთარ ეგზემპლარზე სიტყვა «გამომცემელნი»-ს ქვეშ საკუთარი ხელით, შავი მელნით, მიუწერია: **«ილია ჭავჭავაძე. პეტრე უმიკაშვილი»** (იქვე მითითებულია წყარო: „ვ. ი. ლენინის სახ. სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკა,

$$\text{ГК}\ \frac{19\ .\ 319''}{9}\Big)$$[3]

— კრებულის გამოსაცემად „მომზადება პოეტის ბიძამ გრ. ორბელიანმა იკისრა, ილია ჭავჭავაძის დახმარებითა და უშუალო ხელშეწყობით“... ან „ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი გამოცემის მომზადების საქმის მოთავენი იყვნენ გრ. ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე“[1].

ყველა ამ მოსაზრებით, ნ. ბარათაშვილის ლექსთა პირველი გამოცემის მთავარი მონაწილეა ილია ჭავჭავაძე, მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მომზადებულა ტექსტი და, ალბათ, წინასიტყვაც მასვე დაუწერია (თუ რედაქცია გაუკეთებია); სხვა დანარჩენი პირები კი (პ. უმიკაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, გ. თუმანიშვილი) მას ტექსტოლოგიურ საქმიანობაში ეხმარებიან. მაგრამ ეს მოსაზრებანი მკვლევართა მიერ დასაბუთებული არ არის. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ პირველ გამოცემას ი. ჭავჭავაძის ხელი არ ეტყობა. ილიას არ შეეძლო ეთქვა: „ვერსად ვერ ვიხილეთ ვერც სრული თხზულებანი ბარათაშვილისა და ვერც სრული ჭეშმარიტი ამბავი მისის ყოფა-ცხოვრებისა“ (გვ. VIII). მან ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებული ნახა ჯერ კიდევ ეკატერინე ჭავჭავაძის სალონში, პირადად იცნობდა პოეტის ნათესავებსა და მეგობრებს და განა ასეთი პიროვნება იტყოდა, რომ ვერ შევიტყეთ „სრული და ჭეშმარიტი ამბავი მისის ყოფა-ცხოვრებისაო“? ან როგორ შეიძლება დაეჭვებულიყო ილია „მადლი შენს გამჩენს“ ლექსის ავტორობაში, როდესაც იგი პირველად მან დაბეჭდა ნ. ბარათაშვილის სახელით „საქართველოს მოამბეში“ (1863, № 2)? მაშ, კ. ლორთქიფანიძის ცნობით, როგორ გაჩნდა პირველი გამოცემის უმიკაშვილისეულ ცალზე „გამომცემელნი“-ს ქვეშ მინაწერი — „ილია ჭავჭავაძე, პეტრე უმიკაშვილი“? ასეთი მინაწერი საერთოდ არ არსებობს. იგი შეთხზულია, ყალბი ცნობაა. ნ. ბარათაშვილის ლექსთა პირველი გამოცემას ის ცალი, რომელიც პ. უმიკაშვილის საკუთრება ყოფილა, დაცულია თბილისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში $K\ \frac{10.910}{2}$ N-ით. მას აქვს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბეჭედი და მელნით წარწერა: „პეტრე უმიკაშვილისა“ (გვ. 1). პ. უმიკაშვილს 63-ე გვერდზე მიუწერია ლურჯი ფანქრით — „კადევ ნახე ხუთი ლექსი «ივერიაში». 1882 წ. NN IV და V“, ხოლო შავი ფანქრით — „«კრე-

---

1 ზ. მებზევიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, 1967, გვ. 39.

2 ი. ბოცვაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და XIX საუკუნის ქართული პრესა, 1968, გვ. 32.

3 ი. ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის «ლექსებისა» პირველი კრებულის გამოცემის ისტორიიდან, კრებული „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1968, გვ. 192; შდრ. „თბილისი“, 1968, N 92.

1 დ. შულღიაშვილი, მათ პირველად გამოაქვეყნეს, „დროშა“, 1968, № 9, გვ. 16.

ბული», 1873 წ. «ივერია», 1891 წ. N 100. ბარათაშვილზე წერილები იონა მეუნარგიასი, «ივერია», 1893 წ. აპრილიდამ“, მაგრამ „გამომცემელნი“-ს ქვეშ არაფერი არ არის აღნიშნული. კ. ლორთქიფანიძე პ. უმიკაშვილისეულ ეგზემპლარის ადგილსამყოფლად ასახელებს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას. ჩემი თხოვნით, ამ ბიბლიოთეკის საცავი შეამოწმა მანანა კაკაბაძემ და 1968 წლის 15 ივლისს მაცნობა: „ნ. ბარათაშვილის ლქსების 1876 წლის გამოცემა ლენინის ბიბლიოთეკის კატალოგებში არ არის აღრიცხული. ბიბლიოთეკის «ნაციონალური ლიტერატურის განყოფილებაში» ვნახე მეთოდისტი, ვისაც ქართული წიგნების საქმე აქვს მინდობილი და თვითონაც გავსინჯე მასთან ერთად კატალოგები. მე-19 საუკ. გამოცემებიდან არის მხოლოდ 1885 წლის, შიფრით Груз. $\frac{1}{996}$, 1890 წლის, შიფრით Груз $\frac{2}{1036}$ და 1895 წლის, შიფრით Груз. $\frac{2}{962}$, არც ერთ მათგანს არ გააჩნია მინაწერი წინასიტყვაობასთან. რაც შეეხება შიფრს ГК $\frac{19.319}{9}$ (რომელსაც უთითებს კ. ლორთქიფანიძე, **ი. ლ.**), მასზე მითხრეს, რომ ასეთი შიფრი ლენინის ბიბლიოთეკაში საერთოდ არ არსებობსო (აქ ქართული წიგნების შიფრია. Груз.). საკვირველია, კ. ლორთქიფანიძეს რატომ დასჭირდა არარსებული წყაროს დასახელება, მაშინ როდესაც მას ხელთ ეჭირა გ. თუმანიშვილის „Характеристики и Воспоминания“, რომლის საშუალებითაც შეეძლო გაერკვია, თუ ვინ იყვნენ ნ. ბარათაშვილის „ლექსთა“ პირველი გამომცემელნი. მოვუსმინოთ გ. თუმანიშვილს:

„კარგად მახსოვს 1875-1876 წლების ზამთარი. მაშინ პ. უმიკაშვილმა შეგვკრიბა რამდენიმე ახალგაზრდა ყმაწვილი — **მე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, ბესარიონ ჯაფარიძე**, რომელთაც ის იყო დავამთავრეთ უმაღლესი სასწავლებელი, გაგვაცნო ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის კორიფეებს — ილია ჭავჭავაძეს, ბესარიონ ღოღობერიძეს და სხვებს — და ჩვენით ჩამოაყალიბა წრე ქართველი კლასიკოსებისა და ქართულ სიძველეთა ძეგლების გამოსაცემად. გაჩაღდა ინტენსიური მუშაობა: ვაგროვებდით ხელნაწერებს, ფულს; ვამყარებდით ურთიერთობას პროვინციებში, ყველგან ვიჩენდით აგენტებს. თითქმის ერთი წლის განმავლობაში გამოვეცით რამდენიმე წიგნი: ბარათაშვილის ლექსები (პირველად), ალ. ჭავჭავაძის ლექსები (პირველად), ქართული ანდაზები (პირველად) და შექსპირის «მეფე ლირი», თარგმნილი ი. ჭავჭავაძისა და ვ. მაჩაბლის მიერ“[1].

ამ ამბავს მეორეგან უფრო ვრცლად მოგვითხრობს:

ბიბლიოთეკა

„გასული საუკუნის 70-იან წლებში მე და ქართული ლიტერატურის რამდენიმე მოყვარულმა თბილისში ჩამოვაყალიბეთ პატარა ამხანაგობა ქართველი კლასიკოსების გამოსაცემად. პირველ რიგში ჩვენ შევუდექით ნ. ბარათაშვილის იმ ლექსების შეგროვებას, რომლებიც გაფანტული იყო სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში, აგრეთვე იმ ლექსების შეგროვებასაც, რომელიც არ იყო ჯერ კიდევ ბეჭდურად გამოქვეყნებული. გვინდოდა ჩვენს მიერ განზრახული კრებულისათვის დაგვერთო პოეტის ბიოგრაფია და სურათი, მაგრამ იმ დროს თბილისში არ აღმოჩნდნენ მისი ახლო ნათესავები, რომელთაგანაც მივიღებდით აუცილებელ ბიოგრაფიულ ცნობებს, ხოლო პორტრეტი საერთოდ ვერ ვიპოვეთ... ამრიგად, პირველი გამოცემა ნ. ბარათაშვილის ლექსებისა გამოქვეყნდა უბიოგრაფიოდ და უსურათოდ“[2].

იქვე გ. თუმანიშვილი თავის თავსა და ამხანაგობის წევრებს იხსენიებს ასე: **...ჩვენ, ბარათაშვილის პირველი გამომცემელნი)**“ (გვ. 153).

აღნიშნული მასალების საფუძველზე ვფიქრობდი, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსები 1876 წელს გამოსცა ახალგაზრდა ლიტერატორთა წრემ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პ. უმიკაშვილი, მაგრამ ჩემთვის ნათელი არ იყო, თუ რა წვლილი ედო გამოცემის მომზადებაში პ. უმიკაშვილს და წრის წევრებს, რომელთაც ასახელებს გ. თუმანიშვილი. ამ მხრივ საგულისხმო ცნობას იძლეოდა პ. უმიკაშვილი „ავტობიოგრაფიაში“ („ივერია“, 1904, № 123): „1875 წ. ნიკო ბარათაშვილის ლექსები, რომელიც შეკრებილი მქონდა, გადავეცი გამომცემელთა წრეს“. აქედან ირკვევა, რომ პ. უმიკაშვილს გამომცემლობისათვის მიუწოდებია მხოლოდ მის მიერ შეკრებილი ლექსები. მაგრამ სხვაგვარ ცნობას გვაწვდიდა ზ. ჭიჭინაძე. იგი 1891 წელს წერდა „1876 წელს, როცა ნ. ბარათაშვილის ლექსები შეიკრიბა და ცალკე გამოიცა, ეს ლექსები გამოკრებულ იქნა «ცისკრიდან», «საქართველოს მოამბიდგან» და «კრებულიდგან». დაუბეჭდავი ლექსი არაფერი მოუთავსებიათ შიგ. ყველა ლექსი 1852-1873 წლებისა დაბეჭდილები იყო აქა-იქ და ლექსების გამოსაცემ დედნად ჰქონდათ ერთი ძველი რვეული, გადაწერილი 1845 წელს ალ. ჩიქოვანის მიერ. ასე, რომ, ბარათაშვილის საკუთარის

[1] Г. М. Туманов, Характеристики и воспоминания, II, 1905, გვ. 125.

[2] Г. М. Туманов, Характеристики и воспоминания, I, 1913, გვ. 151-152.

ხელით ნაწერი ლექსები გამომცემლობას თვალითაც არ უნახავთ" („ივერია", 1891, № 80). თუ ამ ცნობას დავუჯერებდით, მაშინ პ. უმიკაშვილი პირველ გამომცემელთაგან უნდა გამოგვერიცხა, რადგანაც იგი ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფებს კარგად იცნობდა, და მას ვერ ვიგულებდით იმ პირთა შორის, რომელთაც „ბარათაშვილის საკუთარის ხელით ნაწერი... თვალითაც არ უნახავთ". მაგრამ საქმე გაართულა თვით ზ. ჭიჭინაძის მეორე ცნობამ, რომელსაც ის იძლევა 1916 წელს („საქართველო", № 260): ნ. ბარათაშვილის ლექსების პირველ გამოცემაზე ზრუნავდნენ კ. ლორთქიფანიძე და პ. უმიკაშვილი. მათ გადავეცი ალ. ჩიქოვანის რვეული, რომელიც 1872 წელს შევიძინე „იარმუკაზე" მეწვრილმანეებისაგან. „მათვე ჰქონდათ ერთი რვეული, თვითონ პოეტის ხელით ნაწერი, რომელიც ორბელიანს ჰქონდა დაცული". აი, ასეთ გაურკვეველ ვითარებაში მე უპირატესობა მივანიჭე „გამომცემელთა" ცნობას, რომ მათ ხელთ ჰქონდათ ნ. ბარათაშვილის ლექსთა გრ. ორბელიანისეული ავტოგრაფული კრებული, და გ. თუმანიშვილის მოგონებას. ამის საფუძველზე დავასკვენი: „1876 წლის გამოცემა წარმოადგენს ბეჭდურ პირს გრ. ორბელიანისეული ავტოგრაფული კრებულისას. დასაბეჭდად მოამზადეს გ. თუმანიშვილმა და ალ. სარაჯიშვილმა" (გვ. 24). ამ დასკვნის უფლებას მაძლევდა ისიც, რომ ბეჭდური გამოცემის ტექსტი ძირითადად ემთხვეოდა ვეზირიშვილისეულ (B) ავტოგრაფულ კრებულს. მაგრამ გულში ხინჯად მრჩებოდა ზ. ჭიჭინაძის ცნობათა წინააღმდეგობა და ალ. ჩიქოვანისა და პ. უმიკაშვილის რვეულთა უკვალოდ დაკარგვა. თან დ. კარიჭაშვილის ჩანაწერი მედგა თვალწინ და ვეძებდი 95-გვერდიან რვეულს, რომელიც ნ. ბარათაშვილის ლექსთა კრებულს წარმოადგენდა.

* * *

აი, ახლა ის რვეული წინ მიდევს და ვფურცლავ. იგი საცენზურო კომიტეტის გაურჩეველ მასალებში აღმოაჩინა თამარ ტაბლიაშვილმა და თავაზიანად გადმომცა შესასწავლად. სახელდახელო გადაფურცვლამ მაშინვე დამარწმუნა, რომ 1876 წლის გამოცემა აუწყვიათ პ უმიკაშვილის რვეულიდან, რადგან ყველა ფურცელი დალაქულია შრიფტის შავი საღებავით. აქვს ცენზორის ვიზა და ამწყობისათვის საჭირო მითითებაც. თავისი შინაარსით ხელნაწერი უაღრესად მნიშვნელოვანია და საჭიროდ ვცნობ მკითხველს ყველა წვრილმანი მოვახსენო.

რვეული შეიცავს 96 გვერდს (ზომა: 17×21 სმ.), ჩასმულია რბილ მუყაოს ყდაში, რომელსაც აქვს რუსული წარწერა: «Кавказский цензурный комитет, ф. 114, арх. № 1244. Рукопись стихотворений на грузинском языке книги Николая Бараташвили, 1875, 95 л.». ტექსტი გადაწერილია 1873 წელს პ. უმიკაშვილის მიერ. უძღვის სათაური — „ლექსნი, თქმულნი თავადის ნ. ბარათაშვილისაგან", რომელსაც სქოლიოში ერთვის შენიშვნა: „ნამდვილშია «თავადის ნ. ბარათოვისაგან» ორი სათაური „ლექსნი" და „ბედი ქართლისა", ჩართული ხელით ნაწერი, მივამსგავსე ნამდვილს" (01).

„ეს ლექსები ბარათაშვილისა, — შენიშნავს იქვე პ. უმიკაშვილი, — გადმოვსწერე ნამდვილის ხელნაწერისაგან ბარათაშვილისა. ხელნაწერი ორ წიგნად იყო შეკრული, პირველშია წვრილი ლექსები, მეორეში — «ბედი ქართლისა». იმავე რიგობით და იმავე ორთოგრაფიით გადმოვსწერე, დასასვენებელი ნიშნებიც კი ნამდვილისა დავუტევე. გადმოწერის დროს ის გარემოება ვიქონიე მხედველობაში, რომ ნამდვილის ადგილი დაიჭიროს, ვინიცობაა ნამდვილი დაიკარგოს (რომელიც ეკუთვნის გრიგოლ ორბელიანს ანუ მის რძალს ქეთევანს, ზაქარიას მეუღლეს)[1]. ამათში ერთი ლექსი აკლია, რომელიც აგრეთვე ნამდვილი მინახავს და იბეჭდება ამ 1873 წლის პირველ ნომერში „კრებულისა"[2]. ეს ხელნაწერები მშვენივრად ფაქიზათ და გარჩევით არის ნაწერი. ჩემგან გადაწერაში ერთი წერტილი არ არის შეცვლილი. პეტრე უმიკაშვილი. 1873 წ., ტფილისი" (გვ. 01).

პირველი ავტოგრაფიული კრებულიდან გადაწერილია 27 ლექსი: „ბულბული ვარდზედ", „ქეთევან", „შემოღამება მთაწმინდაზედ", „ხმა იდუმალი", „ფიქრი მტკვრის პირზედ", „ჩონგურს", „თავადის ჭავ... ის ასულს ეკა... ნას", „ჩემს ვარსკვლავს", „ნაპოლეონ", „საყურე", „ჩჩვილი", „სული ობოლი", „სატრფოვ, მახსოვს", „ჩემი ლოცვა", „ჩემთ მეგობართ", „აღმოჰხდა მნათი", „არ უკიჟინო, სატრფოო", „ვპოვე ტაძარი" (აქვეა ვარიანტები V წერილში ჩართული ლექსისა, ჩაწერილია სქოლიოში წითელი ფანქრით), „სუმბული და მწირი", „მერანი", „რად ჰყვედრი კაცსა", „საფლავი მეფის ირაკლისა", „მიყვარს თვალები", „შენნი დალალნი", „კნიაზ ბარატაევის აზარფეშაზედ", „სულო ბოროტო" (უთარიღო) და „შევიშრობ

1 წაშლილია: „რომელიც ეკუთვნის გენერალ საგინოვს ანუ ერისთავის შვილსა ნიკოლოზს, რომელიც დისწულია ბარათაშვილისა".

2 იგულისხმება ლექსი „დამქროლა ქარმან სასტიკმან" („კრებული", 1873, № 2).

ცრემლსა“ (უთარიღო). დაცულია დედნისეული თანმიმდევრობა და ქრონოლოგია.

ბოლო ლექსს ერთვის შენიშვნა (გვ. 54):

„პირველი წიგნი ხელნაწერისა აქა თავდება, თუმცა ცარიელი ფურცლებია შემდეგ, რომელთაგან პირველ ორ ფურცელზედ სიმღერაა, სახელად «დილა», ქვეშ მოწერით «თ. გ. ორბელიანისა» (რომლისაგან შევიტყევი, რომ ჩემი არ არისო. იქნება მალავდეს. პ. უ.)“. დედანში ფანქრით მიწერილია: „ტყუილია“ (ეს მინაწერი ეკუთვნის გრ. ორბელიანს).

მეორე ავტოგრაფიული რვეულიდან გადაწერილია „ბედი ქართლისა“ (გვ. 55-87), რომელსაც ერთვის კვლავ პატარა შენიშვნა: „ორ წიგნში, ბარათაშვილის ნამდვილს ხელით ნაწერში, ეს იყო. ამის შემდეგ რაც არის, სხვა ნაწერიდგან და დაბეჭდილიდგან არის გადმოწერილი“.

**დასახელებული 27 ლექსისა და პოემის ტექსტები ზუსტად ემთხვევა ბარბარე ვეზირიშვილისეულ ვარიანტს, ე. ი. B ავტოგრაფს (*H* 2033, H 2034).**

ამის შემდეგ რვეულში მოთავსებულია სამი ლექსი პ. უმიკაშვილისავე შენიშვნებით: 1. „დამქროლა ქარმან“ (გვ. 88): „ეს ლექსი გადმოწერილია «კრებულის» მეორე წიგნიდამ, 1873 წ.“ **2.** „მადლი შენს გამჩენს“ (გვ. 89): „ეს ლექსი გადმოვწერე «ჩონგურიდამ». როგორც მახსოვს, «საქართველოს მოამბის» 1863 წ. ერთს ნომერში იყო დაბეჭდილი“. **3.** „ჩინარი“ (გვ. 90): „ეს ლექსი გადმოვწერე მიხეილ ბირთველის ძის თუმანოვის ნაწერიდამ. დაბეჭდილიც არის «ცისკარში», 1862 ანუ 1863 წ. **პ. უმ**“.

1875 წელს პ. უმიკაშვილს ნ. ბარათაშვილის ლექსების ეს რვეული, რომელიც შეიცავდა 30 ლექსს და ერთ პოემას, გადაუცია კლასიკოსების გამომცემელთა წრისათვის შემდეგი წარწერით:

„სხვა ლექსები აღარა მინახავს რა. «ცისკარში» დაბეჭდილი ლექსები გადმობეჭდილია ჩემის ხელნაწერისაგან, რომელიც გადმოვსწერე 1860 წელს ალექსანდრე ჩიქოვანის რვეულიდამ. იმ რვეულში მოხსენებული იყო, რომ სარდიონ ალექსიევ-მესხიევის რვეულიდამ გადმოვწერეო. 1860 წლიდამ რაც «ცისკარში» ლექსები იყო დაბეჭდილი, ესე იგი 1860, 1861, 1862 და 1863 წ., ყველა ჩემი გადმონაწერიდამ იყო დაბეჭდილი. [ალექსანდრე] ჩიქოვანის რვეულში, რომელიც ახლა უნდა ჰქონდეს გიორგის ჩიქოვანს, ყველა ლექსები იყო, რაც აქ ამ რვეულშია, გარდა ორის ლექსისა «დამქროლა ქარმან სასტიკმან» (გვერდი 88) და «მადლი შენს გამჩენს, ლამაზო» (გვერდი 89). არ ვიცი, სარდიონ მესხიევის რვეული ვის უნდა ჰქონდეს. ერთი შესაძლებელი აზრია: სარდიონ მესხიევის და, ქეთევან, ზაქარია ორბელიანის ცოლია (გრიგოლ ორბელიანის რძალი), რომელსაც იქნება სხვა ხელნაწერი ჰქონდეს, ან იქნება ნიკოლოზ ბარათაშვილისა უკეთესი საკუთარი ხელნაწერი ჰქონდეს. პეტრე უმიკაშვილი. 1875 წ.“ (გვ. 91).

გამოცემის სარედაქციო კოლეგიას, რომელშიც, პ. უმიკაშვილის ცნობით, შედიოდნენ კირილე ლორთქიფანიძე, ბესარიონ ჯაფარიძე და გიორგი თუმანიშვილი (გვ. 95), ტექსტი შეუდარებია Q 439, H 772 და S 1555 ხელნაწერთა ტიპის ნუსხისათვის და ვარიანტული სხვაობა ფანქრით აღუნუსხავს; ზოგი სწორი წაკითხვა შეუცვლია მცდარი ვარიანტებით. მაგ.:

„მღინავი — მღიმავი“ („ბულბული ვარდზედ“), „არც ვინდა არის და წინაშე ვერც ვინ აღუდგეს, რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება“ და „არა იზრუნოს — არა არგუნოს || არა რა არგოს“ („ფიქრი მტკვრის პირზედ“), „მომღერალი — მომქღერალი“ („ჩჩვილი“), „განსათავებლად — გამთბუნებელად“ („არ უკიჟინო, სატრფოო“), „ნისლით გამო მონათებ — ნისლით გამომინათებ“ („ჩემს ვარსკვლავს“) და სხვა.

ეს „გასწორებული“ ტექსტი გამომცემელთ წარუდგენიათ საცენზურო კომიტეტში. ცენზორს — დ. ბაქრაძეს — წითელი მელნით წაუწერია თავსა (გვ. 01) და ბოლოში (გვ. 91) „Дозволено цензурою. Тифлис, 3 декабр. 1875 г. Цензор Дим. Бак [радзе]“. ამის შემდეგ ცენზურისაგან ნებართული რვეული გამომცემელთ ჩაუშვიათ სტამბაში და მის მიხედვით აუწყვიათ ლექსები (მხოლოდ „ბედი ქართლისა“ გადაუადგილებიათ). წიგნის გამოსვლის შემდეგ შრიფტის მურით დალაქული რვეული გამომცემელთ უკან დაუბრუნებიათ პ. უმიკაშვილისთვის. მასში ასახულია სარედაქციო მუშაობის ყველა ეტაპი. 1879 წელს რვეულის მფლობელს 91-ე გვერდზე წაუწერია: „ნახე კიდევ ამის შემდეგ გვერდზე, 92-ზე, [ლექსი], რომელი ვიპოვნე კიდევ. 1879 წ. პეტრე უმიკაშვილი“. მერმე მოუთავსებია ეს ნაპოვნი ლექსი — „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“, რომელსაც ერთვის შენიშვნა: „ეს ლექსი ხელნაწერებში ვიპოვნე სხვა იმის ლექსებთან. ვიღასაგანაც ნაწერია. ბარათაშვილის ხელი არ არის“ (გვ. 92).

დასასრულ, 1894 წელს პ. უმიკაშვილს ამ უნიკალური რვეულისთვის დაურთავს კიდევ ერთი მოზრდილი შენიშვნა:

„ალექსანდრე ჩიქოვანის ხელით გადაწერილი რვეული ეპოვნა ზაქარია ჭიჭინაძეს და მითხრა, წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკას შევწირეო. აგრეთვე ზაქარია ჭიჭინაძემ თუ, აღარ მახსოვს, სხვამ გადმომცა ერთი რვეული სარდიონ ალექსიევ-მესხიევისა. ლამაზად არის დაწერილი, სარდიონის ხელით უნდა იყოს ნა-

წერი, ვიცნობ მის ხელსა. ეს სარდიონის რვეული წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკას შევსწირე და წვრილ რვეულებში უნდა იყოს (ერთი გროვა წვრილი რვეულები აღარ გაერჩიათ ბიბლიოთეკაში სათაურებით და ერთად შეეკრათ და სახელიც სიაში ასეთი მიეცათ: «სხვა და სხვა წვრილი წერილები თუ რვეულებიო").[1] როგორც წინა ფურცელზე გავუკეთე შენიშვნა, ამ წიგნში გადმოწერილი ლექსები გადმოვიღე ქეთევან ორბელიანის წიგნიდამ, ნამდვილ ხელნაწერიდამ კოლოზ ბარათაშვილისა (ქეთევან ორბელიანი არის გრიგოლ ორბელიანის ძმის ზაქარიას ცოლი, ქალი ანჩის ხატის დეკანოზის დიმიტრი ალექსიევ-მესხიევისა. სარდიონ ალექსიევ-მესხიევი იყო ძმა ქეთევანისა). პეტრე უმიკაშვილი.

1876 წელს რომ დაიბეჭდა პირველად, ეს წიგნი ჰქონდათ, მაგრამ რედაქციას შეეცვალა (რედაქციაში იყვნენ კირილე ლორთქიფანიძე, ბესარიონ ჯაფარიძე და გიორგი თუმანიშვილი, ბართველიჩის შვილი). პ. უმიკაშვილი. 1894 წ. ივლისი" (გვ. 95).[2]

იბადება კითხვა: პ. უმიკაშვილის რვეულს რა სიახლე შეაქვს ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლაში?

**1.** ახლა უკვე ვიცით, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსთა პირველი (1876 წლის) გამოცემის დედანი უდავოდ გადმოწერილია ბარბარე ვეზირიშვილისეული ვარიანტის სახელწოდებით ცნობილი ავტოგრაფებიდან, რომელთა ადრინდელი მფლობელი ყოფილა გრიგოლ ორბელიანის ძმის ზაქარიას მეუღლე — ქეთევან ორბელიანი. ქეთევანს ეს ავტოგრაფები გადაუცია გრიგოლისთვის, გრიგოლს კი 1873 წელს უთხოვებია პ. უმიკაშვილისთვის. შემდეგ მათ დაუფლებია ბარბარე ვეზირიშვილი (ნ. ბარათაშვილის და), რომელსაც ისინი შეუწირავს წერა-კითხვის საზოგადოებისათვის. პ. უმიკაშვილის რვეულში ასახულია **B** ავტოგრაფის ყველა ნიუანსი[3].

**2.** გამომცემელთა ცნობა, რომ „ეს ლექსთა კრება... გადმოვბეჭდეთ ჩვენ თვით პოეტის საკუთარის ხელნაწერთაგან, რომელნიც ეკუთვნოდნენ თ. გრიგოლ დიმიტრის ძეს ორბელიანსა", არ არის მთლად ზუსტი. როგორც ზ. ჭიჭინაძე წერს, ნ. ბარათაშვილის ლექსთა პირველ გამომცემლებს პოეტის ავტოგრაფები „თვალითაც არ უნახავთ". მათ ტექსტი გამოსცეს პ. უმიკაშვილის რვეულის მიხედვით, მაგრამ **B** ავტოგრაფის ზუსტი პირი ადგილ-ადგილ S 1555 ხელნაწერის მსგავსი ნუსხის ვარიანტებით შეცვალეს და პოეტის ხელიდან გამოსული ტექსტი დაამახინჯეს. ამის გამო პ. უმიკაშვილი ნაწყენი დარჩენილა, რასაც მიუთითებს საგანგებო შენიშვნა: „რედაქციას (ტექსტი) შეეცვალაო". გამომცემლებს რომ ხელთ ჰქონოდათ ის ავტოგრაფები, რომლებიც გრ. ორბელიანს პ. უმიკაშვილისთვის უთხოვებია, ისინი ლექსს „შევიშრობ ცრემლსა" საეჭვოდ არ გამოაცხადებდნენ და არც იმას იტყოდნენ, რომ **„ოთხი** ბოლოს მოქცეული **ლექსი** სხვა ხელნაწერებში ვიპოვეთო", რადგანაც „შევიშრობ ცრემლსა", დაცულია სწორედ იმ ავტოგრაფულ რვეულში, რომელიც გრიგოლ ორბელიანს ჰქონდა ხელთ და დღეს ბ. ვეზირიშვილის ვარიანტითაა ცნობილი.

**3.** გრ. ორბელიანს საკუთრად ნ. ბარათაშვილის ლექსთა ავტოგრაფული კრებულები არა ჰქონია. ჩვენს მეცნიერებაში საყოველთაოდ გაზიარებული მოსაზრება, რომ მგოსანმა 1843 წელს გრიგოლ ორბელიანს მიართვა ორ წიგნად თავისი ლექსების ხელნაწერი გამოცემა, რომელიც თითქოს საფუძვლად დასდებია 1876 წლის ბეჭდურ გამოცემას, პ. უმიკაშვილის რვეულის აღმოჩენის შემდეგ შეცდომად უნდა ვცნოთ. გრიგოლ ორბელიანს ჰქონია მხოლოდ იმ ლექსების ავტოგრაფები, რომელთაც პოეტი წერილებთან ერთად უგზავნიდა. რაკი 1876 წლის გამოცემის დედანი ნაპოვნია, ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კრიტიკული ტექსტის მომზადებისათვის ამ გამოცემას ავტოგრაფული დედნის ძალა ეკარგება.

**4.** ნ. ბარათაშვილის ლექსთა პირველი გამომცემელნი ყოფილან ახალგაზრდა ლიტერატორთა წრის წევრები, რომლებიც პ. უმიკაშვილს დაურაზმავს ქართველ კლასიკოსთა ნაწერებისა და ძველქართულ თხზულებათა გამოსაცემად. ესენი არიან: კ. ლორთქიფანიძე, ბესარიონ ჯაფარიძე, გიორგი თუმანიშვილი და ალ. სარაჯიშვილი. პ. უმიკაშვილის როლი ამ გამოცემაში განისაზღვრება მხოლოდ გამომცემელთათვის ნ. ბარათაშვილის ლექსთა რვეულის გადაცემით. რედაქცია მას არ ეკუთვნის.

5. პ. უმიკაშვილის ცნობიდან („1860 წლიდამ რაც «ცისკარში» ლექსები იყო დაბეჭდილი, ესე იგი 1860, 1861, 1862 და 1863 წ., ყველა ჩემი გადმონაწერიდამ იყო დაბეჭდილი") საბოლოოდ ირკვევა, რომ ლექსი **„კ. დ. ჩ"**, რომელიც დაიბეჭდა 1862 წელს „ცისკარში" (№-2, გვ. 189-190), არ ეკუთვნის ნ. ბარათაშვილს, თორემ იგი პ. უმიკაშვილს არ გამორჩებოდა მხედველობიდან.

---

[1] ეს რვეულია s 1555 ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ნ. ბარათაშვილის ლექსებს და გადაწერილია სარდიონ ალექსი-მესხიშვილის მიერ.

[2] პ. უმიკაშვილის რვეული დაცულია ცენტრარქივის ძველი ქართული ხელნაწერების კოლექციაში (ფ. 1446) 820 №-ით. მისი სარგებლობისათვის თ. ტაბლიაშვილს ულრმეს მადლობას მოვახსენებ.

[3] ასლში დაცულია ავტოგრაფის წერითი შეცდომებიც კი. მაგ., „ბედსაც მოვჰსწინდე" („ნაპოლეონ"). პ. უმიკაშვილი შენიშნავს: „მოვჰსწინდეა ნამდვილში და არა მოვჰსწყინდე" (გვ. 19).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ შარაძე

# გრიგოლ ორბელიანის ერთი გამოუქვეყნებელი წერილი

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ვორონცოვისეულ არქივში დაცულია გრიგოლ ორბელიანის წერილი მ. ს. ვორონცოვისადმი, რომელიც თემირ-ხან-შურიდან არის გამოგზავნილი პეტერბურგს 1856 წლის 24 იანვარს[1]. გრ. ორბელიანის ამ წერილის შესახებ ცნობები თავის დროს დაბეჭდეს მ. ჩიქოვანმა[2] და ი. ბოგომოლოვმა[3], მაგრამ ტექსტი დღემდე გამოუქვეყნებელია და, ამდენად მკითხველისათვის ხელმიუწვდომელი. ჩვენ ეს ხელნაწერი ადგილზე შევამოწმეთ და ტექსტი გადმოვწერეთ (გადაღებული გვაქვს მისი ფოტოპირიც) შარშან, ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებისას.

წერილი ძლიერ საყურადღებო და საინტერესო ცნობებს შეიცავს გრიგოლ ორბელიანის მოღვაწეობაზე, კასპიის მხარეთა ჯარების მთავარსარდლად და სამოქალაქო ნაწილის გამგედ ყოფნის დროს, კერძოდ, 1855 წელს. როგორც ცნობილია, ამ თანამდებობაზე გრიგოლ ორბელიანმა 1854 წლის იანვარში შეცვალა მ. ზ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი[4].

1 ფ. 36, აღწ. 2. № 615.

2 მ. ჩიქოვანი, ახალი საარქივო მასალები, ლიტ. ძიებანი, III, თბ., 1947, გვ. 140.

3 И. Богомолов, Григол Орбелиани и русская культура, Тб., 1964, გვ. 30—32.

4 ი. მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა, ქართველი მწერლები, I, ს. ცაიშვილის რედ., თბ., 1954, გვ. 64; ა. გაწერელია, გრ. ორბელიანის წერილები, II, 1937. გვ. 314-315. ს. ცაიშვილი, გრიგოლ ორბელიანის ნამსახურებითი სია, ზუგდიდის მუზეუმის შრომები, I, თბ., 1947, გვ. 352: ე. მაღრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1967, გვ. 203.

წერილის ტექსტიდან დოკუმენტურად ირკვევა, რომ გრ. ორბელიანის მეცადინეობითა და ხელმძღვანელობით ყოფილა აშენებული თემირ-ხან-შურაში მართლმადიდებლური ეკლესია, რომლის საკულტო დანიშნულების ნივთებიც თვით მას შეურჩევია და დაუმზადებინებია. მას ამ საქმეში, ეტყობა, ეხმარებოდნენ ყოფილი მთავარმართებელი მ. ს. ვორონცოვი და ცნობილი რუსი მხატვარი, მაშინ სრულიად ახალგაზრდა ლ. ფ. ლაგორიო (დაბ. 1826 წ.), რომელიც იმ დროს რომში სწავლობდა და გრ. ორბელიანს იქ შეუკვეთია მისთვის მარიამ მაგდალინელის პორტრეტი. ვფიქრობთ, გრ. ორბელიანს ლ. ფ. ლაგორიო პირადად უნდა გაეცნო 1851 წელს, როდესაც ახალგაზრდა მხატვარი, სამხატვრო აკადემიის წარჩინებით დამთავრების (1850 წ.) შემდეგ, იტალიაში გამგზავრებამდე, ერთი წლით, წინასწარ კავკასიაში გამოგზავნეს აქაური მთიანი ბუნების გასაცნობად.

სხვათა შორის, გრ. ორბელიანის მიერ 1850-იან წლებში თემირ-ხან-შურაში აგებული მართლმადიდებლური ეკლესია კარგად ჩანს ე. მარკოვის გადაღებულ სურათში, რომელიც მან 1904 წელს დაბეჭდა[1]. უფრო გვიან, 1935 წელს, ეს საყდარი ნახა და მის შესახებ საყურადღებო ცნობები მოგვაწოდა ა. გაწერელიამ დაღესტანში მოგზაურობის დროს[2].

პოეტის ბიოგრაფი დასახელებულ წერილში ბევრ საინტერესო დეტალს იპოვნის გრ. ორბე-

1 Е. Марков, Очерки Кавказа, СПБ, Москва, 1904, გვ, 583. შდრ. გრ. ორბელიანის წერილები, ა. გაწერელიას რედაქციითა და შენიშვნებით, ტ. II, თბ. 1937, გვ. 39.

2 ა. გაწერელია, მთების ქვეყანაში (ფურცლები დღიურიდან), ნოველები, თბ., 1960, გვ. 150.

ლიანის მიერ ამ პერიოდისთვის დაღესტანში წარმოებულ სამხედრო ოპერაციებსა (მაგ.; 1855 წლის ნოემბერში თავისუფალი ტაბასარანის დამორჩილება[1] თუ ტაბასარანის ტყეებში გზების გაკაფვის სამუშაოებზე[2]. გ. ორბელიანი, როგორც რუსეთის ერთ-ერთი მხედართმთავარი, დიდი გულისყურით ეკიდება ამ დროისათვის გაჩაღებულ რუსეთ-ოსმალეთის ომის (1853-56 წწ.) მსვლელობასაც.

წერილი ავტოგრაფულია და დაწერილია რუსულ ენაზე გრიგოლ ორბელიანის მიერ 1856 წლის 24 იანვარს, თემირ-ხან-შურაში. წერილს ახლავს სხვა (კანცელარიული) ხელით შესრულებული დაწვრილებითი ახსნა-განმარტებები ეკლესიაში დასასვენებელი ხატების (სულ 25) ნახაზთათვის[3], რომელიც შედგენილია წერილის დაწერამდე 8 დღით ადრე — 1856 წლის 16 იანვარს, ხოლო თვითონ ნახაზები ხელნაწერში არ მოიპოვება. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ნახაზების საფუძველზე მ. ს. ვორონცოვმა მართლაც დაამზადებინა თემირ-ხან-შურის ეკლესიისთვის განკუთვნილი ხატები და ამ მიზეზით, ნახაზები დღეს უკვე აღარ ჩანს. მინაწერებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული წერილი მ. ს. ვორონცოვს იმავე წლის 14 თებერვალს მიუღია და თავისი ხელით დაუწერია: Подождать рисунки.

ტექსტს ვაქვეყნებთ მცირეოდენი ორთოგრაფიული ცვლილებებით. ავტორის სტილი და პუნქტუაცია დაცულია.

**Ваша Светлость,**
**Князь Михаил Семенович!**

Письмо вашей Светлости от 27 ноября доставило мне невыразимое счастье известием о вожделенном здравии вашей Светлости и всего вашего семейства. Так глубоко обожаемые нами, драгоценные строки, приписанные в том письме рукою Княгини Елисаветы Ксавериевны, с восторгом расцеловал я, и, по обычаю востока, приложил к глазам моим, да просветятся они радостью.

Ваша Светлость изъявили желание принять участие в украшении строющейся в Шуре церкви, поэтому представляю полный чертеж иконостасу с подробным объяснением меры каждому из образов. И как притом благоугодно было вам, кроме образов Спасителя и Богородицы, заказать еще два образа по моему выбору, то пользуясь вашим столь милостивым предложением, я прошу вас украсить церковь Запрестольным образом — **Молящийся Иисус** — и еще одним, Александра Невского. Остальные же образа еще не заказаны, кроме Марии Магдалины, образ которой напишет в Риме молодой наш художник Лагорио, брат которого служит при мне. Итак, наш Шуринский Собор имеет пока пять прекрасных образов. Графине же Шуазель просим о Катапетазме или Занавесе к царским вратам и кроме того три воздуха для покровов к Свя[тым] Дарам. Полный чертеж Иконостасу прислал я с тою целью, что, быть может, кто-нибудь из благочестивых Кавказцев, проживающих в Петербурге, и даже не из Кавказцев, пожелает участвовать в этом прекрасном деле и закажет по своему выбору один из означенных в чертеже образов. — **Вообще все эти образа выбраны мною; не знаю только изящен ли выбор?**

В прошлом ноябре я вошел с отрядом в вольную Табасарань, которая в последние годы сделалась убежищем беглецов, разбойников и проповедников Шариата, которые и явно и тайно, распространяли и утверждали там власть Шамиля. С Божиею помощью эта экспедиция окончилась очень благополучно. Неприятель был разбит наголову; две главные деревни Хинак и Ругуч — местопребывание возмутителя Шеих-Мамада разорены до последнего камня; прорублены дороги, в 200 саж[еней], шириною от сел[ения] Хошни по р[еке] Пелекчай чрез Ханакскую гору до дер[евни] Гужник, мимо которой прошел К[нязь] Аргутинский в 1851 [году], другая, по хребту, соединяющемуся с Аштикухумскими горами, по которому возвращался Ажи-Мурад, третья, по хребту Калухдага к Хомни, и отсюда одна по [реке] Рубас к сел[ению] Мараги, и другая туда же по ущелью у подножия Калухдага. Таким образом, теперь пять широких дорог ведут в Табасарань со стороны Дербенда и Казикумыкского Ханства; и все это стоило нам ранеными 3 милиционера. Результат этой Экспедиции: покорность вольной Табасарани — Вольного Кайтаха и даже самой деревни Шиляги, так дорого

---

1 შდრ. გრ. ორბელიანის ქართულ წერილებს, №№ 272, 273, 275, 278, იხ. ტ. II, თბ., 1937.

2 ამის შესახებ დაწვრილებით ცნობები იხ. Солтан — Обзор событий в Дагестане в 1855 и 1856 годах, Кавк. Сборник, т. XII, стр. 496-503.

3 ი. ბოგომოლოვის ფიქრით «Все письмо написано рукой Орбелиани». დას. ნაშრომი. გვ. 31, სქ 35.

стоившей нам прежде и остававшейся до сих пор во враждебном к нам отношении. Вторжение нашего отряда в вольную Табасарань было так неожиданно для Шамиля, что он совершенно растерялся и не мог подать помощи, которую он так щедро предлагает всем принимающим учение Шариата. Здесь вновь выказали отличные услуги Генерал-майор Юсуп-бек и Табасаранские беки.

Но в то время, когда громы адской артиллерии разражались над Свеаборгом и Севастополем, когда Карс падал под ударами ничем непоколебимого Кавказского корпуса, кому были слышны выстрелы, раздавшиеся где-нибудь в глуши Табасарани. А в иное время эта Экспедиция имела бы свой эффект! Как бы то ни было, но я счастлив сам собою мыслью, что мне удалось выполнить этот давнишний план вашей Светлости.

Варинка и семейство К[нязя] Чавчавадзе, по моему расчету, только недавно должны были прибыть в Тифлис. В горах они встретили великие затруднения во время переезда; побросали все экипажи и кое-как дотянулись до Ананура, где у Бабале Санова отдыхали двенадцать дней, ожидая прибытия экипажей; впрочем, благодарение Богу, все они были здоровы.

Приношу мое глубочайшее уважение Светлейшей Княгине Елисавете Ксавериевне и Графине Шуазель.

С чувством истинного, глубочайшего уважения имею честь быть вашей Светлости

Покорнейший Слуга
К[нязь] Григорий Орбелиани

24 Генваря 1856 года
Т[емир] Х[ан] Шура

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მალხაზ აბდუშელიშვილი

# ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური გენეზისი

1946 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე, პირველად ჩვენს სინამდვილეში, ჩამოყალიბდა ანთროპოლოგიური ცენტრი, რომელსაც მაშინ ანთროპომეტრული კაბინეტი ერქვა. იდეა საქართველოში ანთროპოლოგიური ცენტრის შექმნისა დიდ ქართველ მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის, მისი განხორციელება კი მთლიანად დაკავშირებულია აწ განსვენებული აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიას და ალექსანდრე ნათიშვილის სახელებთან. ანთროპოლოგიური კაბინეტის დაარსების შემდეგ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას, სამწუხაროდ, დიდხანს აღარ უცოცხლია. ამიტომაც მთელი შემდგომი საორგანიზაციო და მოსამზადებელი სამუშაო აკადემიკოს ალექსანდრე ნათიშვილს დაეკისრა, რომელმაც ღრმა ერუდიციითა და მართლაც გასაოცარი ენერგიით, მოკლე ხანში ეს მცირე უჯრედი საკავშირო მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო ცენტრად აქცია. ქართველი ანთროპოლოგების მიერ სადღეისოდ შესწავლილია კავკასიის თითქმის ყველა ეთნოტერიტორიული ჯგუფი, შეგროვებულია კრანიოლოგიური მასალა თითქმის ყველა ქრონოლოგიური პერიოდისა და ძირითადი თანამედროვე რეგიონალური პოპულაციისა, შესრულებულია ასზე მეტი ორიგინალური გამოკვლევა, რომელთაგან შვიდი მონოგრაფიულია, დაცულია ექვსი დისერტაცია, რომელთაგან ორი სადოქტოროა; ქართველი ანთროპოლოგები მუდამ წარმატებით გამოდიან როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე. მათი ნაშრომები იბეჭდება რუსულ და უცხოურ ენებზე, მათი გამოკვლევები საკმაოდ კარგ შეფასებას იმსახურებს, როგორც საკავშირო, ისე უცხოურ პრესაში. ამჟამად ქართველი ანთროპოლოგების გამოკვლევებს კარგად იცნობენ სპეციალისტები ჩვენშიც და უცხოეთშიც, ამიტომ ჩვენი ფართო საზოგადოებისათვის, ვფიქრობთ, არ იქნება ინტერესს მოკლებული გაეცნოს, თუ რაზე მუშაობდნენ ამ ორი ათეული წლის განმავლობაში ქართველი ანთროპოლოგები და თავისი პირუთვნელი მსჯავრიც დასდოს მათ ნამოღვაწარს.

ეთნიური ანთროპოლოგია ანუ რასათმცოდნეობა მსოფლიოს ხალხთა ანთროპოლოგიურ შედგენილობას სწავლობს აწმყოსა და წარსულში. ამ შესწავლის საფუძველზე მიღებული მასალა საშუალებას იძლევა გაირკვეს ნათესაური ურთიერთკავშირები სხვადასხვა რასებს შორის, მათი წარმოშობა-ჩამოყალიბების ისტორია, ე. ი. ცალკეული რასობრივი ტიპის ხანდაზმულობა, ადგილი და წარმოშობის მიზეზი. საზოგადოდ, ანთროპოლოგიურ მასალას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისტორიული პრობლემების — ანთროპოგენეზისის რასოგენეზისა და ეთნოგენეზისის კვლევაში. განსაკუთრებით საყურადღებო ისტორიკოსებისათვის ეთნოგენეზური პრობლემაა. ძირითადი მოსახლეობისაგან განსხვავებული ანთროპოლოგიური ტიპის არსებობა სრულიად სანდო საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ ან ძირითადი მოსახლეობის წინაპრების, ან მოსული უმცირესობის წარმომავლობა საკვლევ ტერიტორიაზე; ამ დროს ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ მონაცემებში თავს იჩენს ხოლმე განსხვავება ამ ორი ტიპის მატერიალურ კულტურასა და ენაში, როგორც აწმყოში, ისე განსაკუთრებით, წარსულში. ყოველივე ეს კი, ანთროპოლოგების, ეთნოგრაფების, არქეოლოგებისა და ენათმეცნიერების ერთობლივი კვლევის საფუძველზე, საშუალებას იძლევა მიკვლეულ იქნეს ის ტერიტორია, საიდანაც ხდებოდა გადმოსახლება და დაზუსტდეს დრო გადმოსახლებისა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. მადაგასკარის ხალხები, ენითა და კულტურით, მკვეთრად განსხვავდებიან აფრიკის ხალხებისაგან და უახლოვდებიან ინდონეზიის ხალხებს, განსაკუთრებით კი

— კუნძულ სუმატრის ბატაკებს. ანთროპოლოგიური მასალები, რომლებიც მადაგასკარისა და სუმატრის მოსახლეობის ტიპოლოგიურ მსგავსებას ადასტურებს, სრულიად უდავოდ ცხადყოფს გადმოსახლების ფაქტს. ეს მაგალითი იმ კერძო შემთხვევის მაჩვენებელია, როდესაც ანთროპოლოგიური მონაცემები დასტურდება ენათმეცნიერებასა და ეთნოგრაფიაში არსებული ფაქტებით, მაგრამ იმავე მადაგასკარის მოსახლეობაში არის ჯგუფი, რომლის წარმომავლობის დადგენა მხოლოდ და მხოლოდ ანთროპოლოგიური მასალების საფუძველზე ხერხდება. ეს არის ნეგროიდული ტიპის მოსახლეობა, რომელიც აგრეთვე ინდონეზიურ ენაზე ლაპარაკობს და მხოლოდ ანთროპოლოგიური ფაქტები ამჟღავნებს, რომ მისი ფესვები აფრიკის მატერიკზეა საძიებელი.

მეორე მხრივ, ანთროპოლოგიური მონაცემები ხშირად გვაძლევს საფუძველს კატეგორიულად უარვყოთ ამა თუ იმ ხალხის მასობრივი გადმოსახლება. მაგალითად, მკვეთრად გამოხატული ადგილობრივი ტიპი თურქულ ენაზე მოლაპარაკე აზერბაიჯანელებისა საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თურქული ენის გავრცელება არ იყო დაკავშირებული მონღოლური ან რომელიმე სხვა რასობრივი ტიპის მქონე დამპყრობლების დიდი მასების შემოჭრასთან. ანთროპოლოგიის თითქმის ყველა სახელმძღვანელოში გვხვდება მაგალითი ჩრდილო კავკასიელ ნოღაელებისა და ყუმუხების შესახებ, პირველნი მონღოლოიდური ტიპისანი არიან, მეორენი ანთროპოლოგიურად არაფრით განსხვავდებიან კავკასიის აბორიგენული მოსახლეობისაგან. ენა კი ორივე ჯგუფისა თურქულია. ამ ორი — ენათმეცნიერული და ანთროპოლოგიური — ფაქტის ურთიერთშეპირისპირება ცხადყოფს, რომ ნოღაელების ჯგუფი თვით მოვიდა კავკასიაში, მოიტანა თურქული ენა და დაესახლა კიდეც. ყუმუხებმა კი, რომლებიც თვით წარმოადგენენ კავკასიის უძველეს აბორიგენულ მოსახლეობას, მხოლოდ შეითვისეს (გარკვეული ისტორიული პროცესების გამო) ადრე მათთვის უცხო თურქული ენა. ჩვენ ორიოდე მაგალითი მოვიყვანეთ ანთროპოლოგიური მასალის ისტორიის წყაროდ გამოყენებისა. ასეთი მაგალითების მოყვანა კი დაუსრულებლად შეიძლებოდა, რადგანაც განუსაზღვრელია რაოდენობა იმ კითხვებისა, რომლებსაც აყენებენ მომიჯნავე მეცნიერული დისციპლინები ანთროპოლოგების წინაშე ამა თუ იმ ეთნიური ჯგუფის წარმოშობისა, ჩამოყალიბებისა, მისი ენის, კულტურის, ეთნიური თავისებურებების გენეზისისა და სხვათა შესახებ. სამწუხაროდ, ყოველთვის ერთნაირი წარმატებით არ ხერხდება ანთროპოლოგიური მასალების საფუძველზე ამა თუ იმ კონკრეტული ფაქტების გადაწყვეტა. შესადარებელი ჯგუფების არადიფერენცირებულობა, მეტიზაციისა, ინფილტრაციისა და ასიმილაციის დიდი ხანგრძლივობა, მასალების უკმარისობა და სხვა მრავალი, დიდ დაბრკოლებებს უქმნიან ანთროპოლოგს კვლევისას და მხოლოდ მომიჯნავე მეცნიერული დისციპლინებთან უმჭიდროესი კონტაქტის გზით ხდება შესაძლებელი ამ დროს წარმატების მოპოვება.

საბჭოთა ანთროპოლოგების გამოკვლევებმა ბრწყინვალედ დაადასტურა, რომ ადამიანთა ფიზიკური ნიშნების შესწავლას, თუ მუდამ გადამწყვეტი არა, ყ ვ ე ლ ა შემთხვევაში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხთა ეთნოგენეზის შესწავლისას, რადგან მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ ანთროპოლოგია წარმოგვიდგენს თვით მოსახლეობის (და არა მისი ენის, კულტურისა და სხვა) ფიზიკური შედგენილობისა და წარმოშობა-მონათესაობის სურათს, რაც ეთნოსის გენეზისის გაგებისათვის სრულებითაც არ არის უგულებელსაყოფი რამ. დიდი ქართველი ისტორიკოსი აკად. ივ. ჯავახიშვილი სრულიად გარკვევით წერდა, რომ „ამა თუ იმ ერისა, თუ ტომის მონათესაობის გადასაწყვეტად, ცხადია, მის ფიზიკურ თვისებებს, ვითარცა მტკიცე და ძირითად ნიშანს, აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა“. ამ გაგებით, ეთნიური ანთროპოლოგია, მიიჩნევს რა, შერევის ფაქტორებს ისტორიულ პროცესების შედეგად, ანთროპოლოგიურ მასალას იყენებს ისტორიული პროცესების შესწავლის ერთ-ერთ წყაროდ და ამოსავალ დებულებად სთვლის ანთროპოლოგიურ ტიპებსა და ენობრივ, კულტურულ და ეთნოგრაფიულ ჯგუფებს შორის ურთიერთ დამოკიდებულების გარკვევას. ცნობილია, რომ ენა და კულტურა შეიძლება გავრცელდეს ანთროპოლოგიური ტიპების გაუვრცელებლად, ანთროპოლოგიური ტიპების გავრცელებას კი მუდამ განუყრელად თან სდევს კულტურისა და ენის გავრცელება, ე. ი. ანთროპოლოგიური ტიპების გავრცელების თავისებურ არეალს რომ აღნიშნავს, ანთროპოლოგია ისტორიკოსებისა და ენათმეცნიერების წინაშე აყენებს საკითხს კულტურასა და ენაში, იმ შედეგების ძიებისას, რაც უთუოდ თან უნდა მოჰყოლოდა ანთროპოლოგიური ტიპების გავრცელებას; საკითხის ამგვარი მდგომარეობისას საფიქრებელია მიგრაციისა, ასიმილაციისა ანდა ინფილტრაციის პროცესი. ადვილი წარმოსადგენია, რომ შესაძლებელია საწინააღმდეგო მოვლენაც. თუ ანთროპოლოგია არ იძლევა სათანადო მონაცემებს ამა თუ იმ მოსახლეობის ფიზიკურ შედგენილობაში რაიმე რეალური მორფოლოგიური ძვრების შესახებ, ხოლო ენათმეცნიერება ანდა ისტორიოგრაფია კი აღნი-

შნავენ ენისა და კულტურის გავრცელების თავისებურ არეალს, ცხადია, აქ მიგრაციისა ან ინფილტრაციის ფაქტორი უნდა გამოირიცხოს და გლოტოგენეზისისა და თვით მოსახლეობის გენიზისის კვლევა ერთი მეორეს დაუპირისპირდეს, გარდა ასეთი შესაძლებლობებისა, მრავალი კომბინაციაც არსებობს ანთროპოლოგიურ და ენობრივ, კულტურულ და ეთნოგრაფიულ მონაცემებს შორის და ამიტომაც არის, რომ ამოსავალი დებულება ეთნიური ანთროპოლოგიისა არის სწორედ ანთროპოლოგიურ ტიპებსა და ენობრივ-კულტურულ და ენთოგრაფიულ ჯგუფებს შორის დამოკიდებულების გ ა რ კ ვ ე ვ ა, რაც შესწავლის წინაპირობა კი არა, არამედ მისი ძირითადი შ ე დ ე გ ი უნდა იყოს.

ხალხების წარმოშობა-ჩამოყალიბების ანუ ეთნოგენეზისის კვლევას ჩვეულებრივ აწარმოებენ არქეოლოგები, ენათმეცნიერები, ეთნოგრაფები, ისტორიკოსები და ანთროპოლოგები, მაგრამ თვით ეთნოსის მრავალსახეობა არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ სხვათა დაუხმარებლად არცერთ დასახელებულ დარგს დამოუკიდებლად არ შეუძლია გადაწყვიტოს მთლიანად ეთნოსის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ურთულესი პროცესი. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. ცნობილია, რომ ერისათვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ეროვნული ენაა, მაგრამ ენის წარმოშობისა, ჩამოყალიბებისა და მონათესაობის შესწავლა ყოველთვის ვერ გვიქმნის სრულ წარმოდგენას თვით ამ ენის მქონე ხალხის წარმოშობასა და ჩამოყალიბებაზე. ძალზე ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული, სხვადასხვა წარმომავლობის მქონე ხალხი ერთიდაიგივე ენის მქონეა. მაგალითად, ინგლისურ, ესპანურ და არაბულ ენებზე მრავალი ერთმანეთთან გენეტიკურად დაუკავშირებელი ხალხი ლაპარაკობს. ერთ ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა წარმოშობის ხალხთა მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ სერბები და ხორვატები, დანიელები და ნორვეგიელები, დოლგანები და იაკუტები და მრავალი სხვა. უფრო მეტი მაგალითების მოყვანა შეიძლება იმ შემთხვევისათვის, როდესაც ენა არ ემთხვევა ეროვნულ თვითშეგნებას; მაგალითად, ელზასელები გერმანულის ერთ-ერთ დიალექტზე მეტყველებენ, თავიანთ თავს კი ფრანგებად სთვლიან; ირლანდიელების უმრავლესობა ინგლისურად მეტყველებს, მაგრამ ირლანდიური ეროვნული თვითშეგნება მათში ძალზე მკვეთრად არის გამოხატული; გალიციელები ესპანელი ხალხის ნაწილია, მათი ენა კი პორტუგალიურის დიალექტია, და საბოლოოდ, ებრაელების უმრავლესობას დაკარგული აქვს საკუთარი ენა და იმ ხალხის ენაზე მეტყველებს, სადაც ცხოვრება უხდება, ეროვნული თვითშეგნება კი მათში ყველგან მტკიცედ არის შემონახული. იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ენისა და ეთნიური თვითშეგნების საზღვრები თანხვდებიან ერთმანეთს, ენის თავისებურებისა და წარმოშობა-ჩამოყალიბების შესწავლით არ ამოიწურება ეთნოსის გენეზისი, ვინაიდან ეთნოსი, გარდა ენისა,მრავალი სხვა ნიშნითაც ხასიათდება. ამიტომაც, თვით ენათმეცნიერებმა დაადგინეს ის უტყუარი დებულება, რომ ეთნოგენეზი და გლოტოგენეზი, ანუ ამ ეთნოსის ენის გენეზისი, სრულებითაც არ არის ერთი და იგივე რამ, თუმცა ეს უკანასკნელი დიდ, და ხშირად, გადამწყვეტ დახმარებას გვიწევს ეთნოგენეზისის შესწავლაში.

არქეოლოგიური მასალაც ხშირად გამოიყენება ხოლმე, როგორც ეთნოგენეზური პრობლემების შესწავლის ერთ-ერთი წყარო. არქეოლოგიური მასალები უაღრესად დიდი მნიშვნელობის მონაცემებს გვაწვდის ამა თუ იმ ეთნიური ჯგუფის კულტურის გენეზისის შესახებ, მაგრამ თვით უაღრესად მდიდარი მატერიალური კულტურის ნაშთები და მათი ყოველმხრივი შესწავლაც კი ვერ გვაძლევს პასუხს ამ კულტურის უძველეს მქონეთა ეთნიური ვინაობის შესახებ. არქეოლოგები კარგად იცნობენ ფაქტებს, როდესაც ერთი და იგივე ან უახლოესი კულტურა ორი სხვადასხვა წარმოშობისა და ენის მქონე ხალხის კუთვნილებაა. საამისო მაგალითების მოყვანა ძნელი არ არის: ახალი გვინეის პაპუასები და მელანეზიელები, კალიფორნიელი ინდიელები, რომლებიც სრულიად განსხვავებულ რამდენიმე ენობრივ ჯგუფს ეკუთვნიან, ესკიმოსები და კორიაკები, კეტები და სელკუპები, კარელები და მათი რუსი მეზობლები, ესტონელები და ჩრდილოეთ ლატვიელები, მადიარები და მათი მეზობელი სლავური ჯგუფები. ყველა, ამ შემთხვევებში მეზობელი, მაგრამ წარმოშობითა და ენით განსხვავებული ჯგუფების კულტურა იმდენად ახლოა ერთმანეთთან, რომ მათი მატერიალური კულტურის ძეგლების განსხვავება ძნელია, უფრო ხშირად კი შეუძლებელიც არის, თვით უაღრესად გამოცდილი არქეოლოგისათვისაც კი. არანაკლებ ხშირია საწინააღმდეგო შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ხალხის ცალკეული გეოგრაფიული ჯგუფები მატერიალურ კულტურაში ისეთ განსხვავებას ამჟღავნებენ, რომ ძნელიც კია წარმოვიდგინოთ მათი ერთიანი წარმომავლობა მარტო არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე. აი, მაგალითად, ჩრდილო-დასავლეთელი და აღმოსავლეთელი ბაშკირიბი. პირველნი იმთავითვე მობინადრე-მიწათმოქმედნი არიან და მრავალ რამეში ემსგვსებიან მარიელებს, ჩუვაშებსა და მორდველებს, მეორენი უახლოეს წარსულშიაც კი მომთაბარე-მესაქონლენი არიან და

ამით ყაზახებს უახლოვდებიან. არქეოლოგს რომ მომავალში ბაშკირების ამ ორი ჯგუფის მატერიალური კულტურის ნაშთები აღმოეჩინა, ალბათ გაუძნელდებოდა ემტკიცებინა ჩრდილო-დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბაშკირების გენეტიკური ერთიანობა. არქეოლოგიურად ალბათ, საწინააღმდეგო მსჯელობისათვის უფრო მეტი იქნებოდა საფუძველი. ასეთივე ძირეული განსხვავებაა სამხრეთისა და ჩრდილოეთის იაკუტებსა, ზღვისპირელ და მომთაბარე ჩუკჩებსა, მთისა და ბარის ტაჯიკებსა და სხვათა კულტურაში. ყოველივე ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ კულტურის წარმოშობა, მისი გავრცელება, ჩამოყალიბება ყოველთვის ზუსტად არ გვიჩვენებს და არც შეიძლება გვიჩვენებდეს, თვით ამ კულტურის მქონე ხალხის წარმოშობისა და ჩამოყალიბების სურათს.

ეთნოგენეზური კვლევისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიული მონაცემები. ეთნოგრაფების განკარგულებაში მდიდარი არსენალია: ენთოგენეზური ლეგენდები, ე. ი. გადმოცემები თვით ხალხისა თავისი წარმოშობის ან წარსულის შესახებ; ხალხის გვაროვნული და ტომობრივი შედგენილობა და მასში შემავალი ცალკეული ჯგუფების დასახელება. ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურა და მისი შემადგენელი ელემენტების ანალიზის განუსაზღვრელი შესაძლებლობა. მაგრამ რადგანაც ყოველივე ამას მიზეზობრივი კავშირი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს თვით ხალხთან, მის მემკვიდრეობასთან და უშუალო მონათესაობასთან, ამიტომ ყოველივე ეს მხოლოდ გვეხმარება ეთნოგენეზურ კვლევაში, ეთნოგენეზური პრობლემების დაყენებაში და არა მის საბოლოო გადაწყვეტაში.

ანთროპოლოგიურ მონაცემებზე, მათს მნიშვნელობასა და შეფასებაზე ეთნოგენეზური კვლევის დროს ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. აქ ისღა დაგვრჩენია შევნიშნოთ, რომ ანთროპოლოგია თვით ხალხის წარმოშობას, მის ჩამოყალიბებას და მონათესაობას იკვლევს და, ამდენად, თუ ეს მონაცემები არ გვექნა, ენთოგენეხზე მსჯელობა საერთოდ მოკლებულია სისრულეს, მაგრამ ამავე დროს აქვე უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ ეთნოსი მარტო ადამიანების ფიზიკური ერთობლიობა, მარტო მათი ერთიანი წარმომავლობა, ჩამოყალიბება და მონათესაობა როდია, რომელიც თვალების ფერით, თმის ფორმით ან სისხლის ჯგუფებით ვლინდება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ენისა, კულტურისა, ტერიტორიისა, ფსიქიკისა და სხვათა მრავალთა ერთობლიობაა, რომელიც, სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში, სხვადასხვაგვარად ეწყობა ერთმანეთს და, ამიტომაც, არასოდეს, ან თითქმის არასოდეს არა გვაქვს ხოლმე ენისა, კულტურისა და ანთროპოლოგიური ტიპის სრული დამთხვევა (რასაც ხშირად ვხვდებით ბურჟუაზიულ ლიტერატურაში) და ამიტომაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ძიების საგანი ენისა, კულტურისა და ანთროპოლოგიური ტიპის გენეზისის გზები და მათი ურთიერთშეპირისპირება უნდა იყოს და არა ძიება ყველა ამ მონაცემის ურთიერთდამთხვევისა, ურთიერთდადასტურებისა და გამეორებისა, რაც სრულებითაც არ არის სავალდებულო. უფრო ხშირად პირუკუ მოვლენებთანა გვაქვს ხოლმე საქმე.

ზემოაღნიშნული, ვფიქრობ, გაგვიადვილებს ქვემოთ ნაჩვენები ანთროპოლოგიური ფაქტების გაგებას, მათი ეთნოგენეზური ღირებულების შეფასებასა და ქართველი ხალხის წარმოშობისა, ჩამოყალიბებისა და სხვა ხალხებთან მონათესაობის კვლევის საქმეში მათი ადგილის განსაზღვრას.

უპირველეს ყოვლისა, საქართველოს უძველესი მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურების შესახებ: სადღეისოდ საკმაოდ რიცხვმრავალი მასალების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვიტანოთ ზოგიერთი ზოგადი ხასიათის, მაგრამ გვერდაუვლელი დასკვნა: როგორც ჩანს, საქართველოს ტერიტორია არასოდეს ყოფილა დიდი რასების კონტაქტის ზონა. უძველესი დროიდანვე მასზე მოსახლეობდნენ ანთროპოლოგიური ტიპები, რომლებიც არ გადიოდნენ წინააზიური ფორმების ბუნებრივი ვარიაციების ფარგლებიდან. ცალკეული ტიპებისა და ნიშნების ცვლას, საზოგადოდ, თანდათანობითი გადასვლის ხასიათი ჰქონდა, რაც შეუძლებელს ხდის საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი ანთროპოლოგიური ტიპებისაგან განსხვავებული უცხო ელემენტების საგრძნობი მასის გადმოსახლების შესაძლებლობას დროის საკვლევ მონაკვეთში. ზოგადი განცხადებებიდან ფაქტების განსჯაზე რომ გადავიდეთ, საკმარისია შევეხოთ საქართველოს პალეოანთროპოლოგიის ძირითად მუხლებს: ენეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალები საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ მათს მორფოლოგიურ მსგავსებას. ერთი მხრივ, სამხრეთ რაიონების (სევანი, ჯარართი) წინამორბედ და იმავდროინდელი ხანის და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს მომდევნო ხანის ანთროპოლოგიურ ტიპებთან, რაც, უდავოდ, მოსახლეობის უწყვეტობისა და გენეტიკური ერთიანობის სასარგებლოდ მეტყველებს. ამასვე ადასტურებს შუაბრინჯაოს ხანის მასალები საერთოდ კავკასიის ტერიტორიიდან (სომხეთი, ჩრდილოეთ კავკასია). გვიანბრინჯაოს ხანის პირველი და მეორე ეტაპის თავის ქალების იდენტურობა ცხადყოფს, რომ არც ამ დროისათვის მომხდარა რაიმე სერიოზული ძვრა საქართველოს მოსახლეობაში, შემდგომდროინდელ მასალებთან კი მათი ახლო მსგავსება მო-

ხახლეობის უშუალო გენეტიკური მონაცვლეობის მაჩვენებელი უნდა იყოს. ამ ტიპის უახლოესი ფორმების ლოკალიზაცია გვიდასტურებს მის საკმაოდ ფართო გავრცელებას საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიაზე. აქედან მოყოლებული, მომდევნო პერიოდების ყველა სერიები ადრეფეოდალური ხანის სერიამდე, ერთმანეთთან დაკავშირებულია უახლოესი მორფოლოგიური მსგავსებით, რასაც, ამ შემთხვევაში, გენეტიკური ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი აქვს. დროის ამ საკმაოდ დიდი მონაკვეთის განმავლობაში, რა თქმა უნდა, უცვლელად არ შემოინახებოდა მოსახლეობის ფიზიკური ტიპი, მაგრამ ცვლას ძირითადად ერთი გარკვეული მიმართულება ჰქონდა, რაც, საზოგადოდ, მოსახლეობის ერთგვარობის მაჩვენებელია და უარყოფს უცხო ელემენტების დიდი მასების შემოჭრასა და ასიმილაციას ადგილობრივ მკვიდრთა შორის. ცხადია, რომ ძნელია უარყოფა მცირე, ლოკალური ხასიათის მიგრაციებისა და მათი თანამგზავრი რეგიონალური ასიმილაციებისა, მაგრამ ასეთი რამ თუ ხდებოდა, როგორც ჩანს, მაინც არ ასრულებდა საგრძნობ როლს საქართველოს აღნიშნული ხანის მოსახლეობის ფიზიკური ტიპის ჩამოყალიბებაში, რომლისთვისაც, ვიმეორებთ, ძირითადად ეპოქალური და ტერიტორიული დიფერენციაცია კი არ არის დამახასიათებელი, არამედ — ანთროპოლოგიური ტიპის ერთიანობა.

ამრიგად, საქართველოს ისტორიის უძველესი ხანის ანთროპოლოგიური მასალები საშუალებას იძლევა ზოგადად გაირკვეს საქართველოს უძველესი მოსახლეობის ფიზიკური ტიპის თავისებურებები და მისი გენეზისის ძირითადი მიმართულება, რაც სადღეისოდ საკმაოდ დასაბუთებული ჩანს: უძველესი დოლიქოკრანული და ვიწროსახიანი სამხრეთ-ევროპეოიდული რასის წინააზიური ფორმები ადრიდანვე არსებობდა ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე და იმთავითვე განიცდიდა ტრანსფორმაციებს, რასაც ძირითადად ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა. ანთროპოლოგიური ტიპების ეს ტრანსფორმაციები სხვადასხვა ჯგუფებთან შეხებისას და სხვადასხვა სოციალურ-საყოფაცხოვრებო, კულტურულ-ეკონომიური თუ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მეოხებით, სხვადასხვა ხასიათს იღებდა, რამაც საქართველოს თანამეროდოვე მოსახლეობაში ერთმანეთისაგან მეტნაკლებად განსხვავებული ლოკალური ვარიანტების ჩამოყალიბებას მისცა დასაბამი, იმ ვარიანტებისა, რომლებსაც, თუმცა რეგიონალური ნაირსახეობები ახასიათებს, წარმოშობის ერთიანობაზე დაფუძნებული მორფოლოგიური მსგავსება აკავშირებს. მაგრამ, ყოველივე ზემოთქმული, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მოსახლეობა იმ შორეულ ხანაში გარემომცველი სამყაროდან მოწყვეტილად და სრულებით იზოლირებულად ცხოვრობდა: ცალკეული სერიების ანალიზისას კავკასიის დანარჩენი ტერიტორიის მოსახლეობასთან არაერთგზის შენიშნული ანთროპოლოგიური კავშირები ადასტურებს ამ ელემენტებისა და პროცესების იდენტურობას, რომლებიც მიმდინარეობდა კავკასიის სხვადასხვა ხალხების (მათ შორის ქართველი ხალხის) ფიზიკური ტიპების თავისებურებათა ჩამოყალიბებისას, და მხოლოდ ჩვენი ამოცანის კონკრეტულობა გვაიძულებს შემოვიფარგლოთ საქართველოს უძველესი მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებების ინტერპრეტაციით. გარდა ამისა, აგრეთვე წინა და შუა აზიისა, ჩრდილოეთ ინდოეთისა და სხვა ტერიტორიების პალეოანთროპოლოგიურ სერიებთან არაერთგზის შენიშნული პარალელები იმის უდავო მაჩვენებელია, რომ საქართველოს უძველესი მოსახლეობა იმ დიდი ანთროპოლოგიური პლასტის ორგანული ნაწილი იყო, რომელიც მოიცავდა წინა აზიის, იმიერ კასპიისა და ჩრდილოეთ ინდოეთის ტერიტორიას კავკასიის ჩათვლით; რაც შეეხება კავკასიის ტერიტორიაზე სამხრეთ ევროპეოიდული ანუ ინდო-ხმელთაშუაზღვისპირული დიდი რასის სამი ძირითადი განშტოების — ხმელთაშუა-ბალკანური, ინდო-პამირული და წინააზიური რასების ადგილობრივი ფორმების: პონტური, კასპიური, ასიროიდული, არმენოიდული, იბეროიდული და კოლხური ტიპების ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს (რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთოდ კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზისის შესწავლისათვის), ამის შესახებ ისღა დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ისინი სცილდება ჩვენი ამოცანის ფარგლებს.

ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის დასაწყისიდან ჯერ ოდნავ, შემდგომ კი უფრო გარკვევით თავს იჩენს დღევანდელი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი, ფართოსახიანი, ბრაქიკეფალური წინააზიური ტიპი. ამიტომ წინააზიური ტიპის ჩამოყალიბების საკითხი, რომელიც თითქმის თვალნათლივ ჩანს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული, ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის მასალებზე, საქართველოს მოსახლეობის ანთროპოლოგიური შესწავლის კარდინალური საკითხია. და ჩვენც უფრო დეტალურად მოგვიხდება მასზე შეჩერება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ წინა აზიის პალეოანთროპოლოგიურ მასალებში სრულიად აშკარად სჭარბობს ერთმანეთთან ახლომდგომი დოლიქოკრანული ფორმები. ისიც ცნობილია, რომ წინა აზიის მთელი ტერიტორია ირანული ტომების შემოსევამდე დასახლებული იყო ეთნიურად, შედარებით ერთიანი ან უახლოესად მონათესავე ტომით. ეს ერთგვარობა, როგორც ეთნიურად, ისე ანთროპოლოგიურად, ცხადია, შედარებითი იყო, რადგანაც, თუმცა ხმელთაშუაზღვისპირული ტიპები მთლიანად დომინირებული იყო, წინა აზიისა და ირანის ზე-

განის ტერიტორიაზე, ზოგიერთ პუნქტში (მთლიანი ზაგროსი, ჩრდილოეთ მესოპოტამია და სხვა) შეინიშნება ასიროიდული ანთროპოლოგიური ტიპის კვალი. ბრაქიკრანული ფორმები წინა აზიის ტერიტორიაზე მოპოვებულ პალეოანთროპოლოგიურ მასალებში, ჩვეულებრივად, ხელოვნურად გამოიყოფა დაბალი თავის ქალის მქონე სერიებიდან ან დასტურდება უაღრესად მცირერიცხოვან სერიებზე, ასეა თუ ისე წინა აზიის უძველეს მოსახლეობაში დოლიქოკრანული ფორმების აშკარა დ ო მ ი ნ ი რ ე ბ ა სრულიად უდავოა, ამავე დროს, ძირითადად სწორედ ამ ტერიტორიაზე ხდებოდა თანამედროვე, ბრაქიკრანული, წინააზიური ტიპების ჩამოყალიბება და, როგორც სამართლიანად აღნიშნავს გ. ფ. დებეცი, „მონაცემები წინააზიური ჯგუფის თანადროული გავრცელების შესახებ უფლებას იძლევა ვამტკიცოთ, რომ მისი ჩამოყალიბება იმავე ტერიტორიაზე ხდებოდა, რომელზეც იგი გავრცელებულია ამჟამად“. ამრიგად, წინააზიური ტიპების ჩამოყალიბება უკავშირდება იმ ტერიტორიას, რომლის უძველეს მოსახლეობაში სრულიად აშკარად დომინირებდა დოლიქოკრანული ფორმები. ალბათ ეს არის მიზეზი, რომ მრავალი ავტორის ნაშრომში აშკარად შეინიშნება ტენდენცია გულდაგულ გამოიძებნოს ან ხელოვნურად გამოყოს წინა აზიის უძველეს, ვიმეორებთ, დოლიქოკრანულ მოსახლეობაში — ბრაქიკრანული ელემენტები და სწორედ ისინი დაუკავშირდეს ე. წ. „არმენოიდულ“ ანუ წინააზიურ ტიპს. ჩვენი აზრით, არ არსებობს არავითარი საფუძველი წინააზიური ტიპის უძველესი ფორმები წინა აზიის მხოლოდ და მხოლოდ ბრაქიკრანულ თავის ქალებში ვეძებოთ. უპირველეს ყოვლისა, მუდამ უნდა გვახსოვდეს საყოველთაოდ გავრცელებული კანონზომიერი ბრაქიკეფალიზაციის პროცესი, რომელიც არათუ უარყოფს თანამედროვე ბრაქიკეფალების უძველეს დოლიქოკეფალებთან ნათესაობის შესაძლებლობას, არამედ, პირიქით, ამ ნათესაობის საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტია. მეორე მხრივ, შეუძლებელია არ გავუწიოთ ანგარიში ლ. ვ. ოშანინის უაღრესად საინტერესო დაკვირვებას იმის შესახებ, რომ „არმენოიდებისათვის“ დამახასიათებელი ანთროპოლოგიური ნიშნების კომპლექსი ზოგჯერ წარმოდგენილია დოლიქოკრანულ ტიპებზედაც. გ. ფ. დებეცის თქმისა არ იყოს, „არ შეიძლება ყველა ბრაქიკრანული თავის ქალა არმენოიდულად ჩაითვალოს, და რაც მთავარია, არ შეიძლება გავმიჯნოთ ყველა დოლიქოკრანული თავის ქალა არმენოიდული ტიპისაგან“. ამდენად, როგორც ჩანს, არ არის საფუძველი დღევანდელი წინააზიური ტიპების წინაპრები მხოლოდ და მხოლოდ ბრაქიკრანულ სერიებში ვეძებოთ, ხოლო ამ გაგებით, წინა აზიის ხმელთაშუაზღვისპირულ დოლიქოკრანებში არც თუ ისე ძნელია მოიძებნოს წინააზიურ ტიპთან ძალზე ახლო მდგომი კრანიოლოგიური ფორმები. ყოველივე ზემოთქმულიდან, ვფიქრობთ, ცხადი ხდება, რომ, სავსებით საფიქრებელია უძველესი მედიტერანული დოლიქოკეფალების თანამედროვე წინააზიურ ბრაქიკეფალებად ტრანსფორმირების შესაძლებლობა — კრანიოლოგიური მასალების უდიდესი უმრავლესობა წინა აზიიდან ასეთი ტრანსფორმაციის სასარგებლოდ მეტყველებს. უდიდესი კადნიერება იქნებოდა, გვემტკიცებინა, რომ ეს არის წინააზიური რასის გენეზისის ერთადერთი გზა. ჩვენ მხოლოდ კავკასიური მასალების ანალიზმა მიგვიყვანა ამ ურთულეს საკითხამდე და, ცხადია, არ შეგვეძლო გვერდი აგვევლო იმ ანალოგიისათვის, რომელიც შეინიშნება კავკასიისა და წინა აზიის ტერიტორიაზე ქრონოლოგიური სერიების მონაცვლეობაში. თუ მასალის სიმცირის გამო ძნელია თავგამოდებით ვამტკიცოთ ჩვენი შეხედულების სისწორე, ყოველ შემთხვევაში, საწინააღმდეგო მსჯელობისათვის კიდევ უფრო ძნელია სათანადო არგუმენტების გამოძებნა: თუ წინა აზიისა და კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის დომინანტურ წინააზიურ ტიპს ადგილობრივი მედიტერანული ტიპის ტრანსფორმაციის შედეგად არ მივიჩნევთ, მაშ რითღა ავხსნათ ხსენებულ ტერიტორიაზე დღეს წინააზიური ტიპების აბსოლუტური დომინირება? სხვა რომელიმე ტერიტორიიდან აღნიშნული მიგრაციით და ადგილობრივი მოსახლობის მიერ ასიმილაციით; თუ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ანთროპოლოგიური ტიპის თანაარსებობითა და საუკუნეების განმავლობაში შემდგომი შერევით? ჰიპოთეზის სრულ ისტორიულ უსაფუძვლობას ყურადღება რომ არ მივაქციოთ, ის ცენტრი მაინც უნდა მივიკვლიოთ, საიდანაც შესაძლებელი იყო ბრაქიკრანული, წინააზიური ელემენტების დიდი მასების სისტემატური ინფილტრაცია წინა აზიისა და კავკასიის ტერიტორიებზე. ჩვენ პირადად ასეთი ცენტრი არსად გვეგულება. ამიტომაც ტრანსფორმაციის მხოლოდ ზემოთხსენებული მიმართულება მიგვაჩნია სარწმუნოდ. ყოველივე ზემოთთქმული, ვფიქრობთ, გაგვიადვილებს კავკასიის კრანიოლოგიური ტიპების ტრანსფორმაციებისა და მათი გენეზისის მექანიზმის გაგებას.

მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრის კრანიოლოგიური სერიები (ვგულისხმობთ XVI-XVII საუკუნეების რუსთავის, XVI-XVIII საუკუნეების დუშეთის, XVII-XVIII საუკუნეების ხევსურეთის, ამავე საუკუნეების სიონის, XIX-XX საუკუნეების აჭარის, ამავე პერიოდის ზუგდიდის და ზოგიერთი კავკასიელი ხალხების — აფხაზების, ოსებისა და სხვათა კრანიოლოგიურ სერიებს. ძირითადად განხილულ უნდა იქნეს, როგორც მასალები საქართველოს და კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის კრანიო-

ლოგიისათვის და იგი, განსხვავებით პალეოანთროპოლოგიურ მასალებისაგან, შეიძლება დაგვეხმაროს საქართველოს თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური შედგენილობის შესწავლაში. უპირველეს ყოვლისა, ამ მასალებზე იჩენს თავს თანამედროვე მოსახლეობის კრანიოლოგიური თავისებურებები. ეს, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ პალეოანთროპოლოგიური ტიპების ეპოქალურ ტრანსფორმაციას და საფუძველს გვიქმნის გადავჭრათ ის საკითხი, თუ რამდენად არის შესაძლებელი უძველესი ტიპების განვითარება დამთავრებულიყო ისეთი ფორმების ჩამოყალიბებით, როგორსაც თანამედროვე კრანიოლოგიური ტიპები წარმოგვიდგენენ. გარდა ამისა, იგივე მასალა გარდამავალი რგოლია პალეოანთროპოლოგიურ და სომატოლოგიურ (ანუ ძველსა და დღევანდელ — ცოცხალ) ტიპებს შორის, ურომლისოდ წარმოუდგენელი იქნებოდა საქართველოს თანამედროვე ანთროპოლოგიური ტიპების გენეზისის ახსნა. ვიდრე ზემოაღნიშნული კრანიოლოგიური მასალების შესწავლის საფუძველზე მიღებული შედეგების გადმოცემას შევუდგებოდეთ, საჭიროა თვალი გადავავლოთ საქართველოს და კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური შედგენილობის სურათს. საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში ძირითადად სამი ლოკალური ანთროპოლოგიური ტიპია დადგენილი. ესენია: კოლხური ტიპი, რომელიც უმთავრესად დასავლურ ქართულ ჯგუფებს მოიცავს, იბერიული ტიპი, რომელიც აღმოსავლეთ და სამხრეთ ქართულ ჯგუფებში გვხვდება, და, კავკასიონის ტიპი, რომელიც კავკასიის მთის ჯგუფებშია წარმოდგენილი. სამივე ეს ტიპი, ჩვენი აზრით, წინააზიური რასის ლოკალურ ნაირსახეობებს წარმოადგენს. ამ ტიპებიდან წინააზიური რასისაგან სხვაზე მეტად კავკასიონის ტიპი განსხვავდება. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, იმ თავისებურ ისტორიულ თუ გეოგრაფიულ პირობებში უნდა ვეძებოთ რომლებშიაც საუკუნეების განმავლობაში უხდებოდათ ცხოვრება კავკასიის მთიელებს; ასე რომ, არც ამ განსხვავებას უნდა ჰქონდეს განსხვავებული გენეტიკური საფუძველი. ამიერკავკასიის ძირითად წინააზიურ ანთროპოლოგიურ სუბსტრატს ჩრდილო-დასავლეთიდან ხმელთაშუა-ბალკანური რასის პონტური ტიპი ესაზღვრება, რომელიც უმთავრესად აღიღეურ ჯგუფებს მოიცავს, ხოლო აღმოსავლეთიდან — ინდო-პამირული რასის დასავლურკასპიური ტიპი, რომელიც საკმაოდ მკვეთრად არის წარმოდგენილი ზოგიერთ აზერბაიჯანულ ჯგუფებში. კავკასიური ანთროპოლოგიური ტიპების გავრცელების არეალს ამჟამად არ შევეხებით, მხოლოდ, აღვნიშნავთ, რომ წინააზიური რასა სამხრეთიდან სოლივით არის შემოჭრილი ამიერკავკასიაში და უშუალოდ ემიჯნება კავკასიონის ქედს. ყველაზე გარკვევით კავკასიის ტერიტორიაზე ეს ტიპი ასთენოიდურ ვარიანტშია წარმოდგენილი. იბერიულ ტიპში აშკარად ჩანს კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელი ელემენტები, ხოლო კოლხურ ტიპში იმდენად გარკვევით არის წარმოდგენილი პონტური ტიპის ელემენტები, რომ ძნელდება კიდეც მისი წინააზიური რასისათვის მიკუთვნება. ამ ფონზე საქართველოს მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრის კრანიოლოგიური მასალა საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ საქართველოს ლოკალური ტიპებისა და კავკასიისა და წინააზიის პალეოანთროპოლოგიურ ტიპების გენეტიკური ურთიერთობა. მაგალითად, რუსთავის, კრანიოლოგიური სერია, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული აღმოსავლეთ საქართველოს ანთროპოლოგიურ ტიპთან, საშუალებას გვაძლევს, ძირითადად იბერიული ტიპის წინააზიურ სუბსტრატში, შევნიშნოთ კავკასიონის ტიპის ელემენტები: ხევსურეთის, დუშეთისა სიონის სერიები, რომლებიც აშკარად კავკასიონის ტიპს ეკუთვნიან. სამთავროსა და მინგეჩაურის სერიებთან მსგავსებით გვიჩვენებენ სად უნდა ვეძებოთ თანამედროვე მოსახლეობაში ყველაზე ნაკლებ შეცვლილი სახით ამიერკავკასიის უძველესი პალეოანთროპოლოგიური ფორმები: აჭარის კრანიოლოგიური სერია, რომელიც კოლხური ტიპის შავიზღვისპირულ ვარიანტს ეკუთვნის, საერთო წინააზიურ სუბსტრატში ჩრდილოური წარმომავლობის მქონე ანთროპოლოგიური ნიშნების კვალს ამჟღავნებს. ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს ზოგადად დავასკვნათ, რომ უძველესი პალეოანთროპოლოგიური ტიპები, შინაგანი განვითარებისა და ეპოქალური ტრანსფორმაციის გზით, საფუძვლად დაედო იმ ანთროპოლოგიური ტიპების ჩამოყალიბებას, რომლებიც დღეს საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში არიან წარმოდგენილნი. ყველაზე მეტად სადავო ამ დასკვნაში ალბათ კავკასიის ანთროპოლოგიური ტიპების ტრანსფორმაციის მიმართულებაა, რომელიც ჩვენი ეთნოგენეზური განზოგადების ხერხემალია და ამიტომ ამ საკითხზე უფრო გულდასმით მოგვიხდება შეჩერება. ალტაი-საიანის ზეგანის, ქვემო ვოლგისპირეთისა და შუა დონის ქრონოლოგიურად თანამიმდევარი თავის ქალების ეპოქალური ტრანსფორმაციის მაგალითზე გ. ფ. დებეცმა სრულიად თვალსაჩინოდ დაადასტურა, რომ სახის შ ე ვ ი წ რ ო ე ბ ა არანაკლებ მკვეთრად არის გამოხატული საზოგადოდ, ვიდრე საყოველთაოდ ცნობილი ქალის დიამეტრების ეპოქალური ცვლა. ჩვენს მასალაზე სახის სიგანის ანუ ყვრიმალთაშუა დიამეტრის ცვლა საწინააღმდეგო მიმართულებისაა, ე. ი. სახის სიგანე სისტემატურად მ ა ტ უ ლ ო ბ ს მთელი იმ ხნის განმავლობაში, რომელსაც მოიცავს ჩვენი სერიები (ძვ. წელთაღრიცხვის მეორე ათწლეუ-

ლიდან ულემდე). ქრონოლოგიურად ყველაზე მეტად დაშორებულ სერიებში განსხვავება 8 მმ აღემატება. გ. ფ. დებეცის მონაცემების მიხედვით, დროის ასეთ დიდ მონაკვეთში განსხვავება აბსოლუტურად ასეთივე უნდა ყოფილიყო, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულება უნდა ჰქონოდა. აქედან გამომდინარე, თუ ბრინჯაოს ხანაში ყვრიმალთაშუა დიამეტრი დაახლოებით 128 მმ იყო, დღეს ის 120 მმ-ს არ უნდა ასცილებოდა, ე. ი. ქართველები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ვიწროსახიანი პოპულაცია უნდა ყოფილიყო. მაგრამ საქმე ის არის, რომ, მაგალითად, რუსთავის კრანიოლოგიურ სერიაში ყვრიმალთაშუა დიამეტრი 135 მმ. აღემატება, დუშეთისაში—137 მმ. აღწევს, ხოლო ხევსურეთისაში — 141 მმ-საც-კი; საერთოდ, თანამედროვე ქართველებში ყვრიმალთაშუა დიამეტრი საშუალოდ 143,5 მმ. უდრის, ხოლო კავკასიონის ზოგიერთი ჯგუფებისათვის —147 მმ-ს აღწევს (სვანები, რაჭველები, ხევსურები). ეს სიდიდეები არაფრით ჩამორჩება უკიდურესი ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთ ციმბირის მონღოლოიდური ჯგუფების სახის სიგანეს. ყოველ შემთხვევაში, სახის სიგანის ასეთი დიდი ზომები უკიდურესი იშვიათობაა ევროპეოიდული ჯგუფებისათვის მთელ მსოფლიოში. ამრიგად, უკიდურესად ვიწროსახიანი ფორმების ნაცვლად საქართველოსა და კავკასიაში მაქსიმალურად ფართოსახიანი ფორმები გვაქვს და, რამდენად პარადოქსალურადაც არ უნდა გვეჩვენოს ეს, სწორედ ამ თვალსაჩინო მოვლენის ახსნა გახდა საკმაოდ შორს წასული დისკუსიის საგანი, რასაც ზოგიერთი საფუძვლიანად ფეხმოკიდებული თეორიული დებულების გადასინჯვაც კი დასჭირდა. საზოგადოდ, სახის სიგანის ეპოქალურ ცვლას საქართველოს, (და მთელი კავკასიის, შეიძლება წინა აზიის) მოსახლეობის გენეზისისათვისაც კი, კარდინალური მნიშვნელობა აქვს. საკითხი ამ შემთხვევაში ასე ისმის: ან უნდა ვაღიაროთ აღნიშნული ტერიტორიისათვის სახის სიგანის ბუნებრივი ეპოქალური მატება და მაშინ ჩვენს ხელთ არსებული კრანიოლოგიური მასალები, ისე, რომ არავითარი გამონაკლისები არ ექნება, თავის ადგილს დაიკავებს ეპოქალური ტრანსფორმაციის ყოველ საფეხურზე, ან თუ ამას არ დავეთანხმებით, სხვაგვარად უნდა ავხსნათ ფართოსახიანი ბრაქიკეფალების წარმოშობა და არსებულ მასალებს სავარაუდო მოსაზრებები დავუპირისპიროთ. ჩვენ ასეთ მოსაზრებად გვეჩვენება ცნობილი საბჭოთა ეთნიური ანთროპოლოგის ვ. პ. ალექსეევის ამ ბოლო ხანებში წამოყენებული შეხედულება. ვ. პ. ალექსეევის აზრით, კავკასიური ანთროპოლოგიური ტიპების ისტორიაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ორი ევროპეოიდული ტიპის ურთიერთზემოქმედება: ერთი იყო მასიური, პროტომორფული და ფართოსახიანი, ხოლო მეორე ვიწროსახიანი სამხრეთ ევროპეოიდული ტიპი. ამასთანავე, პირველი მათგანი უძველესი დროიდანვე ცხოვრობდა კავკასიონის კალთებზე და, ხანგრძლივი იზოლაციის წყალობით, თითქმის უცვლელი სახით შემოინახა (ავტორი ამ უკანასკნელს კონსერვაციას უწოდებს) თავისი ადრინდელი ტიპი (ავტორს კავკასიონის ტიპს თვლის). აი ამ ორი ტიპის ურთიერთზემოქმედების შედეგადა აქვს წარმოდგენილი ვ. პ ალექსეევს საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის მკვეთრად ბრაქიკრანული და ფართოსახიანი ტიპის ჩამოყალიბება. თავისთავად იგულისხმება, რომ ამგვარი განზოგადების წინაპირობა ფართოსახიანი, მასიური ბრაქიკეფალების არსებობა უნდა იყოს უძველესი დროიდანვე კავკასიის მთიანეთში; სადღეისოდ კი ანთროპოლოგებს არ გააჩნიათ, ან თითქმის არ გააჩნიათ, საერთოდ პალეოანთროპოლოგიური მასალები კავკასიის მაღალმთიანი რაიონებიდან. ერთად-ერთი, ამ შემთხვევაში გამოსადეგი, ბრინჯაოს ხანის სერია მთიანი დაღესტნის ს. გინჩიდან, დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოვლენას ადასტურებს. სახის საშუალო სიგანე ამ სერიაში 132.5 მმ-ია. ეს ზომა საერთოდაც რომ არ შეცვლილიყო (ე. ი. მომხდარიყო მისი „კონსერვაცია“), იგი მაინც ვერ შესძლებდა მონაწილეობა მიეღო ისეთი ანთროპოლოგიური ტიპების ჩამოყალიბებაში, რომელთა სახის სიგანე 140 მმ-ს აღემატება. მაგრამ ამ ერთადერთ მეცნიერულად სანდო ფაქტს ყურადღებაც რომ არ მივაქციოთ, მაინც გაგვიძნელდება იმის მტკიცება, რომ კავკასიის მთიანეთის მოსახლეობამ (რომელიც მუდამ შეუდარებლად მცირე იყო ბარის მოსახლეობასთან შედარებით) შესძლო ასე მკვეთრად შეეცვალა ბარის მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპი; მათ შორის რაოდენობრივი თანაფარდობა მუდამ ისეთი იყო, რომ ბარის მოსახლეობას საერთოდ შეეძლო შთაენთქა მთის მოსახლეობის ტიპი. ესეც რომ არ იყოს, განა საფიქრებელია, რომ კავკასიის მთის მოსახლეობის ზეგავლენას სისტემატურად მიეღწია საქართველოს სამხრეთ რაიონების მოსახლეობამდე, და კიდევ უფრო სამხრეთით სომხეთისა და, როგორც ვნახეთ, წინა აზიის აბორიგენულ მოსახლეობამდეც (ამ ტერიტორიის თანამედროვე მოსახლეობაში დღეს ყველგან ფართოსახიანი ბრაქიკეფალები დომინირებენ). განსჯის ამ გზას სრულიად გარკვევით უმართებულო დასკვნის აღიარებამდე მივყევართ. ამიტომ აღარ გავაგრძელებთ მისი საწინააღმდეგო არგუმენტების მოტანას და მოკლედ გადმოვცემთ საკითხის პოზიტიურ მხარეს. ანთროპოლოგიური ტიპების ეპოქალურ ცვლას სხვადასხვა ტერიტორიაზე, სხვადასხვა ჯგუფებში და დროის სხვადასხვა მონაკვეთებში უდავოდ სხვადასხვა ხასიათი ჰქონდა. კავკასიისა და წინა აზიის მოსახლეობისათ-

ვის ეს ცვლა, როგორც ჩანს, ძირითადად თავის მაჩვენებლითა და სახის სიგანის მატებით გამოიხატა, რასაც უძველესი დოლიქოკრანული „მედიტერანების“ თანამედროვე ფართოსახიან ბრაქიკეფალებად გარდაქმნა მოჰყვა. აქედან თავისთავად გამომდინარეობს ზოგადი დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოს თანამედროვე ლოკალური ტიპები ჩამოყალიბდა ადგილობრივ, უძველესი ანთროპოლოგიური ტიპების შინაგანი განვითარების გზით, რაიმე სხვა ელემენტებას საგრძნობი ზეგავლენის მოუხდენლად, რომ დღევანდელი ქართველები შთამომავალნი არიან დასავლეთ ამიერკავკასიის უძველესი მოსახლეობისა, რომელმაც შექმნა სპილენძის, ბრინჯაოს და რკინის უმდიდრესი კულტურა და ალბათ კულტურის უფრო ადრეული საფეხურებიც, რომ არაფერი ვთქვათ უფრო გვიანი ხანის (ანტიკური და ფეოდალური ხანის) მოსახლეობასთან მემკვიდრეობის მონათესაობაზე. ამ ხანაში მოსახლეობის უწყვეტობა და თანამიმდევრული მონაცვლეობა სრულიად აშკარად ჩანს ჩვენს მიერ მიმოხილულ მასალებზე.

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „კავკასიაში ნაპოვნი უძველესი საფლავები და საგნები ვირხოვის აზრით მეთერთმეტე, ან მეათე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. დარწმუნებული რომ ვყოფილიყავით, რომ ამ საფლავებში სწორედ ქართველები იყვნენ დამარხულნი, მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა: ქართველები კავკასიაში XI საუკუნეზე ადრე მოსულან და ამ დროს უკვე ქვისა და ბრინჯაოს ხანა განვლილი ჰქონდათ, ხოლო რკინის შემუშავებას ის-ის იყო შესდგომოდნენ. ამგვარად საკითხი გადაწყდებოდა და ქართველები კავკასიის თავდაპირველ მკვიდრებად უნდა ალგვეარა. მაგრამ, ჯერ უნდა მეცნიერულად დამტკიცდეს, რომ სამთავროს უძველეს საფლავებში მართლა ქართველები იყვნენ დამარხული და არა სხვა რომელიმე მოდგმის ხალხის შვილები, ხოლო ამის შემდეგ ზემოაღნიშნული დასკვნა ჭეშმარიტი იქნებოდა. ამ საკითხის გამორკვევა-კი მხოლოდ ადამიანის თავის ქალების გაზომის შემდეგ შეიძლება; სხვა რაიმე სამეცნიერო საშუალება არ არსებობს“. ამჟამად, „ადამიანის თავის ქალების გაზომვის შემდეგ“, ძირითადად იმავე „სამთავროს უძველესი საფლავებიდან“, შეგვიძლია „ქართველები კავკასიის თავდაპირველ მკვიდრებად“ ვაღიაროთ გარდა ამისა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისტორიული საქართველოს მოსახლეობა იმთავითვე ეკუთვნოდა ერთ დიდ ანთროპოლოგიურ პლასტს, რომელიც შედიოდა ინდო-ხმელთაშუაზღვისპირული რასის წინააზიური განშტოების შემადგენლობაში და უდიდეს ტერიტორიას მოიცავდა წინა აზიიდან იმიერკასპიის მხარემდე და კავკასიიდან ჩრდილო-ინდოეთამდე; შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ უძველესი დროიდან საქართველოს ტერიტორიაზე უმთავრესად დღევანდელი ქართველების უშუალო წინაპრები იმარხებოდნენ, რომლებიც არც თვითონ მოსულან ოდესმე სხვა რომელიმე ტერიტორიიდან და ამიტომ არც არავინ განუდევნიათ საკუთარი მიწა-წყლიდან. აქ, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, იყო მათი წარმოშობისა და ჩამოყალიბების ადგილი; აქ, ამ ტერიტორიაზე ხდებოდა მათი შინაგანი განვითარება და ტრანსფორმირება; აქ ხდებოდა დღევანდელი ლოკალური ნაირსახეობების ჩამოყალიბება, აქვე შეასრულეს მათ უმთავრესი როლი ქართველი ხალხის თანამედროვე სახის ჩამოყალიბებაში. ყოველივე ამის უტყუარი საბუთი ჩვენს წინ არის მათი ძვლოვანი ნაშთების სახით.

ასეთია ანთროპოლოგიური მონაცემების შედეგად ზოგადი და ძირითადი დასკვნა ქართველი ხალხის გენეზისის შესახებ. ცხადია, დღევანდელი ქართველების ფიზიკური ტიპის ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესში შეიმჩნეოდა მათი შეხება სხვა რასისა და ტომის წარმომადგენლებთან, ხდებოდა აგრეთვე, შინაგანი რეგიონალური იმიგრაციები, სპონტანური და ქრონიკული ექსპანსიები, ინფილტრაციები და სხვა, რომლებმაც დასტოვა კიდეც კვალი დღევანდელი ქართველების ანთროპოლოგიურ ნაირსახეობებზე, მაგრამ ამ ფაქტორებს, როგორც ჩანს, მეორეხარისხოვანი, დაქვემდებარებული მნიშვნელობა ჰქონდა, ისინი კონკრეტული საკითხების სპეციალური კვლევის საგანია და, ამიტომაც სცილდება ჩვენი დღევანდელი ზოგადი მიმოხილვის ფარგლებს.

საბოლოოდ ორიოდე სიტყვა საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური შედგენილობის შესახებ. კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური მასალა საფუძველს იძლევა კავკასიის თანამედროვე მოსახლეობაში გამოიყოს ოთხი ანთროპოლოგიური ტიპი: წ ი ნ ა ა ზ ი უ რ ი — ყველაზე მეტად რეპრეზენტატულად წარმოდგენილია ასირიელების ჯგუფებში (ასიროიდული ვარიანტი), ოდნავ შეცვლილი სახით წარმოდგენილია სომხურ და სამხრეთქართულ ჯგუფებში (არმენოიდული ვარიანტი), კავკასიის მთის ჯგუფების მიმართულებით შეცვლილი სახით წარმოდგენილია აღმოსავლეთ და სამხრეთქართულ ჯგუფებში (იბერული ვარიანტი) და კიდევ უფრო მეტად შეცვლილი სახით (პონტური ტიპის მიმართულებით) — დასავლურქართულ, განსაკუთრებით კი შავიზღვისპირულ ჯგუფებში (კოლხური ვარიანტი). ამ ანთროპოლოგიურ ტიპებთან უშუალო კავშირი აქვს აგრეთვე კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი ს ტიპს, რომელიც მოიცავს კავკასიის მთიანეთის

როგორც ქართულ, ისე არაქართულ ჯგუფებს. თავისი გენეზისით ისიც წინააზიური ტიპების ნაირსახეობებს მიეკუთვნება. კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე გამოიყოფა ა დ ი ღ ე უ რ ი ტიპი. იგი პონტური რასის ადგილობრივი ნაირსახეობაა და მოიცავს ადიღეელების, ჩერქეზების, აბაზინელებისა და, ნაწილობრივ, ყაბარდოელების ჯგუფებს, ამიერკავკასიაში ამ ტიპთან ახლომდგომი ფორმები ნაწილობრივ გვხვდება შავიზღვისპირულ ჯგუფებში. და ბოლოს, აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში ყველაზე მეტად დამახასიათებელია დ ა ს ა ვ ლ უ რ-კ ა ს პ ი უ რ ი ტიპი, რომელიც ინდო-პამირულ რასას ეკუთვნის და მოიცავს ქურთების, იეზიდების, აზერბაიჯანელების უმეტეს და ზოგიერთ დაღესტნურ ჯგუფებს.

პალეოანთროპოლოგიური და სომატოლოგიური მონაცემების ურთიერთდაპირისპირება საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ კავკასიის ძირითადი ანთროპოლოგიური ტიპების გენეზისის ზოგადი სურათი. წინააზიური ტიპი, რომელიც ძირითადად ჩამოყალიბდა წინა აზიის ცენტრალურ და ჩრდილო ტერიტორიებზე, კავკასიაშიც ავტოქტონური წარმავლობისასა უნდა იყოს. მისი კავკასიური ნაირსახეობები დაახლოებით იმავე ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა, რომელიც მას დღეს უჭირავს. ადიღეური ტიპის ჩამოყალიბება, რომელიც თავისთავად პონტური ტიპის ჩამოყალიბებას უკავშირდება, არ შეიძლება მოვწყვიტოთ დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიას, რომელთანაც მას ანთროპოლოგიური ნიშნების მთელი კომპლექსი აკავშირებს. დასავლურკასპიური ტიპის ჩამოყალიბება უთუოდ უკავშირდება აღმოსავლურკასპიური ტიპის ჩამოყალიბებას, რომელთან ერთადაც ის ქმნის დიდი ინდო-პამირული რასის ერთიან კასპიურ ტიპს. და ბოლოს, კავკასიონის ტიპი მთლიანად უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ კავკასიის ტერიტორიას და კავკასიის აბორიგენული ტიპების შინაგანი განვითარების შედეგია, რის საფუძველიც არის მსგავსი ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიური თუ ისტორიულ ეთნოგრაფიული პირობები.

ქართველი ანთროპოლოგების მიერ დღემდე შეგროვებული პალეოანთროპოლოგიური, კრანიოლოგიური და სომატოლოგიური მასალა იძლევა მხოლოდ ასეთი ზოგადი ხასიათის დასკვნების გამოტანისა და ზოგიერთი კონკრეტული საკითხების დაყენების შესაძლებლობას. უფრო ღრმა და კონკრეტული ეთნოგენეზური საკითხების კვლევა მოითხოვს თვისობრივად განსხვავებული, ახალი მასალის დაგროვებას, რომელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გენეტიკური სტრუქტურის მქონე ნიშნების შეგროვება და შესწავლა (ვგულისხმობთ ჰემატოლოგიურ, დაქტილოსკოპიურ, ფიზიოლოგიურ და სხვა ნიშნებს). აუცილებელი პირობაა აგრეთვე, კრანიოლოგიური, უწინარესად კი პალეოანთროპოლოგიური მასალების შემდგომი დაგროვება, რათა ანთროპოლოგიური დასკვნები ინდივიდუალურ მონაცემებს კი არ ეყრდნობოდეს, არამედ სტატისტიკურ მონაცემებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მსჯელობა საქართველოს ცალკეული ეთნო-ტერიტორიული და ქრონოლოგიური ჯგუფის გენეზისზე (ანთროპოლოგიური მონაცემების მიხედვით). დღევანდელი ჩვენი განზოგადება კი მხოლოდ წინაპირობად შეიძლება წარემძღვაროს მომავალში ასეთ კვლევა-ძიებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

# ეპოქის კვალდაკვალ

მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში არაერთი ნათელი გენია ამომზევებულა დღემდე. ჩვენი ციხე-ტაძრების შთაგონებული შემოქმედნი ქვაზე ამოკვეთილ ჩუქურთმებში ვაზის მტევანსა და ფოთოლს ტვიფრავდნენ, როგორც უქვნობი პოეზიისა და მშვენიერების სიმბოლოს. ქვაზე ნატიფად ამოჭრილ ხაზებში თითქო ვაზის ლერწივით იფოთლებოდა ქართული სულის უტეხობა და გზნება. სამთავისისა და გელათის ტაძრის კედლებიდან დღესაც თავბრუდამხვევი სილამაზით გამოსჭვივის ქართველი ხალხის სულიერი სიმტკიცე და სინათლე... ჩვენს დიდ პოეტებს კი მიწაზე დაღვრილ მზის სხივებთან ერთად ახლად ამწვანებული ბალახის ღეროებიდან შეუსრუტავთ პოეზიის მათრობელა სურნელი. ველური ყვავილების ფერებთან ლირიკული ჩანაფიქრი უზავებიათ, შიგ პურის ცომის გუნდასავით უზელიათ კორძიანი, ჯიუტი სიტყვა და ისე მიუნიჭებიათ ლექსისათვის ადამიანის სულზე მოქმედების მაგიური ძალა...

ყოველივე ეს თანამედროვე ქართველი ხალხის ბედნიერებაა, ხოლო შემოქმედთათვის ბედნიერებაცაა და ტრაღედიაც...

ამას იმაზე მოგახსენებთ, რომ იყო იმ ხალხის პოეტი, რომლის წიაღში „ვეფხისა და მოყმის“ ბალადა აღმოცენდა, ანდა რომელთა მადლიანმა მარჯვენამ მცხეთაში ჯვარი აღმართა, ძნელი საქმეა. ქართველი ხალხის გემოვნება საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა „ვისრამიანის“ მთარგმნელის, რუსთაველისა და სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის, აკაკისა და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების კითხვით. ამიტომ თანამედროვე ხელოვანსა და პოეტს საოცრად ბევრი მოეთხოვება, ვიდრე იმ ხალხის შემოქმედთ, რომელთა პოეზიისა და ხელოვნების თვალსაწიერი არცთუ ისე შორეულ საუკუნეებში იკარგება...

უკანასკნელად რაღაც ღვთაებრივი შუქით გაბრწყინვებულმა გალაკტიონ ტაბიძემ გაიკაშკაშა ჩვენს თვალწინ... და მოხდა ისე, თითქოს მისმა ჩამავალმა მზემ მიიტაცა სიმონ ჩიქოვანი და გიორგი ლეონიძე... ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი ხომ კიდევ უფრო ადრე წავიდნენ...

წავიდნენ, მაგრამ მეოცე საუკუნის ქართული პოეზია საოცარ სიმაღლეზე აიყვანეს, აკაკისა და ვაჟას შემდეგ ქართულ ლექსს მათ მისცეს ახალი განათება. ისინი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე იღწვოდნენ, რომ არ დამგვანებოდნენ სხვა პოეტებს. ვერსიფიკაციის მარად განახლების პოზიციაზე იდგნენ და ამიტომაც მოახერხეს შეექმნათ ქართული პოეზიის მაღალი, მრავალხმიანი სიმფონია, ხოლო ამ სიმფონიაში მძაფრად გამოეკვეთათ თავიანთი პოეტური ხმა, შეექმნათ მანამდე უხმარი ფერების გამმა, მიეცათ ქართული ლექსისათვის ახალი მიმოხვრა, ახალი მუსიკალური ტონალობა.

ძველი და უახლოესი საუკუნეების დიდი პოეტები კავკასიონის თეთრი მწვერვალებივით აღმართულან ქართული პოეზიის ცის ქვეშ. ისინი ამ განათებული მწვერვალების მრავალნაირი წახნაგებივით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და სწორედ ამით მოიპოვეს უკვდავება...

და მაინც ყველა ამ დიდებულ, ნეტარხსენებულთა მეტად თავისებური პოეტური ნაღვაწისაგან არ შეიძლება არ გამოარჩიოთ გალაკტიონ ტაბიძის ნაკორწმინდის ჩუქურთმებივით ლბილად ნაქსოვი ლექსებით დამშვენებული პოეზია, მისი ტკივილამდე დასული გრძნობიერება, საგნისა და მოვლენის მუსიკალური აღქმა, პოეტური აზრის მისებური გაბრწყინება და იდუმალებით მოცული უეცარი ემოციურობა... არ შეიძლება არ გამოარჩიოთ გიორგი ლეონი-

ძის ამაღლებული, მაჟორული ხმა, დიდი ტევადობის მომცველი პოეტური სიტყვა, სადღესასწაულო მაშხალებივით აფეთქებული სტრიქონები და ველური ყვავილების სურნელით დანაღმული მეტაფორები... არ შეიძლება არ გამოარჩიოთ ტიციან ტაბიძის მსუყე მიწის ბელტივით მადლით დატენილი პოეტური სახეები, ხორციანი, ნოყიერი სიტყვა და მისი განუმეორებელი ძალის ნაპირებმორღვეული მხატვრული ფრაზა... არ შეიძლება არ გამოარჩიოთ სიმონ ჩიქოვანისა და პაოლო იაშვილის ცინცხალი პოეზია; პაოლო იაშვილის, რომელიც ქადაგად დავარდნილი ოლიმპიელივით გვაფრთხილებდა: „გაგიქვება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი, და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ველარ შეხვდები“, რომლის ჯადოიანი თვალები იმასაც კი ხედავს, „ხელისგულიდან სიო ძირს რომ გადაგივარდეს, მწვანე ბალახში წიწილივით დაფაცურდება“, ხოლო სიმონ ჩიქოვანი, მუდამ სიზმრისეული ხილვებით გაბრუებული, ქართული პოეზიისა და საქართველოს ბუნების წიაღში ჩაღრმავებული ხომ არნახული სიახლის გრძნობით ეძიებდა და ჰპოვებდა პოეტურ სიტყვას... და ბოლოს, როგორ შეიძლება თვალწინ არ დაგეხატოს კოლაუ ნადირაძის ლირიზმით სავსე ლექსები, მისი შემოქმედებითი სიხარულის ცრემლებით დასველებული სტრიქონები და პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ხალიჩასავით ფერადი პოეზია...

და როდესაც მათ მიერ შექმნილ ახალ ქართულ საბჭოთა პოეზიაზე ფიქრობ, ერთი შეხედვით ძნელი წარმოსადგენია დაასახელო სხვა პოეტი, რომელსაც მათებრ მკაფიოდ გამოეკვეთოს თავისი საკუთარი პოეტური ხმა, საკუთარი პოეტური ინდივიდუალობა, მაგრამ ასეთი პოეტები არიან... ამჯერად კი, რადგანაც ჩვენ ქართული საბჭოთა პოეზიის სათავეებთან ვდგევართ, ალიო მირცხულავას შემოქმედებაზე გვინდა კონკრეტულად ორიოდე სიტყვა ვთქვათ. ოღონდ აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში რევოლუციურ პოეზიას ჯერ კიდევ რევოლუციამდე იროდიონ ევდოშვილმა ჩაუყარა საფუძველი, ხოლო 1910-იანი წლებიდან რევოლუციური ხასიათის ლექსებსა სწერდნენ ალექსანდრე აბაშელი და ნოე ჩხიკვაძე, სანდრო შანშიაშვილი და იოსებ გრიშაშვილი, რომელთაც მეოცე საუკუნის პოეზიის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს...

მაგრამ ახალ ქართულ საბჭოთა პოეზიას გალაკტიონ ტაბიძემ დაუდო სათავე. ცნობილია, რომ თებერვლის რევოლუციას იგი მაშინდელ პეტროგრადში შეესწრო. ამ დროს ის უკვე ჭეშმარიტი პოეზიის ოლიმპიურ სიმაღლეზე იდგა და დაბინდულ ქლიავისფერ მთებსა და ჭალაკებს დანატრებული კრეისერ „ავრორას“ ქვემეხების ქუხილში პოლიტიკური ლირიკის უკვდავ ნიმუშებს ქმნიდა. „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „გემი დალანდი“ და „დროშები, ჩქარა“, დღესაც ხომ ისევ პირველქმნილი მშვენიერების ნათელს ჰფენენ ქართულ პოლიტიკურ ლირიკასა და პოეზიას... სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება გალაკტიონ ტაბიძეს თავისი ქვეყნის განთავისუფლებად და განახლებად მიაჩნდა. ამიტომაც იყო, რომ 1923 წელს მთელ ქართველ მწერლობასა და ქართველ ხალხს რევოლუციური რომანტიკით თავდავიწყებული მოუწოდებდა:

„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ პოეტები საქართველოსი“.

მეოცე საუკუნის უკვე დიდი პოეტის ეს მოწოდება იმთავითვე აიტაცეს ახალგაზრდა პოეტებმა ალიო მირცხულავამ, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, კარლო კალაძემ და მთელი თავისი პირადი ცხოვრება და პოეზია სამუდამოდ განახლებული ქვეყნის „ახალ გრიგალებს“ დაუკავშირეს. ეს მომენტი მათი პოეტური ბიოგრაფიის ერთი უძვირფასესი ფურცელია...

ამ დროს საქართველოში ჯერ კიდევ არსებობდნენ სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფებანი. კერძოდ, დეკადენტური სკოლების წარმომადგენლები „ცისფერყანწელები“ და „ფუტურისტები“ რევოლუციის „თანამგზავრ“ მწერლებთან ერთად ხშირ შემთხვევაში აშკარა დაბნეულობას იჩენდნენ და ვერ უპასუხებდნენ განახლებული ქვეყნის, ახალი ცხოვრების მშენებელი ხალხის სულიერ მოთხოვნილებებს. ზოგიერთ მათგანს უთუოდ აკლდა პოლიტიკური სიმახვილე და არათუ რევოლუციის პირველ წლებში, არამედ შემდეგშიც დიდხანს ვერ განთავისუფლდა დრომოჭმული და მცდარი შეხედულებებისაგან ცხოვრებასა და ლიტერატურაზე. სწორედ მათ გასაგონად ამბობდა ალიო მირცხულავა:

„ჰეი, თქვენ ცაში ბევრს ნუ დაეძებთ,
ძირს სიყვარულით დახედეთ მიწას!“

. . .

გარეგნულად მუდამ მშვიდი, დარბაისელი, კეთილი ალიო, პოეზიაში მუდამ ამბოხი, რევოლუციური პათოსით ანთებული, იმთავითვე გამარჯვებული ქართველი ხალხის მხარეზე დადგა და ბრძოლის ჰეროიკით გატაცებული პოეტის სახელი დაიმსახურა. იგი ქართულ პოეზიაში ფოთის გიმნაზიის ახლად კურსდამთავრებული მოვიდა. მოვიდა და თან მოიტანა ძველი კოლხური სულის მღელვარება და მზის მცხუნვარება, პოეტურ სისადავესთან ზომიერად შეზავებული სინათლე და ენერგიული, მხატვრული ფრაზის სიცხოველე.

ორიგინალური პოეტური ხმის გამოკვეთისათვის მას არ უძებნია უცხო ვერსიფიკაციული მიმოხვრანი. იგი ქართული კლასიკური ლექსის ტრადიციებს დაეყრდნო და საკუთარი პოეტური ხმის თავისთავადობა საგნისა და მოვლენის ჯანსაღი, ოპტიმისტური აღქმით, ლექსის შინაგანი დინამიურობითა და პოეტური აზრის სიახლით დაიმკვიდრა. მან გაბედულად აუარა გვერდი პოეზიაში სენტიმენტალურ განწყობილებასა და მინორულობას; ნაკლებად იზიდავდა იის წყალში ამოვლებული ბზის ტოტებისა და დაფნის ფოთლების ფერების იდუმალება. განახლებული საქართველოს აღმავლობით შთაგონებული პოეტი რევოლუციური ცეცხლით აღუღებულ მზის ელვარებაში ეძიებდა პოეტური სიტყვის საღებავს და ახალი ადამიანის ფიზიკური და სულიერი ცხოვრების ხატვისას ასე მიმართავდა „პოეტ კაპიტანს“:

შენ პოეტი ხარ, სიცოცხლეში ლექსს
ფრთხილად უვლი,
მე კი ბრძოლის და ამბოხების ძველი
ორბი ვარ.
მძიმეა ბრძოლა, ამ ბრძოლაში დე,
გატყდეს გული,
დაჭრილ გულიდან მხოლოდ სისხლი თუ
წამოგივა.
. . . . . . . .
რად გინდა ლექსი უდღეური და უფერადო.
საკუთარ ცისქვეშ სიმწრის ოფლში
დღეს რომ გალაქე.
ადამიანთა მოძრაობას თუ არ ბელადობ,
როგორც პოეტი, ბოლშევიკი
და მოქალაქე!“
„პოეტი კაპიტანი“, 1926 წ.

დასტოვა რა მშობლიური ხორგა, იგი სამუდამოდ გამოეთხოვა ძველი სოფლის იდილიურ ყოფას და რევოლუციური საქართველოს სისხლ-ხორცი გახდა. „დედავ, ნუ. მელი, მძულს ჭაობის გუბე — სოფელი, თითქოს უემური დასახრჩობად მიჭერს მარწუხებს“, სწერდა გამზრდელ დედას და თავისი ცხოვრების მთავარ თემას ქვეყნის აღორძინებისათვის თავგანწირულ ბრძოლასა და შრომაში ხედავდა. ახალგაზრდა პოეტი კომუნისტი, როგორც მებრძოლი ჯარისკაცი, თამამად ამოუდგა მხარში პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციას, მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარ ბატალიონებს და მათ მიერ გადადგმულ ყოველ ახალ ნაბიჯს ისე განიცდიდა, როგორც საკუთარ სხეულში სისხლის დენას:

„მეუბნებიან: რა გებრძოლება,
მოგვწყინდა ლექსი ცეცხლისხმიანი,
ასე ჰგონიათ, ჩვენი ცხოვრება
არის ბაიდა მშვიდობიანი.
. . . . . . . . .
ჩემ სხეულშივე სისხლის ჩქეფნული
ცეცხლის ანთების გადამდებია,
განა ზედიზედ გამარჯვებანი
ერთხელვე ბრძოლით გათავდებიან?
. . . . . . . . .
მივალ იქ, სადაც ნახშირ-კლდიანი,
ტრიბუნებივით დგანან მკერდები,
მე, როგორც ერთი ადამიანი,
ბრძოლას ბოლომდე შევაბერდები“!

„ჩემი ცხოვრების მთავარი თემა“, 1927 წ.

სწორედ ამ პერიოდში დაწერა ალიო მირცხულავამ მთელი რიგი ნაწარმოებებისა, რომლებშიც ოსტატურად გამოხატა თავისი შინაგანი პოეტური მრწამსი და უკეთესი მომავლისაკენ დაუოკებელი სწრაფვა. მისი ლექსები: „მტკვარისტანი“, „ძველი მაზარა“, „ჩემი ცხოვრების მთავარი თემა“, „ავტოპორტრეტი“, „მგზავრობა საჰარაში“, „ნახტომი მზისაკენ“, „პასუხი მოგონებაზე“ და ბევრი სხვა იმდროინდელი ახალი ქართული საბჭოთა პოეზიის მიღწევა იყო. ცხოვრებისეული მოვლენების ხატვის რეალისტური პრინციპის მომარჯვებით მან თავის საუკეთესო ლექსებში გაბედული, ახალი პოეტური სახეების თავისებური სისტემა შექმნა:

„მოვიდა ღამე — შავი მხატვარი,
ცის პერგამენტზე ხატავს ვარსკვლავებს“...

„ლოდინი“, 1925 წ.

ანდა:

„ღამე მუხლებში იღუნება ბეგემოტივით
და იღიმება ვარსკვლავების თეთრი
კბილებით“.
. . . . . . . . .
„მტკვარზე დაჰკიდეს მზის მაგიერ
ზაჰესის გული,
და მტკვარისტანი ვარსკვლავებით
გადაშლილია,
ზეცა — ბუხარი მოელვარე იწვის გუგუნით,
ყოველი ღამე მზით დამწვარი დღის
ნახშირია“!
„მტკვარისტანი“, 1925 წ.

რევოლუციურ თავისუფალ საქართველოში ახალი ცხოვრება მკვიდრდებოდა. ქართველი ხალხის ლენინური იდეებით განათებული გონების თვალი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, პატიოსანი თავდადებული შრომით ყოველივე „ძველისა და დრომოჭმულის“ გადახალისებას აწარმოებდა. ზაჰესის ტურბინებში სინათლედ გარდასახული „მტკვარისტანი“ მზესავით ეფინებოდა საქართველოს. იგეგმებოდნენ რიონჰესისა და სხვა მრავალი ახალი ნაგებობები. ცხოვრების ყოველი კუნჭული მანამდე არნახული ფერებით აელვარდა. ამუშავდნენ ახალი ფაბრიკა-ქარხნები და მაინც ზოგიერთი

სკეპტიკურად განწყობილი ადამიანი ეჭვის თვალით უყურებდა ახალი ქვეყნის მომავალს. ხშირად მტრულ დამოკიდებულებას იჩენდა სახალხო საქმისადმი. ამას ზედ ერთვოდა გარეშე მტრების შური და მუქარა საბჭოთა წყობილებისადმი. და სრულიად ბუნებრივია, რევოლუციის პოეტი, მგზნებარე მომღერალი ვერ შეურიგდებოდა თავგანწირული ბრძოლებით გადაქანცული ქარიშხლების მყუდროებას. შეშფოთებული იმით, რომ მის მიერ ბაზარზე გასასყიდად გამოტანილ ჯარისკაცის საყვარელ ძველ მაზარას ყურადღება არავინ მიაქცია, რომ იგი აღარავის ესაჭიროება, — კვლავ ბრძოლის წყურვილით აღგზნებული სწერს:

„და ვფიქრობ ასე: ნუთუ ბრძოლა ამით გათავდეს,
როს კუნძულივით მკერდზე კიდევ დარჩა იარა,
ორივე ხელით ამოვითხრი საკუთარ თვალებს,
ამდენმა ბრძოლამ უშედეგოდ თუ ჩაიარა“!

. . . . . . . . .

თუმცა: დაუშრეტ ქარიშხლების ტალღად შეკრული
ცხოვრების გამსკდარ ნაპრალებში ფეთქავს იარა,
ვაშა იმ მებრძოლს, ვინც იმედით გაკაჟებული,
გადამწყვეტ ბრძოლის მოლოდინში სწმენდავს იარაღს“!

. . . . . . . . .

რა ვუყოთ, ზოგჯერ ქარიშხალნი თუ ჩადგებიან,
მძიმე ყინვის დროს ზოგჯერ ცეცხლიც გაიყინება,
დარეკავს ჟამი, ბრძოლის ხმები აფეთქდებიან
და ეს მაზარაც სისხლის ფასად გაიყიდება“!

„ძველი მაზარა“, 1926 წ.

1926 წელს გამოაქვეყნა ალიო მირცხულავამ ლირიკული პოემა „მე და ბარათაშვილი“. ეს ნაწარმოები იმდროინდელ ახალ ქართულ პოეზიაში უსათუოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. როგორც იტყვიან, პოემა დაწერილია ერთი ამოსუნთქვით. მასში მკაფიოდ იგრძნობა მხატვრული აზრისა და პოეტური სახისადმი მირცხულავასეული გაბედული დამოკიდებულება. პოეტი ეპაექრება მეცხრამეტე საუკუნის დიდ ქართველ პოეტს და თავაზიანად შენიშნავს: „გთხოვ, მაპატიო, — ქებით და კვეხნით თავს რომ გაწონებ სიტყვამრავალი, მე მაამაყებს ჩემივე ქვეყნის დიადი აწმყო და მომავალი“... მიუხედავად იმისა, ამ პოემაში შეიძლება დაიძებნოს არასწორი შეხედულებანი ქართველი ხალხის დიდი ისტორიული წარსულისადმი, ვფიქრობთ, პოეტი ძირითადში მაინც სწორ პოზიციაზე დგას. პოემის იმ სტრიქონებში, სადაც იგი თავის თანამედროვე მწერლებს ეკამათება, გადაჭარბებულ ირონიასთან ერთად სიმართლის მარცვალიც მოიპოვება. ჩვენის აზრით, სწორედ ამ სიმართლის მარცვალმა განაპირობა ამ ნაწარმოების ესოდენ გახმაურება. პოეტი მისთვის ჩვეული სადა, ნათელი სახეებით მოხდენილად უპირისპირებს ერთმანეთს ძველ, ფეოდალურ-ბურჟუაზიულ საქართველოსა და ახალ, სოციალისტურ საქართველოს და სიამაყით აცხადებს:

თბილისში „მოჰკლეს“ ქართლის ბუნება,
აქ სიხარული მაინც დიდია,
გაჰქრა, არასდროს არ დაბრუნდება
ზურნა, დუდუკი და იდილია.

მხოლოდ აზიის დაღვრემილ ბედზე,
წუხს ყარაჩოღის ხმა სირაჯლანით.
და საათნოვას ლოთიან ლექსებს
სადმე კუთხეში აღრჩობს არღანი“.

„მე და ბარათაშვილი“, 1926 წ.

ალიო მირცხულავა, გარდა იმისა, რომ უსაზღვრო სიყვარულით უმღერის მშრომელი ხალხის ყოველ ახალ წამოწყებას, ყურადღებას ამახვილებს ცხოვრების მახინჯ მოვლენებზე. მისი პოემა „აი ადამიანი“ ამის საუცხოო მაგალითია. პოეტი დაუნდობლად კიცხავს ბიუროკრატ, უსაქმურ, ზერელე ადამიანს, რომელიც შემთხვევით მოხვედრილა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და იმის მაგივრად, რომ სინდისიერად ემსახუროს ხალხს, საზოგადოებრივ საქმეს, მეშჩანი ცოლის ნება-სურვილზე დადის და ფუქსავატ ცხოვრებას ეწევა. მახვილი პოეტური შტრიხებით, სულ რამდენიმე სტრიქონში ხატავს პოემის მთავარი გმირის სულიერ სიცარიელესა და აზრის სიღარიბეს, გვიჩვენებს მისი ოჯახის ზნეობრივ დაქვეითებას და მწარედ დასცინის ყველა ობივატელი ადამიანის გარეგნულად გაფარფაშებულ ცხოვრებას. ამ ნაწარმოებს ახალი საბჭოთა ადამიანის ჯანსაღი სულიერი ფორმირებისათვის დიდი ემოციური ძალა ჰქონდა. ამ თვალსაზრისით მას იდეურ-მხატვრული მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. რადგანაც შესაძლებელია ათასში ერთხელ მაინც დღესაც თვალწინ წარმოგვიდგეს ასეთი სურათი:

„დატრიალდება რისხვით მოსილი,
ააწიოკებს ხალხს და აპარატს,
შემდეგ, თითქოსდა ძლივსღა მოცლილი,
ნათესავებთან მართავს ლაპარაკს“.

„აი ადამიანი“, 1928 წ.

ალიო მირცხულავა პოეტურ სიმწიფეში შესული, უკვე სახელმოხვეჭილი პოეტი იყო, როდესაც „დამკვრელი ბრიგადები“ გამოაქვეყნა. ეს ლექსი ახალ ქართულ საბჭოთა პოეზიაში

ინდუსტრიული ლირიკის საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. იგი ყურადღებას იქცევს ეგრეთწოდებული პოეტური ფაქტურის საოცარი სიახლითა და შინაგანი დინამიურობით, ტევადი, ენერგიული სახეებითა და სტრიქონებით. მასში გამოსჭვივის პირველყოფილი მატერიის უბიწოება და სიხალასე, სიმტკიცე და მოძრაობის დაუოკებელი, უტეხი ნება. კითხულობ და დაზგების გუგუნთან ერთად გესმის აღმავალი ცხოვრების რიტმი და სიხარულის გრძნობით იმსჭვალები. გრძნობ, სისხლში შემოდის რაღაც ახალი, რომელიც ცეცხლისა და რკინის ხმაურში უნაზეს ესთეტიკურ სიამოვნებას განიჭებს. ეს „რაღაც ახალი“ მირცხულავასეული პოეზიის ძალაა, ხოლო მთლიანად ლექსი კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იმისა, რომ ჭეშმარიტი პოეტისათვის არ არსებობს „მომგებიანი“ და „არამომგებიანი“ თემა. ბუნებისაგან დაჯილდოვებული მაღალნიჭიერი პოეტის თვისებაა ცხოვრებისეული პროზაული მოვლენებისა და საგნების ესთეტიკურ კატეგორიებად გარდასახვა. ალიო მირცხულავამ ეს საუცხოოდ შესძლო ამ ლექსში. თითქოს მან მანქანებსა და დაზგებს ადამიანის გული ჩაუდგა და ცხელი სისხლით აამოძრავა. მის ყოველ სტრიქონში იგრძნობა პოეტის მგრძნობიარე ნერვების თრთოლვა და სულიერი აღტაცება. იგი საყვარელ არსებასავით დაჰხარის თავს მოგუგუნე დაზგებსა და გახურებულ ძრავებს, რაღაცნაირ პოეტურ ინტიმს ამყარებს პოეტი ცეცხლსა და რკინასთან. სხვა ლექსებში მან კვამლით გამურული ქარხნის მილები ხან ჯიხვის დაგრეხილ რქებს შეადარა, ხან ამღერებულ სალამურებს და პოეზიის განუყრელ საგნებად აქცია. ჩვენს ქვეყანაში ამ დროს ახლად ფეხადგმული ინდუსტრიის ცეცხლი გიზგიზებდა. ქართველი მშრომელი ხალხის ძველი, პრიმიტიული სამეურნეო იარაღები მექანიზირებული ტექნიკით იცვლებოდა. ამიტომაც შემოჰყავდა პოეტს აგუგუნებული ტრაქტორები და ავტომობილები პოეზიაში და ისეთივე სიყვარულით უმღეროდა მათ, როგორც ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე დაღლილ, ნაჯაფარ გიშერასა და ლაბას. და ამით იგიც ახალი ცხოვრების საძირკველს ადუღაბებდა. ყოველივე ეს გამოწვეული იყო ალიო მირცხულავას საბჭოთა სინამდვილისადმი გულწრფელი სიყვარულით. იგი აღტაცებული მოუწოდებდა თავისი თაობის კომკავშირელ ახალგაზრდობას:

„თითქოს მანქანა დაზგებს დაჰხარის,
ყალყზე დამდგარი ბორგავს გმირულად,
დასცხეთ, დაჰკარით, დასცხეთ, დაჰკარით,
დასცხეთ, დაჰკარით კომკავშირულად!
. . . . . . . .
ჩვენ კომუნიზმის ვაგებთ ნიადაგს,
მიწა დროშების ალს დაუფარავს,
წიგნი შრომის დროს აგურია და
ბრძოლის დროს — ტყვიით სავსე ყუმბარა“.

„დამკვრელი ბრიგადები“, 1931 წ.

ამრიგად, ალიო მირცხულავა ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც მხატვრულ სიტყვაში რევოლუციური აზრი ამღერა და ახალი ქართული ლექსი კომუნისტური იდეებით გაანათა, რევოლუციის დიდი ბელადების სახელებს დაუვიწყარი სტრიქონებით უმღერა და კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ფიქრი და შინაგანი ჯანსაღი განწყობილებები ახალი პოეტური სახეებითა და მოხდენილი მეტაფორებით აამეტყველა. ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ ახალი ქართული საბჭოთა პოეზიის გარიჟრაჟზე პროლეტარული მწერლების ჯგუფში გაერთიანებულ ბევრ პოეტს, თუმცა ისინი იდეურად სწორ პოზიციებზე იდგნენ, მხატვრული სიტყვა აშკარად ვერ აჰყავდათ ჭეშმარიტი პოეზიის დონეზე. ხოლო ალიო მირცხულავას მებრძოლ ლექსებს უსათუოდ თავისებური შნო და იერი შემოჰქონდა ახალ რევოლუციურ პოეზიაში. შემდეგში კი, როცა თავისუფალი საქართველო საბოლოოდ აღორძინებული ინდუსტრიის ცეცხლით გაბრწყინდა და ქართულ სოფელში ერთიანი საკოლმეურნეო შრომა დამკვიდრდა, ალიო მირცხულავას ამბოხი სული თითქო დაშოშმინდა და მისი პოეტური პალიტრა კიდევ უფრო მდიდარი ფერებით აელვარდა.

ალიო მირცხულავას, როგორც ახალი, თანამედროვე ლექსის, პოეტური სიტყვის ერთ-ერთ ნოვატორსა და განმაახლებელს, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართულ პოეზიაში. იგი, როგორც ზემოთ ვთქვით, ძირითადად კლასიკური პოეზიის ტრადიციებს ეყრდნობა, მაგრამ მან მოახერხა თავისი პოეტიკითა და წერის მანერით არ დამგვანებოდა წინა თაობის რომელიმე პოეტს. ახალ ქართულ ლექსს ბევრი თავისებური კომპონენტი შემატა განსხვავებით მეოცე საუკუნის მოდერნისტი პოეტებისაგან, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატა, რომ ახალი თანამედროვე ადამიანის სასაუბრო, უბრალო სიტყვა პოეზიის მადლით ავსებულ ემბაზში განათლა და განუმეორებელი სიხარულით დაწერილი ლექსებით ჭეშმარიტი პოეზიის კუთვნილებად აქცია. ვინც ალიო მირცხულავას პოეზიას დაკვირვებია, შეამჩნევდა რომ იგი, რაზეც არ უნდა წერდეს, მის ლექსს ყოველთვის თან ახლავს მომეტებულ გამჭვირვალე პოეტურ ფერებთან ერთად სისადავე და კეთილშობილი უბრალოება, სულიერ სიფაქიზესთან და სინაზესთან შერწყმული აწეული, ვაჟკაცური ტონი და მხატვრული აზრის პოეტური სიზუსტე. მას აქვს უტყუარი მუსიკალური სმენა და მდიდარი, სრულყოფილი რითმების შერჩევის უნარი, რამაც შექმნა მისი პოეზიის ესოდენ კეთილხმო-

ვანება, მაგრამ უცხო გახადა მისთვის ეგრეთ წოდებული თავისუფალი რითმიანი და ურითმო თეთრი ლექსის მომხიბვლელი იდუმალება.

ვიდრე ალიო მირცხულავას მიერ სამშობლოზე დაწერილ ლექსებს შევეხებოდეთ, უნდა ითქვას, რომ საქართველოში პატრიოტულ პოეზიას საკმაოდ ძველი და ღრმა ფესვები აქვს. დიდი ქართველი პოეტები საუკუნეების მანძილზე თითქო ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამ უკეთილშობილესი გრძნობის გამოხატვაში. რად ღირს თუნდაც მარტო აკაკის „განთიადი“, რომელიც მარად გაუხუნარი ქართული ფირუზი ცისა და ზურმუხტი მიწის ფერებით განათებული მყინვარწვერივით აზიდულა სამშობლოზე დაწერილ ლექსებს შორის. რად ღირს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის, გურამიშვილისა და ვაჟა-ფშაველას პატრიოტული ლექსები, რომელთაც ყოველი ქართველის გულში სიყვარულისა და სიხარულის მომნიჭებელი მადლითა და ფერებით დაიმკვიდრეს სამუდამო სამყოფელი. და თუ ამას დავუმატებთ მეოცე საუკუნის ჭეშმარიტი პოეტების გალაკტიონ ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის, ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის, კოლაუ ნადირაძისა და სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძისა და ალექსანდრე გომიაშვილის, გრიგოლ აბაშიძისა და უდროოდ დაღუპული ლადო ასათიანის პატრიოტულ ლექსებს, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ დიდი სიძნელის წინაშე დგას ყველა ის პოეტი, ვისაც სურს ახალი სიტყვა სთქვას სამშობლოზე.

ალიო მირცხულავას მიერ სამშობლოზე დაწერილი ლექსები თანამედროვე ქართულ პოეზიაში გამოირჩევიან გულწრფელობით, მხატვრული სიმართლითა და უშუალობით. იგი სიყვარულით გვიხატავს საქართველოს ბუნების მშვენიერებას, მის ზვიად მთებსა და ატეხილ ჭალაკებს, აქაფებულ მდინარეებსა და ნაყოფით სავსე საკოლმეურნეო. ბაღ-ვენახებს. პოეტური ალღოთი გრძნობს ახალი ყოფის დამახასიათებელ ყოველ ნიუანსს და გატაცებით უმღერის ქართველი ხალხის ბედნიერ აწმყოსა და დიად მომავალს. მის პატრიოტულ-ლირიკულ ლექსებში დღის ნათელივით გამოსჭვივის ქართული ბუნებისა და კოლორიტის შეგრძნების უტყუარი და პოეტური ხმის თავისებური კილო — კილო ნაზი პოეტური ფერებით შერბილებული და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით ამაღლებული. საგანგებოდ შერჩეული სიტყვებითა და დახვეწილი სტრიქონებით შექმნა მან თავისი ცნობილი ლექსი „სამშობლო“:

„მთას გადაივლი ისევ მთებია,
ტყის ფარჩეულით შემოსილები,
ისევ ფრიალო დაღმართებია,
ირგვლივ ჟღერაა სხივთა სიმების.
ველზე გაშლილა მდელოს ხავერდი,
ამოქსოვილი ოქროს სირმებით,
ტანად მაღალი და რქანაყარი
ხეები დგანან, როგორც [illegible]

ასეთივე სადა, ნათელი სტრიქონებითაა დაწერილი მისი ლირიკული ლექსები — „გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში“ და საქვეყნოდ გახმაურებული „ჰიმნი სამშობლოს“. ეს ლექსები სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ქართული სკოლების სასწავლო ქრესტომათიების კუთვნილებად იქცა და მათზე აღარაფერს ვიტყვი, ხოლო გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ მის ერთ პატარა, მაგრამ საქართველოს დიდი ტრაგიკული წარსულის დამტევ ლექსზე, რომელსაც პოეტმა „არ გამაგონო“ უწოდა.

ალიო მირცხულავას ერთი პოეტური თავისებურებაც აქვს, რითაც იგი მკაფიოდ გამოირჩევა თავისი თანამედროვე პოეტებისაგან. ეს თავისებურება გახლავთ გატაცება მხოლოდ აწმყოთი და მომავლის ნათელი წარმოსახვით. მას ნაკლებად იზიდავს ისტორიული თემა. იგი თანამედროვე ცხოვრების ყოფით სურათებში ეძებს პოეტურ ფერებს და ახალი ცხოვრების გრანდიოზული მიღწევებით აღტაცებული უმღერის ყოველივე იმას, რაც ახალთანაა დაკავშირებული. იგი ქართველი ადამიანის ეროვნულ ხასიათსა და სულის სიდიადეს იმით აფასებს, რამდენადაც ეს უკანასკნელი მეტი დაძაბულობით იბრძვის დღევანდელობისათვის. მაგრამ მან შექმნა ზემოთ დასახელებული პატარა ლექსი, სადაც დიდი ოსტატობით გადმოგვცა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი უკუღმართი ისტორიული წარსული. პოეტს გაგონებაც არ უნდა დაფა-ზურნის ველური ჰანგისა. სალამური ენატრება, ტანწერწეტა ჩონგურს მოითხოვს. არღნისა და ზურნის ჭყვიტინი სამშობლოს მრავალგზის აოხრებას აგონებს. საუკუნეების განმავლობაში ხომ ამ საკრავებით მოდიოდა მტერი საქართველოზე. ამ საინტერესო ლექსში მოხდენილადაა გახსნილი ლირიკული ჩანაფიქრი. ეს ლექსი, როგორც ალიო მირცხულავას შემოქმედებაში, ისე მთელ ქართულ პოეზიაში ერთ-ერთ საუკეთესო ლექსად მიგვაჩნია. სიტყვა, რომ არ გაგვიგრძელდეს, სჯობია თვით პოეტს მოვუსმინოთ:

„არ გამაგონო დაფაზურნის ჰანგი ველური,
ჩემს თბილისში ვარ; დაუკარი
ტკბილქართველური!

განა დაგვძლია დამპყრობლების ძალამ
ურიცხვმა,
კმარა ზურნის ხმა, გამაგონე სალამურის ხმა!

დაფდაფს დაირა მირჩევნია, ჩვენი დაირა,
თეთრი დაირა, რომ ღუღუნებს
მტრედისნაირად.

არღანს არა სჯობს ტანწერწეტა ჩვენი ჩონგური?
თამარ დედოფლის გვირგვინივით შვენის ქონგური.

ზურნა არ მიყვარს, დაფდაფის ხმაც, არღნის ჩხავილიც,
ქართლის ქუჩებში მომწყვდეულან ქარიშხალივით.

მაგ დაფაზურნით მოდიოდა ურდო უცხოთა,
იგი მძვინვარე შახ-აბასის ჯარს მიუძღოდა.

და ისევ ის ხმა შორეული, ჩვენი კი არა,
ტკბილი კი არა, მწველზე მწველი, როგორც იარა,

არ გამაგონო! თორემ გული, გული ღონდება,
ჩემი სამშობლოს აოხრება მომაგონდება!"

დიახ, ასე სხარტად და მოხდენილად გამოხატა პოეტმა თავისი სათქმელი თექვსმეტსტრიქონიან პატარა ლექსში. დაგვანახვა თავისი გულისტკივილი და შეშფოთება საქართველოს მწუხარე ისტორიული წარსულის გახსენებით, მაგრამ სევდასთან ერთად სიხარული და სიამაყეც განგვაცდევინა, როდესაც თქვა: „ჩემს თბილისში ვარ, დაუკარით ტკბილქართველური!" ამ ლექსის ლირიზმით სავსე სტრიქონებსა და სტრიქონებს შუა იკითხება ბევრი სხვა დაუწერელი სტრიქონი, რითაც პოეტი ოსტატურად მოგვითხრობს, თუ ქართველმა ხალხმა როგორ გმირულად დააღწია თავი ისტორიულ განსაცდელს, რომ დღეს საქართველოში სულ სხვა, ახალი ცხოვრება სუფევს. ასე მოკლედ იწერება პოეზიის ენაზე დიდი ამბები...

პოეტური თემის ორიგინალური მოფიქრებითა და თავისებური გადაწყვეტით ყურადღებას იქცევს ერთ-ერთი სატრფიალო ლექსი „პირველი კოცნა". საქმე იმაშია, რომ ამ მარად ძველსა და მარად ახალ თემაზე, როგორც პატრიოტულ მოტივებზე, საქართველოში ძალიან ბევრი დაწერილა. მიუხედავად ამისა, პოეტმა მოახერხა ამ უფაქიზესი გრძნობის თავისებური, ახალი პოეტური შტრიხებითა და ფერებით გადმოცემა. ეს ლექსი ახალი ქართული საბჭოთა პოეზიის სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ქმნილებაა. მისი პირველი წაკითხვისთანავე გრძნობ, რომ იგი არაფრით არა ჰგავს სიყვარულზე მანამდე შექმნილ სატრფიალო ლექსებს, რომ იგი დაწერილია ახალი საბჭოთა ადამიანის სულიერი და ფიზიკური ყოფის მომღერალი პოეტის მიერ. მასში მოსჩანს ჩვენი ეპოქის ახალი ადამიანისათვის დამახასიათებელი განწყობილება. იგი სიყვარულზე დაწერილი ლექსებისაგან, უპირველეს ყოვლისა, სიტყვიერი მასალითა და მხატვრული სახეების ახლებური აღნაგობით გამოირჩევა:

დასავლეთისაკენ გაჩნდა ხანძარი,
მზე დაცემულა, როგორც ყუმბარა,
ოხრავს ნიავი და შენს ხმასავით
თითქოს ჩამძახის: მე სხვას ვუყვარვარ,
დღე კი, ბნელი და უზარმაზარი,
განწირულია დასაღუპავად.
. . . . . . . . . .
ჩვენს განშორებას, ხანგრძლივს ესოდენ,
გმინვით, მუხლებზე პირდამხობილად,
როგორც ჭრილობის გახსნას ვებრძოლე
და ჯერ ტკივილი არ ჩაქრობილა,
შენ რომ სცენაზე ვარდი მესროლე,
ქალო, მაშხალა ხომ არ ყოფილა"?

„პირველი კოცნა", 1934 წ.

ალიო მირცხულავა ამ უაღრესად მაღალ ადამიანურ გრძნობას სხვა ლექსებშიც მეტად ნატიფი ფერებით გვიხატავს, მაგრამ აქ მათზე აღარ შევჩერდებით.

ხოლო გვნიდა შევნიშნოთ, რომ მისი პოეტური ინდივიდუალობა, მისი პატრიოტული ლირიკის თავისებურება კიდევ უფრო მძაფრი ფერებითა და მხატვრულად სრულყოფილი სახეებით გამომჟღავნდა დიდი სამამულო ომის დროს დაწერილ ლექსებში. დაჭარმაგებული, ბრძოლებში გამოცდილი პოეტი მთელი შინაგანი შემოქმედებითი ძალის დაძაბვით ებრძვის მხატვრულ სიტყვას და ქმნის ისეთ ლექსებს, როგორიცაა „მყინვარი", „სიმღერის ძალა", „დგას ორი ქალაქი, ორი ძმადნაფიცი" და „ძმები". ეს უკანასკნელი ოსტატურად მოფიქრებული კომპოზიციითა და მოულოდნელი ემოციურობით, ნათელი, მოქნილი სტრიქონებითა და პლასტიკური სურათებით და, რაც მთავარია, მხატვრული სიმართლით უსათუოდ გამოირჩევა იმდროინდელი ომის თემაზე დაწერილ ქართულ პატრიოტულ ლირიკაში. პოეტის წარმოსახვაში გაცოცხლებულია ორი მებრძოლი ძმის უკვდავი სახე. ამ ლირიკული ლექსის მოკლე სიუჟეტურ ქარგაში ოსტატურადაა გადმოცემული დაუნდობელი, მრისხანე ომის მთელი ეპოპეა. მტერთან შეუპოვარ ბრძოლაში გმირულად დაცემული, დაჭრილი ძმები თოვლიან ფლატეში სიკვდილს ებრძოდნენ „ვეფხისებურად" და კვლავ წამოდგომა ეწადათ, მაგრამ ხმლებს ველარ წვდებოდნენ, ველარ დგებოდნენ, ხოლო როდესაც „კვლავ ჩვენი გახდა ტიხვინი, უკან იხევდა მტერი ვერანი, და, სადღაც ტყეში ველურ ჭიხვინით მხედრებს ეძახდა ორი მერანი", მათ „ძლივს მიაწვდინეს მეგობრებს ხმები" და ერთად მოთავსდნენ პალატაში.

„დილით, როდესაც მზე მწუხრის მერდინს
გაფანტავს... და ჭერს გაამზეურებს:
— ძმა როგორ არის? — კითხულობს ერთი,
— ძმა როგორ არის? — დარდობს მეორე.
ძილში, როდესაც პალატის გვერდით

ხმა გაიშხუვლებს, ვით მეტეორი:
— ძმა ცოცხალია? — ბუტბუტებს ერთი,
— ძმა ცოცხალია? — გმინავს მეორე.

. . . . . . . . . . . .

ერთ მრისხანე დღეს, როცა ავდარი
სძრავდა მიდამოს, ცა რისხვით ჰქუხდა,
პალატა სდუმდა, ვით ნასაყდარი,
ძმა ძმის შესახებ აღარა სწუხდა".

1941 წ.

ამის შემდეგ, ვფიქრობთ, არავითარი კომენტარი არაა საჭირო იმისათვის, რომ ადამიანმა იგრძნოს ომის საშინელება და დაინახოს ორი ძმის დიდებული, უკვდავი სახე, მათი გმირული თავგანწირვა სამშობლოსათვის. ეს ლექსი ორი უსახელო ძმის არდავიწყების საუკუნო ძეგლია.

ალიო მირცხულავას, როგორც კლასიკური პოეზიის ტრადიციების თაყვანისმცემელს, უყვარს ალეგორიული, არაპირდაპირი ხერხებით გადმოცემა მხატვრული აზრისა. ამ მხრივ იგი ახალ ქართულ საბჭოთა პოეზიაში თითქმის ყველაზე რაფინირებული ფიგურაა. ომის წლებში დაწერილი ლექსი „მყინვარი" სიმბოლიურად წარმოგვიდგენს პოეტის სახეს და ალეგორიული ფორმით გადმოგვცემს ავტორის ლირიკულ ჩანაფიქრს. „მეხს დავეყრდნობი, მრისხანეს, მწვავეს, და წამოვდგები მთების უკუნით, ადგილს მოვწყდები... და, როგორც ზვავი, მტერს დავემხობი ქვების გუგუნით", ალაპარაკებს პოეტი მყინვარს და ამით იგი მთელი ქართველი ხალხის ფიქრსა და განწყობილებას გამოხატავს. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა პოეტის ლირიკული ლექსი „ვერხვი". თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ლექსიც, როგორც ზემოთ დასახელებული „დამკვრელი ბრიგადები" და „არ გამაგონო", არათუ ალიო მირცხულავას შემოქმედებაში, არამედ მთელ ახალ ქართულ, საბჭოთა პოეზიაში გამოირჩევა მოხდენილი, მოქნილი, ელასტიური სტრიქონებითა და პლასტიკურობით, უშუალო, ბუნებრივად ამღერებული რიტმითა და თავისებური ინტონაციით. მასში გამოთქმულია დიდი, კეთილშობილური ჰუმანიური აზრი, რომელიც შინაგანად ანათებს ალიო მირცხულავას მთელ შემოქმედებას. „ვინმე ხრამში თუ გადაცდა, — ხელი გამიწოდებია ამბობს კლდეზე შემდგარი, მხრებატოტებული პოეტის ორეული — თეთრი ვერხვი და სულში გწვდება ათრთოლებული, ვერცხლისფერი ფოთლების იდუმალი სიმღერა. კითხულობთ სტრიქონებს: „მეც ვშფოთავდი და ფიქრებში ტევრი მწარედ შრიალებდა, ჩრდილზე ფეხს რომ დამადგამდნენ ტანში გამაჟრიალებდა" და თვალწინ გეხატება ერის სამსახურში გათეთრებული, ქალმოხდილი, ნაამაგარი პოეტის სახე, თვალწინ გეხატება მისი, მებრძოლი, ამაღლებული ლირიკის საუკეთესო ქმნილებები, რომელთაც ამშვენებს და საპატიო ადგილს ანიჭებს როგორც ქართული კლასიკური ლექსისათვის, ისე ჩვენი მდიდარი ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი უაღრესი სისადავე, სინათლე და კეთილშობილი უბრალოება.

მაგრამ როდესაც ალიო მირცხულავას პოეზიის ამგვარ თვისებებზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ იგი პოეტური აზრის ზედმეტად ნათლად, უშუალოდ და ბუნებრივად გამოთქმით გატაცებული, ზოგჯერ უკიდურესობაში ვარდება... გენიალური პოეტური სისადავისა და უბრალოების დიდოსტატი ქართულ პოეზიაში აკაკი წერეთელი იყო. დიდ პოეტს ხალხის გულამდე პოეტური აზრი და შთაგონება მეტი ცხოველმყოფელობით რომ მიეტანა, იგი მუდამ ბეწვის ხიდზე გადიოდა, ყოველ სიტყვას რაღაც ჯადოსნურ სასწორზე წონიდა, პოეტურ სახეს ყოველის მხრიდან სინჯავდა, რომ სათქმელს, ლირიკულ ჩანაფიქრს სისადავისა და უბრალოებისაგან მაღალი პოეზიისათვის დამახასიათებელი სულიერი სიფაქიზე, დახვეწილი გემოვნებით შერჩეული ფერი და ხორცი, სისხლი და მგზნებარება არც ერთი მისხლით არ მოჭარბებოდა ან არ დაკლებოდა.

ამგვარი შემოქმედებითი ლაბორატორიის შექმნა ყველა პოეტს არ ეხერხება. ასეთები ალბათ მსოფლიო ლიტერატურაში თითზე ჩამოსათვლელნი არიან. მაგრამ ზომიერების გრძნობა რამდენადმე ყოველი შემოქმედისათვის აუცილებელია. ამიტომაც სინანულით ვამბობთ, რომ ალიო მირცხულავას თავის საუკეთესო ლექსების გვერდით აქვს ისეთი ლექსებიც, სადაც ზედმეტად გამარტივებული, თითქმის გულუბრყვილობამდე დასული პოეტური აზრი და გაუბრალოებული სახეები გვხვდება; ამას ზედ ერთვის ზოგჯერ კლასიკური პოეტური მეტყველების ნორმების მცირეოდენი დარღვევაც და, რაც მთავარია, სიტყვიერი მასალის ერთფეროვნება. ასეთი ნაკლოვანებები უმთავრესად თავს იჩენს ალიო მირცხულავას შემოქმედების ისეთი ხასიათის ლექსებში, სადაც იგი ეხება ზოგადკაცობრიულ, განყენებულ, ფილოსოფიურ თემებს, რომელთაც ბევრი სხვა, დიდი პოეტიც კი, ხშირად მშრალი მსჯელობის რკალში მოუქცევია. ამით ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ვთქვათ, თითქოს ალიო მირცხულავა არ უნდა სწერდეს მარადიულ, ფილოსოფიურ საკითხებზე.. არა. საქმე იმაშია, რომ ალიო მირცხულავას აქვს თავისი თემა, თავისი კონკრეტული, ცხოვრებისეული ფილოსოფია, რომლისთვისაც თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე არასოდეს უღალატნია.

ამ ნაკლოვანებების შესახებ, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, საჭირო მაგალითების მოტანა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. უფრო მეტიც. შეიძლება ამ ნაკლოვანებებზე სულაც არაფერი გვეთქვა, რომ ალიო მირცხულავა დღესაც

მისთვის ჩვეული შემოქმედებითი ენერგიით არ განაგრძობდეს თავისი მაღალმხატვრული პოეზიის გაღრმავებისათვის შეუპოვარ ბრძოლას. ორიოდე წლის წინათ ალიო მირცხულავამ ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე ასი ლექსი გამოაქვეყნა ერთად, ხოლო 1969 წლის „ლიტერატურული საქართველოს“ საახალწლო ნომერში იგი მშვენიერი ლექსით მიესალმა ქართველ ხალხს, შემდეგ კი თებერვლის თვეში ამავე გაზეთის ფურცლებზე „კიდევ ასი ლექსიდან“ ოცდაოთხი ლექსი გამოაქვეყნა და ამით მისი პოეზიის პატივისმცემელთ აშკარად დაგვანახვა, თუ რაოდენ ჭაბუკური გატაცებით იღწვის იგი დღესაც მხატვრული სიტყვის სრულყოფისათვის. რასაკვირველია, ყველა ეს ლექსი მხატვრულობის თვალსაზრისით ერთ დონეზე ვერა სდგას. ზემოთ ნახსენები ნაკლოვანებანი ზოგიერთ მათგანზეც ვრცელდება, მაგრამ ბევრი მათგანი კი უსათუოდ აკმაყოფილებს თანამედროვე მკითხველის მოთხოვნილებას. პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ხანდაზმულობისა, მის მხატვრულ სიტყვას სრულიადაც არ დაჰკლებია შინაგანი სიწმინდე და ენერგია, გარეგნული მომხიბვლელობა და პოეტური ფეროვანება. მაგალითად „ჩემს მოდგმას“ უსათუოდ კარგი ლექსია. მასში გადმოცემულია პოეტის უკმარობის გრძნობა, რომელსაც იგი ანზოგადოებს და საერთოდ ყველა ადამიანისათვის მახლობელს ხდის, რომ ადამიანი უმწეოა დროისა და სივრცის წინაშე, რომ ადამიანის სიცოცხლე მეტად ხანმოკლეა იმისათვის, რათა ამომწურავად შეიგრძნოს ყოფიერების არსი და „ქებათა-ქება“ უთხრას სიკეთეს, მარადიულ მზის მცხუნვარებასა და ცხოვრების მშვენიერებას:

„დავღონდი?! მძიმე შრომამაც გახსოვდეს,
დღესა და ღამეს ერთად ვშრომობ,
მე იმას ვწუხვარ, რომ ვერ [illegible]
ჩემ სულს და სურვილს ვერ დავეწევი.
ერთხელ მეც უნდა გზაზე დავეცე,
მარად გავქვავდე, ვით ქანდაკება,
ველარ ვიხილო, რასაც დავეძებ,
ველარ ვუმღერო ქებათა-ქება.
მზე მხიბლავს; მთვარის ამომთოვრებაც,
დროს კი არ ჰყოფნის ჩემი ცხოვრება“.

ამბობს პოეტი სევდიანი ხმით და მეორე პატარა ლექსით „მთის ქანდაკება“ თითქო მარადისობას შერკინებული წუთისოფლის სწრაფწარმავლობას მაინც ოპტიმისტური სტრიქონებით ეჭიდება:

„ჩემი მზე ჩავა,
შუქს ვერ გაშლის ლიანდაგებად,
გადავიქცევი
გაქვავებულ მთის ქანდაკებად...
და გავჩუმდები, დავდუმდები
განა სავსებით?
არა!.. დროებით ჩამქრალ ვულკანს
დავემსგავსები“.

ჩვენ აღარ შევჩერდებით ალიო მირცხულავას ეპიურ ნაწარმოებებზე. მისი ვრცელი პოემები და დრამატული ნაწარმოებები ცალკე წერილის თემაა. ხოლო მისი ლირიკული პოეზიის კონტურები ზოგადად ახე გვეხატება, რომელნიც დროისა და სივრცის ბურუსით არასოდეს არ დაიფარება, ვიდრე ჩვენთვის ძვირფასი იქნება ახალი ქართული საბჭოთა პოეზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესთეტიკური აღზრდის თეორიული საფუძვლები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყურადღებას ამახვილებს ჩვენი ქვეყნის მშრომელების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ესთეტიკური აღზრდის უდიდეს მნიშვნელობაზე კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე. ესთეტიკური აღზრდა კი კომუნისტური აღზრდის ნაწილია

დღევანდელობაში, როდესაც იმპერიალისტური სამყარო სოციალისტური ქვეყნების მიმართ იდეოლოგიურ დივერსიას ეწევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ესთეტიკური აღზრდის სათანადო დონეზე დაყენება. ცნობილია, რომ ესთეტიკურ აღზრდას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, მაგრამ მთავარ როლს ხელოვნება ასრულებს. ესთეტიკური აღზრდის პრობლემა უშუალოდ დაკავშირებულია ხელოვნებასთან — სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების ამ უმაღლეს ფორმასთან. ამიტომ ცხადია, რომ ესთეტიკური აღზრდის თეორიაში ხელოვნების როლის საკითხი შემთხვევითი არ არის.

ესთეტიკური აღზრდის თეორიაში ამ უკანასკნელ ხანს საკავშირო მასშტაბით არა ერთი წიგნი გამოვიდა, მაგრამ მონოგრაფიული სპეციალური გამოკვლევა თვითონ ესთეტიკური აღზრდის რაობაზე, პირველად იხილა ქართველმა მკითხველმა აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის წიგნის — „ესთეტიკური აღზრდის პრინციპის" სახით. აღნიშნული მონოგრაფია გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, იგი ავტორმა უძღვნა თბილისის უნივერსიტეტს საიუბილეოდ.

„ესთეტიკური აღზრდის პრინციპი" როგორც წინასიტყვაობიდან ირკვევა მხოლოდ პირველი ნაკვეთია — ზოგადი თეორიული ნაწილი იმ წიგნისა, რომლის მთლიანად გამოქვეყნებას ავტორი ახლო მომავალში აპირებს. „ესთეტიკური აღზრდის პრინციპი" თეორიულ ასპექტში განიხილავს პრობლემას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვე სწავლა-აღზრდის რთულ სისტემასთან.

მონოგრაფიაში ესთეტიკური აღზრდა განხილულია, როგორც განათლების მთელი სისტემის ორგანული ნაწილი და დაკავშირებულია პიროვნების ჰარმონიულ განვითარებასთან. მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება, შრომითი აღზრდა, კომუნისტური მორალის დამკვიდრება, მორალური კოდექსის ზნეობრივი პრინციპების პრაქტიკულად განხორციელება მონოგრაფიაში მჭიდროდაა დაკავშირებული ესთეტიკური აღზრდის თეორიასა და პრაქტიკასთან.

მონოგრაფიაში ესთეტიკური აღზრდა გარკვეულია, როგორც მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად განხორციელებული პედაგოგიურ ღონისძიებათა სრული კომპლექსი, რომელიც უზრუნველჰყოფს ადამიანის როგორც სულიერი, ისე ფიზიკური ძალების ჰარმონიულ განვითარებას. ესთეტიკური აღზრდის პრინციპის საგნად მოცემულია ესთეტიკური აღზრდა. „ესთეტიკური აღზრდის პრინციპში" სასკოლო ესთეტიკის პრობლემა არის განხილული სინამდვილესთან მჭიდრო კავშირში. ესთეტიკური აღზრდა გაგებულია, როგორც აქტიური პროცესი და მოცემულია ესთეტიკური გრძნობის გენეზისი. საინტერესოა და ყურადღებას იმსახურებს ბუნების ესთეტიკური აღქმა, სილამაზის შექმნა, ლამაზისა და მახინჯის შეპირისპირება.

ესთეტიკური აღზრდის თეორიის მიღწევები ისტორიული საფუძვლების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. გ. ჯიბლაძე მეცნიერული სიღრმით განიხილავს ესთეტიკურ აღზრდაზე ისტორიულ ნააზრევს, ყურადღებიდან არ რჩება არა მარტო ხელოვნების ძეგლები, ოლიმპიურ თამაშობათა სახეები, ჰიერონიკები ანუ ოლიმპიონიკები და ელანოდიკები, აგრეთვე ლუკიანეს „ანაჰარსისი ანუ სხეულის წვრთნის შესახებ", ანტიკური პოეტების როლი ჰარმონიული ადამიანის აღზრდაში, ანტიკური პედაგოგიკა, უძველესი კოლხური რიტორიკული სკოლები, თემის სტიოსის, პროკოფი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ცნობები და სხვა.

მონოგროფიის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ხელოვნების როლის გარკვევას ესთეტიკური აღზრდის სისტემაში. ამ ნაკვეთში ავტორმა სამართლიანად შეიტანა პლატონისა და არისტო-

---

**გიორგი ჯიბლაძე, „ესთეტიკური აღზრდის პრინციპი", თსუ, 1968.**

ტელეს კათარზისი. ამ უკანასკნელს ესთეტიკური აღზრდის მკვლევარები ამ ბოლო დროს ივიწყებენ, ესთეტიკური აღზრდის თეორია კი კათარზისის კვლევის გარეშე წარმოუდგენლად მიგვაჩნია.

აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე ცნობილია, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი და ავტორი საქვეყნოდ ცნობილ წიგნისა „ხელოვნება და სინამდვილე". ამიტომაა ასე დიდი ინტერესით რომ იკითხება მუსიკალური აღზრდის საკითხები.

მონოგრაფიაში ცალკე თავად არის გამოყოფილი „ფერთა როლი ესთეტიკურ აღზრდაში". ამ უკანასკნელ ხანს ფერთა შესწავლას დიდი ყურადღება ეთმობა და მისი შედეგები პრაქტიკულად ინერგება. გასათვალისწინებელია ავტორის დაკვირვებანი ფერთა როლზე.

მონოგრაფიაში ესთეტიკური აღზრდა გაგებულია რა როგორც განათლების მთელი სისტემის ორგანულ ნაწილად, რა თქმა უნდა საკითხი დგება თუ რა კავშირი აქვს ესთეტიკურ აღზრდას სწავლების პროცესთან. ავტორი განიხილავს სკოლას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს და ეხება ცალკეული დისციპლინების სწავლებას. მართებულად დასაბუთებულია, რომ ქართულ სკოლებში ძველი ქართული ენის ძირითადი ელემენტების ცოდნა აუცილებელია. მიუთითებს, რა მშობლიური ისტორიის შესწავლის როლზე ახალგაზრდობის საბჭოთა პატრიოტიზმისა და სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის სულისკვეთებით აღზრდაში. გ. ჯიბლაძე აღნიშნავს, რომ როგორც მშობლიური ისტორიის, ისე მშობლიური ენის შესწავლის გარეშე ნორმალური სკოლა არ არსებობს. ავტორი მოითხოვს უმაღლეს სკოლებში ფონეტიკის სწავლების გაუმჯობესებას, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის შესწავლის გამოყენებას, უდავოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ქართული ენის ღრმად შესწავლა ჰქმნის მტკიცე საფუძველს რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, საერთო უცხო ენების დაუფლებისათვის.

ცალკე თავებადაა გამოყოფილი: მასწავლებლის როლი ესთეტიკურ აღზრდაში, შრომის როლი ესთეტიკურ აღზრდაში, ესთეტიკური და საზოგადოებრივი აღზრდა, ესთეტიკური და მორალური აღზრდა, ესთეტიკური აღზრდა და ასაკობრივი პედაგოგიკა, რომლებშიც მრავალი საინტერესო და გასათვალისწინებელი დებულებებია წამოყენებული.

მონოგრაფია მთავრდება ესთეტიკური აღზრდის თეორიულ გააზრებათა ისტორიული გამოკვლევებით, რომელიც ლაკონიურად მიმოიხილავს მარქსამდე ესთეტიკურ ნააზრევს და ისტორიული ექსკურსის კრიტიკული ათვისებით მიუთითებს, რომ სოციალური ესთეტიკა და ესთეტიკური აღზრდის თეორია მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმში პოულობს სრულ ყოფას.

აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ მონოგრაფიით „ესთეტიკური აღზრდის პრინციპი" გაახარა ქართველი მკითხველი. აღნიშნული წიგნი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკისა, მარქსისტულ-ლენინური ეთიკისა და პედაგოგიკის კურსის სწავლების დონის ამაღლებას უმაღლეს სასწავლებლებში, დაეხმარება აგრეთვე პედაგოგებს, მეთოდისტებს, ჩვენს ახალგაზრდობას.

ᲑᲔᲚᲐ ᲖᲝᲜᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲝᲗᲐᲠ ᲩᲘᲩᲣᲐ

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

დოც. ნ. ლომოურის მონოგრაფია მიზნად ისახავს წარმოადგინოს დასავლეთ საქართველოს ისტორიის ის მონაკვეთი, როდესაც დასავლეთ საქართველოს ქართულად „ეგრისი" ეწოდება, ხოლო ბერძნული წყაროებით „ლაზიკე"[1].

**ნოდარ ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია (წარმოქმნიდან ახ. წ. V საუკუნის ბოლომდე), თბილისი, 1968, გვ. 151.**

[1] „ეგრ-ის-ი" არის ის ქვეყანა, რომლის მცხოვრებნი იყვნენ „მ-ე გ რ-ე ლ -ნი" ბერძნების მიერ ნახმარი სახელწოდება „ლ ა ზ-ი კ ე" ჰგულისხმობს „ლ ა ზ-ე ბ ი ს" ქვეყანას, ე. ი. ბერძნული წყაროების მიხედვით „ლაზები" ეწოდებათ „მეგრელებს", ხოლო მათი მეთაურობით შექმნილ დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ გაერთიანებას — „ლაზიკე".

საისტორიო წყაროების მიხედვით დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ გაერთიანებას „კოლხეთი" ეწოდებოდა ძვ. წ. VI-I საუკუნეებში, ხოლო შემდეგ, დაახლოებით ახ. წ. I საუკუნიდან, როდესაც დასავლეთ საქართველოში უპირატესობა მოიპოვა ლაზთა ტომმა, მას ეწოდებოდა „ლაზიკე" I-VII საუკუნეების მანძილზე ლაზეთის სამეფო უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო და იგი დიდ როლს ასრულებდა მაშინდელ ორ დიდ ავტოკრატორულ სახელმწიფოს (ბიზანტიასა დ სპარსეთს) შორის საერთაშორისო პირველობისათვის გამართულ ჭიდილში. ამით არის შეპირობებული ლაზეთის მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიაში და ამიტომაც არის, რომ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, საგანგებო მონოგრაფიებიც იწერება.

ნ. ლომოური კარგად ითვალისწინებს ყვე-

ლაფერ ამას და, ბერძნული და ქართული პირველწყაროების მიხედვით და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით მთელ რიგ ახალ საკითხებს სვამს ლაზეთის ისტორიიდან და ზოგიერთ ამ საკითხზე მსჯელობის დროს დიდ წარმატებასაც აღწევს[1]. შევეხებით ზოგიერთ ამ საკითხს.

ქრისტიანობის გავრცელება დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ლაზეთის ისტორიისა. ერთ დროს ფეხმოკიდებული იყო აზრი, რომ ლაზებმა ქრისტიანობა მიიღეს VI საუკუნეში, 523 წლიდან, როდესაც ლაზთა მეფე წათე ბიზანტიაში ჩავიდა, იუსტინე კეისრისაგან ქრისტიანობა მიიღო და ქრისტიანი ქალიც შეირთო ცოლად. ეს აზრი ემყარებოდა IX საუკუნის ისტორიკოსის თეოფანე ჟამთააღმწერლის ტექსტის თავისებურ გაგებას.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში კამათი იყო ამ საკითხზე. ზოგი მკვლევარი თეოფანეს ცნობას ეჭვმიუტანელად თვლიდა, ზოგი ემყარებოდა კიდევ სხვა მასალებს, რომლებითაც ასაბუთებდა იმ დებულებას, რომ ლაზეთში (ე. ი. დასავლეთ საქართველოში) ქრისტიანობა უკვე VI საუკუნეში იყო ფესვგადგმული.

ნ. ლომოურმა თავის მონოგრაფიაში — „ეგრისის სამეფოს ისტორია" — იმავე წყაროებზე დაყრდნობით, რომელთაც იყენებდნენ IV საუკუნეში ლაზეთში ქრისტიანობის არსებობის დებულების ავტორები, ამ წყაროებში შეამჩნია ისეთი დეტალები, რომლებისთვისაც სხვებს ყურადღება არ მიუქცევიათ. არადა, ეს დეტალები საგრძნობლად ამაგრებენ იმ დებულებას, რომ IV საუკუნეში ლაზეთი უკვე ქრისტიანული ქვეყანაა. სახელდობრ:

ნ. ლომოურმა ყურადღება მიაქცია იოანე მალალას „ქრონოგრაფში" არსებულ ცნობას წათე მეფის გაქრისტიანების შესახებ.

იუსტინეს მეფობის დროს — წერს იოანე მალალა — მეფე წათე გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს... ლაზთა ეს მეფე გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე, რადგან ეშინოდა, ვაითუ სპარსელთა მეფემ კოადმა მეფედ არ დამნიშნოსო, მსხვერპლსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა, ხოლო როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა. გაქრისტიანებულმა წათემ შეირთო რომაელი ქალი, პატრიკიოს ნომეს ქალიშვილი, სახელად ვალერიანე. მან თან წაიყვანა ის და წავიდა საკუთარ ქვეყანაში, დაგვირგვინებული რომაელთა მეფის იუსტინეს მიერ.

იოანე მალალას ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით წათე მეფე წარმართთა სარწმუნოებაზე გადასულა. „აშკარაა, რომ აქ საქმე ეხება არა, ვთქვათ წარმართობიდან სპარსთა რელიგიაზე, მაზდეიანობაზე, გადასვლას, არამედ ქრისტიანობიდან წარმართთა სარწმუნოებაზე გადასვლას, რადგან იოანე მალალა ამბობს „გადავიდა ელინთა სარწმუნოებაზეო, რაც არ შეიძლება სპარსულ რელიგიას ნიშნავდეს, არამედ სწორედ წარმართობას გულისხმობს; მაშასადამე, ლაზეთის სამეფო სახლის წარმომადგენელი წათე თავდაპირველად ქრისტიანი ყოფილა, შემდეგ იმის შიშით, რომ კავადი მას ლაზეთის მეფედ არ დანიშნავდა, იგი გადასულა წარმართობაზე, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, შეცვლილი პოლიტიკური სიტუაციის გავლენით ბიზანტიის იმპერატორის ვასალობა ურჩევია და ხელახლა გაქრისტიანებულა. მაშასადამე, იოანე მალალას ამ ცნობიდან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ლაზეთის სამეფო კარზე ქრისტიანობა პირველად 523 წელს ყოფილიყოს მიღებული" (ნ. ლომოური, გვ. 116).

ნ. ლომოურივე პირველია, რომელმაც ყურადღება მიაქცია პროკოპი კესარიელის ცნობას: «აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ, როგორც სხვა დანარჩენი ტომებიც, რომლებიც მე ამ წიგნში მოვიხსენიე». „ცხადია, — დაასკვნის ნ. ლომოური — VI საუკუნის მწერალი პროკოპი კესარიელი ლაზებზე ვერ იტყოდა, რომ ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები არიანო, მათი ოფიციალური გაქრისტიანება რომ მხოლოდ VI საუკუნის 20-იან წლებში მომხდარიყო" (ნ. ლომოური, გვ. 117).

ამგვარად, ნ. ლომოურმა შეგვძინა ორი დამატებითი საბუთი იმ დებულების ნათელსაყოფად, რომ ლაზთა გაქრისტიანება მეექვსე საუკუნეში კი არ მომხდარა, არამედ გაცილებით უფრო ადრე, რომ ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნის მეფე წათე I წარმოსდგება ჩვენს წინაშე, როგორც ქრისტიანი, რომ VI საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრე (ძველთაგანვე) ლაზები ქრისტიანები იყვნენ.

ნ. ლომოურსვე ეკუთვნის დაკვირვება არიანეს მიერ ვეტერანთა დასახლების შესახებ მო-

---

[1] არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ავტორს, რომ იგი ეგრისის სამეფოს ისტორიას განიხილავს წარმოქმნიდან ახ. წ. V საუკუნის ბოლომდე. საჭირო იყო ისტორია ბოლომდე მიეტანა, VII საუკუნემდე, რის შემდეგაც დასავლეთ საქართველოში უპირატესობას მოიპოვებენ აბაზგები და შეიქმნება დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო „აფხაზთა სამეფოს" სახელწოდებით.

ცემულ ცნობაზე. „რადგან ნავთსაყუდელი (ფოთი, ს. ყ.) უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდთათვის, საიმედო უნდა გამხდარიყო აგრეთვე ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც, რომლებიც დასახლებულია ს ა მ ს ა ხ უ რ ი დ ა ნ  გ ა დ ა მ დ გ ა რ ი  ს ა მ ხ ე დ რ ო  პ ი რ ე ბ ი თ და ვაჭრებით“ (ნ. ლომოური, გვ. 31, 34).

საყურადღებოა ნ. ლომოურის დაკვირვება, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს დასავლეთი ნაწილისა და ქართლის ურთიერთობის საკითხზე. 62 გვერდზე ავტორი იხილავს მონეტათა მიმოქცევას დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში და მიდის იმ დასკვნამდე, რომ „დასავლეთ საქართველოს ამ რაიონის სამონეტო მიმოქცევა სავსებით იდენტურია იბერიის სამონეტო მიმოქცევისა“. ეს დასკვნა ემყარება კ. ვ. გოლენკოს შრომაში «Денежное обращение Колхиды в римское время». Л., 1964) მოტანილ მასალას და სრულიად მართებულად აცხადებს: „ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილისა და იბერიის ურთიერთობის შესახებ და ამ ნაწილის პოლიტიკური ვითარების შესახებ ჩვენთვის საინტერესო ხანაში“.

უთუოდ სწორია ნ. ლომოურის დასკვნა: „არქეოლოგიურადაც და ნუმიზმატიკურადაც დასავლეთ საქართველოს ეს ოლქი ქართლის სამეფოს უკავშირდება და მასთან ჩანს ერთიანობაში“ (ნ. ლომოური, გვ. 63).

სწორედ მისასალმებელია, რომ ნ. ლომოური ავლებს პარალელს იბერიისა და ლაზეთის მატერიალურ ძეგლებს შორის.

მსჯელობამ მოიტანა, რომ ნ. ლომოური უნდა შეხებოდა კლდეეთის განძს: „კლდეეთში არქეოლოგიური კვლევაძიების შედეგად მოპოვებული მასალა უმჭიდროეს კავშირს ავლენს იბერიის, კერძოდ, მისი დედაქალაქის მცხეთის ნივთიერ კულტურასთან“ (გვ. 64). კვლევაძიებას მიჰყავს ავტორი იმ შედეგამდე, რომ „კლდეეთი მაინც, როგორც ჩანს, ლაზეთის საზღვრებში უნდა მივიჩნიოთ“ და (არა იბერიის საზღვრებში). ამიტომ „კლდეეთური მასალის ასეთი სიახლოვე ქართლის მატერიალური კულტურის ძეგლებთან“ (კერძოდ, არმაზში აღმოჩენილ ძეგლებთან), „იმის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო, რომ პოლიტიკური საზღვარი ქართლისა და ეგრისის სახელმწიფოთა შორის“ არ ყოფილა გამმიჯვნელი მოძმე ტომებისა კულტურული ურთიერთობის თვალსაზრისით. „მაგრამ ეს კულტურული ურთიერთობა, როგორც ჩანს, მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული ეკონომიურ ურთიერთობასთან. ამას უნდა მოწმობდეს სწორედ... დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ფულადი მიმოქცევის შემადგენლობა: ხოლო ამ უკანასკნელის საუკეთესო ილუსტრაცია სწორედ კლდეეთის ნუმიზმატიკური მონაპოვარია“ (გვ. 64—65).

პირველწყაროების უხვად გამოყენებით და სრულიად დამაჯერებლად არის შესწავლილი და ნათელყოფილი III-IV საუკუნეებში ლაზეთის სახელმწიფოს გაძლიერების მიზეზები. ვინაიდან ჯერ გუთებმა და შემდეგ ჰუნებმა შეუტიეს რომსა და ბიზანტიას, ამიტომ ბიზანტიის სახელმწიფოს ინტერესებს შეეფარდებოდა ჰყოლოდა აქ ძლიერი ლაზეთი. როგორც პროკოპი კესარიელი ამბობს „კავკასიაში მოსახლე ბარბაროსთათვის ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხარი». იგივე პროკოპი ამბობს, რომ მტკიცე ლაზეთი ესაჭიროებოდა ბიზანტიას, „რათა მტრულად განწყობილი ჰუნები, მათი მოსაზღვრე კავკასიის მთიდან ლაზიკეზე გავლით, რომაელთა მიწა-წყალში არ შემოჭრილიყვნენ“ (ნ. ლომოური, გვ. 74, 75).

დამაჯერებლად უნდა ჩაითვალოს ნ. ლომოურის კრიტიკა ისტორიკოს ჯუანშერის მიერ მოწოდებული ცნობებისა ვახტანგ გორგასალის შესახებ. მართალია, ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილს ჰქონდა ხაზგასმული ჯუანშერის ისტორიის ზღაპრული ხასიათი ვახტანგ გორგასალის საგმირო ამბავთა გადმოცემისა, მაგრამ ნ. ლომოური მთელი რიგი საბუთებით ამტკიცებს, რომ ჯუანშერის მონათხრობი ვახტანგ გორგასალისდროინდელი პოლიტიკური ამბების ირგვლივ მაინცდამაინც ნდობას არ იმსახურებს. კერძოდ, ვახტანგის ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში იქაური, მხარეების დასაპყრობად და ამასთან დაკავშირებული ვახტანგის სხვა ნაბიჯები „უფრო მეტად შეეფერება საშუალო საუკუნეთა, კერძოდ, XI საუკუნის იდეოლოგიურ შეხედულებებს, ვიდრე V საუკუნის რეალურ-ისტორიულ სიტუაციას. XI საუკუნისათვის, როდესაც სავარაუდოა ჯუანშერის მოღვაწეობა, უფრო გასაგებია იდეა ვახტანგ გორგასალის ანტიბიზანტიური ტენდენციისა, მის მიერ დასავლეთ საქართველოში საერისთაოების დაარსებისა და ეგრისზე თავისი გავლენის გავრცელებისა, ვიდრე V საუკუნის რეალური ისტორიული ვითარებისათვის“ (ნ. ლომოური,ი გვ. 83-84).

თავისი შრომის („ეგრისის სამეფოს ისტორია“) ორ ადგილას (გვ. 8 და გვ. 36) ნ. ლომოური ჩერდება რომაელთა გარნიზონის არსებობაზე ა ფ ს ა რ ო ს შ ი და ს ე ბ ა ს ტ ო პ ო ლ ი ს შ ი და ამბობს, რომ აფსაროსში, მაგალითად, ჩაყენებული იყო 5 კოჰორტა (არიანეს თქმით), ხოლო სებასტოპოლისში მდგარა ცხენოსანთა მანიპულები.

არ იქნებოდა ზედმეტი, რომ არიანეს ამ ცნობის პარალელურად ნ. ლომოურს განეხილა ის ცნობა, რომელიც მოთავსებულია მეხუთე საუკუნის ძეგლში Notita dignitatum და მით უმეტეს ეფექტიანი იქნებოდა, რომ გაარკვევდა

იმ დავას, რომელსაც იწვევს Notitia dignitatum-ის ცნობა (იხ. გეორგიკა, I, 175-178).

„ნოტიციის“ ცნობის გამოყენება საჭირო ხდება ნ. ლომოურის მიერ სხვა ადგილას (გვ. 41) აღძრულ საკითხთან დაკავშირებით, სახელდობრ: III საუკუნისათვის ისმის საკითხი ბიჭვინთისა, რომელსაც გუთებმა შემოუტიეს (252 წელს). ისტორიკოს ზოსიმეს ცნობით ამ დროს ბიჭვინთაში გუთებმა მცველი ჯარი გაწყვიტეს. ნ. ლომოური ამბობს: „არიანეს მიხედვით პიტიუნტში რომაული რაზმი არ დგას... როგორც ჩანს, I საუკუნეში ჰენიოხთაგან გაძარცვული პიტიუნტი II საუკუნის 30-იან წლებში ჯერ კიდევ უმნიშვნელო პუნქტს წარმოადგენდა მაგრამ III საუკუნის შუა წლებისათვის იგი კვლავ გაშენებულა, აქ ძლიერი ციხე აგებულა და რომაელებს საკმაოდ ძლიერი რაზმი ჩაუყენებიათ“.

საგულისხმოა, რომ „ნოტიციაში“ მოხსენებული რომაელი რაზმებიდან, ბიჭვინთაში დგას Ala prima felix Theodosiana.

ამ საკითხზე შეჩერება მით უფრო საჭირო იყო, რომ, „ნოტიციაში“ ჩამოთვლილი რომაული რაზმების დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებას არ ეთანხმება ნ. ადონცი და მასთან ერთად პავლე ინგოროყვაც.

თუ ჩემი მოსაზრებები ამის შესახებ, სახელდობრ იმისა, რომ „ნოტიციაში“ მოხსენებული Pithiae (v. l. Pithyunte) ბიჭვინთას ჰგულისხმობს, სწორია, მაშინ ეჭვის ქვეშ უნდა დავაყენოთ ნ. ლომოურის დასკვნა (გვ. 61); „ბიჭვინთაში მოპოვებულია საერთო საიმპერიო მონეტები დაწყებული იმპ. მაქსიმიანედან (293-311 წწ) და დამთავრებული ვალენტინიანეთი (375-392), აგრეთვე 48 მონეტა, რომელიც გაურკვეველია, მაგრამ IV-V სს. თარიღდება, დროის იმ მონაკვეთში კი პიტიუნტში რომაული გარნიზონი არ მდგარა“.[1]

სწორედ IV-V საუკუნეთა ვითარებას ასახავს Notitia dignitatum სადაც ნათქვამია, რომ პიტიუნტში დგას Ala Prima felix Theodoriana.

სეფიეთში 1943 წელს (?) აღმოჩენილი განძის შესახებ პროფ. ს. მაკალათიამ ივარაუდა, რომ „ეს განძი ლაზეთის დედაქალაქ ნოქალაქევში მდგომი რომაული რაზმის ხაზინის ნაწილია“. ნ. ლომოური ეხება ამ ნაწილს და ფიქრობს, რომ ნოქალაქევში — არქეოპოლისში „რომაული რაზმის დგომის საბუთი ს. მაკალათიას არ მოაქვს და ასეთი არც არსებობს, ისე რომ, ამ განძის აღმოჩენა მოწმობა უნდა იყოს იმ ფაქტისა, რომ რომაული საერთო-საიმპერიო მონეტებიც სავაჭრო ურთიერთობას ემსახურებოდნენ“ (ნ. ლომოური, გვ. 61). მაგრამ ავტორს ავიწყდება, ალბათ, რომ 1930 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს (ა. შნაიდერის ხელმძღვანელობით და გ. გოზალიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის მონაწილეობით ნოქალაქევის ციხეში ნაპოვნი იქმნა ერთი კოშკის ძირში 23 ოქროს სოლიდი მავრიკის დროისა. რა მოწმობს ეს თუ არა იმას, რომ ეს ბიზანტიური მონეტები აქ გაჩნდა იმ სამხედრო ოპერაციების დროს, რომლებიც აქ წარმოებდა მავრიკი კეისრის მეფობაში (582-602 წლებში). ამიტომ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ რომაული რაზმები არ მდგარან ნოქალაქევში.

ჩანს, ამას თვით ნ. ლომოურიც გრძნობს და თავის ზემო მოყვანილ აზრს არბილებს შემდეგი შენიშვნებით: „ეს გარემოება, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ჩვენ უარვყოფთ რომაული მონეტების ნაწილის დასავლეთ საქართველოში მოხვედრის ისეთ მიზეზს, როგორიც არის მათი განკუთვნა რომაული რაზმებისათვის“.

ზემოთ ჩვენ გვქონდა ლაპარაკი იმ დამსახურებაზე, რომელიც მიუძღვის ნ. ლომოურს ლაზეთისა და იბერიის (ე. ი. დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოს) უმჭიდროესი კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის გამოვლინების საქმეში. კლდეეთის სამაროვანი ძეგლები (ლაზეთში) და არმაზის გათხრების დროს მოპოვებული ნივთები ამჟღავნებენ საქართველოს ამ ორი ნაწილის კულტურისა და ეკონომიკის ერთიანობას. მაგრამ ის მსჯელობა. რომელსაც მართავს ნ. ლომოური ამის შემდეგ, ჩვენ არ მიგვაჩნია გამართლებულად. ავტორი წერს: „ცხადია, რომ იბერიასა და ლაზეთს შორის ეს ეკონომიური და კულტურული კავშირი უფრო ძლიერი იყო ლაზეთის აღმოსავლეთ, იბერიის მომიჯნავე ოლქში. მაგრამ, როგორც ჩანს, იბერიის გავლენა (ხაზი ჩვენია ს. ყ.) უფრო ღრმადაც იჭრებოდა დასავლეთ საქართველოში. ამის აშკარა მოწმობაა არქეოლოგიური მასალა ხარაგაულის რაიონის სოფელ სარგვეშიდან, ენგურის პირას მდებარე სოფ. თაგილონიდან, რაჭიდან, და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ქართლიდან ესოდენ დაშორებული ადგილიდან, როგორიცაა ზღვის ნაპირას მდებარე სოფ. ურეკი. ყველა ამ მასალაში აშკარად გამოიყოფა ისეთი ელემენტები, რომლებიც პარალელებს სწორედ ქართლის ნივთიერ კულტურაში პოულობენ“ (გვ. 65).

ასეთი მსჯელობა ჩვენ არ მიგვაჩნია გამართლებულად საქართველოში ისტორიული პროცესების განვითარების თვალსაზრისით. ჩვენ მცდარად მიგვაჩნია ლაპარაკი იბერიის გავლენაზე დასავლეთ საქართველოში. ნ. ლომო-

[1] სხვა ადგილსაც (გვ. 77) ნ. ლომოური იმეორებს ამასვე. „ლაზეთის ტერიტორიაზე IV-V საუკუნეებში არსად არ იდგა რომაული ჯარი“.

ური თვითონ ვარდება წინააღმდეგობაში: ერთი მხრით, ამბობს, რომ იბერიის გავლენა ჩანს მომიჯნავე ოლქში, ლაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში; მეორე მხრით, ეს გავლენა იბერიისა ჩანს ლაზეთის ისეთ შორეულ ადგილას, როგორიც არის შავი ზღვის ნაპირას მდებარე ურეკი. კულტურისა და ეკონომიკის ერთნაირობა იბერიასა და ლაზეთში იბერიის გავლენით კი არ აიხსნება, არამედ იმით, რომ როგორც ლაზეთის, ისე იბერიის კულტურა არის ქართული კულტურა, აღმოცენებული და განვითარებული საკუთარ ქართულ საწყისებზე და მსოფლიო კულტურაში მონაწილეობით.

ყალბია ის შეხედულება, რომ ლაზეთში მხოლოდ ლაზები (ფართო პოლიტიკური გაგებით) ცხოვრობდნენ, ხოლო იბერიაში ქართები ცხოვრობდნენ. არ არის ნ. ლომოურის მიერ მხედველობაში მიღებული, რომ დასავლეთ საქართველოში მხოლოდ მეგრულ-ჭანური ტომები კი არ ცხოვრობდნენ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში იბერიელები, არამედ იბერიელები ცხოვრობდნენ, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ უბანსა თუ ოლქში. ამისთვის საკმარისია გავიხსენოთ ის მასალა, რომელიც ეხება,მაგალითად: 1) ევაგრე პონტოელის იბერიულ წარმოშობას, 2) კონსტანტინეპოლში ჩასულ იბერებს, რომლებიც ფაზისის სანაპიროებიდან იყვნენ და რომლებიც ბიზანტიის ჯარში მსახურებენ. ნიკეტა ხონიატეს „ისტორიაში" რამდენსამე ადგილას არიან მოხსენებული ის იბერიელები, რომლებიც კონსტანტინეპოლში ჩასულან სავაჭრო მიზნებით და რომელნიც ფაზისის სანაპიროებზე ცხოვრობენ, „რომელნიც წყალს სვამენ" (იხ. გეორგიკა, ტ. VI).

**სიმ. ყაუხჩიშვილი**

## პირველი ნაბიჯები სიახლის ძებნაში

თამაზ გოდერძიშვილის პირველი წიგნი მრავალმხრივაა საინტერესო. ავტორი ემიჯნება სამყაროს აღქმის და შთაბეჭდილებათა გამოხატვის ტრადიციულ მეთოდს, მაგრამ გამიჯვნის ეს აქტი თავისუფალია რეზონირებისა და პრეტენზიულობისაგან. მსოფლშეგრძნების ის თავისებურება, რაც თანამედროვე ადამიანს საერთოდ და თანამედროვე ახალგაზრდა ინტელიგენტს განსაკუთრებით განასხვავებს წინა თაობისაგან, უშუალოდ აისახება თ. გოდერძიშვილის მოთხრობებში. ახალგაზრდა მწერლის მოთხრობათა გმირის შთაბეჭდილებებში გარესამყაროს მოვლენები რთულად აისახებიან; თუმცა, ამავე დროს, ისინი ხშირად წარმოდგენილია გულუბრყვილოდ, იმ ცალმხრიობით, რაც ესოდენ დამახასიათებელია მაძიებელი შემოქმედისათვის.

მოთხრობაში „ბავშვი" აღწერილია ტროლეიბუსის მძღოლის ერთი შეხედვით მარტივი, ემოციებით ღარიბი ცხოვრება.

ტროლეიბუსის მძღოლი ახალგაზრდაა. მას სურს უყვარდეს, ის ეძებს იმ ადამიანს, რომელსაც თავის ახალგაზრდობის დაუოკებელ ალტაცებას მიუძღვნის. მის სულთან ახლოს მოდის უცნობი ქალიშვილი კეკლუცი, გამომწვევი მანერებით. მძღოლი უცნობ ქალიშვილს დალის უწოდებს. მათ შორის მდუმარე საუბარი მყარდება. ახალგაზრდა დუმილით, ზოგჯერ მანქანის ცოტაოდენი შეყოვნებით ესაუბრა ქალიშვილს და ფიქრობს, მათ შორის უკვე ბევრი რამ ითქვა.

ინტიმური გრძნობის პარალელურად ახალგაზრდა მწერალი გვიჩვენებს ზოგადადამიანურ თვისებას — სათუთ დამოკიდებულებას ნორჩი თაობისადმი, სიყვარულს ბავშვისადმი. თავის მგზავრს, პატარა დათოს მძღოლი გამოეცნაურება და მათ შორის მყარდება თავისებური მეგობრობა — მეგობრობა ზრდადასრულებულ და მოზარდ ადამიანს შორის.

მძღოლის ფსიქიკის ეს სამი ნაკადი — სამსახურებრივი მოვალეობა, სიყვარული „დალისადმი", მეგობრობა დათოსადმი ერთმანეთს ეწინააღმდეგება: ერთდროულად ვერ ხერხდება სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების შეთავსება ისეთ თვითმყოფად განცდებთან, როგორიცაა სიყვარული და მეგობრობა, ყოველშემთხვევაში, ვერ ახერხებს მძღოლი. კვანძიც იხსნება: მძღოლს ავარია მოსდის და ჩვენთვის უცნობი რჩება მისი შემდგომი ხვედრი, ქვეტექსტით მკითხველმა შეიძლება ბევრი რამ ივარაუდოს.

პირველი ძირითადი ნაკლოვანება — აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ნაკლი კრებულის სხვა მოთხრობებშიც მჟღავნდება — ესაა საკუთარ, ავტორისეულ განცდათა მხატვრული თვალსაზრისით უმოტივო განსხვისება. უფრო ნათლად: იგრძნობა, რომ მსოფლშეგრძნების ავტორისეული წესი, მისეული აღქმა მიკუთვნებულია, ისეთ პიროვნებისადმი, რომელიც არ შეიძლება აღქმის, განცდის ასეთ სახეს ფლობდეს. ამჯერად, ნაკლებდასაჯერებელია, რომ მძღოლი ისეთი სენტიმენტალური, რომანტიული გრძნობიერებით აღიქვამდეს მზის, მტვერის, ნიავის მოძრაობას, როგორც თ. გოდერძიშვილის მძღოლი აღიქვამს ხოლმე. რა

თამაზ გოდერძიშვილი. „ხუთი წითელი მიხაკი". „ლიტერატურა და ხელოვნება", 1967.

თქმა უნდა არ შეიძლება საერთოდ მძღოლისათვის დაუშვებლად ვცნოთ ამგვარი სწრაფვანი და მიზიდულობანი, მაგრამ მას მხატვრული სიმართლე აკლია და მისი მიღება, როგორც თავისთავად ნაგულისხმევის, წინასწარ ცნობილის, ახალგაზრდა მწერლისათვის შემოქმედებითი მარცხის ერთერთი ნიშანია.

კიდევ ერთი პრინციპული შენიშვნა. მოვლენებისადმი თ. გოდერძიშვილის მწერლურ მიდგომას არ ახასიათებს ერთისმხრივ სიუჟეტური ხირთული, მეორეს მხრივ ინტელექტუალურ-დიდაქტიკური მანერა. მის მიერ რეპროდუცირებული ხატები უშუალონი და შთამბეჭდავნი არიან. ისინი თვით იწვევენ დაფიქრებას, მკითხველს წაუბიძგებენ ცხოვრების სირთულეზე დაფიქრდნენ. ამიტომ ავტორი ულოგიკოდ (თანაც ულოგიკობა ჩადენილია საკუთარივე მეთოდის მიმართ) მიმართავს დამატებით საშუალებებს რომელიმე მომენტის ხაზგასასმელად. სიტუაციათა ჯაჭვიდან ერთი რგოლის განსხვავებული მასალით გამოჭედვა, ყალბნაკეთობის დაღს აძლევს მთელ ჯაჭვს.

თ. გოდერძიშვილი მოთხრობა „ბავშვის“ ეპილოგში გვიჩვენებს გაუჩინარებული მძღოლის მომლოდინე, მასზე დამწუხრებულ ბავშვს და უდარდელ „დალის“, რომელიც მხიარულ განწყობილებაზეა (იგრძნობა, რომ აღარ ახსოვს უცნობი თაყვანისმცემელი). იგი თავის მკვრივი მკერდით მეგობარი ვაჟის მკლავს ეხახუნება.

ცუდი, ამაღლებულობას მოკლებული დეტალია. აქ არც ცხოვრებისეული სიმართლეა და არც მხატვრული.

რად დაუპირისპირა ავტორმა ბავშვი ქალიშვილს? განა თვითეული ქცევა, რომელიც უშუალოდ არ შეესაბამება სხვა ადამიანის სიმპატიას თუ მწუხარებას, დაგმობის ღირსია? რად შემოწყრა ავტორი ქალიშვილს, მის ახალგაზრდობას, გატაცებას, სიხარულს? რად დაავალდებულა ავტორმა იგი ცუდ გუნებაზე ყოფილიყო მძღოლის არგამოჩენის გამო, ეს ხომ არაჰუმანიური სიმკაცრეა მწერლის მხრიდან? და განა გასაგებია ბავშვის (დათოს) მწუხარება? ასაკობრივადაც შეუსაბამობაა- ბავშვის ფსიქიკა არამდგრადია, იგი მსწრაფლ ივიწყებს წარსულს და მიმართულია მერმისისაკენ. რად მოახუცა ავტორმა ნაადრევად ბავშვი? ნუთუ იმიტომ, რომ ექცია „მადლიერების“ ასომთავრული მორალის მატარებელ უსახო სიმბოლოდ?

ცუდი ფინალით ბევრს აგებს მოთხრობა. თ. გოდერძიშვილისათვის დამახასიათებელია მოჩვენებითი უტენდენციობის მიღმა, ღრმად დაფარული ძალებით გვიჩვენოს ნამდვილი მხატვრული ტენდენცია. ამ მხრივ კარგია მოთხრობა — „კვირადღე“.

თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. მთხრობელის მეგობარს ვაჟა მარტიროზაშვილს სკოლაში ცელქი, არაბეჯითი მოსწავლის რეპუტაცია ჰქონდა. ცუდ საფუძველზე ვერ მოხერხდა კარგი შენობის აგება — ვაჟამ სწავლის გაგრძელება ვერ შესძლო, სწავლის ნაცვლად მაღაზიაში გამგედ მოეწყობა და ხელმომთბარი „ვოლგას“ შეიძენს.

მოთხრობის გმირი აი ასეთ ახალგაზრდასთან, თავის მეგობარყოფილთან საკვირაოდ ქალაქგარეთ გადის. მოხდება ისე, რომ თავისი მეგობარი ნანაც მათთან აღმოჩნდება. ისინი დმანისში წასვლას გადაწყვეტენ.

ორი წყვილი, თანაც ერთი საეჭვო შემთხვევითობით დაწყვილებულნი, გასეირნების მიმართულების შემთხვევითი არჩევანი, სალაპარაკო თემის სიმწირე და დიალოგების (ვაჟას მხრივ) მოვულგარო ხასიათი, ვაჟას გამოკვეთილი ავხორცულობა და ნანას მოქარაფშუტობა — თითქოს უნდა განსაზღვრავდეს მოთხრობის უიდეობას ან პორნოგრაფიულ ხასიათს. ხდება კი პირიქით: ყოველი სურათი, ყოველი დიალოგი თანხლებულია თბილი, ღრმა, უმტკივნეულო, ჰუმანიური იუმორით. არც ერთი წუთით არ ხდება ვაჟას ქარაფშუტობის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების შენელება, მაშინაც კი, როცა მთხრობელი განმარტოვდება და საქართველოს წარსულში ჩაგვაღრმავებს, ოცნებას და სინანულს ჭეშმარიტ ფაქტებთან აულლებს. მაშინაც კი ავტორი უბოროტო, მაგრამ საზოგადოებისათვის გამოუსადეგარ ვაჟას, ყურს უწევს, ესაყვედურება, დასცინის, სურვილს გამოსთქვამს იყოს უკეთესი.

გასეირნებას არ ჰქონდა საძრახისი ხასიათი, მაგრამ ჩვენი ეროვნული ტრადიციებისათვის იგი მხოლოდ ახლახანაა გაცნობილი. მთხრობელს ოცნება იტაცებს, ცუდი ოცნება. 140 კმ. სიჩქარით მიმავალი „ვოლგა“ მიჰქრის, უკან იტოვებს ბლანტ ხსნარად ქცეულ ასფალტის ზღვას და უზარმაზარ მანქანას ეჯახება, იწყება ჭორები, აუკულმართებენ შემთხვევას, მოცლილი ადამიანები ცილს სწამებენ მიცვალებულებს. და უაზრო ბრალდებათა ამ მორევში იკვეთება ერთი ავტორისეული ტენდენცია: მთხრობელის სინდისის ქენჯნა, რაღაც უხერხულობა, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ამას თუნდაც ულამაზოდ გატარებული კვირადღე მოითხოვდა.

საინტერესოა მოთხრობა „მიწისქვეშა სასახლეები“. ნაწარმოები გეოლოგთა ცხოვრებით იწყება. მაგრამ ჩვენ შეგნებულად ავუვლით გვერდს მოთხრობის დიდ ნაწილს, სადაც გეოლოგების ყოფის აღწერაა მოცემული. ავტორს, როგორც ჩანს მემაღაროელთა ყოფა უნდოდა ფონად გამოეყენებინა ნამდვილი ჩანაფიქრისთვის ხორცი რომ შეესხა. მაგრამ ფონის შექმნაზე ტექნიკური გამოცდილების უკმარობის ან ეგრეთწოდებული „აქტუალური“ თემით გა-

ტაცების მიზეზით მწერალი ხანგრძლივად დაყოვნდა და ნამდვილი თემა, ამ შემთხვევაში ქალ-ვაჟის ურთიერთობის საკითხი, უკანა პლანზე გადაიტანა.

მოთხრობა არაა მსჯელობით დამძიმებული მაგრამ მისმა გმირებმა იციან (ცოდნა მათი ქცევითაა გამჟღავნებული), რომ მათ გატაცებას. ლამაზ გატაცებას გამოცდა ჰირდება, ფიცს არ ჩქარობენ. მოჩვენებითი გულცივობით, თითქოს გადაჭარბებული გულცივობითაც ცილდებიან ერთმანეთს. მათი მომავალი შეხვედრა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.ავტორი მკითხველს მიანდობს შესაძლო შეხვედრის ალბათობის საკითხს. მკითხველი უეჭველად მიდრეკილია მათი მეგობრობის აღდგენის და გაღრმავების რწმენისაკენ. მკითხველს ეს უნდა, მკითხველს ეს წამს.

კონტრასტების პრინციპზეა აგებული მოთხრობა — „მე უშენოდ არ შემიძლია". ავტორი პარალელურად გვიხატავს ორ განსხვავებულ ურთიერთობას, სიყვარულის ორ განსხვავებულ ფორმას, უფრო სწორად ორ განსხვავებულ სოციალურ სფეროს და სხვადასხვა ინტელექტუალურ ადამიანებში ინტიმური გრძნობის სხვადასხვა ბედს.

ცია და რევაზი ნაზი, თავდავიწყებული შეყვარებულები არიან. ინტელექტუალურ სფეროს ადამიანებს ახასიათებთ საკუთარ განცდათა ანალიზი, მსჯელობა, გრძნობათა გაზვიადება. დარიკო და ილო უბრალონი არიან, გრძნობებშიც უშუალონი და ნაკლებმაძიებელნი საკუთარ შინაგან სამყაროში. ფინალი გულდასაწყვეტია: ცია და რევაზი ცალცალკე ცხოვრობენ, ახალგაზრდების ჭარბმა მაძიებლობამ ცუდი როლი შეასრულა მეგობრის არჩევის საქმეში, ისინი ან ცრუ შთაბეჭდილებათა ან თვითანალიზის მსხვერპლნი გახდნენ. დასანანია, მაგრამ ასეც ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ პარალელიზმი, როგორც მხატვრული მეთოდი საკმაოდ სუსტადაა მოთხრობაში გატარებული. იგი უფრო ორი სხვადასხვა სიუჟეტის მექანიკური შეერთებაა.

შედარებით ვრცელ მოთხრობაში — „გზა", ბევრი საინტერესო ხასიათობრივი დეტალია, მაგრამ მთლიანად მოთხრობა ნაკლებკომპაქტურია, იგრძნობა კომპოზიციის სისუსტე. ეს ადვილად ასახსნელი იქნება თუ მოვიგონებთ, რომ ის ერთერთი ნაწარმოებია ციკლიდან „გზები და შეხვედრები". გასაგები მიზეზით მას ციკლის თავისებურება დაკრავს.

დანანებით უნდა აღინიშნოს მოთხრობის — „გეგმა იქნება" — მხატვრულ-იდეური გაუმართაობა. ავტორი ვერ ძლევს თემას. ნაწარმოები ფაქტიურად წინააღმდეგობრივი, შეუსაბამო სახეების ეკლექტიკური ერთიანობაა.

საყურადღებოა მოთხრობა — „ხუთი წითელი მიხაკი".

ახალგაზრდა მეცნიერმუშაკი რევაზი საუკეთესო წლების უკეთეს დღეებს ლაბორატორიაში ატარებს. ფიზიკის საკითხები, ხანგრძლივი, თანმიმდევრული, ღრმადერუდირებული კვლევით აღწევს ფენომენალურ შედეგებს, მაგრამ დიდ გამარჯვებას ვერ მოაქვს მისთვის დიდი სიხარული. რევაზს ეუფლება უცნაური მელანქოლია, მარტოობის, მიუსაფრობის გრძნობები. მის სახლში ჩნდება ის სიცარიელე, რომლის ამოვსების გარეშე უფასურდება ყოველგვარი მონაპოვარი ნებისმიერ დარგში, რადგან თვით პიროვნების, ადამიანური არსებობის და შინაგანი საწყისების ჰარმონიული განვითარება აუცილებელი პირობაა მეცნიერისათვისაც. რევაზი მარტოხელაა, 30 წლისაა და რაღაც ხმა მოუწოდებს მეგობრის შეძენის აუცილებლობას. რევაზი ეძებს უბის წიგნაკს, ეძებს მას, ვისთანაც ამჟამად შეიძლება მივიდეს, ვინც მას მიიღებს, გაუგებს, უმეგობრებს, გაიზიარებს მის ჭირსა და ლხინს.

იგი ტელეფონით უკავშირდება ნაცნობ ქალიშვილს — მანანას. მანანა, როგორც ჩანს განაწყენებულია იმით, რომ ახსენდებათ მხოლოდ მოცლილობისას და რომ მისდამი რევაზს არა აქვს ღრმა გრძნობები. გატეხილი ხმით, გაუბედავად, მაგრამ მაინც უარყოფს, როგორც თვითონ ფიქრობს, ამ თავშესაქცევ საუბარს. მანანა ყურმილს დაკიდებს.

სასოწარკვეთილ რევაზს ისევ ტელეფონი დაიხსნის: ურეკავს მაია, ქალიშვილი, რომელსაც პაემანი დაუნიშნა ორი დღის წინ ბანკეტზე. გახარებული ახალგაზრდა მიეჩქარება და ეჭვგარეშეა ამჯერად ვერაფერი დააშორებს ქალიშვილს. თავის ცხოვრებას სამუდამოდ უკავშირებს მას.

უნდა ვუსაყვედუროთ ავტორს. მან ბანალურობამდე დაიყვანა ლამაზი ჩანაფიქრი.

მანანა, რევაზის მოტრფიალე, დიდი ხნის ნაცნობი, წყნარი, მაგრამ წყენისაგან აკანკალებული ხმით უკუგდებულია, მხოლოდ იმიტომ, რომ მოლოდინის მრავალგზის გაუმართლებლობის შემდეგ ვერ გამოიჩინა მზადყოფნა, მისი ფიქრით მეცნიერებით დაკავებული და დაღლილი ახალგაზრდის შესახვედრად.

„ხუთი წითელი მიხაკი" კარგად გამოხატავს თ. გოდერძიშვილის თხზულებათა საერთო ხასიათს. ბევრ მოთხრობაში ავტორს კარგი ჩანაფიქრი აქვს. იწყებს კარგად, მაგრამ ხელი უცურდება თემის სიახლეზე და აგრძელებს არც თუ კარგად. ხოლო ამთავრებს საშუალოზე მდარედ.

მაგრამ ცალკეულ ნაკლოვანებათა მიუხედავად თ. გოდერძიშვილის მოთხრობები დამაიმედებელი ცდაა დამოუკიდებელი მწერლური გზის გამონახვის საქმეში.

Ჯ. ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲫᲔ

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# «МНАТОБИ»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ